


# ქიეზანი

საქართველოს  
არქეოლოგიაში



№19

2010



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

# ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 19

# D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი 2010 Tbilisi



UDC (უბკ) 902(479.22)  
ძ-531

რედაქცია: **გ. კვირკველია** (რედაქტორი)  
**გ. გამყრელიძე**  
**დ. კაჭარავა**  
**მ. წერეთელი**  
**მ. ჩარკვიანი** (მდივანი)

Editors  
of the volume: **G. Kvirkvelia** (editor-in-chief)  
**G. Gamkrelidze**  
**D. Kacharava**  
**M. Charkviani**  
**M. Tsereteli**

ISSN 1512-0589

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2009  
Georgian National Museum, 2009

# შინაარსი CONTENTS

## საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 2007 წელს FIELD INVESTIGATIONS IN 2007

<b>თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, ნინო ჯაყელი</b> ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2007 წელს ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში .....	5
<b>T. Meshveliani, E. Kvavadze, N. Jakeli</b> Results of the Chiatura-Sachkhere stone age international archaeological expedition of 2007 (Summary) .....	7
<b>მინდია ჯალაბაძე, ქეთევან ესაკია, ნანა რუსიშვილი, ელისო ყვავაძე, ირაკლი ქორიძე, ნიკოლოზ შაყულაშვილი, მიხეილ წერეთელი</b> გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში .....	17
<b>M. Jalabadze, K. Esakvia, N. Rusishvili, E. Qvavadze, I. Koridze, N. Shaqulashvili, M. Tsereteli</b> Report on archaeological work carried out on Gadachrili Gora in 2006-2007 (Summary) .....	24
<b>დიმიტრი ახვლედიანი, დარეჯან კაჭარავა, ნანა მათიაშვილი</b> ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაოების ანგარიში .....	33
<b>D. Akhvlediani, D. Kacharava, N. Matiashvili</b> Report on the work done in 2007 on the former city site of Vani (Summary) .....	38
<b>დავით ლომიტაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ბესიკი ლორთქიფანიძე, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, მერი ზამთარაძე, თამარ კაპანაძე, იან კოლვინი, ჯეინ ტიმბი, ბენჯამინ ნილი, პოლ ევერილი</b> ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის საველე სამუშაოების ანგარიში .....	46
<b>D. Lomitashvili, Z. Tvalchrelidze, B. Lordkipanidze, N. Kebuladze, N. Murghulia, M. Bokeria, M. Zamtaradze, T. Kapanadze, I. Colvin, P. Everill, J. Timby, B. Neil</b> Report on the field work in 2007 by the Nokalakevi archaeological expedition (Summary) .....	51
<b>შოთა მამულაძე, ტარიელ ებრაღიძე, დავით მინდორაშვილი, ნინო სულავა</b> გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის კვლევა-ძიების შედეგები .....	57
<b>Sh. Mamuladze, T. Ebralidze, N. Sulava, D. Mindorashvili</b> Results of the 2007 research work of the Gonio-Apsarus permanent archaeological expedition (Summary) .....	61
<b>ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, დავით ბერძენიშვილი, ნონა ქარციძე, მერაბ ჭუმბურიძე</b> გათხრები ქუთაისსა და გელათში .....	67
<b>O. Lanchava, R. Isakadze, D. Berdzenishvili, M. Chumburidze, N. Kartsidze</b> Excavations at Kutaisi and Gelati (Summary) .....	71
<b>სოსო ბურდილაძე</b> ლეპისის დარანი .....	74
<b>S. Burdiladze</b> The darani of Lepisi (Summary) .....	77

## სტატიები ARTICLES

<b>გურამ ჩიქოვანი</b> აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურათა შესწავლის საკითხები .....	83
<b>G. Chikovani</b> Questions of research into early farming cultures of Eastern Georgia (Summary) .....	91
<b>გურამ მირცხულავა, გურამ ჩიქოვანი</b> ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის შესახებ .....	95
<b>G. Mirtskhulava, G. Chikovani</b> On the transitional stage to the bronze age (Summary) .....	99
<b>ალექსანდრე ორჯონიკიძე, ლერი ჯიბლაძე</b> კიდევ ერთხელ ორჭოსნის ნასახლარის შესახებ .....	105
<b>A. Orjonikidze, L. Jibladze</b> Once again about the Orchosani settlement site (Summary) .....	108
<b>ნინო შანშაშვილი, ჭალექსანდრე რამიშვილი</b> თიხის ჰორელიეფი შიდა ქართლიდან .....	115
<b>N. Shanshashvili, A. Ramishvili</b> A clay high relief from Shida Kartli (Summary) .....	119

<b>ნინო ახვლედიანი, ირინე სულთანიშვილი</b> ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრები.....	126
<b>N. Akhvlediani, I. Sultanishvili</b> Leaf-like daggers of bronze (Summary).....	129
<b>ქლამარა სახაროვა, ნინო სულავა</b> საქართველოში გავრცელებული თავხვია საკინძების შესახებ .....	140
<b>L. Sakharova, N. Sulava</b> About the spiral-headed pins current in Georgia (Summary) .....	146
<b>ნინო სულავა</b> ბრინჯაოს ნივთებზე "ფანტასტიკური" ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ.....	154
<b>N. Sulava</b> On the diffusion of representations of "fantastic" animals on bronze items (Summary) .....	158
<b>ქელგუჯა გოგაძე, ციალა დავლიანიძე, ლეილა ფანცხავა, დავით ლომიტაშვილი</b> ქვის მძივების სანარმო ნამოსახლარები კოლხეთიდან .....	160
<b>E. Gogadze, Ts. Davlianidze, L. Pantskhava, D. Lomitashvili</b> Stone bead workshop-settlement sites from Colchis (Mukhurcha "Natsiskvilari", Ochkhomuri, and Nokalakevi) (Summary) .....	164
<b>რევაზ კვირკვაია</b> ბრინჯაოსა და რკინის ცულები ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბორჯომის ხეობიდან.....	168
<b>R. Kvirkvaia</b> Bronze and iron axes from 8 <sup>th</sup> -7 <sup>th</sup> cent. Borjomi Valley (Summary) .....	173
<b>გელა გამყრელიძე</b> ანეპიგრაფიკული ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასისიდან .....	176
<b>G. Gamkrelidze</b> Colchian amphora with an anepigraphic cross stamp from Poti-Phasis (Summary) .....	185
<b>ქეთევან რამიშვილი</b> ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები.....	190
<b>K. Ramishvili</b> Fibulae with representations of deer, ibex and horse (Summary) .....	196
<b>ნინო კალანდაძე, ნინო თავართქილაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე</b> ტორევეტიკის ნიმუშები ხოვლედან .....	205
<b>N. Kalandadze, N. Tavartkiladze, T. Parjanadze</b> Specimens of toreutics from Khovle (Summary) .....	208
<b>ნოდარ ბახტაძე</b> ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის.....	209
<b>N. Bakhtadze</b> Towards dating the chabukauri basilica brought to light at the Nekresi city site (Summary) .....	215
<b>ციალა ღვაბერიძე</b> ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.) .....	221
<b>Ts. Ghvaberidze</b> The Akhaltsikhe mint (14 <sup>th</sup> -16 <sup>th</sup> centuries) (Summary) .....	229

## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა IN MEMORIAM

გამოჩენილი მეცნიერისა და მეგობრის გახსენება .....	235
შემოკლებათა განმარტება.....	237
Abbreviations .....	237
ავტორთა საყურადღებოთ.....	239

# საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 2007 წელს FIELD INVESTIGATIONS IN 2007

თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, ნინო ჯაყელი

## ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2007 წელს ქუქუნას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს № 18/08/2565, 3.07.2007 წლის არქეოლოგიური სანებართვო № 13 მონუმენტის საფუძველზე, ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ქუქუნას მღვიმეში 2007 წლის 5 ივლისიდან – 20 აგვისტოს ჩათვლით.<sup>1</sup>

ქუქუნას მღვიმეში (ჭიათურის რ-ნი სოფ. მღვიმევი) სამუშაოები 1968 წლიდან მიმდინარეობს [თუშაბრამიშვილი 1969], 1983 წელს სამუშაოები განაახლა თ. მეშველიანმა, ხოლო 1996 წლიდან აქ მუშაობს ერთობლივი (საქართველო-აშშ-ისრაელი) საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით [Meshveliani et al 1999]. 2004-2006 წლებში ექსპედიციამ შეაჩერა სამუშაოები ქუქუნას მღვიმეში და საანგარიშო წელს კვლავ მიუბრუნდა ძეგლს, რათა საბოლოოდ დადგენილიყო ძეგლის სტრატეგრაფია და ხასიათი.

ქუქუნას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების და კვლევის შესახებ გამოქვეყნებულია ან-

1 ექსპედიციის მთლიან დაფინანსებას უზრუნველყოფს შარვარდის უნივერსიტეტი 1996 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2010 წლამდე.

ექსპედიციის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ: თენგიზ მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ნინო ჯაყელი (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ერეკლე ქორიძე (მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ელისო ყვავაძე (პალინოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), მაია მაკარიძე (ასისტენტი, ევროპული ფონდი „ჰორიზონტი“), ოფერ ბარ-იოზეფი (პროფესორი, ფიზიკი მუზეუმი, შარვარდის უნივერსიტეტი, აშშ), ზინოვი მაცკევიჩი (დოქტორანტი, შარვარდის უნივერსიტეტი, აშშ), ანნა ბელფერ კოჰენი (პროფესორი, არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი), რონი ცუკერმანი (სტუდენტი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი) და არიკ ბულერი (სტუდენტი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი).

გარიშები და სტატიები [თუშაბრამიშვილი 1969, 1975; მეშველიანი 1997, 1998, 2002, ჯაყელი 2006, Adler et al 2006, Bar-Oz et al 2004; 2007, Meshveliani et al 1999, 2004].

2007 წელს გაითხარა ზედა ჭრილის  $H_{16, 17}$ ,  $I_{15,16,17,18,19,23}$ ,  $G_{22,23}$ ,  $H_{17}$ ,  $J_{15,16}$  კვადრატები (ტაბ. I). კვადრატები სხვადასხვა ინტენსივობით ითხრებოდა,  $I_{19}$  კვადრატში, სადაც მუსტიური ფენების გამოჩენას ველოდით, -5,50 მ-ზე დედაქანამდე დავედით. ფენა გაითხარა მხოლოდ ორ,  $G_{23}$  და  $H_{23}$  კვადრატში ნულოვანი წერტილიდან 1.85 სმ სიღრმეზე, მასალა ამ ფენიდან მცირეა, კვადრატები ხშირად ცარიელი. ზედა ჭრილში, წინა წლების გათხრებისას დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი, C ფენა. უნდა აღინიშნოს, რომ  $I_{18}$  და  $I_{19}$  კვადრატებში, ზედა ჭრილში, -4,00 მ სიღრმეზე გამოჩნდა ფენა (ტაბ. I, ჭრილი № 2, 4).

ავიღეთ ნიმუშები თარიღებისათვის და პალინოლოგიური ანალიზისათვის, ჩატარდა ტაფონომიური და ზოოარქეოლოგიური კვლევა.

არქეოლოგიური მასალის შემადგენლობა და ხასიათი ფენათა მიხედვით ძირითადად არ შეცვლილა. ქუქუნასში, 1996 წელს, განახლებული გათხრები დაიწყო ე.წ. ქვედა ჭრილში მუშაობით, სადაც გამოიყო ზედაპალეოლითური სამი ფენა B, C და D, რომლებიც ასახავს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების ყველა ეტაპს (Meshveliani et al 1999).

A ფენა (ტაბ. I, ჭრილი 3) ენეოლით-ადრებრინჯაოთი თარიღდება (3,500 b.p.), საანგარიშო წელს ამ ფენის მასალაში ცვლილებები არ შეიმჩნევა, გვხვდება კერამიკის ფრაგმენტები, თუმცა მასალა საგრძნობლად მცირეა წინა წლებში გათხრილი  $A_1$ ,  $A-K_{18-18}$  კვადრატებთან შედარებით.

ზედაპალეოლითური ფენა C მომდინარეობს ზედა და ქვედა ჭრილებიდან (Meshveliani et. all 2004), ზედა ჭრილის გათხრა 2003 წლიდან დაიწყო და უნდა აღინიშნოს, რომ C ფენა ზედა ჭრილში უფრო ინტენსიურია და მასალაც საგ-

რძნობლად უხვი. საანგარიშო წელს მხოლოდ ზედა ჭრილზე (ტაბ. 1, ჭრილი 1, 2, 5) ვმუშაობდით და ძირითადად ითხრებოდა C ფენა (ყავისფერი თიხნარი, შევსებული გახსნილი კირიანი ღორღით, გაზრდილია მსხვილი, მარცვლოვანი, დამუშავებული ნაწილაკების რაოდენობა). ესაა განვითარებული ზედა პალეოლითი. ტიპოლოგიური სურათი აქაც არ შეცვლილა, დომინირებს კარენეს ტიპის ნუკლეუსები და ერთფუძიანი ნუკლეუსები, ამ უკანასკნელის რაოდენობა წელს საგრძნობლად გაიზარდა. ასეთი ნუკლეუსებიდან მიიღებოდა გრძელი ლამელები და მიკროლამელები, იარაღთა შორის აქაც გამოიყოფა ანატკეცებზე და ლამელებზე დამზადებული საფხეკები, საჭრისები და იშვიათად სახვრეტები. ქრონოლოლოგიური დიაპაზონი 23, 200 – 20, 150 b.p. (ტაბ. 2-4).

ზედა ჭრილში, C ფენის გათხრისას, წელს ლითოლოგიურად გამოიყო 5 შრე, კულტურულად ერთიანი ფენა, მაგრამ შეფერილობით განსხვავებული. C ფენის დაწვრილებით ლითოლოგიაზე საუბრის საშუალებას წლევანდელი გათხრები მოგვცემს, ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ ქვედა და ზედა ჭრილები და დავადგინოთ ფენათა გავრცობა მღვიმეში. ამიტომაც მასალის ტიპოლოგიურ-რაოდენობრივი განხილვისას C ფენას ერთიანად განვიხილავთ.

ყველაზე ქვედა, D ფენას (მუქი ყავისფერი თიხნარი, შევსებული ნაგორავები ასიმაციის ნაწილებით. ასევე შეიცავს ალევრიტულ მასალას და ერთეული სახით ძლიერად დაშლილ კირიან ღორღს), წარმოადგენს ადრეულ ზედაპალეოლითს და მისთვის დამახასიათებელია ერთფუძიანი ნუკლეუსები, რომლებიდანაც მიიღებოდა მოკლე ლამელები და მიკროლამელები. დამახასიათებელი ელემენტია ფაქიზად რეტუმირებული მიკროლამელა, რომლის სიგანე 4 მმ-ს არ აღემატება. იარაღთა შორის დომინირებს საჭრისები და ჩვეულებრივი საფხეკები. ამ ფენის ქრონოლოგიური ჩარჩო ასეთია: 30, 350 – 27, 150 b.p. (ტაბ. 1, ჭრილი 2, 4).

წელს საკმაოდ ბევრი ძვლის სხვადასხვა ტიპის იარაღი აღმოჩნდა, ძირითადად C ფენაში, სულ 63 ერთეული. ზოგიერთი გატეხილია ან შერჩენილია მხოლოდ პატარა ნაწილი. აღსანიშნავია ხელშუბისპირი (სურ. 1<sub>3</sub>), რომლის სიგრძე 18,5 სმ-ია, ბოლო ამ იარაღსაც მოტეხილი აქვს. საინტერესოა ნაჭდევიანი ძვლის მახათი, რომლის ზედაპირი ორნამენტირებულია პარალელური ხაზებით (სურ. 2). ერთი ნაჭდევიანი ნივთის ფრაგმენტია (სურ. 3) ნანახი, რომელიც

ასევე C ფენიდან მომდინარეობს. საგანგებოდ უნდა ავლნიშნოთ ნემსი (სურ. 4), ძალიან ნატიფი ნამუშევარია, ყუნწი ძალიან წვრილია, სამწუხაროდ წვერი მოტეხილია, ეს ნივთიც C ფენიდან მომდინარეობს.

ცხოველის კბილზე დამზადებული საკიდი 4 ცალია წელს აღმოჩენილი (სურ. 5), რომელთაგანაც უნდა გამოვყოთ მუქი ფერის (სურ. 5<sub>2</sub>), კარგად გაპრიალებული ცხოველის კბილზე დამზადებული საკიდი, რომელსაც თავზე გარშემოუყვება ღარი, სავარაუდოთ სწორედ ამ ღარზე იყო დამაგრებული რაღაც ორგანული მასალა, რითაც ადამიანი საკიდს იკეთებდა. შესაძლებელია, ასეთივე სამაგრი ჰქონდა საჭრელ კბილზე დამზადებულ საკიდსაც (სურ. 5<sub>3</sub>), სამწუხაროდ ნივთი დაზიანებულია და გადაჭრით ამაზე საუბარი არ შეიძლება. ნანახია ორი ცალი ნიჟარის მძივი (სურ. 5<sub>4</sub>), ძუძუანაში ასეთი მძივები წელს პირველად აღმოჩნდა.

J<sub>16</sub> და I<sub>16</sub> კვადრატებში აღმოჩნდა გაურკვეველი ძვლის ორი ერთნაირი ნივთი (სურ. 6), რომელთა ქვედა სიბრტყე სწორად წაკვეთილია, ზედა სიბრტყე ამობურცული, კარგად დამუშავებული და გაპრიალებული. პირობითად მას ლილები ვუნოდეთ, თუმცა ნახვრეტი არ აქვს. ამ ნივთების ანალოგია ან მისი ფუნქციონალური დანიშნულება ჯერ-ჯერობით ვერ გავარკვეთ.

H<sub>23</sub>-ში აღმოჩნდა ძალიან საინტერესო და ლამაზი ნივთი (სურ. 7), ქვა თევზის გამოსახულებით. ესაა პატინიზირებული ქვიშაქვა, რომელზედაც ბუნებრივი ნახატია. პალეოლოთელ ადამიანს შეუმჩნევია ეს გამოსახულება, ქვა საგანგებოდ დაუმუშავებია და შეუნახია.

ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული ტაფონომიური და ზოოარქეოლოგიური კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია უკანასკნელ პუბლიკაციაში [Bar-Oz, G. et al 2007]. ავლვიშნავთ მხოლოდ იმას, რომ გამოყოფილია 28 სახეობა. ნამყვანი სახეობებია ბიზონი (*Bison prisus*) და კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasus*). ძუძუანას ზედაპალეოლითელი ადამიანები გამოცდილი მონადირეები იყვნენ, რომლებიც ზრდასრულ ცხოველებზე ნადირობას აძლევდნენ უპირატესობას. ტაფონომიურმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ისინი გეგმიურად, ორგანიზებულად ნადირობდნენ და იყვნენ გამოცდილი მონადირეები.

საანგარიშო წელს, პალეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად ძუძუანას გამოქვაბულის ფენებიდან აღებულია 32 ნიმუში. სხვადასხვა კვადრატში გაკეთებულია 5 ჭრილი, რაც შრეების სტრატეგრაფიის კონტროლის საშუალებას იძლევა.



მოპოვებული მასალა ვარგისია, რადგან თითქმის ყველა ნიმუში შეიცავდა მცენარეთა მტვრის მარცვლებს და სხვა ხასიათის პალინომორფებს. განსაზღვრულია 100-ზე მეტი პალინომორფი, აქედან ხემცენარეს მიეკუთვნება 29 ტაქსონი.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა A, რომელიც მდებარეობს გამოქვაბულის შრეების სულ ზედა ნაწილში (0-250 სმ) ხასიათდება მცენარეთა მტვრის და სპორების სიმდიდრით. ჭარბობს ფართოფოთლოვანთა მტვრის მარცვლები, განსაკუთრებით კი მუხის მტვერი. არის სითბომოყვარული ტყის ისეთი ელემენტები, როგორცაა ნაბლი და ძელქვა. პალინოლოგიური კომპლექსისათვის აგრეთვე დამახასიათებელია კულტურული მცენარეთა მიკრონაშთების არსებობა. ესენია ხორბლეული და კულტურული ვაზი. ბევრია ნათესების სარეველა მცენარეთა მტვერი.

არაპალინოლოგიურ ჯგუფში ცოტაა სელის ბოჭკო, მაგრამ ნაკელის სოკოს სპორები და ტკიპების ნაშთები ბევრია. ეს გარემოება იმის მანიშნებელია, რომ ენეოლითში ადამიანი გამოქვაბულს მხოლოდ პერიოდულ სადგომად იყენებს, ხოლო დანარჩენ დროს იქ ცხოველები ბინადრობენ.

მომდევნო C ფენის (-350-290 სმ) პალინოსპექტრები ხასიათდება ხემცენარეთა ჯგუფის მტვრის მარცვლების რაოდენობის მატებით. არის რცხილა, ნიფელი, მუხა, თელა. ფენა C-3 ში ნაპოვნია ლაფნის მტვრის მარცვლები. ბევრია თხილის და მურყნის მტვერიც. ყველა აღნიშნული მცენარე სითბომოყვარულია და დღეს ტყის ქვედა სარტყელებში იზრდება.

განხილულ ფენაში, განსაკუთრებით კი C-3 შრეში ბევრია სელის გრეხილი და ფერადი ბოჭკო და აღემატება მის რაოდენობას D ფენაში.

უხვადაა წარმოდგენილი ხე-მცენარეთა განახშირებული მერქნის ნაშთებიც. ბევრია დატკეპნილი ადგილების სარეველები. აღნიშნული კანონზომიერება გამოვლენილია ხუთივე ჭრილში და იმის დასტურია, რომ ზედაპალეოლითელ ადამიანს გამოქვაბული კარგად ჰქონდა ათვისებული C ფენის ფორმირებისას ანუ, იგი აქ მუდვივად ცხოვრობდა. უამრავი ქსოვილის ბოჭკოს ნაშთების არსებობა ამის დასტურია [Kvavadze et al 2008].

სულ ქვედა D ფენის პალინოლოგიური სპექტრები მკვეთრად განსხვავდება სხვა ფენებისგან. იგი მდებარეობს -4.50-4.00 სმ. სიღრმეზე და ხასიათდება სიცივისმოყვარული მცენარეთა მტვრის მარცვლების სიჭარბით. მაგალითად, აქ არის ნაპოვნი არყას (Betula) მტვერი, რომელიც მაღალმთის სუბალპური მცენარეულობის ელემენტია. არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებიდან ბევრია მერქნის განახშირებული უჯრედები, მათ შორის აღინიშნება ფიჭვის (Pinus) მერქნის პარენქიმული ფოსილიები. ნაპოვნია სელის და მატყლის ბოჭკო. აღინიშნება სელის შეღებილი და დაგრეხილი ბოჭკოც (სურ. 8 და 9). მაშასადამე, მოყვანილი მასალა იმის დასტურია, რომ სულ ქვედა D ფენის ფორმირების დროს განხილულ ტერიტორიის მახლობლად არყის ტყე და სუბალპური მდელოები ცივი ჰავის არსებობაზე მიუთითებს. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ადრე ძუძუანას ქვედა ფენების კვლევისას [Meshveliani et др. 1990, Lordkipanidze 1992].

მომავალი არქეოლოგიური სამუშაოები საბოლოოდ დაადგენს ფენათა გავრცობას მღვიმეში, პალინოლოგიური კვლევა კი მეტ დამაჯერებლობას შემატებს არსებულ შედეგებს.

T. Meshveliani, E. Kvavadze, N. Jakeli

## RESULTS OF THE CHIATURA-SACHKHERE STONE AGE INTERNATIONAL ARCHAEOLOGICAL EXPEDITION OF 2007

### Summary

The archeological research at Dzudzuana Cave continued in 2007. 13 squares were dug in the upper section of the excavation area. The typology, composition and distribution of the archeological material is the same. In the upper section, only layer D (Early Upper Paleolithic) was recorded. Now, layer C (developed Upper Paleolithic) was revealed. In square I19, where we hoped to find Mousterian layers on-5.50cm, we reached the bedrock. In layer C we found 5 lithologically different layers that were the same culturally.

We found 63 items of bone tools, four pendants made of animal teeth, two beads made of shells and an amulet with a natural image of fish.

Palinological researches (32 samples were taken) showed the climatic changes during the Upper Paleolithic and the most important findings were the fibers of flax and wool - twisted and dyed.

## ლიტერატურა

- თუშაბრამიშვილი დ. 1969:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. – სსმაე, I, გვ. 3-11.
- თუშაბრამიშვილი დ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972-1973 წწ. ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები. – სსმაე, IV, გვ. 5-9.
- მეშველიანი თ. 1989:** დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითის „ადრეული ხანის“ ძეგლების რაობისათვის. – სსმმ, XL-B, გვ. 13-31.
- მეშველიანი თ. 1998:** დასავლეთ საქართველოს „ეგრეთნოდებულ“ ადრეზედაპალეოლითური ძეგლები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია, დიესრტაცია.
- მეშველიანი თ., ჯაყელი ნ. 1997:** საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის შესწავლის პერსპექტივები. – სსმმ, XLII-B, გვ. 58-63.
- მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., ბარ-იოზეფი ო., ბელფერ-კოენი ა. 2002:** განახლებული არქეოლოგიური ექსპედიცია ძუძუანაში. – ACADEMIA, ისტორიულ-ფილოსოფიური ჟურნალი, ტ. 3, გვ. 29-32.
- ჯაყელი ნ. 2006:** მიკროლითური ტექნიკის როლი დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითში, ძუძუანას მღვიმის ზედაპალეოლითური ფენების მასალებზე დაყრდნობით. დიესრტაცია.
- Лордкипанидзе Д. О. 1992:** Особенности взаимодействия между природной средой и первобытным человеком в условиях горных территорий. Автореферат канд. диссертации, Москва.
- Мешвелиანი Т. К., Твалчрелидзе М. Г., Лордкипанидзе Д. О. 1990:** Пещера Дзудзуана. – Хроностратиграфия палеолита Северной, Центральной, Восточной Азии и Америки, Новосибирск, с. 231-234.
- Adler D. S., Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Bar-Yosef O. 2006:** Caucasus Ahead of the Game, Middle and Upper Paleolithic Hunting Behaviors in the Southern. – Current Anthropology, Vol. 47.1, pp. 89-118
- Bar-Oz G., Adler D. S., Vekua A., Meshveliani T., Tushabramishvili N., Belfer-Cohen A., Bar-Yosef O. 2004:** Faunal Exploration Patterns along the Southern Slopes of the Caucasus during the Late Middle and Early Upper Paleolithic, A Zooarchaeological approach. M. Mondini, S. Munoz, S. Wickler (eds), Colonisation, Migration and Marginal Areas, Proceedings of the 9<sup>th</sup> Conference of the International Council of Archaeology, Durham, pp. 46-55
- Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Meshveliani T., Jakeli N., Bar-Yosef O. 2007:** Taphonomy and Zooarchaeology of the Upper Paleolithic Cave of Dzudzuana, Republic of Georgia. – International Journal of Osteoarchaeology. Int. J. Osteoarchaeol., 18, pp.131-151.
- Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E, Jakeli N., Matskevich Z. MeShveliani T. 2009:** 30.000 Yar-Old Flax Fibers. – Science, vol. 325.
- Kvavadze E., Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Jakeli N., Matskevich Z. 2008:** Palynomorphs from the Upper Paleolithic Layers of Dzudzuana Cave (Western Georgia): pollen, flax fibers, fungi and algae spores, wood parenchyma cells and animal tissues. Science (in print).
- Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Jakeli N., Kraus A., Lordkipanidze D., Tvalchrelidze M., Vekua A.. 1999:** Excavations at Dzudzuana Cave, Western Georgia (1996-1998): preliminary results. – Préhistoire Européen, 15, pp.76-86.
- Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A. 2004:** Paleolithic in Western Georgia. – The Early Upper Paleolithic beyond Western Europe, University of California press, edited by p.J. Brantingham, S.L. Kuhn and K.W. Kerry. pp.129-143.

## სურათების და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – ძვლის იარაღები: 1. სადგისი; 2. ორმაგი იარაღი; 3. ხელშუბისპირი.

სურ. 2 – ნაჭდევებიანი ძვლის იარაღი.

სურ. 3 – ნაჭდევებიანი ძვლის ფირფიტის ფრაგმენტი.

სურ. 4 – ძვლის ნემსი.

სურ. 5 – სამკაული: 1-3. ცხოველის კბილზე დამზადებული; 4. ნიჟარაზე დამზადებული.

სურ. 6 – ძვლის „ლილები“.

სურ. 7 – ქვა თევზის გამოსახულებით.

სურ. 8 – ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი სელის ბოჭკო.

სურ. 9 – სელის ბოჭკოს შემადგენლობა ძუძუანას ფენების სხვადასხვა ჭრილში.

ტაბ. I – ძუძუანას მღვიმის გეგმა; ჭრილები: 1. კვ. J<sub>16</sub>; 2. კვ. H; 3. კვ. G<sub>23</sub>-H<sub>23</sub>; 4. კვ. G-H<sub>19-19</sub>; 5. გათხრების ჩრდილოეთის ჭრილი

ტაბ. II – C<sub>5</sub> ფენა: 1. საფხეკი; 2-3. გვერდრეტუშირებული ლამელები; 4. დუბლირებული საფხეკი ლამელაზე; 5. საჭრისი; 6. სამნახნაგა ანტეკეცი; 7. საჭრისი მრავალფაცეტიანი; 8-9. რეტუშირებული ლამელები.

ტაბ. III – C<sub>4</sub> ფენა: 1-2. რეტუშირებული მიკროლამელები; 3. საფხეკი; 4. რეტუშირებული ლამელა; 5. სამნახნაგა ანტეკეცი; 6. ნუკლეუსი ერთფუძიანი; 7-8. რეტუშირებული მიკროლამელები; 9-10. საფხეკები.

ტაბ. IV – C<sub>5</sub>, C<sub>2</sub> ფენა: 1-2. ორფუძიანი ნუკლეუსები, 3. რეტუშირებული ლამელა; 4-5. მიკროლამელები, ფაქიზად რეტუშირებული; 6-12. მიკროგრავეტი.

## DESCRIPTION OF THE FIGURES AND THE PLATES

Fig. 1 – bone tools: 1. awl; 2. dual tool; 3. javelins' head.

Fig. 2 – bone tool with notches.

Fig. 3 – fragment of a notched bone plaque.

Fig. 4 – bone nodule.

Fig. 5 – ornament: 1-3. made of animal tooth; 4. made of shell.

Fig. 6 – bone "buttons".

Fig. 7 – stone with an image of fish.

Fig. 8. flax fiber found in Dzudzuana Cave.

Fig. 9 – Content of flax fiber in various sections of Dzudzuaba layers.

Pl. 1 – plan of Dzudzuana Cave; sections: 1. square J<sub>16</sub>; 2. square H; 3. square G<sub>23</sub>-H<sub>23</sub>; 4. square J-H<sub>19-19</sub>; 5. Northern section of the excavations.

Pl. II – layer C<sub>5</sub>: 1. scraper; 2-3. lamellar with retouched sides; 4. doubled scraper of lamella; 5. cutter; 6. three-faceted flake; 7. multi-faceted cutter; 8-9. retouched lamellar.

Pl. III – layer C<sub>4</sub>: 1-2. retouched microlamellars; 3. scraper; 4. retouched lamellar; 5. three-faceted flake; 6. nucleus; 7-8. retouched microlamellars; 9-10. scrapers.

Pl. IV – layers C<sub>5</sub>, C<sub>2</sub>: nucleuses; 3. retouched lamellar; 4-5. fined retouched microlamellars; 6-12. microgravettes.



ცხრილი 1

	სანარმოო ნაშთები	A	C	D	სულ
1	პირველადი ანატკეცი	155	2046	148	2349
2	პირველადი ლამელა	29	344	40	413
3	პირველადი სხვადასხვა	0	1	0	1
4	ანატკეცი	612	7382	590	8584
5	ლამელა	171	1331	191	1693
6	მიკროლამელა	330	3485	320	4135
7	ნ.დ.ა	145	1434	141	1719
8	სასაჭრისე ანატკეცი	12	210	16	238
9	კაჭარი	4	10	3	17
10	ნუკლეუსი	42	379	42	463
11	ანამტვერევი	30	372	40	442
12	წვრილი და ქერცლისებური ანატკეცი	1500	19013	1618	22131
	<b>სულ</b>	<b>3029</b>	<b>36007</b>	<b>3149</b>	<b>42184</b>

ცხრილი 2

№	ნუკლეუსები	A	C	D	სულ
1	კარენე	3	69	2	74
2	ერთფუძიანი	22	161	12	195
3	ორფუძიანი	12	55	6	73
4	მრავალფუძიანი	1	7	0	8
5	ციცაბო	1	16	3	20
6	დისკოიდალური	1	0	0	1
7	ფრაგმენტი	4	51	5	60
8	გაურკვეველი	4	51	5	60
9	კაჭარი	0	4	0	4
	<b>სულ</b>	<b>48</b>	<b>414</b>	<b>33</b>	<b>495</b>

ცხრილი 3

№	იარაღები	A	C	D	სულ
1	საფხეკი	42	322	46	410
2	საჭრისი	11	127	13	151
3	სათლეღი	3	54	13	70
4	სახვრეტი	5	5	2	12
5	მიკროგრავეტი	2	5	2	9
6	გეომეტრიული ფორმის მიკროლითი	9	1	0	10
7	დუბლირებული იარაღი	1	12	3	16
8	რეტუშირებული ლამელა	10	117	12	139
9	რეტუშირებული მიკროლამელა	76	606	61	743
10	სხვადასხვა	23	154	19	196
	<b>სულ</b>	<b>182</b>	<b>1403</b>	<b>171</b>	<b>1756</b>

ცხრილი 4

№	ძვლის იარაღები	A	C	D	სულ
1	სადგისი	1	24	5	30
2	მახათი	0	14	0	14
3	ნემსი	0	2	0	2
4	ხელშუბისპირი	0	1	0	1
5	ნიჩაბისებური	0	2	0	2
6	დუბლირებული	0	3	0	3
7	ამოლარული	0	2	0	2
8	გაურკვეველი	0	9	0	9
	<b>სულ</b>	<b>1</b>	<b>57</b>	<b>5</b>	<b>63</b>



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3



სურ. 4




სურ. 5







სურ. 6



სურ. 7



სურ. 8




სურ. 9






ბუბუანას მღვიმე


- 1966-1975
- ▨ 1996-2005
- ▧ 2002-2005
- ▩ 1966-1969
- გათხრილია მხოლოდ ენეოლითის ფენა
- ▤ 1970 საბიუბო შურფი
- ▥ 2007


0 5 10 m




J 16-ის ნახევარი (J16c)












1




2



3



4



5



6




7




8




9



10



11



12

მინდია ჯალაბაძე, ქეთევან ესაკია, ნანა რუსიშვილი, ელისო ყვავაძე,  
ირაკლი ქორიძე, ნიკოლოზ შაყულაშვილი, მიხეილ წერეთელი

## ბადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

2006 წელს (23 ოქტომბერი — 6 ნოემბერი) მარნეულის რაიონის სოფ. იმირში მივლინებულ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად ნეოლითური ხანის (ძვ.წ. VI-V ათასწლეულები) სამოსახლო ბორცვზე — „გადაჭრილი გორა“.<sup>1</sup>

ნამოსახლარი „გადაჭრილი გორა“ მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფ. იმირის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 1.5 კმ დაცილებით (კოორდინატები: N – 4139061; E – 04482100; ზ.დ. — 360-370 მ). მას შუაზე მდინარე შულავრის დეღე კვეთს, რომელსაც საგაზაფხულო წყალდიდობების გამო ღრმა და ფართო კანიონი აქვს გაჭრილი (7-8 მ სიღრმის და 30-40 მ სიგანის).

„გადაჭრილი გორა“ 1960-იანი წლების დასაწყისში არის აღმოჩენილი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ალ. ჯავახიშვილისა და ოთ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. 1965-71 წწ. სოფ. იმირსა და სოფ. შულავერს შორის არსებულ ვრცელ ვაკეზე (მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირი) ექსპედიციამ დააფიქსირა და შეისწავლა ადრესამინათმოქმედო კულტურის რამდენიმე ძეგლი: შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა და გადაჭრილი გორა. შულავერის გორასა და იმირის გორაზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, დანგრეული გორაზე შესწავლილ იქნა ერთადერთი გადარჩენილი სამეურნეო ორმო, ხოლო გადაჭრილ გორაზე მხოლოდ მცირე ზომის საკონტროლო თხრილი იქნა გავლებული და ზედაპირული მასალა აიკრიფა [ტაბ. I].

ჩატარებული კვლევის შემდეგ მოხერხდა ახალი ადრესამინათმოქმედო კულტურის გამოყოფა

1 ექსპედიციის შემადგენლობა. 2006 წელი: მ.ჯალაბაძე, (ხელმძღვანელი), მ. წერეთელი, თ. მეშველიანი, ი. ქორიძე, ნ. ჯაყელი, გ. კილაძე, ს. ფანჩულიძე, თ. გოცირიძე, თ. გაბუნია (მონვეული არქიტექტორი), ს. ილიაძე (მძღოლი)

2007 წელი: მ. ჯალაბაძე, მ. წერეთელი, ი. ქორიძე, გ. კილაძე, ს. ფანჩულიძე, თ. გოცირიძე, ნ. ნიქორიძე, გ. ჩოჩიშვილი, ჯ. ჩხვიმიანი, ნ. მელაძე, ს. ილიაძე(მძღოლი).

ფა, რომელსაც მკვლევართა მიერ შულავერი-შომუთეფეს კულტურა ეწოდა (ალ. ჯავახიშვილი, ოთ. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, თ. კილურაძე, დ. გოგელია). აქედან იწყება ამ კულტურის ძირეული კვლევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. შემდგომ წლებში გარკვეული მიზეზების გამო სავლეს სამუშაოები შეწყდა და აღარ განახლებულა.<sup>2</sup>

როგორც ზემოთ ითქვა, გადაჭრილი გორა ნახევრად დანგრეული, მდინარის მიერ შუაზე გადაჭრილი ნამოსახლარია. მდინარის მარჯვენა მხარეს დარჩენილია მისი დაახლოებით 1/3 ნაწილი. როგორც ჩანს, ხელოვნური ბორცვის თავდაპირველი დიამეტრი 60 მეტრამდე აღწევდა, სიმაღლე — დაახლოებით 5 მეტრს. ამჟამად შერჩენილია მდინარის მიერ გავლებული ბუნებრივი სტრატეგრაფიული ქრილი 40 მეტრამდე სიგრძისა და 3-3,9 მეტრი სისქის კულტურული ფენით, რომელიც მეტ-ნაკლებად O-W ხაზზეა დამხრობილი. ნამოსახლარის მცირე ნაშთი არის გადარჩენილი მდინარის მარცხენა მხარესაც. მდინარის ზემოქმედების გამო (წყალი ძირითადად მარჯვენა ნაპირს უტევს) ძეგლი თანდათან ზიანდება და არ არის გამორიცხული, გარკვეული დროის შემდეგ მისი დიდი ნაწილი საერთოდ გაქრეს. ამის გათვალისწინებით, 2006 წელს ეროვნული მუზეუმის ღირეექციის გადანყვეტილებით და მხარდაჭერით ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოების პირველი ეტაპი.

მომზადდა ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა. ნამოსახლარის ზედაპირი დაკვადრატდა 10×10 მეტრიან ზონებად, რომლებიც დაიყო 2×2 მეტრიან კვადრატებად; მდინარეული ქრილი ჩამოსწორდა და გასუფთავდა ბალახის საფარისგან. ამის შემდეგ ბორცვის ზედაპირზე, მის NO კუთხეში გავლებული იქნა 8×3 მ<sup>2</sup> ფართობის საკონტროლო

2 ჩატარებული კვლევის შედეგები იხ. ალ. ჯავახიშვილის, ოთ. ჯაფარიძის, ტ. ჩუბინიშვილის, თ. კილურაძის, დ. გოგელიას სხვადასხვა მონოგრაფიებსა და სტატიებში, აგრეთვე სავლეს სამუშაოების წლიურ ანგარიშებში და ა.შ.



თხრილი, რომელმაც ბუნებრივ ვერტიკალურ ჭრილთან ერთად შესაძლებლობა მოგვცა გავრკვეულიყავით ძეგლის ზედა დონის სტრატიგრაფიაში [ტაბ. 1<sub>2,6</sub>].

საკონტროლო თხრილი მოექცა CB-2,3,4,7,8,9; DB-0,1,2,5,6,7 კვადრატებში. უშუალოდ ბალახის საფარის ქვეშ იწყება ღია მოყვითალო—მორუხო ფერის ფხვიერი თიხნარი შრე, რომელიც დაახლოებით 0,50-0,60 მ სისქის ერთიან, ნაცრის მინარევთან მასას — იგივე ალიზის შენობათა ნანგრევს წარმოადგენს. ალიზის აგურების ცალკეული ფრაგმენტების გარდა I ფენის ზედა ნაწილში ნაგებობების არანაირი კვალი არ დაფიქსირებულა. აბსოლუტური დონიდან დაახლოებით 0,35-0,40 მ სიღრმეზე თხრილში გამოჩენა დაიწყო ალიზის წრიული შენობების კედლის ნაშთებმა (კვ. CB-4,9; DB-0,1,2,5,6,7), რომელთა მაქსიმალური სიმაღლე 0,15-0,5 მ-ს შორის ექცევა. აღნიშნული შენობები გამართული ჩანს მოთეთრო-მოყვითალო ფერის მოსწორებულ და მოტკეპნილ თიხის შრეზე, რომელიც ზედა ფენას (I) კარგად გამოყოფს ქვედა სამშენებლო ჰორიზონტებისაგან.

თხრილში გამოვლენილია მეტ-ნაკლებად გადაჩენილი რამდენიმე შენობის ნაშთი, რომელთა დიამეტრი 1,5-2,5 მეტრს შორის მერყეობს. ისინი ნაშენია ალიზის აგურის წყობით და შიდა და გარე მხრიდან შელესილია მოყვითალო ფერის თიხის მტკიცე ხსნარით. (კედლების სისქე დაახლოებით თანაბარია და მერყეობს 0,2-0,25 მ შორის). რამდენიმე შენობა ნაწილობრივ მიწაში იყო ჩაჭრილი. ერთ-ერთი ნაგებობის (N1) გარე კედლის ძირში ალიზის აგურების ერთი დამატებითი რიგის ნაშთი დაფიქსირდა (შენობის კედლების სიმტკიცისთვის). შენობები ერთიმეორეს ჭრის და მცირე განათხარ ფართობზეც კარგად ჩანს შულავერის კულტურის ძეგლებისათვის დამახასიათებელი დასახლების ტიპი: შენობების განახლება, ძველის მოსწორება, მის ადგილზე ახალი ალიზის ნაგებობის დადგმა და ა.შ. [ტაბ. 1<sub>5</sub>].

2007 წლის გაზაფხულზე (20 აპრილი - 5 მაისი) ექსპედიციამ განაახლა საველე სამუშაოები. დაიგეგმა ნამოსახლარის NO ნაწილში გავლებული საკონტროლო თხრილის ჩრდილოეთისკენ გაფართოება მდინარეულ ჭრილამდე და მთელი განათხარი ფართობის ერთ გარკვეულ დონემდე დაყვანა.

გასათხრელი ფართობი მოექცა CB-2-4;7-9;12-14;17-19 და DB-0,1;5-7,10 კვადრატებში. 2006 წელს გამოჩენილი შენობების ნაშთების ხელა-

ხალი პრეპარაციის პარალელურად, ახალ ფართობზე მოიხსნა ჰუმუსი, რომლის ქვეშ 50-60 სმ სისქის მთლიანად არეული ფენა დაფიქსირდა. მოყვითალო ფერის თიხნარში შერეულია თხელი ნაცროვანი შრეები, ალიზის აგურის ფრაგმენტები და მცირე რაოდენობით არქეოლოგიური მასალა: ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები და მათზე დამზადებული იარაღი, საქონლის ძვლები, სხვადასხვა ჯიშის ქვები გამოყენების კვალით და ა.შ.

CB-2-4,7,8,12,13 კვადრატებში მიწის ზედაპირიდან (+0,65 მ) -1,1 მ დონემდე ზემოთ აღწერილის მსგავსად, ერთიანი არეული თიხნარი მასა იქნა შესწავლილი, რომელშიც მონაცვლეობით გვხვდებოდა ნაცროვანი შრეები, დამტვრეული ალიზის აგურების უნესრიგო გროვები და მცირე რაოდენობით არტეფაქტები. თავიდანვე გაჩნდა ეჭვი ამ ფართობზე გარკვეული ღია მოედნის (შიდა ეზო) არსებობის შესახებ, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ.

2006 წელს ნამოსახლარის მდინარეული ჭრილის გასუფთავების შემდეგ, ძეგლის სტრატეგრაფიის შესახებ დაახლოებითი წარმოდგენა შეგვექმნა. მაშინ გავლებულ საკონტროლო თხრილში, დაახლოებით -1,2 მ დონეზე, გათხრილი ფართობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში დავედით კარგად მოსწორებულ და ნიველირებულ თიხის შრეზე (სისქე — 0,15-0,2 მ). ეს მოთეთრო ფერის შრე მდინარეული ჭრილის მიხედვით, თითქმის მთელ ნამოსახლარზე ვრცელდება და კარგად გამოიყოფა ქვედა, საკმაოდ მძლავრი ფენისგან, რომელიც უშუალოდ გრუნტზე ანალოგიურად მოსწორებულ თიხის შრეზე დევს (დონე — -3 მ-მდე). ამდენად, ჯერჯერობით დაფიქსირებულია ნამოსახლარის ორი ძირითადი სამშენებლო ფენა. ცალკე საკითხია მათ გარდა დამატებითი სამშენებლო დონეების გამოყოფა და დასახლების ტიპის, მისი ინტენსიურობის შეძლებისდაგვარად აღდგენა.

2007 წელს მთელ განათხარ ფართობზე დავედით -1,25 მ დონეზე, რის შემდეგ გამოიკვეთა ერთიანი სპეციალურად მოსწორებული მოედანი, რომელზეც დაფიქსირდა I ფენის უადრესი ალიზის ნაგებობების ნაშთები. ორ შემთხვევაში შენობებს ეტყობათ გადაკეთების და განახლების კვალი. №1 ნაგებობა სამჯერ ჩანს განახლებული. გადაჭრილი გორის ზედა (I) ფენის არქიტექტურის შესახებ მეტ-ნაკლებ წარმოდგენას ჯერჯერობით ეს კომპლექსი იძლევა. დანარჩენი შენობებისგან მხოლოდ მათი წრიული, ალიზის აგურით ნაგები კედლის ცალკეული ფრაგ-

მენტია გადარჩენილი. აქაური ალიზის აგური ქვემო ქართლის თანადროულ ნამოსახლარებზე გამოყენებული აგურების მსგავსია. (ე.ნ. პლანო-კონვექსური, ანუ ბრტყელი და ამოზურგული ან ბრტყელი, მართკუთხედის ფორმის აგური). მათი ზომა მერყეობს 38-40×15-20×8-10 სმ შორის. ხშირად მშენებლობის დროს მონაცვლეობით არის ნახმარი მუქი და ღია ფერის აგურები (ალბათ უფრო დეკორატიული დანიშნულებით). ყველა შენობის ინტერიერი და ექსტერიერი შელესილი იყო თიხის მტკიცე ხსნარით. დაფიქსირდა დამტვრეული ალიზის აგურის გამოყენების ან კედლის გარკვეული ნაწილის მხოლოდ სუფთა თიხისგან ამოყვანის შემთხვევაც.

ალიზის შენობების ყველა ნაშთი წრიულია. შემორჩენილი გარშემონერილობის, ან აღდგენილი დიამეტრის მიხედვით, მათ შორის შეინიშნება გარკვეული სხვაობა. N 1 შენობის უდიდესი დიამეტრი 2.6 მეტრია; N 2 – 2.35 მ; 3 – 2.05 მ; N 4 – დაახ. 2.4 მ; N 5 – დაახ. 2.35 მ; N 6 – დაახ. 2.3 მ; N 7 – დაახ. 2.2 მ; N 8 – დაახ. 2 მ; N 9 – ორჯერ ჩანს განახლებული: დაახ. 2.65 მ და 1.9 მ; N 10 სათავსოდ პირობითად დაინომრა შარშან DB-6 კვადრატში განმენდილი მცირე ზომის ნაგებობის კედლის ნაშთი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 1.4 მეტრს აღწევდა [ტაბ. I<sub>2,3</sub>].

2007 წელს ჩატარებული სამუშაოდან აღსანიშნავია CB-2-4,7-9,12-14 კვადრატებში -1,1--1,25 მ დონეთა შორის გამოვლენილი მოედანი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, შიდა ეზოს წარმოადგენდა. ღია სივრცე შემოზღუდული ჩანს წრიული შენობებით, ხოლო მის სავარაუდოდ ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა დამტვრეული ქვის და ძვლის თხელი ყრილი, რომელიც მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან – ქვის და ძვლის იარაღების წარმოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული (იხ. გენგეგმა). ყრილი შედგება თითქოს საგანგებოდ დამტვრეული რიყის, ბაზალტის, ანდეზიტის მცირე და საშუალო ზომის ქვებისგან და ანატაკეცებისგან, რამდენიმე რიყის ქვას ეტყობა გამოყენების კვალი, შედარებით ცოტაა ობსიდიანი. დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი საქონლის (ძროხა, ცხვარი, ღორი) ასევე დამტვრეული ძვლები, რომელთაგან უმეტესი ლულოვანია და შუაზე გაპობილი. აქვე აღმოჩნდა ლულოვან ძვალზე დამზადებული რამდენიმე სახვრეტი. საერთო გეგმაზე კარგად ჩანს მოედნის (შიდა ეზოს) გარშემო ნახევარწრიულად განლაგებული ალიზის წრიული ნაგებობების ნაშთები. არ არის გამორიცხული, რომ შიდა, ე.წ. სამეურნეო ეზო და მის გარშემო არ-

სებული სათავსოები ერთ დიდ ოჯახს ეკუთვნოდეს, თუმცა ამის შესახებ მსჯელობა გათხრების გაფართოების და სპეციალური კვლევის გარეშე შეუძლებელია [ტაბ. I<sub>4</sub>; II].

2007 წლის გაზაფხულზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა ნამოსახლარის ზედა ფენის სტრატეგრაფია: უშუალოდ ჰუმუსის (სისქე – 0,15-0,2 მ) ქვეშ იწყება მთლიანად არეული კულტურული ფენა, რომელიც თავზე ადევს დაახლოებით -0,35--0,4 მ დონეზე გადარჩენილ ალიზის შენობების ნაშთებს. წინასწარული ვარაუდით, აქ საქმე უნდა გვექონდეს ჩვენს მიერ გამოვლენილი შენობების ზედა ნაწილების ნანგრევებთან. არ არის გამორიცხული, მომავალში ნამოსახლარის უკიდურეს ზედა დონეზე დაფიქსირდეს დროებითი, მსუბუქი კონსტრუქციების რაიმე კვალი.

საანალიზოდ იქნა აღებული პალინოლოგიური (ე. ყვავაძე) და პალეობოტანიკური (ნ. რუსიშვილი) კვლევისთვის საჭირო ნიმუშები. ფუნქციონალური (ტრასოლოგიური) მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა ძეგლზე მოპოვებული ნატკეცი ქვის (ობსიდიანის) იარაღების ფუნქცია და გამოყენების სფერო (ქ. ესაკია), ქიმიური მეთოდით დამუშავდა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი (ნ. შაყულაშვილი).

რადიოკარბონული მეთოდით მიღებულია ორი თარიღი: 1. ნახშირი: OS-63262 – 6910 ±110 BP. cal BC 5815 ±103 (CalPal) 7662-7868 cal BP; 2. კარბონიზებული ხორბალი და ქერი: OS – 63260 – 6890 ±40 BP cal BC 5783 ± 42 (CalPal) 7690 -7775 cal BP.

არტეფაქტები:

**ქვის ნივთები.** მორფოლოგიური ნიშნით 5 ძირითადი ჯგუფი გამოიყო: 1. ნუკლეუსები და მათი ნაწილები; 2. ლამელები და მათზე ნაკეთები იარაღები; 3. ანატაკეც-ანამტვრევებზე ნაკეთები იარაღი; 4. გამოუყენებელი ანატაკეც-ანამტვრევები; 5. საჩეხ-საბეგვი იარაღი.

ნუკლეუსები და მათი ნაწილების (20 ც) დასამზადებლად გამოყენებულია ობსიდიანი, ანდეზიტ-ბაზალტი და გაკაჟებული კირქვა. ობსიდიანის ნუკლეუსები, როგორც წესი, უტილიზებულია – ორი მათგანი ხონადაა გადაკეთებული, დანარჩენი ნუკლეუსები პირამიდალური ფორმისაა და მრავალნეგატივიანი.

საჩეხ-საბეგვი იარაღი (15 ც). ნაკეთებია ანდეზიტსა და ბაზალტზე. 14 ცალი ნაწილობრივია გათლილი და სამუშაო პირი უხეშად აქვს გამოყვანილი. ერთი შავ ბაზალტზე ნაკეთები იარაღი სრულად არის გათლილი და სამუშაო პირიც სი-

მეტრიული და კარგად გამოყვანილი აქვს.

კომბინირებული იარაღი (30 ც). ნედლეულად გამოყენებულია მხოლოდ ობსიდიანი. ნაკეთებია სრულ და არასრულ ლამელებზე, ლამელისებურ ანატკეცებზე და ანატკეც-ანამტვრევებზე. ნაწილი ხონისა და საფხეკის ნაჯვარია, ნაწილი ხონის და სახოკის, ერთი ხონის და ბურღის, ორი საფხეკისა და საჭრისის, ექვსი ხონისა და საჭრისის. როგორც წესი, კომბინირებული იარაღისთვის გამოყენებული ლამელები და ანატკეც-ანამტვრევები სრულად რეტუშირებულია [III<sub>6</sub>; V<sub>1-6,9</sub>].

ბურღისებური იარაღი (6 ც). ოთხი მათგანი ნაკეთებია ობსიდიანის ლამელაზე, აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე მცოცავი რეტუში. ერთი ადრეული იერის მქონეა, ანდეზიტისაა, ნააგავს მუსტიეურ წვეტანას [V<sub>7,8</sub>].

სახოკი (8 ც). ნედლეულად გამოყენებულია ობსიდიანი (6 ც), ბაზალტი (1 ც), ანდეზიტი (1 ც). ყველა მათგანს აქვს მაღალი სამუშაო პირი, გვერდებს ეტყობა გამოყენების კვალი [V<sub>21-23</sub>].

საფხეკი (16 ც). ობსიდიანის და გაკაჟებული კირქვის. ნაკეთებია სრულ და არასრულ ლამელებსა და ლამელისებურ ანატკეცებზე [V<sub>13,14</sub>].

საჭრისი (32 ც). ნაკეთებია ობსიდიანის და კაჟის (1 ც) სრულ და არასრულ ლამელებსა და ლამელისებურ ანატკეცებზე – შუალა, კუთხის და ხინჯიანი. ნაწილი ზურგის მხრიდან არის რეტუშირებული, ნაწილს მოპირდაპირე გვერდი ან რეტუშირებული აქვს, ან ეტყობა გამოყენების კვალი [IV<sub>3,6-10</sub>].

ხონი (62 ც). ნედლეულად გამოყენებულია მხოლოდ ობსიდიანი. ზოგიერთ მათგანს აქვს ორმაგი სამუშაო პირი [IV<sub>4</sub>].

გვერდდაკბილული და გვერდამოღარული იარაღი – ობსიდიანი, ანდეზიტი, ბაზალტი [V<sub>11</sub>].

ხინჯიანი იარაღი (7 ც). ნედლეულად გამოყენებულია ობსიდიანი [IV<sub>1,2,5</sub>; V<sub>10</sub>].

ძალზე საინტერესოა ანდეზიტის, კაჟის და გაკაჟებული კირქვისგან დამზადებული ადრეული იერის მქონე იარაღი (8 ც), რომელიც ნააგავს მუსტიეურ წვეტანებს [V<sub>17-20</sub>].

სრული და არასრული ლამელების რაოდენობა შვიდ ათეულს აღემატება. როგორც წესი, ის ან ცალ ან ორივე გვერდრეტუშირებულია, ანდა ეტყობა გამოყენების ძლიერი კვალი.

მიკროლამელა (4 ც). სამი ობსიდიანისაა, ერთი – კაჟის. ოთხივე მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი. ორი მათგანი გვერდებრეტუშირებულია.

ხელსაფეკვაკები და მათი ფრაგმენტები (16 ც). ორი მათგანი ანდეზიტო-ბაზალტისაა, ნავი-

სებური ფორმისაა და გამოყენების ძლიერი კვალი ეტყობა, დანარჩენი ბაზალტისაა და იმდენად ფრაგმენტულია, რომ მის ფორმებზე მსჯელობა ძნელდება [III<sub>6</sub>].

გახეხილ-გაპრიალებული ცული (1 ც). დამზადებულია შავი ფერის ბაზალტისგან. სრულყოფილად არის დამუშავებული. მისი სამუშაო პირი ოვალურია და კარგადაა გამოყვანილი [III<sub>7</sub>; IV<sub>20</sub>].

სამ ათეულამდეა აღმოჩენილი შურდულის ქვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შავი ბაზალტისგან დამზადებული კვერთხისთავი. ის ბიკონუსური ფორმისაა და აქვს იდეალურად მრგვალი გამჭოლი სატარე ნახვრეტი [III<sub>5</sub>; IV<sub>11</sub>].

**ძვლის და რქის იარაღი.** აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ლულოვან ძვალზე ნაკეთები სახვრეტები (17 ც) [III<sub>5</sub>; IV<sub>13-19</sub>]; ცილინდრული ფორმის ძვლის იარაღის ფრაგმენტი (1 ც) [IV<sub>12</sub>]; ირმის რქის საპრიალებლის ფრაგმენტი (1 ც); გაპობილი ირმის რქის მინის საჩიჩქნი სატარე ნახვრეტით (1 ც) [IV<sub>21</sub>; III<sub>1</sub>].

**კერამიკა.** თიხის ჭურჭელი ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი, თუმცა მაინც შეიძლება ჭურჭლის ზოგიერთი ფორმის დადგენა. ეს არის პატარა და საშუალო ზომის ქილები (სწორგვერდიანი და კასრისებური ფორმის). აღმოჩენილია მასიური, მკვეთრად გამოხატული ქუსლიანი ჭურჭლის სამი ძირი. ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. არათანაბარი სისქისაა. თიხა შეიცავს არაორგანულ (დანაყილი ბაზალტი, ხვინჭა, შამოტი, ობსიდიანი, ქარსი) მინარევებს. გვაქვს ნამჯანარევი თიხის რამდენიმე ფრაგმენტი. გვხვდება როგორც უხეში, ისე გლუვზედაპირიანი ფრაგმენტები. შემკულობა წარმოდგენილია პირსქვემთ შემოყოლებული მსხვილი კოპისებური დანაძერწების ერთი ან რამდენიმე რიგით. ერთი ჭურჭლის პირი დაკეჭნილია, ზედაპირი შემკულია ჭდეული ზოლებით [III<sub>2,4</sub>].

**ოსტეოლოგიური მასალა** ეკუთვნის ძროხას, ცხვარს, ღორს, ძალს ირემს, დომბას (განსაზღვრა გ. კილაძემ).

**ტრასოლოგიური მეთოდით კვლევის შედეგები.** იმირისა და შულავერის სოფლებს შორის არსებულ ვაკეზე შესწავლილ ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებს შორის (შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა და გადაჭრილი გორა), ტრასოლოგიურად შესწავლილი იყო მხოლოდ შულავერის გორის პატარა კოლექცია [Коробкова, Кигурадзе 1972]. ადრე, ამ კოლექციის ფუნქციონალური ანალიზის შედეგები გამოვიყენეთ ჩვენს მიერ შედგენილი კლა-



სიფიკაციის ერთიან ცხრილში [Эсакия: 2003]. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ზემოაღნიშნულ ძეგლთა კომპლექსიდან კიდევ ერთი, გადაჭრილი გორას კოლექციის ტრასოლოგიური მეთოდით შესწავლა.

სულ შესწავლილია ინვენტარის 97 ერთეული. ნედლეულად გამოყენებულია შერეული მასალა: ობსიდიანი, კაჟი, პიროქსენ-ამფიბოლიტი (კვარციანი და გაკვარცებული მინერალი).

ნამზადის ტიპებში ჭარბობს საშუალო ზომის სწორი ლამელები (60 ერთეული). შემდეგ ანატკეცები (23 ერთ.), ანატხები (8) და ლამელისებური ანატკეცები (6 ერთ.).

მასალის ტრასოლოგიურმა კვლევამ, ნამზადის ტიპებში, დააფიქსირა იარაღების რეალური ფუნქცია, რაც მეურნეობის დარგების დასაკონკრეტებლად საკმაოდ ინფორმატიულია.

მთავარ ფუნქციონალურ ჯგუფს წარმოადგენენ სახოკები (19 ერთ.) და დანები (11 ერთ.) მეორეხარისხოვან ჯგუფში გაერთიანდა: სახვრეტები და საჭრისები (7-7 ერთ.), რეტუშორები (5), საფხეკები (4). უმნიშვნელო ჯგუფში – სათლელელები (3), საფართები (3), ქლიბები (2) და სატხები (1).

ცალკე ჯგუფად უნდა აღვნიშნოთ კომბინირებული იარაღები (9 ერთეული), რომლებიც გაცვეთილ, ხმარებიდან გამოსულ დანებსა და ქლიბზე არის დამზადებული.

კოლექციაში დომინირებს საშინაო წარმოების იარაღები: ხის, ძვლისა და რქის დამუშავება. მეურნეობაში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მესაქონლეობა, რაზედაც მიუთითებს ხორცის საჭრელი დანების შედარებით ნაკლები რაოდენობა.

შინაწარმოებაში აღსანიშნავია სამკაულის დასამზადებელი იარაღები: პატარა ხერხები, სახვრეტები და საფართები.

კოლექციის სიმცირის მიუხედავად მოკლე ანალიზის სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნამოსახლარის ეკონომიკა ძირითადად წარმოადგენილია ჯერ შიდა მეურნეობით, ხოლო შემდეგ მესაქონლეობით. ამ დარგის გამომსახველი იარაღების ნაკლებობას ვერ დავაბრალებთ გათხრების დაწყებით ეტაპს. ჩვენს მიერ გამოყენებული სტატისტიკის მიხედვით მოპოვებული მასალის ჯგუფებში გადანაწილების ალბათობა არ შეიცვლება უფრო სრული კოლექციის განხილვის შემთხვევაშიც. ანუ არ შეიცვლება ძეგლის მაკროეკონომიკური მახასიათებლები.

გადაჭრილი გორას ქვის ინდუსტრიის ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ტაბ. VIII) შედგე-

ნილია მონაცემთა რაოდენობის ნორმირებით. ნორმირების ერთეულად აღებულია იარაღების რაოდენობა მთავარ ჯგუფში. ნორმირებული მონაცემების ჯამი შეადგენს 3.36. საინტერესოა, რომ ეს რიცხვი საგრძნობლად ჩამორჩება შულავერის გორის მონაცემებს (ტაბ. IX), რაც მიუთითებს ამ უკანასკნელის ეკონომიკის უფრო მაღალ დონეს. ამასთან ერთად გადაჭრილი გორის ეკონომიკაში შიდა მეურნეობის დომინირება შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რომ მთლიანად ნამოსახლარი წარმოადგენდა უფრო დიდი და სრული ეკონომიკის ნაწილს, მაგრამ ამაზე საუბარი შეიძლება აღნიშნული ძეგლთა კომპლექსის მხოლოდ ძირეული შესწავლის შემდეგ.

**პალეოეთნობოტანიკური კვლევის შედეგები.** პალეობოტანიკური თვალსაზრისით შევისწავლეთ ნასახლარის სხვადასხვა ფენებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშები და ალიზის აგურები. შესწავლილია დაახლოებით 40 ნიმუში. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მცენარეთა ნამარხი თესლი და ნაყოფი. ალიზის აგურების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მისი დამზადების ტექნოლოგია ითვალისწინებს მასში მცენარეული ნარჩენების (ნამჯის) შერევას, სადაც მრავლად გვხვდება მარცვლოვნების და სხვა მცენარეთა კარბონიზებული თესლები და ნაყოფები.

იდენტიფიცირებულია ხორბალი, ქერი, პარკოსნები, სარველა და ველური მცენარეები. მოვახდინეთ პალეობოტანიკური მასალის ზომების და ინდექსების გამოანგარიშება და რაოდენობრივი შეფასება, რაც გულისხმობს დომინანტი და მეორეხარისხოვანი კულტურების გამოვლენას.

სხვადასხვა ფენების შესწავლის შედეგად პალეობოტანიკურ მასალაში დაფიქსირდა მცენარეთა მსგავსი სახეობრივი შემადგენლობა.

ხორბლებიდან იდენტიფიცირებულია კულტურული ორმარცვალა – *Triticum dicoccum* Schubl. (2n=28), ხორბალი სპელტა – *Triticum spelta* L (2n=42) და რბილი ხორბალი – *Triticum aestivum* (2n=42). გამოვლენილია ხორბლის როგორც თესლები, ასევე თავთავის სხვადასხვა ნაწილები. იდენტიფიცირებულ ხორბლებში, რაოდენობრივი შეფასების შედეგად, კულტურული ორმარცვალა ჭარბობს სპელტას და რბილ ხორბალს. განსაკუთრებით მცირე რაოდენობით არის დაფიქსირებული რბილი ხორბალი. ამრიგად, ხორბლებიდან კულტურული ორმარცვალა, წარმოადგენს ძირითად მარცვლოვან კულტურას, რომელიც ითესებოდა ნასახლარის ტერიტორიაზე. ხორბალი სპელტა და რბილი ხორბალი მხოლოდ უმნიშვნელო მინარევს წარმოადგენდა.

ქერი წარმოდგენილია შიშველმარცვლიანი – *Hordeum nudum* და კილიანმარცვლიანი – *Hordeum vulgare* ფორმებით.

პარკოსანი მცენარეებიდან იდენტიფიცირებულია ოსპი – *Lens esculenta Moench.*, უგრეხელი – *Vicia ervila Willd.*, ბარდა – *Pisum sativum LL.*

იდენტიფიცირებულია სარეველა და ველური მცენარეები: 1. დიდგულა (*Sambucus nigra L*); 2. ნაცარქათამა (*Chenopodium album L*) 3. ქვათესლა (*Lithospermum arvense L*) 4. მათიტელა (*Polygonum sp.*) 5. კოკომჟავა (*Rumex acetozela L*) 6. მჟაუნა (*Rumex acetosa L.*); 7. ბირკიანი იონჯა (*Medicago minima (L.) Gruffberg*); 8. დაჯირა (*Salvia verticillata L.*); 9. კიტრისუნა (*Borrago officinalis L*). 10. ლენცოფა (*Hyoscyamus niger L.*).

ჩამოთვლილი მცენარეებიდან მხოლოდ დიდგულა იზრდება ტყეებში და გზის ნაპირებზე, დანარჩენი მცენარეები ძირითადად მარცვლოვანი კულტურების სარეველებია.

შულავერ-შომუთეფეს კულტურის სხვა ძეგლების (არუხლო, ხრამის დიდი გორა) პალეოეთნობოტანიკური მასალის შესწავლამ გამოავლინა მწარმოებლური მეურნეობის მაღალი დონე. ხორბლის გვარის წარმომადგენლები ბოტანიკურად უკვე დიფერენცირებულნი არიან და შიშველმარცვლიანი ფორმები რაოდენობრივად დომინირებენ კილიანმარცვლიანებზე.

რაც შეეხება დანგრეულ გორაზე აღმოჩენილ ხორბლებს, მისმა შესწავლამ მხოლოდ კილიანმარცვლიანი ფორმების (*Triicum diccicum*) უპირატესობა დააფიქსირა, რადგან შიშველმარცვლიანი, ჰექსაპლოიდური ხორბლები (*Triticum aesivum*) მხოლოდ ერთეულებია. შესაძლოა გადაჭრილი გორა უფრო ადრეულ ეტაპს განეკუთვნება, ვიდრე არუხლო და ხრამის დიდი გორა.

**პალინოლოგიური კვლევის შედეგები.** გათხრების დროს სხვადასხვა ფენებიდან პირველ ეტაპზე აღებულია 16, მეორეზე კი 10 ნიმუში. პალინოლოგიური მასალა საკმაოდ მდიდარია. თითო ნიმუშში საშუალოდ ითვლებოდა 150-დან 450-მდე მტვრის მარცვალი. განსაზღვრულია 100-ზე მეტი პალინომორფი. მტვრის მარცვლების მიხედვით იდენტიფიცირებულია 85 მცენარე. ბევრია არა პალინოლოგიური ხასიათის პალინომორფი, განსაკუთრებით სელის ბოჭკო. აღინიშნება აგრეთვე მატყლის ნაშთები, ხის მერქნის უჯრედები, სოკოს სპორები, მიკროზოოლოგიური მასალა და სხვა ორგანიზმების ფოსილიები.

შესწავლილია აგრეთვე თანამედროვე ნიადაგის პალინოლოგიური სპექტრები, რომლებიც

მკვეთრად განსხვავდება ნამოსახლარის ფენების პალინოსპექტრებისგან. აქ ბევრია კარგად განვითარებული მეცხოველეობის მაჩვენებლები, არ არის ჭალის ტყის ელემენტები, ცოტაა მინათმოქმედების ინდიკატორები. კარგადაა წარმოდგენილი სტეპური ლანდშაფტის მაჩვენებლები. ჩამოთვლილი ყველა ნიშანი რეალურ სურათს ასახავს.

გადაჭრილი გორის ქვედა, შუა (პირობითად) და ზედა ფენებში დომინირებს მინათმოქმედების ყველა ელემენტი. ქვედა შრეებში ბევრია რამდენიმე სახეობის ხორბლის მტვერი, არის ქერის მტვრის მარცვლები. უამრავია ხორბლის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველა მცენარეთა მტვერი. ესენია მათიტელა (ოლყგონუმ), ჩვეულებრივი მათიტელა (*Polygonum aviculare*), ნალიკა (*Polygonum persicaria*), ღიღილო (*Centaurea*), ნარშავი (*Carduus*), ხვართქლა (*Convolvulus arvensis*) და სხვა. ნაპოვნია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლებიც. ჩამოთვლილ მცენარეთა ჯგუფს მინათმოქმედების ინდიკატორებს უწოდებენ, რომელთა რაოდენობა ქვედა ფენაში 52 %-ს შეადგენს. ქვედა შრის პალინოსპექტრებში აღინიშნება აგრეთვე ლაფნის (*Pterocarya*), ცაცხვის (*Tilia*), არყის (*Betula*), ღვიის (*Juniperus*), ნაძვის (*Piceae*) და სოჭის (*Abies*) ერთეული მტვრის მარცვლები. აქ ნაპოვნია ტყის გვიმრების სპორებიც. ესენია ჩადუნა (*Dryopteris*) და გვიმრუჭა (*Asplenium*). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორმოს ძირიდან აღებულ № 9 ნიმუშის სპექტრი გამოირჩევა მცენარეთა დიდი რაოდენობით, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა ეკოლოგიურ ჯგუფს. მაგალითად, აქ ნაპოვნია წყალმცენარეების მტვრის მარცვლები. ესენია ლაქაში (*Typha*) და შხაპრი (*Sparganium*). აღმოჩენილია აგრეთვე ხავსის (*Sphagnum*) და ლიქენების (*Lycopodium clavatum*) სპორებიც.

შუა ფენის პალინოსპექტრებში კვლავ დომინირებს სათესი მარცვლოვნების და მათი სარეველების მტვერი. მაგრამ მათი რაოდენობა, ქვედა ფენასთან შედარებით მცირეა და 31-36 %-ს შეადგენს. ბევრია ხორბლის მტვრის მარცვლები. მსგავსად ქვედა ფენისა, აქაც გამოიყოფა მისი რამოდენიმე ჯიში. მაგრამ, რაც შეეხება ადამიანის საცხოვრებლის რუდერალებს, ეს მაჩვენებელი საგრძობლად მატულობს და ბალახოვნების 42% შეადგენს. საძოვრების არსებობის მასშტაბი არ იცვლება ქვედა ფენასთან შედარებით, იგი ისევ 12 %-ია. ტყის ლანდშაფტის მაჩვენებლები კლებულობს. თუ ჭრილის ქვედა ნაწილში ტყის ელემენტები 22 %-ს შეადგენდა, შუა

ფენაში იგი 13 %-ს არ აღემატება. დომინირებს ფიჭვის მტვრის რაოდენობა. არის მუხის, ღვიის, ანწლის, შინდის და თხილის მტვრის მარცვლები.

ზედა ფენის პალინოლოგიური სპექტრების ხასიათი ანალოგიურია სულ ქვედა ფენის სპექტრებისა. დიდია კულტურული მარცვლოვნების როლი. კარგადაა წარმოდგენილი კულტურული ვაზის მტვერი. არის ვენახების სარეველა მცენარეების მტვრის მარცვლები. ადამიანის საცხოვრებლის სარეველათა როლი კი შუა შრესთან შედარებით, საგრძნობლად კლებულობს. საძოვრების არსებობის მაჩვენებელი უცვლელია. რაც შეეხება ტყის ელემენტებს აქ მატულობს ნესტის მოყვარული ისეთი ელემენტი, როგორცაა ლაფანი. ნაპოვნია აგრეთვე მეზოფილური ელემენტი ბუზა (*Buxus*), არის ტყის გვიმრების სპორებიც. ესენია: კილამურა (*Polypodium vulgare*) და კრიპტოგრამა (*Cryptogramma crispa*). არის ხავსის და ლიქენის სპორები, რომლებიც, ისევე როგორც გვიმრები, უფრო ნესტიანი ჰავის მაჩვენებლები არიან.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კერამიკის ანაფხეკში, რომელიც აღმოჩენილია კვადრატ CB-3-ის № 1 თხრილში (№ 29-06:94, 4:90), აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები [ტაბ. VI,], რაც ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია.

რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, ყველა ფენაში ბევრია სელის ტექსტილის ბოჭკო, მათ შორის ფერადი და გრეხილი. ქვედა ფენაში, 380 სმ-ის სიღრმეზე ნაპოვნია თვალით ხილული დაზგაზე მოქსოვილი ტექსტილის ნაწილი (ტაბ. VI<sub>2</sub>). ბოჭკოების სტრუქტურის და აგებულების თანახმად, რაც სინათლის მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ აჩვენა, ტექსტილი სელისაა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ განხილულ ფენაში აღმოჩენილია აგრეთვე პემზის ქვის ხელსაფქვავე, რომლის ფორებში სელიც ბოჭკოების დიდი რაოდენობაა ნაპოვნი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ხელსაფქვავეს სელის დაჩქვესთვის იყენებდნენ და ქსოვილის დამზადება აქვე ხდებოდა. ამრიგად, ნეოლითურ ხანაში გადაჭრილ გორაზე სელის მოყვანის კულტურაც უნდა ყოფილიყო განვითარებული.

მაშასადამე მოყვანილი ფაქტიური მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ რომ ძვ.წ. VI ათასწლეულში ქვემო ქართლში დღევანდელთან შედარებით უფრო თბილი და ნოტიო კლიმატი იყო, რაზედაც ლაფანის, ცაცხვის და ნიფლის ტყის არსებობა მიუთითებს. ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*) დღეს, კოლხეთის გარდა იზრდება

მხოლოდ ალაზნის ველსა და ლაგოდეხის ნაკრძალში. ალაზნის ველზე ნალექების რაოდენობის წლიური ჯამი 700-800 მმ-ს შეადგენს, წლიური ტემპერატურა კი 13°. კლიმატის დაახლოებით ამგვარი პარამეტრებით ხასიათდებოდა განხილული რეგიონი ძვ.წ. VI ათასწლეულში.

რბილი კლიმატის და ნოყიერი ალუვიური ნიადაგების არსებობა ხელს უწყობდა მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებას. ხელსაყრელი გახდა აგრეთვე მოსწორებული რელიეფი და კარგად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელიც. სწორედ აღნიშნული პირობების გამო შესაძლებელი იყო სელის კულტივირება, ხორბლის რამოდენიმე ჯიშის მოყვანა და მევენახეობის განვითარება.

მაღალი ხარისხის ტექსტილის წარმოების და მეღვინეობის განვითარების ფაქტი აგრეთვე მეტყველებს იმდროინდელ საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნამოსახლარის არსებობის მეორე ეტაპზე შეიმჩნევა მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რაც კარგადაა ასახული შუა ფენების პალინოლოგიურ სპექტრებში.

**ქიმიური მეთოდით კვლევის შედეგები.** გამოსაკვლევად აღებული იქნა რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. ჭურჭელში ღვინის ნაშთის იდენტიფიკაციისთვის პალეობიოლოგიური მეთოდის გარდა მივმართეთ ქიმიურ მეთოდს; უფრო სწორად მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიას (HPLC). ცნობილია, რომ კერამიკასთან ღვინის კონტაქტის (ჭურჭელში ღვინის არსებობის) მარკერს წარმოადგენს ღვინის მჟავა, ან წყლის ფაზაში მცირედ ხსნადი ღვინის მჟავის კალციუმის მარილი, რომლებიც ჭურჭელში ღვინიდან გამოლექვის შედეგად ხვდება. კერამიკის ასაკთან ერთად ღვინის მჟავის კალციუმის მარილი დომინირებს. ღვინის მჟავის იდენტიფიკაცია მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით, გამოყენებადი მეთოდია. კერამიკულ მასალაში ღვინის მჟავის წყარო მხოლოდ ღვინო ან ყურძნის წვენი (ე.წ. ტკბილი) შეიძლება იყოს.

გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული კერამიკის ფრაგმენტების კედლები უხეში, მსხვილფოროვანი სტრუქტურით ხასიათდება, სავარაუდო იყო, რომ ჭურჭელში ღვინის არსებობის შემთხვევაში სითხეს ფორებში ღრმად უნდა შეეღწია და შედეგად, ღვინის მჟავა და მისი კალციუმის მარილი არა მარტო ჭურჭლის კედლის შიდა ზედაპირზე, არამედ ღრმა სტრუქტურებშიც უნდა გამოლექილიყო. ყოველივე მხოლოდ



ზრდის საძიებელი ნაერთის რაოდენობას კერამიკის ანაფხეკში.

განხორციელებული ანალიზი ხსენებული ლოგიკით წარიმართა. ქრომატოგრაფიულად დაფიქსირდა ღვინის მჟავის კვალის ოდენობა, რაც ოდესღაც ჭურჭლის ღვინოსთან კონტაქტზე მიუთითებს.

აღნიშნული სამუშაო გრძელდება მისი მეთოდოლოგიური გაუმჯობესების მიზნით. დასამუშავებელია ღვინის მჟავის კალციუმის მარილის ღვინის მჟავაში მეტი რაოდენობით გადაყვანის, და შესაბამისად ქრომატოგრაფიული სიგნალის გაზრდის მიზნით. აგრეთვე საჭიროა მეთოდისა და შედეგების სტატისტიკური უტყუარობის წარმოდგენა.

**M. Jalabadze, K. Esakvia, N. Rusishvili, E. Qvavadze, I. Koridze, N. Shaqulashvili, M. Tsereteli**

## **REPORT ON ARCHAEOLOGICAL WORK CARRIED OUT ON GADACHRILI GORA IN 2006-2007**

### Summary

In 2006-2007 the Marneuli Archaeological Expedition of the Georgian National Museum carried out small-scale exploratory-archaeological work at Gadachrili Gora, a Neolithic Age settlement hill 6th-5th Millennium BC near Imiri.

Gadachrili Gora is situated to the south-east of Imiri, Marneuli district, within some 1.5 km (coordinates: NN-410231; EE 440491; at 360-370 m a. s. l. It is crossed by the river Shulaveris Ghele, which has cut a deep and wide canyon (7-8 deep and 30-40 m wide), and the untrue part of the former settlement site is completely destroyed. The 7-7 site of the side, or the area on the right side of the river (approximately 1/3 of the side) and the natural stratigraphic section have survived. A small tray of cultural layer remains on the left side of the river.

In 1965-71 the Lower Kartli Archaeological Expedition of the S. Janashia State Museum of Georgia (directors: O. Japaridze, A. Javakhishvili) dug a small-sized control trench on Gadachvili Gora, picking up surface material.

In 2006 a topographic plan of the site and its adjacent territory was prepared. The surface of the settlement site was divided into squares of axiom zones, which were subdivided into 2x2 squares. A control trench (8x3m<sup>2</sup>) was dug in the NE corner of the surface of the surviving part of the hillock.

Traces of several buildings have been brought to light in the trench, their diameter ranging from 1.5-2.5 m. They are built of adobe brick masonry, and are plastered inside and outside with yellowish strong clay solution. During the excavations fragments of clay vessels typical of Shulaveri-Shomutepe culture were found including work tools of obsidian, various stone species, bone and horn, as well as stocks of these tools.

In 2007 the control trench was broadened to the river section, the entire excavated area being reduced to a single level. Two principal layers were identified tentatively on the site, separated from one another by a 20-25 cm thick clay stratum. Besides, construction horizons are seen well in the natural section, the alternation of which will be determined by future excavations.

In both years, samples were taken for palynological, palaeobotanical, palaeozoological and chemical investigation. Remains of cultural plants (cereals, vine, etc.) have been identified; a fragment of flaxen fabric and numerous flax fibers have come to light. Several fragments of a clay vessel have been studied chemically; the presence of tartaric acid was attested on these fragments; the source of tartaric acid on the ceramic material must have been wine or (sweet) grape juice. Trace logical study of stone (obsidian) items was conducted.

The radiocarbon method yielded two dates: 1. Charcoal: OS-63262-6510+/-110 BP. cal BC 5815+/-103 (Cal/Pal) 7662-7868 cal BP; 2. Carbonized wheat and barley: OS-63260-6890+/-40BP cal 5783+/-42 (Cal Pal) 7690-7775 cal.

## ლიტერატურა

- Коробкова Г. Ф., Кигурадзе Т. В. 1972: К вопросу о функциональной классификации каменных орудий из Шулаверис-гора. – КСИА, № 132, с. 53-58.
- Эсакия К. 2003: Экспериментально-трасологический метод и эффективность экономики раннеземледельческих хозяйств. С.-Петербург, с. 136-146.

## ტაბულების აღწერილობა


- ტაბ. I – 1. საერთო ხედი; 2. ბუნებრივი ქრილი გასუფთავების შემდეგ; 3. პირველი ფენის ალიზის შენობების ნაშთები (2007 წ.); 4. ე.წ. სამეურნეო მოედანი (2007 წ.); 5. 2006 წელს გამოჩენილი ალიზის ნაგებობების ნაშთები; 6. ნამოსახლარის ტოპოგრაფიული გეგმა.
- ტაბ. II – ნამოსახლარის გეგმა და ქრილები.
- ტაბ. III – 1. ირმის რქის იარაღი; 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი კოპისებური დანაძერწებით; 3. ბაზალტის ლახტისთავი; 4. ქსოვილის ანაბეჭდიანი თიხის ჭურჭლის ძირი; 5. ძვლის სახვრეტები; 6. ობსიდიანის კომბინირებული იარაღები; 7. ბაზალტის გახეხილ-გაპრიალებული ცული; 8. ანდეზიტო-ბაზალტის ხელსაფეკვაები.
- ტაბ. IV – 1,2,5. ობსიდიანის ხინვიანი იარაღი; 3,6-10. ობსიდიანის საჭრისები; 4. ხონი. 11. ბაზალტის ლახტისთავი; 12-19. ძვლის სახვრეტები; 20. ბაზალტის გახეხილ-გაპრიალებული ცული; 21. ირმის რქის იარაღი.
- ტაბ. V – 1-6,9. ობსიდიანის კომბინირებული იარაღები; 7,8. ობსიდიანის ბურღისებური იარაღი; 10. ობსიდიანის ხინვიანი იარაღი; 11. ობსიდიანის გვერდდაკბილული იარაღი; 12-16. ობსიდიანის საჭრისები; 17-20. ობსიდიანის წვეტანისებური იარაღები; 21. ობსიდიანის სახოკი; 22. ბაზალტის სახოკი; 23. ანდეზიტის სახოკი.
- ტაბ. VI – პალინოლოგიური კვლევის შედეგები.
- ტაბ. VII – ტრასოლოგიური კვლევის მონაცემები.

## DESCRIPTION OF THE PLATES


- Pl. I – 1. general view; 2. natural section after cleaning; 3. remains of adobe buildings of the first layer (2007); 4. so-called household square (2007); 5. remains of adobe structures coming to light in 2006.
- Pl. II – plan and sections of the settlement site.
- Pl. III – 1. tool made of antler; 2. fragment of clay vessel with boss-like attachments; 3. basalt fastener; 4. bottom of a clay vessel with an imprint of fabric; 5. bone perforators; 6. combined tools of obsidian; 7. Scrubbed and polished basalt axe; 8. andesite-basalt hand mills.
- Pl. IV – 1, 2, 5. obsidian tools; 3, 6-10. obsidian cutters; 4. chisel; 11. basalt mace-head; 13-19 Bone perforators; 20. Scrubbed and polished axe; 21. Tool made of antler.
- Pl. V – 1-6, 9. combined tools of obsidian; 7, 8. auger-like tool of obsidian; 10. Obsidian tool with splinter; 11. Obsidian tool with jagged side; 12-16. Obsidian cutters; 10-20. Obsidian tools resembling points; 21. Obsidian scraper; 22. Basalt scraper; 23. Andesite scraper.
- Pl. VI – results of palynological study.
- Pl. VII – results of traceological study.



ტაბ. I



1




2




3




4




5




6



პროფილი A-A



პროფილი B-B







1



2



3



4



5



6




7




8







1




2




3




4




5



6




7



8



9



10



11



12



13



14



15



16




17





18



19





20




21








ტაბ. VII



### ცენტრალური აზიისა და კავკასიის უძველესი დასახლებების ეკონომიკური ეფექტიანობა





## ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში

2007 წელს ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ<sup>1</sup> სავსე სამუშაოები ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსის მიმდებარე ფართობის სამ მონაკვეთზე წარმართა წინა წლებში გავლებულ თხრილებში (ტაბ. I): კომპლექსის სამხრეთით (ნაკვ. 203-204), აღმოსავლეთით, საქვაბიას ღელის კიდეტან, რიტუალური ღარის დაბოლოების მიმდებარე ფართობზე (ნაკვ. 169) და ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე (ნაკვ. 202-203).

I. სატაძრო კომპლექსის სამხრეთით (ნაკვ. 203-204) (ტაბ. II) საანგარიშო წელს მხოლოდ მცირე მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა: ძველი თხრილი გაიწმინდა ჩამონაშალი მიწისაგან და ოდნავ გაფართოვდა სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით. თხრილის გაფართოებულ ნაწილში, სამხრეთი კედლის გაყოლებაზე გაიწმინდა კრამიტყრილი, რომელიც აღმოსავლეთით შეუერთდა ადრე გამოვლენილ ყრილს, დასავლეთ ნაწილში კი, ისევე როგორც წინა წლებში, ნანგრევი ფენა დადასტურდა. ეს ფენა წარმოქმნილი ჩანს მომდევნო ეპოქაში ამ ადგილას იმ ქვევრების გამართვისას, რომელთაგან ერთი საანგარიშო წელს, ერთი კი 2004 წელს იქნა გამოვლენილი. ქვევრების ძირები ჩადგმულ იყო დედაქანში ამოკვეთილ წრიულ ფოსოებში, მათ თავზე და მათ ირგვლივ დედაქანამდე ქრონოლოგიურად არაერთგვაროვანი მასალის შემცველი ნანგრევი ფენა გადადიოდა. ამ ფენის ზედა დონზე აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნით დათარიღებული როდოსული ამფორის დამლიანი ყური, “ჩალისფერკეციანი” წითელლა-

კიანი თეფშის ქუსლიანი ძირის ნატეხი (სავ. №№ 07:1-07:88, 92) და დიდი ზომის სკვითური ტიპის რკინის ისრისპირი (სავ. № 07:1-07:3). უშუალოდ დედაქანის თავზე კი ძვ.წ. I ს-ის დასასრულით დათარიღებული პერგამონული წითელლაკიანი ორყურა ჯამის და წყალსადენის მილების ფრაგმენტები იქნა დადასტურებული (სავ. №№ 07:1-07:72-74).

ამდენად, ამ ქვევრის, ისევე როგორც მის მახლობლად 2005 წელს აღმოჩენილი ანალოგიური ქვევრის თარიღის შესახებ, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათი ამ ფართობზე გამართვა კრამიტყრილით წარმოდგენილი კომპლექსის შემდგომ ხანაში მოხდა.

რაც შეეხება კომპლექსს, მისი ფუნქციის განსაზღვრა და დათარიღება გაძნელდა, რადგან კრამიტყრილის ქვეშ გამოვლენილი მასალის სტრატეგრაფიული გამიჯვნა ვერ მოხერხდა. ასე მაგალითად: კრამიტყრილის ქვეშ გამოვლენილი დედაქანის თავზე არსებული გაფხვიერებული თირის თხელ ფენაში ნიშნისანი კრამიტისაგან დამზადებული ხუფი, ტერაკოტის (ხელის მტევნის) ფრაგმენტი და ბრინჯაოს სამაჯურის ორნამენტირებული ნაწილი (სავ. №№ 07:1-07:4-6), ამავე დონეზე დადასტურებულ ყვითელი თიხნარის თავზე კი ადრეელინისტური და წინარეელინისტური ხანის კერამიკის ნატეხები (სავ. №№ 07:1-07:9-11) იქნა აღმოჩენილი. როგორც ჩანს, თხრილის ეს ნაწილიც დაზიანებულია. დაზიანებული აღმოჩნდა თირის ფილებით შედგენილი წყობაც: მათ გაყოლებაზე არსებული ქვაყრილის თავზე ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევრის კერამიკა, მათ თავზე და მათ შორის კი წინარეელინისტური ხანის ფრაგმენტები იქნა გამოვლენილი.

ამდენად, კრამიტყრილთან დაკავშირებული კომპლექსის დათარიღება და მის ქვეშ არსებული ფენების სტრატეგრაფიის დადგენა კომპლექსის დაუზიანებელი ნაწილის გათხრის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

II. ტაძრის აღმოსავლეთით (ტაბ. III-IV<sub>1</sub>) საქვაბიას ღელის კიდეტან არსებული თხრილი მთლიანად დაფარული იყო მაცვლის ბუჩქებით, ბალახით, ჩამონაშალი მიწით. ამასთანავე

1 საანგარიშო წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია ველზე მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: დარეჯან კაჭარავა (ხელმძღვანელი), დიმიტრი ახვლედიანი (ხელმძღვანელის მოადგილე), ელენე გიგოლაშვილი, გურამ კვიციანი, ნანა მათიაშვილი, გაბრიელ სალნიკერი (ფოტოგრაფი), ელენორა სახვაძე (მხატვარი), მარინე ფირცხალავა. პრაქტიკა გაიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ალექსანდრე მრეველიშვილმა და შოთა ბეზარაშვილმა. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე ლოზანის უნივერსიტეტის ჯგუფი – დოქტორი კატარინა მესერეი და სტუდენტები.



თხრილს დარღვეული ჰქონდა კედლები. თხრილის განმენდისა და კედლების ჩამოსწორების შემდეგ იგი ოდნავ გაფართოვდა ჩრდილოეთის მიმართულებით. გაფართოებულ ნაწილში დაახლოებით 0,5 მ-ის სისქის ალიზის ნანგრევის ქვეშ კომპაქტური კრამიტყრილი და დანახშირებული ძელები გაიწმინდა.

კრამიტყრილის პრეპარაციის დროს „ყავისფერკეციანი“ ამფორების, ადგილობრივი სუფრის ჭურჭლისა და ნითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტებს გარდა (სავ. №№ 07:1-07:29-36), ლითონის ღერაკიც იქნა აღმოჩენილი. მას ერთი ბოლო შემსხვილებული და წამახვილებული აქვს, მეორე ბოლოზე კი სწორკუთხა ყუნწი აქვს ჩაჭრილი (სავ. № 07:1-07:1). სავარაუდოა, რომ აღნიშნულ საგანს საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა. იგი თასმის გასაყრელად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ძელები და კრამიტყრილი, რომელიც განსაკუთრებით კარგად თხრილის ჩრდილოეთ კუთხეშია შემორჩენილი, გაუთხრელ ფართობში შედის. ამიტომ კრამიტყრილის აღება მომდევნო სეზონში, თხრილის გაფართოების შემდეგ გადამწყდა.

კვლევა-ძიება გაგრძელდა თხრილის იმ ნაწილზე, რომელზედაც კრამიტყრილი და მის ქვეშ არსებული ქვყრილის ზედა დონე 2005 წელს იქნა აღებული. თხრილის ამ ნაწილში მაშინ ორ ადგილას გამოვლენილი იყო კედლების შესაბამისი დამხრობის მქონე მიჯრით განლაგებული რიყის ქვები. საანგარიშო წელს მათ ირგვლივ აღებული იქნა თხელი ფენა, რომელშიც ვანის ნაქალაქარის ბოლო ეტაპისათვის დამახასიათებელი მასალა (“ყავისფერკეციანი” ამფორების, ქვევრების, ადგილობრივი სუფრის ჭურჭლისა და სამზარეულო კერამიკის, აგრეთვე ნითელლაკიანი თეფშებისა და იმპორტული ამფორების ფრაგმენტები) იქნა აღმოჩენილი. ამავე დონეზე დადასტურდა შედარებით ადრეული ხანის ქიოსური ამფორის დამლიანი ყური და ქუსლი. დამლა ერთსტრიქონიანია, მასზე გარკვევით იკითხება ფაბრიკანტის სახელი – ΗΓΗΣΙΟΥ. ანალოგიური დამლები საკმაოდ ხშირია ვანის ნაქალაქარზე და ისინი ძვ.წ. 200 წლის მახლობელი ხანით თარიღდება. ეს ფენა სიღრმეში გრძელდება, მისი სისქე თხრილის სამხრეთ-დასავლეთი ჭრილის მიხედვით, ერთ მეტრს აღემატება. იგი გადადის ყვითელი თიხნარის თავზე გამოვლენილი კენჭებითა და რიყის ქვებით მოკირწყლულ დონეზე. რაც შეეხება რიყის ქვებით მოგებულ ფართობებს (ტაბ. IV<sub>2</sub>), ჩატარებული სამუშაო არასაკმარისი

აღმოჩნდა მათი კედლებთან კავშირის გამოსავლენად. ამის დადგენა ფენის მთლიანად აღების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ძირითადი სამუშაოები სასიმაგრო კედლის ფასადთან და კედლებით შემოსაზღვრულ ფართობზე გაგრძელდა. ამ უკანასკნელზე 2005 წელს ყვითელი თიხნარის და რიყის ქვების შემცველი ნანგრევი ფენა იქნა გამოვლენილი. იგი თანამედროვე ეპოქაში წარმოებული მინის სამუშაოების დროს ჩანდა წარმოქმნილი. მასში ელინისტური ხანის კერამიკის მცირე ზომის ნატეხებთან ერთად წინარეელინისტური ხანის ნიმუშებიც იქნა აღმოჩენილი. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია კოლხური სასმისის ძირის ნატეხი (სავ. № 07:1-07:19).

ამ ნანგრევი ფენის აღების შემდეგ გამოვლენილი იქნა სასიმაგრო კედლისადმი სწორი კუთხით მიმართული კედლის დაბოლოება, ამ კედლების გადაკვეთის კუთხე და მათი შიდა ფასადები. მათ შორის კი გაიწმინდა ყვითელი თიხნარი, რომლითაც შევსებულია კედლებსა და მათ მომიჯნავე დედაქანს შორის არსებული სივრცე.

ყვითელი თიხნარი კედლების გარეთაც ვრცელდება. მისი ნაწილი 1991 წელს იქნა აღებული. მის ქვეშ მაშინ დედაქანში ჩაჭრილი ღარის კიდე, მასში მოქცეული რიყისა და ცეცხლისგან განითვლებული თირის ქვები და წინარეელინისტური ხანის კერამიკის ფრაგმენტები იქნა აღმოჩენილი. ყვითელი თიხნარი, რომელიც კედლების მოსაზღვრე ფართობის ნიველირებისთვისაც იყო გამოყენებული, როგორც ჩანს, წინარეელინისტური ხანის ნანგრევებსაც ჰფარავდა.

ყვითელი თიხნარის თავზე სასიმაგრო კედლისადმი სწორი კუთხით მიმართული მინაშენის დაბოლოებასთან კენჭებით მოგებული ფართობი გაიწმინდა. იგი მის დასავლეთით არსებული რიყის ქვების გაგრძელებაზეა და მასთან ერთად შედის კედლებით შემოსაზღვრული ფართობის ჩრდილოეთით დამონმებული ერთი მეტრის სისქის კულტურული ფენის ქვეშ.

უშუალოდ კენჭებით მოგებული ფართობის თავზე საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა იქნა აღმოჩენილი. მათგან აღსანიშნავია ყავისფერკეციანი ამფორების ქუსლები, ქოთნების, დოქების, თეფშების ნატეხები. ამავე დონეზე იქნა აღმოჩენილი როდოსული ამფორის დამლიანი ყური და ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი (სავ. №№ 07:1-07:103-116, 156-162).

სასიმაგრო კედლის გარეთა ფასადისა და მისი მიმდებარე დედაქანის ჩამონაშალი მინისაგან განმენდის შემდეგ განახლდა კედელში ჩართულ

ლარში ადრე გამოვლენილი შევსების შესწავლა. შევსება, რომელიც, 1,2x2,4 მ<sup>2</sup> ფართობზე ვრცელდებოდა, ჰორიზონტალურად განლაგებული რიყის თანაბარი ზომის ქვებით იყო შედგენილი.

რიყის ქვები განლაგებული იყო დაახლოებით 0,3 მ სისქის ყვითელი ფერის თიხნარზე, რომელიც ჰვარავდა თირის ფილებით შედგენილ სნორკუთხა სტრუქტურას. ყვითელ თიხნარში შერეული იყო წინარეელინისტური ხანის მასალა: ბრტყელძირიანი ჯამის, ნაპრიალები და რელიეფური ორნამენტით შემკული ქოთნების და ქვევრების ნატეხები, აგრეთვე კაჟის კაჭარი, ცხოველის ძვლები (სავ. №№ 07:1-07:117-150).

საანგარიშო წელს, დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ამ ფართობის მთლიანად განმეწმენდა. მის გაყოლებაზე გავლებული 0,8 მ სიღრმის ჭრილის მიხედვით, იგი სიღრმეში გრძელდება (ტაბ. IV<sub>3.4</sub>). ამ სტრუქტურის სრულად გამოვლენა მის გაგრძელებაზე არსებული ღარის მთელ სიგრძეზე განმეწმენდის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

რაც შეეხება სასიმაგრო კედელს, რომელიც 8 მ-ის სიგრძეზეა გამოვლენილი, ის ჩრდილო-აღმოსავლეთ/სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაა დამხრობილი. სამხრეთ-დასავლეთით, როგორც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, იგი ღარის კატარაქტას გარეთ მდებარე კიდეზე აღწევდა. აქედან იგი დაახლოებით ორი მეტრით შიგნით, ღარის კირქვის ქვებით მოპირკეთებული კიდის მიმართულებითაა გადანეული და, როგორც ჩანს, მის მოპირდაპირე კიდის გაყოლებაზე არსებულ ღარის შემოსაზღვრულ დედაქანის ვერტიკალურ კიდეზე ებჯინებოდა. დედაქანში ამოკვეთილი ფოსოების მიხედვით, მისი სიმაღლე ამ ნაწილში ხუთ მეტრს აღწევდა (ტაბ. III-IV).

ჩრდილო-აღმოსავლეთითაც კედელი დედაქანს ებჯინება, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ნაწილში დედაქანის სიმაღლე ორ მეტრს ოდნავ აღემატება, იგი წყობაშია ჩართული ისე, რომ წყობის გაგრძელება მის თავზე გადადის. ამ ნაწილში მხოლოდ დედაქანში ამოკვეთილი ფოსოებია შემორჩენილი.

კედლის სისქე 2,8 მ-ია. იგი პერანგულადაა ნაგები; პერანგები თირის ფილებითაა ამოყვანილი, ხოლო გული შევსებულია რიყის ქვებით. კედელი დედაქანის ზედაპირს მიუყვება, შესაბამისად, ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდედან არსებული ჩაღრმავება წყობითაა შევსებული. ჩაღრმავების შემავსებელ ნაწილში მისი შემორჩენილი

სიმაღლე 2,5 მ-ია. მისი გაგრძელება, რომელიც მოსაზღვრე მოსახლის ეზოში გრძელდება, როგორც ზედაპირული დათვალიერებით ირკვევა, მონგრეული ჩანს.

III. საანგარიშო წელს ნაქალაქარის ქვედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე დასრულდა 2005 წელს გაჭრილი თხრილის შესწავლა (ნაკვ. 202, კვ. i<sub>5</sub>-k<sub>5-9</sub>; ნაკვ. 203, კვ. a<sub>5-9</sub>, b<sub>6-9</sub>, c<sub>7-10</sub>, d<sub>8-9</sub>). აღნიშნულ ფართობს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხევი, რომელშიც „საქვაბიას ღელე“ მიედინება და რომელიც ძველი ქალაქის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს; ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ე.წ. „დიდი სატაძრო კომპლექსის“ მიმდებარე ფართობი; ჩრდილო-დასავლეთიდან – 2005 წელს გათხრილი მონაკვეთი, სადაც აღმოჩნდა დედაქანში ჩაჭრილი არხი; სამხრეთ-დასავლეთიდან – შეუსწავლელი მონაკვეთი (ტაბ. I, V). ეს არის გაგრძელება აღმოსავლეთისაკენ 2005 წელს გაჭრილი თხრილისა (ნაკვ. 202, კვ. i<sub>6</sub>, k<sub>5-6</sub>; ნაკვ. 203, კვ. a<sub>5-6</sub>), რომელშიც დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან შედგენილი ფენა დადასტურდა. ფენა იდო დედაქანზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა დაქანებული.

2007 წლის თხრილში ფენების შემდეგი თანამიმდევრობა დადასტურდა: თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ნაკვ. 202, კვ. i<sub>6</sub>-k<sub>5-6</sub>; ნაკვ. 203, კვ. a<sub>5</sub>) ჰუმუსური ფენა უშუალოდ ადევს დედაქანს (იხ. გეგმა – ტაბ. V; ჭრილი I-I, III-III). ნაკვ. 202-ის i<sub>6</sub>, k<sub>6</sub> და ნაკვ. 203-ის a<sub>5-6</sub> კვადრატებში ჰუმუსი ზემოდან ფარავდა დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან შედგენილ ფენას, რომლის ქვეშ, ალაგ-ალაგ, გამოვლინდა ტუფის ანატაკეციების ფენა. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაქანების ძირთან გამოვლინდა დედაქანში ამოკვეთილი ღარები. ამ ღარებში ჩაყრილი იყო მოყვითალო-მონაცრისფრო სილოვანი მასა, რომელსაც ზემოდან ედო ზემოთ აღნიშნული დამწვარი ალიზის აგურის ფენა.

დამწვარი, დაშლილი ალიზისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქნილ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალა: კოლხური ამფორის (?) ყელისა და ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:169), კოლხური ამფორის ქუსლი (სავ. № 07:1-07:170), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:171), ყავისფერკეციანი ჯამის პირ-კალთის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:172), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ხუფის (?) კიდის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:173),

დოქის (?) ყელისა და მხრის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:174), ყავისფერკეციანი იხთის (სათევზე ლანგრის) ძირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:175), ყავისფერკეციანი ჭურჭლის ძირისა და ქუსლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:176), ყავისფერკეციანი ბრტყელძირა ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. №№ 07:1-07:177-178), იმპორტული შავლაკიანი თასის პირ-კალთის, ძირისა და ქუსლის 4 ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:179), იმპორტული ლიაფერისკეციანი უნგვენტარიუმის (?) ქუსლის ფრაგმენტი, ძალზე დაზიანებული (სავ. № 07:1-07:180), კრამიტის რკინის სამაგრები (სავ. № 07:1-07:181-184).

ნაკვ. 202-ის კ<sub>7,9</sub> კვადრატსა და ნაკვ. 203-ის კვ. a<sub>6-8</sub>, b<sub>6-7</sub>, c<sub>7</sub> კვადრატებში თხრილის გარდ-გარდმო, დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი ფენა წყდება. აქ ჰუმუსური ფენა ზემოდან ადევს რიყისა და თირის ქვებისაგან შედგენილ ფენას, რომელიც, თავის მხრივ, ზემოდან ადევს კედლის ნაშთებს და დედაქანში ამოჭრილ ორმოს. ორმოში ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი აღმოჩნდა (ტაბ. VI). ნაკვ. 203-ის კვ. a<sub>8</sub>, b<sub>7-9</sub>, c<sub>7-9</sub>, d<sub>8-9</sub> ში ჰუმუსური ფენა ადევს დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტების ფენას, რომელშიც უხვადაა ხის დამწვარი ძელები. თავის მხრივ, ეს ფენა ნახშირის ფენას ადევს ზემოდან, რომლის ქვეშ დედაქანია დაფიქსირებული.

დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან შედგენილ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი მასალა:

კერამიკა – ქვევრის კედლის ფრაგმენტი, რომლის ზედაპირის ნაწილი დაფარულია წვრილი ლარებით და შემკულია ირიბი ჭდეების ორი რიგით, აგურისფერკეციანი (სავ. № 07:1-07:296); ქვევრის კედლისა და ქუსლის ფრაგმენტები (2 ფრ.), აგურისფერკეციანი (სავ. №№ 07:1-07:297-298); კოლხური ამფორების ქუსლები (3 ც.), ყავისფერკეციანი (სავ. №№ 07:1-07:299-301); კოლხური ამფორების (?) პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტები (4 ფრ.), ყავისფერკეციანი (სავ. №№ 07:1-07:302-305); ჭურჭლის ხუფის ფრაგმენტი, ყავისფერკეციანი (სავ. № 07:1-07:306); ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტები (2 ფრაგმენტი), ყავისფერკეციანი (სავ. №№ 07:1-07:307-308); კოჭობის კედლისა და ძირის ფრაგმენტი, ყავისფერკეციანი (სავ. № 07:1-07:309); ჯამის პირ-კალთის ფრაგმენტი, რუხკეციანი (სავ. № 07:1-07:310); იხთის (?) ძირის ფრაგმენტი, ქუსლით, რუხკეციანი (სავ. № 07:1-07:311); იმპორტული

ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი, ლიაფერისკეციანი (სავ. № 07:1-07:312); როდოსული (?) ამფორის ყურის ფრაგმენტი, მრგვალგანივკეთიანი (სავ. № 07:1-07:313); ალიზის აგურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:314).

სპილენძის მონეტა, ძლიერ დაზიანებული, ნაწილობრივ შემორჩენილია ზევსის თავის გამოსახულება; ამისო (?), ძვ.წ. 80-70 წწ. (სავ. № 07:1-07:185).

ბრინჯაოს ნივთები – ქინძისთავი, გაღუნული (სავ. № 07:1-07:186); ქინძისთავი, გაღუნული (სავ. № 07:1-07:187, სურ. 466-467); ფირფიტების ფრაგმენტები (4 ფრ.), რომელთაგან ერთზე მანჭვალაა შემორჩენილი (სავ. № 07:1-07:188); გაურკვეველი დანიშნულების საგანი, ცეცხლისაგან დეფორმირებული (სავ. № 07:1-07:191); ფირფიტები (2 ც.), დეფორმირებული (სავ. № 07:1-07:207).

რკინის ნივთები – ღეროები (2 ც.); ერთი მათგანი ხეშია (?) ჩარჭობილი (სავ. № 07:1-07:189-190).

დანახშირებულ ფენაში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ბრინჯაოს ნივთები (სავ. №№ 07:1-07:262-286, 289) – ღეროები (3 ც.), წვრილი ფირფიტები (9 ც.), რომელთაგან ერთს სამანჭვლე ნახვრეტები აქვს, ზოდი, ჩქიფი, ფირფიტების უსახო და მცირე ზომის ფრაგმენტები.

რკინის ნივთები (სავ. №№ 07:1-07:192-261, 290-295) – ფირფიტები (2 ც.), ლურსმნებით, დეფორმირებული; ფირფიტა სამაგრით; ღერო მასრით და ყუნწით; სამაგრი ფირფიტები ლურსმნებით, მათგან ორზე შემორჩენილია ხის ნაშთი; ღეროები (4 ც.); ისრისპირი; ფირფიტები ლურსმნებით (5 ც.); ისრისპირი; ლურსმნები (4 ც.); ლურსმნები (8 ც.); ღეროები (6 ც.); ჭურჭლის ფრაგმენტები (12 ფრ.); ფირფიტა ლურსმნით; ფირფიტა ბრინჯაოს ვარდულით; დეფორმირებული ნივთები (13 ც.); ღერო; ლურსმანი; ღეროები (2 ც.), რკინის ნივთი, ტანდაბალი, მილისებური, რგოლისებრ ძირიანი, სამანჭვლე ნახვრეტებით; ღერო; დანა (?).

შესწავლილ ფართობზე დედაქანს შემდეგი კონფიგურაცია აქვს: როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დედაქანი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის დაქანებული. სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაქანებულ დედაქანს ესაზღვრება ლარები. ნაკვ. 202-ის i<sub>6</sub> კვადრატში ლარების რაოდენობა ორია. ნაკვ. 202-ის k<sub>6</sub> კვადრატსა და ნაკვ. 203-ის a<sub>5-6</sub>



კვადრატებში ისინი ერთიანდებიან და სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართებიან. ღარის სიგანე 0,20-0,40მ, სიღრმე – 0,20-0,30 მ. ღარს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაბალი ქედი მიუყვება. ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით დედაქანი ნიველირებულია დაახლოებით 1 მ-ის სიგანეზე (ტაბ. VI, ჭრილი III-III). ნიველირებული ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნაკვ. 202-ის  $k_{7-8}$  კვადრატში და ნაკვ. 203-ის  $a_{6-9}$ ,  $b_{6-7}$  კვადრატებში დაფიქსირდა კედლის ნაშთები. ისინი წარმოდგენილია დედაქანში ამოჭრილი ბუდეებით და მათში ალაგ-ალაგ შემორჩენილი დამუშავებული ტუფისა და თირის ქვებით. დაფიქსირდა ორი კედლის ნაშთი. პირველი – პერანგულია. იგი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. მეორე კედელი პირველს მართი კუთხით უერთდება და მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოვლენილი. მასში რომელიღაც სხვა ნაგებობის კუთვნილი არქიტექტურული დეტალი არის გამოყენებული. ძირითადი კედლის ბალავერის გარეთა პერანგისგან მხოლოდ კლდეში ნაკვეთი ბუდეების ორი რიგია შემორჩენილი. გარეთა რიგის დონე შიდაზე 0,20-0,30 მ-ით დაბლაა. პერანგის მეორე რიგისგან დედაქანში ამოკვეთილი ბუდეების ერთი მწკრივი შემორჩა. კედლის საერთო სიგანე 3 მეტრამდეა. ვანის ნაქალაქარზე ასეთი სიგანის მხოლოდ თავდაცვითი კედლებია. ეს კედელი როგორც სამხრეთ-დასავლეთით ისევე ჩრდილო-აღმოსავლეთით შეუსწავლელ ფართობში შედის.

ნაკვ. 203-ის  $a_8$  კვადრატში, კედლის გარეთა პერანგსა და ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთ, ამოკვეთილია ორმო, რომლის სიგრძეა 1,90 მ, სიგანე – 0,85 მ, სიღრმე – 0,85 მ. იგი სახელდახელოდ ამოჭრილის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან კედლები არ არის სწორად ჩაჭრილი და ორმო ქვემოთკენ ვიწროვდება. როგორც ითქვა, ამ ორმოში აღმოჩნდა განძი (ტაბ. IV<sub>5,6</sub>, VI).

განძი შედგება შემდეგი მასალისაგან:

#### **რკინის ნივთები**

თიმიატერიონი (სავ. № 07:1-07:316);

თიმიატერიონი (სავ. № 07:1-07:317);

გაურკვეველი დანიშნულების დიდი ზომის ნივთი (სავ. № 07:1-07:318);

შუბისპირების გროვები (სავ. № 07:1-07:338-352). რომლებშიც ზოგ შემთხვევაში გაურკვეველი ნივთებია შერეული.

#### **ბრინჯაოს ნივთები**

დიდი ზომის აბაზანისებური ჭურჭელი (სავ. № 07:1-07:315), რომელსაც პირის კიდე და ფეხი

შემკული აქვს ოვებით; აქვს მოძრავი ყური, რომელიც კედელზე მიმაგრებულია მედუზა გორნას თავის გამოსახულებიანი აპლიკაციით;

სადგარი (სავ. № 07:1-07:319), რომელიც წარმოადგენს ოთხკუთხა პოსტამენტზე აღმართულ კანელირებულ სვეტს; სვეტის გარეთ გადახრილი ზედა კიდე შემკულია კვერცხისებრი რელიეფური ორნამენტით;

სადგარი (სავ. № 07:1-07:320), ზემოთაღწერილის მსგავსი, ოლონდ არა აქვს გარეთ გადახრილი კიდე და შედარებით მცირე ზომისაა;

სადგარი (სავ. № 07:1-07:321), წრიული, შემკული ამოკვეთილი ლესბოსური კიმატიონით;

სადგარი სირენას ფიგურის გამოსახულებით (სავ. № 07:1-07:322);

სასაკმეველე (სავ. № 07:1-07:323), შემკული სპილოს სამი თავის გამოსახულებით;

ჭრაქი ექვსი საპატრუქეთი (სავ. № 07:1-07:324), რომელთაგან სამი შემკულია ადამიანის ბიუსტით, სამი კი – სპილოს თავის გამოსახულებით;

ჭრაქი, სამი საპატრუქეთი (სავ. № 07:1-07:326), შემკული არნივისა და განიმედესის გამოსახულებებით;

ჭრაქი (სავ. № 07:1-07/327) სამი საპატრუქეთი და სახურავით, შემკული ეროსის ოთხი ფიგურით;

ჭრაქი (სავ. № 07:1-07:325) ერთი საპატრუქეთი, შემკული ვაზის ფოთლებისა და მტევნების გამოსახულებებით;

სარეცლის (კლინეს) ფეხების გარსაკრავები (სავ. № 07:1-07:328-337) – 10 ც.

ორმო შევსებული იყო ნაცრისფერი სილოვანი ფენით. მხოლოდ ერთ ადგილას, რკინის ნივთების გროვებს (სავ. №№ 07:1-07:339-340) ქვემოთ დაფიქსირდა დამწვარი, დაშლილი ალიზის აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი ლინზა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განძში შემავალი ზოგიერთი ნივთი (დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი და რკინის ნივთების გროვა) დედაქანში ამოკვეთილი ორმოს პირის დონის ზემოთ დაფიქსირდა. დიდი ზომის ჭურჭელს პირი ორმოს კიდეზე ჰქონდა ჩამოდებული.

კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, 203-ე ნაკვეთის  $a_8$ - $b_{8,9}$  კვადრატებში გამოვლინდა დედაქანში ჩაჭრილი ხუთი საფეხური. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დედაქანი ხელოვნურად მკვეთრად დაქანებულია (ტაბ. VI, ჭრილი I-I). თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ნაკვ. 203, კვ. ბ<sub>9</sub>-ც<sub>8-10</sub>-დ<sub>8,9</sub>) დედაქანი ნიველირებულია. ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა დამუშა-

ვების კვალი თირში ამოჭრილი ბუდეების სახით (ტაბ. VI).

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან, ვარაუდის სახით, შეიძლება შემდეგი სურათი აღვადგინოთ: შესწავლილ ფართობზე თავდაპირველად შენდებოდა ურთიერთ-პერპენდიკულარულად მიმართული თავდაცვითი კედელი, რომლის სიგანე დაახლოებით 3 მ იყო. მისი ბალავერი ქვისგან, ხოლო კედლები ალიზის აგურისაგან იყო ნაგები. კედელში დიდი რაოდენობით ხის კონსტრუქციები და რკინის დეტალები იყო გამოყენებული; გადახურული იყო კრამიტით. ყოველივე ამის ნაშთს წარმოადგენს დედაქანში ამოჭრილი ბუდეები, მასში ალაგ-ალაგ შემორჩენილი საგანგებოდ დამუშავებული ტუფისა და თირის ქვები, დაშლილი ალიზის აგურებისა და კრამიტის ფრაგმენტებისაგან წარმოქმნილი მასა, ხის ნახშირის ფენა მასში მოხვედრილი ლითონის ნივთების დიდი რაოდენობით. თავდაცვითი კედლის ეს მონაკვეთი იმავე პერიოდში ჩანს დანგრეული, როცა მთელი ნაქალაქარი (ძვ.წ. I ს-ის შუა წლები). ამაზე ნათლად მეტყველებენ ნანგრევებში აღმოჩენილი პონტოს სპილენძის მონეტა (ძვ.წ. 80-70 წწ.) (სავ. № 07:1-07:185) და იმპორტული ლიაფერისკეციანი ამფორის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-07:312). ნგრევის შემდეგ, ჯერჯერობით დაუდგენელ დროს, ხდება ბალავერში გამოყენებული ქვების ნანგრევებიდან ამოღება, რა მიზნითაც დამწვარი კედლის ალიზის მასაში იჭრება

ტრანშეა. სავარაუდოდ ამავე პერიოდში ხდება ტრანშეის ძირზე, დედაქანში ორმოს ამოკვეთა და მასში განძის გადამალვა. შემდგომში ტრანშეა რიყის, თირის ქვებითა და მინით შეივსო.

იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ განძი გადამალულია მას შემდეგ, რაც დანგრეულ იქნა კედელი და მისი ბალავერის ქვები იყო ამოღებული, მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭლის (სავ. № 07:1-07:315) პირი უშუალოდ დედაქანში ამოკვეთილი ორმოს კიდეზე, თავდაცვითი კედლის ბალავერის ბუდეზე იდო, რაც მეტყველებს იმაზე, რომ განძის ჩაფლვისას დედაქანზე არც ბალავერის ქვები იყო ჩანცობილი და არც მინა ეყარა;

დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭლის ერთი ნაწილი და რკინის ნივთების გროვა (სავ. № 07:1-07:338) დედაქანში ამოკვეთილი კედლის ბუდეების დონის ზემოთ დაფიქსირდა. ე.ი. ბალავერის ქვები, განძის ჩაფლვისას, უკვე ამოღებული იყო;

განძის ყველა ნივთი კარგად არის შემონახული. თავდაცვითი კედელი რომ განძის თავზე ყოფილიყო აგებული, ეს ნივთები სიმძიმის ქვეშ უცილობლად დაზიანდებოდა;

ორმოში, განძის ნივთებს შორის აღმოჩნდა დამწვარი ალიზის აგური და კრამიტის ფრაგმენტები. რაც მეტყველებს იმაზე, რომ უკვე დანგრეული და დამწვარი კედლის ნაშთები მოხვდა განძში მისი დაფლვის დროს.

**D. Akhvlediani, D. Kacharava, N. Matiashvili**

## **REPORT ON THE WORK DONE IN 2007 ON THE FORMER CITY SITE OF VANI**

### **Summary**

In 2007 the Vani Archaeological Expedition conducted field work in three sections of the area adjoining the temple complex of the lower terrace of the site, in the trenches dug in the previous years (Pl. I); to the south of the complex (sections 203-204), to the east, at the edge of Sakvabia Ghele, in the area adjoining the end of the ritual ditch (section 169) and at the south-eastern edge of the terrace (sections 202-203).

I. To the south of the temple complex (Pl. II) only small-scale work was carried out in the reported year: the tile embankment was cleaned along the south wall. It's dating will become feasible, as well as determining the stratigraphy of the underlying layers, following excavation of the intact part of the complex.

II. To the east of the temple (Pls III-IV1) the principal work was carried out at the facade of the defensive wall and in the area bounded by walls. The following was brought to light: the end of a wall directed at a right angle to the defensive wall, the angle of crossing of these walls, and their inner facades. Between them yellow clay filling the space between the walls and the adjacent bedrock was cleaned. The area covered with pebbles at the end of an annex at a right angle to the defensive wall, at the top of the yellow clay was cleaned.

Study of the earlier discovered filling of groove in the wall continued. The filling was composed of equal-sized cobble-stones placed horizontally. The cobble-stones lay on approximately 0.3m thick yellow alumina, the latter covering a rectangular structure formed of sandstone slabs. Pre-Hellenistic material was mixed in the yellow alumina.

III. In the reporting year the study of the trench cut in 2005 at the south- western end of the lower terrace of the city site was completed (plots 202-203). The excavation continued down to the bedrock. The most part of the trench area revealed a layer composed of fragments of scorched, disintegrated adobe bricks and tiles, containing material of the Hellenistic period. This layer appears to have been formed as the result of the collapse of the defensive wall. In square a8 of plot 203, outside the outer curtain, and partly beyond it, a pit hewn in the rock came to light (1.20x0.85x0.85m), in which a treasure formed of the following items of iron and bronze was found (Pl. VII-VIII1-2); 2 iron thimiaterions, piles of spearheads and indeterminate objects; a large-size bath-like vessel, 4 andirons, incense burner, 4 lamps, hoops of the legs of a bed (cline).

The treasure must have been buried at the last stage of the existence of the city.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ვანის ნაქალაქარის გენ. გეგმა.

ტაბ. II – ქვედა ტერასა, ნაკვ. 185, 203, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III – ქვედა ტერასა, ნაკვ. 169, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – ქვედა ტერასა, ნაკვ. 169: 1. თხრილის საერთო ხედი; 2. რიყის ქვებით მოგებული ფართობი; 3. ღარი; 4. დეტალი; 5-6. ნაკვ. 203, კვ. a<sub>გ</sub>, დედაქანში ამოკვეთილ ორმოში ჩაფლული განძი, გათხრის სხვადასხვა ეტაპი.

ტაბ. V – ქვედა ტერასა, ნაკვ. 202, კვ. i<sub>ს</sub>, k<sub>ს-გ</sub>, ნაკვ. 203, კვ. a<sub>ს-გ</sub>, b<sub>ს-გ</sub>, c<sub>7-10</sub>, d<sub>ს-გ</sub>; გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები.

ტაბ. VI – ნაკვ. 203, კვ. a<sub>გ</sub>, დედაქანში ამოკვეთილ ორმოში ჩაფლული განძი, გათხრის პირველი ეტაპი. გეგმა.

### DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – General plan of the city site of Vani.

Pl. II – Lower terrace plots 185, 203, plan and sections


Pl. III – Lower terrace, plot 169, plan and sections.

Pl. IV – Lower terrace, plot 169: 1. general view of the trench; 2. area paved with cobble-stones; 3. groove; 4. detail; 5-6. plot 203, sq. a<sub>გ</sub>; the treasure buried in the pit hewn in the bedrock, different stages of the excavations.


Pl. V – Lower terrace, plot 202, i<sub>ს</sub>, k<sub>ს-გ</sub>, plot 203, sq. a<sub>ს-გ</sub>, b<sub>ს-გ</sub>, c<sub>7-10</sub>, d<sub>ს-გ</sub>; plan and sections of the excavated area.


Pl. VI – Plot 203, sq. a<sub>გ</sub>, treasure buried in the pit hewn in the bedrock; first stage of the excavations, plan.





ვანი-ნაკვალავი









1



2



3




4





5



6







0 10cm 1m

დავით ლომიტაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ბესიკი ლორთქიფანიძე, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, მერი ზამთარაძე, თამარ კაპანაძე, იან კოლვინი, ჯეინ ტიმბი, ბენჯამინ ნილი, პოლ ევერილი

## ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის სავალდებულო სამუშაოების ანგარიში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ,<sup>1</sup> არქეოლოგიური სამუშაოები 2007 წლის 1 აგვისტოდან 30 აგვისტომდე სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარის „A“ თხრილზე – უბანი XXX, კვ. F-2 ანარმოა. შესწავლილი იქნა ელინისტური ეპოქის კულტურული ფენებისა და სამაროვნის ერთი მონაკვეთი.

2007 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ საგანმანათლებლო-სატრენინგო პროგრამა რჩებოდა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის. ოთხ ჯგუფად დაყოფილი საერთო რაოდენობა სტუდენტებისა მორიგეობით მეცადინეობებს გადიოდა სავალდებულო არქეოლოგიაში, პრევენციულ კონსერვაციაში, არქეობოტანიკაში (ფლოტაციის მეთოდით მუშაობა) და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნაში (GPS-სადგურების გამოყენება).

**A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში.** 2007 წელს გათხრები A თხრილის მთელ ფართობზე გაგრძელდა. საანგარიშო წელს ელინისტური ნაგებობების ნაშთები და რვა სამარხი გამოვლინდა. გარდა ამისა, თხრილის სამხრეთ კიდეგან შარშან აღმოჩენილი რიყის ქვის ფენა (სავარაუდოდ მოკირწყლული გზა, ქუჩა) აღმოსავლეთით გაგრძელდა. გამოვლენილი ნაწილის საერთო სიგრძე 4.65 მ-ია, მაქსიმალური სიგანე – 0.75 მ. შეიცავს ბრტყელ 10-20 სმ ზომის რიყის ქვებს, რომლებიც სიბრტყეზეა განლაგებული

<sup>1</sup> ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ დ. ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბ. ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ნ. ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), ზ. თვალჭრელიძე (არქეოლოგი), ნ. მურღულია (რაზმის უფროსი), მ. ბოკერია (არქეობოტანიკოსი), მ. მჭედლიშვილი (ასისტენტი), ნ. ძიგუა (ასისტენტი), მ. ზამთარაძე, თ. კაპანაძე – კამერალური სამუშაოები, რ. ყენია (კომპიუტერული უზრუნველყოფა), ი. ქოლვინი (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ბ. ნილი (ბრედფორდის უნივერსიტეტი), პ. ევერილი (საუტკვებოტონის უნივერსიტეტი), ჯ. ტიმბი (არქეოლოგი), სტუდენტები თბილისის სახელმწიფო და ბრიტანეთის უნივერსიტეტებიდან.

მათ ქვეშ წინასწარ მოსწორებულ და დატკეპნილ მინაზე. რიყის ქვების ფენა ალაგ-ალაგ იკარგება. ფენის აღმ. ნაწილში რიყის ქვები დაახლოებით იმავე ზომის კირქვითაა ჩანაცვლებული, თუმცა არ ჩანს როდის, სასიარულო ფენის მოწყობის დროს თუ შემდეგ ეტაპზე – სასიარულო დონის მორიგი რეაბილიტაციის დროს (ტაბ. I<sub>3</sub>).

რიყის ქვის ფენები ნაქალაქარის აღმოსავლეთ ჭიშკრებთან ძალიან ახლოს (ათიოდე მეტრში) ფიქსირდება და აქ გამოვლენილი მცირე რაოდენობის არქეოლოგიური მასალის აბსოლუტური უმრავლესობა ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება, რაც გვაზარაუდებინებს, რომ ეს შესაძლებელია იყოს ქალაქის შესასვლელში მოწყობილი გზის მცირე ფრაგმენტი. აღნიშნული ფენის აღმოსავლეთით გამოვლინდა დამწვარი თიხის ფენა. ის მეტად ლოკალურ ხასიათს ატარებს (65×140 სმ) და აშკარა კავშირშია მის აღმოსავლეთით გამოვლენილ კირიან ფენასთან. ეს ორი ფენაც, გამოვლენილი კერამიკული მასალის მიხედვით IV-VI სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს. კირიანი ფენა მრავლად შეიცავს კლდის ფლეთილ ქვას და მცირე ზომის (1-5 სმ) ქვანარევე კირს, რომელიც ზემოდან ეკვრის კლდის ქვების გროვას. საფიქრებელია, რომ კირი, თიხა და კლდის ფლეთილი ქვები წარმოადგენს სამშენებლო ნარჩენებს, რომლებიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო IV ან V სს-ის გალავნის აშენებისას.

შარშან გამოვლენილი ელინისტური ნაგებობის სამხრეთით წელს გამოჩნდა კიდევ ორი ნაგებობის ნაშთი (ტაბ. I<sub>1,2</sub>). მათგან ერთი პირველი ნაგებობის დროინდელი უნდა იყოს, ხოლო მეორე – ოდნავ ადრინდელი, თუმცა ასევე ელინისტური პერიოდის.

**I სტრუქტურა** 2006 წლის სეზონზე გამოვლინდა. ნაგებობისგან შემორჩენილი კედლების ფრაგმენტები გვარწმუნებს, რომ ის W-E ხაზზე უნდა ყოფილიყო გამართული, ნაგებია უხეშად გათლილი კლდის ფლეთილი ქვით, დულაბის გარეშე. ქვების ზომები 15×20 სმ-დან 60×80 სმ-მდე მერყეობს.

ყველაზე კარგად იკვეთება ნაგებობის სამხრეთი კედელი. მისი სიგრძე 6 მეტრს აღწევს;

კედლის აღმოსავლეთი დაბოლოება ან კუთხე არ იკვეთება. ხოლო დასავლეთ დაბოლოებაზე კედელი 90°-ით უხვევს ჩრდილოეთისკენ და იქვე (40 სმ-ში) წყდება.

ნაგებობის ნაშთის შიდა ფართობზე მიწა მცირე რაოდენობით შეიცავს კირის ნაშალს და დანამცეცებულ გამომწვარ თიხას. ფენაში ამოდის ელინისტური ხანის (ძვ.წ. III-I სს.) სამეურნეო დანიშნულების და სამშენებლო კერამიკა. ნაგებობის საძირკველის ნაშთის ფრაგმენტულობის გამო მისი გეგმა სრულად არ იკითხება.

**II სტრუქტურა** ასევე ელინისტური ხანის ნაგებობის საძირკველს წარმოადგენს. მდებარეობს თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე. გამოვლინდა მხოლოდ ორი – ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლის ნაშთი, ასევე იკვეთება მათი გადაბმის ადგილი. ჩრდილოეთ კედლის გამოვლენილი სიგრძე 4,72 მ-ია, დასავლეთის – 1,95 მ. სამშენებლო მასალად გამოყენებული უხეშად გათლილი კლდის ქვა, მათი ზომები 18×24 სმ-დან 27×40 სმ-მდე მერყეობს. კედლის სისქე სხვადასხვა მონაკვეთებზე 25-დან 30 სმ-მდეა. ჩრდილოეთ კედლის ქვებს ატყვია ძლიერი ცეცხლის კვალი (მათი უმეტესობა განითქვება). ნაგებობის შიგნით გამოვლენილი ფენაში მრავლად გვხვდება დიდი ზომის ლოდები, გამომწვარი თიხის ბათქაშის დიდი ზომის ნამტვრევები (10×15×20 სმ), ასევე ელინისტური ხანის სამშენებლო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკის ფრაგმენტები.

**III სტრუქტურა** გამოვლინდა I და II სტრუქტურებს შორის, დამწვარი თიხის ფენის ქვეშ. ნაგებობის საძირკველი კვადრატული ფორმისაა (გარე ზომები: 2,70×2,70 მ, შიდა ზომები: 2,0×2,0 მ); კედლები სისქე 0,70 მ-ია; მშენებლობისთვის გამოყენებულია კლდის უხეშად გათლილი ქვა; დუღაბი გამოყენებული არ არის; ქვების ზომები 15×16 სმ-დან 42×60 სმ-მდეა. ნაგებობის შიგნით დაფიქსირებული ფენა მუქი ყავისფერია, მიწა მეტად ფხვიერია (დამწვარი), შეიცავს გამომწვარი თიხის, კირქვის და ნახშირის ნარჩენს. ფენაში მცირე რაოდენობით გამოვლინდა ელინისტური პერიოდის კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

სამივე სტრუქტურა ერთი და იგივე ნიშნებით ხასიათდება: სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად გათლილი კირქვა; თითქმის იდენტურია ქვების ზომები; დუღაბის გამოყენება არ ფიქსირდება. ფენებში გვხვდება დამწვარი თიხის ნალესობის ფრაგმენტები. სამივე სტრუქტურაზე გამოვლენილია ქვის წყობის თითო-თითო რიგი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა

ყოფილიყო ნაგებობის საძირკველი, მათზე ხის კონსტრუქციების გასამართად, რომლებიც თავის მხრივ თიხით უნდა ყოფილიყო შელესილი, ამას მოწმობს ფენებში გამოვლენილი დამწვარი თიხის ბათქაშები.

**III სტრუქტურის** კედლები გადის II სტრუქტურის ქვემოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ III სტრუქტურა II სტრუქტურაზე ადრეულია, თუმცა ქრონოლოგიური სხვაობა ძალიან დიდი არ უნდა იყოს, რადგანაც ორივე ნაგებობა ელინისტურ ხანას განეკუთვნება.

როგორც უკვე, ითქვა საანგარიშო წელს 8 სამარხი გაითხარა.

**სამარხი № 0702** აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, გაჭრილია W-E ხაზზე; მიცვალებული ასვენია გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ; ჩონჩხი ეკუთვნოდა მოზარდს; ძვლები მეტად მსხვრევადა და არეული; ჩონჩხის უმეტესი ნაწილი შემორჩენილია. სამარხი უინვენტაროა. გამომდინარე აქედან და ასევე ჩონჩხის ორიენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ სამარხი ადრექრისტიანულ ხანას (IV-VI სს.) განეკუთვნება. სამარხის ზომებია: 0,40×1,30 მ.

განსაკუთრებით საინტერესოა ელინისტური ნაგებობების სიახლოვეს სამი ამფორა-სამარხის აღმოჩენა:

**№ 0701 ამფორასამარხი** ჩაჭრილი იყო დამწვარი თიხის ფენაში. ამფორას აქვს ღია წითელი კეცი, არის ცუდად განლექილი, შეიცავს სხვადასხვა მინარევებს, აქვს ბრტყელგანიკვეთიანი ყურები (ყურები მიძერწილია ყელთან და მხართან), ფართო ყელი, ბორბლისებრი პირი, ძირი მოტეხილი აქვს. ერთ-ერთი ყურის ძირზე შეიმჩნევა თითოთი ჩანეული ორი წრიული ორნამენტი, ყურებს შორის ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას აქვს ამოკანვრით შესრულებული სამთითას ტიპის გრაფიტო. წარმოადგენს კოლხურ ნაწარმს (ტაბ. II).

ამფორა (35×67 სმ) იდო ჰორიზონტალურად, დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, პირით აღმოსავლეთისკენ. გარშემო შემოწყობილი ჰქონდა ვერტიკალურად ჩალაგებული კირქვის თხელი ფრაგმენტები (ტაბ. I<sub>4</sub>).

ამფორაში ჩასვენებული იყო ჩვილი ბავშვი, ჩონჩხის ძვლები იმდენად პატარა იყო, რომ არ მოხერხდა მისი პრეპარაცია. სავარაუდოდ მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ, სახით ჩრდილოეთისკენ. სამარხში ამფორის გარდა სხვა ინვენტარი არ მოვლენილა.

**№ 0706 ამფორა სამარხი** ჩაჭრილია 174-ფენაში. ამფორა ღია ნითელი შეფერილობისაა, კეცი შეიცავს სხვადასხვა მინერალებს გამყარებისთვის. აქვს ოვალურ განივკვეთიანი ყურები (ყურები მიძერწილია ყელთან და მხართან), ფართო ყელი, ბორბლისებრი პირი, ძირი მოტეხილი აქვს. ორივე ყურის ძირზე შეიმჩნევა თითისებური ანაბეჭდი. ერთ-ერთ ყურთან, ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას ამოკანრულია ისრისპირისებური ნიშანი, რომელსაც ღერძზე გადაჯვარედინებული აქვს მეორე ხაზი (ტაბ. II<sub>2</sub>). ეს ამფორაც ტიპიურ კოლხურ ნაწარმს წარმოადგენს. ამფორა იდო ჰორიზონტალურად, W-E ხაზზე, პირით აღმოსავლეთისკენ (ტაბ. I<sub>2</sub>)

ამფორაში ესვენა ბავშვი W-E ხაზზე, თავით აღმოსავლეთისკენ ანუ ამფორის პირისკენ. ჩონჩხის ძვლები მეტად მსხვრევადაა და არეული, ამიტომ არ დგინდება თუ როგორ პოზიციაში ესვენა მიცვალებული. საერთო მონაცემებით ეს სამარხი № 0701 სამარხის იდენტურია.

**№ 0707 ამფორასამარხი** გამოვლინდა თხრილის ჩრდილოეთ კიდეტან. ამფორა ნარინჯისფერი შეფერილობისაა. ყურები მოტეხილი და დაკარგული აქვს, თუმცა ყელზე ჩანს ყურის მიძერწვის ადგილი. აქვს განიერი ყელი, პირი გარეთ არის გამობურცული და აქვს ბორბლისებრი ფორმა. ამფორის ტანს მრგვალი ფორმა აქვს, ხოლო წელისკენ ვიწროვდება და ოდნავ შეზნექილია (ტაბ. II<sub>3</sub>). ამფორა იდო ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისკენ (ტაბ. I<sub>3</sub>).

ამფორაში მცირე წლოვანი ბავშვი ესვენა. ჩონჩხის უმეტესი ნაწილი სამარხში არ შემორჩენილა. ძვლების მდებარეობის მიხედვით მაინც დგინდება მიცვალებულის დაკრძალვის წესი: ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. თავით აღმოსავლეთისკენ, სახით ჩრდილოეთისკენ. ამფორა-სამარხს გარშემო შემოლაგებული ჰქონდა კლდის ქვები.

ამ ამფორების ანალოგების ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით არის დათარიღებული. ისინი ძირითადად იმეორებენ სინოპური ამფორების ფორმებს. ცნობილია, რომ ძვ.წ. IV საუკუნეში კოლხეთში შემოსვლას იწყებს სინოპური ნაწარმი. ხოლო ძვ.წ. IV ს. შუა ხანებიდან იწყება კოლხური ამფორების წარმოებაც სინოპური ნიმუშების მიბაძვით. ძვ.წ. III-II სს.-ში კოლხური ამფორები უკვე კარგავს მათთან მსგავსებას და იღებენ უფრო ორიგინალურ სახეს. კორპუსი ოდნავ გრძელდება, ყელი მოკლდება და მასზე ჩნდება მცირე შებერილობა. შეიმჩნევა წელში გამოყვანის ნიშნები, მათი

კეცი უფრო თხელია, ძირზე შიგნიდან სპირალური ხვიაა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ადრეული (ძვ.წ. III-II სს.) წელში გამოყვანილი ამფორები დაფიქსირებულია ზემოფარცხმაში. მათ ანალოგიები ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ კოლხურ ამფორებშიც ეძებნებათ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი ნიმუშებიც ძვ.წ. III-II სს. ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

ზემოთ განხილული სამი ამფორასამარხის გარდა 2007 წელს თხრილში ელინისტური ხანის კიდეც 4 სამარხი გამოვლინდა.

**№ 0703 სამარხი** გამოვლინდა ელინისტური ნაგებობის (III სტრუქტურის) აღმოსავლეთით. სამარხი ძლიერ არის დაზიანებული და არ იკითხება მისი ფორმები და ორიენტაცია. გამოვლენილი რამდენიმე ძვლის მიხედვით გამოითქვა ვარაუდი, რომ სამარხი შესაძლოა კრემაციულია და ეკუთვნოდა ჩვილს. რაიმე სახის ინვენტარი არ გამოვლენილა.

**№ 0704 სამარხი** ასევე ცუდად არის შემორჩენილი. ჩონჩხის ძვლებს ძლიერი ცეცხლის კვალი ატყვია (არის მეტად მყიფე და გათეთრებული), რაც გვაფიქრებინებს, რომ სამარხი კრემაციულია. ძვლების სიმცირის გამო, ჭირს სამარხის ფორმების დადგენა, მიცვალებული სავარაუდოდ ესვენა E-W მიმართულებით, თავით აღმოსავლეთისკენ. გამოვლენილი მკლავის ძვლის ზომის მიხედვით, სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა. სამარხს შემონყობილი ჰქონდა კლდის ქვები; სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან სამარხს შემოუყვება დამწვარი და გამოფიტული თიხის ბათქაში (ტაბ. I<sub>4</sub>). შესაძლოა, სამარხის ერთი მხარე თიხით იყო შელესილი. მიცვალებულს მკლავზე ეკეთა ბრინჯაოს პირგახსნილი სამაჯური, რომელსაც დაბოლოებებზე ორნამენტი ჰქონდა დატანილი – გველის თავების მინაბაძი. გარდა ამისა, სამარხის ნაყარში აღმოჩნდა ერთი ცალი მინის მძივი და ნითლად გამომწვარი და ცუდად განლექილი თიხის ქოთანი (ტაბ. II<sub>4</sub>). ისევე, როგორც ბრინჯაოს სამაჯური, ქოთანიც ელინისტური ხანის ნაწარმს განეკუთვნება და შესაბამისად სამარხიც ზოგადად ელინისტური ხანით თარიღდება.

**№ 0705 სამარხი** ასევე ელინისტური პერიოდისა უნდა იყოს. ინვენტარის არქონის გამო სამარხი დათარიღდა ჩონჩხის ორიენტაციის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ჩონჩხის შემორჩენილი ძვლები არეულია (თავის ქალასთან გვხვდება მენჯის ძვლები), მაინც დგინდება, რომ მიცვალებული ესვენა ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით



დასავლეთისკენ, სახით სამხრეთისკენ. გამოვლენილი ძვლების ზომების მიხედვით დგინდება, რომ სამარხი ეკუთვნოდა ბავშვს. ჭრილის გარშემო წრიულად შემონწყობილი იყო მცირე ზომის კლდის ქვები. ჭრილის ზომები: 27x53 სმ.

**0708 სამარხი** 2007 წლის სეზონის ბოლო დღეებში გამოვლინდა. ჩონჩხი ძალიან კარგად არის შემონახული. სამარხი ორიენტურებულია W-E ღერძზე; მიცვალებული ასვენია მარჯვენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში; თავით აღმოსავლეთისკენ, სახით ჩრდილოეთისკენ; მიცვალებულს მარჯვენა მტევანი ედო მკერდზე, მარცხენა – წელზე; ჩონჩხის სიგრძე 1.75 მ-ია; სამარხის ჭრილის სიგრძეა 1.80 მ; სიგანე – 0.50 მ; შემონწყობილი აქვს სხვადასხვა ზომის კირქვის ქვები (ტაბ. I<sub>გ</sub>).

სამარხში სხვადასხვა სახის ინვენტარი აღმოჩნდა: მიცვალებულის თავის ქალასთან სამხრეთი მხრიდან შემონწყობილი ჰქონდა მცირე, რუხი შეფერილობის ქოთანის და წითელი ფერის ჭინჭილა; მიცვალებულის ყბის ქვეშ იდო შავი ფერის მოგრძო პასტის მძივი, თეთრი ზოლით; ხელებზე ეკეთა ბრინჯაოს 3-3 სამაჯური, გახსნილი ბოლოებითა და გველის თავების სტილიზებული გამოსახულებიანი დაბოლოებებით; ჩონჩხის ალაგების შემდეგ გამოვლინდა ბრინჯაოს რომბისებური ფორმის ორი საყურე და ბეჭედი. ასევე მრავლად აღმოჩნდა პასტის სხვადასხვა შეფერილობის მძივები (ტაბ. II<sub>ა</sub>). გამოვლენილი მასალისა და დაკრძალვის წესის გათვალისწინებით სამარხი ელინისტური პერიოდით დათარიღდა.

### პალეობოტანიკური კვლევები.

2007 წლის აგვისტოში არქეოლოგიური ექსპედიციისას აღებული მასალა სავსე პირობებშივე დამუშავდა (აღებული სინჯები ჩვეულებრივ 3 სხვადასხვა სიხშირის 4 მმ, 1 მმ და 0,5 მმ საცერებზე ირეცხებოდა).

განამარხებული კარპოლოგიური მასალა რაოდენობრივი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი სახეობრივი სპექტრი მივიღეთ. ახალმა შედეგებმა 2006-2007 წლებში I და IV თხრილებიდან გამოვლენილ მცენარეთა სია მნიშვნელოვნად შეავსო. თხრილიდან 26 ნიმუში გამოვიკვლიეთ. მიღებული შედეგები III ტაბულაში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი. გამოვლინდა 25-მდე სახეობის განამარხებულ მცენარეთა კარბონიზებული თესლები და ნაყოფები. სახეობრივი შემადგენლობით შედარებით მრავალრიცხოვანია მარცვლოვანთა და პარკოსანთა ოჯახების წარ-

მომადგენლები. ნამარხი კარპოლოგიური კომპლექსი ველური და კულტურული სახეობითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV).

მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია ხორბლის 4 სახეობა: *Triticum monococcum*, *Triticum dicoccum*, *Triticum timofeevii*, *Triticum aestivum*, *qeris* – *Hordeum vulgare subsp. distichon* განამარხებული ნაშთები. შესწავლილ ნიმუშებში ხორბლის სახეობებიდან დომინანტობს ორი სახეობა: *Triticum dicoccum* – ასლი და *Triticum aestivum* – რბილი ხორბალი.

შესწავლილი სახეობებიდან თავთავიანი მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანია ფეტვის – *Panicum miliaceum L.* და ღომის – *Setaria italica (L.) P.B.* კარბონიზებული თესლების არსებობა, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ ფეტვანიანი ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გამოყენებული კულტურა იყო დასავლეთ საქართველოში. ნიმუშებში განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი ფეტვის კარბონიზებული ნაყოფები.

კულტურულ პარკოსან მცენარეებიდან გამოვლინდა *Vicia faba* – ცერცვი, *Lens culinaris* – ოსპი, *Pisum sativum L.* – ბარდა. მნიშვნელოვანია *Vicia ervilia L.* უგრეხელის კარბონიზებული თესლების გამოვლენა. ეს მცენარეც, ისევე როგორც ოსპი, ცერცვი და ბარდა დომესტიკაციის პირველი ეტაპიდანვე ცნობილია, როგორც გაკულტურებული სახეობა. იყენებდნენ საკვებად, ასევე საქონლის გამოსაკვებად. ზოგიერთ სინჯში დომინირებს ასევე ერთ-ერთი უძველესი საკვები კულტურა *Lathyrus sativus* – ცულისპირა. ეთნობოტანიკური მონაცემებით დასავლეთ საქართველოში პარკოსან კულტურებს ძველი დროიდანვე ფართო გამოყენება ჰქონდა, უპირატესობა განსაკუთრებით ცერცვს – როგორც ტენის მოყვარულ მცენარეს ენიჭებოდა.

კულტურული მცენარეთა შორის მნიშვნელოვანია ვაზის *Vitis vinifera*, კაკლის *Juglans regia-s* ნიმუშები, სამეურნეო მნიშვნელობის – კოლხური სელის *Linum bienne-s* დანახშირებულ ნაყოფთა ნარჩენები. გამოკვლეულ ნიმუშებში კულტურული მარცვლეულ და პარკოსან მცენარეების თესლებთან ერთად გვხვდება ზემოთაღნიშნულ კულტურებისთვის დამახასიათებელი თანმდევი სარეველა მცენარეთა თესლები. ნამარხი კარპოლოგიური კომპლექსი წარმოდგენილია სეგეტალური, რუდერალური და ბუნებრივი სავარგულების სარეველა სახეობებით: მაგ. *Vicia hirsuta Gray* – მარცვლოვნებისა და პარკოსანი კულტურის სარეველაა, გვხვდება გზისპირებსა და



ბუჩქნარებში. *Lolium remotum* L. – ღვარძლი – ერთწლოვანი, სელის თანმდევი მცენარეა, გვხვდება აგრეთვე ხორბლეულს და ჭვავის ნათესებში.

რუდერალურ მცენარეებიდან აღსანიშნავია *Chenopodium album* L. ნაცარქათამა, რომელიც ერთწლოვანი მცენარეა და ბუჩქნარებსა და გზისპირებზე იზრდება. ეთნობოტანიკური მონაცემებით წარსულში საკვებად ფართოდ გამოიყენებოდა. *Polygonum hidropiper* L. – ნალიკა განსაკუთრებით იზრდება: ტენიან ადგილებში, მდელოებზე, მდინარისპირებზე. გვხვდება მარცვლეულთა – ხორბლის, ქერის, ჭვავისა და შვრიის ნათესებში.

განამარხებულ კარპოლოგიურ კომპლექსში კულტურულ მცენარეების – როგორც საკვები რაციონის ძირითადი კომპონენტების გამოვლენა, შესწავლილ ნიმუშებში ნათესების სარეველათა თუ რუდერალური მცენარეთა თესლების არსებობა ადამიანთა აქტიურ სამეურნეო და ყოფით საქმიანობაზე მეტყველებს. მოსახლეობა მარცვლეულ და პარკოსან კულტურებთან ერთად კოლხური სელის მოყვანასაც მისდევდა.

შესწავლილი მასალაში ბალახოვანი საფარის შემქმნელი მცენარეთა უმრავლესობა ეკოლოგიურად ტენიან ადგილსამყოფელთან დაკავშირებული სახეობებია, ძირითადად სეგეტალური და რუდერალური მცენარეებია, მათი გამოვლენა ანტროპოგენული ზემოქმედების შედეგია და უძველესი ნასახლარებისთვისაა ტიპური.

### **2007 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია.**

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2007 წლის სეზონზე მოპოვებული მასალა თითქმის მთლიანად 2007 წელს ნოქალაქევის ბაზაზე დაარსებულ საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში იქნა დამუშავებული.

**კერამიკა.** კერამიკული მასალა ადგილზევე იქნა განმედილი. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ჩვენამდე ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია.

ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის, რაც თიხის ხარისხსა და გამოწვის ხასიათსა და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ძირითადად ფრაგმენტები ბაცი ყავისფერი, წითელი ან შავია. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც. კერამიკული მასალის დიდი ნაწილი, რომელიც ნოქალაქევი იქნა გარეცხილი, გამშრალი და გატარებული დატოვებულ იქნა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის

ფონდში.

დანარჩენი კერამიკული მასალა სხვა განათხზარ – ლითონის, მინის, ძვლის ნივთებთან და ადამიანის ძვლოვან მასალასთან ერთად ნოქალაქევის ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში იქნა ჩაბარებული.

განათხზარი კერამიკული მასალიდან სრულად აღდგა რამდენიმე ჭურჭელი: 3 ამფორა, ჭინჭილა, ქოთანის, ქოთანის ძირი და სხვ.

**ლითონი.** 2007 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილია რკინის, ბრინჯაოს და ტყვიის ნივთები. ბრინჯაო მინით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და პატინით იყო დაფარული. რკინის ნივთები რკინის ჟანგეულებით, მინითა და სხვადასხვა მექანიკური ნადებით იყო დაფარული. ამდენად საჭირო მასალის დამუშავება და შემდგომი კონსერვაცია გახდა საჭირო. ძირითადად, ყველა ნივთი დღეს მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მექანიკური წმენდის მეთოდებით იქნა განმედილი.

ბოლოს კონსერვირებული ნივთები აღმოჩენების პირველადი დახმარების მეთოდებით შეიფუთა და სპეციალურ ყუთში იქნა მოთავსებული, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე, რომლის კონტროლიც სილიკაგელისა და ინდიკატორული ბარათის დახმარებით ხორციელდებოდა.

ბრინჯაოს ნივთებიდან რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა: სპილენძის მონეტას, საყურეებს 2 ც., სპილენძის ნივთების ფრაგმენტებს 4 ც.; ბრინჯაოს სამაჯურებს 7 ც., ტყვიის სუდარის შესაკრავს, რკინის ნივთებს 3 ც.

**მინა.** მინის მასალა მძივების სახით უხვად იყო წარმოდგენილი. მინა ირიზირებული გახლდათ. სულ გაინმინდა და რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა 568 ც. მძივს და 5 ც. მინის ჭურჭლის ფრაგმენტს.

ნოქალაქევის ექსპედიციის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში 2007 წელს ჩატარდა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის 15 ექსპონატის რესტავრაცია.

ნოქალაქევის მუზეუმის ფონდსა და ექსპონატიციაზე სარესტავრაციო-საკონსერვაციოდ შერჩეულ იქნა:

1. რკინის – 5 ც. ისრისპირი, 2 ც. დანა, შუბისპირი, შუბი, ცული, წალდი, ლურსმანი, კარიბჭის კარის ქუსლი

2. ბრინჯაოსი – შუბლის შესაკრავი, სადგისი.  
**საზაფხულო ტრენინგები.** ექსპედიციის

ფინანსური მხარდაჭერით 2007 წლის ზაფხულში ნოქალაქევის ლაბორატორიაში საველე და საკონსერვაციო-სარესტავრაციო პრაქტიკა გაიარეს სამხატვრო აკადემიის მცირე ხელოვნების რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის მაგისტრებმა. მათი თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული სამუშაოები აწარმოეს არქეოლოგიური აღმოჩენების პირველად დახმარებაზე, შეფუთვასა და კამერალურ დამუშავებაზე. გარდა ამისა უფროსი რესტავრატორის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს

ნოქალაქევის მუზეუმის ბრინჯაოს, რკინისა და კერამიკული ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციაში.

მათ მიერ იქნა შედგენილი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ნარმოების დოკუმენტაციის ნაწილი.

ქართველ სტუდენტებთან ერთად განერილი გეგმის მიხედვით ტრენინგები ჩაუტარდათ ინგლისელ სტუდენტებსაც.

**D. Lomitashvili, Z. Tvalchrelidze, B. Lordkipanidze, N. Kebuladze, N. Murghulia, M. Bokeria, M. Zamtaradze, T. Kapanadze, I. Colvin, P. Everill, J. Timby, B. Neil**

## **REPORT ON THE FIELD WORK IN 2007 BY THE NOKALAKEVI ARCHAEOLOGICAL EXPEDITION**

### Summary

The joint Georgian-British Nokalakevi Archaeological Expedition of the National Museum of Georgia carried on archaeological work on 1-30 August, 2007 on trench "A", plot xxx, square F2 on the city side of Nokalakevi, Senaki municipality. One section of Hellenistic period cultural layers, the former settlement site and burial ground were studied.

Educational- training programmer for Georgian and foreign students still remained the main priority of the 2007 archaeological work. The students were offered classes in field archaeology, preventive conservation, archaeobotany (work by the floatation method) and knowledge of modern technologies (use of GPS stations).

South of the Hellenistic structure, brought to light last year, remnants of two more structures came to light (one row of foundation built of split stone) (Pl. 11,2). The first of these must be synchronous with the structure, and the other slightly earlier – also Hellenistic.

Eight burials were excavated in this year's season. Of these 1 is Christian (4th-6th cc.), and 7 of the Hellenistic period (3rd-2nd cc. BC). 2 of these are amphora burials, 2 cremation pit-burials and 2 pit burials with the diseased in crouched posture. In one of them various grave goods were found: a pot of grey hue and a red drinking vessel; 6 bronze bracelets, two earrings and a finger-ring, paste beads of various hues.

Twenty-six soil samples were taken from trench A for palaeobotanic studies. Carbonized seeds and fruits of up to 25 fossilized plant species were identified.

The material obtained was studied in the field-conservation laboratory at the Nokalakevi base.

In treating the finds use was made of methods and materials employed in modern world restoration practice. Several vessels were restored: 3 amphoras, the drinking vessel, pot and its base; of the bronze items restoration-conservation was done for: a copper coin, 2 earrings, 4 fragments of copper items, 7 bronze bracelets, a lead fastener for a shroud, 3 iron items; 561 paste beads and 5 fragments of glass vessel were restored and conserved.

## ტაბულაციის აღწერილობა

ტაბ. I – ელინისტური ხანის ნაგებობები: სტრუქტურები I-III; 2. თხრილის გეგმა 2007 წლის სეზონის ბოლოს; 3. რიყის ქვის სასიარულო ფენა, „ქუჩა“; 4. ამფორასამარხი № 0701; 5. ამფორასამარხი № 0706; 6. ამფორასამარხი № 0707; 7. სამარხი № 0704; 8. სამარხი № 0708.

ტაბ. II – 1-3. სამარხების ამფორები რესტავრაციის შემდეგ; 4. № 0708 სამარხის ინვენტარი რესტავრაციის შემდეგ; 5. № 0704 სამარხის ინვენტარი რესტავრაციის შემდეგ; 6-7. ფენიდან მომდინარე მასალა; 7. სალესი ქვა; 8. შემთხვევითი მონაპოვარი სამეფო აბანოსთან.

ტაბ. III – განამარხებულ მცენარეთა სია

ტაბ. IV – განამარხებულ მცენარეთა ფოტოები.

## DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Hellenistic buildings, structures I-III; Hellenistic period structures: I-III; 2. Plan of the trench at the end of the 2007 season; 3. Cobblestone layer for walking, "street"; 4. Amphora burial № 0701; 5. Amphora burial № 0706; 6. Amphora burial № 0707; 7. Burial № 0708.

Pl. II – 1-3. Burial amphoras after restoration; 4. Grave goods of burial № 0708 after restoration; 5. Grave goods of 0704 after restoration; 6-7 material from the layer; 7. Grinding stone; 8. A casual find near the bath.

Pl. III – List of fossilized plants.

Pl. IV – photos of fossilized plants.


### A თხრილში გამოვლენილი მასალის სია:

№№	აღწერილობა	სიღრმე	კოორდინ.
1	სპილენძის ნივთის ფრაგმენტი	-3.58 მ.	105.005/205.200
2	სპილენძის მონეტა	-3.97 მ.	99.3/201.2
3	რკინის ლურსმანი	-3.53 მ.	96.65/209.80
4	მინის ჭურჭლის ფრაგმენტი	-3.53 მ.	96.20/207.60
5	ბრინჯაოს სამაჯური	-3.66 მ.	205.75/100.12
6	მინის მძივი	-3.68 მ.	100.0/205.75
7	სალესი ქვა	-3.40 მ.	103.75/210.08
8	ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი	-3.32 მ.	106.25/212.4
9	ბრინჯაოს საყურე	-3.62 მ.	99.05/207.15
10	სპილენძის ოთხკუთხა განივკვეთიანი ნივთი	-3.63 მ.	98.75/207.20
11	ტყვიის ნივთი	-3.69 მ.	99.25/207.20
12	პასტის 2 ცალი მძივი	-3.74 მ.	100.70/206.70
13	ნახშირი ჩ14-სთვის	-3.74 მ.	102.3/205.44
14	რკინის ლურსმანი	-3.45 მ.	96.0/212.40
15	რკინის ლურსმანი	-3.74 მ.	101.45/201.10
16	ბრინჯაოს საკინძი	-3.74 მ.	99.80/206.60
17	სპილენძის ნაჭერი	-3.72 მ.	99.25/206.80
18	თიხის ქოთანის	-3.65 მ.	100.40/206.60
19	თიხის ჭინჭილა	-3.66 მ.	100.40/206.65
20	პასტის შავი მძივი	-3.73 მ.	100.35/206.75
21	ბრინჯაოს 3 ც. სამაჯური ჩონჩხის (227) მარჯვენა ხელზე	-3.72 მ.	100.10/206.80
22	ბრინჯაოს 3 ც. სამაჯური ჩონჩხის (227) მარცხენა ხელზე	-3.74 მ.	100.00/206.25
23	ბრინჯაოს საყურე	-3.69 მ.	100.50/206.75
24	ლურჯი მინის მძივი	-3.68 მ.	100.45/206.68
25	პასტის და მინის მძივები (ყელსაბამი)	-3.73 მ.	100.35/206.75
26	ბრინჯაოს ფრაგმენტები	-3.70 მ.	100.40/206.50
27	ბრინჯაოს ბეჭედი	-3.76 მ.	100.40/206.88
28	მინის მძივი	-3.76 მ.	100.34/206.65






1



2



3




4



5




6



7















8





მცენარის ლათინური სახელწოდება – მცენარის ქართული სახელწოდება
<i>Caryophyllaceae</i> – მიხაკისებურნი
<i>Spergularia cegetalis</i> – სპერგულა
<i>Chenopodiaceae</i> – ნაცარქათამასებრნი
<i>Chenopodium album</i> – ნაცარქათამა
<i>Cyperaceae</i> – ისლისებრნი
<i>Carex panicea</i> – ისლი
<i>Fabaceae</i> – პარკოსნები
<i>Lathyrus sativus</i> – ცულისპირა
<i>Lens culinaris</i> – ოსპი
<i>Pisum sativum</i> – ბარდა
<i>Vicia ervilia</i> – უგრესელი
<i>Vicia faba</i> – ცერცვი
<i>Vicia hirsuta</i> – ბენვიანი ცერცველა
<i>Trifolium/Lotus type</i>
<i>Juglandaceae</i> – კაკლისებრნი
<i>Juglans regia</i> – კაკალი
<i>Linaceae</i> – სელისებრნი
<i>Linum bienne</i> – კოლხური სელი
<i>Malvaceae</i> – ტუხტისებრნი
<i>Althea officinalis</i> – ტუხტი
<i>Oxalidaceae</i> – მჟაველასებრნი
<i>Oxalis stricta</i> – მჟაველა
<i>Plantaginaceae</i> – მრავალძარღვასებრნი
<i>Veronica sp.</i> – ჩალანდარი
<i>Poaceae</i> – მარცვლოვნები
<i>Dechampsia caespitosa</i> – მახრჩობელი
<i>Echinichloa frumentacea?</i> – ურისი
<i>Eleusine coragana</i> – დაგუსა
<i>Hordeum distichon</i> – ქერი
<i>Lolium remosum</i> – ნამკალა
<i>Panicum capillare</i> – თმისებრი ფეტვი
<i>Panicum miliaceum</i> – ფეტვი
<i>Setaria italica</i> – ღომი
<i>Triticum aestivum</i> – რბილი ხორბალი
<i>Triticum dicoccum</i> – ასლი
<i>Triticum monococcum</i> – ზანდური
<i>Triticum timofeevii</i> – ტიმოფეევის ზანდური
<i>Polygonaceae</i> – მათიტელასებრნი
<i>Polygonum hidropiper</i> – წალიკა
<i>Rosaceae</i> – ვარდისებრნი
<i>Sorbus sp.</i> – ცირცელი
<i>Salicaceae</i> – ტირიფისებრნი
<i>Sambucus ebulus</i> – ანწლი
<i>Vitaceae</i> – ვაზისებრნი
<i>Vitis vinifera</i> – კულტურული ვაზი
<i>Vitis sylvestris</i> – ველური ვაზი

 <p>2 mm</p> <p><b>Vitis sylvestris</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Vitis sylvestris</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Vitis vinifera</b></p>
 <p>2 mm</p> <p><b>Triticum aestivum</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Triticum monococcum</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Triticum timofeevi</b></p>
 <p>2 mm</p> <p><b>Hordeum vulgare ssp. distichon</b></p>	 <p><b>Panicum milliaceum</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Linum bienne</b></p>
 <p>2 mm</p> <p><b>Lathyrus sativus</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Lens culinaris</b></p>	 <p>2 mm</p> <p><b>Chenopodium album</b></p>

## გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის კვლევა-ძიების შედეგები

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე გონიო-აფსაროსი (222×195 მ), მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭოროხის შესართავის მარცხენა ნაპირზე, სოფ. გონიოს ტერიტორიაზე (ტაბ. I<sub>1</sub>).

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიცია 2007 წელს საველე კვლევა-ძიებას აწარმოებდა სამ უბანზე: ციხის შიგნით სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე (ტაბ. I<sub>2</sub>), ე.წ. „აბანოთუბნის“ მონაკვეთზე (ტაბ. II<sub>1</sub>) და ციხის ჩრდილოეთი გალავნის კედლის გარეთ (ტაბ. III<sub>1</sub>).

ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე შესწავლილ იქნა დაახლ. 400 კვმ ფართობი (ტაბ. I<sub>2</sub>). გათხრების შედეგად გამოვლინდა გვიანდელი (XVI-XIX სს.) და ადრეული შუასაუკუნეების (VI-VII სს.), აგრეთვე გვიანანტიკური (I-III სს.) ხანის კულტურული ფენები. გვიანანტიკური ხანის ფენაში გამოიყო ორი სამშენებლო დონე: პირველი წარმოადგენს მოზრდილი ნაგებობის ნაშთს (ახ.წ. I ს-ის 30-ანი წლები), რომელიც ხანძრის შედეგად არის განადგურებული; მეორე წარმოადგენს I სამშენებლო დონის ნიველირებისა და ზემოდან ახალი, უფრო მცირე ნაგებობისათვის (ახ.წ. II ს.) 20-25 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ქვიშითა და თიხით შექმნილ ფენას. აღნიშნული სამშენებლო დონეები შემდგომში ჩაუჭრია გალავნის კედლებს.

გვიანანტიკური ხანის ფენაში გვხვდება სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევები (ტაბ. I<sub>2</sub>). შენობათა უმრავლესობის ზედა ნაწილი ხისაა, რომლებიც ეფუძნებოდა ქვის საძირკვლებს. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა დიდი ნაგებობის ნაშთები (ტაბ. I<sub>2</sub>). შედარებით კარგადაა შემონახული ამ ნაგებობის საძირკვლის აღმოსავლეთი ნაწილი. ჩანს, საძირკვლის გასამართად წინასწარ ამზადებდნენ საამშენებლო ფართს. თიხატყეპნილზე 10-15 სმ სისქის ქვიშის მოყრის შემდეგ, ზედ ალაგებდნენ საშუალო და მოზრდილი ზომის ბაზალტისა და ალაგ-ალაგ რიყის ქვებს. ამჟამად შემორჩენილია ქვების ერთი რიგი. ხის შენობის ბოძებისათვის კუთხეებში დატანებულია კარგად გათლილი

ქვის ბაზები (ზომები: 52×46 სმ; 45×38 სმ; 28×32 სმ). ნაგებობის გეგმის სრულად წარმოდგენა შესაძლებელი იქნება სამუშაოების დასრულების შემდეგ. ნაგებობას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა ორი რიგი ქვის წყობისა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყო სანიაღვრე არხად. შემორჩენილია მისი ნაწილი როგორც ციხის გარეთ, ისე შიდა ტერიტორიაზე. არხის სიგანეა 35-40 სმ. ციხის შიგნით შემორჩენილი ნაწილის სიგრძეა 7,7 მ. დანარჩენი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცევა.

აღნიშნული ნაგებობის დონეზე მოპოვებული განათხარი მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ადგილობრივი თუ იმპორტული კერამიკული ნაწარმით, ქვისა და რკინის ნივთებით და ა.შ.

ადგილობრივი კერამიკიდან გამოიყოფა ყავისფერკეციანი წელშეზნექილი ამფორების ნატეხები (№№ 113, 132, 162, 245). ამგვარი ამფორები რაოდენობრივად გონიო-აფსაროსის ამფორებს შორის წამყვანი ფორმაა [ხალვაში 2002: 24-25].

იმპორტულ ამფორათა შორის მოპოვებულია: 1. იტალიკური, ქიმისებრშვერილიან ამფორათა ფრაგმენტები (№ 429). ამ ტიპის ამფორები ძვ.წ. I და ახ.წ. I ს-ში ფართოდ იყო გავრცელებული და არსებობას განაგრძობენ ახ.წ. II ს-ის დასაწყისშიც [ხალვაში 2002: 24-25. ლიტ. იხ. იქვე]; 2. ორმაგყურიანი, კოსური ამფორის ფრაგმენტები (№ 446); ძვ.წ. I ს-ში და ახ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში ამგვარი ამფორები გავრცელებული ჩანს, აღმოსავლეთ და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. აფსაროსის ორმაგყურიანი ამფორები ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ს განეკუთვნება [ხალვაში 2002: 21-23]; 3. ე.წ. ძაბრისებრპირიანი ამფორები რამდენიმე ვარიანტად იყოფიან და თანმხლები მასალების მიხედვით ახ.წ. I ს-ის დასასრულითა და II ს-ით თარიღდებიან. მათ პარალელები ეძებნება შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის არაერთ ძეგლზე [ხალვაში 2002: 34-35, ლიტ. იხ. იქვე]. 4. ვინროყელიანი ამფორების პირ-ყელისა და ყურის ნატეხები (№№ 162, 439. ტაბ. II<sub>2</sub>). ამგვარი ამფორები I-IV სს-ში ფართოდ იყო გავრცელებული.

ბული რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინცი-ებში. მათთვის დამახასიათებელია ვინრო ლილ-ვისებური პირი. აქვთ მკვეთრად პროფილირე-ბული ყურები. აფსაროსის აღნიშნული ნიმუშები I-II სს-ით თარიღდება.

იმპორტულ ნაწარმს შორის ცალკე გამო-იყოფა დათარიღებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო, წითელლაკიანი კერამიკა: ჯა-მის ფრაგმენტი (№ 136 ტაბ. II<sub>3</sub>), რომლზეც ცრუ ყურია დაძერწილი. მსგავსი მასალა ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძეგლებიდან [ებ-რალიძე 2005: 34-35. ლიტ. იხ. იქვე]. ანალოგიუ-რი ჭურჭლები აფსაროსში ნაპოვნია კარგად და-თარიღებულ კულტურულ ფენაში, იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) სპილენძის მონეტებთან ერ-თად. გათხრებისას მოპოვებულია აგრეთვე ჯა-მების (№№ 26, 27, 91, 100, 366), ლანგრების (№№ 25, 31, 323), კოჭობის (№ 111) და სხვ. ჭურჭლების ფრაგმენტები. ანალოგიური მასალები აფსარო-სის ახ. წ. I ს-ის მიწურულისა და II ს-ის კულტუ-რულ ფენებში გვხვდება.

წითელლაკიანი კერამიკიდან გვხვდება სხვა-დასხვა ტიპის ჯამების (№№ 344, 320), თეფშის (№ 336. ტაბ. II<sub>4</sub>), კოჭობის (413, ტაბ. II<sub>5</sub>) და სხვ. ფრაგმენტები. მათ პარალელები ეძებნებათ ქერ-სონესის, მირმეკიონის [Книпович 1952: 289-327], კიზ-აულის [Гайдукевич 1959: 154-239] და სხვა ანტიკური ხანის ნაქალაქარებსა და ნამოსახლა-რებზე აღმოჩენილ თანადროულ მასალებში. წი-თელლაკიანი ჭრაქებიდან (№№ 178, 429. ტაბ. II<sub>6,7</sub>) ერთზე ეროტის გამოსახულებაა. მსგავსი გამო-სახულების მქონე ჭრაქები საქართველოს ტე-რიტორიაზე მხოლოდ აფსაროსშია აღმოჩენილი [ებრალიძე 2005: 62-63. სურ. 44]. სხვაგან კი ფარ-თოდაა გავრცელებული - ქერსონესში, ათენის აგორაზე, ტარსუსის, კართაგენის [ენეაუვე 1969: 81, ტაბ. 936], პერგამონის [ეიმერლ 2001: 57-61], ვინდონიზას [ოესცჰკე 1919: 219, ტაბ. V<sub>22</sub>], კარ-ნინტუმის [ლრამ-შტერნ 1989: 356-358] და სხვ. ძეგლების კულტურულ ფენებში, სადაც ისინი ახ.წ. I ს-ის ბოლო ხანებითა - II ს-ის პირველ ნა-ხევრით თარიღდებიან.

მინის ნაწარმიდან წარმოდგენილია: ვერტი-კალურნიბოიანი ფიალის (№№ 114, 375, 423, 461); ოთხნახნაგა ჭურჭლების ე.წ. კუბიკოსების (№№ 20, 260) ფრაგმენტები; სასმისის ძირები (№№ 261, 390, 435); მინის სანელსაცხებლები (№№ 194, 220); ლანგარი (№ 39) და სხვა მინის ნაწარმი თარიღდება ახ.წ. I-II სს-ით.

კულტურულ ფენაში მრავლად იყო წარმოდ-გენილი სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები.

მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია, მინარევები-ანი; კეცი არათანაბრადაა გამომწვარი. გამოირ-ჩევა სხვადასხვა ჯგუფის ქოთნები, ლანგრისე-ბური ჭურჭლები, ჯამები და სხვ.

ციხის ე.წ. „აბანოთუბანზე“ გაითხარა 200 კვ.მ ფართობი (კვ. 35, 36, 45, 46, 55-59, 65-69), სადაც გამოვლინდა, როგორც უშუალოდ აბა-ნოების ნაგებობებთან დაკავშირებული ნაშთები (გვიანდელი შუასაუკუნეების კოლექტორისა და მილსადენის ნაშთები), ასევე გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების კედლების ნყობები.

საკვლევი უბანი ხანგრძლივი დროის განმავ-ლობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შე-დეგად ზიანდებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ზედა ფენაზე, რომელიც წარმოდგენილია გვიან-დელი შუასაუკუნეების მასალებით და 10-დან 30 სმ-მდე სიმძლავრისაა. გვიანანტიკური და ადრე-ული შუასაუკუნეების ხანის მასალების შემცვე-ლი ფენა, რომელიც ხშირად დაზიანებულია გვი-ანდელი შუასაუკუნეების ნაგებობებით, 60-70 სმ სიმძლავრისაა.

საკვლევი უბნის დასავლეთ ნაწილში ჩაჭ-რილი საკონტროლო თხრილით (h - 2 მ) უფრო ადრეული ფენები არ დადასტურდა (ტაბ. II<sub>8</sub>). გა-ნათხარი მასალაში განსაკუთრებით დიდი რაო-დენობით გვხვდება კერამიკული ნაწარმი, შემ-დეგ - მინისა და ბრინჯაოს არტეფაქტები. გვი-ანდელი შუასაუკუნეების ფენაში მოპოვებულია: ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული კერამი-კა, ფაიანსის ნაწარმი. შედარებით ნაკლებია სამ-შენებლო კერამიკა.

გვიანანტიკურ და ადრეული შუასაუკუნე-ების ფენებში მასალა უფრო დიდი რაოდენო-ბითაა აღმოჩენილი. კერამიკული ნაწარმიდან გვხვდება: ამფორები, დერგები, ქოთნები, ჯამე-ბი. მინის ნაკეთობებში გამოირჩევა: სასმისები, სანელსაცხებლები, ფანჯრის მინის ნატეხები. ლითონის ნივთებიდან გვხვდება: სარკის ფრაგ-მენტები, მცირე პლასტიკის ნიმუში, რკინის ლურსმნები. სამშენებლო მასალად გამოყენებუ-ლია ბაზალტის ქვათლილები, რიყის ქვა, კლდის ფლეთილი ქვები, ალიზის აგურები. სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ლარიანი და ბრტყე-ლი კრამიტებით, დეკორატიული ფილებით, კა-ლორიფერებით. მშენებლობაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხის მასალაც.

კვლევის ამ ეტაპზე გამოვლენილია დიდი ნა-გებობის კედლების ნაწილი. კერძოდ, E-W ხაზზე დამხრობილი კედელი კვ. 59-ში, რომელიც ქმნის კუთხეს 69-ე კვადრატში და სამხრეთის მიმარ-თულებით შედის გაუთხრელ ფართობში. კედე-



ლი სტრატეგიაში უნდა იყოს. მასზე დაშენებულია ე.წ. „მცირე აბანო“ (კვ. 29-31, 39-41). ასევე გაუთხრელ ფართობში შედის კვ. 59-ის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი ქვის წყობაც. გათხრებისას აღმოჩნდა კედლის ნაშთი, რომელიც ასევე E-W ხაზზეა დამხრობილი. მოემართება კვ. 28-დან (კვ. 28-68), კვ. 68-ში აკეთებს კუთხეს და სამხრეთის მიმართულებით შედის გაუთხრელ ფართობში. საკვლევე უბნის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ძლიერაა დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად, ნაგებობათა მხოლოდ ფრაგმენტები ჩნდება. კვ. 35-ში დადასტურდა თურქთა ბატონობის ხანის წყალგაყვანილობა, რომელიც სამხრეთიდან შემოდის საკვლევ ფართობში. თიხის მილები დაფარულია რიყის ქვებით, რომლებიც კირხსნარითაა შეკავშირებული.

აღნიშნული კედლები ნაგებია მოზრდილი ქვების ორმაგი წყობით და შიდა ნაწილი შევსებულია შედარებით მცირე ზომის ქვებით. შემაკავშირებლად გამოყენებული ყოფილა თიხამინა. ზოგ ადგილას დასტურდება საძირკველში ხრემის ფენის გამოყენებაც.

გამოვლენილი ნაგებობების ფუნქცია-ხასიათის გარკვევა გათხრების დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კვ. 58-ში აღმოჩენილი კედელი ძალადობრივი ნგრევის კვალს ატარებს (დანახშირებული ხის ნაწილები, ცეცხლში მოხვედრილი კერამიკა).

ზედა კულტურული (I ფენა) ანუ გვიანდელი შუასაუკუნეების მასალა წარმოდგენილია სადა და მოჭიქული კერამიკით, ფაიანსით, ჩიბუხებით, შანდლებით, წყალგაყვანილობის მილებით, რომელთა ანალოგებიც მრავლად მოიპოვება, უპირველეს ყოვლისა, თვით ციხის ტერიტორიაზე [კახიძე, მამულაძე 2004: 26, 28, 29, 33, 35, 62, სურ. 7, 44; ხალვაში 2002ა: 135; აფხაზავა, მამულაძე 1998: 271-275; კახიძე, მამულაძე, ებრალიძე 2002: 45, 46, ტაბ. IX; ჩხაიძე 1982: 114-128; არჩვაძე 1978: 119, 120; მინიშვილი 1984: 44, 45.]

გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების კულტურული ფენის მასალა წარმოდგენილია სამეურნეო-სატრანზიტო დანიშნულების კერამიკით (ამფორები). გვიანანტიკური ხანის ამფორები ფრაგმენტების სახითაა მოპოვებული. ესენია: ყელნიბოიანი, ე.წ. ქიმისებურშვერიანი ყურების მქონე; ე.წ. ძაბრისებრპირიანი და სხვ. ანალოგიური ფორმის ამფორები მრავლად აღმოჩენილი საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე [ხალვაში 2002: 10-21, 24, 25-33, 34, 35, 36]. გვიანანტიკური ხანი მასალიდან აღსანიშნავია

წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადად ჯამები, ჭრაქები, სანელსაცხებლები). ანალოგიური ჭურჭლები დიდი რაოდენობით გვხვდება ციხის სხვადასხვა უბანზე [ებრალიძე 2005: 39, 42, 45, 46, 57-62].

გვიანანტიკური ხანისაა ღარისებრტუჩიანი ლუთერიები. ანალოგიური ჭურჭლები გვხვდება როგორც ციხის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც [ებრალიძე 2005: 70].

განათხარი მასალის 6 მონეტიდან მხოლოდ ერთი განისაზღვრა. ესაა ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტა, შუბლზე სეპტიმუს სევერუსის ან კომოდუსის, ხოლო ზურგზე – ცხენოსანი მითრას გამოსახულებით. ამგვარი მონეტა ციხის ტერიტორიაზე ადრეცაა ნაპოვნი [ვარშალომიძე 2004: 145]. სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია მართკუთხა და მრგვალი აგურებით, დეკორატიული ფილებით, ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით, რომელთა შორის ერთი დამლიანია. მსგავსი სამშენებლო კერამიკა ციხის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი [კახიძე, მამულაძე 2004: 47, 48, 50, სურ. 19]. გვხვდება ისინი ბიჭვინტაში [აფაქიძე 1977: 238-240, 243] და შავი ზღვის სანაპიროს გვიანანტიკური ხანის არაერთ ძეგლზე.

გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების მინის ჭურჭელი წარმოდგენილია: სასმისეებით, ჭურჭლის ძირებით, სანელსაცხებლებით, ლანგარით, მოზაიკური მინის ჭურჭლის ნატეხით და სხვ. ისინი ანალოგებს პოულობენ როგორც ციხის სხვადასხვა უბნის განათხარ მასალაში, ისე სხვა ძეგლებზეც [შალიკაძე 2004: 21, 26-29, 30-36, 43-49, 57-62, 135; კახიძე, ვიკერსი, მამულაძე 2000: 77, სურ. 5].

ადრეული შუასაუკუნეების ხანის ამფორები წარმოდგენილია გონიო-აფსაროსის ამფორებისათვის კერამიკული ტარისათვის შემუშავებული კლასიფიკაციის III, V, VI ტიპის ამფორებით [ხალვაში 2002: 46, 47, 48-51, 52].

III უბანი მდებარეობს გონიო-აფსაროსის ციხის გარეთ, ჩრდილოეთი კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით, № 10 კოშკიდან 55 მ-ის დაშორებით. ამ ადგილას კულტურული ფენებისა და შესაბამისი პერიოდის ნაგებობების გამოვლენის მიზნით, ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე გაკეთდა თხრილი № 1, ფართობით 4x8 მ. გათხრების დამთავრებისას მისმა ფართობმა მიაღწია 8x16 მ-ს (ტაბ. IIIა). თხრილში კულტურული ფენა მინის თანამედროვე ზედაპირიდან ძალზე ახლოს მდებარეობდა. საკუთრივ ჰუმუსური ფენა შეიცავდა ერთმანეთში არეულ გვიანანტიკური, ადრეუ-

ლი და გვიანდელი შუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. მინის თანამედროვე ზედაპირიდან 20-25 სმ-ის სიღრმეზე უკვე თავი იჩინა I-III სს-ის ნაგებობების ნაშთებმა.

თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოიკვეთა ნაგებობა დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლით. ნაგებობის დანარჩენი კედლები თხრილის გარეთ გადის.

აღნიშნული ნაგებობის ჩრდილოეთ კედლიდან 1 მ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით, გაიწმინდა N-5 ხაზზე დამხრობილი, საკმაოდ მასიური კედლის კუთხე. კედელი ჩრდილოეთით გრძელდება 7,4 მ-ზე. მას სამხრეთ ნაწილში აღმოსავლეთიდან ებმის 1,2 მ სიგრძეზე გამოვლენილი მეორე კედელი, რომელიც გაუთხრელ ფართობში გადის (ტაბ. IIIა).

თხრილის ჩრდილოეთი ნაწილი დაფარულია ნაგებობის ჩაქცეული სახურავის კრამიტებითა და გადაქცეული კედლების ქვა-ლორღით (ტაბ. IIIა). ამ ეტაპზე ნაგებობათა გეგმის ნათლად წარმოდგენა ვერ ხერხდება.

ყრილში მრავლად ჩნდებოდა არქეოლოგიური მასალა. უმეტესობა გვიანანტიკური ხანს თიხის ჭურჭელია და თხრილში გამოვლენილი ნაგებობების თანადროულია. გათხრებისას თავს იჩენდა ადრეული და გვიანდელი შუასაუკუნეების კერამიკული ნაწარმიც. თუმცა მათი თანადროული ნაგებობების კვალი აქ არ ჩანს.

განათხარ მასალაში მრავლად გვხვდება გვიანანტიკური ხანის ამფორები, რომლებშიც რამდენიმე ტიპი გამოიყოფა (გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ამფორებზე მსჯელობისას ვეყრდნობით გონიო-აფსაროსის ამფორებისათვის უკვე შემუშავებულ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას (იხ. ხალვაში 2002).

I ტიპს მიეკუთვნება II ს-ის დასაწყისითა და III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ყვისფერკეციანი ამფორა (ტაბ. III<sub>10</sub>). ამგვარი ამფორები გონიო-აფსაროსში რიცხობრივად ყველა სხვა დანარჩენ ამფორებს ჭარბობს. III ტიპს მიეკუთვნება ამფორა, რომელიც წარმოდგენილია ქიმიისებურშვერილიანი ყურის ფრაგმენტით (ტაბ. III<sub>51</sub>). ამ ტიპის ამფორები, რომლებიც სინოპური ნაწარმი უნდა იყოს, გონიო-აფსაროსში ახ. წ. II ს-ის დასაწყისიდან უნდა არსებობდნენ. IV ტიპში ერთიანდება ე.წ. ძაბრისებურპირიანი ამფორის ნატეხი (ტაბ. III<sub>1</sub>). მსგავსი ამფორები გონიო-აფსაროსში თარიღდება I ს-ის დასასრულითა და II ს-ით. ამფორების X ტიპს განეკუთვნება სინოპური წარმომავლობის ამფორა, რომელიც

ყურისა და ძირის ნატეხებითაა წარმოდგენილი (ტაბ. III<sub>4,48</sub>). გონიო-აფსაროსის ციხეში აღმოჩენილი X ტიპის ამფორები II ს-ის დასაწყისითა და III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [ხალვაში 2002: 10-21, 25, 27, 39].

თხრილში გამოვლენილი ნაგებობების თანადროულია ლუთერიები (ტაბ. III<sub>34,42</sub>). თიხის სტრუქტურის მიხედვით მათი სინოპური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ანალოგიური ჭურჭელი ციხის სხვადასხვა უბანზე ადრეცაა აღმოჩენილი და მათი თარიღი II-III სს-ით განისაზღვრება [კახიძე, მამულაძე, ებრალიძე 2000: 48, ტაბ. XVII, სურ. 1].

სამზარეულო დანიშნულებისაა ფართობიანი ქოთნები (ტაბ. III<sub>43,45</sub>), რომელთა ნაწილს პატარა, ბრტყელგანიკვეთიანი ყურები ამკობს (ტაბ. III<sub>32</sub>). ჭურჭლების ზედაპირი ხაოიანია. ანალოგიური ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი გონიო-აფსაროსის I-III სს-ის კულტურულ ფენებში [კახიძე, მამულაძე 2004: სურ. 23].

ჭრაქები ყურისა და ყურ-გვერდის ორი ნატეხითაა წარმოდგენილი. ისინი წითელლაკიანია (ტაბ. III<sub>55-56</sub>). I-III სს-ით თარიღდება გონიო-აფსაროსის ციხის სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილი ანალოგიური ჭრაქები [ებრალიძე 2005: 53-66].

ქვაცრილში მრავლად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის მრგვალი აგურები – კალორიფერები. კრამიტები ორი სახისაა ბრტყელი და ლარიანი (ტაბ. III<sub>9</sub>). ანალოგიური კრამიტები დიდი რაოდენობითაა მიკვლეული ციხის ტერიტორიაზე.

გვიანანტიკური ხანისაა დეკორატიული ფილები, შემკული მასიური კონუსური დანაძერნებით (ტაბ. III<sub>9</sub>). მსგავსი ფილები, რომლებიც კედლების მოსაპირკეთებლად გამოიყენებოდა, მრავლადაა ცნობილი, როგორც საკუთრივ ციხის სხვადასხვა უბნიდან, ისე შავიზღვისპირეთის არაერთი ძეგლიდან.

კერამიკული ნაწარმის გარდა გვიანანტიკური ხანის მასალაში გვხვდება მინის ჭურჭლის ძალზე მცირე ფრაგმენტები, რომელთა შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. თხრილში აღმოჩნდა 10-12 სმ დიამეტრის ქვის ბირთვი. ანალოგიური ბირთვები ციხის სხვადასხვა უბანზე ადრეც მრავლად იყო აღმოჩენილი [ასლანიშვილი 2004: 152-154].

გვიანანტიკური ხანის მასალებთან ერთად თხრილში ჩნდებოდა ადრეული შუასაუკუნეების ამფორების ნატეხებიც. მათში გამოიყოფა ოთხი ტიპი.

II ტიპს განეკუთვნება ე.წ. ცილინდრულტანიანი ამფორის გვერდის ნატეხი, შემკული

კონცენტრული ღარებით (ტაბ. III<sub>47</sub>). ანალოგიური ამფორები დიდი რაოდენობითაა ცნობილი ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის ქვეყნებში. გონიო-აფსაროსში მათი გავრცელება VI ს-ის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო. III ტიპის ამფორების დაუდევრად ნაძერწი ყურები შემკულია ასიმეტრიული ქედებით (ტაბ. III<sub>3,5,6</sub>). გვერდის ფრაგმენტები დაფარულია კონცენტრული ღარებით (ტაბ. III<sub>36,39</sub>). თიხა ნარინჯისფერია. გონიო-აფსაროსში ისინი VI ს-ით თარიღდება. IV ტიპს მიეკუთვნება ამფორა, რომელიც პირის ნატეხითაა შემორჩენილი (ტაბ. III<sub>9</sub>). მათი თარიღი VI ს-ით განისაზღვრება. VII ტიპად გამოიყოფა „კოლხური ამფორები“ (ტაბ. III<sub>13,18,25,46,49</sub>). ამგვარი ამფორები შავიზღვისპირეთში მრავლადაა აღმოჩენილი. მიიჩნევენ, რომ ისინი დამზადებულია ადგილობრივი კოლხური ამფორების მიზანძვით და „ფსევდოკოლხურ“ ამფორებს უნოდებენ. გონიო-აფსაროსში ისინი VI-VII სს-ით თარიღდება [ხალვაში 2002: 21, 45-48].

ამრიგად, უკვე ამ ეტაპზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ციხის გარეთ, ჩრდილოეთით

არსებული ტერიტორია, ინტენსიურადაა ათვისებული რომაული გარნიზონის მიერ I-III სს-ში, რაზედაც მიუთითებს თხრილში მიკვლეული ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა.

ეს ტერიტორია დასახლებული ჩანს V-VI სს-შიც, რასაც ადასტურებს გათხრებისას მიკვლეული კოლხური და იმპორტული ამფორების ნატეხები. იქვეა გამოვლენილი ოსმალთა ბატონობის ხანის კერამიკის ნიმუშებიც (ტაბ. III<sub>38,53</sub>), თუმცა, როგორც V-VI, ისე XVII-XVIII სს-ის მასალები I-III სს-ის არტეფაქტებთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანია და არ გვხვდება მათი შესატყვისი ნაგებობები. ჩანს, ადრეული და გვიანდელი შუასაუკუნეების კულტურული ფენები შეინირა ამ ადგილებში დიდი ხნის მანძილზე წარმოებულმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებმა.

სამომავლოდ დაგეგმილია სამუშაოების გაგრძელება გონიო-აფსაროსის ციხის სამივე უბანზე, რათა უკეთ წარმოჩინდეს განათხარი ნაგებობების იერსახე და დანიშნულება.

**Sh. Mamuladze, T. Ebralidze, N. Sulava, D. Mindorashvili**

## **RESULTS OF THE 2007 RESEARCH WORK OF THE GONIO-APSARUS PERMANENT ARCHAEOLOGICAL EXPEDITION**

### Summary

The fortress- stronghold of Gonio-Apsarus (222x195m) is situated within 12 km of Batumi, on the territory of v. Gonio, on the left bank of the mouth of the Chorokhi River (Pl. II).

The Gonio-Apsarus standing archaeological expedition carried on field work on three plots: within the fortress in the SW section (Sectors SW-IX-XII – directed by T. Ebralidze ) (Pl.12), in the so-called “Abanotubani” section (SW-V sector – directed by N. Sulava) (Pl. II7) and outside the wall of the northern rampart (NE section – directed by D. Mindorashvili (Pl. IIIa).

Approximately 400 sq. m area was studied in sectors SW-IX-XII. Later (16th -19th cent), early medieval (6th-7th cent) and Late Classical period cultural layers came to light. Two construction levels were identified in the Late Classical period layer (I and II) and several interfaced (C1-C5) (Pl. I3).

The excavated material is represented by various purpose pottery: local and imported (glass items, iron objects and stone nucleuses).

In the SW-V sector of the fortress (“Abanotubani”) 200 sq. m. area was studied (squares 35.36, 45, 46, 55-59, 65-69). remnants of the walls of large structures have come to light, including in sq. 59 (EW), which must be the oldest stratigraphically, and on which the so-called “small bathhouse” is built (sq. 29-31, 39-41); the walls are built with double masonry of large stones, and the inner part is filled with relatively small stones. Adobe and mud was used as binder. At some places the use of a layer of gravel in the foundation is also attested.

Late Classical and early medieval cultural layer material is represented by household and transit purpose pottery (amphoras) with rimmed neck handles with pointed protuberances, funnel-like mouthed, narrow-necked, handles attached to the shoulders, handle rising above the mouth, etc., red-glazed pottery (bowls, lamps, unguentaria); luteria with groove like lips. Glass ware is represented by: drinking vessels, bottoms of vessels, perfume bottles, carafe-like vessel, tray, fragment of mosaic glass vessel, etc.

Of the 6 coins only one was assigned: a coin struck at Trapezes, with the image of Septimus Severus or Commodus on the obverse, and equestrian Mithra on the reverse.

Of building ceramics we find right-angled and round bricks, decorative bricks, and flat and grooved tiles, among which one is stamped.

Amphoras of the Early Middle Ages are represented by types II, V, VI of these vessels.

On plot II work was carried on outside the Gonio-Apsarus fortress, to the NE of the N gate, at 55 m from the tower 10 (trench no. 1 – 8x16 m, sq. 57-67, 58-68, 59-69, 60-70 of NE-IV sector (Pl. IIIa). To the south of the trench, in sq. 57-67 part of the structure came to light with W and N wall. The other walls of the structure go beyond the trench.

At 1 m distance from the N wall of the cited structure, to the north the corner of a fairly massive wall oriented along the NS line was cleaned. The wall extends to N at 7.4 m. From the E it is joined by another wall identified at 1.2 m. length, which enters the unexcavated area of sq. 68.

In the N part squares 59-60 are covered with the tiles of the collapsed roof of the structure and the debris of fallen walls.

In Late Classical period material we find brown-clay amphoras (Pl. III10), with funnel-like mouth (Pl. III1), Sinopean luteria (Pl. II34,42), fragments of red-glazed lamps (Pl. III55,56), few fragments of glass vessels.

Of the same period are calloripers, flat and grooved tiles (Pl. IIIb), a stone nucleus. Along with material of the Late Classical period, fragments of early medieval amphoras of types II, III, IV, VII occurred in the trench (Pl. III).

Thus, the territory outside the fortress, to the north was intensively used by the Roman garrison in the 1st-3rd cent. AD; the territory appears to have been inhabited in the 5th-6th as well. Specimens of pottery of the time of Ottoman domination have also been discovered on the site (Pl. III38,53). However, the material of the 5th-6th and 16th-18th centuries is much smaller in quantity than the artifacts of the 1st-3rd centuries, nor are their corresponding structures in evidence.

## ლიტერატურა

- არჩვაძე თ.** 1978: აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნანარმი. – ვ. ჯაფარიძე (რედ.), ფსად, III, 111-133.
- ასლანიშვილი ლ.** 2004: ქვის ბირთვები. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, IV, 152-154, ბათუმი.
- აფაქიძე გ.** 1977: ბიჭვინტის სამშენებლო კერამიკა. – ა. აფაქიძე (რედ.), დიდი პიტუნტი, II, 223-245, თბილისი.
- აფხაზავა ნ., მამულაძე შ.** 1998: გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან. – ბსუ შრომები, II.
- ებრაღიძე ტ.** 2005: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი VI. ბათუმი.
- ვარშალომიძე ი.** 2004: სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, IV, 141-151, ბათუმი.
- კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ.** 2000: ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ა. კახიძე (რედ.), ბამშ, I, 70-89.
- კახიძე ა., მამულაძე შ.** 2004: სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, IV, 4-107, ბათუმი.
- კახიძე ა., მამულაძე შ., ებრაღიძე ტ.** 2002: 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, III, 44-70, ბათუმი.
- მინიშვილი მ.** 1984: ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან IX-XVIII სს. თბილისი.
- შალიკაძე თ.** 2004: გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნანარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი.
- ჩხაიძე ლ.** 1982: გვიანფეოდალური ხანის კერამიკული ნანარმის ერთი სახეობა გონიოდან. – დ. ხახუტაიშვილი (რედ.), სდაძ, XI, 114-128, ბათუმი.



**ხალვაში მ.** 2002: კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი II, ბათუმი.

**ხალვაში მ.** 2002ა: გონიო-აფსაროსის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. – ა. კახიძე (რედ.), გონიო-აფსაროსი, IV, 134-167, ბათუმი.

**Гайдукевич В. Ф.** 1959: Некрополи некоторых Боспорских городов. – МИА, 69, 154-239.

**Книпович Т. Н.** 1952: Краснолаковая керамика первых веков нашей эры. – МИА, 25, 289-327.

**Alram-Stern E.** 1989: Die Römischen Lampen aus Carnuntum. Der Römische limes in Österreich. Heft 35, Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften, Wien.

**Deneauve J.** 1969: Lampes de Carthage, VIIe, Paris.

**Heimerl A.** 2001: Die Römischen Lampen aus Pergamon, Berlin\New York.

**Loeschke S.** 1919: Lampen aus Vindonissa, Zürich.

### **ტაბულების აღწერილობა**

ტაბ. I – 1. გონიო-აფსაროსის ციხე, გეგმა; 2. ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, გეგმა; 3. ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, ჭრილი.

ტაბ. II – 1. ყავისფერკეციანი ამფორები; 2. ვიწროყელიანი ამფორები; 3. წითელლაკიანი ჯამი; 4. წითელლაკიანი თეფში; 5. კოჭობი; 6-7. წითელლაკიანი ჭრაქები.




ტაბ. III – ა. ციხის გარეთ (ჩრდილოეთით) 2007 წელს გათხრილი ფართობი, გეგმა; ბ-გ. გვიანანტიკური ხანის კრამიტები და ფილები; 1, 3-6, 9, 10, 13, 18, 22, 25, 32, 34, 36, 39, 42-49 51, 55, 56. გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების კერამიკა; 38, 53. გვიანდელი შუასაუკუნეების კერამიკა,


### **DESCRIPTION OF THE PLATES**





Pl. I – 1. The Gonio-Apsarus fortress, plan; 2. the south-western section of the fortress, plan; 3. the south western section of the fortress, section.

Pl. II – 1. Brown-clay amphoras; 2. narrow-necked amphoras; 3. red glazed bowl; 4. red-glazed plate; 5. pot; 6-7. red-glazed lamps.

Pl. III – a. area excavated in 2007 outside the fortress (to the north), plan; b-c. tiles and slabs of the Late Classical period; 1, 3-6, 9, 10, 13, 18, 22, 15, 32, 34, 36, 39, 42-49, 51, 55, 56. Late Classical and Early Medieval pottery; 38, 53. Late Medieval pottery.









## ბათხრები ქუთაისსა და გელათში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2007 წელს ოთხ სხვადასხვა ძეგლზე იმუშავა:

1. ივლის-აგვისტოში ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული სამუშაოები ტაძრამდელი ნაგებობების საკვანძო მონაკვეთების გამოსავლენად, რაც განპირობებული იყო იმით, რომ 2005-2006 წლებში ტაძრის ინტერიერში გამოვლენილი ახ.წ. IV ს-ის ეკლესიისა და VII-VIII სს-ის „ქუთათისის საყდრის“ მინაშენების [ლანჩავა, ისაკაძე 2006; ლანჩავა, ისაკაძე 2007; ლანჩავა 2007: 112-113, 150-152, სურ. 94] ცალკეული საკვანძო მონაკვეთები გავიდა ეზოში, რის გამოც დაიგეგმა ხუთი შურფის გაჭრა ტაძრის ეზოს სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთებში. 2007 წელს შესწავლილ იქნა 245 კვ.მ. ფართობი. თავდაპირველად გაიჭრა № 14 შურფი ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ გალერეაში. ამ მონაკვეთში გაუთხრელ ფართობში გავიდა 2005 წელს გამოვლენილი IV ს-ის ეკლესიის თანადროული სანათლავის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე. გალერეაში გვიანი შუასუკუნეების მარნის გამართვის დროს ადრინდელი ფენების დაზიანების მიუხედავად, არქიტექტურული ნაშთები იმ დონეზე დაგვხვდა შემორჩენილი, რომ სანათლავის კუთხის შეკვრა და შესაბამისად გეგმის აღდგენა მოხერხდა. სანათლავი ძირითადი ეკლესიის თანადროულია. დასავლეთიდან ოდნავ მოგვიანებით მასზე მეორე სათავსი მიუდგამთ. მშენებლობის ტექნიკით იგი ეკლესიის და სანათლავის ანალოგიურია, მხოლოდ ძირითად კედლებთან წყობით არ არის გადაბმული და ამდენად თავდაპირველი გეგმით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ქრონოლოგიურად მათგან დიდად არ არის დაშორებული. სანათლავისა და ეკლესიის კედლები 1,4 მეტრის სიგანისაა, ახალი სათავსისა კი 1 მ.<sup>1</sup> ფუნქციონირების ამ ეტაპზე ეკლესიიდან სანათლავში შესვლა

უკვე ამ სათავსის გავლით ხდებოდა.

№ 15 შურფი გაიჭრა იქ, სადაც ბაგრატის ტაძრის გარე ფასადზე 5-6 მ-ის სიმაღლეზე თვალნათლივ იკითხება „ტაძრამდელი ნაგებობის“ კუთხე, რომელზეც გარედან მიშენებულია ტაძრის ჩრდილოეთის კედელი (სამშენებლო წარწერით) და ჩრდილოეთის მკლავის აფსიდის აღმოსავლეთის კედელი. ანალოგიური სიტუაციაა ტაძრის ინტერიერშიც. ეს საკვანძო მონაკვეთი გაიხსნა ფუნდამენტების დონეზე და აშკარა გახდა, რომ „ტაძრამდელ ნაგებობას“ სუფთად გათლილი ქვის ცოკოლი ჰქონდა, რომელსაც მთლიანად ფარავს ტაძრის ფასადები და ცოკოლი. კვლევის ამ ეტაპზე „ტაძრამდელი ნაგებობის“ გეგმის წარმოდგენა არ ხერხდება. სტრატეგრაფიის გათვალისწინებით კი ზოგადად IX ს-ით უნდა დათარიღდეს.

№ 16 შურფში გათხრების ძირითადი მიზანი იყო IV ს-ის ეკლესიის სავარაუდო შვერილი აფსიდის არსებობის დადასტურება ან უარყოფა, რადგანაც ბაგრატის ტაძრის საკურთხეველში ამის შემოწმება დღემდე ვერ მოხერხდა. დასახული მიზნიდან გამომდინარე ტაძრის აღმოსავლეთის კედლის ექსტერიერის გაყოლებით გაიჭრა გრძელი (13×3 მ) თხრილი, რომელშიც IV საუკუნის ეკლესიის აფსიდი არ დადასტურდა. აქედან გამომდინარე ეკლესიას ან არ ჰქონდა შვერილი აფსიდი, ანდა თუ ჰქონდა, დღეისათვის ტაძრის 4 მ-დე სიგანის ცოკოლითაა დაფარული. ამ კითხვაზე პასუხი საკურთხეველის ინტერიერის მომავალმა გათხრებმა უნდა მოგვცეს. გრუნტამდე გაჭრილ შურფში სტრატეგრაფიული თანმიმდევრობით გაითხარა XVIII-XIX და XVI-XVII სს-ის სამარხებით დაზიანებული განვითარებული შუასაუკუნეების ფენა, VIII ს-ის წყალსადენის ნაშთი, წინარეანტიკური და სავარაუდოდ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენები.

№ 17 შურფი ორ ნაწილად გაიყო. პირველად შესწავლილი იქნა მისი ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც დაფიქსირდა 2006 წელს ტაძრის ინტერიერში №№ 8-10 შურფებში გამოვლენილი IV საუკუნის ეკლესიის სამხრეთ მინაშენის აღმოსავლეთის კედლის ნაწილი, №№ 9-10 შურფებში გამოვლენილი კვადრატული ფორმის (ზომები 5,5×5,6 მ. კედლის სიგანე 1,2 მ) „კომპურა“ ნაგებობის იატაკის დონე და შეიკრა მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე.

1 ერთმეტრიანი სიგანის კედლებითაა ნაგები IV საუკუნის ქუთაისის საფორტიფიკაციო სისტემა და ციტადელში აღმოჩენილი დიდი ზომის სწორკუთხა ნაგებობა [ლანჩავა 2007: 109-114, სურ. 93; 100]. ანალოგიური სიტუაცია დასტურდება ნოქალაქეცხა და შორაპანში.

ფაქტიურად დამოუკიდებელი „კომკურა“ ნაგებობა თავის დროზე VII-VIII სს-ის „საყდრისგან“ სამხრეთით, დაახლოებით 3 მეტრის დაშორებით იდგა და სამხრეთის კედელში სავარაუდოდ არსებული კარით ღია ეზოსკენ იხსნებოდა. ინტერიერის შესწავლა, რასაც შეიძლებოდა მის ფუნქციაზე გარკვეული ინფორმაცია მოეცა, არ ხერხდება. ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოირიცხება „კომკურას“ გააზრება მარტირიუმად, რომელიც, სტრატეგრაფიის გათვალისწინებით, VIII-IX სს-ით უნდა დათარიღდეს. შურფის მეორე (სამხრეთის) ნაწილში გასათხრელად მოიხაზა დაახლოებით 8x6 მ ზომის ფართობი. ამ მონაკვეთზე ტაძრის რესტავრაციის დაწყებამდე იდგა XVIII-XIX სს-ის იმ ეკლესიის საკურთხეველი, რომელიც 1698 წლის ნგრევას გადარჩენილ ტაძრის სამხრეთის კარიბჭეში იყო გამართული. პირველივე ბარისპირზე მოიხაზა რესტავრაციისას მოხსნილი, გარედან სწორკუთხა, ინტერიერში კი მომრგვალებული საკურთხეველის ფუნდამენტის კონტურები, რომლის ინტერიერში ჩაღრმავებისას სტრატეგრაფიული თანმიმდევრობით დაფიქსირდა: 1. XVI-XVII სს-ის 6 დანგრეული ქვაყუთი; 2. ბაგრატის ტაძრის მშენებლობისას (X-XI სს-ის მიჯნა) გაუქმებული „კომკურას“ ნგრევის ფენა; 3. მკრთალად, მაგრამ მაინც იკითხება IV ს-ის ეკლესიის სამხრეთის მინაშენის სამშენებლო ფენა; 4. წინარეანტიკური ხანის ფენა, რომლის ზედა ნაწილში ჩაშვებულია განვითარებული შუასაუკუნეების 3 უინვენტარო ორმოსამარხი, უძრავადაა შემორჩენილი და ნულოვანი ნიშნულიდან 3,1 მ-ის სიღრმეზე იწყება.

ძვ. წ. VIII-VII სს-ის მასალის შემცველი ერთმეტრიანი ფენის ალების შემდეგ მთელ ფართობზე გაინმინდა თიხის ბათქაშების 0,2-0,3 მ-ის სიმძლავრის კომპაქტური გროვა, რომლის ქვეშაც დაფიქსირდა ხის ძეღური ნაგებობების ქვის საძირკვლების ერთი რიგის ნაშთები. ადრერკინის ხანის ქვის-საძირკვლიანი ნაგებობები ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ქუთაისში, „გაბაშვილის გორიდან“ [ლანჩავა 1999: 22] და საირხიდან (ცნობა მოგვანოდა ზ. ბრავაძემ). აღნიშნულ პერიოდში მშენებლობის ამგვარი ტექნიკის იშვიათობა შესაძლოა ნაგებობათა განსაკუთრებულ დანიშნულებაზეც მიუთითებდეს. ამ კონტექსტში საინტერესოა ბათქაშების გროვაში აღმოჩენილი თიხის მინიატურული ქანდაკების (ცხვრის?) ნაშთი და საბეჭდავის ფორმის ნივთი; 5. ნულოვანი ნიშნულიდან 4,6 მეტრის სიღრმეზე შურფში თავი იჩინა ქუთაისის ნაქალაქარისათვის აქამდე უცნობმა კულტურულმა ფენამ. შავი, ნებოვანი ფენის მაქსიმალური სიმძლავრეა 0,7 მ და დალექილია თიხნარ გრუნტსა და კლდო-

ვან მასივზე. ფენაში მოპოვებულ სხვადასხვა ზომის რიყის ქვების ნატეხების უმეტესობას ეტყობა ატკეცვისა და გახეხვა-გაპრიალების კვალი. არის მცირე ზომის რიყისა და ღია შინდისფერი კაჟის ანატკეცებიც. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ გახეხვა-გაპრიალებით დამუშავებული რიყის ქვის ფრაგმენტი და ქვიშაქვის დამუშავებადაუსრულებელი და ნაკლული ნივთი, რომელიც ყალიბის ან ციცხვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ ტაძრის ეზოში თხუთმეტიოდე წლის წინ შემთხვევით ნაპოვნი ქვის ცულიც, რომლის სატარე ნახვრეტი (d=1,5 სმ) დაუმთავრებელია. თიხის ნაწარმი შავად და მუქაგურისფრად გამომწვარი, უპირატესად უხეში, სქელკედლიანი, უფორმო თვრამეტი ნატეხითაა წარმოდგენილი. ზოგი მათგანი ხელით ნაძერწი ჩანს. ერთ ფრაგმენტზე წინვისებური ორნამენტის ერთმანეთთან პერპენდიკულარულად მიმართული ორი რიგია დატანილი. აღნიშნული ფენა წინარეანტიკური ხანის ფენისგან სტერილური შრი არ არის გამიჯნული და არ გამოირიცხება კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილის ზედა ფენიდან ქვედაში მოხვედრის შესაძლებლობაც. კერამიკული მასალა მცირერიცხოვნებისა და ფრაგმენტულობის გამო თარიღის დაკონკრეტების საშუალებას ნაკლებად იძლევა. ქვის ნივთების დამუშავების ტექნიკა კი ზოგადად ენეოლით-ადრერინჯაოს ტრადიციების მატარებელი ჩანს. სადაზვერვო შურფები და გეოლოგიური ბურღვის შედეგები ადასტურებს ამ ფენის გავრცელებას ტაძრის აღმოსავლეთის კედელსა და ტაძრისავე გალავანს შორის მოქცეულ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით წაგრძელებულ (დაახლ. 70x10 მ) მონაკვეთში.

2. ნოემბრის თვეში ქ. ქუთაისში ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე ექსპერტიზა ჩაუტარდა იმ მონაკვეთებს, სადაც რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო მინის სამუშაოები. სადაზვერვო შურფებში კულტურული ფენები არ დადასტურდა. გაირკვა, რომ ისინი დალექილია მხოლოდ ერთმანეთისგან განმხილვებულ იმ ბუნებრივ შემადგენლებზე, სადაც მინის სამუშაოები ამ ეტაპზე არ იგეგმება.

3. დეკემბრის თვეში ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. მე-4 შეს. № 9-ში ექსპედიციამ შეისწავლა სამშენებლო ქვაბულის გაჭრის დროს დაზიანებული ადრეანტიკური ხანის ფენა და ელინისტური ხანის სამარხები [ლანჩავა, ისაკაძე 2008b]. აღნიშნული ძეგლის არსებობა მიმდებარე ტერიტორიაზე ექსპედიციამ ჯერ კიდევ 2005 წელს დაადასტურა [ლანჩავა, ისაკაძე, ბერძენიშვილი, ჭუმბურიძე,

ქარციძე 2005]. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში, სახელდახლოდ გადახურულ მონაკვეთებში, რის გამოც დიდ ფართობზე ერთდროულად მუშაობის საშუალება არ მოგვეცა. თავდაპირველად გასათხრელ ტერიტორიაზე გაგრძელდა 2005 წელს ქუთაისის ისტორიულ ნაწილზე დადებული კვადრატების და ნაკვეთების ბადე.<sup>2</sup> ობიექტის ძირითადი ნაწილი მოექცა II სექტორში და სამხრეთით ნაწილობრივ გადავიდა III სექტორში (ტაბ. 1<sub>1</sub>). კულტურულ ფენაში დადასტურდა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების, თიხით შელესილი ხის ნაგებობების ნაშთები, რომლებიც გამართული ყოფილა მოყვითალო თიხნარის გრუნტში ჩაჭრილი 0,5-1 მ-დე სიმაღლის სხვადასხვა კონფიგურაციის (მრგვალი, ელიფსური, წაგრძელებული და კუთხეებმომრგვალებული) ორმოების თავზე, რომელთა კალთებიც ფსკერისკენ შესამჩნევად ვიწროვდება. ისინი შევსებულია ხის ნახშირით, ბათქაშით და გაჯერებულია არტეფაქტებით, რომელთა ძირითად ნაწილს სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი წარმოადგენს. ქვაბულის დაზიანებულ ნაწილში და ჭრილებში 6 ორმოს (შესაბამისად ამდენივე ნაგებობის) ნაშთი დაფიქსირდა, ხოლო მეტ-ნაკლებად სრულად გადარჩენილი 9 ორმო (ზომები საშუალოდ 3x3 მ) ბოლომდე გაითხარა, რომელთაგან ნაწილი (№№ 1, 2, 3; №№ 6, 7) ფსკერის დონეზე არსებული, საშუალოდ 1,2 მ-ის სიგანის კარით ურთიერთდაკავშირებული სათავსოებისაგან შემდგარ კომპლექსად შეიძლება გავიაზროთ. ერთ-ერთი მათგანის (№ 2) თავზე ბათქაშების კომპაქტური ყრილიც გაიწმინდა. ხის კედლების კონსტრუქციების კვალის ფიქსაცია ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ძირითადად ორმოების კონფიგურაციას იმეორებდნენ. დაახლოებით 700-800 კვ. მ-დე ფართობზე 15-16 ორმოს (შესაბამისად ნაგებობის) არსებობა დასახლების საკმაო სიმჭიდროვეზე მიუთითებს. №№ 1, 2, 3, 4, 5, 9 ორმოებისა და მათ გარშემო არსებული ფენის პრეპარაციისას მრავლად გვხვდებოდა რკინის წიდეები და თიხის საქშენი მილების ფრაგმენტები. დიდი რაოდენობით იყო ისინი 2005 წელს გათხრილ I სექტორშიც, რაც ამ ტერიტორიაზე სახელოსნო უბნის არსებობაზე მიუთითებს.

2 50x50 მეტრიან ფართობს ენოდა სექტორი და დაინომრა რომაული ციფრებით. სექტორი დაიყო 10x10 მ ფართობის მქონე 25 ნაკვეთად და დაინომრა ლათინური ასოებისა და არაბული ციფრების კომბინაციით. ერთ ნაკვეთში მოთავსდა 2x2 მ ფართობის 25 კვადრატი. მაგ: სექტორი I, ნაკვეთი A1, კვადრატი 5.

კულტურულ ფენაში და ორმოების ინტერიერში მრავლად აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა: კანელურებიანი ქვევრების, დერგების, ცალყურა და ორყურა ქოთნების, პირფართო დოქების (მათ შორის ყურმილიანი), ბრტყელძირა ჯამების, ფეხიანი სასმისების ფრაგმენტები და მთელი ეგზემპლარებიც. შედარებით მოკრძალებული და ფრაგმენტულია იმპორტი: სხვადასხვა სანარმოო ცენტრების ამფორების, ჯამების, ლუთერიების, მცირეაზიული თხელკედლიანი, შავლაკიანი (მკრთალი, გვიანდელი ლაკი) ჭურჭლის ფრაგმენტები. შედარებით მცირეა ორივე ტიპის კრამიტები. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია № 2 ორმოს ფსკერზე ფიქსირებული რკინის ნალდი.

წინასწარი მონაცემებით გარე ზემოქმედების შედეგად დასახლებამ არსებობა შეწყვიტა დაახლოებით ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში და მოგვიანებით ეს უბანი, ადრეანტიკური ხანის ფენაში ჩაშვებული, დროში ურთიერთმონაცვლე ქვევრსამარხებისა და ორმოსამარხების ზონად გადაიქცა. II სექტორში გაითხარა ორი დერგსამარხი, ერთი ორმოსამარხი და შეგროვდა ერთი დანგრეული ორმოსამარხის ინვენტარი. დერგსამარხებიდან ერთი უინვენტაროა, ერთში კი ხელით ნაძერწი ბრტყელძირა ჯამი აღმოჩნდა. პირნაკლული დერგები და ჯამი აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის დამათარიღებელ მნიშვნელობას მოკლებულია, ზოგადად კი ორივე დერგსამარხი 2005 წელს I სექტორში გათხრილი ქვევრსამარხების წრეს ეკუთვნის და მათი თანადროულია (ძვ.წ. II ს.). ორმოსამარხებიდან მომდინარე ბრინჯაოს სამაჯურები და ცალპირლესული სატევარი (სიგრძე 45 სმ), რომელიც ცალკეული დეტალებით გარკვეულ მსგავსებას იჩენს ბერძნულ მახაირებთან, ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს-ით თარიღდება. გათხრების პარალელურად ჩატარებული ზედაპირული დაზვერვებისა და მოსახლეობაში შეკრებილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადრეანტიკური ხანის ფენა დაახლოებით 8-10 ჰექტარზე ვრცელდება, მთლიანად დაფარულია თანამედროვე დასახლებით და მისი შესწავლა მხოლოდ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი.

4. დეკემბერ-იანვარში გელათის სამონასტრო ანსამბლის რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე კომპლექსის ძირითადი ნაგებობების გადახურვის ელემენტების დადგენის მიზნით, მთავარი ტაძრისა და სხვა ნაგებობების გარშემო გაიჭრა სხვადასხვა მოცულობის 14 შურფი (ტაბ. 1<sub>2</sub>). №№ 1, 3 და 9 შურფები გაიჭრა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, მინის პირამდე დანგრეული გაურკვევე-



ლი დანიშნულების ნაგებობებისა და მთავარ ტაძარზე ადრეული ფენების დაზვერვის მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა № 1 შურფი მასიურკედლებიანი, სწორკუთხა ნაგებობის ინტერიერის დასავლეთ ნაწილში. ნაგებობის აღმოსავლეთის ის ნაწილი, რომელიც გალავნის გარეთ მოქ. კ. ჯანგავაძის ეზოში გადის, მიწის პირზეა ნაშლილი და გაუთხრელად აღარ იკითხება, დასავლეთის ნაწილი კი კომპლექსის ეზოს დონიდან დაახლოებით 0,5-0,9 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილი. შურფის ერთ მეტრზე დაღრმავებისას გამოიკვია, რომ ნაგებობა ორჯერაა გადაკეთებული და ფუნქციაშეცვლილი. თავდაპირველი ნაგებობა დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე (სიგანე 10 მ შემორჩენილი სიგრძე 11 მ). დასავლეთის კედლში 1,4 მ-ის სიგანის კარია. 1,35 მ-ის სიგანის კარი ფიქსირდება სამხრეთის კედელშიც. თავდაპირველი იატაკის დონე ინტერიერის გადაკეთების დროსაა მოშლილი და გათხრილ მონაკვეთში არ ფიქსირდება, ზღურბლის დონე კი ორივე კარებშია შემორჩენილი. კედლების სიგანეა 1,3-1,4 მ. ფასადები შემოსილია უხეშად გათლილი მასიური ლოდებით. ექსტერიერში ცოკოლის დონე 1,8 მეტრით დაბლაა მთავარი ტაძრის (XII ს.) ეზოს დონესთან შედარებით და ეს სხვაობა შევსებულია თავისივე ნგრევის ორი ფენით. პირველი (ძირა) ნგრევის ფენიდან ამოსული თხელკედლიანი, ნატიფი, წნეხვით ნაპრიალები კერამიკა ქუთაისის ნაქალაქარზე X-XI სს-ით თარიღდება. ნაგებობის სწორკუთხა, დასავლეთიდან აღმოსავლეთით წაგრძელებული ფორმა, ეზოსკენ გახსნილი კარის ღიობები დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა საქმე გვაქვს X-XI საუკუნემდელ საკულტო ნაგებობასთან. ამ კონტექსტში საყურადღებოა ორი გარემოება: 1) მთავარი ტაძრის ამბიონისწინა სვეტზე XVIII საუკუნეში მიდგმული კათალიკოსის ტახტის კედლებში ჩაშენებულია მონაცრისფრო მარმარილოს კანკელის ქვები, რომელთაც ხელოვნებათმცოდნეები ადრეული შუასაუკუნეებით (VI ს.) ათარიღებენ; 2) იმერეთის მეფე ბაგრატ III მიერ 1527 წელს გაცემული წყალობის წიგნით გელათისათვის განუახლებია „.....მურვან ყრუსაგან დაქცეული და აოხრებული მთავარანგელოზისა ეკლესია...“ [კაკაბაძე 1921: 8-9], რომელიც მკვლევართა მიერ გაიგივებულია მონასტრის გალავნის ჩრდილოეთით 300-ოდე მეტრის დაშორებით მოქ. ბაკურაძის ეზოში არსებულ ძეგლთან [გოგსაძე 1949: 51-52]. 2003 წელს ქუთაის-გაენათის ეპარქიის ინიციატივით იგი არქეოლოგიური მეთვალყურეობის გარეშე იქნა განმენდილი და რესტავრირებული,

რის გამოც გელათის სიძველეების (განსაკუთრებით მოჭიქული კრამიტების) ქრონოლოგიისათვის ძალზე ღირებული ინფორმაცია დაიკარგა. თუ გავიხსენებთ, რომ კომპლექსის გალავნის სამხრეთით, ქედზე არსებულ საბას საყდარს რ. მეფის-სამეფი X ს-ით ათარიღებს [Мерисашвили 1966: 162], ხოლო გ. წერეთელს გელათში გაუთხრია ანტიკური მონეტებით დათარიღებული სამარხებიც [Церетели 1882: 430, табл. 4], ამ მიმართულებით არქეოლოგიურ კვლევას გელათში დიდი პერსპექტივა აქვს.

პირველი გადაკეთება-განახლებისას ნაგებობის ფუნქცია შეუცვლიათ. მთლიანად ამოქოლილია სამხრეთის კარები, იატაკი მოღესილია ჰიდრავლიკური ხსნარით, ხოლო ინტერიერს სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული სადრენაჟე არხი კვეთს, რომელიც შედგენილია მწვანედ მოჭიქული ღარიანი კრამიტებით და გადახურულია ქვის ფილებით. არხის შევსების ფენაში ტრაპიზონის იმპერატორების მანუილ I და იოვანეს (XIII ს-ის ბოლო და XIV ს-ის პირველი ნახევარი) სახელზე მოჭრილი ვერცხლის ორი მონეტა აღმოჩნდა. ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ ნაგებობის ფუნქციონირების მეორე ეტაპის ზედა ზღვრად. ფუნქციონირების მესამე ეტაპზე (გვიანი შუასაუკუნეები) ინტერიერში შეიმჩნევა ალიზის იატაკის დონეები, ხოლო დასავლეთ ექსტერიერში – მინაშენები.

გელათის სახალხო აკადემიის შენობის ქვეშ არსებული, არაერთგზის გადაკეთებული, დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე დამხრობილი თავდებია კომპლექსის ინტერიერში სამ სხვადასხვა სათავსში მცირე ზომის შურფები გაიჭრა და გაიკვია, რომ კომპლექსმა თავდაპირველი (კვლევის ამ ეტაპზე გაურკვეველი) ფუნქცია 1510 წელს თურქთა მარბიელი ლაშქრობის შემდეგ დაკარგა. ერთ-ერთ სათავსში იატაკის დონემდე გაიწმინდა თავდაპირველი, კაპიტელებიანი სწორკუთხა (0,45x0,45 მ) სვეტებზე გადაყვანილი თალი (h=2,3 მ), მეორეში კი ნგრევის ფენის თავზე აღმოჩნდა ზეთსახდელი მონყობილობის გელაზის ბორბლისებური, მასიური ქვები. 1826 წელს გელათში გაუქმებული ზეთსახდელის არსებობას ადასტურებს ე. აიხვალდი [აიხვალდი 2005: 154]. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ 1839 და 1848 წლის საბუთებით გელათში იხსენიება „საზეთო პალატი“ [ქ.ც.ს.ა., ფონდი 21, საქმე 1540, ფურც. 3] და „საზეთე სახლი“ [ქ.ც.ს.ა., ფონდი 21, საქმე 3605, ფურც. 101].

მთავარი ტაძრის გარშემო გაჭრილ შურფებში გამოვლინდა მწვანედ და ლურჯად მოჭიქული



ორივე სახის კრამიტების, სარკმლის მიწის, მოზაიკისა და ლურსმნების ფრაგმენტები, №№ 14-15 შურფებში კი მთავარი ტაძრის აფსიდების ცოკოლის ქვეშ დაფიქსირდა კირხსნარითა და ნატეხი ქვებით ნაგები ტაძრამდელი სტრუქტურის ნაშთები. № 12 და № 14 შურფებში გაიწმინდა გრუნტში ჩასმული, ქვის ფილებით ნაგები სანიადვრე არხი, რომელიც № 5 შურფში გატარებულია კლდოვანი ქანის ბუნებრივ ნაპრალებში და გადახურულია ქვის ფილებით.

აკადემიის ინტერიერში № 8 შურფის ზედა დონეზე ფიქსირებულმა გვიანი შუასაუკუნეების თონემ და ნახშირ-ნაცროვანმა შრეებმა დაადასტურა ნერილობითი წყაროების (ტოლოჩანოვი, იევლევი, გიულდენშტედტი, აიხვალდი, დიუბუა [ლანჩავა., ისაკაძე 2008a: 15, სქოლიო 28, 29, 30, 31]) ცნობები, რომ სულ ცოტა XVII ს-ის 50-იანი წლებიდან მაინც აკადემიის შენობა სამეურნეო დანიშნულებით (სატრაპეზო) გამოიყენებოდა. ამდროინდელი ჩანს კედლების გასწვრივ ჩაყოლებული ქვის მერხები და შესაძლოა კათედრაც. თავდაპირველი მერხები

კი მათ უკან უნდა ვიგულისხმოთ. 1,5 მეტრის სიღრმეზე შურფში დაფიქსირდა სავარაუდოდ სელიმ ხანის ლაშქრობის (1510 წ.) დროინდელი სასტიკი ნგრევის ფენა, რომლითაც ამოვსებულია პირველი სართულის სათავსი. აკადემიის მშენებლობა-ფუნქციონირების ქრონოლოგიური ეტაპების დასადგენად აუცილებელია მისი სრულმასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლა, რომლის შედეგებიც საფუძვლად უნდა დაედოს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

დავით აღმაშენებლის საფლავის სამხრეთით საყანე ნაკვეთში ზედაპირული დაზვერვით დაფიქსირდა ორსართულიანი ეკლესიის ნაშთი, რომლის ძირა სართულს თაღოვანი აკლდამა წარმოადგენს. ეს იშვიათი ძეგლი სასწრაფო შესწავლასა და რეაბილიტაციას საჭიროებს.

სადაზვერვო სამუშაოების შედეგებმა ცხადყო, რომ კომპლექსის თანმიმდევრული და გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა გელათის ისტორიის სრულიად უცნობ ფურცლებს გადაშლის.

**O. Lanchava, R. Isakadze, D. Berdzenishvili, M. Chumburidze, N. Kartsidze**

## **EXCAVATIONS AT KUTAISI AND GELATI**

### **Summary**

The Otar Lordkipanidze Centre of Archaeology of the Georgian National Museum and the Archaeological Expedition of the Akaki Tsereteli State University worked on four different sites in 2007.

In July-August work continued in the interior of the Bagrat church, commenced in previous years, aimed at bringing to light the key sections of pre-church structures. In the northern galley the north-western corner of a 4th century baptismal font was discovered and another facility was brought to light. A trench dug in the eastern exterior confirmed our assumption that the 4th century basilica lacked jutting out apses. In the eastern exterior of the south chapel the south-eastern corner of a detached small tower structure, discovered in previous years, was unearthed and the floor level was attested. In the same section excavations were conducted in stratigraphic sequence: 1) the foundation of the altar of a church that functioned at the end of the 18th and in the 19th century in the south chapel that had survived destruction, 2) 6 broken cists of the 16th-17th cc; 3) the layer of the demolition of a "small tower" abolished at the turn of the 10th-11th cc.; 4) the construction layer of the south annex of a 4th century church: 5) 3 pit burials without grave goods, dug in layers 3, 4, 6 of the High Middle Ages; 6) from zero mark, from 3.1 to 4.6 m a layer of the 8th-7th cc extends, with traces of log structures erected on a single row stone socle. Special interest attaches to part of a miniature statuette (of a sheep), found in the pile of plaster, and an object of the form of a stamp. 7) fragments of rubbed and polished cobblestones found in a layer at the depth of 4.6-5.3 m., a faulty mould or crucible of sandstone, fired black and dark brick colored, predominantly coarse, thick-walled, formless, hand-made pottery may be tentatively dated to the Aeneolithic- Early Bronze Age.

In November sections in the Kutaisi B. Gabashvili Park of Culture and Rest were studied by experts, where earthwork was expected in connection with reconstruction and rehabilitation. Cultural layers were not attested in exploratory bore pits. It transpired that they deposited only on natural elevations, detached from one another, where earthwork is not planned at this stage.

In December the expedition studied the early classical layer and Hellenistic period burial that had been damaged while digging a foundation-pit for construction. Traces of clay plastered wooden structures of living and household

purpose were found in the cultural layer; the structures were built over pits of various configurations (round, elliptic, elongated and with rounded corners) cut in the alumina soil up to the height of 0.5-1 m. Up to 16 remains of structures and numerous Colchian pottery of the Early Classical period were attested on an area approximately 700-800 sq. m. Import is relatively modest. As a result of outside attack, the settlement, tentatively, ceased to exist in ca early 3rd cent BC. In the Hellenistic period this territory turned into an alternative zone of pithos-burials and pit-burials.

Due to the plan of rehabilitation of the Gelati Monastic Complex, in December-January bore holes of various sizes were sunk around the main church and other buildings (Pl. II); as a result the stratigraphy of the site was determined and archaeologically prospective zones were identified.

## ლიტერატურა



- ახვალდი 2005:** ედუარდ ახვალდი საქართველოს შესახებ. თბილისი.
- გოგსაძე მ. 1949:** ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბილისი.
- კაკაბაძე ს. 1921:** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფილისი.
- ლანჩავა ო. 1999:** ადრერკინის ხანის ქვისსაძირკვლიანი ნაგებობა ქუთაისიდან. – ნ. ლომოური (რედ.), ნინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება, I სამეცნიერო სესია. თბილისი.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ. 2005:** ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2006:** ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგრატის ტაძრის ინტერიერში 2006 წლის ივლის-ოქტომბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2007:** საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს (15 ივლისი-30 აგვისტო) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
- ლანჩავა ო. 2007:** ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008a:** გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
- ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008b:** ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. მე-4 შესახვევის № 9-ში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.
- ქ.ც.ს.ა., ფონდი 21, საქმე 3605, ფურც. 101.**
- ქ.ც.ს.ა., ფონდი 21, საქმე 1540, ფურც. 3.**
- Меписашвили Р. 1966:** Архитектурный ансамбль Гелати. Тбилиси.
- Церетели Г. 1882:** О некоторых древностях в Гелатском монастыре. – Пятый археологический съезд в Тифлисе (предварительное сообщение о результатах поездки в Гелати). Москва.

## ტაბულის აღწერილობა:

ტაბ. I. – 1. ქუთაისი. ადრეანტიკური დასახლება. სიტუაციური გეგმა; 2. გელათი. სადაზვერვო შურფების განლაგების გეგმა.

## DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – 1. Kutaisi. Early Classical settlement. Situation plan; 2. Gelati. Plan of layout of exploratory bore holes.



## სოსო ბურდილაძე

# ლეპისის დარანი

(2007 წლის ექსპედიციის ანგარიში)

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესწავლით დაკავებულ მკვლევართა დაინტერესება დარნებით დიდი ხანია შეინიშნება, მაგრამ მათი სპეციალური კვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

მიმდინარე წელს „ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის“ ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ასპინძის რ-ნის სოფ. ლეპისის მიდამოებში მდებარე დარნის შესწავლა.

ტოპონიმ ლეპისის (ლეპისის) წარმომავლობა ჯერჯერობით უცნობია. ადგილობრივი მაცხოვრებლები ადრე მას იქვე მდებარე სოფ. აგარასთან აიგივებდნენ და ლეპისს თუ ლეპისს XVIII-XIX სს. ამ ადგილას დასახლებულ ე.წ. „თურქ მესხთა“ მიერ დარქმეულ სახელად თვლიდნენ.

ნასოფლარი მდებარეობს ვარძიდან დასავლეთით 13 კმ-ის დაშორებით, ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთ განშტოებულ ველზე, ზღვის დონიდან 1800 მ სიმაღლეზე. სოფელი ამჟამად აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი მშრალი ქვის წყობით ნაშენი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები. სოფელი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ნასახლარი დაახლოებით 2 ჰექტარს მოიცავს.

ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რამდენიმე ფერმა, რომლის მფლობელებმაც შემთხვევით იპოვეს რამდენიმე (ჯერჯერობით დაფიქსირებულია 4) ჩანგრეული გვირაბი.

მუშაობის პირველ ეტაპზე მოვახდინეთ ნასახლარის დასავლეთით მდებარე ჩანაქცევის განმენდა და მისი მიმართულების გარკვევა. ჩანოლილი მიწის ღრმულის დიამეტრი 4,5 მ იყო. ჩრდილოეთ ნაწილში 1,60 მ-ის სიღრმეზე ჩანდა ლიობი (0,8 მ-ის დიამეტრის). მისი გაფართოების შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე გვირაბის კონტური (სურ. 1-2).

შემდგომმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული გვირაბები, რომლებიც მყარ, მცირე კონგლომერატულ ფენებშია გამოჭრილი, ერთ მთლიან სამალავ კომპლექსს, დარანს წარმოადგენს.

აღნიშნული კომპლექსი შედგება 12 მცირე და მოზრდილი გვირაბისაგან, რომლებიც ერთმა-

ნეთანაა დაკავშირებული (ტაბ. I).

**გვირაბი № 1** იწყება ჩანგრეული ჩასასვლელიდან და მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ის საკმაოდ განიერია, შუა ნაწილში ირიბად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ზედა ნაწილში გვირაბი უერთდება ქვის კედლებით ამოშენებულ და მსხვილი ლოდებით გადახურულ გვირაბს, რომელთანაც ქვის კარი აკავშირებს (სურ. 4-5). № 1 გვირაბს ჩასასვლელთან, მარჯვენა მხრიდან უერთდება № 3 გვირაბი, რომელიც აღმოსავლეთის მიმართულებითაა გაჭრილი. № 1 გვირაბს დასაწყისიდან 5 მეტრის დაშორებით მარჯვენა მხრიდან უერთდება № 6 გვირაბი. № 1 გვირაბი გაჭრილია კირნარევი დანალექ თიხნარში, რომელშიც ადგილ-ადგილ ჩართულია კლდის საშუალო ზომის ქვები. გვირაბის იატაკი გამართულია თიხნარში, ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ თანდათანობით მაღლდება. გვირაბს ზედა ნაწილში მარჯვენა მხრიდან უერთდება № 8 გვირაბი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიემართება. გვირაბების შეერთების ადგილზე დგას თიხნარში გამოჭრილი სვეტი, რომელიც ზედა ნაწილში თითქმის ჩამოშლილია (სურ. 3). თიხის სვეტს, № 1 და № 8 გვირაბებს შორის გამოჭრილია მცირე ზომის, ერთი მეტრის სიგრძის გვირაბი, რომელიც № 2 გვირაბის ქვის კედელთან და კართან მთავრდება. № 1 გვირაბი სანახევროდ სავსე იყო გვერდებიდან და ჭერიდან ჩამოშლილი მიწით. ნაყარ მიწაში გვხვდებოდა უმეტესად უსახური, შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხოლო № 1 და № 8 გვირაბების შეერთების ადგილზე აიკრიფა მორუხოდ გამომწვარი ფართოყელიანი ორყურა დერგის ზედა ნაწილი. № 1 გვირაბის სიგრძე 15 მეტრია.

**გვირაბი № 2** იწყება № 1 გვირაბის ბოლოს. მას მისასვლელი გვერდები ორი მხრიდან ამოშენებული აქვს ქვებით. შესასვლელში დგას მასიური ქვისგან გამოთლილი კარი, რომელიც ჩასმულია ოთხი სქელი ქვისგან შეკრულ ჩარჩოში. გვირაბის სიგრძე 7 მეტრია. ის კარიდან მიემართება ირიბად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და წყდება მიწის ზედაპირზე არსებული ერთ-ერთი



სათავსოს ასასვლელთან, რომელიც რამდენიმე ბრტყელი ქვითაა დაფარული. გვირაბის კედლები ნაგებია კლდის ქვებით. კედლების სიმაღლე 1,35 მეტრიდან 1,45 მეტრამდე მერყეობს. ის გადახურულია კედლებზე განივად დადებული 12 სხვადასხვა ზომის ბრტყელი ლოდით. გვირაბის სიგანე 0,6 მეტრია. მისი იატაკი თიხატყეპნილია. იატაკი მთელ სიგრძეზე ქვის კარიდან ასასვლელამდე თანდათანობით მალდება. გვირაბი ასასვლელიდან კარამდე ნახევრად სავსე იყო შავი მიწით, რომელშიც გვხვდებოდა მოშავოდ და რუხად გამომწვარი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

**გვირაბი № 3** მდებარეობს ჩაქცეულ ჩასასვლელთან, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. დასავლეთის მხრიდან უკავშირდება № 1 გვირაბს, აღმოსავლეთის მხრიდან კი № 4 და № 12 გვირაბებს. ის მცირე ზომისაა, მისი სიგრძე 3,2 მეტრია, სიგანე – 1,2 მეტრი, სიმაღლე კი – 1,7 მეტრი.

**გვირაბი № 4** დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მას ჩრდილოეთ მხარეს უერთდება № 6 გვირაბი, სამხრეთ მხარეს – № 12 გვირაბი, ხოლო დასავლეთ ნაწილში – № 3 გვირაბი. მისი სიგრძე 7 მეტრია, სიგანე – 1,6 მეტრი, სიმაღლე – 1,7 მეტრი. მას შუა ნაწილში აღმოსავლეთის მხრიდან უერთდება № 5 გვირაბი, რომელიც ამოშენებულია.

**გვირაბი № 5** მდებარეობს № 4 გვირაბის აღმოსავლეთ კედელთან შუა ნაწილში. მისი სიგანე 1 მეტრია, სიმაღლე – 1,45 მეტრი, შესასვლელი ამოშენებულია 6 დიდი და რამდენიმე წვრილი ქვით. გვირაბი გასანმენდია. ის, როგორც ჩანს, მიწის ზედაპირზე ასასვლელთანაა დაკავშირებული.

**გვირაბი № 6** მდებარეობს № 3 და № 8 გვირაბებს შორის. ის დასავლეთის მხრიდან უერთდება № 1 გვირაბს. გვირაბი ფართო და მაღალია. მისი ზომებია: სიგრძე – 6,1 მ, სიგანე – 2,35 მ, სიმაღლე – 1,7 მეტრი. მას მარჯვენა მხარეს № 4 გვირაბის შეერთების ადგილზე აქვს მიწის ზედაპირზე არსებულ შენობაში ასასვლელი. ასასვლელი წრიული ფორმისაა, გამოჭრილია დანალექ თიხაში, ნაწილობრივ ჩამოქცეულია. ზედა ნაწილში აქვს ასასვლელი ხვრელი, რომელიც ფილებითაა დაფარული. ქვედა ნაწილში, გვირაბში ჩამოსასვლელთან წრიული ფორმის 0,9მ დიამეტრის ხვრელია. ასასვლელი ვერტიკალურად უერთდება გვირაბს. მისი სიმაღლე 2,5 მეტრია.

**გვირაბი № 7** მდებარეობს № 6 და № 4 გვირაბ-

ბების შეერთების ადგილზე, ჩრდილოეთის მხარეს. გამოჭრილია თიხაში, იატაკზე ნაწილობრივ ქვებია ჩანყობილი. მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, თანდათანობით მალდება და უერთდება მიწის ზედაპირზე ასასვლელ ქვის ნაგებობას. გვირაბის სიგრძე 4,8 მეტრია, სიგანე – 0,6 მეტრი. გვირაბი ასასვლელ ნაგებობას უკავშირდება 1 მეტრი სიმაღლისა და 0,8 მ დიამეტრის ვერტიკალური ხვრელით, რომელიც ნაგებობის იატაკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია გამოჭრილი. ასასვლელი ნაგებობის იატაკი თიხისაა. კედლები ქვედა ნაწილში დიდი და მსხვილი ბრტყელი ქვებითაა ნაგები, ზედა ნაწილში ქვების ზომები კლებულობს და ასასვლელს მეტ-ნაკლებად კონუსური ფორმა აქვს მიღებული, რომელსაც ზემოდან ბრტყელი ფილები აქვს დაფარებული. იატაკზე ნაგებობის ზომებია: სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე – 1,5 მეტრი, დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე – 2 მეტრი; სიმაღლე – 2,75 მეტრია. ნაგებობაში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

**გვირაბი № 8** მდებარეობს № 2 და № 6 გვირაბებს შორის. ის მარჯვენა მხრიდან უერთდება № 1 გვირაბს და მიემართება აღმოსავლეთისაკენ. გვირაბი დასაწყისში, რამდენიმე მეტრის სიგრძეზე ვიწრო და დაბალია, ხოლო შემდეგ ფართოვდება. გვირაბის მარჯვენა მხარეს გამოჭრილია ვიწრო შესასვლელი, რომელიც მცირე ზომის სენაკში შედის. სენაკი, როგორც გვირაბი, გამოჭრილია დანალექ თიხნარში. მისი სიგრძე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ 1,75 მეტრია, სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ 1,45 მეტრი, სიმაღლე 1,2 მეტრი. სენაკი სწორკუთხედის ფორმისაა, დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი ჭერი თალისებურად ოდნავ მომრგვალებულია. სენაკის სამხრეთი კედლის მთელ სიგრძეზე (1,2 მ) იატაკში ამოჭრილია 0,5 მ სიგანისა და 0,5 მ სიღრმის ორმო. სენაკის კედლები ცეცხლის ნათების შედეგად შებოლილია შავად. სენაკში შესასვლელი გამოჭრილია გვირაბის იატაკიდან 0,6 მეტრის სიმაღლეზე. მისი სიგრძე 0,9 მეტრია, სიგანე – 0,65 მეტრი, სიმაღლე – 0,9 მეტრი. № 8 გვირაბი სენაკის შესასვლელიდან ფართოვდება და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მას ჩრდილოეთის მხრიდან უერთდება № 10 გვირაბი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან № 9 გვირაბი. გაგანიერებული გვირაბის ზომებია: სიგანე – 1,5 მ, სიმაღლე – 1,65 მ. №8 გვირაბის მთელ სიგრძეზე, გვერდებზე ამოჭრილია საჭრაქეები, ხოლო გვირაბის შუა ნაწილში, ჭერზე გა-

მოყვანილია მცირე ზომის ხვრელი, რომელსაც ზემოდან ბრტყელი ქვა ადევს.

**გვირაბი № 9** დასაწყისში ვიწრო და დაბალია, შემდეგ ის ფართოვდება. ვიწრო გვირაბის სიგრძე 1,8 მეტრი, სიგანე – 2 მეტრი, სიმაღლე – 1,6 მეტრია. გვირაბის ბოლოში, მის ჩრდილოეთ მხარეს დავიწყეთ მცირე ზომის გვირაბის გაჭრა, რომელიც ჯერჯერობით დაუმთავრებელია. მისი ზომებია: სიგრძე – 1 მეტრი, სიგანე – 0,55 მეტრი და სიმაღლე – 1 მეტრი. №9 გვირაბის შუა ნაწილში იატაკში აღმოჩნდა 2,8 მეტრი სიგრძის, 1 მეტრი სიგანისა და 1 მეტრი სიმაღლის თხრილი, რომლის ძირზე სამი წრიული ორმოა ამოღებული. იგი ცვეცხლისაგან გამურულია. № 9 გვირაბის მარცხენა მხრიდან, ჩრდილოეთ კედელში გამოჭრილია მცირე ზომის სენაკში შესასვლელი. მისი ზომებია: სიგრძე – 0,75 მ, სიგანე – 0,8 მ, სიმაღლე – 0,9 მ. სენაკის სიგრძე 2,6 მეტრია. მისი თაღური ფორმის ჭერის სიმაღლე შესასვლელთან 1,1 მეტრი, ბოლოში – 1,5 მეტრია. სენაკის მარცხენა მხარე ირიბად ჩამოშლილია და ნაწილობრივ უერთდება № 10 გვირაბს.

**გვირაბი № 10** ჩრდილოეთის მხრიდან უერთდება № 8 გვირაბს. ის შესასვლელში ვიწროა, შემდეგ ფართოვდება. ვიწრო შესასვლელში მისი ზომებია: სიგრძე – 1,5 მეტრი, სიგანე – 1,35 მეტრი, სიმაღლე – 1,5 მეტრი. გაფართოებული გვირაბის ზომებია: სიგრძე – 7,2 მეტრი, სიგანე – 1,8 მეტრი, სიმაღლე – 1,6 მეტრი. გვირაბს მარჯვენა მხრიდან უერთდება სენაკის კედელი, რომელიც ნაწილობრივ ჩამოშლილია.

**გვირაბი № 11** იწყება № 10 გვირაბის ბოლოს, ის გამოჭრილია მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და მიმართულია დასავლეთისკენ. მისი იატაკი გამოჭრილია № 10 გვირაბის იატაკიდან 0,6 მ სიმაღლეზე და თანდათანობით ზემოთ ადის, ქვედა ნაწილი თიხაშია გამოჭრილი, ზედა ნაწილს კი გვერდები კლდის ქვებით აქვს ამოშენებული და დიდი ლოდებითაა გადახურული. ამოშენებული გვერდების სიმაღლე 0,8 მეტრი, სიგრძე – 3 მეტრი, სიგანე – 0,6 მ მეტრია, გადახურულია 6 მოზრდილი ლოდით. № 11 გვირაბი ვერტიკალურად უერთდება მინის ზედაპირზე არსებულ სათავსოს ნაშთებს. ის თითქმის სავსე იყო შავი ფერის მინითა და ქვებით, რომელშიც მოშავო და მორუხო ფერის უხეშად ნაკეთები თიხის ჭურჭლის ნა-

ტეხები და მოჭიქული, მწვანე ფერის კერამიკის ნატეხები იყო არეული. № 11 და № 10 გვირაბების მიჯნაზე ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩადებული იყო დაზიანებული სანაყი ქვა. სანაყის ზომებია: 0,6×0,6 მ, სიმაღლე – 0,35 მ. ძირი გავარდნილი და ნაკლული აქვს.

**გვირაბი № 12** მდებარეობს სამხრეთ ნაწილში. ის ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება № 4 გვირაბს, დასავლეთიდან № 3 გვირაბს. მისი სიგრძე 2,2 მეტრია, სიგანე – 1,3 მეტრი, სიმაღლე – 1,95 მეტრი. ბოლოში სამხრეთ ნაწილში ამოქოლილია 19 დიდი ლოდით.

\* \* \*

დარანის გათხრებისას გამოაშკარავდა, რომ საქმე გვაქვს ერთფენიან არქეოლოგიურ ობიექტთან.

არქეოლოგიური მასალა დარანის გათხრების დროს დადასტურდა იატაკის დონეზე, თუმცა იგი მრავალფეროვნებითა და რაოდენობით არ გამოირჩევა. ნივთიერი მასალიდან ვხვდებით როგორც უბრალო საოჯახო კერამიკას, ისე რამდენიმე მოჭიქულსაც. ყველა ისინი ნატეხების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. II-IV).

ჩვენი ვარაუდით, როგორც აღნიშნული იყო, ლეპისის სოფლურ დასახლებას წარმოადგენდა. ერუშეთის მთიანეთის ამ ზონისათვის მეურნეობის წამყვანი დარგი ადრეც და ახლაც მესაქონლეობა იყო, რასაც განსაზღვრავდა გეოგრაფიული ზონა.

როდინიდან შეიძლება ვიგულისხმოთ აღნიშნული დარნების შექმნა, ჯერჯერობით ვერ ვარკვევთ. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ისინი უფრო ძველი იყოს, ვიდრე იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

დარნების არქეოლოგიური მასალა მსგავსია სამცხე-ჯავახეთის სინქრონული ნასოფლარებიდან მომდინარე მასალისა, თუმცა ჩამორჩება მათ სიმრავლითა და შემოტანილი ნაწარმის რაოდენობით. ლეპისის დარნის კერამიკა კეცის, ფორმებისა და შემკულობის გათვალისწინებით არაფრით არ განსხვავდება გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმისგან. ამიტომ ჯერჯერობით გვაქვს საფუძველი აღნიშნული მასალა XVI-XVII სს. ნაწარმად მივიჩნიოთ.

S. Burdiladze

## THE DARANI OF LEPISI

### Summary

In 2007 archaeological study of an accidentally discovered *darani* was carried out in the former village site of Lepisi, in Niali field, Aspindza district. The work was supported and financed by the Foundation for the Protection and Survival of Historical Monuments. During the work it became clear that we were dealing with a fairly complex underground architectural structure.

*Darani* is an underground complex comprised of twelve interconnected tunnels. The twelve tunnels are linked to a solidly built exit of hewn stones by a single underground corridor in size and functional design. Several small-sized living cells and a small praying house were cleaned.

My preliminary conclusions about the functional purpose of the *darani* is so far at the level of conjecture, for the study of this facility is actually the first attempt at a comprehensive study of *daranis*.

The archaeological material discovered in the *darani* gives ground to date the site to the Late Middle Ages, namely the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries.

I believe further study of *daranis* is of definite significance for research into some problematic issues of Georgian as well as late medieval history.

### სურათებისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1-6 – დარნები (ფოტოები).

ტაბ. I – გათხრილი დარანის გენერალური გეგმა.

ტაბ. II-IV – დარანში განათხარი კერამიკული მასალის გრაფიკული ნიმუშები.

### DISCRIPTION OF THE PHOTOS AND PLATES

Figs. 1-6 – the *daranis* (photos)

Pl. 1 – General plan of an excavated *darani*.

Pl. II-IV – Graphic specimens of ceramic material excavated in the *darani*.





სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4






სურ. 5






სურ. 6













აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმობედი  
კულტურათა შესწავლის საკითხები

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში, კავკასიის სხვა რეგიონებთან ერთად, ინტენსიურად ითხრებოდა ადრესამინათმობედი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

მრავალწლიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამინათმობედი კულტურის შემქმნელ მოსახლეთა მიერ ათვისებული ყოფილა როგორც გაშლილი ველები, ისე მდინარეთა ქალისპირა ტერასები და მთისწინეთი. გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სხვებზე მეტად დაწინაურებული რეგიონი ყოფილა ქვემო ქართლი, სადაც მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში გაითხარა მრავალსამშენებლო ჰორიზონტიანი ხელოვნური გორა ნასახლარების ჯგუფი, რომელთა მსგავსი ძეგლები ასევე შესწავლილია აზერბაიჯანსა და სომხეთშიც.

ქვემო ქართლში კომპლექსური არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ დაახლოებით 1,7-1,8 მილიონი წლიდან ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ყოფილა უძველესი ადამიანის პირველადი და შემდგომი განსახლებისათვის [გაბუნია, ვეკუა 2005: 5]. მათი როლი კიდევ უფრო გაზრდილა ჰოლოცენის დასაწყისიდან, როდესაც თანდათან იწყება წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პროცესი. როგორც ირკვევა, ეკოლოგიური პირობების გარდა, ამ რეგიონის როლის ზრდას ხელი შეუწყო ობსიდიანის საბადოებით მდიდარი თრიალეთის მთიანეთმა. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ობსიდიანისაგან სამეურნეო იარაღების დამზადებას ჰქონდა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონთშორისი ურთიერთობის მნიშვნელობა [სტურუა 1994: 21].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ობსიდიანის როლი განსაკუთრებულია ადრესამინათმობედი კულტურის ჩასახვისა და განვითარების მთელ მანძილზე. რაც მთავარია, სამხრეთ-აღ-

მოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი მეზოლით-უკერამიკო ნეოლითისა და უფრო მოგვიანო შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ქვის ინდუსტრიას შორის ჩანს კულტურული მემკვიდრეობის და განვითარების ნიშნები [ჭელიძე 2005: 30].

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ადრესამინათმობედი კულტურის ნასახლარის შესწავლა დაიწყო 1957 წელს მარნეულის რაიონში, სოფელ წოფში [გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 63]. შემდგომ, ქვემო ქართლში, მრავალსამშენებლო ჰორიზონტიანი გორა-ნასახლარების შულავერის ჯგუფის ძეგლების გათხრების შედეგები იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ ჯერ კიდევ გათხრების პროცესში გამოქვეყნდა როგორც მაღალკვალიფიციური მეცნიერული ანგარიშები, ისე განმაზოგადებელი ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ადრესამინათმობედი კულტურის წარმომავლობის, ეკოლოგიური გარემოს, კულტურული არეალის, წარმოებითი ურთიერთობის, არქიტექტურული გეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის, შეფარდებითი და აბსოლუტურული თარიღების, მახლობელი და წინააზიის კულტურებთან კავშირი და სხვ.

ასეთ გამოკვლევებს მიეკუთვნება მეცნიერული ნაშრომები შულავერის ჯგუფის ნასახლარებზე წარმოებული გათხრების შესახებ [ჯაფარიძე, ჯავახიშვილი 1971; ქვემო ქართლის ... შედეგები 1975]. არახლოს ჯგუფის ნასახლარების გათხრების შედეგებს მიუძღვნეს მონაგრაფიები და სტატიები ტ. ჩუბინიშვილმა, კ. კუმნარიოვამ, ლ. ჭელიძემ, დ. გოგელიამ [ჩუბინიშვილი 1970: 129; Кушнарева, Чубинишвили 1970; Чубинишвили, Челидзе, 1978: 55; გოგელია 1979: 13; ჭელიძე 1992: 17; Chelidze, Gogelia 2004: 46]. არახლო I-ზე ჩატარდა თავდაცვითი და სარწყავი სისტემების კომპლექსური კვლევა, პალინოლოგიური, პალეოკარპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, ქვის მასალების ტიპოლოგიური და

ტრასოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით. ამ კვლევის შედეგები აისახა სპეციალურ კრებულში [Человек и его... 1984].

ახალი მონაცემების დაგროვების კვალდაკვალ ქვეყნებოდა განმაზოგადებელი ნაშრომები და სტატიები. ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილის მონოგრაფია, სადაც განხილულია ქვემო ქართლსა და საერთოდ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი გორა ნასახლარების არქიტექტურული გეგმარების და სამშენებლო ტექნიკის განვითარების საკითხები მახლობელი აღმოსავლეთისა და წინააზიის კულტურებთან კავშირში [Джавахишвили 1973]. ავტორის ძირითადი დებულებები დღემდე გაზიარებულია მკვლევართა მიერ. კავკასიაში ნეოლით-ენეოლითურ ხანაში გავრცელებულ დასახლებათა ტიპებს, ახალი მონაცემების გათვალისწინებით, ეხება გ. მირცხულავას სტატია [მირცხულავა 2005: 40].

ადრესამინათმოქმედო კულტურის პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ო. ჯაფარიძის ნაშრომებში, რომელთაგან ყურადღებას გავამახვილებთ ორზე. პირველ ნაშრომში [ჯაფარიძე 1975] არქეოლოგიური არტეფაქტების განხილვასთან ერთად დაყენებულია თეორიული საკითხების რიგი. მეორე ნაშრომში აღნიშნული საკითხები განხილულია უფრო ფართოდ ახალი მასალების გათვალისწინებით [Джапаридзе 1989]. ადრესამინათმოქმედო კულტურის მეურნეობის კვლევის ორიგინალური ხედვით გამოირჩევა ი. კიკვიძის ნაშრომი [კიკვიძე 1976], რომელიც შემდგომ ითარგმნა რუსულ ენაზეც.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო ქართლის შულავერის ჯგუფის გორა-ნასახლარების მკვლევარის თ. კილურაძის მონოგრაფია, რომელშიც პირველადაა ჩამოყალიბებული ამიერკავკასიის ამ ტიპის ნასახლარების გეგმარების, სამშენებლო ტექნიკის, არქეოლოგიური არტეფაქტების ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური და მეზობელ სამხრეთ-აღმოსავლურ კულტურულ ცენტრებთან ურთიერთობის კვლევის შედეგები. ამის საფუძველზე მკვლევარმა გამოყო ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ხუთი საფეხური და სამეცნიერო ლიტერატურაში ის დაამკვიდრა „შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის“ სახელწოდებით [კილურაძე 1976: 105]. აღნიშნული ნაშრომის შევსებული ვარიანტი გამოიცა გერმანულ ენაზეც [Kiguradze 1986]. ასევე საყურადღებოა მ. მენაბდესთან ერთად გამოქვეყნებული მისი მორიგი ნაშრომი, სადაც ყურადღება გამახვილებულია აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შულავერ-შომუ-თე-

ფეს კულტურისაგან განსხვავებულ ერთფენიან ნასახლარებზე. ავტორები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სიონის მასალების თავისებურებას და აღნიშნავენ, რომ საქმე გვაქვს „სიონის ტიპის“ ახალ ნასახლართან [მენაბდე, კილურაძე 1981: 33].

მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის არქეოლოგიურ კულტურებთან ქრონოლოგიურ მიმართებაში საყურადღებოა გ. ქავთარაძის მონოგრაფიები. მან  $C^{14}$ -ით მიღებული არაკალიბრირებული და კალიბრირებული თარიღების საფუძველზე დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო და ბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოს დაძველების შესახებ და ადრესამინათმოქმედო ნასახლარები დაალაგა პერიოდების მიხედვით. თავისი მოსაზრება მან ჯერ გამოთქვა ქართულად გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში [ქავთარაძე 1981], შემდეგ იგივე გაიმეორა რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაშიც [Кавтарадзе 1983].

ალაზნის ველზე გამოვლენილ ახალ ერთფენიან ნასახლარებს მიუძღვნა საყურადღებო მონოგრაფია ვ. ვარაზაშვილმა [Варазашвили 1992]. წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების ზოგადი და კონკრეტული საკითხებია განხილული ლ. ძიძიგურის მონოგრაფიაში [ძიძიგური 2000]. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის პრობლემურ საკითხებს ეხება ზ. მახარაძის სტატია [მახარაძე 1998: 27], ხოლო ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული პრობლემებია განხილული გ. მირცხულავას სტატიაში [მირცხულავა 2005: 100].

უახლესი გამოცემებიდან ასევე აღსანიშნავია კოლექტიური ნაშრომი ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე [ვ. სადრაძე და სხვ. 2007].

შულავერ-შომუ-თეფესა და მისგან განსხვავებული კულტურის ნასახლარების გარშემო არანაკლებ საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს სხვა ქვეყნების მკვლევარებმაც. ასეთია ა. იესენის სტატიები კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ურთიერთობის შესახებ ძვ.წ IV-III ათასწლეულებში [Иессен 1963] და მილ-ყარაბახის წარსულის შესახებ [Иессен 1965]. ადრესამინათმოქმედო კულტურის საკვლევ პრობლემებს დიდი ადგილი დაუთმეს თავიანთ ნაშრომებში რ. მუნჩაევმა [Мунчаев 1975: 80], რ. მუნჩაევმა და ნ. მერპერტმა [Мунчаев, Мерперт 1981], ი. ნარიმანოვმა [Нариманов 1987], ო. აბიბულაევმა [Абибулаев 1982], ბ. არაზოვამ [Аразова 1986], რ. ტოროსიანმა [Торосян 1976], მ. გაჯიევმა [Гаджиев 1991], ვ. მასონმა [Массон 1964], ნ. ბადერ-

მა [Бадер 1989], კ. კუშნარევამ [Кушнарева 1993]. მეტად საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს რ. ბადალიანის სტატია არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ობსიდიანის მასალებისა და მისი გამოსავლები ადგილების იდენტიფიკაციის შესახებ [Бадалян 2001: 251].

ცალკე აღსანიშნავია ავტორთა კოლექტივის მიერ გამოქვეყნებული ტომი „Энеолит СССР“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შულავერ-შომუ-თეფესა და კავკასიის სხვა ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებს [Мунчаев 1982: 93].

აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ახალმშენებლობის პირობებში XX ს-ის 70-იანი წლებიდან გაიზარდა ახლად აღმოჩენილი ადრესამინათმოქმედო ნასახლარების რიცხვი. ასეთი ნასახლარები აღმოჩნდა არა მხოლოდ ქვემო, არამედ შიდა ქართლსა და კახეთშიც. რაც მთავარია, გაითხარა შულავერ-შომუ-თეფეს კულტურისაგან განსხვავებული ერთფენიანი ნასახლარები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „სიონის ტიპის“ [მენაბდე, კილურაძე 1981: 33], ან „ნოფი-გინჩის“ წრის ძეგლების სახელწოდებით [Чиковани 1989: 84]. უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ გვერდით იმატა ახალ ტერმინთა რაოდენობამ „სიონი-გინჩის“ [მირცხულავა 2005: 102], ან „სიონი-ნოფის“ სახით [Корневский 1998: 99], რაც კულტურის აღმნიშვნელ პირობით ტერმინთა აღრევასა და გაუგებრობას იწვევს.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ შიდა ქართლში „ნოფის“ წრის ნასახლარების გვერდით აღმოჩნდა სრულიად ახალი, მაღალი სამშენებლო ტრადიციისა და კულტურის, ბერიკლდეების ქვედა ფენის ნასახლარი, რომელმაც პირველივე პუბლიკაციისთანავე მიიქცია ყურადღება [Глonti, Джавахишвили 1987: 80]. ამავე ძეგლებზე თავის მოსაზრებას გამოთქვა ალ. ჯავახიშვილმაც [Dzavaxišvili 1998: 7].

აღნიშნული ნასახლარი, კერძოდ საკულტო ძეგლი და გალავანი, მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის საკულტო ძეგლებთან კავშირში, მიმოიხილა გ. ყიფიანმა და აღნიშნა, რომ ის სრულიად ახალი მოვლენაა ენეოლითური პერიოდის საქართველოს ისტორიაში [ყიფიანი 1997: 13].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა კულტურის ნასახლარების აღმოჩენამ გვიბიძგა გვევარაუდებინა სამი განსხვავებული კულტურის არსებობა-თანაარსებობა, რომელთაგან ორს განვითარების ხანგრძლივი ტრადი-

ცია აქვს, ხოლო ბერიკლდეების ქვედა ფენის ტიპის ძეგლებს შედარებით ნაკლები. როგორც ცნობილია, ბერიკლდეების მსგავსი ძეგლები ამიერკავკასიაში თანდათან მატულობს და შესაბამისად არის ცდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი დავამკვიდროთ ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურის სახელწოდებით [ჩიქოვანი 1998: 3].

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურათა კვლევაში თვალსაჩინოა ქართველი არქეოლოგების როლი. თ. კილურაძემ ქვემო ქართლის ნასახლარების – შულავერის, იმირისა და ხრამის დიდი გორას სტრატეგრაფიის, არქიტექტურული გეგმარების, სამშენებლო ტექნიკისა და არტეფაქტების საფუძველზე გამოყო შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის განვითარების ხუთი საფეხური, რომელიც საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის ქრონოლოგია-პერიოდიზაციას. ავტორის აზრით, შულავერის გორის IX-IV სამშენებლო პორიზონტის მასალები ამიერკავკასიაში ყველაზე ადრეულია და მისი შესატყვისი მასალები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა [კილურაძე 1976: 108]. ამ მოსაზრებას მაინცდამაინც არ ცვლის სომხეთში, არარატის ველზე ეჩმიადინის ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ზე, სოფ. არატაშენში მდინარე კასახის მარცხენა ნაპირზე გათხრილი ნასახლარი, სადაც გამოიყო 1 მეტრის ზედა I და 1,5 მეტრი სისქის ქვედა II ფენა. გამთხრელთა მიხედვით ქვედა II ფენა შედგება ოთხი სამშენებლო პორიზონტისაგან, თანმხლები თიხატყეპნილი წრიული ნაგებობებით. ქვისა და ძვლის იარაღების გარდა აქ აღმოჩნდა ჰალაფის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ზედა I ფენა კი შედგება ალიზის აგურით ნაგები ოთხკუთხა შენობებისაგან და სხვა მასალებთან ერთად თიხის ჭურჭლის ნატეხებზე მეტია. ავტორთა აზრით, C<sup>14</sup>-ით მეთოდით მიღებული აბსოლუტური თარიღების საფუძველზე ნასახლარი თავსდება ძვ.წ. VI ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში, რომელიც II ფენის ზედა და I ფენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია [Бадалян, Аветисян и др... 2000: 32]. აღნიშნული ნასახლარი სულ უფრო და უფრო იქცევა მკვლევართა ყურადღებას [Palumbi 2007: 73]. რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს საინტერესო ნასახლართან, თუმცა მასზე გამოთქმული მოსაზრებები მომავალში კრიტიკულად უნდა შეფასდეს.

ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ თ. კილურაძის ერთ მოსაზრებას. მან შულავერ-შომუ-თე-



ფეს კულტურისგან გამოყო მაშინ ცნობილი, განსხვავებული ნასახლარების ერთი ჯგუფი – თელუთა, ალიკემეკ-თეფესი, ილანლი-თეფე, ნოფი და სხვ., რომლებიც აღნიშნული კულტურის V საფეხურზე მოგვიანოდ და მტკვარ-არაქსის უადრეს ძეგლებზე ადრეულად მიაჩნია [კილურაძე, 1976: 132]. რიგი ახალი ძეგლების აღმოჩენის შემდეგ ავტორმა თავისი მოსაზრება უფრო განავრცო და მარნეულის სიონი, არაგვის ხეობის, ალაზნის ველისა და აზერბაიჯანში გათხრილი ნასახლარები – ქეჩილი III, მენტეჟი, რუს-თაფასი ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოაქცია. იგი ასევე, გარკვეულ სიახლოვეს ხედავდა ამ ნასახლარებისა და შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ბოლო საფეხურის მასალებს შორის. კერძოდ, გულისხმობდა თიხის ჭურჭლის ნატეხების ზოგიერთ ფორმას, ორნამენტაციას, ხოლო სიონში აღმოჩენილი „შომუ-თეფეს“ ტიპის ნამგლის ჩასართის მიხედვით ეს ძეგლი II ან მოგვიანო საფეხურის თანადროულადაც კი მიაჩნდა [მენაბდე, კილურაძე 1981, 32-33].

შემდგომ თ. კილურაძემ უფრო განავრცო თავისი მოსაზრება. იგი აღნიშნავდა, რომ სიონის ტიპის ძეგლები ასახავს ენეოლითის განვითარებულ და მოგვიანო პერიოდებს. მისი აზრით, ასევე ფინალური ენეოლითის პერიოდისა უნდა იყოს უადრესი მტკვარ-არაქსული ძეგლები, სამშვილდის ნასახლარის ქვედა ფენა, ღრმახევის-თავი, თრელის ნასახლარი. მტკვარ-არაქსის დასახლებული ძეგლები გვიან ენეოლითურია და თარიღდება IV ათასწლეულის შუა ხანებით და მესამე მეოთხედით. ხალკოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი ამიერკავკასიაში ზოგადად შეიძლება განისაზღვროს სიონის ტიპის ძეგლების ფინალური სტადიითა და მტკვარ-არაქსის კულტურის უადრესი ეტაპით. სიონის ტიპის ძეგლებმა გარკვეული როლი შეასრულა, ერთის მხრივ, მტკვარ-არაქსის, მეორეს მხრივ მაიკოპის კულტურის ძეგლების ჩამოყალიბებაში [კილურაძე 1998: 19-20].

ვ. ვარაზაშვილი ალაზნის ველის ნასახლარების კვირისწყლის, დამწვარ გორას და შულავერ-შომე-თეფეს მასალებს შორის გარკვეულ მსგავსებას ხედავს. კერძოდ, მსგავსებისას იგი გამოყოფს ქილებს, ქოთნებს, ჯამებს, კეცებს, ორნამენტისა და დეკორის გარკვეულ სახეებს, წინვისებრ, ჭდეულ, ჭილოფის ანაბეჭდებს, კოპებს, შვერილებს, რელიეფურ დანაძერწებს და სხვა. ამასთანავე იგი მსგავსებას ხედავს მომდევნო ადრე ბრინჯაოს ხანის მასალებთანაც და შესაბამისად ალაზნის ველის ნასახლარებს ძვ. წ.

IV ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებს [Варазашвили 1992: 54-83].

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბერიკლდეების ქვედა ფენის ტიპის კერამიკის გამოჩენამდე გაცილებით ადრე კ. კუმნარიოვამ და ტ. ჩუბინიშვილმა ნოფის ნასახლარის უხეში კერამიკის გვერდით გამოყვეს მცენარეულმინარევიანი, მაღალხარისხოვანი კერამიკის ერთი ჯგუფი, რომელთაც ანალოგები ასევე მოუძებნეს არახლო I და აბელიაშიც [Кушнарева, Чубинишвили 1970: 32]. ტ. ჩუბინიშვილი ასეთი კერამიკის გამოჩენას ამიერკავკასიაში ირანულ-ჩრდილო მესოპოტამიურ წრეს უკავშირებდა [ჩუბინიშვილი 1970: 149].

ო. ჯაფარიძე, განიხილავს რა აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამინათმოქმედო კულტურათა არეალს, აღნიშნავს, რომ სიონის კულტურის გავრცელების უკიდურესი მხარე აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, ქვემო ქართლი იყო, სადაც იგი ერთხანს შულავერ-შომუ-თეფეს კულტურასთან თანაარსებობდა [ჯაფარიძე 1992: 7]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სოფელ ენგიანთან, პადარსა და მურადაიში ნაწილობრივ გათხრილ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე დაფიქსირდა ნახევრად მიწურები, სადაც აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთ ჯგუფს ტ. ახუნდოვი ამსგავსებს კახეთის ადრესამინათმოქმედო ნასახლარების თიხის ჭურჭლის ნატეხებს [Ахундов 2001: 20].

ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების რიგ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო, მაგრამ საკამათო აზრს გამოთქვამს ვ. როსტუნოვი.<sup>1</sup> მისი შეხედულებით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ატლანტური პერიოდის დასაწყისში ხელსაყრელი პირობები ყოფილა დამჯდარი მინათმოქმედებისა და მეურნეობის განვითარებისათვის. შესაბამისად ყალიბდება შულავერ-შომუ-თეფეს კულტურა, რომლის დასასრული ემთხვევა აცივებას და კლიმატის სიმშრალეს. ამიტომ ძვ.წ. V ათასწლეულის დასასრულიდან აღნიშნული კულტურის მატარებელი მოსახლეობის ადგილს იკავებს ნოფი-გინჩის წრის ერთობის შემქმნელი მობილური მინათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობა, რომელიც ასევე ითვისებს მთიანი ზოლის ნოყიერ ქალისპირა ტერასებს. შემდგომში კლიმატის

<sup>1</sup> გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას მეგობარი კოლეგის ნაადრევად გარდაცვალების გამო.



სიმშრალემ გამოიწვია მთაში თოვლის საფარისა და მყინვარების უკან დაწევა და გაიხსნა სატრანზიტო უღელტეხილები. ნოფი-გინჩის წრის კულტურის შემქმნელი მოსახლეობა გადავიდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო მომთაბარე მესაქონლეობისათვის. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან ცენტრალური კავკასიის სამხრეთ კალთებზე ჩნდება ახალი კულტურის ნასახლარები, ბერიკლდეების ქვედა ფენისა და ლეილა-თეფეს ნასახლარების სახით, რომლებიც, როგორც ჩანს, მობილური მინათმოქმედებს ტრეთენოდნენ და მალევე იცვლებიან ახალი, მტკვარ-არაქსული მოსახლეობის ნასახლარებით [Ростунов 2003: 40-41].

მორიგ სტატიაში ვ. როსტუნოვი აგრძელებს ამავე და სხვა საკითხებზე მსჯელობას, რომელთაგან ამჯერად შევეხებით მხოლოდ ორს. მისი აზრით, შიდა ქართლის ბარში ადრესამინათმოქმედო კულტურის რამდენადმე ადრეული ნასახლარია ბერიკლდეების ქვედა ფენა [Ростунов 2003: 2]. თუმცა, დასახლების ტიპისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ბერიკლდეების ქვედა ფენაზე უფრო ადრეულია თანდინყარო I გორის რაიონში [ჩიქოვანი 1999: 19-23, ტაბ. I-V] და ნიჩბისი მცხეთის რაიონში [ჩიქოვანი 2001: 16-18, ტაბ. I-IV]. ამასთანავე, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ჟინვალში, ადრესამინათმოქმედო კულტურის ნასახლარიდან  $C^{14}$ -ის მეთოდით მიღებულ აბსოლუტურ თარიღსა და ვერტიკალურ ჭრილში აღებული პალინოლოგიურ სინჯების ანალიზის მონაცემებზე. უნდა შევნიშნოთ, რომ 1982 წელს ჟინვალის ადრესამინათმოქმედო ნასახლარის კულტურული ფენიდან ნახშირი საანალიზოდ აღებულ იქნა წესების სრული დაცვით, რაც ნაწილობრივ აისახა ექსპედიციის კოლექტიურ ანგარიშში [Рамишвили, Джорбенадзе и др. 1985: 55-56].

ანალიზი გაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიო ნახშირბადის ლაბორატორიაში და მიღებულ იქნა არაკალიბრირებული თარიღი (ТБ 326)  $4300 \pm 150$  წ. გ. ქავთარაძემ ამ თარიღის რ. კლარკის კალიბრაციულ მრუდზე გადაყვანით მიიღო კალიბრირებული თარიღი (ТБ 326)  $4937 \pm 322$  წ. ჩვ.წ-მდე. მკვლევარს მხოლოდ ეს თარიღი აქვს შეტანილი თავის მონოგრაფიაში [Кавтарадзе 1983: 47]. შემდგომ თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პალინოლოგიურმა ექსპედიციამ ან განსვენებულ, ქალბატონ ლ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან შეთანხმებით

ჟინვალსა და აბანოსხევი ვერტიკალურ ჭრილში აიღო სინჯები პალინოლოგიური ანალიზისთვის. პალინოლოგიური ექსპედიციის შედეგების ერთი ნაწილი აისახა ლ. გოგიჩაიშვილსა და ჩვენს ერთობლივ სტატიაში [Гогичайшвили, Чиковани 1989: 152-154], სადაც, სამწუხაროდ, გაიპარა შეცდომა და ჟინვალში გაკეთებული ვერტიკალური ჭრილის სქემაში აბსოლუტური თარიღი აღნიშნულია ადრესამინათმოქმედო კულტურის ფენის ოდნავ ქვემოთ, რამაც გამოიწვია ვ. როსტუნოვის სამართლიანი კრიტიკა. მაგრამ ავტორმა გადააჭარბა, შეიტანა რა ეჭვი აბსოლუტური თარიღის კულტურული ფენისადმი კუთვნილებაში და შესაბამისად მან V ათასწლეულის მეორე ნახევრიდან IV ათასწლეულის პირველ ნახევარში გადმოათარიღა შიდა ქართლის ადრეული ნასახლარები [Ростунов 2003: 6-7]. მხოლოდ სქემაში დაშვებულ უზუსტობაზე დაყრდნობით უსაფუძვლოა ვ. როსტუნოვის მოსაზრება, მით უმეტეს რომ რადიონახშირბადისა და პალინოლოგიური ანალიზისათვის სინჯები აღებულ იქნა სხვადასხვა მონაკვეთზე და სხვადასხვა დროს.

მ. გაჯიევის აზრით, იორ-ალაზნისა და ასევე არაგვის ხეობის ნასახლარების ჟინვალის, ქვემო არანისის (ახალი ჟინვალი), ბოდორნის და ხერთვისის მასალები მეტ სიახლოვეს პოულობენ გინჩის მასალებთან. ამიტომ ეს ძეგლები და აგრეთვე დელისი, ტერიტორიული და კულტურული სიახლოვის გამო პირობითად შეიძლება გაერთიანდეს ჩრდილო კავკასიის ძეგლების დაჯგუფებაში, ხოლო სიონის კულტურის თავისებურება კი უნდა ჩამოყალიბებულიყო ჩრდილო, დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიურ კულტურათა ტრადიციების გზაჯვარედინზე [Гаджиев 1991: 93-96]. როგორც ითქვას, მკვლევართა დიდი ინტერესი და მოსაზრებათა ახალი ნაკადი მოჰყვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურის ძეგლების აღმოჩენას. უნდა ითქვას, რომ ამ კულტურის ახალი ძეგლების აღმოჩენის რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს.

ლ. ლლონტისა და ალ. ჯავახიშვილის აზრით, უშუალოდ ადრეული მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის ქვეშ მდებარე ქვედა ფენა შეიცავს ნოფის, სიონის, სამელე და სამერცხლე კლდის და ადრემაიკოპის თიხის ჭურჭლის მსგავს ნატეხებს, ამიტომ ქვედა ფენის ასაკი ტრადიციული შკალით შეიძლება განისაზღვროს ძვ. წ-ის IV ათასწლეულის პირველი ნახევრით, ან, შესწორებული თარიღით, V ათასწლეულის დასასრულს.

ლით [Глonti, Джавахишвили 1987: 85-86]. მსგავს აზრს ანვითარებდა ალ. ჯავახიშვილიც [Dzavaxiṣvili 1998: 7-16].

გ. ყიფიანი ბერიკლდეების ქვედა ფენაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ალიზის აგურით ნაგებ გალავანსა და ტაძარს. ავტორს, ამიერკავკასიასა და, კერძოდ, ბერიკლდეებზე ტაძრის კულტურა მცირე აზიიდან შემოჭრილად მიაჩნია, რადგან მას ადგილობრივი წინამორბედი და, შესაბამისად, პარალელი არ ეძებნება [ყიფიანი 1997: 35]. აღსანიშნავია, რომ ბერიკლდეების ქვედა ფენა შიდა ქართლში ერთადერთი არ არის. მსგავსი მასალების შემცველი ყორღანული სამარხი აღმოჩნდა კასპის რ-ნში, კავთისხევში ე.წ. „იორამის გორაზე“ [მახარაძე 1998: 24-25].

ახალ აღმოჩენილი ძეგლებიდან ასევე საინტერესოა გარდაბნის რ-ნში, ვაზიანის № 1 ყორღანის გათხრისას გამოვლენილი ქვის სარტყლიანი მრგვალი მიწური თუ ჩაღრმავება, სადაც ჩნდებოდა ენეოლითური იერის თიხის ჭურჭლის ნატეხები და ობსიდიანის ლამელა-ანატკეცები, დამუშავების ან გამოყენების კვალით [ჩიკოიძე, მინდიაშვილი და სხვ. 2003: 10-11]. თეთრინყაროს რ-ნში კი ადგილი „ნაჭიჭავებზე“ გაითხარა ადრესამინათმოქმედო კულტურის ნასახლარი, სადაც ძირითადად ჩნდებოდა სხვადასხვა სიდიდის სწორკედლიანი ან მსხლისებრი ფორმის ორმოები. ნასახლარზე ასევე აღმოჩნდა მისი თანადროული ერთი ნახევრადმიწური და მცირე ქვაყრილიანი მომრგვალებული ფორმის ორმო-სამარხი [Шатберашвили, Чиковани 2007: 232]. ორივე ნასახლარი დასახლების ტიპისა და მასალების მიხედვით, სიონი-ნოფის ჯგუფის ძეგლების წრეს მიეკუთვნება.

უფრო ადრე აღმოჩენილი ძეგლებიდან შეიძლება დავასახელოთ დმანისის რ-ნში, სოფელ ვარდისუბანთან, ადგილ ღრმახევისთავში მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის გათხრისას რ. აბრამიშვილის მიერ გამოყოფილი ადრეული ორმოების ჯგუფი, რომელიც შეიცავდა მცენარეულჩანართიან კერამიკას. ავტორმა მათ პარალელი მოუხაზა ენეოლითურ მასალებში [აბრამიშვილი 1980: 12]. ზოგიერთი ჭურჭლის ნატეხი მართლაც ჰგავს ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურის ან მათ თანადროულ კერამიკას, რაც უდავოდ ზრდის როგორც ავტორის მოსაზრებას, ისე ძეგლის მნიშვნელობას.

აზერბაიჯანში ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურის წრის გაცილებით მეტი ძეგლია აღმოჩენილი. აქ ყარაბახის ველზე, ლეილა-თეფეს ნასახლარის შესწავლისას არქიტექტურული,

სამშენებლო ტექნიკისა და მასალების თავისებურების გამო ი. ნარიმანოვა კულტურული კავშირი დაინახა მესოპოტამიის ობეიდის წრის ძეგლებთან. მან ამის საფუძველზე აზერბაიჯანში გამოყო ახალი, ლეილა-თეფეს კულტურა [Алиев, Нариманов 2001: 7].

ნ. ალიევს ამავე კულტურის ნასახლარად მიაჩნია ჩინარ-თეფე, შომულუ-თეფე, აზიზ-თეფე, ხოლო ლეილა-თეფეს თიხის ჭურჭლების მსგავსებას ხედავს გინჩის, თელუთას, ბერიკლდეების და სხვა ნასახლარების მასალებში. ეს მასალები ეხმიანებიან ჩრდილო ობეიდურ კულტურას, რომელიც არსებობდა ძვ.წ. V და IV ათასწლეულის შუა ხანებამდე. მისი აზრით, ლეილა-თეფე შეეფარდება ობეიდური კულტურის დასასრულს და შესაბამისად მისი არსებობის ზედა ზღვარი უახლოვდება ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს [Алиев 2001: 20].

აზერბაიჯანში ახალი გათხრებით ლეილა-თეფეს მსგავსი ძეგლები აღმოჩენილია მულანის ველზეც. ესენია მიშარჩაი IV და, რაც საყურადღებოა, სოიუგბულაგის ყორღანების ჯგუფი. ნ. მუსეიბლის აზრით, ლეილა-თეფეს კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კაჟის იარაღების სიმრავლე ობსიდიანისაზე, ლითონის იარაღების დამზადების მაღალი დონე და სავარცხლისებრი შტამპით ორნამენტირებული ჭურჭლები [Мусеибли 2007: 155-158].

ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურის წრის ძეგლების პრობლემით დაინტერესებული მკვლევარები გამოთქვამენ ახალ საყურადღებო მოსაზრებებს. ამიერკავკასიაში ამ ახალი კულტურული ტალღის გამოჩენაში ურუქის კულტურის როლს აღნიშნავს ფ. გულიევი [Гулиев 2005: 82]. ამავე აზრს ანვითარებს რ. მუნჩაევიც [Мунчаев 2007: 8,9], მათ მოსაზრებას რამდენადმე ზურგს უმაგრებს გ. ლიონეს ქრონოლოგიური სქემაც [Lyonnet 2007: 13].

როგორც აღვნიშნეთ, ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების თვალსაზრისით რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც დაფიქსირებულია სამი განსხვავებული კულტურის არსებობა და გარკვეულ ეტაპზე თანაარსებობა.

შულავერ-შომუ-თეფესა და სიონი-ნოფის წრის ძეგლებს განვითარების შედარებით გრძელი გზა აქვთ განვლილი, ხოლო ფინალურ ეტაპზე მათთან მცირე ხნით, თანაარსებობს ბერიკლდეები-ლეილა-თეფეს კულტურა ან ამ კულტურული ტალღის წინამორბედი ელემენტები. რაც მთავარია, ფინალურ ეტაპზე მათ შორის შე-

იმჩნევა შედარებით მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უკეთესად გავიაზროთ კულტურული ცვლილებებისა და ქრონოლოგიის საკითხები.

სამეცნიერო გამოკვლევებში მიღებულია შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VI ათასწლეულის მეორე ნახევარი – IV ათასწლეულის პირველი ნახევარი, რომლის კრიტიკულ განხილვას ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ. რაც შეეხება ნოფი-გინჩის წრის ძეგლებისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს, ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე და IV ათასწლეულის პირველი ნახევარი, როგორც აღნიშნული გვაქვს, მისი საფუძველია შიდა ქართლის ნასახლარების სტრატиграფიული, მასალების შედარებით ტიპოლოგიური ანალიზი და ჟინვალიდან C<sup>14</sup>-ის მეთოდით მიღებული აბსოლუტური თარიღი.

არაგვის ხეობაში სტრატиграფიული მონაცემებით ყველაზე ადრეულია აბანოსხევის ნასახლარის მასალები, 0,30-0,50 მ სისქის განმარხული შავი ნიადაგიდან, რომელიც სამ უბანზე ერთი კმ-ის სიგრძეზე გამოვლინდა მინის ზედაპირიდან 0,60-2 მეტრ სიღრმეზე. აქ გარკვეული დროით ცხოვრება წყდება და კულტურული ფენა გადაფარულია 1 მეტრამდე სისქის სტერილური თიხნარით. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით შემდგომ ისინი ცხოვრებას აგრძელებენ 10 კმ-ით ჩრდილოეთით სოფელ ჟინვალის ქალისპირა ტერასაზე, უკვე გაფორმებულ შავმიწა ნიადაგის ზედაპირზე. რაც მთავარია, ადგილმონაცვლეობის მიუხედავად არქეოლოგიურ მასალებში შეინიშნება კულტურული მემკვიდრეობა არამხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ადგილებზე, არამედ შიდა ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს ამ წრის სხვა ნასახლარებზეც. მკვლევართა საერთო შეფასებით კერამიკულ ნაწარმში გარკვეული მსგავსება შეინიშნება ასევე დასავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ძეგლების მასალებთანაც.

აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით გათხრილი ნოფი-გინჩის წრის ძეგლებიდან ყველაზე ადრეულია სოფელ აბანოსხევის სამი პუნქტის – „ხიმშიანთ მიწების“, „ნაქალაქარი ხიდარარის“ და „მწითურების მამულის“ ნასახლარების მასალები, რომლებიც ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდებიან. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის პირველ ნახევარში თავსდება დანარჩენი ნასახლარები – ჟინვალი, ახალი ჟინვალი, ხერთვისი,

ჩინთი, ბოდორნა, თანდინყარო I, ნიჩბისი, დამნვარი გორა, კვირიას წყალი, ნადიკარი, ნოფი, სიონი, არახლო VI, წითელი სოფელი, ჯავახი, ვაზიანი I, ნაჭივჭავეები და შესაძლოა დელისიც. თითოეული ამ ნასახლარის მასალა მეტად საყურადღებოა და მეტ-ნაკლებად იძლევა ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპის შეფასების შესაძლებლობას. ამჯერად შეიძლება ზოგიერთი ნასახლარის ცალკეულ ნიშანზე გავამახვილოთ ყურადღება. კულტურული მემკვიდრეობისა და განვითარების ახალი ელემენტების ნიშნებით სამეთუნეო წარმოებაში გამოირჩევა ჩინთის ნასახლარი [ჩიქოვანი 1998: 72-80]. ამ ნასახლარზე კარგად ჩანს ჭურჭლის ფორმებში, გამოწვის ტექნიკაში, ორნამენტის რიგ სახეებში, ადრეული ძეგლების მასალებთან კულტურული მემკვიდრეობა [ჩიქოვანი 2005: 63-66, ტაბ. I-II]. მაგრამ სიახლეა ყურიანი და შვერილებიანი, უქუსლო ბრტყელიძირა, სხვადასხვა რელიეფური ორნამენტი, ძირზე ჭილოფის წრიული ანაბეჭდი და სხვა, რომლებიც ეტაპობრივი [ჩიქოვანი 2003: 47-48] და მონინავე კულტურებთან ურთიერთობისა და შინაგანი ევოლუციის შედეგია [ჩიქოვანი 1998: 3-5]. ეს ნიშნები კარგად ჩანს ასევე ჭურჭლის პირზე გაფორმებულ სხვადასხვა სახის ორნამენტებსა [ჩიქოვანი 2004: 142] და ქვის ნატყეც იარაღებშიც [ჩელიძე, ჩიქოვანი 1991: 1-12].

ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპზე ზოგიერთი ტრადიციული ნიშნის გაქრობაზე მიუთითებს ნიჩბისის სამეთუნეო ნაწარმში პირდაჭდეული ჭურჭლის მხოლოდ ერთი ნატყეხის აღმოჩენა. მსგავსი სურათია ბოდორნის ნასახლარზეც, სადაც თიხის ჭურჭლის ყველა ნატყეხის ყელ-პირი სადა და უორნამენტოა. თანდინყარო I მასალებში ჭურჭლის არც ერთ ნატყეხს არა აქვს გამჭოლი ნასვრეტი [ჩიქოვანი 1999: 21-23, ტაბ. IV-V], რითაც მარნეულის სიონის მასალების მსგავსია. აღმოსავლეთ საქართველოში, სამეთუნეო წარმოებაში მიუხედავად რიგი ნიშნების მსგავსებისა, მაინც შეიმჩნევა რეგიონალური თავისებურება. ეს ეხება შიდა ქართლის სამეთუნეო ნაწარმსაც, რომლის გარკვეული გავლენა ჩანს ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ადრესამინათმოქმედო სამეთუნეო წარმოებაში. (შაულაგათი, ტიალინგი, რუგუჯა და სხვ.) [ჩიქოვანი 1999: 26].

ცალკეული ნასახლარის თავისებური ნიშნიდან შეიძლება დავასახელოთ ალაზნის ველის ადრესამინათმოქმედო ნასახლარების თიხის



ჭურჭლების „ბიბილოსები“ შვერილების ერთგვარი განსხვავება შიდა ქართლისაგან. მათ „ბიბილო“ შედარებით გადმოკეცილი აქვთ და ასეთი ჭურჭლების ერთგვარ განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენენ [ჩიქოვანი 2005: 65]. ასევე მარნეულის სიონის თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთ ჯგუფს ეტყობა ნაფოტისებრი ნივთითა და სავარცხლისებრი შტამპით შესრულებული ხაზები და ორნამენტი, რაც დამახასიათებელია აზერბაიჯანის ზოგიერთი ნასახლარის მასალებისათვის. ეს ნიშანი შენიშნული აქვთ მარნეულის სიონის გამთხრელებს [მენაბდე, კილურაძე 1981: 29]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ასეთი ნატეხი აღმოჩენილია წითელ სოფელშიც [გოგელია 1992: 61]. ასევე ბოდორნის საყელოსებრიპირიანი, ნიჩბისის მონითალო, თხელკეციანი ფიალის ნატეხი, ნოფისა და ზოგიერთი სხვა ნასახლარის მცენარეულჩანართიანი მაღალხარისხოვანი, დაბალტანიანი და უქუსლო ბრტყელძირა კერამიკა, რელიეფური ორნამენტი, მცირე და მასიური ყურები განვითარების ფინალურ ეტაპზე ქრონოლოგიურად ერთმანეთთან აახლოებს შულავერ-შომუ-თეფეს, სიონი, ნოფი-გინჩისა და ბერიკლდეები – ლეილა-თეფეს კულტურის მასალებს. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ არახლო I სამოსახლოს გარეთ № 7 სამარხში აღმოჩენილი, ვერტიკალურ მწკრივებად განლაგებული კოპებით შემკული მონითალო კეციანი ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, რომელსაც თვით სამოსახლოს მასალებში ეძებნება პარალელი. ჩვენი აზრით, ეს სამარხი შეიძლება ეკუთვნოდეს არახლო I-ის ზედა ფენაში დაფიქსირებული ოთხკუთხა ნაგებობის მაცხოვრებლებს [ჩიქოვანი 2005: 179]. აღსანიშნავია, რომ ასეთი ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია ალაზნის ველზეც [Варазашвили 1992: таб. XIV-XVI]. მკვლევარები ადრესამინათმოქმედო კულტურის ზოგადი და თავისებური ნიშნების განსაზღვრაში არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მატერიალური კულტურის სხვა არტეფაქტებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებულია ქვის ნატეხები მასალა. ლ. ჭელიძის აზრით, ქვის ინვენტარი წარმოადგენს წარმოების ერთ-ერთ შემადგენელ, კულტურის შედარებით კონსერვატიულ ნაწილს, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებას და გავლენას. ქვის ინვენტარის ტექნიკურ-ტიპოლოგიური ხასიათი სხვა ელემენტებთან ერთად განსაზღვრავს ძეგლის კულტურულ კუთვნილებას. მისი დაკვირვებით, სიონის, არაგვის ხეობისა და ალაზნის ველის გულგულები ამორფულია, ერთეულია კონუსუ-

რი გულგულები (ალაზნის ველი) სიონში ნამზადებად ქარბობს საშუალო პრიზმული ლამელები და დიდი ანატეხები, ხოლო არაგვის ხეობაში კი მცირე და საშუალო ზომის ანატეხები [Челидзе, Чиковани 1991: 3-12].

ნოფის ნასახლარზე გულგულები პრიზმული, კონუსური ან ბადროსებრი ფორმისაა. იარაღთა ძირითად ნამზადებს შეადგენს საშუალო და მცირე ანატეხები, ასევე საშუალო და დიდი პრიზმული ლამელები. მათ შორის ბევრია მაკროლამელები. ნამზადთა მეორადი დამუშავებისას გამოიყენებოდა ზურგის მხრიდან დატანილი მცირე დაბლაგვებული ან გამაფხიანებელი რეტუში. იარაღებიდან აღსანიშნავია შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართი, რომელიც დადასტურებულია ალაზნის ველზეც. მისი აზრით, ეს ნასახლარები მდებარეობენ როგორც ველზე, ასევე მთისწინეთშიც და განსხვავდებიან დასახლების ტიპითაც, თუმცა კერამიკაში არის როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები, მათ შორის შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ნასახლარებთანაც. ზემოთ აღნიშნული ნასახლარების ქვის მასალების შედარებითი დახასიათება კი გვიჩვენებს მათ ტექნიკურ-ტიპოლოგიურ განსხვავებას. შესაბამისად იხატება რთული სურათი. ნოფის მასალების ქვის ინვენტარი ჰგავს შულავერ-შომუ-თეფეს კულტურისას და შესაბამისად უნდა განვიხილოთ ამ კულტურის ფარგლებში. სიონის ნასახლარი განსხვავებულია შულავერ-შომუ-თეფეს კულტურისაგან და მას უნდა ეწოდოს სიონის კულტურა. ადრესამინათმოქმედო კულტურის მოგვიანო ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ტრადიციის მატარებელ დასახლებებს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი და ურთიერთგავლენა, განსაკუთრებით კერამიკასა და მის ორნამენტაციაში. დღესდღეობით ძნელია ვისაუბროთ სიონის კულტურის ლოკალურ ვარიანტებზე. მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ადგილობრივი ტრადიციების მატარებელი ზოგიერთი ნასახლარი განიცდიდა სიონის კულტურის ტრადიციის გავლენას [Челидзе 2007: 222-224].

როგორც ვხედავთ, ლ. ჭელიძის მოსაზრება განსხვავდება როგორც თ. კილურაძის, ისე ჩვენი მოსაზრებისაგან. ამჯერად არ ვაპირებთ ლ. ჭელიძესთან კამათს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ამიერკავკასიაში ადრესამინათმოქმედო კულტურათა პირველი განმასხვავებელი ნიშანია დასახლების ტიპი და სამშენებლო ტექნიკა. რაც შეეხება შულავერ-შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის



ჩასართს, ის სიონის ნასახლარზეც გვხვდება, რაც აღნიშნული აქვთ ძეგლის მკვლევარებს [მენაბდე, კილურაძე 1981: 28].

დასასრულს კიდევ ერთ საყურადღებო მოსაზრებაზე გვსურს ყურადღების გამახვილება. საქმე ეხება ცნობილი მეცნიერის ი. დიაკონოვის ნაშრომის იმ ნაწილს, სადაც საუბარია კავკასიის მეზოლით-ადრესამინათმოქმედო სადგომ-ნასახლარებზე. სტატია წარმოადგენს რეცენზიას კ. კუშნარიოვას მონოგრაფიაზე [Кушнарева 1993]. ი. დიაკონოვი უაღრესად დადებითად ახასიათებს ნაშრომს და მასზე დაყრდნობით გამოაქვს საყურადღებო დასკვნები. მისი აზრით, თუ დაეხედავთ კ. კუშნარიოვას მიერ შედგენილ კავკასიის მეზოლითური ძეგლების რუკას, სადგომები არცთუ ბევრია, რომელთაგან გამოირჩევა ჩოხი დაღესტანში, ფირუზი აფშერონში, დასავლეთ საქართველოს სადგომების ჯგუფი დარკვეთის ჩათვლით და სადგომები სოხუმის აღმოსავლეთით აფხაზეთში. ეს მეზოლითური სადგომები შეესაბამება სამ ეთნოსს (სამ ენობრივ ოჯახს), რომლებიც კავკასიაში ფიქსირდებიან უძველესი დროიდან. ჩოხი და დარკვეთი უწყვეტად დასახლებული იყო ბრინჯაოს ხანის ჩათვლით. მისი აზ-

რით, კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, ცენტრში ქართველური, ხოლო დასავლეთში – ჩრდილო-დასავლური ენობრივი ოჯახის ტომები.

მეორე რუკის მიხედვით, ნეოლით-ენეოლითური ნასახლარების რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება და მათი საზღვარი აღწევს ირანის აზერბაიჯანამდე და თურქეთამდე, ვანის ტბის მიდამოების ჩათვლით. ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის ავტორი გამოყოფს რამდენიმე ინდიკატორს, რომელთაგან ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა პირველი: ნაქალაქარის დასახლება შეჯგუფებული, მრგვალი სახლებით [Дьяконов 1995: 3-14]. ავტორი, ალბათ, გულისხმობს შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ნასახლარებს. ი. დიაკონოვი თავის მოსაზრებას ამყარებს ენობრივი მონაცემებით, რაც უაღრესად საინტერესოა და კომპლექსურ კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ და სხვა რიგ საკითხებზე მკვლევართა არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს, რომელთა გარკვეული ნაწილი წინ წამოვნიეთ და შესაძლებლობის ფარგლებში შევეხეთ.

G. Chikovani

## QUESTIONS OF RESEARCH INTO EARLY FARMING CULTURES OF EASTERN GEORGIA

### Summary

The basic views expressed and the conclusions arrived at by researchers about the early farming culture of South Caucasia, are assessed positively in the paper. On the basis of settlement type and the artifacts obtained, in the author's opinion, in Eastern Georgia, unlike the other regions of eastern South Caucasia, at a definitive stage of development settlements of three different cultures – Shulaveri Shomu Tepe, Tsopi-Ginch and Berikldeebi-Leila Tepe – coexisted. The author responds both to the justified and exaggerated criticism expressed by G. Rostunov regarding the mechanical error made in the table of palynological study obtained from a vertical cross-section at Zhinvali.

The data on the Aragvi valley former settlements are important in compiling a chronological framework of the Tsopi circle settlements in Eastern Georgia. In the author's view, according to stratigraphic data and artifacts the earliest are the settlements of three points of v. Abanoskhevi, which are dated to the second half of 5th millennium BC. The other settlements from Shida Kartli: Zhinvali, Akhali Zhinvali, Khertvisi, Botorna, Chinti, Tanditsqaro, Nichbisi; from Kvemo Kartli: Tsopi, Sioni, Arukhlo VI, Tseli Sopeli, Javakhi Nachivchavebi, Samshvilde, Vaziani I; from Kakheti: Damtsvari Gora, Kviritsqali, Nadikari- fall within the first half of the 4th millennium BC. The final stage of development of the early farming cultures of Eastern Georgia basically falls to the middle period of the 4th millennium BC.

## ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი ვ. 1980: ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, 7-88. თბილისი.
- გაბუნია მ., ვეკუა 2005: ბუნებრივი გარემოს ევოლუცია სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში ეოპლეისტოცენ-ადრე პოლოცენში. – ძიებანი, №15-16, 5-10.
- გოგელია დ. 1979: დასახლების თავისებურება არახლო I-ზე. – მსკა, VII, 13-18.
- გოგელია დ., ქელიძე ლ. 1992: ენეოლითი. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, II, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, 17-35. თბილისი.
- გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. 1960: ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები. – ნ. ბერძენიშვილი (რედ.), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 63-82. თბილისი.
- კიკვიძე ი. 1976: მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
- კილურაძე თ. 1976: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.
- კილურაძე თ. 1998: ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), 19-20. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1998: ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა. – ძიებანი, № 2, 27-33.
- მახარაძე ზ. 1998: კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), 24-25. თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 1981: სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- მირცხულავა გ. 2001: ადრესამინათმოქმედო კულტურების ნამოსახლართა განვითარების ზოგიერთი საკითხი. – ო. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები, 40-45. თბილისი.
- მირცხულავა გ. 2005: ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან. – ძიებანი, № 15-16, 100-110.
- სადრაძე ვ., კახიანი კ., ლლივიაშვილი ე., სადრაძე ვ. 2007: მტკვრისა და არაგვის ხერთვისის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.
- სტურუა ქ. 1994: ობსიდიანი და ვაჭრობის საკითხები. – გ. ავალიშვილი (რედ.), აკად. ო. ჯაფარიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი არქეოლოგიური კრებული, I, 21-35. თბილისი.
- ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.
- ქვემო ქართლის ... შედეგები 1975: ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. ო. ჯაფარიძე, აღ. ჯავახიშვილი (რედ.), თბილისი.
- ყიფიანი გ. 1997: ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. – სსმმ, XLII-B, 13-39.
- ჩიკოიძე ც., მინდიაშვილი გ., ჩხატარაშვილი მ., ჰაჭიაშვილი ნ. 2003: კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – ვ. ჯაფარიძე (რედ.), მილსადენის არქეოლოგია II, 41-43. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1998ა: ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფელ ჩინთიდან. – „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, 72-80. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1998ბ: კულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში წინა აზიის მასალების მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მოხსენებათა თეზისები, 3-5. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1999ა: ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდინყარო I, სოფ. ხელთუბანთან (გორის რაიონი). – ძიებანი, № 3, 19-23.
- ჩიქოვანი გ. 1999ბ: შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). ავტორეფერატი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 2001: სოფელ ნიჩხისის ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი. – ძიებანი, №8, 16-18.
- ჩიქოვანი გ. 2005: ბიბილოსებრპირიანი ჭურჭლები აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის

ნამოსახლარებიდან. – ძიებანი, №№ 15-16, 63-66.

**ჩუბინიშვილი ტ. 1970:** ენეოლითური კულტურა. – გ. მელიქიშვილი (რედ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 129-151. თბილისი.

**ძიძიგური ლ. 2000:** ამიერკავკასიის უძველესი სამინათმოქმედო კულტურა. თბილისი.

**ჭელიძე ლ. 2005:** ქვის პერიოდის ახალი სადგომი ნალკაში. – ძიებანი №№ 15-16. 30-35.

**ჯაფარიძე ო. 1992:** შესავალი. – ოთ. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, 5-15. თბილისი.

**ჯაფარიძე ო. 1975:** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

**ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ. 1971:** უძველესი მინათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი.

**Абибулаев О. 1982:** Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку.

**Алиев Н., Нариманов И. 2001:** Культура Северного Азербайджана в эпоху позднего энеолита. Баку.

**Аразова Р. 1986:** Каменные орудия труда ранних земледельческо-скотоводческих обществ Западного Азербайджана. Баку.

**Ахундов Т. 2001:** Северо-западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.

**Бадалян Р. 2001:** Обсидиан Южного Кавказа: эксплуатация источников и распространение сырья. – ო. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ენეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები, 29-39. თბილისი.

**Бадалян Р., Аветисян П., Ломбард П., Шатенъ К. 2004:** Неолетическое поселение Араташен. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 31-32. Тбилиси.

**Бадер Н. 1989:** Древнейшие цивилизации Древней Месопотамии. Москва.

**Варазашвили В. 1992:** Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тбилиси.

**Гаджиев М. 1991:** Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. Москва.

**Гогичайшвили Л., Чиковани Г. 1988:** Природные условия и древний человек в голоцене на территории Жинвали (бассейн р. Арагви). – А. Хлонова (ред.), Палинология в СССР, 152-154. Новосибирск.

**Глonti Л., Джавахишвили А. 1987:** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита – поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, 192, 80-86.

**Джавахишвили А. 1973:** Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси.

**Джапаридзе О. 1989:** На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси.

**Дьяконов И. 1995:** Алародии (хуриты, урарты, кутии, чеченцы и дагестанцы). – М. Аглазов (ред.), Алародии (этнические исследования), 3-14. Махачкала.

**Иессен А. 1963:** Кавказ и Древний Восток в IV-III тыс. до н.э. – КСИА, 93, 3-14.

**Иессен А. 1965:** Из исторического прошлого Мильско Карабахской степи. – МИА, № 125, 10-35.

**Кавтарадзе Г. 1983:** К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тбилиси.

**Кореневский С. 1983:** Поселение «Замок» у города Кисловодска (нижний слой). – А. Белинский (ред.), Материалы по изучению историко-культурного наследия Северного Кавказа, вып. I, 96-106. Ставрополь.

**Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н.э.). Ленинград.

**Кушнарева К. 1993:** Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. – Этапы культурного и социально-экономического развития. Санкт-Петербург.

**Массон В. 1961:** Средняя Азия и Древний Восток. Москва-Ленинград.

**Мунчаев Р. 1982:** Памятники культуры энеолита Кавказа. – Б. Рыбаков (ред.), Археология СССР, Энеолит СССР, 100-137. Москва.

**Мунчаев Р. 1995:** Кавказ на заре бронзового века. Москва.

**Мунчаев Р. Мерперт Н. 1981:** Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва.

- Мунчаев Р. 1982:** Энеолит Кавказа. – Б. Рыбаков (ред.), Археология СССР, Энеолит СССР. 93-131. Москва.
- Мунчаев Р. 2007:** Урукская культура (Месопотамия). – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 8-9. Махачкала.
- Муσειбли Н. 2007:** К вопросу о хронологии леилатепинской культуры. – Г. Гамбашидзе (ред.), Археология, этнография и фольклористика Кавказа, 155-158. Тбилиси.
- Нариманов И. 1987:** Культура древнего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку.
- Рамишвили Р., Чиковани Г. и др. 1985:** Археологические исследования в Душетском районе. – ПАИ, 1982, 55-60.
- Ростунов В. 2003а:** Роль географической среды в расселении древних обществ на центральном Кавказе в эпоху энеолита-средней бронзы. – Л. Амбрамян (ред.), АЭФК, 40-41. Эчмядзин.
- Ростунов В. 2003б:** Климатический фактор в заселении южных склонов Центрального Кавказа в эпоху энеолита-средней бронзы. – Ритмы истории, Сборник научных трудов, вып. I, 2-13. Владикавказ.
- Торосян Р. 1976:** Раннеземледельческое поселение Техут (IV тыс. до н.э.). Ереван. На армянском языке, с русск. резюме.
- Челидзе Л., Чиковани Г. 1991:** Obsidiановый инвентарь предгорных раннеземледельческих поселений Арагвского ущелья (раскопки 1974-87 гг.). Препринт. Тбилиси.
- Челидзе Л. 2007:** К вопросу о культурной общности типа Сиони. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 222-224. Тбилиси.
- Человек и окружающая его среда.** Материалы по археологии Грузии и Кавказа, IX. 1984 Тбилиси.
- Чиковани Г. 1989:** Новые памятники раннеземледельческой культуры Арагвского ущелья. – И. Дьяконов (ред.), Кавказ и цивилизации Древнего Востока, 84-86. Орджоникидзе.
- Чиковани Г. 2003:** Глиняная посуда с ушками как один из определяющих компонентов поэтапного развития раннеземледельческих культур Грузии. – Л. Амбрамян (ред.), АЭФК, 47-48. Эчмиадзин.
- Чиковани Г. 2005:** К вопросу распространения одного вида керамического орнамента в Закавказье в раннеземледельческих поселениях. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 142. Тбилиси.
- Чиковани Г. 2005:** Глиняный сосуд из седьмого погребения раннеземледельческого поселения Арухло I. – Т. Бунятов (ред.), Археология, АЭФК, 178-179. Баку.
- Чубинишвили Т. 1971:** К древней истории Южного Кавказа. Тбилиси.
- Чубинишвили Т., Челидзе Л. 1978:** К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры VI-V тыс. до н.э. Южного Кавказа (хозяйство). – Известия АН ГССР, Серия истории, археологии, этнографии и истории искусств, № 1, 55-69.
- Chelidze L., Gogelia D. 2004:** Arukhlo I: an early farming site. – Georgian Journal of Archaeology, № 1, 46-92.
- Dzavaxišvili A.I. 1998:** Ausgrabungen in Berikldeebi (Schida Kartli). – H. Fenrich (Hsgb.), Georgien, Heft 21. 7-16. Konstanz.
- Frangipane M., Palumbi G. 2007:** Red-black ware, pastoralism, trade, and Anatolian-Transcaucasian interactions in the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> millennia BC. – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI<sup>e</sup>-III<sup>e</sup> millénaires avant notre ère). Leurs relations avec le Proche-Orient, 233-255. Paris.
- Kiguradze T. 1986:** Neolithische Siedlungen von Kvemo-Kartli, Georgien. München.
- Lyonnet B. 2007:** Introduction. – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI<sup>e</sup>-III<sup>e</sup> millénaires avant notre ère). Leurs relations avec le Proche-Orient, 11-19. Paris.
- Makharadze Z. 2007:** Nouvelles données sur le Chalcolithique en Géorgie orientale. – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI<sup>e</sup>-III<sup>e</sup> millénaires avant notre ère). Leurs relations avec le Proche-Orient, 123-132. Paris.
- Palumbi G. 2007:** A preliminary analysis on the Prehistoric pottery from Aratashen (Armenia). – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI<sup>e</sup>-III<sup>e</sup> millénaires avant notre ère). Leurs relations avec le Proche-Orient, 63-76. Paris.



## ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის შესახებ

კავკასიას განსაკუთრებული ადგილი უკავია ევრაზიის ისტორიაში. იგი მწარმოებლური მეურნეობის დაფუძნების ერთ-ერთი ცენტრია და ამავე დროს წინა აზიის მალაღგანვითარებულ კულტურებთან კავშირების ფონზე ყოველთვის ინარჩუნებდა დამოუკიდებელ სახეს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, კავკასია გარკვეულწილად მეკავშირის როლს ასრულებდა უძველეს კულტურებს შორის. კავკასიიდან ვრცელდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე წინააზიური სამყაროს მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევები. ფაქტიურად კავკასია ევრაზიის საკომუნიკაციო გზების გზაჯვარედინი იყო. განსაკუთრებით ძლიერდება ეს კავშირები ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, როდესაც კავკასიაში ახალი ეპოქალური ძვრები ხდება – ჩნდება ლითონის იარაღი, რასაც მოჰყვა მეურნეობრივი და სოციალური ცვლილებები და იწყება ადრებრინჯაოს ხანა, საფუძველი ეყრება მტკვარ-არაქსის კულტურას. მისი წინარე ნეოლით-ენეოლითური კულტურა თითქოს ქრება და ადგილს უთმობს ახალ, ძლიერ არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც საოცრად დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. მალე კავკასია ლითონდამუშავების მძლავრ კერად ყალიბდება. მტკვარ-არაქსის წინარე ადრესამინათმოქმედო კულტურები უახლოვდებიან ჩრდილო მესოპოტამიის, მცირე აზიის და ირანის ადრესამინათმოქმედო კულტურებს, თუმცა ამავე დროს განსხვავდებიან მათგან და გარკვეული ადგილობრივი საწყისები გააჩნიათ. სამხრეთ კავკასია უშუალოდ ესაზღვრება უზარმაზარ წინააზიურ სამყაროს და, ბუნებრივია, ამ დაწინაურებულმა რეგიონმა გარკვეული როლი ითამაშა მისი მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში. ამიტომაც მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემა ორგანულად უკავშირდება მის წინარე კულტურის წარმოშობისა და განვითარების საკითხებს.

მტკვარ-არაქსის კულტურა განვითარების ახალი საფეხურია კავკასიისა და მისი მიმდებარე რეგიონებისათვის. ამ ეტაპზე ხდება რადიკალური წინსვლა ყველა სფეროში. სრულიად თავი-

სებურ სახეს იღებს კერამიკა. მტკვარ-არაქსის კულტურა არ იცნობს, თუ არ ცნობს კერამიკულ მორგეს, რომელიც ამ კულტურის ჩამოყალიბებაში უკვე ცნობილია კავკასიის ენეოლითურ კულტურებში. მინათმოქმედება და მესაქონლეობა სამეურნეო ცხოვრების ძირითად მახასიათებლებად ყალიბდება. შემოდის გამწვევი ძალა და ბორბლიანი ტრანსპორტი [მირცხულავა 2000: 37-46]. მრავალსახა, მრავალპროფილიანი და მიზანმიმართული ხდება რელიგია [მირცხულავა 2005: 100-118]. საბოლოოდ მტკვარ-არაქსის კულტურა ყალიბდება, როგორც უზარმაზარი კულტურულ-ისტორიული ერთობა, რომელიც ეყრდნობა კავკასიის კულტურულ ერთობას, რასაკვირველია რეგიონალურ-ლოკალური თავისებურებებით.

მტკვარ-არაქსის კულტურის პირველად-მომჩინმა ბ. კუფტინმა მას ენეოლითური უწოდა [Куртин 1944]. არქეოლოგიური მასალების დაგროვებამ მკვლევართა ნაწილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს კულტურა მთლიანად ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურაა [Чубинишвили 1971]. სადღეისოდ არსებობს ასევე აზრი, რომ ეს კულტურა ადრეულ საფეხურზე ენეოლითურია, შემდგომ კი ვითარდება და ყალიბდება ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურად [ჯაფარიძე 1976; კიდურაძე 1998].

მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისისა და პირველადი ცენტრის საკითხი დიდ ინტერესს იწვევს. მას შემდეგ, რაც ეს კულტურა მკვლევართა ნაწილმა ინდოევროპულ ტომებს დაუკავშირა, ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. მისი ჩამოყალიბების პირველადი ცენტრის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ბ. კუფტინი იმთავითვე აღნიშნავდა, რომ ეს კულტურა თავისი ხასიათით უცხოა მესოპოტამიის, სირიისა და სხვა ქვეყნებისათვის [Куртин 1944: 114]. ო. ჯაფარიძის აზრით, ამ კულტურის ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიაში, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის რომელიმე დაწინაურებულ ოლქში [ჯაფარიძე 1976: 109]. ბ. პიოტროვსკის აზრით, ამ კულტურის საწყისი ადგილობრივ წინარე კულტურაშია საძებნი [Пиотровский

1949]. ტ. ჩუბინიშვილი ვარაუდს გამოთქვამს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ერთდროულად უნდა წარმოქმნილიყოს მისი გავრცელების ფართო არეალში [Чубинишвили 1971: 156], რასაც არ ეთანხმება ო. ჯაფარიძე. მისი აზრით, ამ კულტურის ერთფეროვნება უფრო იმ ვარაუდს უჭერს მხარს, რომ იგი ერთ გარკვეულ არეალში უნდა ჩამოყალიბებულიყო [ჯაფარიძე 1976: 75]. იმისთვის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოქმნილიყო ერთდროულად მთელს მის გავრცელების ტერიტორიაზე, უნდა ჩანდეს, რომ ამ ტერიტორიაზე წინარე მტკვარ-არაქსული არქეოლოგიური კულტურების განვითარება მიდიოდა მათი ურთიერთდაახლოების, დაკავშირებისა და შერწყმის გზით. ამასთანავე ამ შემთხვევაში მტკვარ-არაქსის ადრეულ ეტაპზე უნდა გვევლინებინა საკმაოდ განსხვავება რეგიონებს შორის და მხოლოდ განვითარებულ ეტაპზე უნდა გაიზარდოს საერთო ნიშნების რაოდენობა და კულტურამ მიიღოს თავისი სახე. სინამდვილეში კი ისე ჩანს, რომ, ჯერ ერთი, მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპის მასალები ყველგან არ არის, ხოლო სადაც არის ეს მასალები, ერთმანეთს უფრო ჰგავს და მხოლოდ განვითარებულ ეტაპზე იწყება განსხვავებათა ჩამოყალიბება და ლოკალური ვარიანტების წარმოქმნა.

რა ხდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წინა მტკვარ-არაქსულ პერიოდში? ადრესამინათმომქმედო კულტურის შესწავლა კავკასიაში დაიწყო ნახიჭევანის ქიულ-თეფე I-ით. 8 მეტრიანი მტკვარ-არაქსული ფენის ქვეშ გამოჩნდა 9,2 მ-ის სისქის კულტურული ფენა, რომელსაც გამოთხრელმა ო. აბიბულაევმა ენეოლითური უწოდა [Абибулаев 1963]. მსგავსი მასალები აღმოჩნდა მილისა და ყარაბახის ველზე. ამ ძეგლების ქრონოლოგია, ა. იესენის განსაზღვრით, ძვ.წ. IV ათასწლეულის ჩარჩოებში ჯდება [Иессен 1963: 13-14]. მალე განჯა-ყაზახის რაიონში გამოჩნდა ახალი ძეგლები – შომუ-თეფე, თოირა-თეფე, ბაბადერვიში, გარგალარ-თეფესი, რომელთა მასალები განსხვავდება ქიულ-თეფესაგან. ანალოგიური ნამოსახლარების ჯგუფი აღმოჩნდა ქვემო ქართლის ველზე – შულავერის-გორა, იმირის-გორა, გადაჭრილი გორა, არახლო და სხვა, და ამ კულტურას შულავერ-შომუ-თეფეს კულტურა ეწოდა. დღეს მას მკვლევარები სავსებით მართებულად განვითარებულ კერამიკულ ნეოლითს მიაკუთვნებენ [მენაბდე, კილურაძე 2001: 19-23]. ო. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ეს კულტურა აქ გამოჩენას იწყებს თითქმის ცარიელ ადგილზე, ყოველგვარი წინამძღვრების გარეშე, ჩამოყა-

ლიბებული სახით და მყარი ტრადიციებით, სავარაუდოდ წინა აზიიდან [ჯაფარიძე 2006: 109]. თ. კილურაძე ფიქრობს, რომ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ამ ძეგლებზე აღმოჩენილი კავკასიაში გავრცელებული მარცვლეული კულტურების მრავალსახეობა და ისეთი კულტურების არსებობა, როგორცაა ფეტვი და ლომი, რომელიც უცხოა წინა აზიური სამყაროსათვის, ასევე კულტურული ვაზი, წრიული არქიტექტურის განუყოფელი ბატონობა, მოხატული კერამიკის გაუვრცელებლობა და სხვა [მენაბდე, კილურაძე 2001: 21].

შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ნამოსახლარები მრავალფენიანი ბორცვებია, რომლებიც შექმნილია ერთ ადგილზე დიდხანს ცხოვრებით. იმ პერიოდში, როდესაც შულავერის კულტურა ერთადერთი იყო წინა მტკვარ-არაქსულ გარემოში, მკვლევარები ცდილობდნენ მოეძებნათ კავშირები ამ კულტურებს შორის, რაც საკმაოდ გაჭირდა. ერთადერთი, თითქოს აქ იძებნებოდა მტკვარ-არაქსული მრგვალი შენობების საწყისი, თუმცა საამშენებლო ტრადიციები სრულიად განსხვავდებოდა.

1965 წელს მულანის ველზე ი. ნარიმანოვის მიერ შესწავლილ იქნა ადრესამინათმომქმედო კულტურის ახალი ძეგლები – ალი-კიომეკ-თეფე, ხოლო მოგვიანებით ყარაბახის ველზე ჩალაგან-თეფე და ილანლი-თეფე. ძეგლების ეს ჯგუფი განსაზღვრულ იქნა, როგორც შულავერ-თეფეს კულტურის მომდევნო საფეხური. პარალელურად მიმდინარეობდა გათხრები ნასახლარ ლეილა-თეფეზე. ეს ძეგლი სრულიად განსხვავებულ კულტურას აფიქსირებს. მას ახასიათებს მაღალხარისხოვანი და ჩარხზე ნაკეთები კერამიკა და თვლიან, რომ იგი უბეიდის კულტურის წრეს მიეკუთვნება [Алиев, Нариманов 2001: 6; Мусеибли 2007: 65-67]. დღეს აზერბაიჯანში ცნობილია ამ კულტურის რამდენიმე ძეგლი – ჩინარ-თეფე, შომულუ-თეფე, აბდალ-აზიზ-თეფე. ეს ძეგლები ძირითადად ყარაბახის ველზე მდებარეობენ და ამ კულტურის ფენები ხშირად ფარავენ ენეოლითის უფრო ადრეული საფეხურის ფენებს. ლეილა-თეფეს კულტურის კუთვნილებაა შიდა ქართლში ა. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი ბერიკლდეები [Глonti, Джавахишвили 1987: 80-87] და ყორღანული სამარხი „იორამის-გორა“ კავთისხევთან. რ. მუნჩაევი ლეილა-თეფეს ურუკის კულტურის წრის ძეგლად თვლის და ურუკის ექსპანსიის მიზეზად კავკასიაში ლითონის მადნის ძიებას მიიჩნევს [Мунчаев 2007: 8-9]. ადრესამინათმომქმედო კულტურის ძეგლები აღმოჩ-

ნდა სომხეთშიც; მათგან გამოირჩევა ტეხუტას ნასახლარი [Торосян 1976], რომლის კერამიკაში ჩანს ლეილა-თეფეს მასალების პარალელები [Алиев, Нариманов 2001: 7].

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში შესწავლილია ენეოლითური ძეგლები – გინჩი, ჩინა, რუგუჯა, ჩეჩნეთში – ტიალინგი, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთში შაუ-ლაგატი, მიშტულაგ-ლაგატი, მარდშაჯი-ლაგატი [ჩიქოვანი 1998: 72-84].

საქართველოში, კერძოდ ქვემო ქართლში, სიონის ადრესამინათმოქმედო კულტურის ნასახლარის აღმოჩენის შემდეგ თ. კილურაძემ მას ნოფის ნასახლარი დაუკავშირა და ახალი, ე.წ. „სიონის კულტურა“ გამოყო [მენაბდე, კილურაძე 1981: 28]. ამ ტიპის ძეგლები აღმოჩნდა კახეთში – კვირიას-წყალი, დამწვარი-გორა, მწერლების-მინა, შავწყალა, ნადიკარი [Варазашвили 1987], შიდა ქართლში – აბანოსხევი, ბოდორნა (ტაბ. IV), ახალი ჟინვალი, ხერთვისი, ჩინთი (ტაბ. III), ნიჩბისი, ხელთუბანი [ჩიქოვანი 1999]. ამ წრეში ერთიანდებიან ასევე ქვემო ქართლიდან არუხლო VI, წითელი სოფელი, ჯავახი, აბელია, დელისი. ამ კულტურულ ერთობას ქრონოლოგიურად და კულტურულად ძირითადად გარდამავალი ადგილი უკავია შულავერ-შომუ-თეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის. ამავე დროს ეს კულტურა თანაარსებობს შულავერ-შომუ-თეფეს ფინალურ ეტაპთან. მკვლევარები მიუთითებენ ამ კულტურის კავშირზე დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითურ კულტურებთან [ჯაფარიძე 2006: 271]. ლ. ნებიერიძე ვარაუდობს დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ადგილობრივ მეზოლითთან მჭიდრო კავშირში მყოფ ნეოლითურ კულტურას, რომლის განვითარებად მიაჩნია სიონის კულტურა [ნებიერიძე 2001: 5-10]. ო. ჯაფარიძე ადასტურებს რა სიონის, არაგვის ხეობის, იორ-ალაზნის აუზის ძეგლებისა და დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ნასახლართა მასალების ერთგვარობას, ვარაუდობს, რომ შესაძლებელია სიონის წრის კულტურა დასავლეთ საქართველოდან შემოვიდა [ჯაფარიძე 2006: 271]. არსებობს მოსაზრება, რომ სიონის კულტურა დასავლეთიდან ინფილტრაციის შედეგი კი არ არის, არამედ არსებობს დასავლეთ და ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურული ერთობა ამ ეტაპზე [ნებიერიძე 2001: 9].

სიონის კულტურის ძეგლები, მსგავსად მტკვარ-არაქსის ძეგლებისა, გავრცელებულია როგორც დაბლობში, ასევე მთისწინა ზოლში და მთაში. ნასახლარებზე ძირითადად თხელი ფე-

ნებია, რაც ცხოვრების ერთგვაროვან სტილზე მიუთითებს. არის ძეგლები, სადაც ეს ფენები ზემოდან ადევს შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას, ან თავად არიან გადაფარული მტკვარ-არაქსის ფენებით [კილურაძე 1998: 19]. ეს სტრატეგრაფია ამ კულტურის ქრონოლოგიურ ადგილს ადასტურებს. ეს არის V ათასწლეულის ბოლო და IV ათასწლეულის პირველი ნახევარი. ასეთ თარიღს იძლევა ბერიკლდეებიდან გაკეთებული რადიოკარბონული ანალიზი (3955±3778 ძვ.წ.) და ლეილა-თეფეს კულტურის ძეგლებიდან, კერძოდ, ბეიუკ-კესიკიდან და ფოილო II-დან (3960±3910 და 3940±3780) [Музейбли 2007a: 155-158]. საინტერესოა რადიოკარბონული თარიღი სოფ. ჟინვალის ნასახლარიდან – 4300±150 (კალიბრ. 4937±322) [ჩიქოვანი 1999: 8].

აზერბაიჯანის ენეოლითურ ძეგლებს, რომლებსაც შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის შემდგომ ეტაპად მიიჩნევენ, 2 ჯგუფად ყოფენ: ილანლი-თეფე – ალიკომეკ-თეფეს კულტურული წრისა და ლეილა-თეფესი. აქედან, ილანლი-თეფეს ჯგუფი უფრო ადრეულად არის მიჩნეული. ეს სტრატეგრაფიულადაც დასტურდება აბდალ-აზიზ-თეფეს ნასახლარზე, სადაც ილანლი-თეფეს საფეხურს ზემოდან ადევს ლეილა-თეფეს მასალები [Алиев, Нариманов 2001: 75], ხოლო ოგჩულარ-თეფესა და ხალაჯის მასალებს ქიულ-თეფე I-ის პირველ და მეორე ფენებს შორის ათავსებენ და მათში მტკვარ-არაქსის ელემენტებს ხედავენ. ამავე დროს ნახიჭევანის, მულანისა და ყარაბახის გვიანენეოლითური ძეგლები აგრძელებენ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ტრადიციებს, ხოლო ლეილა-თეფეს წრის ძეგლები მკვეთრად განსხვავდებიან და მათ ჩრდილოეთ უბეიდ-ურუკის კულტურულ წრეს მიაკუთვნებენ. ლეილა-თეფეს წრის კერამიკას კავკასიაში წინამორბედი არ გააჩნია და იგი არც გრძელდება ამიერკავკასიაში. მიაჩნიათ, რომ გარკვეულ პერიოდში ეს კულტურა გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ მაიკოპის კულტურის ფორმირებაში მონაწილეობს [Алиев, Нариманов 2001: 94].

IV ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ალიზის თეფეთა კულტურა მოულოდნელად წყვეტს არსებობას. ამ მოვლენას სხვადასხვა ახსნას უძებნიან – კლიმატის ამშრალეობას, პრიმიტიული მინათმოქმედების შედეგად მიწის გამოფიტვას. არის აზრი, რომ ამის მიზეზია კომუნიკაციების რღვევა; აღარ მოდის ძველი იმპულსები სამშობლოდან. ეს ჩამკეტი არის მტკვარ-არაქსი. ხაზგასმით აღ-



ნიშნავენ, რომ ლეილა-თეფეს ერთობაში არ არის მტკვარ-არაქსის კულტურასთან არავითარი კონტაქტის კვალი [Ахундов 2007: 63]. საცხოვრებელი გორები დიდი ხნით ცარიელდება, მაგრამ, როგორც ჩანს, სიონის კულტურის წრეში სიცოცხლე გრძელდება და მტკვარ-არაქსის კულტურის წინამძღვრები ისახება. მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის შესახებ მეცნიერებს მყარი კონცეფცია არ გააჩნია. ვარაუდობენ IV ათასწლეულში ამიერკავკასიის სამხრეთიდან მოსახლეობის გარკვეული მასების გადმოადგილებას, რამაც ბიძგი მისცა საზოგადოების განვითარებას. მართალია, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნებისა გამოჩნდა მცირე აზიის ადრეულ კულტურებში [Mellaart J. 1958], მაგრამ ეს ელემენტები გარდამავალი პროცესების სურათს ვერ ქმნიან. ამ კულტურას მთლიანად შემოსული ტომების საკუთრებად ვერ მივიჩნევთ. ჯერ კიდევ 70-იან წლებში მულანის ველზე აღმოჩნდა ნინა მტკვარ-არაქსული მასალები, სადაც ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები. ამ მასალებში კერამიკა უმეტესწილად ბუნებრივია, მაგრამ კერამიკის ფაქტურა უკვე განსხვავდება მილის ველის კერამიკისაგან. ჩნდება გაპრიანებულ ზედაპირიანი, მაღალი, სწორყელიანი და მრგვალმუცლიანი ჭურჭლები, სწორკედლიანი ჯამები, რომლებსაც ამკობთ შვერილები და კოპები, ჩნდება რელიეფური შემკულობა [Нариманов, Махмудав 1976: 88-94]. თავის დროზე ამ მასალამ გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა ეს მასალები აზერბაიჯანში და სამშვილდის პირველი ფენა ჩვენთან არის ის საფუძველი, რომელზეც წარმოიშვა მტკვარ-არაქსის კულტურა [მირცხულავა 1975: 66].

საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეულ ეტაპად დღესდღეობით მიიჩნევენ ქართლის ისეთ ძეგლებს, როგორც არის სამშვილდის I ფენა (ტაბ. I), თეთრინყაროს A ფენა, ხიზანაანთ გორის E ფენა, დილომი, ღრმა ხევისთავი, დიდუბე. ამავე ეტაპს მიაკუთვნებენ კახეთის ძეგლებს – ივრის სიონს, გრემს, ზემო ბოდბეს [დედაბრიშვილი]. ეს ძეგლები მართლაც ადრეულ იერს ატარებენ, რაც ძირითადად კერამიკის ადრეული ფორმებით გამოიხატება. ეს კე-

რამიკა გამოირჩევა ფორმათა არქაულობითა და დაბალი ტექნოლოგიური დონით. ამავე დროს აქ ჩანს ისეთი ელემენტები, რომელიც შემდგომი ეტაპისათვის განმსაზღვრელი ხდება; კერძოდ – კეცის 2 და 3 ფენოვნება, გაპრიანებული ზედაპირი, რელიეფური ორნამენტი და სხვა. აქ არის კერამიკა, რომელიც შემდგომ მტკვარ-არაქსის კულტურას არ ახასიათებს და ტიპიური მტკვარ-არაქსული ადრეული ფორმებიც. ამავე დროს, 2004-2005 წწ. თეთრინყაროს რაიონში, იმავე სამშვილდის ნასახლარის მიდამოებში, დაახლოებით 2-3 კმ-ის რადიუსში, 2 ენეოლითური ნასახლარის არსებობა დადასტურდა მილსადენის ტრასის 74-ე და 77-ე კმ-ზე [მირცხულავა 2006], რომლებმაც 3 დანგრეული ორმოს სახით მოაღწია ჩვენამდე. ორმოებში აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები (ტაბ. II) და მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ძვალი. ასევე მოზრდილი ენეოლითური ნასახლარი იქნა შესწავლილი მილსადენის 85-ე კმ-ზე, ადგილ ნაჭივჭავებზე [Шатберашвили, Чиковани 2007: 230]. აქ აღმოჩნდა 4 ათეულზე მეტი ორმო და ერთი სამარხი. აქვე გაითხარა 4 საკმაოდ ადრეული მტკვარ-არაქსული სამარხი. ენეოლითურ ორმოებში აღმოჩენილი კერამიკა ძალზედ საინტერესოა. ეს არის ტიპიური მასალა სიონი-წოფის-გინჩის კულტურისა, უფრო მტკვარ-არაქსული ელფერით. კერამიკა არის როგორც ღია ფერის, ასევე მოყავისფრო-მონაცრისფრო, ლაქებიანი, კარგად ნაპრიანები და რომ არა ტიპიური ენეოლითური ფორმები და შემკულობა, პირგადაშლილი და რელიეფური ზიგზაგებით შემკული ცალები, რითაც ეს მასალები სამშვილდის I ფენისა (ტაბ. I) და ჩინთის (ტაბ. III) მასალებს უახლოვდება, კერამიკა კეცითა და ფაქტურით სამშვილდის ნასახლარის II ფენისა და სამაროვნის ანალოგიურად შეიძლება მივიჩნიოთ, ე.ი. მტკვარ-არაქსულად.

ამ მასალებით კიდევ უფრო მტკიცდება აზრი, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და უფრო ზოგადად სიონის-წოფის კულტურის არეალში მტკვარ-არაქსის კულტურა ისახება და, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ [კილურაძე 1998: 6], ეს კულტურა თამამობს სუბსტრატის როლს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში.



ON THE TRANSITIONAL STAGE TO THE BRONZE AGE

Summary

The Kura-Araxes culture is a new stage of development for the Caucasus and its adjoining regions. The questions of the genesis and primary centre of this culture evoke considerable interest. In the view of researchers, this culture must have developed in the interflaves of the Mtkvari (Kura) and the Araxes, in south Caucasia. In Georgia, study has been made of sites of the early stage of the Kura-Araxes culture, as well as of the sites of the earlier stage of this culture, in which the exceptional forms, color and crock structure of the pottery of the Kura-Araxes culture are seen. These sites are layer A of Tetristsqaro, Dighomi, Ghmakhevistavi, materials of the 74th, 76th and 85th km Aeneolithic settlement site of the BTC pipeline, and others. The discovery of the Sioni early-farming settlement site resulted in the identification of the immediately preceding Kura-Araxes so called "Sioni-Tsopi" culture.

These materials further strengthen the view that the Kura-Araxes culture came into being in South Caucasia, and in general in the Sioni-Tsopi culture area. The researchers assume that, basically, this culture played the role of a substrate in the shaping of the Kura-Araxes culture.

ლიტერატურა

- დედაბრიშვილი შ. 1970:** იორ-ალაზნის აუზის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- კილურაძე თ. 1998:** ენეოლითიდან ადრე ბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. – გ. ლამბაშიძე (რედ.), კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I, მოხსენებების მოკლე შინაარსი, 19-20. თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 1981:** სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 2001:** ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდების განსაზღვრისათვის საქართველოში. – ო. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია – ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, 19-23. თბილისი.
- მირცხულავა გ. 1975:** სამშვილდე, თბილისი.
- მირცხულავა გ. 2000:** ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები საქართველოში. – ძიებანი, № 5, 37-44.
- მირცხულავა გ. 2006:** სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის მუშაობის ანგარიში, მილსადენის ტრასაზე (ხელნაწერი). თბილისი.
- მირცხულავა გ. 2005:** ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან. – ძიებანი, №15-16, 100-118.
- ნებეირიძე ლ. 2001:** სიონის ნასახლარი, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი. – ძიებანი, № 7, 5-13.
- ჩიქოვანი გ. 1998:** ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფელ ჩინთიდან. – „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, 72-80. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1999:** შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976:** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2006:** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.
- Абибулаев О. А. 1963:** Некоторые итоги изучения холма Кюль-тепе в Азербайджане. –СА, № 3, 157-168.
- Алиев Н., Нариманов И. 2001:** Культура северного Азербайджана в эпоху позднего энеолита. Баку.
- Ахундов Т. И. 2007:** О связях майкопской традиции с Южным Кавказом и Ближним Востоком. – А.И. Османов (ред.), АЭФК, 61-63. Махачкала.


- Варазашвили В. 1987:** Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна, Автореферат диссерт. на соиск. степени к.и.н. Ленинград.
- Глonti Л. И., Джавахишвили А. И. 1987:** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, № 192, 80-86.
- Иессен А. А. 1963:** Кавказ и Древний Восток в IV-III тыс. до н.э. – СА, № 3, 3-14.
- Куфтин Б. А. 1944:** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. – სსმმ, XII-B, 291- 410.
- Мунчаев Р. М. 2007:** Урукская культура (Месопотамия). – А. И. Османов (ред.), АЭФК, 8-9. Махачкала.
- Муσειбли Н. А. 2007а:** К вопросу о хронологии Лейлатепинской культуры. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 155-158. Тбилиси.
- Муσειбли Н. А. 2007б:** Лейлатепинская культура позднего энеолита и ее влияние на раннеземледельческие культуры Кавказа. – А. И. Османов (ред.), АЭФК, 65-67. Махачкала
- Нариманов И., Махмудов Ф. 1976:** Энеолитические памятники на Мугани. – ИАН АзССР № 2, 88-94.
- Пиотровский Б. Б. 1949:** Поселение медного века в Армении. – СА, № 11, 171-181.
- Торосян Р. М. 1976:** Раннеземледельческое поселение Техута (IV тыс. до н.э.). Ереван. (на арм. яз. с русс. рез).
- Чубинишвили Т. Н. 1971:** К древней истории Южного Кавказа. Тбилиси.
- Шатберашвили З., Чиковани Г. 2007:** Погребение № 4 из раннеземледельческого поселения Начивчавеби. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 230-232. Тбилиси.
- Mellaart J. 1958:** Excavations at Hacilar. – AS, vol. VIII, 127-156.


### ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – სამშვილდის ნასახლარის I ფენის კერამიკა.
- ტაბ. II – სამშვილდე, მილსადენის 74-ე და 77-ე კმ-ის ენეოლითური ნასახლარის კერამიკა.
- ტაბ. III – ჩინთის ენეოლითური ნასახლარის მასალა.
- ტაბ. IV – ბოდორნის ენეოლითური ნასახლარის კერამიკა.


### DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – Pottery of layer I of the Samshvilde settlement site.
- Pl. II – Samshvilde, pottery of Aeneolithic settlement at the 74<sup>th</sup> and 77<sup>th</sup> km of the BTC pipeline
- Pl. III – Material of the Chinti Aeneolithic settlement.
- Pl. IV – Pottery of the Bodorna Aeneolithic settlement.







0 2 4




0 2 4




0 1 2




0 2 4




0 1 2




0 1 2




0 1 2




0 1 2




0 1 2




0 2 4





0 1 2








0 2 4



0 2 4



## კიდევ ერთხელ ორჭოსნის ნასახლარის შესახებ

საქართველოს ტერიტორია რომ იმთავითვე წარმოადგენდა დიდი კულტურული ოლქების ტრადიციების შეხვედრისა და ურთიერთზემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზს სამხრეთ კავკასიაში, კარგადაა ცნობილი. ეს მომენტი მკაფიოდ გამოიკვეთა აღმოსავლეთ საქართველოშიც ბრინჯაოს ხანის სანყის ეტაპზევე, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის არეალზე გამოჩნდა ახალი – ე.წ. ადრეული ყორღანების კულტურა, რომლის შესწავლამ ცხადყო როგორც ჩრდილოური წარმომავლობის, ისე სამხრეთის დანიშნულებული ცენტრების საკმაოდ მძლავრი კვალის არსებობა [გობეჯიშვილი 1981: 134; გოგაძე 1972: 91]. თავის მხრივ, ახალმა კულტურამაც განიცადა ადგილობრივი ტრადიციების ზემოქმედება [გობეჯიშვილი 1981: 74; ჯაფარიძე 1998: 131]. თუმცა, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში ეს პროცესები გარკვეული თავისებურებებით წარიმართა. სამცხეში, დასავლეთ საქართველოს სიახლოვეს მდებარე ორჭოსნის ნასახლარზე, მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების, კერძოდ კი – ბედენის კულტურის ელემენტების გარდა, გამოჩნდა იმერეთის გამოქვაბულებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმიც, რომლის ნაწილს, წითლადშეღებილ სფერულტანიან ჭურჭელს, ხშირად განიხილავენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ მაიკოპის კულტურასთან კავშირში [ნებიერიძე 1978: 82; ფხაკაძე 1993: 43]. განსხვავებულ კულტურათა ნაშთების თანაარსებობა ორჭოსნის ნასახლარის უმთავრესად ორმოებით წარმოდგენილ ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსებში ძველს უნიკალურს ხდის და მას იმ საკვანძო ნასახლართა რიგში აქცევს, რომლის მონაცემებმა ახალი იმპულსი უნდა შესძინოს კავკასიის ადრეულ კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხის კვლევას [ორჯონიკიძე 2005].

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნულ ნასახლარზე აკც-ს ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. მ.

ბარამიძე) გაზსადენის ტრასის C და D თხრილებში გამოვლენილი კომპლექსებიდან იმ ორი ორმოს მასალა, რომელიც სხვაზე უკეთ ასახავს განსხვავებულ კულტურათა კომპონენტებს 2005 წლის არქეოლოგიურ მონაპოვარში.

ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია C თხრილის ორმოში კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხი. იგი ახლოს დგას ადრემაიკოპურ თოხებთან. ლაპარაკია არა უბრალო მსგავსებაზე, არამედ ფორმათა სრულ იდენტურობაზე [Джибладзе 2005]. თოხი ყალიბშია ჩამოსხმული, ზედაპირი დაფარული აქვს მწვანე პატინით. პირისაკენ თანდათანობით გაფართოებული ტრაპეციისებრი მოყვანილობის მისი მასიური ტანი თავდება უკანდაქანებული, მომრგვალებული განივკვეთის ყუით, რომელშიც ხის სახელურის მჭიდროდ დასამაგრებლად დატანებულია მოზრდილი სატარე ხვრელი (ტაბ. I<sub>1</sub>). მსგავსი თოხი ცნობილია მაიკოპის კულტურის ისეთი ძეგლებიდან, როგორცაა გალიუგაი I-ის ნასახლარი, პსეკუპსკის, ზამანკულსკის და მაიკოპის (ტაბ. I<sub>3,6</sub>) ყორღანები [Джибладзе 2005]. განსაკუთრებით ახლო დგას გალიუგაი I-ის ცალი [Кореневский 1995; Мунчаев 1975; Черных 1966], რომელიც სიახლოვეს ავლენს თითქმის ყველა ელემენტში. ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ კავკასიისათვის სრულიად უცხო ფორმის ორჭოსნის თოხი ნიკელის შემცველობითაც გამოირჩევა ადრებრინჯაოს ხანის ამიერკავკასიური ბრინჯაოს ნივთებისაგან, რომელთაც დარიშხანიანი ბრინჯაოა დამახასიათებელი [Черных 1978: 63; ჯაფარიძე 1991: 130]. სამაგიეროდ, ნიკელიანი ბრინჯაოს იარაღი კარგადაა ცნობილი მაიკოპის კულტურაში [Кореневский 2004: 98, ტაბ. I], რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ორჭოსნისა და ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის თოხების გენეტიკურ სიახლოვეს. მართალია, რაღაც მსგავსება ჩანს მაიკოპის წრისა და წინააზიურ თოხებს შორის, რაც ქმნის ცდუნებას, რომ მაიკოპური და ორჭოსნის თოხების საერთო წინააზიური წინაპა-

რი ვივარაუდოთ. მითუმეტეს, რომ ეს თოხები წინააზიურის მსგავსად ნიკელის შემცველია. მაგრამ ნიკელის საბადო არ მოიპოვება არც კავკასიაში და არც ანატოლიაში [ჯაფარიძე 1976: 214; Черных 1978: 63]. ამიტომ თვლიან, რომ მაიკოპურ ბრინჯაოს ნანარმში ნიკელის არსებობა მიუთითებს ამ კულტურის მჭიდრო კავშირზე ირანთან [Кореневский 1995: 66]. ირანის პლატო, განსაკუთრებით ანარაკის რაიონი, გამოირჩევა ნიკელის მდიდარი საბადოებით. სწორედ ეს ადგილია მიჩნეული ნიკელის გავრცელების უმთავრეს წყაროდ [Авилова, Антонова, Тенеишвили 1999: 57]. ორჭოსნის თოხში ნიკელის შენაერთი საკმაოდ მაღალია – იგი 4,2% აღწევს,<sup>1</sup> რითაც მას შუალედური ადგილი უკავია მაღალ ნიკელიან წინააზიურ და დაბალ ნიკელიან მაიკოპურ ბრინჯაოს ნივთებს შორის [Андрианов 1978: 56; Кореневский 2004: 98-99].

მსგავსების მიუხედავად მაიკოპურ ლითონის თოხებს მაინც არ უჩანს წინააზიურთან მჭიდრო დამაკავშირებელი პარალელები, რის გამოც ისინი ადგილობრივადაა მიჩნეული [Кореневский 2004: 96], ან შესაძლოა, მათი დამზადება აქვე ხდებოდა გარედან შემოტანილი მადნიდან [ჯაფარიძე 1976: 215]. ორჭოსნის ბრინჯაოს თოხის განსაკუთრებული მსგავსება მაიკოპურ ცალებთან საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას შორის სიახლოვეს ჯერჯერობით უფრო მეტად უჭერს მხარს.

სრულიად განსხვავებულ კულტურას უკავშირდება ბრინჯაოს თოხთან ერთად აღმოჩენილი გამომწვარი თიხის, მჯდომარე პოზაში გამოსახული ანთროპომორფული ქანდაკება (ტაბ. I<sub>2</sub>), რომელსაც უდარებენ, ერთის მხრივ, შულავერ-შომუ-თეფეს, მეორეს მხრივ კი – მტკვარ-არაქსულ თიხის ფიგურებს და ასაკით ხსენებულ კულტურათა შორის ათავსებენ [Хвистани 2005]. ეს ფიგურა, ორჭოსნის სხვა ფიგურის მსგავსად [ორჯონიკიძე 2005] მტკვარ-არაქსულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ თიხის ქანდაკებათა რიგს უნდა ეკუთვნოდეს და არა შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას, რომელიც განსხვავებულად, მთლიანად გამოუწვავი თიხისაგანაა ნაკეთები [ჯაფარიძე 1991: 85]. მეტ-ნაკლებად მსგავსი ქანდაკებები აღმოჩენილია ქვაცხელას, ხიზა-

ნანთ გორის, არიჭის, ისპანის და ადრებრინჯაოს ხანის სხვა ნასახლარებზე [ორჯონიკიძე 2005: 72].

ძვლის სხვადასხვა საკინძებსა თუ სახვრეტებს (ტაბ. II<sub>2-4</sub>) ადრეული ხანის არაერთ ძეგლზე ვხვდებით. სხვა საქმეა ორჭოსნის D თხრილის ორმოში აღმოჩენილი T-მაგვარი ძვლის საკინძი. მას აქვს მომრგვალებული განივკვეთის გრძელი, ნაპრიალები ღერო, ზედა ნაწილზე ირიბი, ზოგან ურთიერთგადამკვეთი ნაკანრი ხაზებით დატანილი შემკობა, რომელსაც ზემოდან და ქვემოდან ნაკანრივე კონცენტრული ხაზები საზღვრავს (ტაბ. II<sub>1</sub>). ამ საკინძს რამდენადმე უახლოვდება ბერიკლდეების ბედენური ფენის ძვლის ზოგიერთი თავაგაჭდეული საკინძი [ჯალაბაძე 1998: ტაბ. X]. უფრო მეტად კი ემსგავსება მაიკოპის კულტურის უსტ-ჯეგუტინსკის ძვლის სამკუთხათავიანი ცალი [Мунчаев 1975: სურ. 46]. ზოგადად შეიძლება შევუდაროთ საჩხერულ T-ს მაგვარ ლითონისა და შიდა ქართლის – კორინთას ჩაქურჩისებრთავიან ძვლის საკინძებსაც [ჯაფარიძე 1981: ტაბ. XII; ჯაფარიძე 1998: სურ. 61]. ამ ორი ტიპის საკინძის ფორმას შორის ზოგი გენეტიკურ კავშირს ხედავს [ჯაფარიძე 1961: 172]. ძვლის ჩაქურჩისებრთავიანი საკინძი ამიერკავკასიაში იშვიათია. იგი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბური კულტურებისათვისაა დამახასიათებელი, საიდანაც გავრცელდა ჯერ ჩრდილო კავკასიაში, იქიდან კი საქართველოს ტერიტორიაზე [ჯაფარიძე 1998: 158-159]. გამორიცხული არაა ორჭოსნის საკინძის წარმომავლობაც, მსგავსად კორინთას ცალისა [ჯაფარიძე 1998: 160], ამავე პროცესს უკავშირდებოდეს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სამხრეთით იგი კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება. ანატოლიაში, ალაჯას სამარხში აღმოჩენილი საკინძის მსგავსება სამხრეთ რუსეთის სტეპებსა და ყუბანისპირეთში გავრცელებულ ჩაქურჩისებრთავიან საკინძებთან, ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიდან მცირე აზიისაკენ მოსახლეობის მიგრაციის თუ კულტურული გავლენის დაშვების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს [ჯაფარიძე 1976: 226-228]. როგორც ჩანს, ამ პროცესებს მიღმა საქართველოც არ უნდა დარჩენილიყო [ქავთარაძე 1978: 5-19].

არქეოლოგიური მონაპოვრის უმეტესობა თიხის ჭურჭელია. იგი ორჭოსნის ნასახლარის სხვა სინქრონული კომპლექსების კერა-

<sup>1</sup> ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ლაბორატორიის წინასწარული მონაცემები.



მიკის მსგავსად ხელით ნაძერწია და ასევე, ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი [ორჯონიკიძე 2005].

I ჯგუფს მიეკუთვნება უხეშად დამუშავებული მოყვითალო, შავი ან ლეგაზედაპირიანი დერგის, ქილის, ტაფის ფორმის ჭურჭელი, ზოგჯერ შემკული პირთან მიძერწილი ერთეული შვერილებით ან კოპებით. ზოგს, განსაკუთრებით ტაფისებრ ჭურჭელს, აქვს პირქვეშ შემოყოლებული, შიგნიდან გაკეთებული გამჭოლი ნახვრეტების მწკრივი, ძირზე კი – ნწული, წრიული ანაბეჭდის კვალი (ტაბ. II<sub>7-8,11-12</sub>; III<sub>1-2,4</sub>). ამ ჯგუფის კერამიკა ახლო ანალოგებს პოულობს საქართველოს როგორც ადრესამინათმოქმედო კულტურის, ისე ადრებრინჯაოს ხანის მასალებში. მაგრამ თუ აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამინათმოქმედო კულტურის დასრულების შემდგომ მსგავსი ნაწარმი ძირითადად ქრება, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, განსაკუთრებით იმერეთის გამოქვაბულების მასალებში, იგი კვლავაც განაგრძობს არსებობას [ორჯონიკიძე 2005: 73]. არის ის მეზობელ – აბასთუმნის ყანობილის ნასახლარზეც, სადაც, ასევე, დასავლეთ საქართველოს მსგავსი კერამიკაც გვხვდება [Пхакадзе, Каландაძე, Орджონიკიძე 1982]. საერთოდ, ძირზე ანაბეჭდის მქონე თიხის ჭურჭელი საქართველოს დასავლეთი ნაწილისათვის უფროა დამახასიათებელი. იშვიათად იგივე ჯგუფის ნაწარმი აღმოსავლეთ საქართველოს ბედენურ ძეგლებზეცაა ნაწარმი [ორჯონიკიძე 2005: 71]. ამგვარივე კერამიკა ენეოლითის ხანიდან ჩანს ფეხმოკიდებული ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც ის ადრებრინჯაოს ხანაშიც განაგრძობს არსებობას ხშირად მტკვარ-არაქსული და ბედენური ტიპის ნაწარმთან [ორჯონიკიძე 2005: 70; Дедабришвили 1969: 52], ხოლო უფრო დასავლეთით — ჩრდილო ოსეთში – მაიკოპურ და მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად [Ростунов 2005: 159].

II ჯგუფის კერამიკა უკეთაა გამომწვარი, შავი ან ლეგაპრიალაა, ზოგჯერ მოვარდისფრო ან შავი ფერის საწრულით. განიჩევა ჯამის, ქოთნის, ხელადის, დერგის და სხვ. ფორმის ჭურჭელი. ორნამენტი იშვიათია – დაბალი კოპი კორპუსზე (ტაბ. II<sub>6,9-10,14-15</sub>, III<sub>5-7</sub>). აქ აღმოჩენილ პირმოყრილი და პირგადაშლილი ჯამების ანალოგებს მსგავსად ვხვდებით როგორც მტკვარ-არაქსული, ისე ბედენური კულტურის მასალებში [კიკვიძე 1972: სურ. 11, 19; მახარა-

ძე 1994: ტაბ. XLVIII, L; ჯალაბაძე 1998: ტაბ. VIII; ჯაფარიძე 1998: სურ. 26]. უკანასკნელთან გაცილებით მეტ საერთოს პოულობს [ჯაფარიძე 1998: სურ. 36; ჯალაბაძე 1998: ტაბ. I, IV<sub>1,2</sub>] ქილის ფორმის უყულო ჭურჭელი (ტაბ. II<sub>9,10,14,15</sub>). ყურადღებას იწვევს მისი წამახული, მკვეთრად გადახრილი, განივკვეთში სამკუთხა პირის კიდე, რაც არაა დამახასიათებელი მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს კერამიკისათვის. სამაგიეროდ, იგი ბედენის კულტურის მომცრო ზომის ჭურჭლის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს [გობეჯიშვილი 1981: 51, 63]. ტიპიურ ბედენურ კერამიკასთან სიახლოვეს კიდევ უფრო მეტად ავლენს შავპრიალა, ერთფენად გამომწვარი ხელადის თუ ქოთნის ფორმის ჭურჭელი. პირის კიდე მასაც მკვეთრად გადახრილი და განივკვეთში სამკუთხა აქვს, სწორი ან შუაში ოდნავ გამობერილი ცილინდრული ყელი მკვეთრად გადადის მომრგვალებულ კორპუსზე (ტაბ. IV). ამგვარი ჭურჭლის ანალოგებს მრავლად ვხვდებით ბედენის, წნორის, ხოვლეს ყორღანების კერამიკაზე [Дедабришвили 1979: ტაბ. L; გობეჯიშვილი 1981: სურ. 23-24; ჯაფარიძე 1998: სურ. 58]. აღსანიშნავია ბედენური კერამიკის გარკვეული მსგავსება მაიკოპის კულტურის თიხის ჭურჭელთან როგორც ფორმის, ისე ორნამენტის, განსაკუთრებით კოპებით შემკობის მხრივ [გობეჯიშვილი 1981: 72; Дедабришвили 1969: 60; Кореневский 2004: სურ. 44, 51, 52]. ორჭოსნის მაგალითზე ეს მსგავსება ჩანს ზოგადად ფორმაში, ასევე ცალკეულ დეტალებშიც, ყურიანი ჭურჭლის ნაკლებობაში. ბედენურთან სიახლოვეს აღნიშნავენ მაიკოპის კულტურის არა მხოლოდ მაიკოპური ეტაპის კერამიკით, რომლის თავდაპირველ, წინააზიურ წარმომავლობას მკვლევართა უმეტესობა უჭერს მხარს [Мунчаев 1975: 334; ჯაფარიძე 1976: 229-231], არამედ, ნოვოსვობოდნაის წრის ძეგლების თიხის ჭურჭლითაც [გობეჯიშვილი 1981]. ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობა, ჩანს, ბედენურ ხანაში უფრო ძლიერი იყო, რასაც რუსეთის სტეპებიდან მომდინარე გავლენებთან აკავშირებენ [ჯაფარიძე 1976: 206; გობეჯიშვილი 1981: 73]. მაგრამ ბედენური კერამიკა ყველაზე მეტად მაინც მტკვარ-არაქსული ელემენტების მატარებელია [ჯაფარიძე 1998: 131; გობეჯიშვილი 1981: 74], რაც ამ კულტურებს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. სადღეისოდ, არაერთი ძეგლია გამოვლენილი, სადაც ამ კულტურათა

კერამიკის თანაარსებობა დგინდება. ფართო ტერიტორიაზე განფენისას ბედენის კულტურას, როგორც ჩანს, გადააქვს მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციებიც. დასავლეთ კოლხური ლოკალური ვარიანტის ფორმირებაში მათ როლზე არაერთხელაა მინიშნებული [გოგაძე 1997: 41, 47]. ამ ნასახლარებზე შავპრიალა კერამიკის გაჩენას სწორედ მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურებთან ურთიერთობას უკავშირებენ [ჯიბლაძე 1997: 107]. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონშიც თრიალეთთან კავშირითაა ახსნილი ზოგიერთი ნიმუშის გაჩენა, რასაც ხელს უწყობდა მათ შორის უმოკლესი გზის არსებობა სამხრეთ საქართველოს ზონაში [გოგაძე 1997: 45]. სწორედ ამ გზაზეა ორჭოსნის ნასახლარი, სადაც აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარე კულტურულ ნაკადს უნდა გაეგლო. მაგრამ კულტურული ნაკადები რომ მხოლოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთით არ იყო მიმართული და პირიქით მოძრაობასაც ჰქონდა ადგილი, კარგად ჩანს დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლართა მაგალითზე [ფხაკაძე 1993: 73]. აბასთუმნის ყანობილზეც შეინიშნება დასავლეთ საქართველოს კერამიკის თანაარსებო-

ბა მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან [Пхакадзе, Каландадзе, Орджоникидзе 1982: 20-21]. ბერძენების ბედენური ფენის თიხის ჭურჭელშიც ამჩნევენ დასავლეთ კოლხეთის კერამიკის არაერთ თავისებურებას [გოგაძე 1997: 42]. მსგავსი მოვლენა ზველის რაბათის მაგალითზეცაა შენიშნული [Орджоникидзе 1976: 20]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოს კულტურის მატარებელი ტომები ბედენურ ხანაშიც აგრძელებენ ურთიერთობას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან. სწორედ დასავლეთ საქართველოს მხრიდან მიგვაჩნია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული მაიკოპის კულტურის ნიმუშების – ნითლადშელებილი სფერულტანიანი და ძაბრისებრპირიანი თიხის ჭურჭლისა და ნიკელიანი ბრინჯაოს თიხის გამოჩენაც ორჭოსნის ნასახლარის ადრეულ კომპლექსებში.

დიდი კულტურული ოლქების დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარე სამხრეთ საქართველოს ამ ძეგლის მასალების სრულად შესწავლა მეტ სინათლეს მოფენს კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხს.

A. Orjonikidze, L. Jibladze

## ONCE AGAIN ABOUT THE ORCHOSANI SETTLEMENT SITE

### Summary

It is well known that Georgia's territory was from the beginning one of the principal scenes in South Caucasia for the meeting and mutual influence of the traditions of great cultural regions. This took clear shape at the initial stages of Georgia's Bronze Age. However, in various regions these processes developed with definite peculiarities.

In Samtskhe, at the Orchosani former settlement, lying close to Western Georgia, apart from elements of Kura-Araxes and Bedeni cultures there appeared pottery characteristic of caves of Imereti. Part of the latter – red-painted vessels with spherical body – are often considered in relation to Maikop culture. A bronze hoe, an exact analogue of the Maikop tool (Pl. I1) discovered in a pit of the Orchosani settlement in 2005, obviously belongs to the latter culture. This hoe of Orchosani, absolutely alien to South Caucasia, differs from Early Bronze Age South Caucasian items in its nickel content as well, which are characterized by arsenic bronze. Tools with nickel bronze are well known in Maikop culture, which once more stresses the genetic closeness of the hoes of Orchosani and north-western Caucasia.

The anthropomorphic statuette of fired clay (Pl. I2), found together with the hoe, must be related to an absolutely different cycle – that of the Kura-Araxes culture. The black and grey – polished pottery (Pl. III5-7, IV6, 9, 13-15, V), discovered here, evinces close links with the Kura-Araxes and Bedeni clay vessels, while the coarsely worked earthenware (Pl. III1-4, IV7, 8, 11, 12) finds analogues with West-Georgian and North-Caucasian material of a synchronous period. The discovery of pottery of these two groups in the early complexes of the Orchosani settlement site must be indicative of their synchronous character.

## ლიტერატურა

- გობეჯიშვილი გ. 1981:** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.
- გოგაძე ე. 1972:** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.
- გოგაძე ე. 1997:** კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ – ვ. სადრაძე (რედ.), გურია, 2, 33-58. თბილისი.
- კიკვიძე ი. 1972:** ხიზანანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1994:** ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნასახლარი. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1978:** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. 2005:** ორჭოსნის ნასახლარის ადრეული კომპლექსები. – ძიებანი, № 15-16, 69-83.
- ფხაკაძე გ. 1993:** დასავლეთი ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1998:** კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი. – ძიებანი, № 2, 32-41.
- ქავთარაძე გ. 1978:** ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის ადრებრინჯაოს ხანაში. – თსუ შრომები, № 183, 5-19.
- ჯალაბაძე მ. 1998:** ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1961:** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976:** ქართველი ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1991:** საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1998:** ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 1997:** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.
- Авилова Т. Н., Антонова Е. В., Тенеишвили Т. О. 1999:** Металлургическое производство в южной зоне циркумпонтийской металлургической провинции в эпоху ранней бронзы. – Российская археология, № 1, 51-66.
- Андрианов Б. В. 1978:** Земледелие наших предков. Москва.
- Дедабришвили Ш. Ш. 1969:** Памятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, т. 1, 35-75.
- Дедабришвили Ш. Ш. 1979:** Курганы Алазанской долины. Тбилиси.
- Джибладзе Л. В. 2005:** Новая уникальная археологическая находка из Орчошани. – Т. Бунятов (ред.), АЭФК, 100-101, Баку.
- Кореневский С. Н. 1995:** Галюгай I – поселение майкопской культуры. Москва.
- Кореневский С. Н. 2004:** Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва.
- Мунчаев Р. М. 1975:** Кавказ на заре бронзового века. Москва.
- Орджоникидзе А. З. 1976:** Разведки в Самцхе – ПАИ, 1974, 19-20.
- Пхакадзе Г. Г., Каландадзе К. С., Орджоникидзе А. З. 1982:** Результаты работ Абастуманской экспедиции – ПАИ, 1980, 20-21.
- Ростунов В. А. 2005:** Памятники типа «Редант» из предгорной зоны Северной Осетии. – Т. Бунятов (ред.), АЭФК, 159-163. Баку.
- Хвистани Р. 2005:** Образец антропоморфной пластики из Орчошани. – Т. Бунятов (ред.), АЭФК, 172-173. Баку.
- Черных Е. Н. 1966:** История древнейшей металлургии Восточной Европы. Москва.
- Черных Е. Н. 1978:** Металлургические провинции и периодизация эпохи раннего металла на территории СССР – СА, № 4, 53-82.

## ტაბულაჰის აღწერილობა

ტაბ. I. ორჭოსნის ნასახლარი. C თხრილის ორმოში აღმოჩენილი: 1. ბრინჯაოს თოხი; 2. თიხის ანთროპომორფული ფიგურა; ბრინჯაოს თოხები მაიკოპის კულტურის ადრეული ჯგუფიდან: 3. გალიუგაი; 4. მაიკოპის ყორღანი; 5. პსეკუპსკის სამაროვანი; 6. ზამანკულსკის ყორღანი (ს. კორენევსკისა და რ. მუნჩაევის მიხედვით).

ტაბ. II. ორჭოსნის ნასახლარი. C თხრილის ორმო: 1-4. ძვალი; 5. ობსიდიანის ისრისპირი; 6-15-კერამიკა.

ტაბ. III. თიხის ქურჭელი ორჭოსნის ნასახლარის C თხრილის ორმოდან.

ტაბ. IV. ორჭოსნის ნასახლარი. D თხრილის ორმო: 1-5-კერამიკა.

## DESCRIPTION OF THE PLATES


Pl. I – The settlement of Orchosani. Discovered in the pit of trench C: 1. bronze hoe; 2. clay anthropomorphic figurine; Bronze hoes from the early group of Maikop culture; 3. Galyugai; 4. Maikop Kurgan; 5. Psekupsk burial ground; 6. Zamankulski kurgan (according to S. Korenevski and R. Munchaev).


Pl. II – The Orchosani settlement. Pit of trench C: 1-4 bone; 5. obsidian arrowhead; 6-15. pottery.






Pl. III – The Orchosani settlement. Pit of trench C: pottery.





Pl. IV – The Orchosani settlement. Pit of trench D: pottery.













## თიხის ჰორელიეფი შიდა ქართლიდან

თიხის ჰორელიეფი აღმოჩნდა შიდა ქართლში (ტაბ. I<sub>1</sub>), ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარგორას ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მრავალფენიან ნამოსახლარზე.

ნამოსახლარის ძირითადი ფენები დადასტურებულია მდ. პლეურას მარცხენა ნაპირზე აღმართული მთის თხემზე და მის ფერდობებზე. 1976-1992 წწ. ნაცარგორას ნამოსახლარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიცია ა. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

კულტურული ფენები განსაკუთრებით ძლიერია ბორცვის სამხრეთის ფერდობზე, სადაც ისინი 1 ჰა ფართობზეა გავრცელებული და მდინარის ნაპირამდე აღწევენ. ამ ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებს უშუალოდ ენაცვლება გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ფენები. ადრე ბრინჯაოს ეპოქაში დასახლება ვრცელდება მახლობელ მინდორზეც, სადაც კულტურული ფენის სიმძლავრე 6-7 მ აღწევს [რამიშვილი 2004: 17-18].

ბორცვის თხემზე დაფიქსირებული კულტურული ფენების ქვედა ფენის ჰორიზონტები მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას შეიცავს. ამ ფენის თავზე გამართულ ორ სამშენებლო ჰორიზონტში კი გვხვდება როგორც მტკვარ-არაქსული, ისე ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა.

ამ ფენების ზევით გაიწმინდა თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტი (ტაბ. I<sub>2</sub>), რომელზეც ბედენური კერამიკის მრავალრიცხოვანი ნატეხი დაფიქსირდა [Рамишвили 1991: 24]. შენობა ძლიერი ხანძრის შედეგად არის განადგურებული. სწორედ აქ, ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში, 1985 წელს აღმოჩნდა ტერაკოტული ჰორელიეფი [Рамишвили 1991: ტაბ. 46].

ჰორელიეფი დაზიანებულია (ტაბ. III<sub>3</sub>). მისი ორი ფრაგმენტი აღმოჩნდა ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში გამოვლენილ თიხატკეპნილ იატაკზე (კვ. NW 3,4\5,6), ერთი კი – № 5 სამეურნეო ორმოში (კვ. NW 3\4), რომელიც იგივე შენობას ეკუთვნოდა. ამის გარდა,

ნაგებობის გვერდით, დაზიანებულ ფენებში, აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც, შესაძლოა, ამავე ჰორელიეფის ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ.

ჰორელიეფი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზოგიერთ ფრაგმენტს ცეცხლის კვალი ეტყობა. ჰორელიეფის სიმაღლე 45 სმ-ია, რესტავრაციის შემდეგ დაფიქსირებული სიგანე 31 სმ-ია (ტაბ. III<sub>4,5,6</sub>). ზედა და შიდაპირი ღია ფერისაა, ოდნავ მოპრიალებული. გამოსახულების ზედა ნაწილი ამოზრტულია. ჰორელიეფის ზედა ნაწილი მომრგვალებულია და შემკულია შვიდი შვერილით. შუა, ყველაზე მაღალი შვერილი ჰორელიეფს ორ, სიმეტრიულ ნაწილად ჰყოფს. ცენტრალური შვერილი მაღალრელიეფური ქედის სახით ჰორელიეფის ცენტრამდე ეშვება. შვერილის წვერიდან 6 სმ დაცილებით ქედი შემსხვილებულია, საიდანაც რელიეფური სარტყელი ჰორელიეფის ძირამდე ეშვება. ცენტრალური შვერილიდან დაშვებული ქედის ორივე მხარეს ფოსოებია განლაგებული, მარცხენა ფოსოში ობსიდიანის „თვალი“ ჩადგმული (მეორე „თვალი“ დაკარგულია – ტაბ. III<sub>1</sub>). „თვალების“ ქვემოთ, ქედის ორივე მხარეს, რელიეფური, კონცენტრული წრეებით შედგენილი „სპირალებია“ გამოსახული. ჰორელიეფის მარჯვენა მხარეს გამოსახული სპირალის ცენტრში ობსიდიანის „თვალი“ და „ნამწამებია“ ჩასმული (ტაბ. III<sub>1,2</sub>). ჰორელიეფის მეორე მხარე ნაწილობრივად შემორჩენილი, ასე რომ, მეორე ობსიდიანის „თვალის“ არსებობის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია.

ჰორელიეფს კიდებზე, შიდა რელიეფური სარტყლიდან ოდნავ მოცილებით, მეორე, შედარებით უფრო სქელი და მაღალრელიეფური კანტი შემოუყვება. ჰორელიეფის ქვედა კიდევ რელიეფური კანტითაა შემკული, რომლის ცენტრალური ნაწილიდან ჰორელიეფის ცენტრისაკენ ოდნავ გაშლილად ორი ასეთივე რელიეფური ქედი მიემართება. ჰორელიეფის ცენტრში თავსდება კიდევ ერთი, „სპირალით“ შემკული ფრაგმენტი.

ჰორელიეფი ანთროპომორფული იერისაა.

არსებული ფრაგმენტების მიხედვით რამდენჯერმე მოხდა ჰორელიეფის რეკონსტრუქცია. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ნ. შანშავილის რეკონსტრუქციის ცდა (ტაბ. III<sub>5,6</sub>).

ნაგებობის გადამწვარ იატაკზე, იქ, სადაც ჰორელიეფი აღმოჩნდა, განლაგებული იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართი (ინვ. №№ 1300-1559). კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. №№ 2045-2100) აღმოჩნდა № 5 ორმოშიც, სადაც ჰორელიეფის ერთი ფრაგმენტი დაფიქსირდა. ზოგიერთი ჭურჭელი გადამწვარი იატაკის ფენიდან თითქმის სრულად აღდგა. ორყურა ქოთანის (ინვ. № 1547, ტაბ. II<sub>38</sub>), რომელსაც ყურები პირსა და მხარზე აქვს მიძერწილი, გავრცელებულია როგორც მტკვარ-არაქსის, ისე ბედენის კულტურის ფენებში (ხიზანანთ გორა [კიკვიძე 1972: სურ. 11<sub>2,5</sub>], ოზნი, თაშ-ბაში [ჯორჯოლიანი, გოგაძე 1974: ტაბ. 30<sub>138</sub>, 37<sub>272,273</sub>], ღრმახევისთავი [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: ნახ. 10<sub>95</sub>, ნახ. 8<sub>88</sub>], ქვაცხელები [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: ტაბ. IV<sub>312,392,426,427</sub>]. ციხიაგორა [მახარაძე 1994: ტაბ. XXIX<sub>2</sub>, XXX<sub>1,3</sub>, XXXIV<sub>3</sub>, L<sub>2,7</sub>, XLII<sub>1</sub>], ამირანის გორა, ზველი [ჩუბინიშვილი 1963: სურ. 7<sub>4</sub>; ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 4<sub>1</sub>, 5<sub>1</sub>, 28<sub>2</sub>], ნაჩერქეზევის № 2 ყორღანი, არგვეთი [ფხაკაძე 1993: ტაბ. XI, XVI<sub>2</sub>], ყაითმაზი, დანგრეული გორა [ღლონტი 1975: სურ. 55<sub>10</sub>, 56<sub>13</sub>], ძალინა, საჩხერე [ჯაფარიძე 1955: ტაბ. XV<sub>6</sub>, XVI<sub>3</sub>], ხირსა [ფიცხელაური 1965: ტაბ. 2<sub>4</sub>], თრელი [აბრამიშვილი, გოცირიძე 1978: ნახ. 14<sub>10</sub>], გიორგინმინდა [Рамишвили 1991: ტაბ. 222<sub>7</sub>], სვენეთი [Миндиашвили, Чиковани 1991: ტაბ. 26<sub>3</sub>], ბერიკლდეები [ჯალაბაძე 1998: ტაბ. I<sub>1-7</sub>, II<sub>2,4,6</sub>]. კერამიკის ეს ტიპი თითქმის უცნობია სომხეთში. იშვიათად გვხვდება ანატოლიასა (სივასი) [Ökse 1993: სურ. 1b<sub>50</sub>] და ირანში (იანიკ-თეფე), მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე, თუმცა კარგად არის წარმოდგენილი სამხრეთ და დასავლეთ ევროპის ნეოლითურ მასალაში [Alram-Stern 1996: სურ. 34<sub>43,44</sub>; Machnik J. 1974: ტაბ. V<sub>6,8,12,14</sub>, VI<sub>15</sub>; Treinen-Clausre 1986: სურ. 1<sub>9</sub>]. ჩვენს მიერ 2004 წელს გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ტიპის ჭურჭლის გავრცელება დაკავშირებული უნდა იყოს ხალხთა რამდენიმე ნაკადის განსახლებასთან ბალკანეთიდან დასავლეთ ევროპასა და ანატოლიაში [Шаншавილი 2004: 148]. ანატოლიიდან გარკვეული ჯგუფი, როგორც ჩანს, მოხვდა ცენტრალურ კავკასიაში, საიდანაც, არქეოლოგიური მასალის მიხედვით თუ ვიზუალურად, აზერბაიჯანის გავლით მოხვდა ირანში. მსგავსი კერამიკა დაფიქსირებუ-

ლია როგორც აზერბაიჯანის ადრე ბრინჯაოს გვიანი საფეხურით დათარიღებულ ყორღანებში [Ахундов 1999: სურ. VIII<sub>175,9</sub>, X<sub>7</sub>, XI<sub>6</sub>, XII<sub>2</sub>], ისე იანიკ-თეფეზე ირანში [Кушнарева, Чубинишвили 1970: სურ. 36<sub>23</sub>].

ცალყურა კოჭობი, რომელიც აღმოჩნდა ჰორელიეფის ფრაგმენტებთან ერთად შენობის იატაკზე (ტაბ. II<sub>44</sub>), მსგავსებას იჩენს ნაჩერქეზევის № 4 სამარხის [ფხაკაძე 1993: ტაბ. XVII<sub>2</sub>] და ციხიაგორის [მახარაძე 1994: ტაბ. XXVII<sub>3</sub>] კოჭებთან. ბადიას (ინვ. №1399, ტაბ. II<sub>39</sub>) ანალოგები მოიძებნება ტყვიავიდან [მაკალათია 1943: ტაბ. XIII<sub>1,3,4</sub>], ბემთაშენიდან [ჯორჯოლიანი, გოგაძე 1974: ტაბ. 34<sub>207</sub>] და ოზნიდან [ჯორჯოლიანი, გოგაძე 1974: ტაბ. 21-22], ჯამებს (ტაბ. II<sub>22-26</sub>) კი – თრელიდან [აბრამიშვილი, გოცირიძე 1978: ნახ. 8<sub>110</sub>], ღრმახევისთავიდან [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: ნახ. 56<sub>512</sub>], სვენეთიდან [Миндиашвили, Чиковани 1991: ტაბ. 27<sub>1</sub>] და დაბლაგომიდან [ფხაკაძე 1993: ტაბ. VIII<sub>1</sub>].

დიდი ზომის ორყურა დერგი (ტაბ. II<sub>27</sub>) აღმოჩნდა ჰორელიეფის ფრაგმენტთან ერთად № 5 ორმოში. მას ახასიათებს დაბალი ცილინდრული ყელი, კვერცხისებური მუცელი და მხარზე მიძერწილი ორი ყური. კერამიკის ეს ტიპი იშვიათია სამხრეთ კავკასიის მასალისათვის. მოპოვებულია ძირითადად ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასასრულით დათარიღებულ ძეგლებზე, ისეთზე, როგორიცაა ციხიაგორა [მახარაძე 1994: ტაბ. LXVIII<sub>1</sub>; LXIII<sub>2,3</sub>], ბერიკლდეები [ჯალაბაძე 1998: ტაბ. I<sub>8,12,15</sub>, III<sub>10</sub>]. ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიის ადრე ბრინჯაოს სანყისი ეპოქისათვის. გავრცელებულია დემირჩიჰუიუქის D, E, F ფენებში [Seeher 1987: ტაბ. 31<sub>9</sub>; 42<sub>4,9</sub>; 48<sub>3,4</sub>], ტროა I და II, იორთან-თეფეზე [Seeher 1987: 158<sub>159</sub>], აგრეთვე ბეიჩესულთანში, კარატაშში, სემაჰუიუქში. J. Seeher-ის აზრით, ეს არის დასავლეთ ანატოლიური ტრადიციები, რომელიც გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთში [Seeher 1987: 160]. № 5 ორმოში ჰორელიეფის ფრაგმენტთან ერთად აღმოჩნდა შვერილიანი ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 2095, ტაბ. II<sub>18</sub>). ამგვარი ჭურჭელი გვხვდება პასიეთის I ყორღანში [ფხაკაძე 1993: ტაბ. XVI<sub>1</sub>], ილტოზე [Дедабришвили 1969: ნახ. 13<sub>2,3,4</sub>] და ბერიკლდეებზე [ჯალაბაძე 1998: ტაბ. VI<sub>1-19</sub>, VII<sub>1,4,15,18,24,25</sub>]. ამ ფორმის ყური დამახასიათებელია დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში ხალკოლითურ და ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისში გავრცელებული ჭურჭლისთვის (ბიუიუკ-გულუჯეკი, კან-ჰასანი, იანიკში, ტოპრაკ-თეფე, იაზი-

რი, პოლიოხნი, პოლატლი) [Huot 1982: 283,284; French 1963: 38, ნახ. 5<sub>გ</sub>]. J. Seeher-ის აზრით, სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში ეს ჭურჭლები არაა ადგილობრივი, არამედ ასეთი კერამიკა ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიიდან გავრცელდა [Seeher 1987: 161]. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში მსგავსი კერამიკა ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ვრცელდება [Huot 1982: 1073]. სამხრეთ კავკასიაში ეს კერამიკა სტრატოგრაფიული ძეგლებიდან მოპოვებული მასალის მიხედვით თარიღდება ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასასრულით, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით.

სამხრეთ კავკასიაში ტერაკოტულ ჰორელიეფს არ გააჩნია ანალოგები. თუმცა შორეული ანალოგის სახით შეიძლება მოვიყვანოთ თიხის კერპი არაგვის ხეობიდან, რომელსაც სპირალური თვალები და ცხოველის დინგისებური ცხვირი აქვს [Рамишвили 1981: ტაბ. XXII] და ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასასრულით თარიღდება. ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე (ოზნი, თეთრინყარო, ამირანის გორა, ჟინვალი) ზოგჯერ გვხვდება ძალზე სქელკეციანი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც რელიეფური, ზოგჯერ სპირალური ორნამენტითაა შემკული [Жоржوليани, Гогадзе 1974: 38, ტაბ. 26<sub>104</sub>; გობეჯიშვილი 1979: ნახ. 23-24; ორჯონიკიძე 1983: ტაბ. XIV; Рамишвили 1980: ტაბ. XXXI<sub>2</sub>]. შესაძლოა ისინი ნაცარგორის ჰორელიეფის მსგავსი საგნის ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ.

ნაცარგორის გამოსახულებას ემსგავსება ბადაანის ნასახლარზე, ადრე ბრინჯაოს დასასრულით დათარიღებულ ფენებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები, რომელთა წინა მხარეს სპირალურთვალებიანი ანთროპომორფული გამოსახულებაა მოცემული [მირცხულავა 2005: 100-118, ტაბ. IV<sub>1,2</sub>].

ჰორელიეფი სტილისტურ მსგავსებას იჩენს ანატოლიაში, პულურის ნამოსახლარზე (ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი) IX-X ფენებში აღმოჩენილ თიხის დიდ ჭურჭლებზე გამოსახულ, მაღალ რელიეფში შესრულებულ, ანთროპომორფულ გამოსახულებებთან (ტაბ. IV<sub>6,8,9</sub>) [Koşay 1976: 24, ტაბ. 83<sub>58,59</sub>; 85<sub>51,69,70</sub>]. ამავე ნამოსახლარზე გამოვლინდა თიხის ანთროპომორფული კერები, რომლებსაც რელიეფური სპირალებით შესრულებული თვალები და პირი აქვთ (ტაბ. IV<sub>11,12</sub>), სტილისტურად ეს სახეებიც დიდ მსგავსებას იჩენენ ჩვენს ჰორელიეფთან [Koşay 1976: 24, ტაბ. 19<sub>1</sub>; ტაბ. 21<sub>1,3</sub>].

ანთროპომორფული გამოსახულებები კე-

რამიკაზე, ისევე როგორც თავად ჰორელიეფი გარკვეულწილად ემსგავსება ტროაში გავრცელებულ die Gesichtvasen-თან, ე.წ. სახიან კერამიკასთან [Schmidt 1902: სურ. 33]. ეს კერამიკა გავრცელებულია აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში (ჰერაიონი, კარატაში, აფროდიზია, ყიზილ-ვირანი, ყიზლარი, ქერჰანეი, კანაჩში, სარლაკი და აკჩაჰირი). თუმცა აღმოჩნდა შავი ზღვის სამხრეთითაც [Huot 1982: რუკა 60].

ნაცარგორის ჰორელიეფთან გარკვეულ მსგავსებას იჩენს ბერიკლდეებზე, ბედენური კულტურის დროინდელ ფენებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი [ჯალაბაძე 2003: 45, ტაბ. I] და ანალოგიური, სხვა ჭურჭლების ფრაგმენტები. ამ ტიპის კერამიკას ახასიათებს ფართო პირი, რომელზეც მიძერწილია ბრტყელი ყური. პირის და ყურის შეერთების ადგილს რქისებური შვერილები ამკობს, რაც ჭურჭელს ზოო- ან ანთროპომორფულ იერს აძლევს.

ანთროპომორფული გამოსახულებები, რომლებსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ეპოქის ბოლოს ჩნდება. ცნობილია ობსიდიანის „თვალებით“ შემკული კერის ორი სადგარი. ერთი აღმოჩენილია სოფ. ზველში [Чубинишвили 1976: 20], მეორე კი – ბერიკლდეების ნამოსახლარზე, ბედენის კულტურის ფენაში [ჯალაბაძე 2003: 45]. ორივე სადგარს მომრგვალებული, ობსიდიანის თვალებით შემკული თავი აქვს.

ნაცარგორის ჰორელიეფი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშებთან. ტელ-ბრაკის, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით დათარიღებულ „Eye-Temple“-ში აღმოჩენილ პატარა ზომის ანთროპომორფული ქანდაკებებს ოთხი თვალი აქვს და დაკბილული გვირგვინითაა შემკული [Goff 1963: ნახ. 657-660]. დაახლოებით იგივე პერიოდს (ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) მიეკუთვნება მარიში აღმოჩენილი ალუბასტრის სტელა სპირალურთვალება ქალღმერთის გამოსახულებით (ტაბ. IV<sub>10</sub>), [Fortin 1999: 284, სურ. 295], რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ნაცარგორას ჰორელიეფთან. მსგავსება შეინიშნება მესოპოტამიაში ადრედინასტიურ პერიოდში გავრცელებულ ცილინდრულ საბეჭდავებზე გამოსახულ თმაგაჩეჩილ უნვერულვამო გმირთან (ტაბ. IV<sub>1</sub>) [Moortgat 1988: 33; Афанасьева 1979: 125, ნახ. 7, 29, 31], რომელიც მახვილით ხელში მტაცებელ ცხოველებს ებრძვის. ა. მორტგატის კლასიფიკაციის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად დაედო არა მხოლოდ სტილისტური, არამედ



კომპოზიციური თავისებურებებიც. სხვადასხვა რეალიების (ვარცხნილობა, ტანსაცმელი, თავსაბურავები) საგულდაგულო შეთავსებიდან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება, რომ ეს საბეჭდავები მზადდებოდა მესილიმის პერიოდში, ანუ ძვ. წ. 2800-2700 ან 2600-2500 წწ. [Moortgat 1988: 5; მიეტ 1961: 47]. ამავე პერიოდში ცილინდრულ საბეჭდავებზე ჩნდება სხივებიანი გვირგვინით შემკული ნიღბიანი მეზრძოლების გამოსახულებები [Moortgat 1988: 37, სურ. 3]. მათ შუბლზე მესამე თვალიც ეტყობა (ტაბ. IV<sub>2</sub>) [Афанасьева 1979: 49]. აქადურ პერიოდში ეს ფიგურები საბეჭდავებზე აღარ გამოსახება [Афанасьева 1979: მესოპოტამიური გლიპტიკის შედარებითი ქრონოლოგიური ტაბულა]. ამ პერსონაჟებს ზოგიერთი მეცნიერი ნინგირსუსთან, ან მის მსგავს ღმერთებთან აიგივებს [Афанасьева 1979: 35]. როგორც შ. ფოსე აღნიშნავდა, ცილინდრული საბეჭდავები, რომლებზეც ბრძოლის მოტივია აღბეჭდილი, უდავოდ ამულეტებისაა ნარმოადგენდნენ [Фоссе 2001: 45-56]. მესოპოტამიური გლიპტიკის ამ გმირულ პერსონაჟთან დიდ მსგავსებას იჩენს ანატოლიაში, არსლანთეფე VI ფენის (ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული) შენობის შესასვლელში საღებავით შესრულებული გამოსახულება. ამ ფიგურას გაჩეჩილი თმა და ფოცხისებური ხელები აქვს (ტაბ. IV<sub>3,4</sub>) [Frangipane 1997: 48, სურ. 14; Barbagli 2003: 26].

ტიპოლოგიურად ნაცარგორას გამოსახულება უახლოვდება მესოპოტამიაში ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე გავრცელებულ თიხის და ქვის ფირფიტებს, ფიგურებს ან ნიღბებს (ტაბ. IV<sub>5,7</sub>) [ИДВ 1983: 158, 230, 345; Дьяконов 1990: 62, 335]. მათზე სხვადასხვა მითოლოგიური სცენის, ღვთაებების, ან დემონების გამოსახულებებია მოცემული. ამ საგნებს ძველი მესოპოტამიელები დგამდნენ შენობის შესასვლელ კარში, ან კიდებდნენ კედლებზე, რათა შენობა ბოროტი ძალებისაგან დაეცვათ. ძველ ასირიულ თიხის ფირფიტებზე ხშირად არის აღწერილი ეს ნეს-ჩვეულება: „ჩემი კარიდან მარჯვნივ და ჩემი კარიდან მარცხნივ დავდგი მე ლუგალგირუ და ალამუ. მე ჩემს კართან მოვათავსე ღმერთი ლუგალგირუ, ძლიერი ღმერთი.“ კიდევ ერთი ტექსტის მიხედვით: „არანაირი ბოროტება რომ არ მიუახლოვდეს სახლს, შესასვლელში დადგი გალა და ლატრაკა, დააყენე ორი ჯარისკაცი კარებთან, მარჯვნივ და მარცხნივ. ეას და მარდუქის გამოსახულება მოათავსე კარებზე მარჯვნივ და მარცხნივ“. ზოგჯერ გამოსახულება

სახლის კედელზე იხატებოდა, ან ბარელიეფის სახით იკვეთებოდა. ქალაქების, სასახლეების და ტაძრების შესასვლელებში აღიმართებოდა მათი დამცავი ქვის, ბრინჯაოს და ვერცხლის კოლოსები, რომელთა დადგმა და შეკეთება ძალიან ძვირი უჯდებოდა მეფეებს და რის შესახებაც ისინი თავის წარწერებში მოგვითხრობენ [Фоссе 2001: 46].

ძველ აღმოსავლეთში სულებისა და დემონების ორ კატეგორიას – კეთილსა და ბოროტს განასხვავებდნენ. კეთილ დემონებს დამცავი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. მათ უნდა დაეკავებინათ ადამიანის სხეული, სახლი ან სასახლე, რათა ავი სულები იქ არ დამკვიდრებულიყვნენ. ადგილი ცარიელი არ უნდა დარჩენილიყო. მიჩნეული იყო – თუ ადამიანს მის მიმართ კეთილგანწყობილი სული დატოვებდა, ბოროტი ძალა მიტოვებული ადგილის დაკავებას შეეცდებოდა. ამდენად, ადამიანი და მისი საცხოვრებელი, ძველი მესოპოტამიელების წარმოდგენით, მუდმივად ზებუნებრივი ძალით იყო დაკავებული [Фоссе 2001: 19]. ასეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ ზოო- და ანთროპომორფულ კერის სადგრებს. კეთილი სულების უმაღლეს რიგს მიეკუთვნებიან ის ღვთაებები, რომლებიც იცავენ როგორც ადამიანებს, ისე მათ საცხოვრებელს სახლებს, დასახლებებს და ქალაქებს. ზოგჯერ ამ ფუნქციას უმაღლესი ღმერთები ასრულებენ. ერთ-ერთი ამგვარი ღმერთი იყო ნინურთა – „ახალგაზრდა გმირი“ [Емельянов 2003: 86-90], დრაკონის და სხვა მითიური ბოროტი ძალების დამმარცხებელი. იგი ველების, ნყლების და საქონლის ნაყოფიერებასაც მფარველობდა. მცენარეულობის და ნაყოფიერების ღმერთი ნინურთა ომის ღმერთის ფუნქციასაც ითავსებს. მისი სიმბოლო ფანტასტიური ლომისთავიანი ფრინველი – იმდუგუდი იყო. ნინურთა ქალაქ ნიპურის მფარველი იყო. ქალაქ ლაგაშში იგივე ფუნქციას ასრულებდა ღმერთი ნინგირსუ, ქიშში – ღმერთი ზაბაბა, ქალაქ დილბათში – ურაში [Black, Green 1992: 138, 182, 187].

ნაცარგორაზე აღმოჩენილი ჰორელიეფის ფუნქციის დადგენა ძალზე ძნელია. ცნობილია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან, კერძოდ, ადრედინასტიური პერიოდიდან ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე მესოპოტამიაში გავრცელებული იყო მაღალრელიეფური ტერაკოტული და ქვის ვოტივური ფირფიტები ან ნიღბები (ე.წ. პლაკეტები), როგორც ჩანს, გარკვეული ღვთაებისადმი მიძღვნილი გამოსა-



ხულები, რომლებიც განთავსებული იყვნენ სახლების ან საკურთხევლების კედლებზე. მათ შორის იყო ღვთაებების გამოსახულებები, მი-თოლოგიური, ან საკულტო სცენები, აგრეთ-ვე სხვადასხვა დემონების გამოსახულებები და ნიღბები, რომლებიც სახლს ავი სულებისაგან იცავდნენ [Дьяконов 1990: 335].

შესაძლოა ნაცარგორას ჰორელიეფი ასევე კედელზე იყო ჩამოკიდებული, ანდა პოდიუმზე იდგა. არა არის გამორიცხული, რომ იგი გარკვე-ულ რიტუალებში გამოიყენებოდა და მას ხმა-რობდნენ როგორც ნიღაბს.

ნაცარგორის ჰორელიეფი ტიპოლოგიურად უახლოვდება მესოპოტამიურ „პლაკეტებს“, თუმცა სტილისტურად დიდ მსგავსებას იჩენს ანატოლიაში (პულური, არსლანთეფე) აღმოჩე-ნილ ანთროპომორფულ გამოსახულებებთან. პულურში აღმოჩენილი ანთროპომორფული კე-რები და კერამიკა განეკუთვნება X-IX ფენებს და ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Koşay 1971: 105]. არსლანთეფე VI ფენა, სადაც აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ფრესკა, ძვ.წ. IV დასასრულით თარიღდება [Frangipane 1997: 48]. მესოპოტამიური საბეჭდავები „ახალგაზრდა

გმირის“ გამოსახულებით ადრედინასტიურ პე-რიოდში ჩნდება. აგრეთვე ადრედინასტიურ პე-რიოდში იწყებს განვითარებას მაღალრელიეფუ-რი ვოტივური „პლაკეტების“ ხელოვნება მესო-პოტამიაში. მათ მინაბაძს უნდა წარმოადგენდეს სირიაში, მარიში აღმოჩენილი და ძვ.წ. III ათას-წლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ალებასტრის სტელა ქალღმერთის გამოსახულე-ბით (ტაბ. IV<sub>10</sub>), რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს ნაცარგორას ჰორელიეფთან. ადრედინას-ტიური ხანა მოჰყვება ჯემდე-ნასრის ეპოქას და მთავრდება აქადური პერიოდის დასაწყისით, ე.ი. ზოგადად ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნა-ხევრით თარიღდება [Goff 1963: 388, ტაბ. 2; Плойд 1984: ტაბ. V]. ნაცარგორაში აღმოჩენილი ჰორე-ლიეფი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. სტილისტურად იგი სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლი-ის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე დატანილ გამოსახულებებს უახლოვდება, ხოლო ტიპო-ლოგიურად ადრედინასტიური პერიოდის მესო-პოტამიის ყოფაში ფართოდ გავრცელებულ, ავი სულებისაგან საცხოვრებლების დასაცავად გა-მოყენებულ „პლაკეტებს“ ემსგავსება.

N. Shanshashvili, A. Ramishvili

## A CLAY HIGH RELIEF FROM SHIDA KARTLI

### Summary

In 1985 a clay high relief was found on a rammed clay floor of a Bedeni period building, destroyed by fire, at a mul-tilayer former settlement lying to the north-west of v. Natsargora, Khashuri district, Shida (Inner) Kartli.

The high relief is of anthropomorphic appearance; it is made of well-sedimented clay; the item is damaged; some fragments bear the trace of fire; the height of the high relief is 45 cm; its width, recorded after restoration, is 31 cm.; the upper and inner surface are slightly polished.

In our opinion, the Natsargora high relief should be dated – judging by the ceramic material – to the middle of the 3rd millennium BC. Stylistically it is close to the representations on the Early Bronze period pottery of South Caucasia and Eastern Anatolia. Typologically it resembles the “plaquettes” used to protect dwellings from evil spirits, wide-spread in Mesopotamia in the Early Dynastic period.

### ლიტერატურა

აბრამიშვილი რ., გოცირიძე დ. 1978: თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი. – თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, I. 34-47. თბილისი.

აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი ვ. 1980: ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1979: თეთრინყაროს ნასოფლარი. თბილისი.

კიკვიძე ი. 1972: ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.

- მაკალათია ს. 1943:** ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1994:** ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.
- მირცხულავა გ. 2005:** ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან. – ძიებანი, № 15-16, 100-118.
- ორჯონიკიძე ა. 1983:** სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.
- რამიშვილი ალ. 2004:** ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები ნაღვლში. თბილისი.
- ფიცხელაური კ. 1965:** იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1993:** დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.
- ღლონტი ლ. 1975:** მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. – ჯავახიშვილი ალ., ჯაფარიძე ო. (რედ.), ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), 129-136. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1963:** ამირანის გორა. თბილისი.
- ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. 1962:** ურბნისი, I. თბილისი.
- ჯალაბაძე მ. 1998:** ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
- ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მაისურაძე, ა. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1955:** ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბილისი.
- Афанасьева В. 1979:** Гильгамеш и Энкиду. Москва.
- Ахундов Т. 1999:** Древнейшие курганы Южного Кавказа. Баку.
- Дедабришвили Ш. 1969:** Памятники эпохи ранней и средней бронзы. – Пицхелаური К. (ред.). Труды Кахетской археологической экспедиции (1965-1966), 35-75. Тбилиси.
- Дьяконов И. 1990:** Люди города Ура. Москва.
- Емельянов В. 2003:** Ритуал в древней Месопотамии. СПб.
- Жоржикашвили Л., Гогодзе Э. 1974:** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.
- ИДВ 1983:** История древнего Востока. Часть первая. Месопотамия (под редакцией И. Дьяконова). Москва.
- Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.
- Ллойд С. 1984:** Археология Месопотамии. Москва.
- Миндиашвили Г., Чиковани Г. 1991:** Экспедиция Горийского района. – ПАИ, 1986, 15-18.
- Рамишвили Р. и др. 1980:** Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1977, 169-187.
- Рамишвили Р. и др. 1981:** Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1978, 129-143.
- Рамишвили Р. и др. 1991:** Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986, 89-95.
- Рамишвили Ал. 1991:** Раскопки в Хашурском районе в 1984-1986 гг. – ПАИ, 1986, 22-25.
- Фоссе Ш. 2001:** Ассирийская магия. СПб.
- Чубинишвили Т. и др. 1976:** Итоги полевой работы Квемо Картлийской археологической экспедиции. – ПАИ, 1974, 19-21.
- Шаншашвили Н. 2004:** К распространению одного типа керамики на Кавказе. – Г. Гамбашидзе (ред.), АЭФК, 148-149. Тбилиси.
- Alram-Stern E. 1996:** Die ägäische Frühzeit. Wien.
- Amiet P. 1961:** La glyptique mesopotamienne archaïque. Paris.
- Barbagli D. 2003:** Arslantepe. Alle origini dello stato. – Archeologia Viva, Anno XXII, #99, 21-36. Firenze.
- Black J., Green A. 1992:** Gods, demons and symbols of Ancient Mesopotamia. Austin.

- Goff B.L. 1963:** Symbols of prehistorique Mesopotamia. New Haven and London.
- French D.H. 1963:** Excavation at Can Hasan. Second preliminary report. 1962. – AS, vol. XIII, 29-42.
- Fortin M. 1999:** Syrie. Terre de civilisation. Quebec.
- Frangipane M. 1997:** A 4<sup>th</sup>-millennium temple\palace complex at Arslantepe-Malatya. North-South relations and the formation of early state societies in the northern region of Greater Mesopotamia. – Paléorient, vol.23\1, 45-73.
- Huot J.-L. 1982:** Les céramiques monochromes lisées en Anatolie à l'époque du Bronze ancien. Vol.1-2. Paris.
- Koşay H.Z. 1971:** Pular (Sakyol) excavations, 1969. Keban Project 1969 Activities. Ankara.
- Koşay H.Z. 1976:** Keban Project. Pular excavations 1968-1970. Ankara.
- Machnik J. 1974:** Bemerkungen zu den Kulturbeziehungen in Mitteleuropa am Anfang der Bronzezeit. – Preistoria Alpina, Vol, 10, 191-207. Trento.
- Moortgat A. 1988:** Frühe Bildkunst in Summer. Bonn.
- Ökse A. T. 1993:** Die Verbreitung der frühtranskaukasischen Kultur in der Sivas-Region. – Istanbul Mitteilungen, 43, 133-146.
- Seeher J. 1987:** Die Keramik 1. – Korfmann M. (Hrsg), Demircihuyuk, Band III,1. Mainz am Rhein.
- Schmidt H. 1902:** Die Keramik der verschiedenen Schichten. – Dörpfeld W. (Hrsg), Troja und Ilion: Ergebnisse der Ausgrabungen Schichten von Ilion 1870-1894 (Band 1), 243-319. Athen.
- Treinen-Clausre F. 1986:** Le groupe de Montbolo dans son contexte pyreneen. – Le neolithique de la France. Hommage à Gerard Bailloud. Sous la direction de J.-P. Demoule et J. Guilaine, 217-232. Paris.

### ტაბულების აღწერილობა


- ტაბ. I – 1. წინა აზიის რუკა ნაცარგორას აღნიშვნით; 2. ნაცარგორას ნამოსახლარი, თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტი. გეგმა.
- ტაბ. II – ნაცარგორა. კერამიკა.
- ტაბ. III – 1-3. ჰორელიეფის ფოტო; 4. ჰორელიეფის ნახატი და ჭრილები; 5-6. ჰორელიეფის რეკონსტრუქცია.
- ტაბ. IV – 1-2. საბეჭდავები მესოპოტამიიდან; 3-4. გამოსახულებები არსლანთეფედან, ანატოლია; 5, 7. გამოსახულებები მესოპოტამიიდან; 6, 8, 9, 11, 12. პულური, ანატოლია; 10. მარი, სირია.

### DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I – Map of the Near East, with indication of Natsargora; 2. the Natsargora settlement site, fragment of the rammed clay floor, plan.
- Pl. II – Natsargora, pottery.
- Pl. III – 1-3. Photo of the high relief; 4. Drawing and sections of the high relief; 5-6. Reconstruction of the high relief.
- Pl. IV – 1-2. Stamps from Mesopotamia; 3-4. Representations from Arslantepe, Anatolia; 5, 7. Representations from Mesopotamia; 6, 8, 9, 11, 12. Pular, Anatolia; 10. Mari, Syria



სურ. 1




სურ. 2







0 4 8 12



15



16



17



18



19



20



21

0 4 8 12

0 8 12 16


0 4 8 12




22




23




24



25




26




27




28




29




30




31



32



33



34



35



36




37


0 8 12 16




38



39




40



41



42




43


0 8 12 16




44




45



46




47




48


0 4 8 12




49



50











51



52

0 4 8 12







## ბრინჯაოს ფოთლისეპური სატევრები

სამთავროს სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის I ეტაპის (ძვ.წ. XV-XIV სს.) სამოცდაათამდე სამარხიდან 35 ბრინჯაოს ფოთლისეპურ სატევარს შეიცავს (№ 5, 16, 26, 27, 54, 58, 64, 75, 80, 101, 140, 155, 156, 160, 175, 180, 183, 221, 228, 232, 261, 263, 267, 280, 283, 288, 294; შუბნის №№ 75, 128, 129, 151, 174, 198, 281, 330).

სეპური მოყვანილობის სატარიტ, ტარის დასამაგრებელ ნაწილში არსებული ორი სამანჭვლე ნახვრეტით და ქედს ზემოთ შემორჩენილი ნალისეპური მოყვანილობის ანაბეჭდით [ლომთათიძე 1974: 66-67] (ტაბ. IIA-III A).

სამთავრული ვარიანტის ფოთლისეპური სატევრები ძირითადად გავრცელებულია აღმო-



სურ. 1 ფოთლისეპური სატევრების აღმოჩენის პუნქტები საქართველოს ტერიტორიაზე

აღნიშნული ტიპის იარაღი საგანგებოდ შეისწავლა და სამ ქვეტიპად დაყო გ. ლომთათიძემ [ლომთათიძე 1974: 49-70]. I ქვეტიპში გაერთიანებულია სამთავროს № 26 სამარხსა (ტაბ. IA) და ნარეკვავში შემთხვევით [ოქროპირიძე 1963: 183-220, ტაბ. VIII<sub>1</sub>] მოპოვებული უქედო, ბრტყელპირიანი სატევრისპირები. მეორე ქვეტიპში – ვინროქედიანი სატევრისპირები (ტაბ. IB-IV), ხოლო მესამე ქვეტიპში – ბრტყელი და ფართოქედიანი სატევრისპირები (ტაბ. VA-B).

მეორე ქვეტიპის სატევრებიდან გ. ლომთათიძე ცალკე გამოყოფს ე.წ. სამთავრულ ვარიანტს, რომელიც ხასიათდება დაბალი, სამკუთხედი-

სავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და მათი ნარმოების ერთ-ერთ ძირითად კერად მცხეთა იგულისხმება [ლომთათიძე 1974: 108].

გ. ლომთათიძის მიერ III ქვეტიპში მოქცეულია სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის № 198 სამარხში აღმოჩენილი მოკლე და შედარებით ვიწრო ყუნწიანი სატევარი ერთი სამანჭვლე ნახვრეტით (ტაბ. VIA) [ლომთათიძე 1974: 59-60], რომელსაც გ. ჩუბინიშვილი სასველით სამართლიანად უფრო ადრეულად მიიჩნევს და მას ცალკე ვარიანტის სახით I ქვეტიპის სატევრებთან აერთიანებს [ჩუბინიშვილი 1957: 72, 75-76].

გ. ჩუბინიშვილის მიერ ამ სატევრის ტიპო-



ლოგიურ სიძველესთან დაკავშირებით მოტანილი საბუთები მართებულად მიგვაჩნია.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე 160-ზე მეტი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი 70-მდე პუნქტშია აღმოჩენილი (სურ. 1 – რუკა).

საქართველოს ფარგლებს გარეთ ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები აღმოჩენილია: ჩრდილოეთ კავკასიაში, ე.წ. ყობანური კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე – ყობანში [Уварова 1900: ტაბ. XI<sub>2,3</sub>; XIII<sub>2</sub>], ზემო რუთხის სამაროვანზე [Крупнов 1964: ტაბ. VI<sub>3</sub>, X<sub>1</sub>], ჩიშიში [Уварова 1900: ტაბ. V<sub>11,12</sub>; VII<sub>6,7,8</sub>; 43, ნახ. 21<sub>4</sub>], კამენომოსტკოიში [Гриневич 1951: 125-140, ნახ. 13]; ყუბანისპირეთში – მთა ბიკთან [Иессен 1951: 75-124, ნახ. 5<sub>1</sub>], სოფ. ტერეზე [Иессен 1951: სურ. 5<sub>2</sub>], ოლგენფელდი [Иессен 1951: სურ. 5<sub>5</sub>], გონაჩხირი [Иессен 1951: ნახ. 52<sub>2</sub>], ჩამლიკსკაია [Иессен 1951: ნახ. 52<sub>3</sub>].

ფოთლისებური სატევრისპირის ერთი ერთეული აღმოჩენილია დალესტანში [Марковин 1969: სურ. 41<sub>7</sub>].

საქართველოს სამხრეთით, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები აღმოჩენილია სომხეთში: მეცქალა [Есаян 1966: ტაბ. I<sub>7</sub>], რედკინის ბანაკი [Есаян 1966: ტაბ. I<sub>6</sub>], არმავირი [Есаян 1966: ტაბ. XI<sub>1</sub>], ნორ-ბაიაზეთი [Есаян 1966: ტაბ. XI<sub>8</sub>], ლენინაკანი [Есаян 1966: 81]; არტიკი [Есаян 1966: 81; Хачатрян 1975: ნახ. 113a], სტეპანავანი [Деведжян 2001: ტაბ. II<sub>21</sub>; III<sub>15</sub>; VII<sub>30</sub>; X<sub>10,17</sub>], შირაქავანი [Торосян, Хникян, Петросян 2002: ტაბ. XVIII, XLIII].

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფოთლისებური სატევრისპირის აღმოჩენის ფაქტი ჩვენთვის ცნობილია ერთი ერთეულით – სარიჯინის № 1 ყორღანი [Ахундов 2001: ტაბ. L].<sup>1</sup>

ჩვენს ხელთარსებული მასალის მიხედვით, კავკასიაში ფოთლისებური სატევრისპირების აღმოჩენის ყველაზე უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პუნქტია ჩამლიკსკაია მდ.ლაბას აუზში (ყუბანისპირეთი), უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი – მთიანი დალესტანის დასავლეთი (მლოკოსევიჩის კოლექცია), დასავლეთით – ეშერა, აღმოსავლეთით – სარიჯინი (აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი), სამხრეთ-დასავლეთით – შრომა (ოზურგეთის რაიონი), სამხრეთ-აღმოსავლეთით – ნორ-ბაიაზეთი, ხოლო სამხრეთით

– არმავირი.

ფოთლისებური სატევრისპირების აღმოჩენის პუნქტები სცილდება საქართველოს და კავკასიას. სამხრეთით მათი აღმოჩენის შემთხვევები ხშირია სირიაში, ლიბანში, პალესტინაში, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით კი – ევროპაში.

სირიაში ფოთლისებური სატევრისპირები აღმოჩენილია რას-შამრაში [Schaeffer 1948: ტაბ. 45<sub>n,o,p,q</sub>]; მიშრივში [Schaeffer 1948: ტაბ. 99<sub>12</sub>]. ხშირია მათი მოპოვების შემთხვევები ლიბანში და პალესტინაში: ბიბლოსი [Schaeffer 1948: ტაბ. 61<sub>g</sub>], კაფერჯარა [Schaeffer 1948: ტაბ. 75<sub>12,13</sub>], ლებეა [Schaeffer 1948: ტაბ. 76<sub>3</sub>], მეგიდო [Schaeffer 1948: ტაბ. 141, 143, 144<sub>5</sub>], რას ელ ანი [Schaeffer 1948: ტაბ. 147<sub>3</sub>].

ფოთლისებური სატევრისპირები გვხვდება ტარსუსში (მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) [Schaeffer 1948: ტაბ. 172<sub>9,10,14,15</sub>].

აღნიშნული სატევრისპირები რამდენადმე განსხვავდება კავკასიაში აღმოჩენილი სატევრისპირებისგან და მათი ადრეული ეგზემპლარებიც საგრძნობლად ადრეული ხანისა არის (ძვ.წ. XIX-XVIII სს.), თუმცა გვიანი ერთეულები ქრონოლოგიურად ემიჯნება კავკასიის ადრეულ ეგზემპლარებს.

იმის გამო, რომ ამიერკავკასიის და ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი ნაწილის შემაერთებელი ტერიტორია, აღმოსავლეთ ანატოლია, არქეოლოგიური თვალსაზრისით სათანადოდ არ არის შესწავლილი, ძნელია კავკასიური და წინა აზიური ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრების გენეტიკური კავშირის მტკიცება, თუმცა ამ ეტაპზეც კი ამგვარი ვარაუდი სავსებით დასაშვებია, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ მჭიდრო კულტურულ კავშირს, რომელიც კავკასიისა და წინა აზიის მოსახლეობას ჰქონდა და რაც ბევრ შემთხვევაში არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება.

ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები გავრცელებულია ევროპაშიც. ისინი აღმოჩენილია: უნგრეთში [Gimbutas 1965: ნახ. 45<sub>2</sub>; 200], ბოჰემიაში [Child 1929: ტაბ. I<sub>3</sub>], ბავარიაში [Child 1929: ტაბ. I B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>], სილეზიაში [Gimbutas 1965: ნახ. 181<sub>1</sub>], ცენტრალურ და ჩრდილოეთ პოლონეთში [Gimbutas 1965: ნახ. 261<sub>1</sub>, 271<sub>1</sub>], შვეიცარიაში [Child 1929: ტაბ. I<sub>6</sub>], სამხრეთ საფრანგეთში [Чайлд 1952: ნახ. 140<sub>g</sub>] და ჩრდილოეთ იტალიაში [Гернес 1914: 86].

დასავლეთ ევროპაში მოპოვებული ყველა ზემოაღნიშნული ფოთლისებური სატევრისპირი

<sup>1</sup> კავკასიაში აღმოჩენილი ჩვენთვის ცნობილი სატევრებიდან სარიჯინის სატევართან დიდ მსგავსებას პოულობს ყუბანისპირეთში (ოლგენფელდი) აღმოჩენილი სატევარი [Иессен 1951: 75-124, სურ. 5<sub>3</sub>]

რის თარიღი ძვ.წ. XV-XIII სს. განისაზღვრება და ძირითადად ემთხვევა კავკასიის ფოთლისებური სატევრების თარიღს. ევროპისა და კავკასიის სატევრისპირების მსგავსება რიგ შემთხვევებში იმდენად დიდია, რომ უდავოდ მიგვაჩნია მათი ურთიერთზეგავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიისა და ევროპის აღნიშნულ რაიონებს შორის არსებული ტერიტორიიდან ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი ჩვენთვის ცნობილი არ არის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უსატოვოს კულტურის ფოთლისებურ სატევრებს [Пасек 1949: 210], ვფიქრობთ, რომ ევროპისა და კავკასიაში გავრცელებული ფოთლისებური სატევრების დიდი მსგავსება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ურთიერთობით უნდა აიხსნას.

ამ ურთიერთობის რეალურობა მით უფრო ადვილად მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ ევროპისა და კავკასიაში მოპოვებული ჩვენთვის საინტერესო ხანის არაერთი ნივთის ერთმანეთთან ისეთ დიდ მსგავსებას, რომელიც ზოგჯერ სრულიდენტურობამდეც მიდის: ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, ანტიმონის და ძვლის საკიდები [Монгайт 1974: 82-83, ქრონოლოგიური ტაბულა].

ევროპისა და კავკასიის ფოთლისებური სატევრისპირების ფორმების მსგავსების ახსნა მათი ურთიერთზეგავლენით მისაღებია იმიტომაც, რომ აღნიშნული იარაღი სინქრონულ ძეგლებზეა აღმოჩენილი.

შუალედური ტერიტორიის (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი) უკეთ შესწავლის გარეშე ძნელი სათქმელია, სად შემუშავდა ჩვენთვის საინტერესო სატევრების გარკვეული ფორმები – დასავლეთ ევროპაში თუ კავკასიაში.<sup>2</sup>

როგორც ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ისე აბსოლუტური და შედარებითი დათარიღების მხრივ, ყველაზე უკეთ შესწავლილია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ფოთლისებური სატევრები [ლომთათიძე 1974: 49-70; აბრამიშვილი 1977: ტაბ. I].

2 ჩვენთვის საინტერესო სატევრების გენეზისისა და კულტურული კუთვნილების სწორი წარმოდგენისთვის საჭიროა შემუშავდეს ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრების ისეთი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა ის ერთეული, რომელიც მთელ ბრინჯაოს ხანაში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ეს საკმაოდ რთული სამუშაოა, რომელიც დიდ დროს მოითხოვს. ასეთი სამუშაო გარკვეულ დონეზე ჩატარებული აქვთ გ. ლომთათიძეს, ტ. ჩუბინიშვილს, ალ. კალანდაძეს, რ. აბრამიშვილს.

საქართველოსა და კავკასიაში აღმოჩენილი ყველა ფოთლისებური სატევარი არ არის სამთავროს ფოთლისებური სატევრების თანადროული. ზოგი მათგანი, ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე, საგრძნობლად უფრო მოგვიანო პერიოდისაა. მაგრამ ამავე დროს არ არის მართებული ჩრდილოეთკავკასიური ყველა ფოთლისებური სატევრის სამთავროს სატევრებთან შედარებით უფრო გვიანი ხანით დათარიღება.

ადრეული და გვიანი სატევრები ფორმა-მოყვანილობითაც განსხვავდებიან. ადრეულად მიგვაჩნია ჩიში [Уварова 1900: ტაბ. V<sub>11,12</sub>; VIII<sub>6,8</sub>], კუმულტაში (ჩრდილოეთ ოსეთი) [Уварова 1900: ტაბ. XCV<sub>7</sub>] და ზანდაკი [Марковин 1964: ნახ. 24.] (ჩეჩნეთის აღმოსავლეთი ნაწილი) აღმოჩენილი უქედო სატევრისპირები.

ზანდაკის სატევრის ადრეულობაზე მეტყველებს მის შემცველ სამარხში აღმოჩენილი სარდიონის ე.წ. დახეთქილი მძივებიც.<sup>3</sup> ჩიშის სატევრები და ფოთლისებური სატევრის შემცველი ზანდაკის № 9 სამარხი სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი სამარხების თანადროულად უნდა მივიჩნიოთ. მათივე თანადროული უნდა იყოს, ყობანში აღმოჩენილი, ე.წ. სამთავრული ტიპის ფოთლისებური სატევარი [Уварова 1900: ტაბ. XIII<sub>2</sub>]. საგრძნობლად უფრო გვიანდელია ყობანში, ანტონოვიჩის მიერ აღმოჩენილი ფოთლისებური სატევრები და ფორმით მათთან ახლოს მდგომი ჭიკაანის (დუშეთის რ-ნი) სატევრები (სემ: № 38-59:4; 4-59:1).

მკვლევართა შორის არ არსებობს საერთო აზრი ე.წ. ალისებური ტიპის სატევრებისა და მათი შემცველი ძეგლების დათარიღების საკითხში. ვფიქრობთ, რომ ეს ტიპი სხვა ტიპის ფოთლისებური სატევრების სინქრონულად ვითარდებოდა. ამას ადასტურებს ბეშთაშენის № 4 სამარხში ორივე ტიპის სატევრის ერთად აღმოჩენა (ტაბ. VIB).<sup>4</sup>

ალისებურ სატევრებს შორის ტიპოლოგიურად ყველაზე ადრეული უნდა იყოს სოფ. პალურის, ე.წ. საძვლეს სამაროვანზე აღმოჩენილი ორი სატევარი (ტაბ. VIC<sub>1,2</sub>).<sup>5</sup> ორივე ეს სატევარი მიეკუთვნება ტარშეურჩენელ, უქედო, ე.წ. ალი-

3 ზანდაკის სამაროვანს ვ. მარკოვინი ძვ.წ. II ათასწლ. ბოლოთი და ძვ.წ. VIII ს. ათარიღებს [Марковин 1964: 87].

4 მადლობას ვუხდით კახა კახიანს, რომელმაც მოგვანოდა და ნება დაგვრთო გვესარგებლა მის მიერ მომზადებული ბეშთაშენის № 4 სამარხის ჩანახატი.

5 ორივე ერთეული აღმოჩნდა კოლექტიურ ორმოსამარხში [აბრამიშვილი, ბარამიძე, მიქელაძე, რამიშვილი 1965: 15].

სებურ სატევართა ჯგუფს. სატევრების ტარის დასამაგრებელი ნახევარწრივებული მოყვანილობისაა. მათ გაფართოებულ ნაწილში, კიდევებთან მოთავსებულ ნახვრეტში გაყრილია ბრინჯაოს თუ სპილენძის მანჭვლები. ერთ-ერთი სატევრის (ტაბ. VIC<sub>2</sub>) სატარე ნაწილზე შეიმჩნევა ტარის ნაკვალევი, რომელიც ვადასთან ფხების პერპენდიკულარულად სწორ ხაზს ქმნის.

კოლხური და ყოზანური კულტურების გავრცელების რაიონში და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზე საძვლეს სამაროვანზე აღმოჩენილი სატევრის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის ცნობილი არ არის. ყველა ალისებური სატევრისაგან განსხვავებით ამ სატევარს სრულიად არა აქვს ქედი. გარდა ამისა, საძვლეს სატევარი ზომით საკმაოდ პატარაა. მისი სიგრძე 13,6 სმ-ს უდრის.

შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, მცირე ზომისაა მეორე სატევარიც (ტაბ. VIC<sub>1</sub>). ნიშნების მიხედვით (თხელი, უქედო პირი, მცირე ზომა) საძვლეს სამაროვნის ორივე სატევარს საკმაოდ არქაული იერი აქვთ და მათი თარიღი სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ფოთლისებური სატევრების თარიღს უნდა უტოლდებოდეს.

აღნიშნულ სატევრებთან ერთად, საძვლეს სამაროვანზე აღმოჩნდა საკმაოდ არქაული იერის მქონე კერამიკა და ბრინჯაოს მასრაგახსნილი, ჭედვით დამზადებული შუბისპირები (ტაბ. VIC<sub>3</sub>), რომლებიც დამზადების ტექნიკისა და ფორმამოყვანილობის მიხედვით, შესაძლებლობას გვაძ-

ლევს საძვლეს სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ.წ. XV-XIV სს. განვსაზღვროთ.

ის თვალსაზრისი, რომ ბრინჯაოს ე.წ. ალისებური სატევარი შედარებით გვიანი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, იმის საფუძველზე წარმოიშვა, რომ იარაღის ეს ტიპი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობს (ძვ.წ. XV-XIV საუკუნიდან ძვ.წ. VII-VI საუკუნეებამდე).

ასეთი გვიანდელი პერიოდის სატევარს წარმოადგენს თლიას № 15 სამარხში აღმოჩენილი ერთეული, რომელთან ერთად, სხვა ნივთებს შორის, აღმოჩნდა რკინის ცული და ფიბულა [Техов 1985: ტაბ. 100].

ფოთლისებური სატევრებისთვის მიღებული თარიღების მიხედვით (ძვ.წ. XV-XIV სს.) [აბრამიშვილი 1977: ტაბ. III], ვფიქრობთ, ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა მოექცეს ჩრდილოეთ კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი, კერძოდ, ადრეული სახის ფოთლისებური სატევრების შემცველი კომპლექსები და მათი სინქრონული ძეგლები. ამ ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის მაღალ ქვედა ქრონოლოგიურ თარიღზე უნდა მეტყველებდეს სერჟენ-იურტის ნასახლარზე C<sup>14</sup> მეთოდით მიღებული თარიღები [Крупнов 1969: 17]. აღნიშნული მეთოდით მიღებული თარიღების გამოყენება ყოზანური კულტურის გვიანი ხანით დათარიღებისთვის უცნაურად გამოიყურება. □

N. Akhvlediani, I. Sultanishvili

## LEAF-LIKE DAGGERS OF BRONZE

### Summary

The Late Bronze-Early Iron stage I cemetery of Samtavro (15th-14th cc BC) counts up to 70 burials; of these 35 contain bronze leaf-like daggers each. According to the data available to us, on Georgian territory over 160 bronze leaf-like dagger-blades have been discovered at up to 70 sites (map no. 1).

Beyond Georgia's boundaries, bronze leaf-like daggers have come to light in the Northern Caucasus on the territory of the diffusion of the so-called Koban culture, and in Armenia. On the territory of Azerbaijan a single specimen of a leaf-like dagger-blade is known to have been discovered (Kurgan №1 of Sarijin).

Points of discovery of leaf-like daggers go beyond Georgia and the Caucasus. Cases of their discovery to the south are frequent in Syria, Lebanon, and Palestine, in the south-eastern part of Asia Minor, and to the north-west, in Europe. The southern dagger blades differ somewhat from their counterparts discovered in the Caucasus, and their early specimens are of much earlier date (19th-18th cc. BC), although later specimens are chronologically disassociated from the Caucasian early examples.

The leaf-like daggers, brought to light in Western Europe are dated to the 15th-13th cc BC, basically coinciding with the date of Caucasian leaf-like daggers. The resemblance of European and Caucasian daggers is in a number of cases so great that we believe their mutual influence is beyond doubt.

The leaf-like daggers discovered at the Samtavro burial ground are studied best of all from both the formal-typological point of view and absolute and comparative dating.

Not all the leaf-like daggers discovered in Georgia and the Caucasus are synchronous with their Samtavro counterparts. Some of them – mainly of North-Caucasian provenance – are of a much later period. However, it is wrong to date them later than the Samtavro specimens.

We think that, according to the dating adopted for leaf-like daggers (15th-14th cc BC), part of North-Caucasian Late Bronze period archaeological sites, should be assigned to the same chronological group, namely, the complexes containing the earlier type and their synchronous sites.

## ლიტერატურა

- აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო. 1958: სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისთვის საქართველოში. თბილისი.
- აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-XXI-B, 116-139.
- აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXII-B, 291-381.
- აბრამიშვილი რ. 1977: ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი № 1). თბილისი.
- აბრამიშვილი რ., მიქელაძე თ., რამიშვილი რ., ბარამიძე მ. 1965: ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები XIV, 11-15. თბილისი (სრული ანგარიში დაცულია რ. აბრამიშვილის არქივში, ხელნაბეჭდი).
- ბარამიძე მ. 1965: კასპის სამაროვანი. – მსკა, IV, 31-66.
- გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.
- გობეჯიშვილი გ. 1951: სტალინის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II, 239-276.
- გოგაძე ე., დავლიანიძე ც. 1981: გორაძირი. თბილისი.
- თუშიშვილი ნ. 1972: მადნისჭალის სამაროვანი. თბილისი.
- კვაჭაძე მ. 2002: სამარხები სოფელ თელათგორთან. – ძიებანი, № 10, 18-21.
- ლომთათიძე გ. 1974: ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი.
- მაკალათია ს. 1970: ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. – სსმმ, V, 223-240.
- ნიორაძე გ. 1944: არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. – სსმმ, XIII-B, 173-220.
- ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. 1974: პალურის საძვლე. – მსკა, VI, 96-126.
- ოქროპირიძე ნ. 1963: ნარეკვავის სამაროვანი. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 183-220.
- რამიშვილი ა. 2000: შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. – ძიებანი, № 6, 28-37.
- ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ნითლანაძე ლ. 2003: სამთავროული კულტურის ძეგლები დუშეთის რაიონიდან. – ძიებანი, X, 99-102.
- Абрамишвили Р. 1978: Основные итоги археологической экспедиции Дигомского ущелья. – ПАИ, 1975, 34-38.



- Абрамишвили Р. 1982:** Археологические раскопки в Тбилиси. – Т. К. Микеладзе (ред.), Археологические исследования на новостройках Грузии, 13-24. Тбилиси.
- Ахундов Т. 2001:** Северо-западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1982:** Месхет-Джавахетская археологическая экспедиция. – ПАИ, 1980, 29-31.
- Гамбашидзе О. 1984:** Месхет-Джавахетская экспедиция. – ПАИ, 1981, 18-24.
- Гамбашидзе О. 1986:** Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1983, 21-27.
- Гамбашидзе О. 1987:** Месхет-Джавахетская экспедиция в 1984 г. – ПАИ, 1984-1985, 28-32.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И., Квижинадзе К. 1991:** Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1986, 27-31.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1995:** Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1987, 48-54.
- Гамбашидзе О. Гамбашидзе И. 1997:** Месхет-Джавахетская экспедиция. – ПАИ, 1988, 44-47.
- Гернес И. 1914:** Первобытная культура, ч. II. Рига.
- Гриневич К. 1951:** Новые данные по археологии Кабарды. – МИА, № 23, 125-140.
- Деведжян С. 2001:** Археологические исследования в Ташир-Дзорагете. Ереван.
- Есяян С. 1966:** Оружие и военное дело древней Армении. Ереван.
- Есяян С., Оганесян А. 1969:** Каталог археологических предметов Дилижанского краеведческого музея. Ереван.
- Иессен А. 1951:** Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, № 23, 75-124.
- Иремашвили Ш. 1976:** Могильник позднебронзовой эпохи в Земо Рене. – ПАИ, 1974, 23.
- Хахиани К., Глигвашвили Э. 1991:** Археологические исследования Машаверского ущелья. – ПАИ, 1986, 51-59.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Крупнов Е. 1964:** Древняя история Северного Кавказа. Москва.
- Крупнов Е. 1951:** Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода. – МИА, № 23, 17-74.
- Крупнов Е. 1969:** К вопросу об уточнении даты Кобанской культуры. – СА, № 1, 13-18.
- Козенкова В. 1996:** Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке. Москва.
- Лукин А. 1956:** Эшерская находка. – Труды АБИЯЛИ, XXVII, 127-143.
- Марковин В. 1964:** Новые материалы по археологии Северной Осетии и Чечни. – КСИА, № 98, 81-89.
- Марковин В. 1969:** Дагестан и горная Чечня в древности. Москва.
- Монгайт А. 1974:** Археология Западной Европы. Москва.
- Орджоникидзе А. 1995:** Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. – ПАИ, 1987, 80-82.
- Пассек Т. 1949:** Периодизация Трипольских поселений (МИА, № 10), Москва-Ленинград
- Техов Б. 1957:** Позднебронзовая культура Лиахвского бассейна. Тбилиси.
- Техов Б. 1963:** К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви. Тбилиси.
- Техов Б. 1985:** Тлийский могильник, III. Тбилиси.
- Торосян Р., Хнкиян О., Петросян А. 2002:** Древний Ширакаван. – Археологические раскопки в Армении, № 23. Ереван.
- Тушишвили Н. 1976:** Отчет работы археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1975, 26-29.
- Тушишвили Н. 1979:** Отчет работы археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1976, 91-97.

Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1982: Итоги работ Алгетской археологической экспедиции. – ПАИ, 1980, 23-24.

Тушишвили Н. 1985: Результаты полевой экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1982, 21-29.

Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1982: Итоги работ Алгетской археологической экспедиции. – Т. К. Микеладзе (ред.)  
Археологические исследования на новостройках Грузии, 21-29. Тбилиси.

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа. – МАК, VIII. Москва.

Хачатрян Т. 1975: Древняя культура Ширака. Ереван.

Чайлд Г. 1952: У истоков Европейской цивилизации. Москва.

Child G. 1929: The Danube in prehistory. Oxford.

Gimbutas M. 1965: Bronze age cultures in Central and Eastern Europe. The Hague.

Schaeffer Cl. 1948: Stratigraphic Comparée et Chronologie de l'Asie Occidentale. Oxford.

### ტაბულეზისა და სურათის აღწერილობა

სურ. 1 – რუკა. ფოთლისებური სატევრების აღმოჩენის პუნქტები საქართველოს ტერიტორიაზე: 1. ეშერა, 2. დრანდა, 3. პალური, 4. შრომა, 5. ზენითი, 6. საჩხერე, 7. გორაძირი, 8. არგვეთი, 9. ითავაზა, 10. ხუციშვილები, 11. ქორეთი, 12. სპეთი, 13. ბრეძა, 14. ბრილი, 15. გარი, 16. სადმელი, 17. ყორნისი, 18. ხეცე, 19. ცხინვალი, 20. ნული, 21. ქვასათალი, 22. თლი, 23. სტირფაზი, 24. დვანი, 25. ურბნისი, 26. წალვლი, 27. სურამი, 28. აბანო, 29. თეზერი, 30. ზინდისი, 31. გომნა, 32. ბორნილელე, 33. ჭობისხევი, 34. ლარები, 35. მაჭარწყალი, 36. ახალციხე, 37. მუშქი, 38. ხიზაბავრა, 39. რიეთი, 40. ქვიშხეთი, 41. სასირეთი, 42. ხოვლე, 43. ჭიქანი, 44. ფლავისმანი, 45. კასპი, 46. ზემო რენე, 47. თელათგორი, 48. ზედა ქსოვრისი, 49. წეროვანი, 50. ნარეკვაი, 51. მცხეთა, 52. ციხედიდისთავი, 53. მეტეხი, 54. თბილისი, 55. მადნისჭალა, 56. არდასუბანი, 57. ჯორგიაშვილი, 58. ბემთაშენი, 59. ჭალა, 60. კობალა, 61. პანტიანი, 62. რკინის წყალი, 63. კაზრეთი, 64. ბოლნისი, 65. რაჭისუბანი, 66. პატარა დმანისი, 67. სიონი, 68. განთიადი, 69. ჯიგაშენი, 70. ველისციხე.

ტაბ. I – A. სამთავროს № 26 სამარხი: 1-5. კერამიკა; 6. ბრინჯაოს ისრისპირები; 7 ბრინჯაოს შუბისპირი; 8 ბრინჯაოს სადგისი; 10. ბრინჯაოს საკინძი; 11 ბრინჯაოს სატევარი; 12 ბრინჯაოს ლახტისთავი; 9. ძვლის ნივთის ნატეხი; 13 ძვლის კოჭი; 14. ირმის რქის ძირი.

B. სამთავროს № 160 სამარხი: 4,7,9. კერამიკა; 1. ბრინჯაოს შუბისპირი; 2. ბრინჯაოს სატევარი; 5. ბრინჯაოს საკინძი; 6. ბრინჯაოს ლეროს ნატეხი; 3. ობსიდიანი.

ტაბ. II – A. სამთავროს № 294 სამარხი: 5-7. კერამიკა; 1. ბრინჯაოს შუბისპირი; 3. ბრინჯაოს სატევარი; 4. ბრინჯაოს საკინძი; 2. ობსიდიანი.

B. სამთავროს № 151 სამარხი (S უბანი): 8. კერამიკა; 1. ბრინჯაოს სატევარი; 2-3. ბრინჯაოს სამაჯურები; 4-5. პასტის მძივები; 6. ძვლის მძივები; 7. სარდიონის მძივები.

ტაბ. III – A. სამთავროს № 64 სამარხი: 3-9. კერამიკა; 1. ბრინჯაოს სატევარი; 2. ბრინჯაოს საკინძი.

B. სამთავროს № 128 სამარხი (S უბანი): 1-6. კერამიკა; 7. ბრინჯაოს სატევარი; 8. ანთიმონის ბიკონუსური მძივი; 9. სარდიონის მძივები.

ტაბ. IV – A. სამთავროს № 183 სამარხი: 7-9. კერამიკა; 1. ბრინჯაოს სატევარი; 2. ბრინჯაოს საკინძი; 3. პასტის მძივი; 4-6. ობსიდიანი.

B. სამთავროს № 27 სამარხი: 9. კერამიკა; 1. ბრინჯაოს შუბისპირი; 2. ბრინჯაოს სატევარი; 3. ბრინჯაოს რგოლი; 4. ბრინჯაოს საკინძი; 5. ტახის ეშვები; 6-7. ძვლის ისრისპირები; 8. ანთიმონის ლილი.

ტაბ. V – A. სამთავროს № 155 სამარხი: 10-16. კერამიკა; 1. ბრინჯაოს სატევარი; 3. ბრინჯაოს შუბისპირი; 4-5. ბრინჯაოს თავხვია საკინძები; 2. ობსიდიანის ანატკეცი; 6. სარდიონის მძივები; 7, 9. ირმის რქის ძირები; 8. ტახის ეშვები.

B. სამთავროს № 267 სამარხი: 6-9. კერამიკა; 1. ბრინჯაოს სატევეარი; 2. ბრინჯაოს შუბისპირი; 3. ბრინჯაოს საკინძი; 4. ბრინჯაოს მანჭვალი; 5. ირმის რქის ძირი.

ტაბ. VI — A. სამთავროს № 198 სამარხი (5 უბანი): 1-3. კერამიკა 1-3; 5. ბრინჯაოს სატევეარი; 4. ნიჟარა; 6. ძვლის კოჭი.

B. ბეშთაშენის № 4 სამარხი: 9-12. კერამიკა; 1. ბრინჯაოს საკინძი; 2. ბრინჯაოს სასაფეთქელე რგოლი წვერზე შემორტყმული ოქროს ფირფიტით; 3-4. ბრინჯაოს სატევერები; 5. ბრინჯაოს შუბისპირი; 6. ბრინჯაოს ისრისპირები; 8. ბრინჯაოს მანჭვლები; 7. სარდიონის მძივები.

C. ბრინჯაოს ნივთები პალურის „საძვლეს“ სამაროვნიდან, ბრინჯაოს: 1-2. სატევერები; 3. შუბისპირები.

ტაბ. I-V, VI-A და VI-C რ. აბრამიშვილის მიხედვით; ტაბ. VI-B კ. კახიანის მიხედვით.

## DESCRIPTION OF THE PLATES AND FIGURE

Fig.1 Map. Points of discovery of leaf-like daggers on Georgian territory: 1. Eshera, 2. Dranda, 3. Paluri, 4. Shroma, 5. Zeniti, 6. Sachkhere, 7. Goradziri, 8. Argveti, 9. Itavaza, 10. Khutsishvilebi, 11. Koreti, 12. Speti, 13. Bredza, 14. Brili, 15. Gari, 16. Sadmeli, 17. Kornisi, 18. Khvtse, 19. Tskhinvali, 20. Nuli, 21. Kvasatali, 22. Tli, 23. Stirphazi, 24. Dvani, 25. Urbnisi, 26. Tsagvli, 27. Surami, 28. Abano, 29. Tezeri, 30. Zindisi, 31. Gomna, 32. Bornigele, 33. Chobiskhevi, 34. Larebi, 35. Machartskhali, 36. Akaltsikhe, 37. Muskhi, 38. Khizabavra, 39. Rieti, 40. Kvishkheti, 41. Sasireti, 42. Khovle, 43. Chikaani, 44. Plavismani, 45. Kaspi, 46. Zemo Rene, 47. Telatgori, 48. Zeda Ksovrisi, 49. Tserovani, 50. Narekvavi, 51. Mtskheta, 52. Tsikhedidistavi, 53. Metekhi, 54. Tbilisi, 55. Madnischala, 56. Ardasubani, 57. Jorgiashvili, 58. Beshtasheni, 59. Chala, 60. Kobala, 61. Pantiani, 62. Rkinis Tskali, 63. Kazreti, 64. Bolnisi, 65. Rachisubani, 66. Patara Dmanisi, 67. Sioni, 68. Gantiadi, 69. Jigasheni, 70. Velistsikhe.

Pl. I – A. Samtavro burial 26: 1-5 pottery; 6. Arrowheads; 7. Bronze spearhead; 8. Bronze awl; 10. Bronze pin ; 11. Bronze dagger; 12. Bronze mace-head; 9. Fragment of a bone item; 13. Bone. 14. Base of antlers.

B. Samtavro burial 160: 4, 7, 9. pottery; 1. bronze spearhead; 3. bronze dagger; 5. bronze pin; 6. fragment of bronze bar; 3. obsidian.

Pl. II – A. Samtavro burial 294; 5-7. Pottery; 1. Bronze spearhead; 3. Bronze dagger; 4. Bronze pin; 2. Obsidian.

B. Samtavro burial 151 (Plots): 8. pottery; 1. bronze dagger; 2-3. bronze bracelets; 4-5. paste beads; 6. bone beads; 7. Sard beads.

Pl. III – A. Samtavro burial 64; 3-9. pottery; 1. bronze dagger; 2. bronze pin.

B. Samtavro burial 128 (Plot 5): 1-6. Ppottery; 7. bronze dagger; 8. biconical antimony beads; 9. sard beads.

Pl. IV – A. Samtavro burial 183: 7-9. pottery; 1. bronze dagger; 2. bronze pin; 3. paste beads; 4-6. obsidian.

B. Samtavro burial 27: 9. pottery; 1. bronze spearhead; 2. bronze dagger; 3. bronze hoop; 4. bronze pin; 5. boar tusks; 6-7. bone arrowheads; 8. antimony button.

Pl. V – A. Samtavro burial 155: 10-16. pottery; 1. bronze dagger; 3. bronze spearhead; 4-5 bronze spiral-headed pins; 2. obsidian flake; 6. sard beads; 7, 9. bases of antlers; 8. boar tusks.



B. Samtavro burial 267: 6-9. pottery; 1. bronze dagger; 2. bronze spearhead; 3. bronze pin; 4. bronze nail; 5. base of antlers.

Pl. VI – A. Samtavro burial 198 (Plots): 1-3. pottery; 5. bronze dagger; 4. shell; 6. bone knuckle.



B. Beshtasheni burial 4: 9-12. pottery; 1. bronze pin; 2. bronze temple hoop with gold plaque round the tip; 3-4. bronze daggers; 5. bronze spearhead. 6. bronze arrowheads; 8. bronze nails. 7. sard beads.


C. Bronze items from the ossuary of the Paluri burial ground; bronze: 1-2. daggers; 3. spearheads.


Pls. I-V, VI-A and VI-C according to R. Abramishvili; Pl. VI-B after K. Kakhiani.

















A



B







## საქართველოში გავრცელებული თავხვია საკინძების შესახებ

სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურას, სხვადასხვა ხანაში, სხვადასხვა ტიპის საკინძი ახასიათებს. ბრინჯაო-რკინის ხანაში თითქმის მთელ ევრაზიულ სივრცეში თავხვია საკინძების სხვადასხვა ტიპია გავრცელებული. ისინი მრავლად აღმოჩენილი საქართველოშიც და მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განსაზღვრა და გენეტიკური ფესვების დადგენა მჭიდროდ უკავშირდება კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიის საკითხებს<sup>1</sup>.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც ამ ნივთს მეტ-ნაკლებად შეხებია, მის მასობრივ გამოჩენას კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში უკავშირებს გვიანბრინჯაოს ხანას (გ. ნიორაძე, ს. მაკალათია, გ. ლომთათიძე, ა. კალანდაძე, ბ. კუფტინი). თუმცა, აღნიშნულ ხანაზე უფრო ადრეული თავხვია საკინძები დადასტურებულია მტკვარ-არაქსის ძეგლებზეც – შენგავითის ნასახლარი სომხეთიდან [Кушнарева 1993: 57, სურ. 20<sub>18</sub>], ქიულ-თეფე I აზერბაიჯანიდან [Кушнарева 1993: 63, სურ. 23<sub>22</sub>], ნიჩბისებურთავიანი თავხვია

საკინძი გეოი-თეფედან (ჩრდილო-დასავლეთ ირანი) [Кушнарева 1993: 68,82, სურ. 24<sub>2</sub>, 30<sub>5,16,30</sub>].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან თავხვია საკინძები ცნობილია შემდეგი ძეგლებიდან:<sup>2</sup> 1. თრელის სამაროვანი [Абрамишвили 1980: 46, ტაბ. XXVIII]; 2. ჩალიპირა გორების სამაროვანი [Абрамишвили 1986: 19, ტაბ. XXXIX<sub>5</sub>]; 3. სამთავროს სამაროვანი [ოქროპირიძე 1951: 141-152; კალანდაძე 1980]; 4. ციხედიდისხევის № 13 ყორღანული სამარხი [Апакидзе 1987: 49, ტაბ. XXVII<sub>5</sub>]; 5. წეროვანი [Садрაძე 1991: 40, ტაბ. XVI<sub>6</sub>, XXXI<sub>12</sub>]; 6. ნავთლული [ქორიძე 1954: 6, 44-48, ტაბ. I]; 7. ღრმახევისთავი [აბრამიშვილი 1980: 21-23, 109, 136-138, 152, ტაბ. X, XVIII, ნახ. 26, 88, 144]; 8. მადნიჭალის სამაროვანი [თუშიშვილი 1972: 131-135]; 9. ჭალის სამაროვანი [Тушишвили 1980: 120, ტაბ. LIII<sub>7,15</sub>; Тушишвили 1982: 48, 50, 51, ტაბ. XXVIII<sub>4,22,36,49,60</sub>; Тушишვილი 1982ა: 24, 25, ტაბ. XXIX; Тушишვილი 1982ბ: 92, 93, ტაბ. XLI<sub>15,18,28</sub>]; 10. ქობალის სამაროვანი [Тушишვილი 1980: 123, ტაბ. LV<sub>12</sub>, LVI<sub>10</sub>; Тушишვილი 1981: 97, 98, ტაბ. XLIII<sub>16,28,38</sub>; Тушишვილი 1982ა: 53, ტაბ. XXIX<sub>16,32</sub>; Тушишვილი 1982: 27, ტაბ. XXX; Тушишვილი 1985: 22-24; Тушишვილი 1987: 17, 18, ტაბ. XV<sub>14</sub>, XVII<sub>1-29</sub>]; 11. პანტიანის სამაროვანი [Тушишვილი 1982ბ: 28, ტაბ. XXXI; Тушишვილი 1982: 26, 27]; 12. ბეშთაშენი [მენაბდე 1968: 103, 119-120, ტაბ. XI<sub>350</sub>; დავლიანიძე 1983: 83-86, 151, ტაბ. XI<sub>24</sub>, ტაბ. XVIII<sub>12-15</sub>]; 13. კუფტინი 1941: სურ. 80<sub>1</sub>, ტაბ. LII; თუშიშვილი 1972: 132-133]; 13. რველი [Гамбашидзе 1981: 61, ტაბ. XXXV<sub>5,7,8,10-13</sub>]; 14. კვირაცხოვლის სამაროვანი [Гамбашидзе 1982: 29, 30, ტაბ. XXXIII, XXXVII; Гамбашидзе 1985: 33-35, ტაბ. XXXV<sub>2,19</sub>, ტაბ. XXXVII<sub>22</sub>, ტაბ. XXXVIII<sub>2</sub>, XL<sub>20</sub>; Гамбашидзе 1986: 22, ტაბ. XVII<sub>5</sub>]; 15. მაჭარწყალი [Гамбашидзе 1984: 21, ტაბ. XXIII]; 16. ბორნიღლე [Гамбашидзе 1986: 23, ტაბ. XLIX; Гамбашидзе 1991: 27, 31, ტაბ. 52, 66, 68, 69; Гамбашидзе 1995: 49-50, ტაბ. 63, 64; Гамбашидзе 1987: 30, ტაბ. XXXI<sub>1-3</sub>, გვ. 34-37,

1 როგორც ამ არტეფაქტის შესწავლის ისტორიიდან ჩანს, ჩვენში ისინი საგანგებოდ და ერთობლივად (ანუ ყველა ტიპი მთელი კავკასიის მასშტაბით) არავის უკვლევია. თუმცა, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნ. ოქროპირიძის მიერ მხოლოდ სამთავროს სამაროვნის ადრეულ სამარხებში აღმოჩენილი თავხვია საკინძების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ამ ერთი ძეგლის მასალის (თავხვია საკინძების) ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განსაზღვრა, მოტანილია პარალელები და მიმოხილულია თავხვია საკინძების შესახებ არსებული როგორც სამამულო, ასევე იმდროისათვის ხელმისაწვდომი უცხოური ლიტერატურაც [ოქროპირიძე 1951: 141-152].

ამიტომ, საკითხის ისტორიის წარმოდგენის მიზნით, აღარ შევეხებით იმ მკვლევართა ნაშრომებს (პ. უვაროვა, ა. ფურტვენგლერი, ფ. ჰანჩარი, ს. მაკალათია, გ. ნიორაძე, გ. ლომთათიძე, ბ. კუფტინი), რომლებიც ამ არტეფაქტის შესწავლასთან დაკავშირებით აისახა ნ. ოქროპირიძის ნაშრომში.

სამთავროს სამაროვნის შემდეგ, რომელმაც თავხვია საკინძების ყველაზე დიდი რაოდენობა მოგვცა (81 ცალი – იხ. ოქროპირიძე 1951: 145), არაერთი ძეგლი გაითხარა, რომლებმაც არამარტო გაზარდეს საქართველოში ამ ნივთის აღმოჩენების რაოდენობა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავეს ჩვენი ცოდნა მის შესახებ.

2 მასალა წარმოდგენილია დღეისათვის არსებული ხელმისაწვდომი პუბლიკაციების მიხედვით და მოიცავს 49 ძეგლს. რუკებზე აღნიშნული ციფრები ემთხვევა ტექსტში მითითებული ძეგლების ნომრებს.

ტაბ. XXXIII<sub>1-23</sub>]; 17. ზველი [Гамбашидзе 1995: 51, ტაბ. 68]; 18. ნაღვლი [Рапишвили 1980: 206-207, ტაბ. XXXVII<sub>5</sub>, XXXIX<sub>6</sub>; Рапишвили 1982: 35, ტაბ. XXII]; 19. გომნა [ნიორაძე 1944: 206-207, ტაბ. XII - XIII<sub>ა</sub>]; 20. კასპის სამაროვანი [ბარამიძე 1994: 32, ტაბ. I<sub>10</sub>]; 21. ციხიაგორა [Цкитишвили 1997: 88, ტაბ. 82<sub>2</sub>]; 22. ხოვლეგორა, VI ფენა [მუსხელიშვილი 1978: 65, 66, ტაბ. XLI, LXII<sub>1702/2</sub>]; 23. ფლავისმანის სამაროვანი [მაკალათია 1930: 227, სურ. 9]; 24. ურბნისი [აბრამიშვილი 1994: ტაბ. III<sub>19</sub>]; 25. ქვასათალი [Джапаридзе 1955: 23-24, სურ. 3<sub>5-6</sub>]; 26. ხეცე (სტირფაზი) [Куфтин 1949: 28-29, სურ. 9]; 27. სტირფაზის კრომლებები [Техов 1974: 11, 29, სურ. 23, 24<sub>4,5,8,25</sub>, 29<sub>1-4</sub>]; 28. ნოფი [დავლიანიძე 1983: 85, შენ. 529]; 29. ასურეთი [კვიციანიძე 1975: ტაბ. XIV<sub>8,9</sub>, XX<sub>2,3</sub>]; 30. სტირფაზი [Техов 1980a: 105, ტაბ. LII<sub>4</sub>]; 31. თლიას სამაროვანი [Техов 1980b: 26-27, ტაბ. 66, გვ. 33, ტაბ. 85/II<sub>4</sub>, გვ. 41, ტაბ. 107, გვ. 42-43, ტაბ. 109; Техов 1985: გვ. 7-8, ტაბ. 104, გვ. 18-20, ტაბ. 131, გვ. 23-24, ტაბ. 138, გვ. 37-38, ტაბ. 169, გვ. 40, ტაბ. 175<sub>5</sub>, გვ. 48, ტაბ. 192<sub>3,4</sub>, გვ. 48-49, ტაბ. 193<sub>2,3</sub>]; 32. ალექსეევკა [კვიციანიძე 1975: ტაბ. XXVII<sub>ა</sub>]; 33. თელათგორი [კვაჭაძე 2002: 18, 20, ტაბ. I<sub>1</sub>]; 34. ხიმშიანთმინების სამაროვანი [გოგოჭური 1999: 106, ტაბ. LXXVIII<sub>56</sub>]; 35. ნული [Куфтин 1949: 31-34, ტაბ. XVII<sub>3</sub>]; 36. გომარეთი [დავლიანიძე 1983: 85, ტაბ. XVIII<sub>12</sub>].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან თავხვია საკინძები ცნობილია შემდეგი ძეგლებიდან: 37. ქორეთი [ქორიძე 1961: 14, ტაბ. II<sub>2</sub>]; 38. მოდინახე [მახარაძე 1996: 14, ტაბ. VII<sub>1</sub>]; 39. ბრილი [ფანცხავა 2001: 39, ტაბ. III<sub>35</sub>]; ბრილი № 8 სამარხი (1960 წ.) (გამოუქვეყნებელი); 40. პალური [ოქროპირიძე 1974: 111, ტაბ. XVI<sub>773,781</sub>]; 41. ნაოხვამუ [Куфтин 1950: 175, ტაბ. 52]; 42. წითელი შუქურა, № 112 სამარხი [Трапш 1969: 194, ტაბ. XXVII<sub>1</sub>]; 43. ყულანურხვას ქვევრსამარხი [Воронов 1980: 201, სურ. 1<sub>15</sub>; Воронов 1975: 269-272, სურ. 2<sub>12-13</sub>]; 44. ზვანდრიფში [დოლიძე 1999: 77]; 45. ეშერას დანგრეული სამარხებიდან [დოლიძე 1999: 77]; 46. პრიმორსკოეს დანგრეული სამარხებიდან [დოლიძე 1999: 77]; 47. აზანთას დოლმენებიდან [ჯაფარიძე 1959: 101, სურ. 36]; 48. ხუაპის დოლმენებიდან [Бжания 1985: 8, 10, 11, ტაბ. 5<sub>3,4</sub>, 6]; 49. აფხაზეთის სახ. მუზეუმი – № 342 [Стражев 1926: 111, სურ. 13].

თავხვია საკინძების გავრცელების სიხშირე რუკაზე დატანილი პუნქტების მიხედვით კარგად ასახავს მათ არეალს (რუკა I<sub>1</sub>) და იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ნივთი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოსათვის ყოფილა დამახასია-

თებელი.

თავხვია საკინძები რაოდენობრივად ყველაზე მეტია მოპოვებული ქვემო ქართლის ძეგლებზე, შიდა ქართლში და მესხეთ-ჯავახეთში; თითო-ოროლა – იმერეთში და რაჭაში; ასეთივე სურათია კოლხეთის დაბლობზე და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში.

საქართველოში მოპოვებული თავხვია საკინძები თავისა და ღეროს მოყვანილობის მიხედვით ორი ტიპითაა წარმოდგენილი: I. განიერთავიანი (ფოთლისებური – I<sub>1</sub>, ლენტისებური – I<sub>2</sub> და ნიჩბისებური თავით – I<sub>3</sub>), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ტაბ. I<sub>1(1-3)}</sub>); II. ვიწროთავიანი, მრგვალგანივკვეთიანი (II<sub>1</sub>), მართკუთხაგანივკვეთიანი (II<sub>2</sub>) და გრეხილი (II<sub>3</sub>) ღეროთი (ტაბ. II<sub>1(4-6)}</sub>).

ორივე ტიპის საკინძს თავი ფირფიტისებურად აქვს ჭედვით გაბრტყელებული და შემდეგ მილაკისებურად ჩახვეული, რასაც, ალბათ, ფუნქციური დატვირთვა ქონდა – საკინძს იჭერდა, რომ ქსოვილიდან არ გამოძვრალიყო.

I ტიპის თავხვია საკინძები, რომლებიც ყველაზე ადრეულად არის მიჩნეული, ცნობილია შემდეგი ძეგლებიდან (იხ. რუკა – ტაბ. I<sub>2</sub>, ტაბ. II<sub>2</sub>):

ტიპი I<sub>1</sub> – 1. სამთავროს № 183 (1940 წ. უბანი) ორმოსამარხი [კალანდაძე 1980: 41, სურ. 40-41].

ტიპი I<sub>2</sub> – 2. ნულის კოლექტიური სამარხები [Куфтин 1949: 31-34, ტაბ. XVII<sub>3</sub>]; 3-4. ქვასათალის სამაროვნის № 8 კოლექტიური სამარხი [Джапаридзе 1955: 23, 24, სურ. 3<sub>5-6</sub>]; 5. წითელი შუქურას სამაროვნის № 12 ინჰუმაციური ორმოსამარხი [Трапш 1969: 93, სურ. 31<sub>2</sub>].

ტიპი I<sub>3</sub> – 6. ქალის სამაროვნის № 8 სამარხი [Тушишвили 1982: 50-51, ტაბ. XXVIII<sub>36</sub>]; 7. ხეცე (სტირფაზი), მართკუთხაღეროიან და თევზიფხურით შემკულ თავხვია საკინძთან ერთად [Куфтин 1949: 28-29, სურ. 9]; 8. ბორნიღელეს სამაროვნის № 98 ინჰუმაციური ორმოსამარხი [Гамбашидзе 1995: 49, ტაბ. 642]; 9. ბრილის № 8 (1960 წ.) სამარხი (გამოუქვეყნებელი); 10. პალურის საძვლედან რკინის თავხვია საკინძთან ერთად [ოქროპირიძე 1974: 111].

I<sub>1</sub> ტიპის საკინძი მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი ჩვენი მასალებიდან (სამთავრო) და ა. კალანდაძის მიერ ძვ.წ. XV–XIII სს-თა დათარიღებული [კალანდაძე 1980: 41].

I<sub>2</sub> ტიპის საკინძები 4 ეგზემპლართაა ცნობილი (ნული, ქვასათალი, წითელი შუქურა). ამათგან ნულის და ქვასათალის საკინძები შუაბრინჯაოს ხანით განისაზღვრება [Джапаридзе 1955: 28]; ხოლო წითელი შუქურას თავხვიასაკინძიანი სამარხი ძვ. წ. VIII–VI სს-ით არის დათარიღებული



[Трапш 1969: 82]. I<sub>3</sub> ტიპის საკინძები (ჭალა, ხვციე, ბორნილელე, ბრილი, პალური) მიუხედავად ტიპოლოგიურად სრული იდენტურობისა საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით არიან დათარიღებული: ხვციე, ჭალა, ბორნილელე – შუაბრინჯაოს ხანის ბოლო-გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით, ხოლო პალურის საძვლის საკინძი [ოქროპირიძე 1974: 111], ისევე როგორც ბრილი-სა (ნ. სულავა), ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება.

II<sub>1</sub> ტიპის ანუ ისეთი თავხვია საკინძები, რომელთაც ღერო მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა აქვთ (ტაბ. II<sub>1(4)</sub>), ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქვემო და შიდა ქართლის თითქმის ყველა მეტნაკლებად სინქრონულ ძეგლებზე: 1. ჩალიპირა გორების № 6 სამარხში; 2. სამთავროს სამაროვანზე; 3. ციხედიდისხევში; 4. ღრმახევისთავში; 5. ჭალისა და 6. ქობალის სამაროვნებზე; 7. კვირაცხოვლის სამაროვანზე; 8. მაჭარწყალიდან; 9. ბორნილელედან; 10. რველიდან; 11. ზველიდან; 12. წაღვლიდან; 13. გომნადან; 14. ციხიაგორაზე; 15. ფლავისმანის სამაროვანზე; 16. სტირფაზის № 9 კრომლესიდან; 17. თლიადან; 18. თელათგორიდან; 19. ხიმშიაანთმინების სამაროვნიდან; 20. ნავთლულიდან (ტაბ. I<sub>3</sub>).

II<sub>1</sub> ტიპის თავხვია საკინძები დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი – 21. ქორეთიდან [ქორიძე 1954: 14, ტაბ. II<sub>1</sub>].

ძირითადი ნაწილი II<sub>1</sub> ტიპის თავხვია საკინძების შემცველი მასალისა, დღეისათვის მიღებული დათარიღებით, ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით განისაზღვრება [ოქროპირიძე 1951: 151-152; აბრამიშვილი 1957: 119; თუშიშვილი 1972: 132-134]. II<sub>1</sub> ტიპის თავხვია საკინძებში ყველაზე ადრეული თარიღი – ძვ.წ. XVI-XV სს. – ზველში აღმოჩენილ მასალებს აქვთ [Гамбашидзе 1995: 68]. თუმცა, აქვე გვინდა ავლნიშნოთ, რომ ჩვენის აზრით, ამ სამარხს უნდა აახალგაზრდავებდეს გვიანდელი ტიპის ყუნწიანი სატევარი, გრეხილღეროიანი თავხვია საკინძი და სამწახნაგაღეროიანი სამაჯური; ხოლო ყველაზე გვიანდელი თარიღი – აქემენიდური ხანა (ძვ.წ. V-IV სს.) – ღრმახევისთავის მასალებს აქვთ [აბრამიშვილი 1980: 22]. ლოგიკურად ამოედენა ქრონოლოგიურ დიაპაზონზე არსებობისას ისინი გარკვეულ ტიპოლოგიურ ცვლილებას მაინც უნდა განიცდიდნენ, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ეს არ დასტურდება; ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან ძვ.წ. XIV ს-ითა და ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული საკინძები.

II<sub>2</sub> ტიპის ანუ ისეთი თავხვია საკინძები, რომელთაც ღერო მართკუთხაგანივკვეთიანი აქვთ (ტაბ. I<sub>1(5)</sub>), აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: 1. ნავთლული; 2. თრელის სამაროვნის №140 სამარხი; 3. მადნისჭალის სამაროვანი; 4. ხოვლეგორის VI ფენა; 5. სამთავროს სამაროვანი, 6. თლიას სამაროვნის №№ 247, 304, 305 სამარხები (4 ცალი), 7. ხვციე (იხ. აქვე) (რუკა I4). ე.ი. თავხვია საკინძები, რომელთაც ღერო მართკუთხაგანივკვეთიანი აქვთ, აღმოჩენილია 7 ძეგლზე. ისინიც გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ ნივთად ითვლებიან [Абрамишвили 1980: 47]. თუმცა, მოიპოვებიან თლიას სამაროვანზე ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხებშიც და ტიპოლოგიურადაც არაფრით განსხვავდებიან წინა ეპოქის თავხვია საკინძებისაგან [იხ.: Техов 1985: ტაბ. 122, 169, 193].

II<sub>2</sub> ტიპის საკინძები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სამთავროსა (100 ცალი) და მადნისჭალის სამაროვანზეა (33 ცალი) აღმოჩენილი [ოქროპირიძე 1951: 145; კალანდაძე 1980; თუშიშვილი 1972: 131].

როგორც II<sub>1</sub>, ასევე II<sub>2</sub> ტიპის საკინძებში გვხვდება ღეროს ზედა ნაწილის შემკობა თევზიფხური ნაჭდევებით. მაგალითად, სამთავროსა და მადნისჭალის სამაროვნები, სადაც თევზიფხურით ძირითადად მართკუთხაგანივკვეთიანი საკინძებია შემკული [ოქროპირიძე 1951: 146; თუშიშვილი 1972: 132]; ხოლო სტირფაზის № 8 კრომლესში თევზიფხურით შემკულია მრგვალგანივკვეთღეროიანი საკინძი [Техов 1974: 29, სურ. 24<sub>4,8</sub>].

II<sub>3</sub> ტიპის ანუ გრეხილღეროიანი თავხვია საკინძები (ტაბ. II<sub>1(6)</sub>) აღმოჩენილია შემდეგ ძეგლებზე: 1. ბეშთაშენის სამაროვნის №№ 3, 16, 26, 36 სამარხებში; 2. ზველის № 5 ყორღანში; 3. კვირაცხოვლის სამაროვნის № 52 სამარხში; 4. ბორნილელე № 69 სამარხში; 5. კასპის სამაროვნის № 1 სამარხში; 6. ქორეთში; 7. ნაოხვამუში; 8. ცნობილია ყულანურხვას ქვევრსამარხში (აფხაზეთის მუზეუმიდან – № 342); 9. პრიმორსკოეს დანგრეულ სამარხში (ტაბ. I<sub>3</sub>).

გრეხილღეროიანი თავხვია საკინძები (II<sub>3</sub> ტიპი) დღეისათვის მიღებული დათარიღებით I, II<sub>1</sub>, II<sub>2</sub> ტიპის საკინძებზე უფრო ახალგაზრდაა [ჩუბინიშვილი 1957: 89. თუშიშვილი 1972: 132]. ისინი არსებობას იწყებენ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის (ძვ.წ. XIV-XIII სს.) შემდეგ და აფხაზეთის მასალების მიხედვით ძვ.წ. VI ს-შიც არსებობენ. ამ მიღებული ქრონოლოგიიდან ერთგვარად ამოვარდნილად გამოიყურება ზველის № 5 ყორღანის თარიღი – ძვ.წ. XVI-XV სს. [Гамбашидзе



1995: 68]. ასეთი ადრეული ხანით დათარიღებულ სხვა კომპლექსებში გრეხილლეროიანი საკინძის არსებობა, ჯერჯერობით, დადასტურებული არ არის.

ცალკე გვინდა შევეხოთ რკინისაგან დამზადებულ თავხვია საკინძებს. ისინი აღმოჩენილია: 1. ბეშთაშენის ციხესთან № 5 ქვაყუთში; 2. ღრმახევისთავში №№ 7, 73 სამარხებში; 3. ნოფის № 1 ქვაყუთში; 4. ასურეთში (4 ცალი); 5. ალექსეევკაში; 6. გომარეთის სამაროვანზე; 7. ყოლოთოს № 23 სამარხში; 8. სტირფაზში სამარხს გარეთ; 9. ბრილში № 12 სამარხში; 10. პალურში (ტაბ. I<sub>გ</sub>).

რკინის თავხვია საკინძების არსებობის ხანა ჩამოთვლილი ძეგლების დათარიღების მიხედვით ჩვენში ძვ.წ. VII-V სს-ზე მოდის. მაგრამ როგორც მასალებიდან ჩანს, რკინის თავხვია საკინძები, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უნდა ყოფილიყო ხმარებაში საქართველოში გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეებშიც [სინაურიძე 1967: 118, 119].

საინტერესოა, რკინის თავხვია საკინძის აღმოჩენა ბრილის № 12 სამარხში. სამარხის ქვედა სართულის კომპლექსი ძვ.წ. XIV ს-ის ბოლოთი და XII ს-ით არის დათარიღებული [ფანცხავა 2001: 43]. რკინის თავხვია საკინძი სამარხის ზედა სართულის მიცვალებულს ეკუთვნის. თუ ეს ზედა კომპლექსი ზოგადად ძვ.წ. VII-V სს-ით შეიძლება დათარიღდეს (რკინის თავხვია საკინძების არსებობის ხანის გათვალისწინებით), მაშინ ცოტა არ იყოს ეჭვს ქვეშ დგება ქვედა სართულის კომპლექსის თარიღის ასეთი ადრეულობა, რადგან საქმე არა გვაქვს არც აკლდამასთან და არც დოლმენტან, რომ ადგილი ქონდეს მიცვალებულების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაკრძალვასთან. ჩვენი ვარაუდით, ქვედა სართულის კომპლექსი შესაძლოა შემდგომ კვლევას დაექვემდებაროს და რამდენადმე გაახალგაზრდადდეს. ეს ვარაუდი თვითონ ავტორებსაც აქვთ გამოთქმული [ფანცხავა 2001: 43].

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, თავხვია საკინძები უფრო აღმოსავლეთ საქართველოსათვის ყოფილა დამახასიათებელი. აქ, ჩვენი აზრით, გარკვეული ლოკალურობის დანახვაც შეიძლება. მაგალითად, ალგეთის სამაროვნების თავხვია საკინძების ლოკალურ ნიშნად მიგვაჩნია ის, რომ თუ ჩვეულებრივ, ნებისმიერი ტიპის თავხვია საკინძს თავი ჭედვით აქვს გაბრტყელებული და მერეა ჩახვეული (როგორც ეს არის სამთავროს საკინძებზე, იხ. ოქროპირიძე 1951: 145), ალგეთის სამაროვნების თავხვია საკინძებს თავი გაუბრტყელებლად აქვთ დახვეული,

ან ოდნავ გაბრტყელებული აქვთ. თანაც ისინი სხვა ძეგლების საკინძებთან შედარებით მცირე ზომისაა [მაგ., იხ. Тушишвили 1981: ტაბ. XLI, XLIII]. ეს თავისებურება მხოლოდ ალგეთის ხეობის სამაროვნების თავხვია საკინძებზე შეინიშნება. ამ შემთხვევისათვის, ალბათ, საინტერესოა სტირფაზის № 8 კრომლესის 3 საკინძი, რომლებსაც ისევე არა აქვთ თავები გათხელებული, როგორც ალგეთის ხეობის სამაროვნების საკინძებს.

ალგეთის ხეობისა და სამთავროს სამაროვნებზე თავხვია საკინძების (II<sub>1</sub>, II<sub>2</sub> ტიპი) ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენა კი იმ აზრისაკენ გვიბიძგებს, რომ სწორედ აქ იწარმოებოდა ისინი და, შესაძლოა, აქედან ვრცელდებოდა სხვა ძეგლებზე.

ალბათ, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არსად საქართველოში, სადაც კი თავხვია საკინძების კონცენტრაცია შეინიშნება, არაა აღმოჩენილი ყალიბები, რომლებშიც თუნდაც ღეროები ჩამოისხმებოდა. მაშინ, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. ჩოლოქის შესართავთან შესწავლილ ნამოსახლარზე, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება, აღმოჩენილია, თუმცა არათავხვია, მაგრამ საკინძების ჩამოსასხმელი ყალიბები [ჩავლეიშვილი 1987: 29, 32, ტაბ. 25<sub>კ</sub>]. ხოლო თვით საკინძები ამ რეგიონში აღმოჩენილი არ არის.

ამგვარად, საქართველოში აღმოჩენილი თავხვია საკინძებიდან უძველესია: სამთავროს (№ 183, 1940 წ., N უბანი) საკინძი, რომელიც ძვ.წ. XV-XIII სს-ითაა დათარიღებული და ნულისა და ქვასათალის საკინძები, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანით განისაზღვრება. საინტერესოა, რომ ო. ჯაფარიძე, რომელიც ამ საკინძების შემცველ ქვასათალის კოლექტიურ სამარხებს შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებს [Джапаридзе 1955: 28], აღნიშნავს, რომ ამ კოლექტიურ სამარხებში (მაგ. № 8 სამარხი 9 მიცვალებულით), სავარაუდოდ მიცვალებულებს სხვადასხვა დროს კრძალავდნენ [Джапаридзе 1955: 23-24]. ნულისა და ქვასათალის, აგრეთვე, სამთავროს № 183 (1940 წ., N უბანი) სამარხის საკინძების ანალოგიური კავკასიის მასალებში არ გვეგულება. ჩვენი I<sub>1</sub> ტიპის ანალოგიური საკინძი ცნობილია სირიის ძეგლებიდან [Schaeffer 1948: fig. 104<sub>19</sub>] და ყირიმში ტამჯარგანის ნასახლარიდან [Колотухин 1996: სურ. 40<sub>გ</sub>]. I<sub>2</sub> ტიპის ანალოგიური საკინძი ცნობილია ყობანის მასალებიდან ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმის კოლექციაში [Hancár 1932: სურ. 14ა]. I<sub>3</sub> ტიპის ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე

ევროპის ძეგლებზეც (იხ. შემდეგ). დღეისათვის მიღებული დათარიღებით I<sub>3</sub> ტიპის საკინძების ქრონოლოგიური დიაპაზონიც საკმაოდ დიდია – გვიანბრინჯაოს ადრეული ხანა (მაგ.: ჭალისა და ბორნილელეს კომპლექსები; თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გარდა სტრატეგრაფიისა, კომპლექსში დამატარიღებელი მყარი საყრდენი, თვით საკინძის გარდა, არაფერი გვაქვს – იხ. Гамбашидзе 1995: ტაბ. 64<sub>1-3</sub>) და ძვ.წ. VIII-VI სს. (წითელი შუქურა № 12, ბრილი № 8, პალურის საძვლე). ამ უკანასკნელი სამარხებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ბრილის ინჰუმაციური, ინდივიდუალური ორმოსამარხი № 8 (1960 წ.), რომელიც, სავარაუდოდ, ქვეშემომწყობილი და ფილაქვებით გადახურული უნდა ყოფილიყო. სამარხში არის ისეთი დამატარიღებელი ნივთები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ზე ადრეულ თარიღს ვერ გვაძლევენ. ესენია: მართხუთხაგანივკეთიანი ოქროს სასაფეთქლე რგოლი, დაბრტყელებული და გახვრეტილი თავებით, გველისთავებიანი ვერცხლის ბრტყელი სამაჯურები (სემ კოლ. № 5-993).

II<sub>1</sub> და II<sub>2</sub> ტიპის თავხვია საკინძები გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპითაა დათარიღებული. თუმცა როგორც დავინახეთ, ისინი მოგვიანო ხანაშიც, ყოველგვარი ტიპოლოგიური ცვლილებების გარეშე ფუნქციონირებენ.

II<sub>3</sub> ტიპის საკინძები გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის შემდეგ იწყებენ არსებობას და ძვ.წ. VI ს-შიც არიან ხმარებაში.

თავხვია საკინძების გენეზისზე ვერ ვიმსჯელებთ, თუ არ გავითვალისწინებთ პარალელურ მასალას, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, კავკასიის სხვა რეგიონებიდან.

თავხვია საკინძები მცირე რაოდენობით მოპოვებულია აზერბაიჯანში ქედაბეკისა და კალაქენტის სამარხებში (№№ 12, 29, 67) [Ивановский 1911: 98, ტაბ. IX<sub>11</sub>], ხაზბულალის ყორღანის სამარხებში [Кесаманлы 1976: 59, სურ. 9<sub>5</sub>] და სომხეთში – არტიკის სამაროვანზე [Хачатрян 1963: 78, ტაბ. 6<sub>4</sub>], ერევანსა და განჯა-ყარაბახში [Hancár 1932: 124, სურ. 4g,h].

ჩრდილო-კავკასიიდან თავხვია საკინძები ცნობილია: ყოზანიდან [Уварова 1900: 50, ტაბ. XXII<sub>4</sub>], სერჟენ-იურტის ნასახლარის ძვ.წ. X-VII სს-ის ფენიდან [Козенкова 1982: ტაბ. XXXV<sub>4,5</sub>] და სოფ. შაროიდან, ვ. დოლბეჟევის გათხრილი სამაროვნიდან [Козенкова 1982: ტაბ. XXXV<sub>3</sub>], ზაიუკოვოდან, ტერეხედან, კისლოვოდსკიდან (ავეჯის ფაბრიკა), ისპრავნაიადან, დომბაიდან (დაახლ. 82 ერთ.) [Козенкова 1998: 66, ტაბ. XXI<sub>15</sub>.

22], რომლებიც ჩვენს საკინძებზე რამდენადმე ახალგაზრდა არიან და თარიღდებიან – ძვ.წ. XII ს. – I ათასწლეულის პირველი ნახევრით ან ძვ.წ. IX-VIII სს-ით [Козенкова 1998: 66] (ტაბ. II<sub>3</sub>, II<sub>4</sub>).

საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ჩვენი I<sub>3</sub> ტიპის ანალოგიური ნიჩბისებური საკინძები (ტაბ. II<sub>4</sub>). ზოგიერთ მათგანს საკმაოდ განიერი თავი აქვს [Козенкова: ტაბ. XXXVI<sub>1,3,8,9,10</sub> გვ. 58]; ისინი დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისით, მაგრამ ძვ.წ. VII-VI სს-ის კომპლექსებიდანაც არის ცნობილი [Козенкова 1982: 58].<sup>3</sup> ისტი-სუმი, ნოჟაი-იურტში, ალეროვე-სკოეში, ცენტეროში აღმოჩენილი ნიჩბისებური თავხვია საკინძები თარიღდებიან ძვ.წ. VII-IV სს-ით [Козенкова 1982: 59] და ტიპოლოგიურად ხვცე-ჭალა-ბორნილელეს საკინძების მსგავსია.

თავხვია საკინძები ცნობილია ტროადან [Hancár 1932: 128], ლიბანისა და სპარსეთის ძეგლებიდან, სირია-პალესტინიდან [Schaeffer 1948: სურ. 66<sub>10</sub>, 67<sub>12</sub>, 68<sub>32,41</sub>, 996, 104<sub>16,19</sub>, 105<sub>16-18</sub>, 217<sub>13</sub>, 227<sub>3</sub>, 236<sub>6</sub>, 239<sub>5,17</sub>; Hantar 1932: სურ. 5]. მარტივი მავთულისებრი და გრეხილდეროიანი საკინძების გარდა აქ აღმოჩენილია ფოთლისებურთავიანი და მრგვალთავიანი თავხვია საკინძები (სირია, ლიბანი — Schaeffer 1948: სურ. 68<sub>32</sub>, 104<sub>19</sub>, 105<sub>17-18</sub>).

განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა თავხვია საკინძები აღმოჩენილი ევროპის ქვეყნებში. აქ გავრცელებული თავხვია საკინძები წარმოდგენილია — ვინროთავიანი (გრეხილი ან მავთულისებრი), ნიჩბისებურთავიანი, ფოთლისებური და ოვალურთავიანი თავჩახვეული საკინძებით.

ვინროთავიანი თავხვია საკინძები, როგორც მავთულისებური, ასევე გრეხილი ღეროთი, აღმოჩენილია: 1. უნგრეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე (ჰარნადკაკი, კისაპოშტაგი, ტეპე) [Schalk 1992: 84, ტაბ. 18; Szathmári 1983: 21, სურ. 46<sub>2</sub>, 48<sub>3</sub>, 51<sub>3</sub>; Trogmayer 1975: ტაბ. 45 (517<sub>2,3</sub>); Řihovskij 1939: ტაბ. 10-12]; 2. იუგოსლავიაში ჰალშტატის დასაწყისი ხანის სამაროვან მოკრონოგზე [Gabrovec 1973: ტაბ. 8<sub>2-8,11-21</sub>]; 3. მაკედონიაში ადრერკინის ხანის ვერგინას სამაროვანზე [Radt 1974: ტაბ. 38<sub>26</sub>]; 4. იტალიაში, ტერამარების კულტურის არეალში [Carancini 1975: 7-8, ტაბ. 5-12; Säflund 1939: ტაბ. 58<sub>1-5</sub>]; 5. შვედეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე [Kubach 1977: 54, ტაბ. 82, 83]; 6. მორავიაში და დასავლეთ ალპების სივრცეში [Řihovskij 1979: 143]; 7. სლოვაკეთში [Novotna 1980: ტაბ. 3-6] (ტაბ. III<sub>5</sub>).

3 ანალოგიური საკინძები, საკმაოდ ადრეული ხანით დათარიღებული, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებშია მოპოვებული (იხ. შემდეგ).

ნიჩბისებურთავიანი თავხვია საკინძები ცნობილია: 1. უნგრეთის ადრებრინჯაოს ხანის კისაპომტაგის სამაროვნიდან [Mozcolics 1942: 54, ტაბ. I<sub>76,79</sub>, V<sub>9-12</sub>, VII<sub>1-6</sub>]; 2. ჰესენისა და ბავარიის ძეგლებიდან [Kubach 1977: 54, ტაბ. 1<sub>11-16,89</sub>, ტაბ. 87ბ]; 3. ტრებენიშტეს კულტურის (მაკედონია, ჩრდ. საბერძნეთი, დას. ბულგარეთი, ალბანეთი) ძვ. წ. VI-V სს-ის ძეგლებიდან [Lahtov 1965: 200-205](ტაბ. III<sub>6</sub>).

ფოთლისებურთავიანი თავხვია საკინძები ცნობილია: 1. უნგრეთიდან, კისაპომტაგის კულტურის ძეგლებიდან [Szathmari 1983: 21, სურ. 48<sub>3</sub>; Mozcolics 1942: ტაბ. II<sub>28</sub>]; 2. ბავარიიდან და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიიდან [Wels-Weyrauch 1978: ტაბ. 87ბ] (ტაბ. III<sub>7</sub>).

მომრგვალო-ოვალურთავიანი თავხვია საკინძები ცნობილია: 1. უნგრეთის კისაპომტაგის კულტურის ძეგლებიდან და სლოვაკეთიდან [Szathmari 1983: 21, სურ. 51<sub>3</sub>; Novotna 1980: ტაბ. 2<sub>59-60</sub>]; 2. ჰესენისა და რაინჰესენის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებიდან [Kubach 1977: ტაბ. 1<sub>17-29</sub>]; 3. იტალიიდან [Carancini 1975: ტაბ. 210], სადაც ისინი ადრებრინჯაოს ხანის ნამყვანფორმადითვლება [Peroni 1971: 42, სურ. 14<sub>7</sub>](ტაბ. III<sub>8</sub>).

როგორც ფიქრობენ, და თან ევროპის მასალების ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, თავხვია საკინძები აქ ადრებრინჯაოს ხანიდან იწყებენ არსებობას და ჰალშტატის ჩათვლით არსებობენ [Carancini 1975: 7-8].

საგანგებო აღნიშვნის ღირსია დობრუჯაში (რუმინეთი) აღმოჩენილი თავხვია საკინძები სხვადასხვა ფორმის თავით (რომბული, ოვალური). მათ თავები შემკული აქვთ პუნსონითა და გრავირებით გამოყვანილი სხვადასხვა სახის გეომეტრიული სახეებით [Nestor 1938: სურ. 1.]. მათი არსებობა ჰალშტატის დასაწყისით განისაზღვრება. ანალოგიური საკინძი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიისა და ჩრდილოეთ ბავარიის ძეგლებიდანაც არის ცნობილი [Wels-Weyrauch 1978: ტაბ. 88ა]; აღმოჩენილია ჰესენსა [Kubach

1977: 58, ტაბ. 2] და სლოვაკეთშიც [Novotna 1980: ტაბ. 2<sub>63-65</sub>] (ტაბ. III<sub>9</sub>).

თავხვია საკინძები აღმოჩენილია ყირიმშიც. ისინი ძვ.წ. VII-V სს-ის სამაროვნიდან მომდინარეობენ [Колотухин 1996: 47]. ტაშ-ჯარგანის სამაროვანზე აღმოჩენილია ნულისა და ქვასათლის ანალოგიური თავხვია ნიჩბისებური საკინძები [Колотухин 1996: სურ. 48<sub>23-24</sub>]; სამაროვან დრუჟნოე 2-ის № 3 სამარხში აღმოჩნდა ხვცეს ანალოგიური საკინძი [Колотухин 1996: სურ. 50<sub>13</sub>]; უნგრეთის (კისაპომტაგი) საკინძის მსგავსი აღმოჩნდა: ტაშ-ჯარგანის ნასახლარის ფენებში [Колотухин 1996: სურ. 40<sub>8</sub>] და ნასახლარ დრუჟნოე 1-ის ფენებში [Колотухин 1996: სურ. 338]. ნიჩბისებური თავხვია საკინძები, რომელთა თავებიც პუნსონით დატანილი ორნამენტითაა შემკული (ანალოგიური ჩრდილოეთ კავკასიის ბეტი-მოხკის სამაროვანზე აღმოჩენილი საკინძებისა, იხ. Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>1</sub>), აღმოჩნდა სამაროვან დრუჟნოე 2-ის № 3 სამარხში [Колотухин 1996: სურ. 50<sub>15</sub>] და № 16 სამარხში [Колотухин 1996: სურ. 54<sub>22</sub>] (ტაბ. III<sub>10</sub>).

ტროასა და ყირიმში აღმოჩენილი თავხვია საკინძები, თითქოს, უნდა მიგვანიშნებდეს იმ გზაზე, რომლის გავლითაც შეიძლებოდა ეს საკინძები ევროპიდან, სადაც ისინი უფრო ადრე გავრცელდნენ, შემოსულიყვნენ კავკასიაში. ამ შესაძლო კონტაქტზე ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი დიდი ნიჩბისებურთავიანი თავხვია საკინძებიც მიგვითითებენ. ეს კონტაქტები თუ იმპულსები სხვა მასალაზე (ფიბულები, კერამიკა, გრავირების მეთოდი და სხვ.) დაკვირვებითაც შეინიშნება [სულავა 2006: 210-211], მაგრამ ჩვენი აზრით, ისეთი უბრალო, ტრივიალური ნივთი, როგორც თავხვია საკინძია, სავსებით შეიძლება მარტივად, კონვერგენციის გზითაც გაჩენილიყო კავკასიაში. ყოველი შემთხვევისათვის, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან საქართველოში თავხვია საკინძების ადგილობრივი წარმოება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ABOUT THE SPIRAL-HEADED PINS CURRENT IN GEORGIA

Summary

The paper deals with questions of the typology, chronology and genesis of spiral-headed pins occurring in Georgia. This in turn is related to questions of the chronology of the Bronze and Iron Age of the Caucasus.

Spiral-headed pins are known from 49 sites in Georgia (map 11). They are represented by two types: broad-headed (petal-shaped – Pl. I<sub>1</sub>, band-like – Pl. I<sub>2</sub>, and shovel-like-headed – Pl. I<sub>3</sub>), with round-section stem (Pl. II/1 (1-3): II. Narrow-headed, round-sectioned (II<sub>1</sub>), right-angel-sectioned (II<sub>2</sub>) and with twisted (II<sub>3</sub>) stem Pl. II/1(4-6).

Type I spiral-headed pins existed from the 15<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cent. BC to the 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent BC, inclusive (Samtavro, Nuli, Kvasatali, Chala, Khvtse, Bornighele, Brili, Paluri, Tsiteli Shukura) (Pl.II/2).

Type II spiral-headed pins existed from the 14<sup>th</sup> c BC to the 5<sup>th</sup> cent BC, inclusive (Pl.II/1(4-6)).

Iron spiral-headed pins (map I/6) were spread in the 7<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent BC.

Owing to the wide chronological range of the spread of spiral-headed pins in Georgia, and without typological changes, their use as basic artifact for dating, as was the case until now, is in our view, unjustified.

The picture of diffusion of spiral-headed pins in the Eurasian space reflects the contact zone that is manifested in other materials as well (fibulae, pottery, technique of engraving, etc.).

ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-XXI-B, 115-140.
- აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი ვ. 1980:** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- აბრამიშვილი რ. 1994:** ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1). თბილისი.
- ბარამიძე მ. 1965:** კასპის სამაროვანი. – მსკა, ტ. IV, 31-66.
- გოგოჭური გ. 1999:** არაგვის აუზის მატერიალური კულტურა ძვ.წ. II ათასწლეულში, დისერტაციის დამატება (ყინვალისა და აბანოსხევის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), კატალოგი. თბილისი (ხელნაბეჭდი).
- დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი.
- დოლიძე ნ. 1999:** ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული),საკანდ.დისერტ. თბილისი.
- თუშიშვილი ნ. 1972:** მადნისჭალის სამაროვანი. თბილისი.
- კალანდაძე ა. 1980:** სამთავრო, წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ა. აფაქიძე (რედ.), მცხეთა, ტ. IV., არქეოლოგიური კვლევა-ძიებისშედეგები). თბილისი.
- კვაჭაძე მ. 2002:** სამარხები სოფ. თელათგორიდან. – ძიებანი, № 10, 18-24.
- კვიციანიძე ვ. 1975:** ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, საკანდ. დისერტ. თბილისი.
- მაკალათია ს. 1930:** ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. – სსმმ, V, 223-240.
- მახარაძე გ., ლომთაძე გ. 1996:** კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. – სსმ ნარკვევები, II, 2-28.
- მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968:** თრიალეთის სამაროვნები. თბილისი.
- მუსხელიშვილიდ.1978:** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.
- ნიორაძე გ. 1944:** არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. – სსმმ, ტ. XIII-B, 173-221.



- ოქროპირიძე ნ. 1951: ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან. – მსკი, 29, 141-152.
- ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. 1974: პალურის საძვლე (1968 წლის გათხრების შედეგები). – მსკა, ტ. VI, 96-123.
- სინაურიძე მ. 1967: გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან. – სსმმ, ტ. XXVII- B, 112-127.
- სულავა ნ. 2006: კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), სადოქტ. დისერტ. თბილისი.
- ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2001: ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 8, 39-48.
- ქორიძე დ. 1954: გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული). – სსმმ, ტ. XVIII-B, 5-89.
- ქორიძე დ. 1961: მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი). თბილისი.
- ჩავლეიშვილი ი. 1987: არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარებზე 1983 წელს. – სდსძ, ტ. XVI, 21-33.
- ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1959: დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 77-126.
- Абрамишвили Р. М. и др. 1980: Археологические раскопки в Тбилиси. – ПАИ, 1977, 39-54.
- Абрамишвили Р. М. и др. 1986: Археологические раскопки в Тбилиси. – ПАИ, 1983, 17-20.
- Апакидзе А. М. и др. 1987: Археологические раскопки в Мцхета и её округе. – ПАИ, 1984-1985, 47-51.
- Бжания В. В., Цвинария И. И., Бжания Д. С. 1985: Раскопки дольменов в селе Хуап в 1982 году. – Г.К. Шамба (ред.), АО 1981-1982 гг. в Абхазии, 8-13.
- Воронов Ю. Н., Вознюк А. С. 1975: Новые археологические находки в Гудаутском районе Абхазской АССР. – СА, № 2, 268-274.
- Воронов Ю. Н. 1980: О хронологических связях кимерийско-скифской и колхидской культур. – А. И. Тереножкин (ред.), Скифия и Кавказ, 200-219. Киев.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1981: Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1978, 57-64.
- Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д. 1982: Месхет-Джавахетская экспедиция. – ПАИ, 1980, 29-31.
- Гамбашидзе О. С. и др. 1984: Месхет-Джавахетская экспедиция. – ПАИ, 1981, 18-21.
- Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д., Абрамишвили М. Р. 1985: Отчёт о работе Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1982, 31-37.
- Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О. 1986: Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1983, 21-27.
- Гамбашидзе О. С. и др. 1987: Месхет-Джавахетская экспедиция в 1984 году. – ПАИ, 1984-1985, 28-32.
- Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д., Гамбашидзе И. О. 1991: Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1985-1986, 27-34.
- Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О. 1995: Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1987, 48-55.
- Джапаридзе О. М. 1955: Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. – КСИИМК, вып. 60, 23-30.
- Ивановский А. А. 1911: По Закавказью (МАК, т.VI). Санкт-Петербург.
- Кесаманлы Г. П. 1976: Хачбулагский курган с массовым захоронением. – МКА, VIII, 46-75.
- Козенкова В. И. 1982: Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (Восточный вариант) (САИ, вып. В2-5). Москва.
- Козенкова В. И. 1989: Кобанская культура (Западный вариант) (САИ, вып. В2-5). Москва.
- Козенкова В. И. 1998: Материальная основа быта кобанских племен (Западный вариант) (САИ, вып. В2-5). Москва.
- Колотухин В. А. 1996: Горный Крым в эпоху поздней бронзы – начале железного века. Киев.
- Крупнов Е. И. 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва.

- Куфтин Б. А. 1941: Археологические раскопки в Триалети, I. Тбилиси.
- Куфтин Б. А. 1949: Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тбилиси.
- Куфтин Б. А. 1950: Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси.
- Кушнарева К. Х. 1993: Южный Кавказ в IX-II тыс. до н. э. Санкт-Петербург.
- Рамишвили А. 1980: Археологические раскопки в с. Цагвли. – ПАИ, 1977, 60-69.
- Рамишвили А. 1982: Археологические работы в с. Цагвли. – ПАИ, 1979, 34-37.
- Садрадзе В. А. 1991: Мцхета в XV-XIII вв. до нашей эры. Тбилиси.
- Стражён В. И. 1926: Бронзовая культура в Абхазии. – ИАНО, IV, 105-124.
- Техов Б. В. 1974: Стырфазские кромлехи. Цхинвали.
- Техов Б. В. 1980а: Раскопки в с. Стырфаз. – ПАИ, 1977, 95-109.
- Техов Б. В. 1980б: Тлийский Могильник, I. Тбилиси.
- Техов Б. В. 1985: Тлийский могильник, III. Тбилиси.
- Трапш М. М. 1969: Труды, т. 2. Сухуми.
- Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1980: Результаты работ Алгетской археологической экспедиции. – ПАИ, 1977, 118-126.
- Тушишвили Н. 1981: Результаты работ археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1978, 89-101.
- Тушишвили Н. Н., Амиранашвили Дж. Ш. 1982а: Результаты полевых работ археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1979 году, 47-57.
- Тушишвили Н. Н., Амиранашвили Дж. Ш. 1982б: Итоги работ Алгетской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 году, 23-29.
- Тушишвили Н. Н., Амиранашвили Дж. Ш. 1985: Результаты полевых исследований экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ, 1982, 21-28.
- Тушишвили Н. Н., Амиранашвили Дж. Ш., Маргишвили С. Г. 1987: Археологическая экспедиция Алгетского ущелья (1984-1985 гг.). – ПАИ, 1984-1985, 17-28.
- Уварова П. С. 1900: Могильники Северного Кавказа (МАК, т. VIII). Санкт-Петербург.
- Хачатрян Т. С. 1963: Материальная культура древнего Артика. Ереван.
- Цкитишвили Г. Г., Махарадзе Э. Э., Квиташвили Р. Ш. 1997: Итоги работы экспедиции Каспского района. – ПАИ, 1988, 87-89.
- Carancini G. L. 1975: Die Nadeln in Italien (PBF, XIII, 2).
- Gabrovec S. 1973: Začetek halštatskega obdobja v Sloveniji. – AV, XXIV, 338-386.
- Hančar Fr. 1932: Die Nadelformen des prähistorischen Kaukasus gebietes, ESA, VII.
- Kubach W. 1977: Die Nadeln in Hessen und Reinhessen (PBF, XIII, 3).
- Lahtov V. 1965: Problem Trebeniške kulture. Ohrid.
- Mozcolics A. 1942: A Kisapostagi korabronzkori urnatemető. – AHung, XXVI.
- Nestorl. 1938: Depot (?) de bronzes de Medgidia (Dobrogea). – Dacia, V-VI, Bucureşti.
- Novotna M. 1980: Die Nadeln in der Slowakei (PBF, XIII, 6).
- Ordentliih I. 1972: Contributia săpăturilor arheologice de pe "Dealul vida" (com. Sălăcea, jud. Bihor) la cunoasterea culturii Otomani (1). – SCIV, Sātu Mare, 63-84.
- Peroni R. 1971: L'età del bronzo nella penisola italiana, I, L'antica età del bronzo. Firenze.
- Radt W. 1974: Die früheisenzeitliche Hügelnekropole bei Vergina in Makedonien, Beiträge zu italienischen und griechischen Bronzefunden (PBF, XX, 1).

Řihovský J. 1979: Die Nadeln in Mähren und dem Ostalpengebiet (PBF, XIII, 5).

Řihovský J., 1983: Die Nadeln in Westungarn, I (PBF, XIII, 10).

Säflund G. 1939: Le Terramare. Leipzig.

Schaeffer C.F.A. 1948: Stratigraphie comparée et chronologie de l'Asie Occidentale. London.

Schalk, E., 1992: Das Gräberfeld von Harnádkak, Universitätsforschungen zur Prähistorischen Archäologie, Aus dem Seminar für Ur- und Frühgeschichte der Freien Universität Berlin, Band 9. Szathmári I. 1983: Kisapostager Gräber im bronzezeitlichen Gräberfeld von Donaújváros. – ALBA REGIA, XX, 7-37.

Trogmayer O. 1975: Das bronzezeitliche Gräberfeld bei Táapé. Budapest.

Wels-Weyrauch U. 1978: Die Anhänger und Halsringe in Südwestdeutschland und Nord- Bayern (PBF, XI, 1).

## ტაბულაციის აღწერილობა

ტაბ. I (რუკები) – 1. საქართველოში თავხვია საკინძების გავრცელება; 2. I ტიპის თავხვია საკინძები; 3. II<sub>1</sub> ტიპის თავხვია საკინძები; 4. II<sub>2</sub> ტიპის თავხვია საკინძები; 5. II<sub>3</sub> ტიპის თავხვია საკინძები; 6. რკინისთავხვია საკინძები.

ტაბ. II – 1.1. სამთავრო [კალანდაძე 1980: სურ. 40,41]; 1.2. ქვასათალი [Джапаридзе 1955: სურ. 3<sub>გ</sub>]; 1.3. ბრილი (გამოუქვეყნებელი); 1.4. ციხედიდისხევი [Апакидзе 1987: ტაბ XXVII<sub>გ</sub>]; 1.5. თლია [Техов 1985: ტაბ. 192<sub>3,4</sub>]; 6. ქორეთი [ქორიძე 1961: ტაბ. II<sub>2</sub>].

2.1. სამთავრო [კალანდაძე 1980: სურ. 40-41]; 2.2. ნული [Куфтин 1949: ტაბ. XVII<sub>3</sub>]; 2.3. ქვასათალი [Джапаридзе 1955: სურ 3<sub>გ</sub>]; 2.4. წითელი შუქურა [Трапш 1969: სურ. 31<sub>2</sub>]; 2.5. ხვცე [Куфтин 1949: ტაბ. 9]; 2.6. ჭალის სამაროვანი [Тушишвили 1982ა: ტაბ. XXVIII<sub>3გ</sub>]; 2.7. ბორნილელე [Гамбашидзе 1995: ტაბ. 64<sub>2</sub>]; 2.8. ბრილი (გამოუქვეყნებელი).

3.1. ზაიუკოვო [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>15</sub>]; 3.2. ტერეზე [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>16</sub>]; 3.3. ავეჯის ფაბრიკა [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>17</sub>]; 3.4. ტერეზე [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>18</sub>]; 3.5. ისპრავნაია [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>20</sub>]; 3.6. ავეჯის ფაბრიკა [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>19</sub>]; 3.7. ისპრავნაია [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>21</sub>]; 3.8. დომბაი [Козенкова 1998: ტაბ. XXI<sub>22</sub>]; 3.9. შაროი [Козенкова 1982: ტაბ. XXXV<sub>3</sub>]; 3.10. სერჟენ-იურტი [Козенкова 1982: ტაბ. XXXV<sub>5</sub>]; 3.11. ავეჯის ფაბრიკა [Козенкова 1989: ტაბ. XLIIA<sub>გ</sub>]; 3.12. ავეჯის ფაბრიკა [Козенкова 1989: ტაბ. XLII<sub>Б</sub>]; 3.13. ინდუსტრია [Козенкова 1989: ტაბ. XLII<sub>Б</sub>].

4.1. ნოჟაი-იურტი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>2</sub>]; 4.2. ისტი-სუ [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>4</sub>]; 4.3. ნოჟაი-იურტი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>5</sub>]; 4.4. ალეროვესკი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>6</sub>]; 4.5. ალეროვესკი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>9</sub>]; 4.6. ცენტროი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>1</sub>]; 4.7. ჩენეთი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>6</sub>]; 4.8. შაროი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>3</sub>]; 4.9. ალეროვესკი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>10</sub>]; 4.10. კონსტანტინოვსკოე [Козенкова 1998: ტაბ XXII<sub>1</sub>]; 4.11. ინჟინჩუკუნი [Козенкова 1998: ტაბ. XXII<sub>3</sub>]; 4.12. ბაქსანის ხეობა [Козенкова 1998: ტაბ. XXII<sub>2</sub>]; 4.13. ბეტი-მოხკი [Козенкова 1982: ტაბ. XXXVI<sub>1</sub>].

ტაბ. III – 5.1. უნგრეთი [Trogmayer 1975: ტაბ. 45, 517<sub>2,3</sub>; Schalk 1992: ტაბ. 18]; 5.2. მოკრონოგი (სლოვენია) [Carancini 1975: ტაბ. 87]; 5.3. ვერგინა [Radt 1974: ტაბ. 38<sub>26</sub>]; 4. იტალია [Carancini 1975: ტაბ. 5, 11<sub>317</sub>].

6.1. კისაპომტაგი [Mozcolics 1942: ტაბ. I<sub>76</sub>]; 6.2. ბავარია [Wels-Weyrauch 1978: ტაბ. 87ბ]; 6.3. ტრებენიშტეს კულტურის ძეგლები [Lahtov 1965: გვ. 200-205].

7.1. კისაპომტაგი [Mozcolics 1942: ტაბ. II<sub>28</sub>]; 7.2. კისაპომტაგის კულტურის ძეგლები [Szathmári 1983: სურ. 48<sub>3</sub>]; 7.3. ჩრდილოეთ ბავარია [Wels-Weyrauch 1978: ტაბ. 87ბ].

8.1. უნგრეთის კისაპომტაგის ძეგლებიდან [Szathmári 1983: სურ. 51<sub>3</sub>]; 8.2. ჰესენი და რაინჰესენი [Kubach 1977: ტაბ. 11<sub>1</sub>]; 8.3. იტალია [Carancini 1975: ტაბ. 2<sub>10</sub>].


9.1. დობრუჯა [Mozcolics 1942: სურ. 1]; 9.2. ბავარია [Wels-Weyrauch 1978: ტაბ. 88ა]; 9.3. დექსჰაიმი (ჰესენი) [Kubach 1977: ტაბ. 2].




10.1-2. სამაროვანი ტაშ-ჯარგანი [Колотухин 1996: სურ. 48<sub>23,24</sub>]; 10.3. დრუჟნოე 2-ის № 3 სამარხი [Колотухин 1996: სურ. 50<sub>13</sub>]; 10.4. ტაშ-ჯარგანის ნასახლარი [Колотухин 1996: სურ. 40<sub>გ</sub>]; 10.5. ნასახლარი დრუჟნოე 1 [Колотухин 1996: სურ. 33<sub>გ</sub>]; 10.6-7. დრუჟნოე 2-ის № № 3, 16 სამარხები [Колотухин 1996: სურ. 50<sub>15</sub>, 54<sub>22</sub>].





## DESCRIPTION OF THE PLATES

- Pl. I (maps) – 1. Diffusion of spiral-headed pins in Georgia; 2. Type I spiral-headed pins; 3. Spiral-headed pins of type II<sub>1</sub>; 4. Spiral-headed pins of type II<sub>2</sub>; 5. Spiral-headed pins of type II<sub>3</sub>; 6. Iron spiral-headed pins.
- Pl. II – 1.1. Samtavro [Kalandadze 1980:figs. 40,41]; 1.2. Kvasatali [Japaridze 1955: fig. 36]; 1.3. Brili (unpublished); 1.4. Tsikhedidiskhevi [Apakidze 1987: Pl. XXVII<sub>5</sub>]; 1.5. Tlia [Tekhov 1985: Pl. 192<sub>3-4</sub>]; 1.6. Koreti [Koridze 1961: Pl. II<sub>2</sub>].
- 2.1. Samtavro [Kalandadze 1980: figs.40-41]; 2.2. Nuli [Kuftin 1949: Pl. XVII<sub>3</sub>]; 2.3. Kvasatali [Japaraidze 1955: fig. 35]; 2.4. Tsiteli Shukura [Trapsh 1969; fig. 31<sub>2</sub>]; 2.5. Khvtse [Kuftin 1949: Pl. 9]; 2.6. Tchala burial ground [Tushishvili 1982a: Pl. XXVIII<sub>36</sub>]; 2.7. Bornighele [Ghambashidze 1995: Pl. 64<sub>2</sub>]; 2.8. Brili (unpublished).
- 3.1. Zayukovo [Kozenkova 1998: Pl. XXI<sub>15</sub>]; 3.2. Tereze [Kozenkova 1998: Pl. XXI<sub>16</sub>]; 3.3. Furniture factory [Kozentkova 1998 Pl XXI<sub>17</sub>]; 3.4. Tereze [Kozentkova 1998: Pl. XXI<sub>18</sub>]; 3.5. Ispravnyaya [Kozentkova 1998: Pl. XXI<sub>20</sub>]; 3.6. Furniture factory [Kozenkova 1998: Pl. XXI<sub>19</sub>]; 3.7. Ispravnyaya [Kozenkova 1998: Pl. XXI<sub>21</sub>]; 3.8. Dombai [Kozenkova 1998: Pl. XXI<sub>22</sub>]; 3.9. Sharoy [Kozenkova 1989: Pl. XLIB<sub>7</sub>]; 3.13. Industrial [Kozenkova 1989: Pl. XLI<sub>9</sub>].
- 4.1. Nozhai-Yurt [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>2</sub>]; 4.2. Isti-su [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>4</sub>]; 4.3. Nozhai-Yurt [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>5</sub>]; 4.4. Aleroersk [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>6</sub>]; 4.5. Aleroersk [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>9</sub>]; 4.6. Tsenteroy [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>7</sub>]; 4.7. Chechnya [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>8</sub>]; 4.8. Sharoy [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>3</sub>]; 4.9. Aleroevsk [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>10</sub>]; 4.10. Konstantinovskoe [Kozenkova 1998: Pl. XXII<sub>1</sub>]; 4.11. Inzhidchukun [Kozenkova 1998: Pl. XXII<sub>3</sub>]; 4.12. Baksan valley [Kozenkova 1998: Pl. XXII<sub>2</sub>]; 4.13. Beti Mokhki [Kozenkova 1982: Pl. XXXVI<sub>1</sub>].
- Pl. III – 5.1. Hungay [Trogmayer 1975: Pl. 45, 517<sub>2-3</sub>; Shalk 1992: Pl. 18]; 5.2. Makronog (Slovenia) [Carancini 1975: Pl. 87]; 5.3. Vergine [Radt 1974: Pl. 3826]; 5.4. Italy [Carancini 1975: Pl. 5, 11<sub>317</sub>].
- 6.1. Kisaposhtag [Mozcolics 1942: Pl. I<sub>76</sub>]; 6.2. Bavaria [Wels-Weyrauch 1978: Pl. 87B]; 6.3. Trebenishte culture sites [Zahtov 1965:pp. 200-205].
- 7.1. Kisapostag [Mozcolics 1942: Pl. II<sub>28</sub>]; 7.2. Kisapostag culture sites [Szathmari 1983: fig. 48<sub>3</sub>]; 7.3. North Bavaria [Wels-Weyrauch 1978: Pl. 87 B].
- 8.1. From the Kisaposhtag sites of Hungary (Szathmari 1983: fig. 51<sub>3</sub>); 8.2. Hessen and Rhine Hessen [Kubach 1977: Pl. 11<sub>7</sub>]; 8.3. Italy [Carancicni 1975: Pl. 2<sub>10</sub>].
- 9.1. Dobruja [Mozcolics 1942: fig.1]; 9.2. Bavaria [Wes-Weyrauch 1978: Pl. 88A]; 9.3. Descheim (Hessen) [Kubach 1977: Pl.2].
- 10.1-2. Tash-Jagan cemetery [Kolotukhin 1996: figs. 48<sub>23-24</sub>]; 10.3. Druzhnoe 2 – see burial 3 [Kolotukhin 1996: fig. 50<sub>13</sub>]; 10.4. Tash-Jargan site [Kolotukhin 1996: fig. 40<sub>8</sub>]; 10.5. Druzhnoe 1 site [Kolotukhin 1996: fig. 33<sub>8</sub>]; 10.6-7. Burials 3 and 16 of Druzhnoe 2 [Kolotukhin 1996: figs. 50<sub>15</sub>, 54<sub>22</sub>].










## ბრინჯაოს ნივთიანება „ფანტასტიკური“ ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კავკასიის ბრინჯაოს ნაკეთობებზე გრაფირებით შესრულებული ზოომორფული გამოსახულებებიდან (ირმები, გველი, თევზები, სვასტიკა, მეანდრი, მალტური ჯვრები) ყველაზე მრავალრიცხოვანი და საინტერესოა ე.წ. „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულება (სურ. 1).

გამოსახულებები, როგორც აღვნიშნეთ, შესრულებულია გრაფირების ტექნიკით [იხ.: Hanzar 1934: 15; ფანცხავა 1988: 26, 27; კალანდაძე 2000: 57-65; სულავა, კალანდაძე 2006: 15-20; სულავა 2006: 93, 94].

ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებას არაერთი მკვლევარი შეეხო:



სურ. 1. „ფანტასტიკური“ ცხოველი

ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებები შესრულებულია ბრინჯაოს ცულებზე, სატევრებზე, შუბისპირებზე, კვერთხისთავებზე, აბზინდებზე, ფიბულებზე, საკისრე რკალებზე, პინცეტებზე და სხვ. [ფანცხავა 1988].

ქ. რამიშვილმა, ბოლო ხანებში ჩატარებული სამუშაოს შედეგად, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ კოლხურ ცულებს მოიცავს, გამოავლინა 85 ცალი ბრინჯაოს ცული ამ გამოსახულებით. ის ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებს ორ ძირითად ტიპოლოგიურ ჯგუფად ყოფს (I ჯგუფი – 44 ნიმუში, II ჯგუფი – 38 ნიმუში).

ვ. მილერის აზრით, გამოსახულება ძალიან [Миллер 1876. აგრეთვე იხ. Миллер 1922]. რ. ვირხოვს ცხოველის ზოოლოგიური ახსნა სადავოდ მიაჩნდა და მიაკუთვნებდა გრიფონ-სფინქს-კენტავრის რიგს [Virchow 1883]. პ. უვაროვას აზრით, გამოსახულება წარმოადგენდა დრაკონს, ფანტასტიკურ ცხოველს, ვეფხვს, მგელს, ტურას [Уварова 1900: 67, 178]. ი. მეშჩანინოვის აზრით, ცხოველები, რომელთაც აქვთ გველის ტანი, დალებული ხახა და თათები, რომლებსაც თევზის ფარფლისებური დაბოლოებები აქვთ, დრაკონები; ხოლო ძალის გამოსახულება კი კავკასიის



ნივთებზე უფრო ფანტასტიკურია, ვიდრე რეალისტური. დრაკონსა და ძაღლს (გველთან და თევზთან ერთად) კი იგი ერთ, წყლის სამყაროს მიაკუთვნებდა და ფიქრობდა, რომ ეს გამოსახულება საერთო სემანტიკურ-მითოლოგიური კავშირის მაჩვენებელია ძაღლის, წყლისა და გველის, რასაც ადგილობრივი ლინგვისტური მასალაც ადასტურებს [Мещанинов 1925: 195, 241, 245-256]. ბ. კუფტინი ეთანხმებოდა ი. მეშჩანინოვს და ნ. მარს და ცხოველებს პირობითად მიიჩნევდა „გველ-მგელად“ ან „დრაკონ-მგელად“. მისი აზრითაც, გამოსახულებათა კომპლექსის — ფანტასტიკური ძაღლი, გველი, თევზები — სახით საქმე გვაქვს იბერ-მეგრელების სატომო სახელთა ასახვასთან. ამიტომ მას მიაჩნია, რომ ამ გამოსახულებას უნდა ვუნოდოთ დასავლურ-ქართული სახელი გუერი (“გველ-მგელი” ან „დრაკონ-მგელი“) [Куфтин 1949: 57]. იგი პარალელს ავლებს ბერძნული მითოლოგიის კერბერთან (ლათ. ცერბერი), რომელიც იკონოგრაფიულად და საკულტო-მითოლოგიური თვალსაზრისით ისევე, როგორც ქართული „გვერი“, დაკავშირებულია გველთან (რომლის მოადგილეთაც ითვლება) [Куфтин 1949: 195, 196]. ბ. კუფტინს სხვა პარალელიც მოჰყავს ბერძნული სამყაროდან არქეოლოგიური არტეფაქტის სახით (რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა — ნ.ს.); კერძოდ, ბეოტიაში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა ფირფიტისებური ფეხით [Куфтин 1949: 56]. ფიბულის რკალი შედგება სამი ნავისაგან, ფეხი (ბუდე) მართკუთხაფირფიტისებურია, რომელიც შემკულია გრავირებით შესრულებული კომპოზიციით. კომპოზიციის მთავარი პერსონაჟი — მტაცებელი, ჭამს ჩლიქოსან ცხოველს. კავკასიურ ფანტასტიკურ ცხოველებს ეს გამოსახულება განსაკუთრებით ფარფლისებური თათებით ემსგავსება [Perrot, Chipiez 1898: 251-253, სურ. 118; Куфтин 1949: 56]. ბ. კუფტინის თანახმად, გერმანელებისთვისაც თავის უძველეს ეპოსში (ისლანდიურ-სკანდინავიური ედა) ცნობილია ურჩხული ძაღლ-მგელი (Garmr'a) [Куфтин 1949: 196, 197]. ვ. ბარდაველიძე გამოსახულებებს მიიჩნევდა ძაღლებად, ხოლო ძაღლის კულტი კი განვითარებულია ტოტემური მგლისაგან, რომელიც უფრო ადრეულია. მისი აზრით, ასტრალური ღვთაებების ზოომორფული დამხმარეები იყვნენ მგლები, გველები და ძაღლები [Бардавелидзе 1957: 47-53, 54]. ელ. ვირსალაძე გამოსახულებას ქართული ფოლკლორის მითიურ ძაღლს, ყურშას უკავშირებდა [ვირსალაძე 1964]. შ. ამირანაშვილის აზრითაც, გამოსახუ-

ლებები ძაღლს გამოხატავენ და აღნიშნავს, რომ ძველი კოლხეთის ხელოვნებაში მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია [Амиранашвили 1963: 42, 43]. მ. ხიდაშელი ამ გამოსახულებებს აღნიშნავს ტერმინებით — ძაღლი, ძაღლისებური ცხოველი და იზიარებს მათ დაკავშირებას მითოლოგიურ ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან [ხიდაშელი 1982: 28, 30, 63-64]. ნ. ურუშაძე კავკასიურ ფანტასტიკურ გამოსახულებებს ბრინჯაოს ცულებსა და სარტყელებზე წყლის ძაღლისა და მგელ-ძაღლის სიმბოლოებად მიიჩნევს [Урушадзе 1984: 29, 30; Урушадзе 1988: 50, 51, 81; Иванов 1980: 59-60]. ლ. ფანცხავას მიხედვითაც გამოსახულება ძაღლია და სხვა გამოსახულებებთან (ირემი, ცხენი, გველი, თევზი) ერთად ითვლება „ბუნების დიდი დედის“ უძველეს ზოომორფულ სახედ [ფანცხავა 1988: 39, 48, 49]. ნ. აბაკელიას აზრით, ქართულ კულტურულ ტრადიციაში ძაღლისა და მასთან ასოცირებული მგლის სიმბოლო მრავალ კონტექსტში ვლინდება; მაგ.: ციური ძაღლი (ელვის განსახიერება), წყლის ძაღლი (რომელიც მოიცავს რწმენა-წარმოდგენათა მთელ კომპლექსს) და სხვ. როგორც ნ. აბაკელია აღნიშნავს, ზოომორფული სიმბოლოების — მგლების ძაღლებთან გაიგივება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთო კავკასიურ (და არამარტო კავკასიურ) ტრადიციაში. მას მოჰყავს როგორც ენობრივი, ასევე მითოლოგიური გაიგივების მაგალითები. გერმანულ ტრადიციაში ორი მგელი, ოდინ-ვოტანის წმინდა ცხოველები, მუდმივად მოიხსენიებიან ძაღლებად [ლიტ. იხ.: აბაკელია 1997: 56-58]; ომის ღმერთის ოდინის მეომრები განისაზღვრებიან როგორც „მგლები“, როგორც „მწევარნი“; ძაღლისთავიანი ურჩხულები ცნობილია ისევე გერმანული რწმენა-წარმოდგენებიდან (უნდინგას) ადამიან-ძაღლებზე, „ძაღლის შთამომავლებზე“ და კელტური ტრადიციებიდან (ძაღლისთავიანი ურჩხულები; აგრეთვე, კელტური დასახელება „წყლის ძაღლისა“ შინაგანი ფორმით ემთხვევა ქართულ წავ-ძაღლს — ლიტ. იხ.: აბაკელია 1997: 57; Иванов 1980: 57-64). ანალოგიური სახე არის ხეთურ რიტუალურ ტრადიციაშიც. ნ. აბაკელია იზიარებს ნ. მარის მოსაზრებებს, რომ მგელი-ძაღლი, როგორც დარაჯი ან მცველი კლასიფიცირდება ქვეწარმავალთა კლასის წარმომადგენლებთან — დრაკონთან, გველთან და შესაბამისად ვეშაპთან ერთად, ე.ი. ქვესკნელის ბინადრებთან [აბაკელია 1997: 58]. ამგვარად, ნ. აბაკელიას კვლევის თანახმად, ძაღლის/მგლის სიმბოლო ქართულ მითო-რიტუალურ სისტემა-

ში მრავალი ასპექტით ფიგურირებს და, ისევე როგორც სხვა მრავალ მითოლოგიურ ტრადიცი-აში, ერთ სახეში ერთიანდება.

როგორც ამ მცირედი მიმოხილვიდან ჩანს, ძალის კულტი სხვადასხვა ასპექტში ფართოდ იყო გავრცელებული როგორც კავკასიის, ასევე ევროპის სივრცეშიც. ეს ჩვენს მიერ მიერ შეკრე-ბილი არქეოლოგიური მასალებიდანაც ჩანს (აქ-ვე აღვნიშნავთ, რომ კავკასიიდან ცნობილი გა-მოსახულებების თემატიკა, რომელიც ამჟღავნად ჩვენი კვლევის საგანი არ არის, გველი, თევზები, სვასტიკა, მეანდრი, მალტური ჯვრები, პარალე-ლებს პოულობენ თესალიის ფიბულების ბუდე-ებზე [Kilian 1975: ტაბ. 46<sup>1312,1325</sup>, ტაბ. 62<sup>1884</sup>; Don-der 1994: 16-31, ტაბ. 26; Sens 2002: 49-93, ტაბ. 13, 14]).

ბეოტიური ფიბულის გამოსახულება უკვე ვახსენეთ. კავკასიაში გავრცელებული ფანტას-ტიკური ცხოველის გამოსახულებისათვის ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელ პარალელებს ვპოულობთ იტალიაში, კერძოდ, ბოლონიაში აღმოჩენილი ე.წ. „წურბლისებურ“ ფიბულების შემკულობაში [სულავა 2006: ტაბ. 99]. ამ ფიბუ-ლების ზურგი შემკულია ერთმანეთის საპირის-პიროდ მიმართული „კავკასიური ფანტასტიკუ-რი“ ცხოველების ანალოგიური გამოსახულებე-ბით [Montelius 1895: II, ტაბ. VI<sub>50</sub>]. ი. ზუნდვალის მიხედვით, ეს ფიბულა ოქროსია და ფანტასტი-კური „ძაღვების“ გამოსახულება შესრულებუ-ლია გრანულაციის ხერხით [Sundwall 1943: 178, 188, 189, სურ. 286, სურ. 303]. ამგვარი ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [Sun-dwall 1943: 55].

ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებები ევ-როპის სხვა არტეფაქტებზეც დასტურდება. ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა ფიბულა იუ-გოსლავიიდან (დალი — Dalj), რომელიც რ. ვა-სიჩის მიაჩნია „ყობანური ბესტიას“ მსგავსად [Va-sie 1971: 2, ტაბ. II<sub>13</sub>; სულავა 2006: ტაბ. 100<sub>1</sub>].

ანალოგიური გამოსახულებებითაა შემკული ბრინჯაოს ფარები/დისკოები იტალიიდან (ტაბ. 2<sub>2,7,8</sub>). ისინი ორი სახისაა: ფარების ერთ ჯგუფზე გამოსახულება მთელ სასურათო სიბრტყეს ფა-რავს და ერთთავიანი ან ორთავიანია; ფარების მეორე ჯგუფზე გამოსახულებები მოქცეულია გეომეტრიული ორნამენტით შევსებულ წრიულ ფრიზეზს შორის, ხოლო ცხოველის გამოსახუ-ლებები მონაცვლეობენ სვასტიკებთან. ამ ნივ-თების კონცენტრაცია ცენტრალურ იტალიაში ხდება. თითო-ოროლა სამხრეთ და ჩრდილო იტა-ლიაშიც არის აღმოჩენილი. მათი ქრონოლოგია

ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისითა და VI ს-ის შუა ხანე-ბით განისაზღვრება [Tomedi 2000: 39<sub>42</sub>, 72<sub>80</sub>, ტაბ. 17<sub>21</sub>, 100, 149, 153; სულავა 2006: ტაბ. 100-101].

პირველი ჯგუფის ფარების შესახებ ბ. ფარმა-კოვსკი გამოთქვამდა აზრს, რომ ისინი გვხვდე-ბა ეტრუსკების ხელოვნებაში, რომელიც დიდად არის დამოკიდებული მცირე აზიის ხელოვნება-ზე [Фармаковский 1914: 29, ტაბ. XIX<sub>3</sub>].

ანალოგიური გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს ფარი ცნობილია პარადიზის (აზერბა-იჯანი) სამაროვნის № 49 სამარხიდან. აქაც, რო-გორც იტალიურ ფარებზენაირულ ფრიზეზე ხუთი ცხოველის გამოსახულებაა. ისინი სვასტიკების მაგივრად ოთხ-ოთხი ვერტიკალური ლენტითაა განცალკევებული. ძეგლის ქრონოლოგია ავტო-რების მიერ ზოგადად ძვ. წ. XI-VIII სს-ით არის განსაზღვრული და განჯა-ყარაბაღულ კულტუ-რას მიკუთვნებული [Nagel, Strommenger 1985: 10; სულავა 2006: ტაბ. 102].

აქვე, პარადიზის № 49 სამარხის ქრონოლო-გიასაც შევეხებით. სამარხის ინვენტარი, გარ-და აღნიშნული ბრინჯაოს ფარისა, შედგება ბრინჯაოსა და რკინის შემდეგი ნივთებისაგან — ბრინჯაო: ლაგამი, რომელიც ანალოგიურია მინგეჩაურის № 1 ყორღანის ლაგამისა [აბრა-მიშვილი 1997: ტაბ. I<sub>123</sub>]; ე.წ. აღმოსავლეთამი-ერკავკასიური ცული, რომელიც ანალოგიურია სამთავროს № 591 სამარხის ცულისა [აბრამიშ-ვილი 1957: ტაბ. I<sub>165</sub>]; შუბისპირი მაღალი პირითა და გრძელი, გახსნილი მასრით, რომელიც პირის მოყვანილობით სამთავროს № 55 სამარხის შუ-ბისპირს წააგავს [აბრამიშვილი 1997: ტაბ. I<sub>101</sub>], მაგრამ მასრა უფრო გრძელი აქვს; სარტყელი, რომელიც ანალოგიურია განთიადის № 61 სა-მარხში აღმოჩენილი სარტყელისა (ამავე სამარ-ხში ერთნილადი რკალისებური ფიბულაცაა აღ-მოჩენილი) [Кахиани и др. 1985: ტაბ. XXX]; მილა-კისებური ნივთი, რომელზეც კავკასიური „ფან-ტასტიკური ცხოველის“ ანალოგიური ფიგურაა დარჩილული; ბუნიკი ორი რგოლით; კვერთხის-თავი, რომელიც ანალოგიურია სამთავროს № 276 სამარხის კვერთხისთავისა [აბრამიშვილი 1957: 132-134; სულავა 2000: ტაბ. II<sub>3</sub>]. ბიმეტალუ-რი: მახვილი, ბრინჯაოს ვადითა და რკინის პი-რით. ანალოგიური მახვილები, ბ. პიოტროვსკის აზრით, ურარტული წარმოშობისაა, ხოლო რ. აბრამიშვილი მათ ადგილობრივ წაწარმად მიიჩ-ნევს [Пиотровский 1955: 42; Пиотровский 1959: 177; აბრამიშვილი 1961: 370, 371, ტაბ. XI<sub>2</sub>, XIII<sub>123</sub>, XIV, XVI; ახვლედიანი 1999: 13-15]. რკინის: შუ-ბისპირები. სარდიონის სხვადასხვა ზომის სფე-

რული მძივები და კერამიკა [Nagel, Strommenger 1985: 77-79, ტაბ. 23-26].

კომპლექსი ძვ. წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევართი უნდა დათარიღდეს [იხ.: აბრამიშვილი 1997, ტაბ. I]. ამ თარიღს მხარს უჭერს აქვე, პარადიზის № 112 სამარხში ე.წ. აღმოსავლეთამიერკავკასიური ცულისა და ორწილადი რკალისებური ფიბულის ერთად აღმოჩენაც [Nagel, Strommenger 1985: 118, ტაბ. 46; სულავა 2006: ტაბ. 103]

პარადიზის ფარის ანალოგიური ნივთი კავკასიისათვის, არ შევცდები თუ ვიტყვი, უცნობია.

ვფიქრობ, ქვემოთ მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს კავკასიასა და სამხრეთ ევროპას შორის არსებულ კონტაქტებს, რომელთა დამადასტურებელი არტიფაქტები თუ არტიფაქტების სხვადასხვა დეტალები, რა თქმა უნდა, ტრანსფორმაციას განიცდიდნენ სივრცესა და დროში. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შესაძლებელია ამ მოვლენის (როგორც არ უნდა დავარქვათ – კონტაქტები, იმპულსები თუ სხვ.) თვალის გადავინება.<sup>1</sup>

ამ კონტაქტების ერთ-ერთი დოკუმენტური დადასტურებაა იმპორტული ფიბულების გამოჩენა შავი ზღვის (აფხაზეთი) სანაპიროზე. ეს ფაქტი ჩვენთვის ამჯერად იმ ასპექტითაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლოა სწორედ ამ არტიფაქტის შემოსვლასთან იყოს დაკავშირებული

კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებების გავრცელება.

როგორც დადასტურდა, იმპორტული ნაწარმიდან კოლხეთში ყველაზე ადრე (დაახლოებით ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში) ნავისებური ფიბულები გამოჩნდნენ [სულავა 2006: 159-161, 185, ტაბ. 57<sup>688,689</sup>]. მათთვის დამახასიათებელია, როგორც სადა, ასევე გრავირებით შემკული მართკუთხა ფირფიტისებური ბუდეები (ფეხი). აქ ისევ უნდა გავიხსენოთ ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ პარალელად დასახელებული ნავისებური ბეოტიური ფიბულის ბუდეზე დატანილი გრავირებული გამოსახულება. შესაძლოა სწორედ ამ ტიპის იმპორტულმა ფიბულებმა მოიტანეს ბრინჯაოს ნაწარმის გრავირებული სახეებით შემკობა და თემატიკაც. ხოლო ბრინჯაოს ნაკეთობებზე გრავირება ჰ. მერიონისა და სხვათა ექსპერიმენტებით ევროპაში ძვ.წ. VIII ს-დან ჩანს ცნობილი [Maryon 1949: 115, 117].

ჩვენთვის საინტერესო ცხოველის თემატიკას საბერძნეთის ფიბულების მკვლევარი ე. საპოუნა-საკელარაკისი „მორბენალი ძაღლის“ დეკორს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის, ტეხილ ხაზებთან, ირიბ ნაჭდევებთან, გადაბმულ კუთხეებთან და დუგმისებურ ხვიებთან ერთად განეკუთვნება გეომეტრიულ ხანას (ძვ.წ. 900-700 წწ.) [Sapouna-Sakelarakis 1978: 7].

1 ს. რაინჰოლდი თავის ნაშრომში - „გვიანბრინჯაო და ადრერკინის ხანა კავკასიაში“, თვლის, რომ სწორედ კავკასიიდან ვრცელდებოდა დასავლეთში კულტურული იმპულსები, რომლებიც ეხლა განიხილება როგორც ფორმათა ნარმომშობი ევროპული ჰალმტატის კულტურის ჩამოყალიბებაში [Reinhold 2007: 2-5, 333]. სანამ ასეთ დასკვნას გავაკეთებდეთ, ისევ ქრონოლოგიის პრობლემას ვეჯახებით; კერძოდ, თუ რამდენად რეალურად შეიძლება დღეისათვის ქრონოლოგიური სინქრონულობის განსაზღვრა.

ON THE DIFFUSION OF REPRESENTATIONS OF "FANTASTIC" ANIMALS ON BRONZE ITEMS.

Summary

Of the zoomorphic animals (deer, snake, fishes, swastika, meander, Maltese crosses) engraved on Caucasian bronze items of the Late Bronze-Early Iron Age most numerous and interesting are the representations of the so-called fantastic animals. Of Georgian material alone, 85 bronze axes have been identified with this image.

Researchers (W. Miller, A. Miller, P. Uvarova, I. Meshchaninov, B. Kuftin, V. Bardavelidze, Sh. Amiranashvili, V. Ivanov, N. Urushadze, N. Abakelia) give various interpretations of these representations.

The paper presents representations attested on archaeological artifacts of Europe, analogous to the Caucasian fantastic animals: on fibulae from Boeotia, a fibula from Yugoslavia, on shields and disks from Italy, all datable to the 8th-7th cent. BC.

The emergence of analogous representations in the Caucasus, which suffer definite transformation over space and time, serves as one more proof of contacts between the Caucasus and South Europe.

ლიტერატურა

- აბაკელია ნ. 1997:** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.
- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-A და XXI-B, 115-142.
- აბრამიშვილი რ. 1961:** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.). – სსმმ, XXII-B. 291-383.
- აბრამიშვილი რ. 1997:** ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1). თბილისი.
- ახვლედიანი ნ. 1999:** რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან. ავტორეფერატი ისტ. მეც. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ვირსალაძე ელ. 1964:** ქართული სამონადირო ეპოსი. თბილისი.
- კალანდაძე ნ. 2000:** ადრერკინის ხანის კოლხეთის გრავირებული აბზინდები (ხელნაწერი). თბილისი.
- სულავა ნ. 2000:** სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 5, 65-71.
- სულავა ნ. 2006:** კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), ისტ. მეც. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია. თბილისი.
- სულავა ნ., კალანდაძე ნ. 2006:** მინიტი ინკრუსტირებული უძველესი ნივთები ბრილისა და სამთავროს სამაროვნებიდან I. – ACADEMIA, ტომი 6-7, 15-20. თბილისი.
- ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
- ხიდაშელი მ. 1982:** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.
- Амиранашвили Ш. 1963:** История грузинского искусства. Москва.
- Бардавелидзе В. В. 1957:** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси.
- Иванов Вяч. Вс. 1980:** Сходные черты в культе волка на Кавказе, в древней Малой Азии и на Балканах. – Кавказ и Средиземноморье, 57-64. Тбилиси.
- Кахиани К. К., Иремашвили Ш. А., Иорданишвили Ж. В., Цквитишвили З. Р. 1985:** Археологическая экспедиция Машаверского ущелья. – ПАИ, 1982, 29-31.



- Куфтин Б. А. 1949:** Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси.
- Мещанинов И. И. 1925:** Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа (Змея-зигзаг-длинная линия и змея-дракон-собака). – ЗКВАМР, I, 241-256.
- Миллер В. Ф. 1876:** Значение собаки в мифических верованиях. Москва.
- Миллер А. А. 1922:** Изображение собаки в древностях Кавказа. – ИРАИМК, т. II. Петербург.
- Пиотровский Б. Б. 1955:** Кармир-Блур, III. Ереван.
- Пиотровский Б. Б. 1959:** Город бога Тейшеба. – СА, № 2, 169-186.
- Уварова П. С. 1900:** Могильники Северного Кавказа. – МАК, VIII. Москва.
- Урушадзе Н. 1984:** Бронзовая летопись древней Грузии. Тбилиси.
- Урушадзе Н. 1988:** Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.
- Фармаковский Б. В. 1914:** Архаический период в России. – ИАК, № 34, 15-78.
- Donder H. 1994:** Die Fibeln. Mainz.
- Hančar Fr. 1934:** Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer. – WPZ, XXI, 1-12.
- Kilian K. 1975:** Fibeln in Thessalien von der mykenischen bis zur archaischen Zeit (PBF, XIV, 2).
- Maryon H. 1949:** Metalworking in the Ancient World. – AJA, 53, 93-125.
- Montelius O. 1895:** La civilisation primitive en Italie depuis l'introduction des metaux, I. A. Paris-Lyon.
- Nagel W., Strommenger E. 1985:** Kalakent, früheisenzeitliche Grabfunde aus dem Trans- Kaukasischen Gebiet von Kirovabad/Jelisavetopol. – Berliner Beiträge, Neue Folge, Band H. Berlin.
- Perrot G., Chipiez Ch. 1898:** Histoire de l'art dans l'antiquité, t. VII. Paris.
- Reinhold S. 2007:** Die Spätbronze- und frühe Eisenzeit im Kaukasus. – UPA, Band 144. Bonn.
- Sapouna-Sakelarakis E. 1978:** Die Fibeln der griechischen Inseln. – PBF, XIV, 4. München.
- Sens U. 2002:** Zur landschaftlichen Einordnung spät und subgeometrischer Plattenfibeln. – BOREAS, band 25. Münster.
- Sundwall J. 1943:** Die ältesten Italischen Fibeln. Berlin.
- Tomedi G. 2000:** Italische Panzerplatten und panzerscheiben. – PBF, III, 3. Stuttgart.
- Vasić R. MCMLXXI:** The openwork belts and the Early Iron Age chronology in the Northern Balkans. – Archaeologia Jugoslavica, XII. Beograd. 1-15.
- Virchow R. 1883:** Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Kaukasus. Eine vergleichend-archäologische Studie. Berlin.

## ქვის მძივების სანარმო ნამოსახლარები კოლხეთიდან (მუხურჩის „ნანისქვილარი“, ოჩხომური, ნოქალაქევი)

ერის კულტურულ მემკვიდრეობაში სხვადასხვა ჯიშის ქვისგან ნაკეთები სხვადასხვა დანიშნულების ძეგლებიც შედის.

ადამიანის გაჩენის შემდეგ პირველყოფილმა არსებამ, ჯერ კიდევ დაბალი აზროვნების ეტაპზე, მიაგნო ქვის სიკეთეს და დაიწყო მისი ათვისება. თავდაპირველად ქვისაგან დაამზადა თავდაცვისა და საკვების მოსაპოვებლად საჭირო იარაღები, შემდეგ მისთვის გამოსადეგი სხვა დანიშნულების ნივთები, მათ შორის სამკაულიც. სამკაული პირველად ჩნდება ძველი ქვის ხანის ბოლო ეტაპზე, საკიდის ფორმით. მისი დანიშნულება, გარდა სამკაულისა იყო პირველყოფილი რელიგიური რწმენის ამსახველი ნივთი – ავგაროზი, ანუ თავდაცვის საშუალება ბოროტი ძალებისაგან. საკიდებს იმ პერიოდში, გარდა ქვისა, ამზადებდნენ ცხოველის ძვლის, კბილებისა და ნიჟარებისაგანაც. ყველაზე ადრეული ხანით, ძვ.წ. 22000 წლით ათარიღებენ ჭიათურის რ-ნის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილ ძვლის მძივსა და ცხენის გახვრეტილ კბილს [მეშველიანი და სხვ. 2002: 31]. ზედაპალეოლითური ხანითაა დათარიღებული აგრეთვე, მღვიმურ სადგომებში – დევისხვრელი, საკაჟია, გვარჯილას კლდე, საგვარჯილე, აფიანჩა, ოქუმი, საწურბლია და სხვაგან ნაპოვნი საკიდები, ნაკეთები ირმის გახვრეტილი კბილების, ეშვის, ნიჟარის, ძვლის, ქვის, ტალკისაგან, რომელთაგან ზოგი გაფორმებულია მხატვრულად და შემკულია წერტილოვანი ორნამენტით, ან აქვს თევზის გამოსახულება და ა.შ. მკვლევართა მიერ ეს ნივთები აღიარებულია იმ დროის ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებად [ნიორაძე-ნიორაძე 2002: 7-8]. ადამიანი გაეცნო ქვის მრავალფეროვან ჯიშს და წააწყდა ბუნებაში არსებულ ფერად, ბუნებრივად გამჭვირვალე ან გაუმჭვირვალე, ზოგჯერ მბრწყინავ ქვებს – მინერალებს. მან აღიქვა მათი სილამაზე და უკვე ნეოლითის ხანიდან, მანამდე არსებულ სამკაულთან ერთად, მიზანდასახულად დაიწყო ფერადი ქვების (სარდიონი, იასპი და სხვა) მოძიება მძივების დასამზადებლად.

ქართველი ერის წინაპარი თავიდანვე აღმოჩ-

ნდა სამკაულის და კერძოდ, მძივების მოყვარული. თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ყოველი არქეოლოგიური პერიოდის სამარხებსა თუ ნამოსახლარებზე, ჩნდებოდა შესაბამისი პერიოდისათვის დამახასიათებელი ფორმისა თუ მასალის მრავალი მძივი. მაგალითისათვის, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავასახელებთ რამდენიმე ძეგლს. მაგალითად, ნამოსახლარ ხრამის დიდ გორაზე (მარნეულის რ-ნი) აღმოჩნდა ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებით დათარიღებულ ფენაში სპილენძის მძივები [მეგრელიშვილი 1991: 27-30]. შემდეგ ხანებში, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან, ძეგლებზე – ურბნისში ქვაცხელები, მარტყოფი, არადეთის ორგორა, ცარცის გორა, ქორეთი, დასავლეთ საქართველოს დოღმენები და სხვა, ლითონისა და ძვლის მძივებთან ერთად ხმარებაში ჩანს ფერადი ქვებისგან ნაკეთები მძივები — ქალცედონის, მთის ბროლის, სარდიონის, გიშრის, ქარვის, მინისებური პასტის, სხვადასხვა ჯიშის ქვის, სპილენძის, თიხის, სადაფის, ნიჟარის და ა.შ. მასალებისაგან [მენაბდე, კილურაძე 1986: 26-28].

შუა ბრინჯაოს ხანიდან კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნილება ფერად ქვებზე, ანუ სასამკაულო მინერალებზე და გარდა მძივებისა იწყებენ ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულების ნივთის ინკრუსტაციისათვისაც. კერძოდ, ფერადი ქვები უდიდესი გემოვნებითაა შეხამებული ოქრომჭედლობის უნიკალურ ნივთებზეც. მაგ. თრიალეთის VIII ყორღანში აღმოჩენილი ყელსაბამი (ძვ.წ. XX-XIX სს.) [Куртин 1941: 93] შედგება ოქროს ჩარჩოში ჩასმული სარდიონის მძივებისაგან, სარდიონის თვლებით ინკრუსტირებული ოქროს მძივებისაგან, აქატის კულონისაგან, რომლის ოქროს ჩარჩო ინკრუსტირებულია ნითელი სარდიონის ქვებით.

მაღალკვალიფიციურ ოსტატთა მიერ დახვეწილი გემოვნებითაა ნაკეთები საქართველოს გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XVIII-XVII სს.) ოქროს უნიკალური თასი ინკრუსტირებული სარდიო-

ნით, წითელი იასპით, ლაპის-ლაზურით, ლურჯად შეღებილი კერამიკული მასით, კვარცით, ქარვითა და გიშრით. ითვლება, რომ ამ თასს ანალოგები არ მოექებნება ძველი აღმოსავლეთის ტორევეტიკის ცნობილ ძეგლთა შორის [Куфтин 1941: 93].

მთელ საქართველოში გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე კიდევ უფრო გაზრდილია მძივების რაოდენობა და ხარისხი გვიანბრინჯაოგანვითარებულ რკინის ხანაში. მაგ. შილდის სამლოცველოზე მხოლოდ სარდიონისგან ნაკეთები 4000 ცალზე მეტი მძივია აღმოჩენილი.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა მინერალისაგან ნაკეთები, დიდი რაოდენობით გამოვლენილი უძველესი მძივების შესწავლა ხდება გეოლოგია-მინერალოგიური დარგის მეცნიერთა ერთობლივი კვლევის შედეგად. ამ ორი დარგის ქვიური ძეგლების შემსწავლელ მეცნიერებას კრებადი სახელი – გეოარქეოლოგია უწოდეს. სწორედ გეოლოგებისა და მინერალოგების ერთობლივი ძალებით გახდა შესაძლებელი საქართველოში ბუნებრივი გამოსავლების აღმოჩენა, ნახევრადძვირფასი სანახელავო ქვების წარმომავლობის განსაზღვრა. მინერალოგთა გამოკვლევით მარტო კვარც-აქატ-ქალცედონის ჯიშის ქვის საბადოთა რიცხვი 1990-1991 წლებამდე საქართველოს სხვადასხვა ადგილას 42-ს უდრიდა. აქედან 36 აღრიცხეს მხოლოდ ახალციხის რაიონში, დანარჩენი კი დაადგინეს, რომ გაფანტულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთიდან კახეთის ჩათვლით. ესენია: აქატის, ქალცედონის, სარდიონის, იასპის საბადოები. აქვე გამოვლენილია მთის ბროლი, გიშერი [ლომიტაშვილი 2003: 43, 95] და სხვა. მთელი საქართველოს ტერიტორიაზეც სწორედ ამ ნედლეულიდან ნაკეთები მძივებია დიდი რაოდენობით აღმოჩენილი. ამიტომაც, ბუნებრივია, არსებობდა მეცნიერთა ვარაუდი, რომ ჩვენთან, ზემოთდასახელებული ნედლეულით მდიდარ ქვეყანაში აღმოჩენილი უამრავი მძივი ადგილობრივი პროდუქცია უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდი ფაქტად იქცა 1982-1988 წლებში, როდესაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მარტვილისა და სენაკის რაიონებში გაითხარა მძივების საკმაოდ ძლიერი სანარმო-ნამოსახლარი (სოფ. მუხურჩის ადგილი „ნანისქვილარი“, სოფ. ოჩხომური, ნოქალაქევი ადგილი ნაქალაქარი), ერთი და იმავე ხანისა (ძვ.წ. VIII-VI სს.) და დატვირთული ერთი და იმავე ხასიათის ტექნიკური ხელსაწყოებით (ტაბ. II). სოფ. მუხურჩისავე ტერიტორიაზე, სანარმო—ნამოსახლართან ახლოს

გაითხარა სამაროვანი, ასევე ძვ. წ. VIII-VI სს-ის, სადაც სხვადასხვანაირ 4200 ცალ მძივს შორის 1315 ც. მხოლოდ სარდიონისაა, 50-მდე ცალი კი – სხვადასხვა ჯიშის ქვის. დანარჩენი მინის, მინისებური პასტის, გიშრის, ქარვისა და ა.შ. ამათგან ზოგი (მაგ. ქარვის მძივები) დღევანდელი მონაცემების მიხედვით ივარაუდება, რომ, ალბათ, შემოტანილი იყო გარე ქვეყნებიდან, ზემოთ ჩამოთვლილი მასალებისაგან დამზადებული სხვა მძივების დიდი ნაწილი კი ადგილობრივ დამზადებული. მუხურჩაში ადგილ „ნანისქვილარის“ სანარმო-ნამოსახლარის ტერიტორიაზე გარდა სარდიონისა და ქვის ჯიშის სხვა მძივებისა აღმოჩენილია აგრეთვე, მინისა და პასტის თითო-ოროლა მძივიც და გიშრის ნაფხვენებიც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია და არც შემთხვევითი იყო ზემოთდასახელებულ სანარმო-ნამოსახლარებთან რამდენიმე კმ-ის მანძილზე, მაღალი ტექნიკური ხერხებით ნაკეთები სარდერის (სარდის) სხვადასხვა ზომის მძივების განძების სახით აღმოჩენა – ფარცხანაყანევში (129 ც.), ნოსირში (200 ც.), ნაგვაზაოში (300-მდე ცალი). მსგავს მძივებს ადრე იმპორტულ ნივთებად მიიჩნევდნენ; დღეს კი ეს ვარაუდი საეჭვოა, რადგანაც დასაშვებად და სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია მათი დამზადება ადგილობრივ სახელოსნოებში, შეიძლება საექსპორტოდაც კი.

ქართველი ხალხის ინტერესი ფერადი მინერალების, ძვირფასი ქვების მიმართ, შუა საუკუნეებში და მის შემდგომაც, წერილობით წყაროებშიც გამოჩნდა. ქართულად ითარგმნა X ს-ის თხზულება „თვალთაი“ ძვირფასი ქვების შესახებ, გამოიცა ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი „კარაბადინი“, სადაც დახასიათებულია 12 ძვირფასი ქვის სამკურნალო თვისებები. ძვირფასი ქვების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონების, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში [ლომიტაშვილი 2003: 22]. იაღლუჯის ქედზე სარდიონის ქვის (იამანის) არსებობის შესახებ ცნობებს გვანვდის ვახუშტი ბატონიშვილი [ლომიტაშვილი 2003: 22]. საქართველოს ცენტრალურ არქივში და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია აგრეთვე, ძველი ხელნაწერები — „მინერალთა თვისებანი და მოთხრობანი მათ გამო“ და „პატიოსანი ქვები“ [ზუზბაია 1965: 119]. ამ დროისათვის მინერალოგიის სახელმძღვანელოდ თვლიან XVIII ს-ის ხელნაწერს — „კალმასობას“, სადაც მოცემულია ცნობები ძვირფასი

და ნახევრადქვირფასი ქვების ბრწყინვალეობაზე, ფერზე, მინერალების ჯიშზე სიმაგრისა და სირბილის თვალსაზრისით და ა.შ. როგორც ჩანს, შუასაუკუნეებისა და შემდგომი ხანის ქართული მინერალოგიური მეცნიერებისათვის ცნობილი ყოფილა შუასაუკუნეების საქართველოში 100-მდე მინერალის სახესხვაობა და დადასტურებული მოხსენიებული მინერალების საქართველოში გავრცელება [ლომიტაშვილი 2003: 246] და ა.შ. იმავე ლიტერატურულ-ისტორიულ წყაროებში ქვირფასი ქვების დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინები ყოფილა ნახმარი. მაგ. ქართულ ბიბლიაში ნახსენებია ტერმინები „გამოჭრილი“, „გამოქანდაკებული“ („მიიღეთ... შესანიშნავად სულისა... ქვაი სარდიონი და ანთრაკი გამოსაქანდაკებლად“) [ზუხბაია 1965: 150].

აი, ძალზე მოკლედ და ზოგადად იმ გარემოებების შესახებ, რაც არსებობდა საქართველოში, მინერალებითა და მისი პროდუქციით სავსე ტერიტორიაზე, სადაც ლოგიკურადაც კი, აუცილებლად უნდა აღმოჩენილიყო ამ პროდუქციის შემქმნელი საზოგადოებისა და სანარმო-სახელოსნოების ნაშთები. ეს ასეც მოხდა.

1982 წელს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ე. გოგაძე, მარტვილის რ-ნის სოფ. მუხურჩაში მდ. აბაშის მარცხენა ნაპირის დაზვერვა-დათვალიერების დროს, შემთხვევით ნააწყდა მონითალო-მოვარდისფრო ფერის სარდიონის მოზრდილ ნატეხს. ეს იყო პიველი შემთხვევა ამ ტერიტორიაზე მინერალის აღმოჩენისა, რაც მიანიშნებდა, რომ საჭირო იყო აღნიშნული ადგილების უფრო ინტენსიურად შესწავლა, დაზვერვითი-გათხრითი სამუშაოების ჩატარება.

ექსპედიციამ ადგილ „ნანისქვილარზე“ იმუშავა 1982-1988 წლებში და გამოავლინა ძვ.წ. VIII-VI სს-ის სანარმო-ნამოსახლარის სხვადასხვა ხასიათის ნაშთები; დანგრეული საცხოვრებელი ნაგებობები, დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთები. აქვე აღმოჩნდა დანგრეული სახელოსნოს ნაშთებიც მრავალდარგობრივი წარმოების საგნებით. ხელოსნობის დარგებს შორის გამოირჩეოდა ფერადი ქვების მძივების წარმოება, რომლითაც უეჭველია დაკავებული იქნებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. მძივებისათვის ნედლეულის მოპოვება და დამუშავება რომ იქ ხდებოდა, ჩანს იქვე გათხრილ კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით კვარც-აქატ-ქალცედონის ჯგუფის ნედლეულის

მასალის და წარმოების ნაშთების აღმოჩენის მიხედვით. აქ გამოვლენილი ნედლეული მასალის უმეტესობას ეტყობოდა საგანგებოდ, წინასწარული, თერმული დამუშავება ფერის და ბრწყინვალეობის მისაცემად, აგრეთვე, აქატის მასალის ზოლიანობის გასამკვეთრებლად და ა.შ. მინერალებს შორის ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩენილია სხვადასხვა ტონისა და შეფერილობის, ზომისა და ფორმის სარდიონის მოვარდისფრო-მონითალო, მოვარდისფრო-მოყვითალო ზოგჯერ თეთრ ჩანარებიანი ნახევრად გამჭვირვალე, ან გაუმჭვირვალე ანატეც-ანამტვრევები (ტაბ. I<sub>5-6</sub>). აქვე გვხვდება აქატის, ქალცედონის, იასპის კვარცის და სხვადასხვა ჯიშის ქვის ნატეხებიც. ამავე ადგილებში აღმოჩენილია მძივების ნამზადები, ნაგორები კენჭები, მძივის ნახევარფაბრიკატები და ბოლოს, მძივის დასრულებული ნიმუშებიც, სარდიონის, სარდის, აქატის, იასპის, მთის ბროლის, თეთრი და ფერადი კაჟის, ასევე მოშავო-მოყავისფრო და სხვა მკვრივი ქანისაგან ნაკეთები და დამუშავებული.

კულტურული ფენა დატვირთული აღმოჩნდა მძივების დასამზადებელი იარაღ-ინსტრუმენტებით, რისთვისაც გამოყენებული იყო ქვის სხვადასხვა ჯიშის მასალა (ტაბ. I<sub>1-4</sub>). ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა მოზრდილი თუ საშუალო ზომის რიყის ქვის რბილი ფხვნადი და თხუპნია ზედაპირიანი ქვის „გრდემლები“, მინერალთა კაჭრების სატეხ-სამსხვრევეებად გამოყენებული. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი წვრილი და ძალზე წვრილი ამგვარივე თეთრი სახეხი ქვები, რომელთა დიდ უმრავლესობას კარგად ეტყობა ხმარების (ნამუშევრობის) კვალი, ცალ ბოლოსთან წანვეტებული სადგისის თუ სახვრეტის წვერივით, რაც მიიღებოდა ნამზადებისა და ნახევარნამზადებისათვის ძირითადი ფორმის მიღწევის შედეგად. ამ ოპერაციის ჩასატარებლად შერჩეული იყო დიდი ან მომცრო რიყისა და სხვა მკვრივი ქვების მომცრო ღრმულიანი (ან ღრმულებიანი) ქვები, ნამზადისა თუ მძივის სამაგრი „გრდემლები“ მათი ზომისათვის შესაფერისი ღრმულებით. მძივის ნამზადების დამუშავების უკანასკნელი ტექნოლოგიური პროცესისათვის კი აღმოჩენილია მკვრივი ქვიშისაგან ნაკეთები სხვადასხვა სიგანის პარალელურ ღარებიანი ხელსაწყოები, ზოგჯერ ამ ჯიშის ბრტყელი ქვის ორივე ზედაპირის ერთნაირი დამუშავებით. ღარები ყოველთვის თანაბარი სიგრძე-სიგანისა და სიღრმისაა, შიგნიდან შესანიშნავი სიგლუვით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მძივის ზედაპირის გაპრიალებისას გამოყენებული იქნებოდა რაიმე



ბლანტი საპრიალებელი მასალა. განსაკუთრებით რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვდა მძივების დახვრეტა და მისი წარმატებით მიღწევა სიძნელეს წარმოადგენდა. ხვრეტა ხდებოდა ან ერთი მხრიდან, ან ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებიდან. შესაძლებელია, ერთი მხრიდან დაწყებულ წარუმატებელ ხვრეტას, მიზნის მიღწევისათვის აგრძელებდნენ პსაწინააღმდეგო მხრიდან დაწყებული ხვრეტით.

„ნაწისქვილარზე“ აღმოჩენილ წუნდებულ მძივებზე დაკვირვებით, გახვრეტის ტექნიკა ასე წარმოგვიდგება — როგორც ჩანს, სრულდებოდა სხვადასხვა სახის შტიფტით, რომელიც მოქმედებდა დაფხვნილი აბრაზიული მასალის გამოყენებით. ამაზე მიუთითებს საწარმოზე უამრავი კრისტალური კვარცის აღმოჩენა, რომელიც ამ დანიშნულებისათვისაც იქნებოდა გამოყენებული. მძივი, ალბათ, იხვრიტებოდა რომელიღაც მბრუნავი მოწყობილობით. ეგვიპტეში აღმოჩენილ მძივებზე დაკვირვებით ა. ლუკასი ვარაუდობს, რომ იქ მძივების ხვრეტა წარმოებდა ხემიანი დრელით, რომელიც ცნობილი იყო ეგვიპტელი ხელოსნებისათვის ადრედინასტიური ხანიდან [Лукас 1958: 92]. ცალი მხრიდან მძივის გახვრეტისას მიიღებოდა ვინრო ცილინდრული ან კონუსისებური ფორმის არხი. ამ შემთხვევაში ნახვრეტის ფართო ბოლოზე ხვრეტა იწყებოდა ზედაპირის ოდნავი ამოხვრეტით. წუნდებული ნამზადების უმრავლესობა ორმხრივია გახვრეტით, რომელიც სრულდებოდა წვრილი მილაკით. შეიძლება ფრინველის წვრილი ძვლით, ან სპილენძის მილაკით. ორმხრივ გახვრეტისას არხის შუა ნაწილში, სადაც ორივე მხრიდან დაწყებული ნახვრეტი უნდა შეერთებოდა ერთმანეთს, პატარა ბურცულის სახით რჩებოდა მილაკის ნაკვალევი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მუხურჩის „ნაწისქვილარის“ საწარმო—ნამოსახლარზე სპილენძის მოკლე შტიფტის აღმოჩენაც. ეგვიპტეშიც მძივების სახვრეტად გამოყენებული ყოფილა სპილენძის სახვრეტები, ან რომელიღაც მცენარის მაგარი ღერო აბრაზიულ მასალასთან ერთად [Лукас 1958: 92]. როგორც ამ ექსპურსებიდანაც ჩანს, ეგვიპტე ცნობილი იყო, როგორც არა მარტო უდიდესი მომხმარებელი საიუველირო ნაწარმისა, არამედ როგორც მისი მწარმოებელი ქვეყანაც, სადაც მძივების დასამზადებლად, ისევე როგორც კოლხურ საწარმოებში, ტექნოლოგიური პროცესების იგივე თანმიმდევრობა და იდენტური ტექნიკური ხერხები თუ მეთოდები ყოფილა გამოყენებული. ეს ეგვიპტური კულტურისა და კოლხური ცივილიზაციის

ურთიერთობის ერთ-ერთი მაჩვენებელიც უნდა იყოს.

ასეთივე ფართო მასშტაბის საწარმო-ნამოსახლარი აღნიშნულ ექსპედიციას აღმოჩენილი აქვს ცენტრალური კოლხეთის ჩხორონყუს რ-ნის სოფ. ოჩხომურში, იმავე სახელწოდების მქონე მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, მუხურჩიდან 20 კმ-ზე ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ოჩხომურის ეს საწარმო, ჩანს, მარაგდებოდა მდ. ოჩხომურის მარცხენა მომცრო შენაკადებისაგან მახლობელ მთა-გორების გეოლოგიური ჭრილებიდან ჩამონარეცხი მინერალებით, ოჩხომურის მარცხენა ნაპირზე (რიყზე) დაფენილი მინერალური ნედლეულით. აქვე მოპოვებულია მეტალურგიული და სხვა მრავალდარგობრივი წარმოების დამადასტურებელი მონაცემებიც.

ანალოგიური საწარმო გამოვლინდა სენაკის რ-ში ნოქალაქევის ნამოსახლარის ტერიტორიაზე, სადაც 1973 წლიდან გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილება ჯერ პროფ. პ. ზაქარაიას, ხოლო შემდეგ პროფ. დ. ლომიტაშვილის ხელმძღვანელობით.

ფერადი ქვებით მდიდარი აღმოჩნდა მდ. ტეხურას სანაპიროც, რომლის შენაკად მდ. ტარჩენტან მინერალური ნედლეული ზედაპირულად აკრიფეს და შეაგროვეს ე. გოგაძემ და მინერალოგმა თ. მგელიაშვილმა. მასალა შეიცავდა სამძივე ნახევრადძვირფას ფერად ქვებს – სარდიონს, აქატს, ქალცედონს, იასპს, კვარცს, კაჟს და სხვადასხვა ჯიშის ქვებს. ეს მინიშნება გამართლდა აქვე, „გალავნებშორისის“ ტერიტორიაზე ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მძივების დასამზადებელი საიუველირო საწარმოს აღმოჩენით, სადაც გარდა მინერალების ნატეხებისა, დიდი რაოდენობით გამოვლინდა ხელსაწყო-იარაღები ქვის და თეთრი ქვიშაქვისა – სოლისებური ფორმის სახეხ-საპრიალებლები, ღარებიანი ქვები, სატეხები, საჩიქქვები, გრდემლები (ტაბ. I, 3). ძეგლი, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკულ ნაკეთობათა და არქეოლოგიური კომპლექსების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ით. თარიღი დადასტურდა რადიო-კარბონული მეთოდით – C<sub>14</sub>, რომლის მიხედვითაც ნოქალაქევის საწარმო-ნამოსახლარის დანგრევის თარიღი ძვ.წ. VII ს-ით განისაზღვრა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

დაცულია მძივების სახეხ-საპრიალებელი ქვის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ამავე მუზეუმის დირექტორს ბ-ნ გივი ელიავას მიწის ზედაპირზე უპოვია სოფ. ბანძის მიდამოებში (ტაბ. I<sub>2,4</sub>). არ არის გამორიცხული, რომ ის შეიძლება ეკუთვნოდეს ჯერჯერობით შეუსწავლელ, რიგით მე-4 საწარმო-სახელოსნოს, რომელიც ძალიან ახლოს მდებარეობს მუხურჩის საწარმო-ნამოსახლარიდან.

ამგვარად, ჩვენს მიერ შესწავლილი, დასავლეთ საქართველოში ჩხორონყუს, მარტვილისა და სენაკის რ-ნებში გამოვლენილი მძივების საწარმო-ნამოსახლარები (მუხურჩის, ოჩხომურის, ნოქალაქევის) განფენილია ერთ რეგიონში, ფართო ტერიტორიაზე, ახასიათებთ ხელოსნური

ნაშთების ინტენსივობა, მთელი მოსახლეობის წარმოებაში ჩაბმა, დარგობრივი დიფერენცია-ცია დადასტურებული სახელოსნოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ქვის იარაღ-ინსტრუმენტების აღმოჩენით, რაც მიუთითებს წარმოების ფართო მასშტაბებზე, ფართო რეგიონალურ და რეგიონს გარეშე სავაჭრო-კომერციულ და გაცვლით ურთიერთობებზე და კავშირებზე.

სამწუხაროდ, დღეს არცერთი საწარმო-ნამოსახლარი ბოლომდე შესწავლილი არ არის. სამივე საწარმო მოითხოვს გათხრითი სამუშაოების გაგრძელებას, ვინაიდან, მხოლოდ ძეგლების სრულყოფილი შესწავლა იძლევა საფუძველს პასუხი გაეცეს და ნათელი მოეფინოს დღეს გადაუწყვეტელ მთელ რიგ საკითხებს.

**E. Gogadze, Ts. Davlianidze, L. Pantskhava, D. Lomitashvili**

### **STONE BEAD WORKSHOP-SETTLEMENT SITES FROM COLCHIS (MUKHURCHA "NATSISKVILARI", OCHKHOMURI, AND NOKALAKEVI)**

#### Summary

The present study deals with cases of discovery of bead-making workshop-settlement sites on the territory of Western Georgia, the practice of bead-manufacture being one of the line of the cultural heritage of the Georgian people. A study of these settlement sites has confirmed the researchers' assumption on the possible local manufacture of beads. Prior to the discovery of bead workshops, this assumption was based on the discovery of numerous mineral deposits throughout the territory of Georgia by the joint effort of geologists and mineralogists, as well as on the large number and diversity of beads brought to light by archaeological excavations. Thus, on a territory abundant in minerals and their products it was logical to discover a society manufacturing beads and traces of workshop-settlements. This indeed was the case. In 1982 and following years, traces of workshop-settlements dating from the same period (8<sup>th</sup>- 6<sup>th</sup> cent. BC) were brought to light in Martvili, Chkhorotsqu and Senaki districts. The finds comprised destroyed living structures and workshops, numerous fragments of clayware, stone tools-instruments for making beads, stones for scouring and polishing, semi-precious stone beads, with perforation commenced on both sides, tube for perforating copper, remnants of production of color minerals (fine flakes and chips), etc.

Thus, the workshop-settlements, identified in Western Georgia (Mukhurcha, Ochkhomori, Nokalakevi) are located in one region; they are characterized by intensity of remains, involvement of the population in production, branch differentiation, as confirmed by the discovery of tools and instruments of stone on the territory of the workshop, pointing to the wide scale of production, broad regional, and probably beyond the region, trade and barter relations, etc.

## ლიტერატურა


- ზუზბაია ვ. 1965:** ქვის კულტურა საქართველოში. თბილისი.
- ლომიტაშვილი დ. 2003:** ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII-ახ.წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი (ხელნაწერის უფლებით).
- მეგრელიშვილი თ. 1991:** საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 1986:** ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის შედეგები. – სსმაე, VIII, 17-28.
- მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., ბარ-იოზეფი ო., ბელფერ-კონი ა. 2002:** განახლებული არქეოლოგიური ექსპედიცია ძუძუანაში. – ACADEMIA, ისტორიულ-ფილოსოფიური ჟურნალი, ტ. 3, 29-32.
- ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2001:** ზედაპალეოლითური ხელოვნების ნიმუშები დასავლეთ საქართველოს მღვიმური სადგომებიდან. – ძიებანი, № 9, გვ. 5-14.
- Куфтин. Б. А. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Лукас А. 1958:** Материалы и ремесленные производства древнего Египта. Москва.

## ტაბულაჰის აღწერილობა

- ტაბ. I – მძივების დასამზადებელი ინვენტარი და ნედლეული ნოქალაქევის საწარმო-ნამოსახლარიდან და მარტვილის მუზეუმიდან.
- ტაბ. II – მძივების დასამზადებელი ინვენტარი და ნედლეული მუხურჩისა და ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარებიდან.

## DESCRIPTION OF THE PLATES


- Pl. I – Tools and raw material for manufacturing beads from the Nokalkevi workshop-settlements and Martvili museum.
- Pl. II – Tools and raw materials for making beads from the Mukhurcha and Ochkhomuri workshop-settlements.




1




2




3



4




5



6





## ბრინჯაოსა და რკინის ცულები ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბორჯომის ხეობიდან

1968-1991 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, შემდგომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ო. ლამბაშიძე) გაითხარა ოთხი მრავალღეროვანი სამაროვანი: რველის, ჩითახევის, კვირაცხოვლისა და ბორნილელის. ოთხივე სამაროვანზე დაფიქსირდა რკინის ფართო ათვისების ხანის – ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების სამარხები.

სამაროვნები მდებარეობენ ბორჯომის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბორჯომ-ახალციხის საავტომობილო გზის გასწვრივ, სოფელ რველიდან სოფელ ქვაბისხევეამდე, ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლო მანძილზე.

ამ სამაროვნებზე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან და მრავალღეროვან ინვენტარს შორის არის თერთმეტი ცული. მათგან რველის სამაროვანზე ორი, № 19 და № 22 სამარხებში, ორივე რკინისა (ტაბ. I<sub>4</sub>), ჩითახევის სამაროვანზე – ხუთი (№ 22, 26, 29, 32 სამარხებში), აქედან ერთი ბრინჯაოსი და ოთხი რკინისა (ტაბ. I<sub>1,3,6,8</sub>). ბორნილელეს სამაროვანზე – ოთხი (№ 1, 32, 65, 92 სამარხებში), ერთი ბრინჯაოსი და სამი რკინისა (ტაბ. I<sub>2,5,7,9</sub>). კვირაცხოველის სამაროვანზე ძვ.წ. VIII-VII სს. სამარხებში არც ერთი ცული არ აღმოჩენილა.

ზემოჩამოთვლილი ცულები ოთხ ტიპად იყოფა: 1. ბრტყელი ცული (ბორნილელეს № 1 სამარხი); 2. მეორე ტიპის კოლხური ცულები (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით) – ჩითახევის № 22 სამარხში; 3. ჰიბრიდული ცულები; 4. რკინის ცული, რომელიც ბრინჯაოს ცულების ფორმას არ იმეორებს (ჩითახევის № 29 სამარხი).

საკმაოდ საინტერესო და გარკვეულწილად უნიკალურია ბორნილელის № 1 სამარხში აღმოჩენილი ბრტყელი ცული. თუმცა, შესაძლოა, ის ამ სამარხის კუთვნილება არ იყოს, ვინაიდან აღმოჩენილია სამარხის თავზე კულტურულ ფენაში (ტაბ. I<sub>9</sub>).

იგი რკინისაა, აქვს ბრტყელი, სწორკუთხედის მოყვანილობის სატარე, ოდნავ დაზნექილი მხრები, „გამოყვანილი“ ტანი, სუსტად მორკალული, მხრებთან შედარებით ოდნავ ვიწრო პირი.

როგორც ცნობილია, ბრტყელი ცული საკმაოდ გავრცელებული იარაღი იყო დროის გარკვეულ მონაკვეთში და ვრცელ ტერიტორიაზე. მის გენეზისზე, დანიშნულებაზე და ტიპებზე არაერთ მკვლევარს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრება. ბრტყელი ცულების ტიპობრივი დაყოფა განახორციელა ბ. კუფტინმა. კლასიფიკაციის ამოსავალ წერტილად მან ამ იარაღისათვის დამახასიათებელი გვერდითი შვერილები მიიჩნია და ამის საფუძველზე სამი ძირითადი ტიპი გამოყო: კბილისებური, მხრებისებური და ბლაგვკუთხა შვერილებიანი. ამ უკანასკნელს შორის მან კიდევ ორი ქვეტიპი გამოყო: ფართო და ვიწრო ქუსლიანები. ამავე დროს განასხვაებდა ორმაგ და ცალმაგ ყალიბში ჩამოსხმულ ცულებსაც [Куптин 1944: 30-32].

კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილი ბრტყელი ცულები შეისწავლა ო. ჯაფარიძემაც. მან ორი ტიპი გამოყო: კბილისმაგვარი შვერილებიანი (ამ ტიპის ცულები ძირითადად კოლხეთის მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმშია გავრცელებული) და მხრებისმაგვარი შვერილებით [ჯაფარიძე 1953: 291-300].

ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ბრტყელ ცულებს დ. ქორიძემ. მან ამ იარაღის სამი ტიპი გამოყო; შეეცადა თვალი გაედევნებინა მისი გენეზისისა და არეალისათვის. პირველ სახეობაში მან გააერთიანა გვერდითი შვერილიანი ბრტყელი ცულების ის ჯგუფი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სწორკუთხა ფორმის, შედარებით დაბალი, ბოლოსკენ გათხელებული სატარე, მხრებისმაგვარი გვერდითი შვერილები, შედარებით მოკლე, მაღალი და ზოგჯერ ასიმეტრიული გამოყვანილი პირი [ქორიძე 1969: ტაბ. I]. მეორე სახეობაში მკვლევარმა გააერთიანა ბრტყელი ცულები, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მაღალი, ოთხკუთხა, ზოგჯერ ბოლოსკენ ოდნავ გაფართოებული სატარე, მკვეთრად გამოხატული და მომრგვალებული გვერდითი შვერილები, მაღალი და თანაბარი საგანის ტანი, სოლური, დაბალი და მორკალული პირი და ექვსად დანახნაგებული ტანი [ქორიძე 1969: ტაბ. I]. ამგვარი ცულების აბსოლუტური უმრავლესო-

ბა რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი. მესამე სახეობაში დ. ქორიძემ გააერთიანა ისეთი ცულები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სამკაპა სატარე შვერილები (რომლებიც ძირითადად მაღლა არიან მიმართული), განიერი და წელში გამოყვანილი ტანი, მორკალული სიმეტრიული პირი (ზოგჯერ საკმაოდ მაღალი და ასიმეტრიულიც). ამგვარი ცულების ნაწილი ცალმაგ, ნაწილი კი – ორმაგ ყალიბშია ჩამოსხმული. მათში მკვლევარმა ორი ქვესახეობაც გამოყო: პირველი ქვესახეობის იარაღები არსებითად იმეორებენ ძირითადი სახეობის აღნაგობას, მაგრამ შედარებით პატარა და ვიწრო არიან და თანაც მხოლოდ ცალმაგ ყალიბში ჩამოსხმული [ქორიძე 1969: ტაბ. II<sub>1</sub>]. მეორე ქვესახეობაში გაერთიანებულია კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრტყელი ცულების რამდენიმე ეგზემპლარი. მათთვის დამახასიათებელია სქელი, ვიწრო, წელში გამოყვანილი ტანი, განიერი, ოდნავ მორკალული პირი, ოთხკუთხა სატარე, ასეთივე ოთხკუთხა, ბოლოებმომრგვალებული შვერილებით (ქორიძე 1969: ტაბ. II<sub>2</sub>).

ამავე დროს დ. ქორიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრტყელი ცულები, რომლებიც არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ტიპს არ მიეკუთვნება. ასეთთა შორის კი ასახელებს ბორჯომის რაიონის სოფ. ბალანთაში (ჯავახეთი) აღმოჩენილ ბრტყელ ცულს [ქორიძე 1969: 11-16]. ეს ცული შემთხვევითაა აღმოჩენილი და ადგილობრივ გლეხს აკად. ნ. ბერძენიშვილისთვის გადაუცია ჯავახეთში მოგზაურობისას, ამ უკანასკნელს კი – პროფ. ტ. ჩუბინიშვილისთვის [დამბაშიძე 1984: 20]. ცული ორმაგ ყალიბშია ჩამოსხმული აქვს ექვსად დანახნაგებული, ოდნავ შეზნექილი ტანი, ჰორიზონტალურად განშტოებული, საკმაოდ ფართო მხრები და ოდნავ მორკალული, ასიმეტრიული პირი [ქორიძე 1969: ტაბ. IV].

პირველი სახეობის ცულებს დ. ქორიძე ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით ათარიღებს, მეორე სახეობისას – ძვ.წ. XI-VIII საუკუნეებით, ხოლო მესამე სახეობის ცულებს – ძვ.წ. XIII-VIII საუკუნეებით [ქორიძე 1969: 13-14].

ყველა ზემოთ ნახსენები მკვლევარი განიხილავდა მხოლოდ ბრინჯაოს ბრტყელ ცულებს და არაფერი აქვთ ნათქვამი რკინის ბრტყელი ცულების შესახებ. როგორც ჩანს, იარაღის ეს სახეობა რკინის ფართო ათვისების ხანაშიც განაგრძობს არსებობას, თუმცა არაა ისე გავრცელებული, როგორც ადრე და არც ისეთი პოპულარულია, როგორც სხვა სახეობის ცულები.

ბრტყელი ცული საკმაოდ ადრეული ხანიდან იწყებს არსებობას. ძალიან საინტერესო ეგზემპლარია ნაპოვნი თეთრინყაროს რაიონში, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხში [გობეჯიშვილი 1958: 131].

ასეთივე იარაღი ცნობილია საჩხერედანაც. ზუგდიდის რაიონის სოფელ მახარიაში 1926 წელს შემთხვევით უპოვიათ პატარა ზომის, უშვერილო, მარტივი ფორმის ბრტყელი ცული, რომელსაც ბ. კუფტინი „ეჩოს“ უწოდებს და შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებს. იგი ყუამილიან ცულთან ერთად იყო ნაპოვნი [Куптин 1944: ტაბ. II<sub>2</sub>]. ადრეული ბრტყელი ცულები ნაპოვნი საქართველოს სხვა რეგიონებშიც [ქორიძე 1969: 13]

დ. ქორიძის აზრით, გვიანბრინჯაოსა და მის მომდევნო ხანაში, როდესაც ხმარებაშია კოლხური და აღმოსავლურქართული ცულების ფართო ასორტიმენტი, ბრტყელი ცულებიდან მხოლოდ და მხოლოდ გვერდით შვერილებიანი სახეობებია ცნობილი. ამავ დროს ის აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდ სანარმოო რეგიონებში მხოლოდ ამ მხარისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ცულები უკეთებითა და იშვიათად თუ მოხვდებოდა ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელი ეგზემპლარი სხვა, თუნდაც მოსაზღვრე მხარეში [ქორიძე 1969: 13].

ბორნილელის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრტყელი ცული გამოირჩევა შედარებით მარტივი ფორმით. არა აქვს გვერდითი შვერილები, არც მკვეთრად გამოყვანილი ტანი, არც შვერილებიანი ტარდასაგები. ამდენად იგი არ მიეკუთვნება დ. ქორიძისეული კლასიფიკაციის არც ერთ სახეობას და ყველაზე მეტ სიახლოვეს ბალანთის ცულთან იჩენს. ამასთან მას უფრო მაღალი სატარე აქვს. ოდნავ უფრო ნაკლებად შეზნექილი გვერდები და უფრო სიმეტრიული პირი. ჩვენი აზრით, ორივე ცული ერთი ტიპისაა. ამ მსგავსებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ო. დამბაშიძემ. მან ბორნილელის ცული სატარე ნაწილით ორდუს განძის ცულსაც მიაჩნსგავსა [დამბაშიძე 1984: 20]. თუმცა, ჩვენი აზრით, ორდუს და ბორნილელის ცულებს, გარდა იმისა, რომ სწორკუთხედის მოყვანილობის სატარე აქვთ, სხვა ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. სამაგიეროდ ახლო მსგავსებას იჩენს ბორნილელის ცული თლიას სამაროვნის რკინის ბრტყელ ცულთან, რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ფენებშია აღმოჩენილი. ოღონდ თლიას ცულს შედარებით სწორი მხრები და უფრო მე-



ტად გამოყვანილი ტანი აქვს [Техов 1985: ტაბ. 153]. როგორც ცნობილია, ადრეული რკინისა და ზოგჯერ რკინის ფართო ათვისების ხანაშიც, რკინის იარაღიც და სხვა ნივთებიც ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ანალოგიური ნივთების მიბაძვით მზადდებოდა. მაგ., სატევრები, მახვილები, შუბისპირები, ცულები და სხვ. ამგვარ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ბალანთისა და ბორნილელის ცულებთან დაკავშირებითაც.

ო. ლამბაშიძე ბორნილელის ბრტყელ ცულზე დაკვირვებამ კიდევ ერთ საინტერესო დასკვნამდე მიიყვანა. მან ყურადღება მიაქცია ბორჯომის ხეობისა და სამცხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ხის დასამუშავებელი იარაღის ე.წ. „ფხეროს“ მსგავსებას ბორნილელის ბრტყელ ცულთან და შესაძლებლად მიიჩნია მათ შორის რაღაც გენეტიკური კავშირის არსებობაც [ლამბაშიძე 1984:20].

ბრტყელი ცულების დანიშნულების შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი მკვლევარი, მაგ. ტალგრენი, ფიქრობდა, რომ ის სამთო საქმისათვის გამოიყენებოდა [თალგრენ 1912: 24]. ნ. ტრუბნიკოვა მას ტყავის დასამუშავებელ იარაღად თვლიდა [Трубникова 1947: 49-53]. ასევე ფიქრობდა გ. ნიორაძეც [ნიორაძე 1944: 13]. ხის დასამუშავებელ იარაღად მიიჩნევდნენ ბრტყელ ცულს დ. ქორიძე და ო. ლამბაშიძე [ქორიძე 1969: 27; ლამბაშიძე 1963: 17].

ჩვენი აზრით, ბრტყელი ცული იმგვარი იარაღია, რომლის გამოყენება თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი ყველა ზემოჩამოთვლილი საქმისათვის. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას მას, ალბათ, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება უხდებოდა. ტყით მდიდარ ბორჯომის ხეობაში კი, ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ ხის დასამუშავებლად იყენებდნენ.

ბალანთა და ბორნილელე გარკვეულწილად ერთ გეოგრაფიულ რეგიონში არიან მოქცეული. ორი ძალიან მსგავსი, თუმცა ქრონოლოგიურად შესაძლოა საკმაოდ დაშორებული ცულის აღმოჩენა ხომ არ იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სამხრეთ საქართველო მივიჩნიოთ იმ მხარედ, სადაც ამ ტიპის ბრტყელი ცულები მზადდებოდა და ვრცელდებოდა? თუმცა ორად ორი ეგზემპლარი ამის თამამად თქმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა, მით უმეტეს, რომ მსგავსი იარაღი საკმაოდ დაშორებულ რეგიონში, თლიას სამაროვანზეცაა აღმოჩენილი.

მეტად საინტერესო ბრინჯაოს ცულები აღმოჩნდა ჩითახევის № 26 და ბორნილელის № 92

სამარხებში.

ჩითახევის № 26 სამარხში აღმოჩენილი ცული მოგრძო ფორმისაა. აქვს სწორი, დაბალი, ექვსკუთხედიანი დაწახნაგებული ტანი, თანაბრად მორკალული ყუის თავი, მოგრძო ოვალის ფორმის სატარე ხვრელი, ტანისაგან თანაბრად გამოზიდული ნიღრები, საკმაოდ დაბალი ფხა და სიმეტრიული, მორკალური პირი [ტაბ. 1].

ცულთან ერთად ჩითახევის № 26 სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ერთწილადი მშვილდისებური ფიბულა, ბრინჯაოს სარტყლის გარსაკრავის ფრაგმენტები, ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან დამზადებული სამაჯური, ბრინჯაოს ოვალურგანიკვეთიანი სამაჯური, რკინის კოლხური ცული, რკინის სატევრის პირი, რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს გრეხილდეროიანი ხატი-სულელი, ცალყურა, კანელურებიანი თიხის სასმისები და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ნაირნაირი მძივები.

მსგავსი ცული აღმოჩნდა ბორნილელეს № 92 სამარხშიც. მას აქვს ბრტყელი, ოდნავ ჩაზნექილი ყუის თავი (რომელსაც შუაში ღარი დაუყვება), სწორი, ექვსკუთხედიანი ტანი, ოვალური სატარე ხვრელი, საკმაოდ მაღალი, ტანიდან თანაბრად გამოზიდული ფხა და სიმეტრიულად მორკალული პირი [ტაბ. 1]. მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა: რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს ქამრის გარსაკრავის ნატეხები, სამაჯურები (მათ შორის არქაული იერის მქონე მასიური თავებგახსნილი სამაჯურები), ბრინჯაოს ფრთისებური აბზინდები, ბრინჯაოს ფირფიტოვანი ბეჭდები, ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი საყურე რგოლი, ბრინჯაოს ფირფიტოვანი საკიდები, სარდიონის მძივები და რამდენიმე თიხის ჭურჭელი.

ორივე სამარხი მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII საუკუნით თარიღდება.

ამ ცულებმა და აგრეთვე ჩითახევის სამაროვანის ძვ.წ. X-XI საუკუნეებით დათარიღებულ, № 58 სამარხში აღმოჩენილმა მსგავსმა ცულმა იმთავითვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ვინაიდან ისინი აერთიანებენ როგორც კოლხური, ისე „აღმოსავლურამიერკავკასიული“ ცულების ელემენტებს. ო. ლამბაშიძე მათ „ჰიბრიდულ“ ცულებად მოიხსენიებს [ლამბაშიძე და სხვ. 1974: 14; ლამბაშიძე და სხვ. 1987: 11].

სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ ტიპის ცულებს ლ. სახაროვამ [სახაროვა 2001: 171-172]. მან გარდა ზემოაღნიშნული ეგზემპლარებისა, ამ ტიპის იარაღს მიაკუთვნა ცულები ახალცი-



ხიდან, არტანუჯ-ტანძორიდან, უდეს განძიდან. ყველა მათგანი ისტორიული სამცხის (მესხეთის) ტერიტორიაზე აღმოჩენილი. გარდა ამისა მან ამ ტიპის ცულებს მიაკუთვნა ცულები აჭარიდან: ჩაისუბნისა და სიხალიძეების განძებიდან, საღორეთიდან და ზოტიდან.

უდეს განძი აღ. ჯავახიშვილისა და ტ. ჩუბინიშვილის მიერ ძვ.წ. XI-X საუკუნეებით თარიღდება [ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959: 59-62], რ. აბრამიშვილის მიერ ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით [აბრამიშვილი 1961: 324-325], ხოლო ლ. ფანცხავას მიერ ძვ.წ. IX საუკუნეებით [ფანცხავა 1988: 73]. ჩაისუბნის განძი დ. ქორიძის მიერ ძვ.წ. XII-XI საუკუნეებითაა დათარიღებული, ხოლო აღ. რამიშვილის მიერ ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით [ქორიძე 1965: 20; რამიშვილი 1974: 100]. სიხალიძეების განძი, რომელიც ჰიბრიდული ცულების ოთხ მთლიან და ორ ნაკლებ ეგზემპლარს შეიცავს, ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება [კახიძე, მამულაძე 2000: 74]. ამავე პერიოდის უნდა იყოს ცული საღორეთიდან [რამიშვილი 1974: ტაბ. XV<sub>5</sub>; სახაროვა 2001: 171]. ზოტის ცული კი, ლ. სახაროვას აზრით, უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ამის საბუთად მას ის გარემოება მოაქვს, რომ ეს ცული ყველაზე ახლოს დგას ჩითახევისა და ბორნიღელის ცულებთან [სახაროვა 2001: 171]. რაც შეეხება ახალციხისა და არტანუჯ-ტანძორის ცულებს, მკვლევარის აზრით, ისინი უდეს განძის ანალოგიურნი არიან და, შესაძლოა, მათი თანადროულნიც [სახაროვა 2001: 171].

როგორც ვნახეთ, ამ ტიპის ცულების არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ყველაზე გვიანდელია ჩითახევის, ბორნიღელისა და, შესაძლოა, ზოტის ცულები.

მთავარი ნიშნები, რომლებიც ყველა მათგანს აერთიანებს, არის სწორი და ბრტყელი ყუის თავი, დაბალი, სწორი ტანი და სიმეტრიულად მორკალული პირი. ამდენად ზედა ნაწილით ისინი კოლხურ ცულებს გვანან, ქვედა ნაწილით კი ე.წ. „აღმოსავლეთამიერკავკასიურ“ ცულებს. ისიც ნიშანდობლივია, რომ მათი უმეტესობა აღმოჩენილია ისეთ რეგიონში, სადაც საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი როგორც კოლხური, ისე აღმოსავლურქართული კულტურის ელემენტები (იგულისხმება ისტორიული სამცხის ტერიტორია, რომლის შემადგენლობაში ბორჯომის ხეობაც შედიოდა). ამიტომაც ლ. სახაროვამ წამოაყენა წინადადება ამ ტიპის ცულებისათვის „მესხური“ ცულები გვეწოდებინა, რაც ჩვენც სავსებით შესაძლებლად და მისაღებად მიგვაჩინა, თუმცა მაინც „ჰიბრიდულს“ ვამჯობინებთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის ყველა ცული მხოლოდ ბრინჯაოსგანაა დამზადებული, მათ შორის ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ეგზემპლარებიც, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდებიან და რკინის ცულებთან თანაარსებობენ (ჩითახევის № 26 სამარხში „ჰიბრიდულ“ ცულებთან ერთად რკინის ცულიც აღმოჩნდა).

რკინის ცულები ზოგადად ორ ძირითად ნაწილად იყოფა: 1. რომლებიც გენეტიკურად ბრინჯაოს ცულებს უკავშირდებიან და მეტ-ნაკლები ვარიაციებით მათ ფორმებს იმეორებენ და 2. რომლებსაც თვითმყოფადი ფორმები გააჩნიათ და ბრინჯაოს ინდუსტრიას არ უკავშირდებიან. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფის ცულები აშკარა გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს ბრინჯაოს კოლხურ ცულებთან, ფორმის აბსოლუტურ განმეორებას ადგილი მაინც არა აქვს, რაც ალბათ რკინის მეტალურგიის ტექნიკური თვისებებით აიხსნება. ყველაზე მეტად ამ ტიპის რკინის ცულები კოლხური II ტიპის ცულების ფორმებს იმეორებენ (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით).

ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით რკინის ცულების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემოგვთავაზა რ. პაპუაშვილმა [პაპუაშვილი 1988: 44-45]. იმ ტიპის ცულებში, რომლებიც თავიანთი ფორმით ბრინჯაოს ცულებს უკავშირდებიან, მან ორი ტიპი გამოყო: პირველი ტიპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მახვილი ყუა, რომელიც მას ბრინჯაოს პირველი ტიპის კოლხურ ცულებთან აახლოვებს. პირის ფორმის მიხედვით კი ის მეტ საერთოს კოლხური ცულის II ტიპთან ამჟღავნებს და ამდენად ამ ტიპის რკინის ცულში შერწყმულია პირველი და მეორე ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცულების თავისებურებანი [პაპუაშვილი 1998: 45, ტაბ. XVIII<sub>4</sub>].

მეორე ტიპში რ. პაპუაშვილი ისეთ ცულებს აერთიანებს, რომლებიც ჩაქუჩისებური ყუით, მორკალული, ასიმეტრიული პირით და ოვალური სატარე ხვრელით ხასიათდებიან. ამ ნიშნებით ისინი მაქსიმალურად უახლოვდებიან თავიანთ ბრინჯაოს პროტოტიპებს – მეორე ტიპის კოლხურ ცულებს [პაპუაშვილი 1998: 45, ტაბ. XVIII<sub>5</sub>].

ასევე ორ ტიპად ყოფს მკვლევარი იმ რკინის ცულებს, რომლებიც ბრინჯაოს ცულების ფორმებს არ იმეორებენ. საერთო ნიშნები, რაც ამ ცულებს გააჩნიათ, არის ვიწრო, წაგრძელებული ყუა და ასევე ვიწრო და წაგრძელებული პირი. (პირისა და ყუის სიგანე ძალიან უახლოვდებიან

ერთმანეთს). პირველი ტიპი ხასიათდება მაღალი, ვიწრო და მახვილი ყუით, წარგრძელებული ვიწრო პირითა და ოვალური სატარე ხვრელით. ხოლო მეორე ტიპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მაღალი, ოდნავ გაფართოებული და ნაკვეთილი ყუა. მათ ზოგჯერ „ყუაკვერიან“ ცულებსაც უწოდებენ [პაპუაშვილი 1998: 45, ტაბ. 6].

რკინის ცულები, რომლებიც ბრინჯაოს ცულის ფორმებს იმეორებენ, გარდა საკუთრივ კოლხეთისა, აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მაგ. თრიალეთში, ბეშთაშენის სამაროვანზე [Куфтин 1941: 45, ნახ. 43], თლიას სამაროვანზე [Техов 1985: ტაბ. 1472, 1503], ბორჯომის ხეობაში და სხვ. როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს და, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულადაც, ამგვარი რკინის ცულები კოლხური წარმოშობისაა და ისინი ბრინჯაოს კოლხური ცულების არსებობის ხანაში – ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა გამოჩენილიყვნენ [მიქელაძე 1985: 34].

ის რკინის ცულები, რომლებიც ბრინჯაოს ცულის ფორმას არ იმეორებენ, „ყუაკვერიანის“ სახელითაცაა ცნობილი.

მკვლევართა ნაწილი მას სკვითურ სამყაროს უკავშირებს და ამის დამადასტურებელ არგუმენტად ის მოაქვთ, რომ ამგვარი ცულები ძალზე ხშირად ისეთ კომპლექსებშია აღმოჩენილი, სადაც სკვითური ნივთების სიჭარბეა [Погребова 1969: 183-187]. მ. პოგრებოვას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ცულები კარგადაა წარმოდგენილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე სომხეთში (გოლოვინო, მუსიიერი), მათი გავრცელების ცენტრი მაინც ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილია [Погребова 1969: 183]. დასავლეთ საქართველოში მსგავსი ცულები ცნობილია ყულანურხვას სამაროვანზე, ბრილში, აღმოსავლეთ საქართველოში – დვანის ნეკროპოლზე, თლიას სამაროვანზე. ყველგან სკვითურ ინვენტართან ერთად [Погребова 1969: 183-187].

ბორჯომის ხეობაში გვხვდება როგორც ბრინჯაოს პროტოტიპების მინაბადი, ისე მათგან განსხვავებული რკინის ცულები. ჩითახევის № 26 სამარხში აღმოჩენილი რკინის ცული წარმოადგენს ბრინჯაოს კოლხური (II ტიპის) ცულის მინაბადს [ტაბ. I]. იგი აღმოჩნდა კომპლექსში,

სადაც დადასტურებულია ზემოაღნიშნული ბრინჯაოს ჰიბრიდული ცული, ბიმეტალური სატევარი, ბრინჯაოს ფიბულა, ცალყურა კანელურებიანი სასმისები და სხვა. სამარხი ძვ.წ. VII საუკუნით უნდა დათარიღდეს. მსგავსი ცულებიც ძირითადად ამ პერიოდშია გავრცელებული. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ჩითახევის № 32 სამარხში აღმოჩენილი რკინის ცულიც [ტაბ. I]. იგი აღმოჩნდა ბიმეტალურ მახვილთან, ბრინჯაოს ქარქაშთან, რკინის გრძელპირიან და მოკლემასრიან შუბისპირთან, რკინის მოხრილ დანასთან და ცალყურა სასმისებთან ერთად. ამ ნივთების გათვალისწინებით სამარხი ძვ.წ. VII საუკუნით უნდა დათარიღდეს. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ძირითადი დამათარიღებელი, სწორედ რკინის ცულია.

რაც შეეხება ჩითახევის № 29 და ბორნიღელეს № 32 სამარხებში აღმოჩენილ ცულებს [ტაბ. I, 7, 8], ისინი იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბრინჯაოს კოლხურ ცულებთან და რომელიც რ. პაპუაშვილმა თავის შკალაში ამგვარი ცულების მეორე ტიპად გამოყო [პაპუაშვილი 1998: 45. ტაბ. XVIII,]. მსგავსი ცულები აღმოჩენილია ნიგვზიანის სამაროვანის № 12 სამარხ-ორმოში [პაპუაშვილი 1998: 46.], სამთავროს №№ 8, 14, 27, 99, 212 სამარხებში [აბრამიშვილი 1957: ტაბ I,], თლიას სამაროვანზე [Техов 1985: ტაბ 1062; 1374; 1411; 1451]. რ. აბრამიშვილიცა და ბ. ტეხოვიც სამთავროსა და თლიას იმ კომპლექსების თარიღს, სადაც ეს ცულები აღმოჩნდა, ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნით განსაზღვრვენ. ჩითახევის № 29 სამარხიც იქ აღმოჩენილი ნივთების (რკინის შუბისპირი, რკინის დანები) და ზემოაღნიშნული ცულის მიხედვით, ალბათ, ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრით და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ამდენად, ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ცულები, მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, საკმაოდ ასახავენ იმ ტენდენციას, რაც ამ იარაღის და მისი ცალკეული ტიპების გენეზისისა და განვითარება-გავრცელების თვალსაზრისით ხდებოდა იმდროინდელ კავკასიაში. როგორც ჩანს, ეს მხარეც საკმაოდ აქტიურად ყოფილა ამ პროცესებში ჩართული.

BRONZE AND IRON AXES FROM 8TH-7TH CENT. BORJOMI VALLEY

Summary

Eleven axes (nine of iron and two of bronze) were discovered in burials dated to the 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent BC at the multi-tiered burial ground of Rveli, Chitakhevi and Bornighele, Borjomi valley.

Two types may be identified among them: 1. Flat axe [pl. II<sub>9</sub>]; 2. Type II Colchian axes (according to O. Japaridze's classification) [pl. I<sub>1,4</sub>]; 3. Hybrid (Meskian) axes [pl. I<sub>2,3</sub>]; 4. Iron, so-called hammer-backed axes [pl. II<sub>5,7</sub>].

Only the hybrid axes are made of bronze, and they are probably the latest among the axes of this type discovered to date.

The flat axe discovered in burial no. 1 of Bornighele is of very original form. It evinces closest resemblance to the bronze axe found by chance in v. Balanta, Borjomi district. Hence the author considers it possible that axes of this type may have been largely made and used in South Georgia. (However, two specimens do not warrant a too positive statement to this effect, the more so that a more or less similar axe has been discovered at Tlia burial ground). The so-called "hammer-backed" axes have been discovered in other regions of Georgia and the Northern Caucasus – largely in complexes where Scythian items have been attested. For this reason, some researchers relate them to the Scythian world. Borjomi valley is an exception in this respect; for axes of this type have not been discovered with Scythian items.

In general despite their quantitative care, these axes reflect fairly well the trend taking shape in the then Caucasus from the viewpoint of the genesis and spread of separate types. The Borjomi valley seems to have been actively involved in this process.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-XXI-B, 115-138.
2. აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XII-B, 291-336.
3. გობეჯიშვილი გ. 1958: თეთრწყაროს გათხრების ანგარიში. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1957 წელის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, 8-10. თბილისი.
4. კახიძე ა., მამულაძე ა. 2000: ქოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი.
5. მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.
6. ნიორაძე გ. 1948: ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმმ, XI, 1-22.
7. პაპუაშვილი რ. 1998: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის (საბრძოლო იარაღის მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი.
8. რამიშვილი ა. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.
9. სახაროვა ლ. 2001: ბრინჯაოს ცულების ერთი ჯგუფის შესახებ. – ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, 171-172. თბილისი.
10. ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელისნობის ძეგლები. თბილისი.
11. ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
12. ქორიძე დ. 1969: საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია და განეზისის საკითხისათვის. – სსმმ XXVIII-B, 5-28.

13. ლამბაშიძე ო., ართილაყვა ვ. 1974: მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წლის ანგარიში. ხელნაწერი.
14. ლამბაშიძე ო. 1984: მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წლის ანგარიში. ხელნაწერი.
15. ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ი., კვიციანი რ., კვიციანი დ. 1987: მესხეთ-ჯავახეთის 1986 წლის მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი.
16. ჯავახიშვილი ა., ჩუბინიშვილი ტ. 1959: უდეს განძი. – სხ, № 4, 59-64.
17. Джапаридзе О. 1953: Плоские топоры Западной Грузии. – СА, № 18, 281-300.
18. Куфтин Б. А. 1941: Археологические раскопки в Триалети, т. 1. Тбилиси.
19. Куфтин Б. А. 1944: Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. – სსმმ, XIII-B, 1-116.
20. Погребова М. 1969: Железные топоры скифского типа в Закавказье. – СА, № 2, 179-188.
21. Техов. 1985: Тлийский могильник, т. 3. Тбилиси.
22. Трубникова Н. 1947: К вопросу о назначении Кобанских „сечок“. – КСИИМК, XVIII, 49-53.
23. Tallgren A. M. 1912: Kupfernen Flachhäxte mit seitlichen Zapfen (Finska fornminnes-föreningens tidskrift, 26). Helsingfors.










### **ტაბულაჰის აღწერილობა**

ტაბ. I. – 1. რკინის ცული. ჩითახევის სამაროვანი, სამარხი № 26; 2. ბრინჯაოს ცული. ბორნიღელის სამაროვანი, სამარხი № 92; 3. ბრინჯაოს ცული. ჩითახევის სამაროვანი, სამარხი № 26; 4. რკინის ცული. რველის სამაროვანი, სამარხი № 22; 5. რკინის ცული. ბორნიღელის სამაროვანი, სამარხი № 65; 6. რკინის ცული. ჩითახევის სამაროვანი, სამარხი № 32; 7. რკინის ცული. ბორნიღელის სამაროვანი, სამარხი № 32; 8. რკინის ცული. ჩითახევის სამაროვანი, სამარხი № 29; 9. რკინის ცული. ბორნიღელის სამაროვანი, სამარხი № 1.

### **DESCRIPTION OF THE PLATE**

Pl. I – 1. Iron axe, Chitakhevi burial ground, burial 26; 2. Iron axe, Bornighele burial ground, burial 92; 3. Iron axe, Chitakhevi burial ground, burial 26; 4. Iron axe, Rveli burial ground, burial 92; 5. Iron axe, Bornighele burial ground, burial 65; 6. Iron axe, Chitakhevi burial ground, burial 32; 7. Iron axe, Bornighele burial ground, burial 32; 8. Iron axe, Chitakhevi burial ground, burial 29; 9. Iron axe, Bornighele burial ground, burial 1.






## ანაკობრაფიკული ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასისიდან

საქართველოს ზღვისპირეთის ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ „ნატეხებში“ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფრიად საყურადღებო დამლა აღმოაჩინა. აქ ნიადაგი ძირითადად თიხა-ქვიშიანია, ხოლო ქვეშ თიხა-ტორფიანი ფენაა, სადაც ძვ.წ. IV-II სს-ის არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ძირი აღმოჩნდა [იხ. Гамкрелидзе 1992: ტაბ. 5, 6]. აქვე ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორის ფრაგმენტაც დადასტურდა. ქვემოთ, შეძლებისდაგვარად ვეცდებით, განვსაზღვროთ ამ აღმოჩენის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიისათვის, რაც ითვალისწინებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: 1. დამლის აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტი; 2. კოლხეთში დადასტურებული სხვა ჯვრიანი დამლების ტოპოგრაფია; 3. ჯვრის,

როგორც სიმბოლოს მნიშვნელობა; 4. კოლხეთში ამფორების, სავაჭრო ტარის წარმოების საკითხი; 5. დამლა, როგორც უფლებრივი სავაჭრო ნიშანი; 6. დამლის აღმოჩენის ადგილი, ფასისი, როგორც ვაჭრობის ცენტრი.


ქ. ფოთში „ნატეხების“ ნამოსახლარზე სამშენებლო კერამიკა კრამიტით და აგურითაა წარმოდგენილი. აღმოჩნდა აგრეთვე ხის ძელების და თიხის ბათქაშის ნაშთები. აქ, ალბათ, აგურით ნაგებ პირველ სართულზე ძელებიანი თიხით შელესილი ნაგებობები იდგა. ფლავიუს არიანე აკი აღნიშნავს, რომ ფასისში „წინათ კედლები თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, ახლა კედლები აგურისაგანაა ნაგები“ (Arr., PPE, 9). ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჭურჭლის უმეტეს ნაწილს კერამიკული ტარა - ამფორები შეადგენს. მათში წელშენეჭილი ამფორები სჭარბობს. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთ-



სურ. 1. ჯვრიანი დამლების აღმოჩენების რუკა

ნებით, ჯამებით, ლუთერიებით და დოქებით. არქეოლოგიური მასალის 25%-მდე უცხოური კერამიკაა, რაც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის საგარეო ურთიერთკავშირზე. ეს ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია ამფორებით. ამფორის ნატეხებიდან უმრავლესობა სინოპურს ჰგავს და გოფირებულია. ყურადღებას იპყრობს სამოსური ამფორების ძირები. ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მიკვლეულ ორმო-სამარხში დადასტურდა: წელშეზნექილი ამფორა, ბრინჯაოს ქინძისთავი, ბრინჯაოს სამი ფიბულა, ტყვიის ოთხკუთხა ფილა-სანაფი, მინის სასმისი, სპილენძის 20 ნუმიანი, იუსტინე II-ის (565-578 წწ.) მონეტა. ნამოსახლარის დასავლეთ მონაკვეთზე იმპერატორ კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) სპილენძის მონეტაც აღმოჩნდა. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა გამორჩეულ სიახლოვეს იჩენს ბიჭვინთის, სოხუმის, ოჩამჩირის, ციხისძირის, გუდავის და ნოქალაქევის არქეოლოგიურ მონაპოვართან. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვაქვს ფლავიუს არიანეს, პროკოფი კესარიელისა და აგათიას თხზულებებში აღწერილი ქ. ფასისის ნაშთებთან (არქეოლოგიური მასალის შესახებ დაწვრილებით იხ. [გამყრელიძე 1987: 97-117; გამყრელიძე 2003: 170-185; გამყრელიძე 2002: 70-101; Gamkrelidze 1992: 101-119; Гамкრелиძე 1992: 30-48]). ქვედა ფენებში ძვ.წ. IV-III სს. სხვა არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად დამლიანი კოლხური ამფორის ყურიც დადასტურდა.

ფოთში, „ნატეხების“ ქვედა ფენაში აღმოჩენილი კოლხური ამფორის ყურზე მკაფიოდ რელიეფური დამლა ზედა მხარეზეა დასმული. ყური ოვალურგანივკვეთიანია. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ხაოიან-ფოროვანია. დამლა წრიულია (დმ – 1,9 სმ) და შიგ ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. დამლა ანეპიგრაფიკულია. ჯვარი ყურთან მიმართებაში გადახრილია (სურ. 2).




სურ. 2

სულ ცოტა ხნის წინ წრიულდამლიანი კოლხური ამფორები მეცნიერებისათვის უცნობი იყო. ამჯერად კი უკვე აღმოჩენილია და ცნობილია წრეში ჩასმულ ჯვრიანი დამლები, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან – ფოთიდან, ფიჭვნარ-ჩოლოქიდან, ვანის ნაქალაქარიდან (იხ. სურ. 1, გავრცელების რუკა). სულ დღესდღეობით დოკუმენტურად ცნობილია ცხრა ცალი. კიდევ ერთი ეგზემპლარი ზეპირი გადმოცემით დასტურდება. ამ ტიპის სამი დამლა დაფიქსირებულია ადგილობრივი წარმოების ქვევრზე. სხვებთან შედარებით განსხვავებული ჯვარი, ერთი ცალი, ჯამზეც აღმოჩნდა.

**ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორებისა და ქვევრების ჩამონათვალი:**

1) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამლით აღმოჩნდა ჩოლოქის ნამოსახლართან, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. თარიღდება ძვ.წ. III ს. ინახება ქობულეთში ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის ფონდში (იხ. [ცეცხლაძე, იაშვილი 1991: 58-61]); (სურ. 3).



სურ. 3

2) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 213-212; სავ. № 07:1-04:470. ფენა ძვ.წ. IV-II სს-ის არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 4).



სურ. 4

3) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მონითალო-ყავისფერია და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 222; სავ. № 07:1-74:360. ფენა ძვ.წ. IV-II სს-ის არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 5). [გიგოლაშვილი, კაჭარავა და სხვ. 1979: ტაბ. 5, სურ. 30].



სურ. 6

5) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. წრე მთლიანად არ არის ჯვრით შევსებული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 213; სავ. № 07:1-03:65. ფენა ძვ.წ. IV ს-ის მიწურულისა და II ს-ის არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 7).



სურ. 5


4) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; ნაკვეთი 67, ცისტერნასთან; სავ. № 07:1-79:2067. ფენა ძვ.წ. II-I სს-ის არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 6) (ფოტო მოგვანოდა არქეოლოგმა ნ. მათიაშვილმა).



სურ. 7

6) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური მომრგვალებულ მკლავიანი სვასტიკის დამლით. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; ნაკვეთი 127-142; სავ. № 07:1-04:2287. ფენა ძვ.წ. III-I სს-ის არტეფაქტებს შეიცავს (ფოტო მოგვანოდა არქეოლოგმა გ. კვირკველიამ); (სურ. 8).





სურ. 8

7) კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური ჯვრიანი დამლით. ჯვრის ქვედა მხარე ოდნავ წაგრძელებულია. ჯვრის გარშემო წრე არ შეიმჩნევა. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცეები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა მდ. სულორთან, ვანის ნაქალაქარიდან აღმოსავლეთით, ადგილ „მშვიდობის გორაზე“ ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვების დროს; სავ. № 07:9-05:34. იქვე დადასტურდა ძვ.წ. III-I სს-ის არტეფაქტები (სურ. 9).




სურ. 9

ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კოლხური ამფორის კიდევ ერთი ჯვრიანდამლიანი ყური აღმოჩნდა (სამწუხაროდ, სადღეისოდ უცნობია მისი შენახვის ადგილი. ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა ს. ხარაბაძემ).

8) ადგილობრივი წარმოების ქვევრის პირზე წრიული დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცეები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია.


აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 222; სავ. № 07:1-74:277. ფენა ძვ.წ. III-ახ.წ. IV სს-ის არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 10).



სურ. 10

9) ადგილობრივი წარმოების ქვევრის სამკუთხაგანივკვეთიან პირზე წრიული დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცეები შეიმჩნევა. ზედაპირი ხორკლიან-ფოროვანია. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკვეთი 221; სავ. № 07:1-70:329. ფენა ძვ.წ. III-ახ.წ. IV სს-ის არტეფაქტებს შეიცავს. ქვევრის ეს ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულ ადრეშუასაუკუნეების ქურასთან აღმოჩნდა. სადღეისოდ, სამართლიანად ფიქრობენ, რომ ეს კერამიკა ძვ.წ. IV-III სს-ის უნდა იყოს (შეადარე: [ცეცხლაძე, იაშვილი 1991: 59]).

10) ადგილობრივი წარმოების ქვევრის მხრის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი აქვს. აღმოჩნდა გურიანთას ნამოსახლარზე, რომელიც მდ. სუფსის მარცხენა მხარეს (ოზურგეთის რ-ნი) მდებარეობს. ფენა ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება (სურ. 11); (იხ. [ვაშაკიძე 1971: 17]).



სურ. 11

ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა ჯამის ძირის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი ამშვენებს. ეს ჯვარი, სხვებთან შედარებით განსხვავებულია. მას გაოთხმაგებული მკლავები აქვს. თიხა მოყავისფროა და მასში მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვანი ნამცეცები შეიმჩნევა. ნაკვეთი 191-194; საგ. № 07:1-75:203. ფენა ძვ.წ. III-I სს. არტეფაქტებს შეიცავს (სურ. 12), [გიგოლაშვილი, კაჭარავა და სხვ. 1979: 44].


საყურადღებოა, აგრეთვე, რომ სოფ. პატარძელში (საგარეჯოს რ-ნი) აღმოჩენილ სამარხეულ კომპლექსში, ადგილობრივი წარმოების სამტურჩა დოქი დადასტურდა, რომლის სახელურის თავზეც ჯვრიანი დამლა დასმული. კომპლექსი ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. თარიღდება (იხ. [ნარიმანიშვილი 1999: 68, სურ. 1]).



სურ. 12

ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები, დღესდღეობით, კოლხეთის გარდა, არსად არ არის მიკვლეული. ისინი, სტრატეგრაფიული მონაცემების და არტეფაქტების კონტექსტზე დაყრდნობით, ძირითადად ძვ.წ. IV ს-ის მინურულით-II ს-ით უნდა დათარიღდეს. დამლებზე, ჯვრის ფორმების გარკვეული სხვადასხვაობა შეიმჩნევა. შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენილ ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორების ყურზე და ყელზე, ხშირად სხვადასხვა ნიშნებია ამოკანრული. ჯერჯერობით ამგვარი ნიშნების ოცდაათამდე სახეობაა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ დაახლოებით ასეთი ნიშნები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-დან ქვევრებზე, ხოლო ძვ.წ. III ს-დან კრამიტებზე და სანაფებზეც ფიქსირდება. ისინი,

მეცნიერების მიერ, ძირითადად ქვევრების, ამფორებისა და კრამიტების დამამზადებელი სახელოსნოების ნიშნებადაა მიჩნეული [იხ. ფუთურიძე 2003: 102-103]. ამ ნიშნებს შორის არის ჯვრის ნიშან-გრაფიკობიც (სურ. 13).



სურ. 13

წრეში ჩასმული წვრილტანა ჯვრიანი დამლები ცნობილია თაზოსში დამზადებულ ამფორებზე. მაგრამ აქ მკლავებშია ოთხ სივრცეში ჩასმული ბერძნული ასოები [Брашинский 1980: 233, სურ. 132; Bon 1957 : 167 ; Монахов 1999: 233]. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამლიანი თაზოსური ამფორები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული.

ქუთაისთან, სოფ. ჭოგნარში, ფარნალის გორის ნამოსახლარზე, ძვ.წ. VII-VI სს-ის ფენაში მიკვლეულია ორი, გამომწვარი თიხის, დამლის დასასმელი საბეჭდავი (საგ. №№ 227, 229; ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია, ხელმძღვანელი ოთ. ლორთქიფანიძე, 1964 წ.).


დამლების დასასმელი საბეჭდავები – ქვის, თიხის ან ლითონისაგან იყო დამზადებული. მაგალითად, თიხის საბეჭდავები ფარნალის გორის ნამოსახლარიდან (სოფ. ჭოგნარი) ან ძვ.წ. V-III სს-ის უფლებრივი დასადამლი ლითონის საბეჭდავები გუადიხუდან, ვანიდან, ქობულეთის ფიჭვნარიდან, ეშერადან, დაბლაგომიდან, დაფნარიდან და სხვ. [ლორთქიფანიძე მარ. 1975: 14-73].

**ჯვრის შესახებ:** ჯვარი იდუმალი საკოორდინაციო, უნივერსალური სიმბოლოა. ის პირველად პალეოლითის პერიოდში გამოსახეს და მას შემდეგ წამყვანი ადგილი უჭირავს კაცობრიობის სიმბოლიკაში. ჯვარი უხსოვარი დროიდან ასახავს ადამიანის შეხედულებას გარემო სამყაროზე. ჯვარს ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ორნამენტულ და მითოლოგიურ სიუჟეტებში, რომლებიც არქეოლოგიურ არტეფაქტებზე სხვადასხვანაირი გრაფიკითა და კომბინაციითაა გამოსახული. ის ხშირად ორნამენტული ქარგის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და უმეტესი კომპოზიციების განაწილების საფუძველია. ჯვარი წრესთან ერთად სამყაროს აღქმის უმთავრესი ნიშანია.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯვარი წარმოიქმნა განმკლავში მდგომი ადამიანის გამოსახულებიდან და მისი სიმბოლოა; აგრეთვე, ხახუნით ცეცხლის გასაჩენი ჯვრისებრ დადებული ჯოხებისაგან და აღიქმება, როგორც ცეცხლისა და მცხუნვარე მზის სიმბოლოდ. ჯვარი, ასევე შეიძლება სიმეტრიულად დაგეგმარებული საცხოვრისის სიმბოლოც იყოს, რომელიც ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფოდა. მის ცენტრში, მთავარ მოედანზე იკვეთებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული გზები. ჯვარი, კოსმოგონიურ-საკრალური, მაგიური შინაგანი არსის სიმბოლოა და სამყაროს ოთხ მხარეს უნდა მიანიშნებდეს. ის წერტილოვანი ცენტრიდან ოთხმხრივ უსასრულოდ ვითარდება. მისი ჰორიზონტალურ-ვერტიკალური კვეთა ცენტრიდან გამომდინარე ოთხ მიმართულებას აღნიშნავს. ამ ცენტრის გარშემო ჯვარი სიმეტრიულადაა ორგანიზებული.

წრეში ჩასმული ჯვარი, ოთხ ნაკვეთად დაყოფილი მბრუნავი წრეა, რომელიც მზის უძველესი არქეტიპი და კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. ჯვრის შემდგომი განვითარებაა სვასტიკა, რომელიც ჯვრის მკლავების დაბოლოებების გადახრით მიიღწეოდა და აგრეთვე უძველესი სიმბოლოა [იხ. ხიდაშელი 2001: 63-65]. ის მბრუნავ მზეს, ბორჯღალს გამოხატავს.

როგორც ჩანს, ჯვარი იმთავითვე საკულტო-საკრალური დანიშნულების სიმბოლო-ნიშანი იყო. შემდგომ, IV ს-დან ჯვარი ქრისტიანობის ძირითად კანონიკურ, წმინდა სიმბოლოდ იქცა. ქართულ წერილობით ნყაროებში პირველად იაკობ ცურტაველის V ს-ის ნაწარმოებში (ნაწ. მე-16) [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1964: 26] მოიხსენიება. საყურადღებოა, რომ ძველი ქართული ასომთავრულის „ჯან“ ასო-ნიშანი ჯვრის მოხაზულობით ხასიათდება და თავზე ჰორიზონტალური ხაზი აზის. სწორედ მდგარი ჯვრის ფორმა აქვს, აგრეთვე „ქან“ ასო-ნიშანს (სურ. 14); [იხ. გამყრელიძე თ. 1989: 165, 179].



სურ. 14

ჯვარი მედიტერანულ სივრცეში წინა აზიის არეალიდან გავრცელდა. გამორიცხული არ არის, რომ ის კავკასიიდანაც გავრცელებულიყო. ამას გარკვეულწილად ადასტურებს ჯვრის ხშირი გამოსახვა კავკასიაში აღმოჩენილ ადრეული სამინათმოქმედო ხანის, თრიალეთის კულტურის და საერთოდ ბრინჯაოსა და რკინის ეპოქის, კლასიკური ეპოქისა და საერთოდ წინაქრისტიანული პერიოდის არქეოლოგიურ არტეფაქტებზე. ჯვრების სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება ჭურჭელზე, საბრძოლო და შრომის იარაღებზე, სამკაულებზე და სხვ. მრავლადაა დადასტურებული ჯვრების გამოსახულებები – კერამიკაზე, ოქროზე, ვერცხლზე, ბრინჯაოზე, რკინაზე, ქსოვილზე, ქვაზე. კავკასიაში წინაქრისტიანულ ეპოქაში, როგორც ჩანს, ჯვარს საკულტო თუ ყოფით ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. V ს-დან ქრისტიანულ საქართველოში ვრცელდება წრეში ჩასმული ჯვრები, რომლებიც „ბოლნური“ ჯვრის სახელითაა ცნობილი. ისინი ზოგადად წინაქრისტიანულ ეპოქაში დადასტურებული წრეში ჩასმულ ჯვრებს ჩამოგვანან.

კოლხური სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება მზე იყო. მაგალითად, ამას ადასტურებს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ.წ. III ს-ის ოფიციალური წარწერაც, სადაც მე-18 სტრიქონში მოიხსენიება მზის ღვთაება – ჰელიოსი. ძველ სამყაროში მას აიგივებდნენ ზევსთან, აპოლონთან, ოსირისთან, იუპიტერთან, მითრასთან. კოლხთა უპირველეს ღვთაებად, აპოლონიოს როდოსელი თვლის ჰელიოსს (მზეს), კოლხეთის მეფის აიეტის მამას. მზე ნაყოფიერების კულტთანაც იყო დაკავშირებული [ყაუხჩიშვილი 1987: 139-142]. მზის სიმბოლოდ ჯვარი, სვასტიკა, ბორჯღალი, წრეა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ რომელიმე კოლხმა წარჩინებულმა თავის ემბლემად აირჩია ჯვარი, რომელიც სიმბოლურად ღვთაება მზეს გულისხმობდა.

**კოლხური ამფორების შესახებ:** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში იმპორტული ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავიზღვისპირეთის და ხმელთაშუაზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები [ფუთურიძე 1976: 79-90].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ადგილობრივი „კოლხური ამფორების“ (resp. ყავისფერთიხიანი) წარმოება. ამ პერიოდისათვის კოლხური ამფორები სინოპურს ჰგვანან. დასავ-



ლეთ საქართველოს კოლხური ამფორების მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვარში, ფორმის, მოცულობის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები შეინიშნება [იხ. ფუთურიძე 2003: 98-109; Путуриძე 1977: 68-71; ლორთქიფანიძე 1966: 137-140; კახიძე 1971: 55-63; Лордкипаниძე Г. 1970: 81-82; გამყრელიძე 1982: 96-98; Брашинский 1980: ტაბ. XXIII; Внуков, Цецхладзе 1991: 170-185; ხალვაში 2002: 10-20 და სხვ.]. აგრეთვე სხვაობაა ქრონოლოგიურადაც. კოლხური ამფორები, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ადგილას მზადდებოდა. ეს, ადგილობრივი წარმოების ამფორები ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ. VIII ს-მდე და შემდეგაც სხვადასხვა მოდიფიკაციით კეთდებოდა (ტაბ. I). ზოგადად, კოლხური ამფორები ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1) ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის-III ს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები სინოპურს გვანან, ოლონდ თიხის ზედაპირი უფრო ხორკლიანია, ფერი კი მოყავისფრო. გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. ადგილობრივი, კოლხური ამფორების კორპუსი კვერცხისებურია, ლილვაკისებური პირი და ცილინდრული ყელი აქვს; ქუსლი ნაკვეთილი კონუსისებურია, ცილინდრულთან მიახლოებული; ყურები თანაბრად მორკალური და ჭრილში ოვალურია (ტაბ. I).

2) ძვ.წ. II-I სს-ის კოლხურ ამფორებს წელზე შეზნეპილობა უჩნდებათ; ყელი ცილინდრულია და შედარებით მოკლე; ოვალურგანიკვეთიანი ყურები თანაბრად მორკალური და შედარებით მოკლეა; თიხა ზედაპირზე ხორკლიანია და მოყავისფრო ელფერისაა; გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. საერთოდ, კოლხური ამფორების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ფსკერზე სპირალური ხვია (ტაბ. I), რომელსაც ზოგი მეცნიერი ე.წ. ვარდულისებურსაც უწოდებს. ამგვარი სპირალური ხვია უცხოური ამფორებისათვის არ არის დამახასიათებელი. კოლხური ამფორების თიხის სტრუქტურა ხაოიან-ფოროვანია. თიხა შეიცავს მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვან ნამცეცებს. შერეულია დიაბაზის და ბაზალტის, პიროქსენიტების, კვარცის, ქარსის, რკინის ჰიდროჟენის მინარევები და სხვ. ჩატარებულია თიხის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი, რის შედეგადაც დადასტურდა, ადგილობრივი, კოლხეთის სხვადასხვა რეგიონის თიხასთან მათი იდენტურობის ფაქტი [იხ. მორჩაძე 1979: 81; ფოფორაძე, ფარადაშვილი, ახვლედიანი, გასიტაშვილი 2006: 220-224].

ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება ნიშნები (მაგ. იხ. სურ. 13). შესაძლოა ისინი ხელოსნის მიერ ამფორის მოცულობას ან რაოდენობას აღნიშნავდეს. კოლხურ ამფორაზე დატანილი ნიშნები ჰგავს ადგილობრივ დამზადებულ ქვევრებზე და კრამიტზე აღბეჭდილ ნიშნებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ადგილობრივ ამფორას ზედაპირი ისევე აქვს დამუშავებული, როგორც ადგილობრივ ქვევრებს – ვერტიკალურ ხაზებიანი ჰორიზონტალური სარტყლებით [Путуриძე 1977: 68-69].

კოლხეთში აღმოჩენილია კერამიკის გამოსაწვავი ქურები, სადაც სხვა ტიპის კერამიკის ნატეხებთან ერთად ამფორების ფრაგმენტებიცაა დადასტურებული. ასეთი ქურა აღმოჩენილია სოფელ გვანდრასთან (აფხაზეთი), რომელიც ძვ.წ. III ს-ისაა. ასეთივე ქურაა ქ. სოხუმთან „ნითელი შუქურას“ ნამოსახლარზე. ქურის ნაშთებია შესწავლილი აგრეთვე სოფ. გულრიფშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარზე.

ძვ.წ. II ს. მეორე ნახევრის და ძვ.წ. I ს. კოლხურ ამფორებს ფსკერზე ისევ სპირალური ხვია აქვს. ცილინდრული ქუსლი უფრო სოკოსთავისებრ მომრგვალებულ ფორმას იღებს და ბოლო უფრო შესქელებულია. ზოგი მეცნიერი მას ე.წ. ლილისებურსაც უწოდებს. ამ პერიოდის კოლხური ამფორების კედელი შედარებით თხელია. ამფორებს ტანზე უფრო შესამჩნევი შეზნეპილობა უჩნდებათ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს შეზნეპილობა ამფორის ხმელეთზე ტრანსპორტირებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ამფორას უფრო ადვილად მოედებოდა შეზნეპილობაზე ბანარი და უფრო მოხერხებული იქნებოდა ცხენის ან ვირისთვის საპალნედ გადაკიდება. კოლხური ამფორების ტევადობა 13-დან 22 ლიტრამდე მერყეობს.

კოლხური ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.წ. II-I სს-ის ნამოსახლარებზე ისტორიული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. აქ თითქმის არ არის ამ პერიოდის ნამოსახლარი, სადაც ამგვარი ამფორები არ აღმოჩენილიყო. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ ეს ამფორები ადგილობრივი, კოლხური წარმოებისაა. კოლხური ამფორები დადასტურებულია შემდეგ პუნქტებში: ეშერაში, ქ. სოხუმში, ქ. ოჩამჩირეში, მდ. ენგურის ხეობაში, ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. ურეკში, მდ. სუფსა-ნატანების შუამდინარეთში, სოფ. ციხისძირში, ქ. ქობულეთის ფიჭვნარში, სოფ. მახვილაურში, ქ. ბათუმში, სოფ.



გონიოში, სოფ. ბუკისციხეში, სოფ. გურიანთაში, სოფ. დაფნარში, სოფ. დაბლაგომში, სოფ. მთისძირში, ქ. ქუთაისის მიდამოებში, სოფ. საგვიჩიოში, ქ. ვანში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვ. ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა ნამოსახლარებზე აღმოჩენილი. ესენია – გორგიპია, კიტეი, კეპი, ნეაპოლი (სკვითური), ქერსონესი, დონუზლავი, ბელიაუსი, კარატობე, კერკინიტი და სხვ. [Внуков, Цецхладзе 1991: 170-185].

3) ძვ.წ. II-I სს. კოლხური ამფორების შემდგომი პერიოდის გაგრძელებად ახ.წ. II-III სს. ე.წ. ყელნიბოიანი ნელშეზნეცილი ამფორები უნდა იყოს, რომლებსაც წაგრძელებული ტანი, თითქმის თანაბრად მორკალული ყურები და ფსკერზე აგრეთვე სპირალური ხვია ახასიათებთ. მათი კედელი შედარებით კიდე უფრო თხელია და ყელზე, ყურების მიძერწვის ადგილზე გამოხატული ნიბო აქვთ, რომელიც შიდა მხრიდან ოდნავ ჩაზნეცილია. ამ ტიპის ამფორები მიკვლეულია – ბიჭვინთაში, სოხუმში, ეშერაში, ნებელდაში, ფოთში (პალიასტომი), ურეკში, ქობულეთის ფიჭვნარში, ციხისძირში, გონიოში და სხვ. (ტაბ. I<sub>3</sub>); [ხალვაში 2002: 10-20].

4) ახ.წ. III-IV სს-დან ნელშეზნეცილი და ფსკერზე სპირალურხვიაანი კოლხური ამფორების ახალი ტიპი ვითარდება. ამ ამფორებს ყურები მკვეთრად აქვთ ზედა ნაწილში მოხრილი და ტანი კიდე უფრო ვიწრო და წაგრძელებული აქვთ. ზოგიერთ ეგზემპლარს ტანზე დაბალი გოფრირება უჩნდება. ყურები განივკვეთში ოვალურობას კარგავს და უფრო ბრტყელი ხდება (ტაბ. I<sub>4</sub>).

**დამღების შესახებ:** დამღის დასმა, ხელშეუხებლობისა და ნივთის ან ჭურჭლის შიგთავსის ვისიმე საკუთრებას ნიშნავდა. დამღა მას, ამ ქონებას, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელყოფისაგან სამართლებრივად იცავდა. დამღა დაახლოებით ისეთივე უფლებრივი ნიშანი იყო, როგორც მონეტაზე გამოსახული ემბლემები. მისი გამოსახვა მხოლოდ გარკვეული წარჩინებული პირების (კოლხეთში – სკეპტუხი, მეფე, მთავარი ქურუმი) პრეროგატივა იყო. მას ძირითადად სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარჩინებული პირები და მაღალი რანგის მოხელეები ფლობდნენ და იყენებდნენ. ამიტომ, დამღა იურიდიული ხასიათის დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

წრეში ჩასმული ჯვარი შესაძლოა კოლხეთის რომელიმე ქალაქური დასახლების, რეგიონის უფლებამოსილი წარჩინებული პირის ნიშანია, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი კერამიკული

სახელოსნოების ნაწარმი ასეთი ემბლემით იდამღებოდა. ასეთი საქალაქო ცენტრი შეიძლება „ვანი“, „ქობულეთ-ფიჭვნარი“ ან ფასისი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით კოლხეთის ნედლეული და ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე გაედინებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ეს დამღები მეფის მოხელისაც იყო, რომელსაც ამფორების ტარის წარმოების კონტროლი ევალებოდა და გარკვეული კავშირ-პასუხისმგებლობა გააჩნდა ამ ამფორებით გადასატანი სავაჭრო პროდუქციის ხარისხზე. თუკი დიოსკურია-ეშერიდან ძვ.წ. III ს. კოლხური ამფორების ცნობილ დამღებს გავითვალისწინებთ, რომელზედაც ქალაქის სახელია აღნიშნული [იხ. ფუთურიძე 2003: ტაბ. I<sub>3</sub>], მაშინ შესაძლოა, რომ ჯვრიანი დამღაც, რომელიმე სხვა კოლხური ქალაქის ემბლემად ჩაითვალოს, მაგალითად, სავაჭრო ქალაქ ფასისის.

**ქ. ფასისის შესახებ:** ეს ქალაქი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო [Lordkipanidze 2000; გამყრელიძე 2003: 170-185; Braund 1994: 102-103; Гамкრелидзе 1992: 6-29; და სხვ.]. მას შემდეგი ავტორები მოიხსენიებენ: ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს), არისტოტელე, პლატონი, ჰერაკლიდე ლემბოსი, ჰიპოკრატე, თეოკრიტე, სტრაბონი, ფსევდო-პლუტარქე, პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი (უფროსი), პომპონიუს მელა, ფლავიუს არიანე, კლავდიოს პტოლემეოსი, ფსევდო-ორფევსი, თემისტოისი, კასტორიუსი, ამიანე მარცელინუსი, ზოსიმე, სტეფანე ბიზანტიელი, აგათია, თეოფანე ქრონოგრაფი, გიორგი კედრენე და სხვ. [იხ. გამყრელიძე 2003: 170-173]. ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი: ვერცხლის ფიალა (დმ. 21 სმ), ბერძნულ წარწერიანი – „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია“ – თარიღდება IV ს-ით [იხ. ორდკიპანიძე 2000: 37]. სოფ. ციხისძირში, თიხის ფილაზე, ლათინურ წარწერიანი დამღა აღმოჩნდა VEX[illatio]FA[siana], რომელსაც ქ. ფასისში II ს-ში დამზადებულად მიიჩნევენ [იხ. შპაიდელი 1985: 134-140; Todua, Gamkrelidze 2006: 225-238]. ქ. ფოთთან (ფასისთან) VI ს. ამფორაზე გრაფიტი – ფა, ხოლო აქვე ზღვაში გრაფიტოიანი (BIK) სინოპური ამფორა აღმოჩნდა (დანვრელებით იხ. [გამყრელიძე 2003: 170-185; Gamkrelidze 1992: 101-119]

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი დადასტურებულია სოფ. ქვემო ჭალადიში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით). ბორცვის ფართობი 1800 კვ.მ. მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასისის სასოფლო გარემოცვად, აღმოჩნდა სოფ.

საქორქოს აღმოსავლეთ ნაწილში, „სიმაგრეს“ სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში. ბორცვი 3300 კვ. მ-ს მოიცავს [მიქელაძე 1978: 43-77].

უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის მდებარეობის შესახებ დაცულია სტრაბონის „გეოგრაფიაში“: „ფასისზე მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემოტყმული მდინარით (რიონით), ტბით (პალიასტომით) და ზღვით“ (XI, 2, 17). ეს აღწერილობა დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას ესადაგება. საყურადღებოა აგრეთვე ქ. ფასისის თვითმხილველის, რომის იმპერიის მაღალი რანგის მოხელის, II ს. ავტორის ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერაში შემონახული ცნობა: ფასისის „... ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი მეომარი, მეჩვენა მეტად მიუდგომლად ადგილის მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზეა მოთავსებული... ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდებისთვის.“ (Arr., PPE, 9). ჰიპოკრატე (ძვ.წ. 460-336 წწ.) თვითმხილველია მდ. ფასისის მიდამოებისა. იგი ცნობებს გვანჯდის ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის შესახებ – „... ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ მოგითხრობთ: ეს მხარე ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტენიანი.“ „... ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ; ხისა და ლერწმის სახლებია აგებული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქსა (ქ. ფასისში) და სავაჭრო პუნქტებში (ემპორიონში), არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ... ნავებით, რადგან არხები ბევრია“ (ჰიპოკრატე, „ჰაერთა ...“ 15) [ყაუხჩიშვილი 1965: 45]. ჩანს, რომ მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელის მოსახლეობა სპეციალურ სავაჭრო პუნქტში, ფასისის ემპორიონში დადიოდა. ჰიპოკრატეს ამ ნაწერიდან აგრეთვე, თითქოს, ისიც ჩანს, რომ ფასისის დელტაში მდებარე ადგილი ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო პუნქტია. საერთოდ, ვაჭრობის კონცენტრირება სპეციალურ ადგილებში პროტოურბანისტულ ცენტრზე მიგვანიშნებს. საფიქრებელია, რომ როცა ბერძნები გამოჩნდნენ მდ. ფასისის შესართავთან, აქ პროტოურბანისტული ცენტრი ფასისი უკვე იყო (გავიხსენოთ, ამ ტერიტორიაზე არსებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები). ბერძნებმა ეს პუნქტი აღიქვეს როგორც ქალაქი და სავაჭრო ცენტრი (ემპორიონი). მათ ამ სავაჭრო დასახლებასთან დაამყარეს კონტაქტი და დროთა განმავლობაში აქვე გაჩნდა ბერძნული დასახლებაც. ფასისში გახსნილი ბერძნების ახალშენი დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლე-

ობასთან კონტაქტების შედეგად სიმბიოზს განიცდიდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან – ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდეფუ, საგვიჩიო (ზურგანი, კონშა), ნალმიპიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვ. [იხ. ჯიბლაძე 2001: 34-38 და რუკა] – მოგვიანებით, ალბათ, ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა, კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა და ის ურბანისტულ ცენტრად განვითარდა. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი ნამოსახლარებიც ამას მოწმობს. აქ ძვ.წ. VI ს-ის უცხოური ნაწარმი მცირეა. იმის მიუხედავად, რომ კლასიკური პერიოდის ფასისის ადგილმდებარეობა წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია, დღეისათვის მისი ზუსტი მდებარეობა უცნობია. ამჟამად აღმოჩენილია მხოლოდ III-VIII სს-ის ფასისის ნაშთები [იხ. გამყრელიძე 2003: 179].

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო სატრანზიტო სავაჭრო გზის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო. ქ. ფასისის საშუალებით უცხოეთში გადიოდა რკინა, საამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ცვილი, ღვინო და სხვ. [ლორთქიფანიძე 1966: 117-120; გამყრელიძე 1992: 6-18].

**ამრიგად,** დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში აღმოჩენილი უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და სხვა არტიფაქტების მოშველიება-გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან II საუკუნის ჩათვლით კოლხეთში მზადდებოდა ამფორები, რომლებზედაც ტვიფრავდნენ უფლებრივ, სავაჭრო დამლებს, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საქალაქო ცენტრებში. ვფიქრობთ, ეს დამლები კოლხეთის რომელიმე საქალაქო ცენტრის (მაგ. ფასისის) ან რეგიონის წარჩინებული პირის უფლებრივი ემბლემაა. ეს პიროვნება ამფორების წარმოებას აკონტროლებდა და პასუხისმგებლობას იღებდა ამ სავაჭრო ტარით გადაზიდული პროდუქციის ხარისხზე. ეს კი, თავის მხრივ, მიანიშნებს იმდროინდელი კოლხეთის საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეზე და მისი ინტეგრაციის თვისობრივ ხარისხზე ხმელთაშუა და შავი ზღვის დაწინაურებულ საქალაქო ცენტრებთან.

COLCHIAN AMPHORA WITH AN ANEPIGRAPHIC CROSS STAMP FROM POTI-PHISIS.

Summary

An archaeological expedition has discovered a highly noteworthy stamp at the "Natekhebi" locality, on the west shore of Lake *Paliastomi*, Poti, Georgian Black Sea littoral. Here the soil is highly clayey-sandy, with a clay-peat layer under it, where archaeological material of the 4<sup>th</sup>-2<sup>nd</sup> cc BC was found, namely, a profiled foot of an Attic black-gloss vessel and the base of a *Rhodian* amphora [see Gamkrelidze, G. 1992, pls. 5, 6]. Here was also found a fragment of a Colchian amphora with a cross stamp. Below, I shall try, as far as possible, to determine the significance of this discovery for the history of Colchis. This implies discussion of such questions as: 1. The archaeological context of the discovery of the stamp; 2. The topography of other cross-stamps, attested in Colchis; 3. The meaning of cross as a symbol; 4. The question of the manufacture of amphoras or trading containers in Colchis; 5. Stamps as a proprietary trade mark; 6. *Phasis*, the place of discovery of the stamp, as a trade centre.

A high relief stamp is fixed on the upper part of the handle of the Colchian amphora discovered in the lower layer of "Natekhebi". The handle is of oval section; the clay brownish, with whitish and blackish noticeable in it; the surface is coarse-nappy-porous. The stamp is circular (diam.: 1.9 cm), with an equal-beam cross in it; the stamp is anepigraphic; the cross is slanted in relation to the handle (pl. II, fig. 1).

Until quite recently, circular stamped Colchian amphoras were unknown to scholarship. At present cross stamps placed within a circle have been brought to light, resembling one another: from *Poti*, *Pichvnari-Choloki*, former city site of *Vani* (see pl. I, map of distribution). To date nine specimens are known in all. One piece is attested by oral communication. The stamps of this type are attested on a wine jar of local production. A single cross, differing from others, was found on a bowl too.

To date cross-stamped Colchian amphoras have not been traced anywhere beyond Colchis. Basing on the stratigraphic data and context of artifacts, they must be chiefly dated to the end of the 4<sup>th</sup> cent.-2<sup>nd</sup> cent. BC. The cross shapes on the stamps differ somewhat. Various signs are often scratched on the handle and neck of 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> cent. BC Colchian amphoras, brought to light in abundance in Western Georgia, dating from a later period. To date up to thirty varieties of such signs have been recorded. It should be noted that approximately similar signs are evidenced in Colchis on wine jars from the 4<sup>th</sup> century BC, and on tiles and weights from the 3<sup>rd</sup> cent. BC. They are considered by scholars to be largely marks of the workshops that manufactured wine jars, amphoras and tiles. Among these signs there are sign-graffiti also.

The manufacture of local "Colchian amphoras" (resp. *brown-clay*) began from the second half of the 4<sup>th</sup> cent. BC. By this period, Colchian amphoras resemble their *Sinopean* counterparts. In the numerous archaeological finds of Colchian amphoras of western Georgia, different typological variants are noticeable in terms of form, capacity and clay. There is a difference chronologically as well. Colchian amphoras appear to have been manufactured at many sites on the territory of western Georgia. Amphoras of local production from the second half of the 4<sup>th</sup> cent. BC to the 3<sup>rd</sup> cent. BC were made subsequently too with various modifications.

Colchian amphoras have been discovered in large numbers on settlement sites of the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> cent. BC all over the territory of historical Colchis. There is almost no former settlement site here with such amphoras not coming to light. It is almost unanimously acknowledged in the specialist literature that these amphoras are of local, Colchian, manufacture. Colchian amphoras are attested at the following points: *Eshera*, *Sukhumi*, *Ochamchire*, *the River Inguri valley*, *the area adjoining Poti*, *v. Ureki*, *the interfluvium of the Supsa-Natanebi*, *v. Tsikhisdziri*, *Pichvnari near Kobuleti*, *v. Makhvilauri*, *Batumi*, *v. Gonio*, *v. Bukistsikhe*, *v. Gurianta*, *v. Dapnari*, *v. Dablagomi*, *v. Mtisdziri*, *the environs of Kutaisi*, *v. Sagvichio*, *Vani and its environs*, and others. Colchian amphoras of the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> cent. BC have come to light at various settlement sites of the northern Black Sea area, namely *Gorgippia*, *Cythus*, *Cepoi*, *Naples (Scythian)*, *Chersonesus*, *Donuzlav*, *Belyaus*, *Karatobe*, *Cercinitides*, etc.

Thus, on the basis of the recent archaeological evidence discovered in Western Georgia or Colchis, as well as by recourse to and consideration of other artifacts we may conclude that from the second half of the 4<sup>th</sup>-to the 2<sup>nd</sup> cent. BC inclusive amphoras were made in Colchis, on which proprietary, trade brands were stamped, as was the practice in Mediterranean and Black Sea urban centres. I believe these stamps constitute the proprietary (legal) emblem of an

urban centre (e.g. *Phasis*) of Colchis or of some person of advanced position who was in control of the manufacture of amphoras and assumed responsibility for the quality of the products, exported in these commercial vessels (containers). This, in its turn points to the higher level of development of the Cochian society of the period and to the quality of its integration in advanced urban centres of the Mediterranean and Black Seas.

## ლიტერატურა

- გამყრელიძე გ. 2002:** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი). თბილისი.
- გამყრელიძე გ. 1987:** წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. – მაცნე (ისტ. არქ. ... სერია), № 1, 97-117.
- გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.
- გამყრელიძე გ. 2003:** ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. – იბერია-კოლხეთი, № 1, 170-185.
- გამყრელიძე თ. 1989:** წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. თბილისი.
- გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფუთურიძე რ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1979:** ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი, ტ. IV, 41-114. თბილისი.
- ვაშაკიძე ნ. 1971:** გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლი. – სდსძ, II, 5-27.
- ვახიძე ა. 1971:** კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. – სდსძ, II, 28-66.
- ლორთქიფანიძე მარ. 1975:** კოლხეთის ძვ. V- III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1966:** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი.
- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.
- მორჩაძე თ. 1979:** შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა. თბილისი.
- ნარიმანიშვილი გ. 1999:** ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან. – ძიებანი, № 3, 68-70.
- ფოფორაძე ნ., ფარადაშვილი ირ., ახვლედიანი დ., გასიტაშვილი ან. 2006:** კერამიკის მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა (ვანის მასალების მაგალითზე). – ძიებანი, № 17-18, 220-224.
- ფუთურიძე რ. 1976:** იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან. – ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი, ტ. II, 79-90. თბილისი.
- ფუთურიძე რ. 2003:** ამფორების წარმოება კოლხეთში. – იბერია-კოლხეთი, № 1, 98-109.
- ყაუხჩიშვილი თ. 1987:** ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 131-143.
- ყაუხჩიშვილი თ. 1965:** ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
- შპაიდელი მ. 1985:** კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. – მაცნე (ისტ. არქ. ... სერია), № 1, 134-140.
- ცეცხლაძე გ., იაშვილი ი., 1991:** დამლიანი კოლხური ამფორის ფრაგმენტი ჩოლოქიდან. – სდსძ, XIX, 58-61.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1964:** ნ. I, ილ. აბულაძე (რედ.). თბილისი.
- ხალვაში მ. 2002:** კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. ბათუმი.
- ხიდაშელი მ. 2001:** სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2001:** დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა. – ძიებანი, № 8, 34-38.
- Брашинский И. Б. 1980:** Греческий керамический импорт на нижнем Дону. Ленинград.



- Внуков С. Ю, Цецхладзе Г. Р. 1991:** Колхидские амфоры Северо-Западного Крыма. - сб. Памятники железного века в окрестностях Евпатории, 170-185. Москва.
- Гамкრელიძე Г. 1992:** К археологии долины Фасиса. Тб.
- Лордкипანიძე Г. 1970:** К истории древней Колхиды. Тбилиси.
- Монахов С. Ю. 1999:** Греческие амфоры в Причерноморье. Саратов.
- Путуридзе Р. В. 1977:** Колхидские амфоры из Вани. – КСИА, № 151, 68- 71.
- Braund D. 1994:** Georgia in Antiquity. Oxford.
- Bon A. M. 1957:** Les timbres amphoriques de Thasos, Etudes thasiennes. Paris.
- Gamkrelidze G. 1990:** Travaux hydroarchéologiques de localisation de l'ancienne Phasis. – Lordkipanidzé O., P. Lévêque (eds.), Le Pont-Euxin vu par les Grecs, Paris, p. 223-236.
- Gamkrelidze G. 1992:** Hydroarchaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral). – The International Journal of Nautical Archaeology, London, New York, vol. 21, № 2, 101-119.
- Lordkipanidze O. 2000:** Phasis, The river and City in Colchis. Stuttgart.
- Todua T., Gamkrelidze G. 2006:** Stamps of Roman Military Units from the Eastern Black Sea Littoral (Colchis). - Ancient West and East, Brill, Leiden-Boston. vol. 5, № 2, 225-238.

## სურათების და ტაბულების აღწერილობა

- სურ. 1 – ჯვრიანი დამღების აღმოჩენების რუკა.
- სურ. 2 – ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ „ნატეხებში“ აღმოჩენილი ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური.
- სურ. 3 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირის ნამოსახლარზე.
- სურ. 4 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; საგ. № 07:1-04:470.
- სურ. 5 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; საგ. № 07:1-74:360.
- სურ. 6 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; საგ. № 07:1-79:2067.
- სურ. 7 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; საგ. № 07:1-03:65.
- სურ. 8 – კოლხური ამფორის ყური სვასტიკის დამღით. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; საგ. № 07:1-04:2287.
- სურ. 9 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორის ყური. აღმოჩნდა მდ. სულორთან, ადგილ „მშვიდობის გორაზე“.
- სურ. 10 – ქვევრის პირზე ჯვრიანი დამღა. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; საგ. № 07:1-74:277.
- სურ. 11 – ჯვრიანდამღიანი კოლხური ქვევრის ფრაგმენტი. აღმოჩნდა გურიანთას ნამოსახლარზე (მდ. სუფსასთან).
- სურ. 12 – ჯამის ფრაგმენტი, რომელსაც ჯვრის ტვიფრი ამშვენებს. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; საგ. № 07:1-75:203.
- სურ. 13 – ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორების ზოგიერთი ნიმუში.
- სურ. 14 – ქართული ასომთავრულის „ჯან“ და „ქან“ ასო-ნიმუში.
- ტაბ. I – 1. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის-III ს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები; 2. ძვ.წ. II-I სს-ის წელმეზნეკილი კოლხური ამფორები; 3. ახ.წ. II-III სს. ე.წ. ყელნიბოიანი წელმეზნეკილი კოლხური ამფორები; 4. ახ.წ. III-VIII სს. წელმეზნეკილი კოლხური ამფორები; 5. კოლხური ამფორისთვის დამახასიათებელი სპირალური ზვია.

## DESCRIPTION OF THE FIGURES AND PLATE

Fig. 1 – Map of the discovery of stamps with crosses.

Fig. 2 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp discovered at the location “Natekhebi”, on the western shore of Lake Paliastomi, at Poti.

Fig. 3 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found on a settlement site on the left bank of the Choloki river.

Fig. 4 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found on the upper terrace of the Vani city site; field no. 07:1-04:470.

Fig. 5 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found on the upper terrace of the Vani city site; field no. 07:1-74:360.

Fig. 6 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found on the lower terrace of the Vani city site; field no. 07:1-79:2067.

Fig. 7 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found on the upper terrace of the Vani city site; field no. 07:1-03:65.

Fig. 8 – Handle of a Colchian amphora with a swastika stamp. Found on the central terrace of the Vani city site; field no. 07:1-04:2287.

Fig. 9 – Handle of a Colchian amphora with a cross stamp. Found at the location “Mshvidobis Gora”, near the Sulori river.

Fig. 10 – A cross stamp on the mouth of a pithos. Found on the upper terrace of the Vani city site, field no. 07:1-74:277.


Fig. 11 – Fragment of a Colchian Pithos with a cross stamp. Found on the settlement site of Gurianta, at the river Supsa.

Fig. 12 – Fragment of a bowl, adorned with a stamp of a cross. Found on the upper terrace of the Vani city site; field no. 07:1-75:203.

Fig. 13 – Some signs of Colchian amphoras of the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> cent. BC.

Fig. 14 – Letter-signs of Georgian asomtavruli letters Ⴡ and Ⴢ.

Pl. I – 1. Colchian amphoras of the second half of the 4<sup>th</sup> cent – first half of the 3<sup>rd</sup> cent. BC; 2. Colchian amphoras with concave sides, 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> cent. BC; 3. Colchian amphoras of the 2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> cent. AD; 4. Colchian amphoras of the 3<sup>rd</sup>-8<sup>th</sup> cent. AD; 5. Spiral characteristic of a Colchian amphora.



## ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიგურლები

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა ბრინჯაოსა და ვერცხლისაგან დამზადებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ზოომორფული გამოსახულებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, როგორც ქართული მატერიალური კულტურისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საყურადღებო არტეფაქტები [მუხიგულაშვილი 1984; რობაქიძე 1990; Робакидзе 1995; რამიშვილი 2000, 2001, 2007 და სხვა]. ამგვარ არქეოლოგიურ მონაპოვარში განსაკუთრებით გამოირჩევა სხვადასხვა ცხოველთა ჰორელიეფური გამოსახულებები, რომელთა საფასადო მხარე საკმაოდ რეალისტურადაა მოდელირებული, ხოლო ნივთის უკანა, სქემატურად შესრულებული მხარე შედრმავეებულია და იქ მოწყობილია შესაბნევი, ნემსითა და ნემსის წვერის ამოსადები კაუჭით. მშვიდსაკინძის ფუნქციის მქონე ასეთ ნივთებს ზოომორფულ გამოსახულებიანი (ცხოველსახოვანი) ფიგურლები ვუწოდებთ და აღნიშნულ ჯგუფში გავაერთიანეთ:

**ირმის გამოსახულებიანი ფიგურლები:** ტაბ.

I<sub>1,2,4,5</sub>, ფშავის არაგვის ხეობა, ნეძიხის სამაროვანი; ტაბ. I<sub>3</sub>, მდ. არაგვის ხეობა, ჟინვალის სამაროვანი; ტაბ. I<sub>6</sub>, ფშავის არაგვის ხეობა, ბადრიანების სამაროვანი; ტაბ. I<sub>7</sub>, პანკისის ხეობა, ომალოს სამაროვანი.

**ჯიხვის გამოსახულებიანი ფიგურლები:** ტაბ.

II<sub>1,2</sub>, ფშავის არაგვის ხეობა, ნიფრანისძირის სამაროვანი; ტაბ. II<sub>3</sub>, ჩაჩოქილი ცხოველის გამოსახულება, საფიქრებელია ჯიხვისა, აკლია თავი, შემკულია ბურცობებით. უკანა მხრიდან აქვს შესაბნევი მოწყობილობა. სხეულის ნაკვეთებითა და კუდის მოყვანილობით ნიფრანისძირის ჯიხვის ფიგურების მსგავსია, აღმოჩენილია შემთხვევით სოფ. უსახელოში (ლენჩხუმი) [სულავა 1996: 81-82, სურ. 29; სულავა 1988: 111, ტაბ. III<sub>1</sub>].

**ცხენისა და ცხენ-მხედრის გამოსახულებიანი ფიგურლები:** ტაბ. III<sub>1,2,3,4</sub>, ფშავის არაგვის ხეობა, ნეძიხის სამაროვანი; ტაბ. III<sub>5</sub>, ფშავის არაგვის ხეობა, ბადრიანების სამაროვანი; ტაბ. III<sub>6</sub>, თელავის მუზეუმის ექსპონატი; ტაბ. III<sub>9</sub>, ხე-

ვი, გველეთის სამაროვანი [მინდორაშვილი 2005: 81-82, ტაბ. 11<sub>117</sub>]; ტაბ. III<sub>8</sub>, ცხენი მხედრით სოფ. დუისიდან, პანკისის ხეობა; ტაბ. III<sub>7</sub>, ცხენი მხედრით კლდეეთის სამაროვნიდან [ლომთათიძე 1957: 74, სურ. 12].

ფიგურლის ფუნქციის მქონე ცხოველსახოვან გამოსახულებათა თარიღზე მსჯელობისას ძირითადად ვეყრდნობით ამ ნივთების თანმხლებ სამარხეულ მასალებსა და მათი კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ანგარიშებსა თუ ნაშრომებს [რობაქიძე 1990; მუხიგულაშვილი 1984; Рамишвили и др. 1982, 1984, 1986, 1987, 1991]. ასევე ვითვალისწინებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილ პარალელურ მასალას.

ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიგურლებთან ერთად აღმოჩენილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნივთები: ჩალისფრად ან მონითალოდ გამომწვარი ყელწიბოვანი ხელაღები, პირმოყრილი და პირგადაშლილი ცალყურა ქოთნები, ბრინჯაოს წინწილები, ბრინჯაოსა და რკინის თავგახსნილი და რკალშეზნევილი სამაჯურები, ბუდეაბმული მშვილდსაკინძები, ვერცხლისა და ბრინჯაოს კითხვისწიშისებრი ან შედგენილი საყურეები, ბრინჯაოს აბზინდები, რომელთა შორის გამოირჩევა ლირისებრი ფორმის თავებგადაკეცილი ცალები, ბრინჯაოს კონუსური ზარაკები, ინსიგნია სარტყლები, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის მოთვალული ან სადა ბალთებით, მინის სანელსაცხებლები, რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდები, რომელთა უმეტესობა გემებითაა შემკული, მრავალრიცხოვანი მძივები, რკინის შუბისპირი, დანები, მახვილები და სხვ. (ტაბ. VI<sub>2</sub> ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული № 357 სამარხის კომპლექსი, გამთხრელი ვ. ჩიხლაძე; ტაბ. VI<sub>1</sub> ნეძიხის № 26-ე სამარხეული კომპლექსი, გამთხრელი ც. რობაქიძე). ის სამარხეული კომპლექსები, სადაც ცხოველსახოვანი ფიგურლებია აღმოჩენილი, დათარიღებულია ახ.წ. III-IV საუკუნეებით, რასაც მხარს უჭერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილი მსგავსი მასალები [აფაქიძე და სხვ. 1955; პაპუაშვილი 2006; სულავა 1996; ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995].



როგორც მდ. არაგვის ხეობაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, ზოომორფულ გამოსახულებიან ფიბულებს, როგორც ამ რეგიონში, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ადრეული შესატყვისები არ მოეპოვება, გარდა კლდეეთის მხედრისა, რომელიც სამაროვნის მთელ მონაპოვართან ერთად II საუკუნითაა დათარიღებული. ჩვენი აზრით, კლდეეთის მხედარიც ფიბულაა (შესაბნევი ნემსი აღარ გააჩნია) და იგი ძალიან გავს თელავის მუზეუმში დაცულ ცხენკაციან ფიბულას. კლდეეთის ნიმუში მოპოვებულია შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს და შეუძლებელია თანხმლები კომპლექსის დადგენა, თუმცა მასალის ნაწილი [ლომთათიძე 1957: ტაბ.VIII-XIII] შესაძლებელია III საუკუნითაც დათარიღდეს.

რაც შეეხება ცხოველსახოვან ფიბულათა დამზადების ტექნიკას, ყველა ნიმუში ჩამოსხმის წესით, ცვილის მოდელის გამოყენებითაა დამზადებული [რამიშვილი 2007: 29-30]. ყალიბიდან ნამზადის გამოღების შემდეგ გამოსახულებას უკეთებოდა შესაბნევი ნემსი, ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილზე უნდა მიერჩილათ მცირე რგოლები, რომლებშიც ძენკვებს, სხვადასხვა ფორმის საკიდებსა და ზარაკებს აბამდნენ. ცხოველის ფიგურის მოდელირებისას წინ წამოინია პლასტიკურმა ამოცანებმა, დაიხვეწა ჰორელიეფური ქანდაკების ხელოვნება, ხოლო უკანა შეღრმავებულ მხარეს შესაბნევის მოწყობით ნივთი ბევრად უფრო პრაქტიკული გახდა. რა თქმა უნდა, ამ გამოსახულებებმა ძველი, რელიგიური რიტუალებთან დაკავშირებული მნიშვნელობა შეინარჩუნეს, მაგრამ ამავე დროს, სამკაულის ფუნქციაც შეითავსეს. რაც შეეხება ცხოველთა ტორსის ცალკეულ ნაწილებზე ხშირად გამოსახულ სოლარულ ნიშნებს, ვფიქრობთ, მათი ამოტიფრვა ფიგურის ყალიბიდან გამოღების შემდეგ ხორციელდებოდა (გარდა ბურცობებისა, რომლებიც ცხოველთა გამოსახულებებს ალბათ ყალიბშივე უკეთდებოდათ). ასეთი სოლარული ნიშნები წარმოადგენენ უძველესი დროიდან არსებულ სიმბოლოებს, რომლებიც ამა თუ იმ სარიტუალო საგნის ღვთაებრივ შინაარსს აღნიშნავდნენ.

ფიბულის ფუნქციის მქონე ზოომორფული გამოსახულებების საფასადო მხარე, ზოგადად, რეალისტურ-დეკორატიული ხასიათისაა. ცხოველთა სხეულის საკმაოდ რეალისტურ ფორმასთან ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციის ელემენტები, განსაკუთრებით სახის მოდელირებისას. ტორსის ცალკეული ნაწილები (მკერ-

დი, მუცელი, გავა) მაღალ რელიეფშია შესრულებული და ამოზიდული თუ ჩანეული პლასტიკური მასების დენადი მონაცვლეობა განაპირობებს მრგვალი ქანდაკების შთაბეჭდილებას. ტორსის გარშემომწერი მოქნილი ხაზი და სახის ნაკვეთების ექსპრესიული ხასიათი ცხოველთა ერთი შეხედვით სტატიკურ ფიგურებს აცოცხლებს და შინაგან დინამიზმს ძენს. მოქანდაკეები მარჯვედ აზოგადებენ ფორმას, მაგრამ არ ივიწყებენ დეტალებსაც და მათ კომპოზიციის მთლიანობის წარმოსაჩინად იყენებენ. ირმებისა და ჯიხვების შემთხვევაში ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ატყორცნილი რქები, რომლებიც თითქოს ზეციურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. რქების მხატვრული გაფორმებით თითოეული გამოსახულება დასრულებული და მეტად გამომსახველი ხდება. ცხენების ფიგურების მოდელირებისას ხელოსნები მარჯვედ იყენებენ აღკაზმულობას, ამასთან საყურადღებოა, რომ მხედრის გარეშე გამოსახული ცხენი სრული აღკაზმულობითაა წარმოდგენილი, ხოლო მხედრიან ცხენებს უნაგირი არ გააჩნიათ. გარდა აზრობრივი დატვირთვისა, ფიგურათა სხეულის სხვადასხვა ადგილას შებმული თუ ამოტიფრული „სამკაულები“ და სოლარული ნიშნები ერთგვარ სიხალისეს, სიცოცხლეს ძენს გამოსახულებებს. მოქანდაკეები ახერხებენ გადმოგვცენ ნივთის არა მარტო ვიზუალური სინატიფე, არამედ ცდილობენ ჩანვდნენ გამოსახულებათა იდეურ არსს, იმ ღვთაებრივ სანყისს, რასთანაც აქ წარმოდგენილი ფიგურები თავისი გენეზისით არიან დაკავშირებულნი. აღსანიშნავია, რომ ოსტატები მომგებიანად იყენებენ ლითონის ფაქტურასაც.

ზოომორფულ გამოსახულებიან ფიბულებზე წარმოდგენილ ცხოველთაგან ერთ-ერთი უძველესი სახეა ირემი (ტაბ. I), რომლის გამოსახულებები დამონმებულია ჯერ კიდევ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმ დროისათვის ირემი უკვე დაკავშირებული იყო ნაყოფიერების აგრარულ კულტთან [კიკვიძე 1976: 191]. შუაბრინჯაოს ხანის მეორე ნახევრიდან თავს იჩენს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული „ღვთაებრივი“ ცხოველების: ირმის, ჯიხვის, ძაღლის, ტახისა და სხვათა ფიგურები [მაისურაძე, ფანცხავა 1984: ტაბ. XXI, XXV, XIII და სხვ.]. აღსანიშნავია, რომ შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი ირმის გამოსახულებები [მაისურაძე, ფანცხავა 1984: ტაბ. XXVI<sub>1,2,3</sub>] სტილითა და დამზადების ტექნიკით განსხვავდება რკინის ფართოდ ათვისების

დროინდელი კავკასიური ფიგურებისაგან, თუმცა ორივე ჯგუფის გამოსახულებათა წარმოშობას საფუძვლად ერთი და იგივე მოტივი უდევს.

გვიანბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე ირმის კულტის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს კოლხურ-ყობანური და აღმოსავლურ-ქართული კულტურების სახვით ხელოვნებაში დამონშებული ირმის უამრავი, როგორც საკიდიანი ქანდაკებები, ასევე გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ძლიერი სტილიზაციით ხასიათდება.

საქართველოსა და კავკასიის ცხოველსახოვან გამოსახულებათა სტილში გარკვეული გარდატეხა შეინიშნება ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანიდან, როცა სახვით ხელოვნებაში, განსაკუთრებით მცირე პლასტიკაში, გამოიკვეთა ახალი ტენდენცია, რაც ძლიერი სტილიზაციის სანაცვლოდ რეალისტური მანერის თანდათანობით დამკვიდრებაში გამოიხატა. ამ პროცესზე თავისებურ გავლენას ახდენდა საქართველოს მჭიდრო კონტაქტები, ერთი მხრივ, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, მეორე მხრივ კი - ირანთან და ელინისტურ აღმოსავლეთთან. მაგრამ საქართველოში არსებობდა ძეგლების გარკვეული ჯგუფი, რომელიც ტრადიციულ იდეოლოგიაზე დამყარებულ გამოსახვის თვითმყოფად მანერას ინარჩუნებდა [ამირანაშვილი 1971: 82; ხიდაშელი 1972: 85-86]. მათ შორისაა ირმის ფიგურები ჭვირულ აბზინდებსა და ირმის გამოსახულებიან ფიბულებზე, სადაც რეალიზმისკენ სწრაფვა აშკარად იგრძნობა. თუმცა, ჩვენი მასალების მხატვრულ-სტილური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს არ იყო ეპიგონური სწრაფვა რეალიზმისაკენ. ცხოველსახოვან ფიბულებზე, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოსახულებას ირემი წარმოადგენს, ახალი ტენდენციები ტრადიციულ გამოცდილებასთან ორგანულადაა შერწყმული.

ცხოველსახოვანი ფიბულების არეალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ომალო-ალაზნის ზემონელზე, ნეძიხი, ნიფრანისძირი, ჟინვალის-არაგვის ხეობაში, უსახელო-ლექსუმში და სხვა), მცირე პლასტიკის აღნიშნული ნიმუშები მთისწინეთისა და მთის ზონისათვისაა დამახასიათებელი. შესაძლოა საქართველოს მთიან-მანაწილმა უფრო დიდხანს და ხელუხლებლად შემოინახა უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალები და მასთან დაკავშირებული საგნები. ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ ირმის გამოსახულებიანი ნივთები, მათ შორის ფიბულები, თანდათანო-

ბით გამოდის ხმარებიდან და V საუკუნის სამარხულ კომპლექსებში ისინი აღარ ჩანან.

ჯიხვის გამოსახულებიანი ფიბულები (ტაბ. II) შედარებით მცირე რაოდენობითაა მოპოვებული (ორი - ნიფრანისძირში, ერთი - ლექსუმში). ჯიხვი, როგორც გამრავლების, ნაყოფიერებისა და ნადირთმფარველი ღვთაების ინკარნაცია, ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, თუმცა ის უცხო არ იყო აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც, სადაც ჯიხვის გამოსახულებიანი ფიბულების სინქრონულად საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ჯიხვის თავ-რქები და მომცრო ქანდაკებები.

ჯიხვის ქანდაკებების უძველესი ნიმუშები ჩვენთვის ცნობილია შილდის სამლოცველოდან [მაისურაძე, ფანცხავა 1984: ტაბ. XIII,; ტაბ. XIX<sub>17,18</sub>]. მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა, საკიდრგოლიანი ეს ფიგურები ყურადღებას იქცევს საკმაოდ მაღალმხატვრული დონით. გვიანბრინჯაოს განვითარებულ საფეხურზე ჯიხვის საკიდიანი ფიგურები გვხვდება როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ყობანური კულტურის სივრცეში [Уварова 1900: ტაბ. XXV; XXXV]. ამ გამოსახულებებს უახლოესი შესატყვისები მოეპოვებათ კოლხურ მასალებში. რამდენადმე უცნაურია, რომ თლიას სამაროვანზე, რომელიც მთლიანად კოლხური კულტურის ნრეში ექცევა, ჯიხვის ფიგურები ძალზე იშვიათია. სამაგიეროდ, უხვადაა წარმოდგენილი ფრთოსანი ჯიხვების გამოსახულებები სამარხებში მოპოვებულ გრავირებულ სარტყლებზე [Техов 1980: ტაბ. 127, 128, 129].

ჯიხვის იკონოგრაფიისა და მისი ადგილის გასარკვევად, ქართულ (კოლხურ) მხატვრულ აზროვნებასა და რელიგიურ სისტემაში, უმდიდრეს მასალას იძლევა ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი სამარხული კომპლექსები. მაგ., ძვ.წ. IV ს-ის № 6 სამარხში მოპოვებული ყელსაბამი ჯიხვის 56 გამოსახულებისაგან შედგება [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972: სურ. 44]. ცხოველები ფეხმოკეცილები არიან. ამ ნიშნით ვანის ჯიხვის ფიგურებთან ახლოსაა ლექსუმის სოფ. უსახელოში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯიხვის ნაკლული ფიგურა, რომელსაც ფეხები ასევე მკვეთრად აქვს მოკეცილი [სულავა 1996: 81-82, სურ. 29], თუმცა ეს უკანასკნელი ბევრად გვიანდელია (III-IV სს.).

მკვლევართა აზრით, ვანის გამოსახულებათა სიმბოლიზმი ძველი კოლხური რწმენა-წარმოდგენების ნიადაგზეა აღმოცენებული, რასაც

მდიდარი ეთნოლოგიური მასალა ადასტურებს. ამ მონაცემების მიხედვით, ჯიხვი ითვლებოდა ნაყოფიერების, გამრავლების, მონადირეობისა და ცხოველთა მფარველი ღვთაების ერთ-ერთ სიმბოლოდ [ხიდაშელი 1972: 63; აბაკელია 1997: 59]. ჯიხვების გამოსახულებები წარმოდგენილია ჩვენი ცხოველსახოვანი ფიბულების უშუალოდ წინამორბედ ჭვირულ აბზინდებზე (ტაბ. V<sub>2</sub>) სადაც ძირითადი (მთავარი) გამოსახულების სახით ის, ირემთან შედარებით, ბევრად მცირერიცხოვანია [ხიდაშელი 1972: 32-34], მაგრამ იკონოგრაფიულად უაღრესად საყურადღებოა, რადგან გარეგნული ნიშნებით ძალზე ახლოსაა წიფრანისძირში აღმოჩენილ ჯიხვიან ფიბულასთან (ტაბ. II<sub>1</sub>). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭვირულ აბზინდებზე, სადაც მთავარ ფიგურად ირემია წარმოდგენილი, ხშირად ჯიხვს მეორე ადგილი უჭირავს (ელემენტი, მ. ხიდაშელის მიხედვით), ხოლო იქ, სადაც აბზინდის მთავარ ფიგურად ჯიხვია გამოსახული, თანმხლებ ცხოველთა შორის, უპირატესად ძაღლის გამოსახულებებია და არასდროს არის ჩართული ირემი, რაც შესაძლოა ღვთაებრივ ცხოველთა იერარქიაში ირმის უპირატესობაზე მიუთითებდეს (ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით ასე ჩანს).

არანაკლებ საინტერესოა ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები. მათ შორის ნაწილი სტატიკურ პოზაშია (ტაბ. III<sub>2-4</sub>), ზოგი მოძრაობას გამოხატავს (ტაბ. III<sub>1</sub>), ერთი დაბორკილია (ტაბ. III<sub>6</sub>).

კავკასიის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ცხენი ჩართული ჩანს მაიკოპის კულტურის საწყისი ეტაპიდანვე [Мунчаев 1973: 71-77]. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე მოპოვებული ძელოვანი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში მცხოვრებ საზოგადოებას, სხვა შინაური ცხოველების გვერდით, ცხენიც ჰყოლია.

სამხრეთ კავკასიაში მეცხენეობის განვითარების შესახებ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს სოფ. დოღლაურთან მიკვლეული და ძვ.წ. XV ს. მიწურული დათარიღებული ყორღანი, სადაც აღმოჩნდა ორი ცხენის ჩონჩხი, ბრინჯაოს ორი ლაგამი და ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული სხვა საგნები. ასევე საყურადღებოა სოფ. აბანოსხევში (მდ. არაგვის ხეობა) აღმოჩენილი მხედრის სამარხი (ძვ.წ. XIV ს-ის მეორე ნახევარი), სადაც ახალგაზრდა ცხენი იყო დაკრძალული [რამიშვილი 2007: 23]. ცხენთან დაკავშირებული საინტერესო ნივთიერი მასალა გა-

მოვლინდა შილდის სამლოცველოზე [მაისურაძე, ფანცხავა 1984: 18, ტაბ. XXIV<sub>1</sub>] და ნეროვანში [Садрадзе 1991: ტაბ. XIV<sub>6</sub>], რომლებიც ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებითაა დათარიღებული. ცხენი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საბრძოლო ეტლების შემოღების შემდეგ და სამხედრო საქმეში კავალერიის გამოყენების გამო. კავკასიაში ცხენის გამოსახულებათა საყურადღებო ნიმუშები ყველაზე მკვეთრად თავს იჩენს კოლხურ-ყოზანური კულტურის ფარგლებში, როგორც გრაფიკული, ასევე მრგვალი ქანდაკების სახით [აბრამიშვილი 1975: 52-57; ხიდაშელი 1982; ფანცხავა 1988; Урушадзе 1988: 89-120]. ამ დროისათვის ცხენი უკვე თავყვანისცემის საგანია. ცხენის გამოსახულებებმა საგრძნობლად იმატა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებიდან. ამ პერიოდიდან სწრაფვა რეალიზმისკენ სახეზეა (ახალგორისა და ვანის მასალები).

ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებიდან სახვით ხელოვნებაში, და მათ შორის მცირე პლასტიკაში, აღინიშნება გარკვეული სიახლე. ტრადიციულ „წმინდა ცხოველთა“ შორის (ირემი, ჯიხვი, ვერძი და სხვა) ნათლად გამოიკვეთა ცხენის უპირატესობა. ახალი ძალით აღორძინდა ცხენისა და მხედრის კულტი, რასაც, გარდა ტრადიციულისა, ახალი გარე ფაქტორებიც ასაზრდოებდა. იგულისხმება მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში მითრას კულტის ფართო გავრცელება, რამაც სამხრეთ კავკასიაშიაც საკმაოდ მძლავრად შემოაღწია. ცხენის გამოსახულებათა (მათ შორის ჩვენს ფიბულებზე) მომრავლება, ვფიქრობთ, ამ მოვლენით უნდა აიხსნას, რადგან მითრასიტულ რელიგიაში ცხენის კულტმა განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ ახ.წ. პირველ საუკუნეებში მიაღწია. მასალათა ამ ჯგუფში განსაკუთრებით საყურადღებოა ფიბულები ცხენისა და „წმინდა მხედრის“ გამოსახულებით (ტაბ. III<sub>7,8</sub>). კლდეეთის „ცხენ-კაცის“ გამოსახულებით თუ ვიმსჯელებთ, ფალიური ნიშნით ხაზგასმული მხედარი თავისი „ყოვლისშემძლე“ ხელებით, ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. III<sub>9</sub>). თელავის მუზეუმის „ღვთაება“ ზუსტად იმავე პოზაშია გადმოცემული, ოღონდ ფალიური ნიშნის გარეშე (ტაბ. III<sub>9</sub>). ამ ორი მაგალითის მიხედვით აშკარად ჩანს ამხედრებული მითრას გამოსახულების გავლენა, რაც მაშინდელ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ ჩვენი ფიბულების შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ სინთეზთან, სადაც ადგილობრივი ტრადიცია შერწყმულია მითრასიტულთან. ამის მაგალითს სწორედ ამ-



ხედრებული „ღვთაების“ იკონოგრაფია წარმოადგენს.

საქართველოში მითრას კულტის გავრცელებასა და ადგილობრივ მზისა და ცხენის კულტთან მის შერწყმაზე მეტყველებს III საუკუნისა და IV საუკუნის დასაწყისი ხანის არქეოლოგიური მასალების კიდევ ერთი ჯგუფი – ვერცხლის თასები (ტაბ. III<sub>10</sub>), ფსკერზე ბომონის წინაშე მდგარი ტორანული ცხენის გამოსახულებებით [აფაქიძე და სხვ. 1955: ტაბ. VI, VII].

ცხენის კულტთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მასალებია შემონახული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში [მაკალათია 1927; გიორგაძე 1972; რამიშვილი 2007 და სხვა]. ამჯერად შევხებით ერთ წეს-ჩვეულებას, რომელიც საქართველოს მთიან რაიონებში თითქმის დღემდეა შემონახული. ეს არის გარდაცვლილის წლისთავისადმი მიძღვნილი დოღი, რომლის მარშრუტი წინასწარ იგეგმებოდა, ხოლო მიზანს გარდაცვლილის სულის საიქიოში გაცილება წარმოადგენდა [აბაკელია 1997: 156-159]. სადღე ცხენებს ქალები საგანგებოდ ალამაზებდნენ, ძუა-ფაფარს უწნავდნენ, ფერადი ძაფებით რთავდნენ, ავი თვალისაგან დასაცავად კი, მიივებსა და ნახშირს აბამდნენ. დოღში ცოცხლებთან ერთად „მონაწილეობა“ უნდა მიეღო გარდაცვლილის სულსაც, რისთვისაც გამოყავდათ სათანადოდ აღკაზმული, უნაგირიანი „სულის ცხენი“, რომელიც დოღში მხედრის გარეშე მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ მონაწილე სხვა ცხენებს უნაგირი არ ედგათ, ხოლო ხელის მოსაკიდებლად მუცელზე ამოდებული ჰქონდათ მხოლოდ ერთი, ბრტყელი სარტყელი. აღწერილ რიტუალში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „სულის ცხენი“ უმხედროდ, სრული აღკაზმულობით (უნაგირიანი) მონაწილეობდა, როცა დანარჩენი მხედრები უბელო ცხენებით გამოდიოდნენ. ჩვენს ფიბულებზე გამოსახული უნაგირითა და მოსართავებით შეკაზმული, უმხედრო ცხენები, შესაძლოა, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ფაქტის ნივთიერი დადასტურება იყოს და მათი სახით საქმე გვქონდეს დაკრძალულთა სამარხებში „სულის ცხენის“ ჩატანების შემთხვევასთან. ამგვარი თვალსაზრისი სარწმუნო ჩანს, ვინაიდან ფიბულებზე გამოსახულ მხედრიან ცხენებს უნაგირი არ გააჩნიათ.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ ცხოველსახოვან ფიბულებზე საუბრისას, როგორც უკვე მივუთითეთ, პირველ რიგში გვახსენდება ქრონოლოგიურად წინამორბედი ხანის ჭვირული

აბზინდები, რომელთა შუაში გამოსახული ცხოველთა მთავარი ფიგურები (ტაბ. V) სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩვენს ფიბულებზე წარმოდგენილ ზომიერ ფულ გამოსახულებებთან. გარდა იმისა, რომ ორივე ჯგუფის ნივთებზე ერთი და იგივე ცხოველთა სახეობებია მოცემული (ირემი, ჯიხვი, ცხენი), მათ საერთო სტილური ნიშნებიც გააჩნიათ: ორივე შემთხვევაში ცხოველები გამოსახულია მარჯვენა პროფილში, პლასტიკური ფორმებით მკვეთრადაა აქცენტირებული მკერდი და გავა, რომლებზეც მსგავსი სოლარული ნიშნებია დადასტურებული. აბზინდების ცენტრალურ ფიგურათაგან ზოგს თავი მაყურებლისკენ აქვთ მობრუნებული, ისე, როგორც ირმისა და ჯიხვის გამოსახულებიან ფიბულებზე. მსგავსებაა თავის, სახის, თვალის, ყურებისა და რქების მოდელირებაში (შეადარე ტაბ. II<sub>1</sub> და ტაბ. V<sub>2</sub>). აბზინდების ცხოველებს ხშირ შემთხვევაში კუდები სპირალურად ისევე აქვთ ჩახვეული (ტაბ. V<sub>1,3</sub>), როგორც ფიბულებზე გამოსახულ ცხენების უმრავლესობას (ტაბ. III<sub>1,3,4,5</sub>). ეს ელემენტი, როგორც ჩანს, ფიბულებზე აბზინდებისაგან გადმოვიდა მემკვიდრეობით, რითაც ამ ორი ჯგუფის გენეტიკური კავშირი კიდევ ერთხელ დადასტურდა.

რა თქმა უნდა, განმასხვავებელი ნიშნები და სიახლეც სახეზეა. კერძოდ, ცხოველსახოვან ფიბულებზე გამოყენებულია ჭვირული აბზინდების მხოლოდ ცენტრალური ფიგურა, მოხსნილია ჩარჩო და თანმხლები ცხოველები, სტილიზებული გამოსახულებები შეცვლილია რეალისტურით. ჭვირულ აბზინდებში დასმული ამოცანა ცხოველთა სხეულის პლასტიკური ფორმებით მოდელირებისა, წარმატებით გადაჭრეს ფიბულათა ოსტატებმა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ნივთის ფუნქციაც. ასეთი ცვლილებები დროისა და მორწმუნეთა როგორც სულიერ, ასევე ესთეტიკურ მოთხოვნებს პასუხობდა.

სახვით ხელოვნებაში ამგვარი ცვლილება დაემთხვა ძალზე სერიოზულ ძვრებს საზოგადოების სოციალურ ყოფაში, რამაც განაპირობა ჭვირული აბზინდების შემცველი ძველი ინსიგნია ქამრებისა და მისი შემადგენელი ნაწილების შეცვლა ახალი ყაიდის ინსიგნია ქამრებით, რომელთა ძალზე საინტერესო ნიმუშები დადასტურდა იმავე ნეძიხის სამაროვანზე, სადაც აღმოჩენილია ყველაზე მეტი ცხოველსახოვანი ფიბულები [რობაქიძე 1990; რამიშვილი და დრ. 1991; რობაქიძე 1995].

ამრიგად, ჭვირული აბზინდების მეშვეობით ცხოველსახოვანი ფიბულები უკავშირდება კი-



დევ უფრო ძველ მასალებს (მხედველობაში გვაქვს კოლხურ ცულებსა და ბალთებზე, ასევე გვიანბრინჯაოს ხანის გრავირებულ ქამრებზე გამოსახული სიუჟეტები). ჭვირული აბზინდების დაკავშირება დროის დიდი მონაკვეთით დაშორებულ ნივთიერ კულტურასთან ზოგი მკვლევარისთვის საეჭოა, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეთა ხანგრძლივმა კვლევამ და ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა შესაძლებელი გახადა ჭვირული აბზინდების გრავირებულ სარტყლებთან (ტაბ. IV<sub>1</sub>) კავშირის დადასტურება. ამავე დროს საყურადღებოა, რომ ცხოველთა გრაფიკული გამოსახულებები გვხვდება ადრეელინისტური ხანის კერამიკაზე. მხედველობაში გვაქვს დაბლაგომის სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ცხოველთა გრაფიკული გამოსახულებები, რომლებსაც ბ. კუფტინი სტილითა და ორნამენტით მაშინვე უკავშირებდა გრავირებულ სარტყლებზე მოცემულ სიუჟეტებს. მაგ. მოძრაობაში მყოფი ცხენის გამოსახულება [Куптин 1950: 103-105, ტაბ. 37-38, ნახ. 27], რომელიც ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება (ტაბ. IV<sub>3</sub>). დაფნარის სამაროვანზე 31-ე სამარხში აღმოჩენილია ურნა, რომლის პირის გარშემო, ფრიზზე მოცემულია ცხენის, ირმისა და მგელ-ძაღლის გრაფიკული გამოსახულებები [Кигурадзе 1976: 33-35, ტაბ. X]. ეს ჭურჭელიც ძვ.წ. IV საუკუნითაა დათარიღებული (ტაბ. IV<sub>2</sub>). ცხოველისა და ადამიანის მეტად საინტერესო გრაფიკული გამოსახულებებია წარმოდგენილი ელინისტური ხანის ჭურჭლის ნატეხებზე, რომლებიც სოფ. ნამარნუშია მოპოვებული [პაპუაშვილი 2006: 48-49, ტაბ. XXV]. მიუხედავად ფრაგმენტულობისა, ჭურჭლის კეცზე კარგად ჩანს ადამიანისა და გაურკვეველი ჩლიქოსანი ცხოველის ნაწილები (ტაბ. IV<sub>4</sub>). ჩვენი ცხოველსახოვანი ფიბულებისა და ჭვირული აბზინდების გენეზისთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვანში აღმოჩენილ ოქროს თავსამკაულს (ტაბ. IV<sub>5</sub>). მას-

ზე, სხვადასხვა სახეებით მორთულ სწორკუთხა ჩარჩოში ჭვირული აბზინდის იდენტური სიუჟეტი მოთავსებული. ნივთი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება [კაჭარავა და სხვ. 2007: 60, სურ. 21; ოქრომრავალი კოლხეთი 2005: 48, 49, 59]. ჯერჯერობით ესაა ჩარჩოში წარმოდგენილ ცხოველთა ყველაზე ძველი ნიმუში, თუმცა ის ჯერ კიდევ არ არის ინსიგნია ქამრის აბზინდა. ამგვარი ფუნქცია მოჩარჩოებულმა აბზინდამ, ჩანს, მოგვიანებით შეიძინა.

ახალი არქეოლოგიური მასალების ფონზე გამოიკვეთა, რომ III-IV საუკუნეების ზოომორფულ გამოსახულებიანი ფიბულები როგორც გენეტიკურად, ისე სემანტიკურად მჭიდროდ უკავშირდება წინამორბედი ეპოქების მასალებს. ე.წ. „კავკასიურმა ცხოველურმა სტილმა“, რომელმაც განვითარების მწვერვალს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში მიაღწია, თავის მხრივ, უდიდესი გავლენა იქონია ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ამავე დროს ამკარაა, რომ დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებულ ამ გამოსახულებათა სახით საქმე გვაქვს ერთ მთლიან მოვლენასთან, რომელსაც რწმენა-წარმოდგენების ერთიანი სისტემა და იდეოლოგია ასაზრდოებდა და რომლის დახვეწა თუ სრულყოფა ერთი და იგივე ეთნოკულტურულ გარემოში ძვ.წ. I ათასწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა [ხიდაშელი 1972: 56-86].

ნაშრომში განხილული ცხოველსახოვანი ფიბულები, რომლებიც ჭვირული აბზინდების ცენტრალურ ფიგურებთან მნიშვნელოვან კავშირს ავლენს, ე.წ. „კავკასიური ცხოველური სტილის“ ყველაზე გვიანდელ რეპლიკად მიგვაჩნია. ამ სტილმა, მართალია, ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ ზოგიერთი ცხოველის სახე მაშინვე გამოიყენა ახალმა რელიგიამ, რის გამოც ადრექრისტიანული ეკლესიების დეკორში მათ გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით [Урушадзе 1988: 147-165].

FIBULAE WITH REPRESENTATIONS OF DEER, IBEX AND HORSE

Summary

The paper deals with high relief representations of deer, ibex and horse, made of bronze and silver, and provided with a fastener on the rear side. I call such items with the function of bow-shaped pin fibulae with zoomorphic representations. The cited specimens of minor plastic art are characteristic of Georgia's foothill and mountainous zone, but their greatest number comes from burial grounds of the Aragvi valley (Nedzikh, Badrianebi, Tsipranisdziri, Zhinvali), being dated to 3rd-4th centuries. On separate parts of the named animals solar signs are often applied, pointing to the divine semantics of the item and their links with religious ritual; however, when fastened to the front, they have the function of adornment.

Fibulae of the 3rd-4th centuries with zoomorphic representations are both genetically and semantically closely related to the materials of preceding periods. The so-called "Caucasian animal style", reaching the height of its development in the 8th- 7th centuries, had a great impact on the further development of Georgian fine art. At the same time, it is obvious that the long existence of these representations over a long period of time points to the presence of a single integral phenomenon fed by a single system and ideology of beliefs and notions; its refinement and perfection continued through the 1st millennium BC in the ethno-cultural environment.

ლიტერატურა

- აბაკელია ნ. 1997: სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.
- აბრამიშვილი ნ. 1975: თრელის სამაროვნის ბრინჯაოს სარტყელი. – ძმ, № 39, 52-57.
- ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
- აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1995: არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. – გ. ჩუბინაშვილი (რედ.), მცხეთა, I, თბილისი.
- გიორგაძე დ. 1972: ცხენის შეწირვის რიტუალი აღმ. საქართველოს მთიელებში. – მსგ, XVI-XVII, 288-292.
- კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., კვიციანი გ. 2007: ვანი ძვ. წ. IV საუკუნესა და III ს-ის პირველ ნახევარში. – იბერია-კოლხეთი, № 3, 57-62.
- კიკვიძე ი. 1976: მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
- ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი, I, 198-242. თბილისი.
- მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: შილდის სამლოცველო (კაეშ, VII). თბილისი.
- მაკალათია ს. 1927: ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. თბილისი.
- მინდორაშვილი დ. 2005: არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი.
- მუხიგულაშვილი ნ. 1984: წიფრანისძირის სამაროვანზე 1983 წლის საველე სამუშაოს ანგარიში, ხელნაწერი, დუშეთის არქეოლოგიური ბაზის არქივი. თბილისი.
- ნადირაძე ე. 1998: მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა. თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995: ბაიათხევი. – ა. აფაქიძე(რედ.), მცხეთა, X, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 97-134. თბილისი.
- ოქრომრავალი კოლხეთი 2005: საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ გამოცემული კატალოგი. თბილისი.

- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2006:** ნამარნუ. – ვ. სადრაძე (რედ.), გურია, IV, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, 46-67. თბილისი.
- რამიშვილი ქ. 2000:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახ. ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხენი). – ძიებანი, № 6, 68-77.
- რამიშვილი ქ. 2001:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოომორფული გამოსახულებები (ჯიხვი, ვერძი). – ძიებანი, № 8, 53-63.
- რამიშვილი ქ. 2007:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბილისი.
- რობაქიძე ც. 1990:** ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. – ძმ, № 1, 67-71.
- სულავა ნ. 1996:** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლექსუმი). თბილისი.
- სულავა ნ. 1998:** ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ლექსუმიდან (სოფ. უსახელო). – მაცნე, ისტორიის... სერია, № 2, 109-116.
- ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნების ძეგლები. თბილისი.
- ხიდაშელი მ. 1972:** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები). თბილისი.
- ხიდაშელი მ. 1982:** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები). თბილისი.
- Иващенко М.М. 1941:** Материалы к изучению культуры колхов. – მსკი, ნაკვეთი I, 1-66.
- Кигурадзе Н. Ш. 1976:** Дапнарский могильник. Тбилиси.
- Куфтин Б. А. 1950:** Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси.
- Мунчаев Р. М. 1973:** Бронзовые псалии майкопской культуры и проблема возникновения коневодства на Кавказе. – Кавказ и восточная Европа в древности, 71-77. Москва.
- Рамишвили Р. М. и др. 1982:** Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции. – ПАИ, 1980, 52-59.
- Рамишвили Р. М. и др. 1984:** Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. – ПАИ, 1981, 59-68.
- Рамишвили Р. М. и др. 1986:** Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1983, 48-53.
- Рамишвили Р. М. и др. 1987:** Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984-1985, 74-89.
- Рамишвили Р. М. и др. 1991:** Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986, 89-95.
- Робакидзе Ц. 1995:** Исследования на Недзихском могильнике. – ПАИ, 1987, 124-125.
- Садрадзе В. Г. 1991:** Мцхета в XV-XIII вв. до н.э. Тбилиси.
- Техов Б. В. 1980:** Тлийский могильник. Тбилиси.
- Уварова П. С. 1900:** Могильники Северного Кавказа. – МАК, вып. VIII, 3-375, Москва.
- Урушадзе Н. Е. 1988:** Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.

### ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – ირმის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ფიბულები ნეძიხის სამაროვნიდან: 1. (ინვ. 757, სამარხი 199); 2. (ინვ. 860, სამარხი 168); 4. (ინვ. 179, სამარხი 123); 5 (ინვ. 215, სამარხი 127); 3. უინვალის სამაროვანი (ინვ. 458, სამარხი 357); 6. ბადრიანების სამაროვანი (ინვ. 52, სამარხი 6); 7. ომალოს სამაროვანი (ინვ. 11, სამარხი 2).
- ტაბ. II – ჯიხვის გამოსახულებიანი ფიბულები წიფრანისძირის სამაროვნიდან: 1. ბრინჯაო (ინვ. 42, სამარხი 5); 2. ვერცხლი (ინვ. 180, სამარხი 20); 3. ბრინჯაოს ჯიხვის ნაკლული ფიგურა ლექსუმიდან (ინვ. 35/127).

ტაბ. III – ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები: ნეძიხის სამაროვანი: 1. (ინვ. 4, სამარხი 5, ვერცხლი); 2. (ინვ. 158, სამარხი 18, ბრინჯაო); 3. (ინვ. 620, სამარხი 172, ვერცხლი); 4. (ინვ. 332, სამარხი 136, ვერცხლი); 5. ბადრიანების სამაროვანი (ინვ. 23, სამარხი 3, ბრინჯაო). 6. თელავის მუზეუმი (ინვ. 728, ბრინჯაო); 9. გველეთის სამაროვანი (სამარხი 15, ბრინჯაო); ცხენ-მხედრის გამოსახულებიანი ფიბულები: 7. კლდეეთის სამაროვანი (ინვ. 98, ბრინჯაო); 8. სოფ. დუისი (ინვ. 4347/11, თელავის მუზეუმი, ბრინჯაო); 10. ბომონის წინაშე ტორანული ცხენის გამოსახულება ვერცხლის თასის ფსკერზე (არაგვისპირის სამაროვანი, სამარხი 13).

ტაბ. IV – 1. ბრინჯაოს სარტყელი ჩაბარუხიდან. 2. ფრიზი დასაკრძალავ ურნაზე, დაფნარის სამაროვანი. 3. ცხენის გამოსახულება კერამიკულ ნატეხზე, დაბლაგომი. 4. ჭურჭლის ნატეხები ცხოველისა და ადამიანის გამოსახულებით, ნამარნუ. 5. ოქროს თავსამკაული, ვანი.

ტაბ. V – ბრინჯაოს აბზინდები ირმის, ჯიხვის, ცხენისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებებით: 1. ერმიტაჟიდან, პეტერბურგი; 2. საჩხერედან; 3. სოფ. კაცხიდან, ჭიათურის რაიონი.

ტაბ. VI – 1. ნეძიხის სამაროვანი, სამარხი № 26; 2. ჟინვალის სამაროვანი, სამარხი № 357.

### DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Bronze fibulae with representations of deer: 1. Nedzikh, grave 199, inv. no. 757; 2. Nedzikh, grave 168, inv. no. 860; 3. Zhinali, grave 357, inv. no. 458; 4. Nedzikh, grave 123, inv. no. 179; 5. Nedzikh, grave 127, inv. no. 215; 6. Badrianebi, grave 6, inv. no. 52; 7. Omalo, grave 2, inv. no. 11.

Pl. II – Fibulae with representations of ibex: 1. Tsipranisdziri, bronze, grave 5, inv. no. 42; 2. Tsipranisdziri, silver, grave 20, inv. no. 180; 3. fragmented bronze figurine from Lechkhumi, inv. no. 35/127.





Pl. III – Bronze fibulae with representations of horse: 1. Nedzikh, silver, grave 5, inv. no. 4; 2. Nedzikh, bronze, grave 18, inv. no. 158; 3. Nedzikh, silver, grave 172, inv. no. 620; 4. Nedzikh, silver, grave 136, inv. no. 332; 5. Badrianebi, bronze, grave 3, inv. no. 23; 6. Telavi museum, bronze, inv. no. 728; 9. Gveleti, bronze, grave 15; Bronze fibulae with representations of horse and rider: 7. Kldeeti burial ground, bronze, inv. no. 98; 8. from village Duisi, bronze, Telavi museum, inv. no. 434/11; 10. silver phiale with representation of horse in front of an altar, Aragvispiri burial ground, grave 13.


Pl. IV – 1. bronze belt from Chabarukhi; 2. fragment of the pithos from Dablagomi; 3. representation of the horse on the clay sherd from Dablagomi; 4. fragments of the vessels with representations of the man and the horse from Namarnu; 5. golden head-dress, Vani.

Pl. V – Bronze clasps with representations of deer, ibex, horse and other animals: 1. Hermitage, St.-Petersburg; 2. from Sachkhere; 3. village Katskhi, Chiatura region.


Pl. VI – 1. Nedzikh burial ground, grave no. 26; 2. Zhinali burial ground, grave no. 357.








1




2


3




1



2




5




3




4




6




7



8



9




10







1




2



3



4



5







1




2



3



1




2



## ტორევეტიკის ნიმუშები სოვლედან

2004 წელს ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინდერდისციპლინარული კვლევის განყოფილებას სარესტავრაციოდ გადმოეცა ხოვლეს აკლდამის სამარხეული ინვენტარი (ვერცხლის ფიალა, ვერცხლის ლანგარი, სარეცლის ვერცხლის ფეხები და სხვ.).



სურ. 1. ხოვლეს ლანგარი

სოფელი ხოვლე მდებარეობს შიდა ქართლში (კასპის რ-ნი), მდ. ხეხმელას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე. 2004 წლის მარტში სოფ. ხოვლეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ადგილ ზესხევში, წყალსადენი მილის ჩასადებად გამიზნული თხრილის გათხრისას, შემთხვევით აღმოჩნდა დიდი ზომის მართკუთხედის ფორმის აკლდამა. ამ ამბის შემსწრე მოსახლეობამ, აკლდამაში აღმოჩენილი ინვენტარი დაინაწილა. სოფლის მკვიდრმა ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა პაატა ხუციშვილმა მოსახლეობაში გაფანტული ნივთები შეაგროვა და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციას დაუკავშირდა [მატბერაშვილი 2007: 87]. ამავე წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა ზ. შატბერაშვილმა და ვ. შატბერაშვილმა ეს ნივთები სარესტავრაციოდ ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის

ცენტრს გადასცა.

სამარხეული კომპლექსი ძვ.წ. III საუკუნის შუახანებით ან მეორე ნახევრით თარიღდება [მატბერაშვილი 2007: 95].

ამ პერიოდის ვერცხლს განსაკუთრებული ღირებულება აქვს, ვინაიდან II-III საუკუნეების მხატვრული ვერცხლი, განსხვავებით I საუკუნის ძეგლებისგან, საკმაოდ იშვიათია ევროპის არქეოლოგიურ მონაპოვებაში. ცნობილი ვერცხლის მასალის ნიმუშები, ძირითადად, გალიიდან და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებიდან მომდინარეობდა, რომლებიც რომის იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ, ან რომის იმპერიის პროვინციებს წარმოადგენდნენ. თვით იტალიის ტერიტორიაზეც კი ამ დროის ვერცხლის ნაწარმი იშვიათია, თუმცა ცხადია, რომ II-III საუკუნეებში რომი კვლავ რჩებოდა მხატვრული ცხოვრების ყველა სფეროს კანონმდებლად და ზეგავლენას ახდენდა უშუალოდ ქვემეგრდომთა და მისი გავლენის სფეროში მოხვედრილი ქვეყნების ხელოვნებაზე. ამ მიმართებით ანტიკური საქართველო დიდ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ადგილობრივ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ტორევეტიკაში, სწორედ რომაული ელემენტებია ძლიერი [მაჩაბელი 1983: 9].

საქართველოს გვიანანტიკური ვერცხლის ნაწარმი მრავალფეროვანი დანიშნულების ჭურჭელსა და ნივთს მოიცავს. ვერცხლის ინვენტარში გამოიყოფა მხატვრულ ნაკეთობათა სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფები. ჩვენი კვლევის ობიექტი სწორედ ამ პერიოდის ხოვლეს სამარხეული კომპლექსის ვერცხლის ორნამენტირებული ლანგარია. ნაკეთობა დამზადებულია მთლიანი ფურცლისაგან, დატანილი ორნამენტი გამოყვანილია გარეთა მხრიდან შიგნით და მთელ ფართობზე კვერვით მიღებულია ვაზის ფოთლის გამოსახულება (სურ. 1).

ვერცხლის ლანგარის დამზადების ტექნოლოგიური სქემის დასადგენად ემისიური სპექტრული რაოდენობრივი ანალიზით შესწავლილია ნივთის ქიმიური შედგენილობა. გამოყენებულია სტანდარტული ეტალონები და ლანგარის მასა-

## ცხრილი

ლაბორატორიის შიფრი	ნივთი, აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Au
U-716	ლანგარი, ხოვლე	2,0	0,12	0,95	0,19	-	96,0	-	-	0,18	-

ლიდან წინასწარ შერჩეული სინჯები. სპექტრული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი).

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ვერცხლის მასალას საკმაოდ მცირე მინარევი ელემენტები გააჩნია. მასალაში ტყვიისა (0,95%) და სპილენძის (2,0%) შემცველობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვერცხლი მიღებულია ტყვია-ვერცხლის მადნების ჯერ აღდგენითი დნობით და შემდეგ კუპელირებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტყვია-ვერცხლის პოლიმეტალური მადნები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში და მათ გეოქიმიურ მონაცემებში თითქმის ყოველთვის ასოცირებულია სპილენძი. ამდენად, ვერცხლის ნივთებში 3%-მდე შემცველობის სპილენძი ბუნებრივი მინარევი უნდა იყოს.

ვერცხლის მეტალურგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ვერცხლი მიჩნეულია სუფთად, თუ მასში ტყვიის რაოდენობა 0,1 %-ზე ნაკლებია ე.ი. მასალა ორჯერ კუპელირებულია, ხოლო თუ ტყვია 0,1%-ზე მეტია, მაშინ არ არის სუფთა, რადგან იგი ერთხელ კუპელირებულად ითვლება. სპექტრული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ხოვლეს აკლდამის ლანგარის დასამზადებლად გამოყენებული ვერცხლის მასალა ერთჯერადი კუპელირებით არის მიღებული.

ანტიკურ საქართველოში ძვირფასი ლითონების დამუშავების ხელოვნებამ მაღალ დონეს მიაღწია, რაც შეუძლებელი იქნებოდა წიაღისეული სიმდიდრეების ადგილობრივი მარაგის არსებობის გარეშე. ძვირფას ლითონთა საბადოების არსებობა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე, დადასტურებულია ძველ აღმოსავლურ წერილობით წყაროებში და ანტიკურ ავტორთა თხზულებებში. უძველესი ასურული წარწერების მიხედვით ძვ.წ. 837 წ. სწორედ ტაბალების ვერცხლისა და ძვირფასი ქვების მალაროები დაუპყრია სალმანასარ II [ჯავახიშვილი 1951: 23]. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ საგანგებოდ აღნიშნავს „ხალიბთა“, ანუ „ალიბთა“ ქვეყანაში ვერცხლის უძველესი საბადოების არსებობას. მეტალურგიის განვითარე-

ბის ადრეულ ეტაპზე გამოყენებული იყო ტყვია-ვერცხლის მადნები, საიდანც ვერცხლის გამოდნობა უფრო ადვილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში როგორც ვერცხლის გამოდნობის, ისე მისი რაფინირების პროცესი, შესაძლოა, ერთ ღუმელში ჩატარებინათ. საინტერესოა, რომ ა. ლუკასი ტყვიის შემცველი ვერცხლის მადნების ფართო გამოყენებას საქართველოში შესაძლებლად მიიჩნევს, ხოლო ამ მადანში შემავალი ტყვიის გამოყოფას ვერცხლისაგან კუპელაციის წესით განსაზღვრავს [Лукас 1958: 383].

დღემდე ცნობილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, გვიან ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს მინა-წყალზე ნაპოვნი რომაული კულტურის ძეგლებიდან ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში ნაპოვნი ვერცხლის ფიალებია. სამივე ფიალა მაღალმხატვრული ნაწარმოებია. ფიქრობენ, რომ ქართლის სამეფოს დიდგვაროვანთა სამარხებში წარმოდგენილი ეს ფიალები აქ დიპლომატიური არხებით უნდა იყოს მოხვედრილი. ეს რომის იმპერატორთა, ან მათ მაღალ მოხელეთა ძღვენს უნდა წარმოადგენდეს. იტალიური (რომაული) იმპორტი (მონეტები, სამკაული, მინა), ქართლში გზას იკვლევდა სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალით. ეს საქონელი მიჰქონდათ ქართლის სამეფოს დედაქალაქში მცხეთაში, რომელიც სწორედ სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მცხეთიდან იმპორტირებული საქონელი ფართოდ ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მართებულად უნდა მივიჩნიოთ სპეციალურ ლიტერატურაში განვითარებული აზრი, რომ ელინისტურ-რომაული კულტურისადმი მისწრაფება ქართლის მმართველ წრეებში იგრძნობა და „ელინისტური კულტურის გავლენა“ რიგით მისახლეობას ფართოდ არ შეეხებია [ლორთქიფანიძე 2002: 282-283].

აღსანიშნავია, რომ საერთოდ ვერცხლის ნაკეთობებით გატაცება გვიანანტიკური რომის დამახასიათებელი მოვლენა იყო და ქართლის სამეფოს არისტოკრატიაც ვერ გაქცევია ამ მოდურ გატაცებას (არმაზისხევის ნეკროპოლი ამის ნათელი დადასტურებაა) [რამიშვილი 1983: 120].



საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეების ძვირფასი ლითონის მხატვრული ნაწარმი ორ დიდ ჯგუფად იყოფა: პირველში თავმოყრილია საიუველირო ნაკეთობები, რომლებშიც სრულად გამოვლინდა ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია, განსაკუთრებული სწრაფვა პოლიქრომიისა და ხაზგასმული დეკორატიულობისადმი; მეორე ჯგუფი მოიცავს ტორევეტიკის (ვერცხლის პლასტიკის) ნიმუშებს, რომელიც მხატვრული პრინციპებითა და ხასიათით ელინისტურ-რომაული ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოადგენენ.

ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეები ძველი საქართველის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თავისებური პერიოდია. ამ დროს დასრულდა საქართველოს ანტიკური ისტორიის რთული, უაღრესად საინტერესო ეტაპი და დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების არანაკლებ ღირსშესანიშნავი პერიოდი.

წარმოდგენილი ვერცხლის ლანგარი, მხატვრული ოსტატობითა და დეკორატიულობით უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ამ პერიოდის ჭედური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები, რომლებიც ძირითადად ფუფუნების საგნებად არიან მიჩნეული. ეს გარემოება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ნივთის ფუნქციიდან გამომ-

დინარე. კერძოდ, კონკრეტული ვერცხლის ლანგარი, შესაძლოა, ეკუთნოდა სუფრის ჭურჭლის ვერცხლის ნაკეთობათა ჯგუფს. ამ მიმართებით საინტერესოა კ. მაჩაბელის დაკვირვება. მისი აზრით „საერთოდ ფრიად ძნელდება გვიანანტიკური ხანის ჩვეულებრივი სახმარი ჭურჭლის გამიჯვნა სარიტუალოსაგან. ეს მოვლენა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ვერცხლის ჭურჭლის ფორმები ძალზედ პოპულარულია და ამასთან საერო მოხმარების და რელიგიური დანიშნულების ნივთებს შორის დიდი მსგავსება არსებობს. ხშირია ერთი დანიშნულების ჭურჭლის მეორე მიზნისთვისაც გამოყენება. ასეთ შემთხვევებში ჭურჭლის დანიშნულების გარკვევაში გვეხმარება მასზე დატანილი გამოსახულების ხასიათი – დეკორის ტიპი“ [მაჩაბელი 1983: 13]. ხოვლეს მდიდრული სამარხის ვერცხლის ლანგარის ორნამენტი გამოყვანილია კვერვით, მთელ ფართობზე მიღებულია ვაზის ფოთლის გამოსახულება. დეკორის ეს სახე ტიპიურია მევენახეობა-მელვინეობისა და მეხილეობის ისეთი კლასიკური ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. ამ ულამაზესი, მხატვრულად ფრიად ხელსაყრელი, მცენარეული მოტივების დამკვიდრება სრულიად ბუნებრივია, მით უმეტეს, რომ ვაზის კულტი და ბრონეულის ნაყოფის სიმბოლური გააზრებაც დამონმებულია ქართულ ეთნოგრაფიაში [აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე 1955: 95].

## ლიტერატურა

- აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე 1955: მცხეთა, ტ. I, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
- მაჩაბელი კ. 1983: ძველი საქართველოს ვერცხლი. თბილისი.
- რამიშვილი რ. 1983: ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. – ჟინვალი, ტ. I, 81-130. თბილისი.
- შატბერაშვილი ვ. 2007: მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. — იბერია-კოლხეთი, 3, 87-97.
- ჯავახიშვილი ივ. 1951: ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი.
- Лукас А. 1958: Материалы и ремесленные производства древнего Египта. Москва.

N. Kalandadze, N. Tavartkiladze, T. Parjanadze

## SPECIMENS OF TOREUTICS FROM KHOVLE

### Summary

In 2004 the grave goods of the Khovle crypt (silver phiale, silver tray, silver legs of the coffin, etc.) were transferred for restoration to the interdisciplinary research department of the O. Lordkipanidze Center for Archaeological Studies. The paper deals with the results of a technical study of an ornamented silver tray from the Khovle burial complex.

The tray is made of an entire sheet, the ornament is entered from outside inwards and a representation of a vine leaf is obtained by hammering over the entire surface. The tray is a specimen of toreutics.

To determine the technological scheme of making the silver tray the chemical composition of the object was studied by emissive spectral quantitative analysis. Use was made of standards and samples selected in advance from the material of the tray.

The analysis has shown that the silver material has a rather small admixture of elements. The content of lead (0.95%) and copper (2.0%) in the silver material allows us to assume that the silver was obtained first by reduction smelting of lead and silver ores and then by cupellation. It should be also noted that multi-metal ores of lead and silver are widespread in Georgia and copper is almost always involved in their geochemical data. Thus up to 3% content of copper in silver items must be a natural admixture.

It is known in the history of silver metallurgy that silver is considered to be pure in which the quantity of lead is less than 0.1%, i.e., the material has been cupellated twice, while if lead is more than 0.1%, then it is not pure, for it is considered to have been cupellated once. On the basis of the results of spectral analysis, it is assumed that the silver material used to make the Khovle crypt tray was obtained by a single cupellation.

The silver tray under discussion is modest in terms of artistic skill and decorativeness in comparison with the highly artistic specimens of the chasing art of the period, which are basically considered objects of luxury. In our opinion, this may have been due to the function of the object, namely it may have belonged to the group of silver tableware.

## ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის

ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრში, ე.წ. ჭაბუკაურის უბანზე ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის გათხრას ვანარმოებთ 1998 წლიდან, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ექსპედიციის შემადგენლობაში. ხშირი ტყით დაფარული მიწის ბორცვის ქვეშ მოქცეული ამ კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ ძირითადად უკვე გამოიკვეთა გრანდიოზული, სამნავიანი ბაზილიკის მოხაზულობა. ექსპედიციის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ლევან ჭილაშვილმა ბოლომდე გამოუკვლეველი ეს ბაზილიკა სავარაუდოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულ იბერიის მეფე თრდატის მიერ ნეკრესში აგებულ ეკლესიად მიიჩნია და წინასწარ IV ს-ის ბოლო მეოთხედით დაათარიღა [ჭილაშვილი 2004: 47; მოქცევაჲ ქართლისაჲ 1979: 325]. სამწუხაროდ, ლ. ჭილაშვილს ამ ძეგლის შესახებ არქეოლოგიური მონაცემებით და ხელოვნებათმცოდნეობითი არგუმენტებით შემაგრებული სპეციალური გამოკვლევის შესრულება არ დასცალდა.

ჭაბუკაურის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა 2004 წლიდან ჩემი ხელმძღვანელობით გრძელდება. ამ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია მოვიპოვეთ ძეგლის ხუროთმოძღვრული თავისებურებების და მის ტერიტორიაზე რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენად დაშრევებული არტეფაქტების თაობაზე. ამჟამად წარმოდგენილი სტატია მოკლე მონახაზია ჭაბუკაურის ბაზილიკისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფიისა, რომლის გამოქვეყნებასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ.

**ჭაბუკაურის ბაზილიკის ხუროთმოძღვრული აღნაგობა და მისი სტილისტური ანალიზი.** ჭაბუკაურის ტაძარი აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული ბაზილიკა ყოფილა (აქ და შემდგომ, ასეთი დამხრობა ტექსტში, პირობითად შემოგვაქვს ტაძრის აღნაგობის ჩვეულად წარმოსადგენად. სინამდვილეში ეს ღერძი და, შესაბამისად, ბაზილიკის გრძივი კედლების მიმართულება, თითქმის 40 გრადუსითაა დახრი-

ლი სამხრეთ-აღმოსავლეთით). ნაოსი 5 ნევილი მართკუთხა კვეთის სვეტით სამ ნავად იყო გაყოფილი (ტაბ. I). ეკლესიის სიგრძე 39 მ-ია, სიგანე – 15 მ. ცენტრალური ნავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მართკუთხა გეგმის საკურთხეველი ყოფილა მოწყობილი (სურ. 1), მის მარჯვნივ და მარცხნივ კი, გვერდითა ნავების გაყოლებაზე, ასევე მართკუთხა მოხაზულობის მცირე სათავსები (პირობითად პასტოფორიუმები). დარბაზში შესვლა შესაძლებელი ყოფილა სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კარების გავლით. ეკლესია ნაგებია საკმაოდ მოზრდილი ფლეთილი და რიყის ქვებით. შენობის ღიობების კუთხეებში, სვეტისთავებად, თაღებად და სხვა განსაკუთრებულად ზუსტად დასამუშავებელ ადგილებში უხვად ყოფილა გამოყენებული შირიმის ქვაც. ეკლესიის კედლები ნაშენია კირ-ღულაბზე. კედლების სიგანეა 1-დან 1.2 მ-მდე. შენობა შიგნიდან კირით ყოფილა გალესილი და მუქ წითლად შეღებილი. სახურავის გაყოლებაზე ფასადები ცალ მხარეს დაკბილული, თეთრი საღებავით მოხატული, მართკუთხა ფორმის გამომწვარი თიხის ანტიფიქსებით ყოფილა შემკული.

ბაზილიკის ინტერიერის გათხრის შედეგად გამოირკვა, რომ ყოველი კედლის და სვეტის ზედა უმთავრესი ნაწილები დიდი ზომის ბლოკების სახით იყო „გადაწოლილი“ იატაკზე ჩრდილოეთის მიმართულებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტაძრის საკმაოდ მდიდრული ინვენტარი ნანგრევების ქვეშ იყო მოქცეული ხელუხლებლად (იხ. ქვემოთ), ეს სურათი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგზე მიგვანიშნებს.

ბაზილიკის დანგრევის შემდეგ მის შედარებით უკეთ გადარჩენილ ჩრდილოეთის კედელზე ახალი, უფრო მცირე ზომის ეკლესია მიუშენებიათ, რომლის კედლები ზოგან ძველი ტაძრის ნანგრევებზეა გადატარებული (ტაბ. I. გეგმა დაშტრიხულია ბაზილიკისგან განსხვავებულად). ახალი ეკლესიის კედლებში სრულიად შეუსაბამო ადგილებში ჩატანებულია დანგრეული ბაზილიკის ნათალი თაღებისა თუ სხვა მარკირებული დეტალების ფრაგმენტები. ამ მცირე ტაძრის ცენტრალური დარბაზის აღმოსავლეთ ბოლოში

ნალისებრი გეგმის საკურთხეველი იყო მონყო-ბილი. აფსიდს გარშემო შემოუყვებოდა ერთხა-რისხიანი სინთრონონი, რომლის ცენტრში დამა-ტებითი საფეხურებითა და ქვის ვერტიკალური „სამკლავებით“, განსაკუთრებულ იერარქი-ულ საფეხურზე მყოფი სამღვდლო პირისთვის (ეპისკოპოსისთვის ?) სპეციალური ტახტი იყო მონყობილი (სურ. 2). ახალი ეკლესიის მთავარ დარბაზს და დასავლეთის კარიბჭეს ჩრდილოე-თით ვიწრო სტოა გაუყვებოდა, რომელიც აღმო-სავლეთით აგრეთვე ნახევარწრიული აფსიდით სრულდებოდა.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი დეტალები საკმაოდ ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ჭაბუკაუ-რის სამნავიანი ბაზილიკის სივრცულ-გეგმა-რებით აღნაგობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ის თვითმყოფადი სტილი, რაც V-VI საუკუნეთა მიჯნიდან სავსებით ნათლად შეინიშნება ქარ-თლის სამეფოს ყველა მეტ-ნაკლებად დანიშაუ-რებული პროვინციის საეკლესიო ხუროთმოძ-ვრებაში [ჩუბინაშვილი 1936: 32-50; Чубинашвили 1959: 37-140; ბერიძე 1974: 22-25].

როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში 313 წელს ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ სულ ცოტა 1-2 საუკუნის განმავლობაში, ახლადმშენებარე ქრისტიანული ტაძრების საყოველთაოდ აღი-არებულ და ლამის ერთადერთ მასობრივ სა-ხეობად ბაზილიკური ტიპის ნაგებობები იქცა. ამასთან, მიუხედავად საერთო, ამოსავალი სქე-მის იდენტურობისა, ქრისტიანული სამყაროს ბაზილიკები იმ ეპოქაშივე აღბეჭდილი იყო რე-გიონალური თავისებურებების ნიშნებით: ისინი ერთმანეთისგან რამდენადმე მაინც განსხვავდე-ბოდნენ ზომით, მშენებლობის ტექნიკით, გეგ-მურ-სივრცული პროპორციებით [Комеч 1984: 576-585; Koch 1995: 24-36].

ჭაბუკაურის ბაზილიკის არქიტექტურული თემა ნასაზრდოები ჩანს უშუალოდ IV-VI საუ-კუნეების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბა-ზილიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახა-სიათებელი ზოგადი ტენდენციებით, თუმცა მის არაერთ დეტალში იგრძნობოდა ზოგიერთი აღ-მოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნის ბაზილიკე-ბისთვის დამახასიათებელი კერძო ნიშნებიც.

მაგალითად, ჭაბუკაურის ბაზილიკაში და-დასტურებულ მართკუთხა გეგმის საკურთხევე-ლებს და პასტოფორიუმების მსგავს სივრცეებს ჩვენამდე მოღწეულ უადრეს ქართულ ბაზილი-კებში ანალოგიები არ მოეპოვება. სამაგიეროდ,

საკურთხეველების და მისი მიმდებარე სივრცეე-ბის მსგავსად მონყობის ტრადიცია IV-VI საუკუ-ნეებში გავრცელებული იყო ჩრდილოეთ სირიის და „წმინდა მიწის“ (პალესტინის) ბაზილიკებში [Beyer 1925: სურ. 4,5; 36-44; 80-91; Netzer, Birger-Calderon ... 1993: 220-225], უფრო იშვიათად მესო-პოტამიაში, ეგვიპტეში [Clarke 1912: ტაბ. VI, XIX, XXIII]. სირიაში მართკუთხა გეგმის საკურთხევე-ლები, როგორც ადვილად ასაშენებელი კონ-სტრუქცია, IV-V საუკუნეებში უფრო მეორეხა-რისხოვან ეკლესიებში გამოყენებოდა [Tchalenko 1953: 86], თუმცა, ამ ელემენტს მალევე ერთგვა-რად „კანონიზირებული“ სახე მიუღია და მრავალ მნიშვნელოვან, მონუმენტურ ბაზილიკაშიც გამოუყენებიათ (მაგ., ქირბით-ჰასანი, ქირბით-თეზინი, დარ-ქითა და სხვ. [Beyer 1925: 81, 84, 90]. სწორკუთხა საკურთხეველები გააჩნია „წმინ-და მიწის“ ამავე ეპოქის საკმაოდ მონუმენტურ, მაღალმხატვრული რელიეფური დეკორითა და მოზაიკებით შემკულ ზოგიერთ ბაზილიკასაც (მაგ. ჰეროდოუმში, იუდეას უდაბნო [Netzer, Birger-Calderon et al 1993: 222]). აღსანიშნავია, რომ იმავე ხანებში ჩრდილოეთ სირიასა და პალესტი-ნაში თავს იჩენს ბაზილიკათა საკურთხეველების ჩრდილოეთით და სამხრეთით მართკუთხა გეგ-მის მცირე სათავსების მონყობის ჩვეულებაც – მაგ., ფეფირთინი (372 წ.), ბებისქე (401 წ.) და სხვ. [Комеч 1984: 580; Beyer 1925: 37-40; Tsafirir, Hirschfeld 1993: 209], თუმცა მათ შემდგომი პასტო-ფორიუმებისგან რამდენადმე განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა გააჩნდათ – ერთ-ერთი მათგანი მღვდელ-დიაკვნების მოსასვენებელ ოთახად გამოიყენებოდა, მეორე კი სანათლავად.

ნეკრესის ნაქალაქარის ბაზილიკის საკურ-თხეველის მართკუთხოვნება, დანამდვილებით საქართველოს მეზობელი აღმოსავლურ-ქრის-ტიანული ქვეყნების ბაზილიკებიდან გადმოღე-ბული მხატვრული არქიტექტურული ელემენტი უნდა იყოს და არა სუსტი სამშენებლო ხელოვნების შედეგი (გავიხსენოთ, რომ იქვე, ნეკრესის ნაქალაქარზევე ჩვენ მიერ მიკვლეულია გვიანი ანტიკური ხანის, დაახ. III-IV სს-ის მონუმენტური წარმართული ტაძარი, რომელსაც მეტად მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულებული, ცენტრალუ-რი სათავსისკენ სიმეტრიულად მიმართული 4 აფსიდი ამშვენებდა [ჭილაშვილი 2000: სურ. 13]). გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენში ასეთ საკურ-თხეველიანი სამნავიანი ბაზილიკები ჯერჯერო-ბით სხვაგან არ არის დადასტურებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თემას ქართულ ბაზილიკურ ხუროთმოძღვრებაში შემდგომ მაინდამაინც დი-



დი პოპულარობა არ მოუპოვებია. (ჩვენ ამ თემის შედარებით გვიანდელ, VI-X სს-ის ერთეულ რემინესცენციებს არ ვგულისხმობთ, რომლებიც რამდენიმე ქართულ დარბაზულ ეკლესიაშია დაფიქსირებული [ჩუბინაშვილი 1971: 27-65]). ასევე, ზემოთ აღნიშნული რეგიონებიდან ჩანს შემოტანილი აქ დადასტურებული პასტოფორიუმთა მსგავსი სათავსები.

ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია ბაზილიკის ცენტრალური და გვერდითი ნავების ხის ორფერდა კონსტრუქციებზე (ნივნივებზე) დაყრდნობილი კრამიტის საბურველით გადახურვა. აქ გადახურვის აღნიშნული, ქართული ბაზილიკებისთვის სრულიად უჩვეულო მეთოდის დანამდვილებით გამოყენების თაობაზე შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

1. გათხრების პროცესში, მიკვლეულ მორკალული ნათალი შირიმის ქვის ყველა ფრაგმენტს, განურჩევლად ზომისა, ბრტყლად გათლილი ჰქონდა მხოლოდ სამი ნახნაგი – ქვედა რკალი და გვერდები, ზურგები კი დაუმუშავებელი იყო. ასეთი კონფიგურაცია სავსებით დასაშვებია ნავების გამყოფი კოლონადის თაღებისთვის, მაშინ როდესაც კამარების საბჯენ თაღებს ზურგებიც გათლილი უნდა ჰქონოდა.

2. ბაზილიკის იატაკის ზედაპირის მახლობელ ფენაში დიდი რაოდენობით (3 ასეულზე მეტი) აღმოჩნდა რკინის ლურსმნები, რომელთა სიგრძე 7,8 სმ-დან 16-18 სმ-მდეა, კრამიტების ნამტვრევებთან ერთად აღმოჩენილი ამდენი ლურსმანი მხოლოდ ნაგებობის ხის კონსტრუქციებით გადახურვაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს. მართლაც, იატაკის მახლობელ ნანგრევ ფენაში ნესტისგან დაშლილი ხის ძელების კვალი ზოგან კარგად დაფიქსირდა.

3. ტაძრის ინტერიერის გათხრისას, იატაკის მიდამოებში მოპოვებულ იქნა შირიმისგან ნათალი თაღის ფრაგმენტები. შესაბამის მათემატიკურ ფორმულაში ჩვენ მიერ გაზომილი თაღის ფრაგმენტების მონაცემების ჩასმით გამოიკვია, რომ ეს დეტალები ისეთი ნახევარწრიული თაღების ნაწილებია, რომელთა დიამეტრებიც დაახ. 10 სმ-მდე ცდომილებით, 3 მეტრს უდრის. როგორც ვხედავთ, ბაზილიკის გათხრისას აღმოჩენილი შირიმის რკალურად ნათალი ფრაგმენტების მოხაზულობა ოდნავაც კი არ უახლოვდება ტაძრის ცენტრალური ნავის სავარაუდოდ ზემოდან შემომსაზღვრავ საბჯენ თაღთა ფუძის ზომას – 6 მეტრს. მეორეს მხრივ, მათი მოხაზულობა არც 2.4-2.25 მ სიგანის გვერდით ნავებს შეესაბამება.

სამაგიეროდ, ბაზილიკის ნავების სიგრძივად გამყოფ სვეტებს შორის მანძილი სწორედ 3 მეტრია (5-10 სმ ცდომილებით) და ამდენად, ტაძრის ინტერიერში დადასტურებული თაღების ნაწილები ამ ბიჯების ზემოდან შემომრკალავ კონსტრუქციათა ფრაგმენტები უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ რკალური თაღების ზემოთ აღნიშნული დაუმუშავებელი ზურგებიც სწორედ ამგვარ, კედლის საყრდენი თაღის ფუნქციას შეესაბამება.

როგორც ქრისტიანულ დასავლეთში, ისე რომის აღმოსავლურ-ქრისტიანულ პროვინციებში, ანტიკურ-რომაული ტრადიციებიდან გამომდინარე, უძველესი ბაზილიკების ორფერდა სახურავები უმთავრესად ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა, რომლებიც ან გამჭვირვალედ ჩანდა დარბაზთა ინტერიერიდან, ან ხისვე ჭერებით იყო „აფიცრული“ [Mango 1976: 17-45]. გამონაკლისის სახით ცენტრალურ სირიაში, მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ირანში, ქრისტიანული ბაზილიკების გადასახურად ადრებიზანტიურ ხანაშივე ზოგჯერ ქვის კამარებიც გამოიყენებოდა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზილიკების გადახურვის ამ ორივე ხერხს იყენებდნენ როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის, განსაკუთრებულად მონუმენტურ ტაძრებში, ისე რიგით სასოფლო თუ სამონასტრო ეკლესიებში [Комеч 1984: 575-585].

აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი ბაზილიკების გადახურვის აღნიშნულ ორ მეთოდს შორის სხვაობას ამა თუ იმ რეგიონისთვის ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩვევების ნაყოფად მიიჩნევდა [Чубинашвили 1970: 40]. პატივცემული მეცნიერი ამ კანონზომიერებას ასაბუთებდა საქართველოს მაგალითით, სადაც მისი მოღვაწეობის ხანაში ცნობილი ყოველი ბაზილიკა, დაწყებული V-VI საუკუნეებიდან, მართლაც მხოლოდ ქვის კამარებით იყო გადახურული.

დღევანდელი გადასახედიდან, ჩვენი აღმოჩენის შემდეგ, ალბათ, რამდენადმე ახლებურად უნდა მივუდგეთ საკითხს უძველესი ქართული ბაზილიკების უპირობოდ ქვის კამარებით გადახურვის შესახებ. არ გამართლდა ცნობილ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთი ნაწილის შეხედულება იმის თაობაზეც, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ სულ ცოტა ერთი საუკუნის განმავლობაში, სრულიად არ იგებოდა რომაულ-ადრებიზანტიური თუ აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა პროვინციაში ესოდენ სწრაფად და საყო-

ველთაოდ გავრცელებული ნამდვილი, მოზრდილი ბაზილიკები [Чубинашвили 1959: 37; ბერიძე 1974, 22-23 და სხვ.]. (ამის მიზეზის სავარაუდო ახსნა ასეთი იყო: თითქოს-და პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრები ბიზანტიის იმპერიის სასულიერო ცენტრებიდან ჩამოსული მისიონერების მიერ იქ არსებული ეკლესიების ზეპირი აღწერის საფუძველზე იგებოდა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების მიერ და ამიტომაც განსხვავებული, პრიმიტიული გეგმარებისა იყო, თუნდაც ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე დადასტურებული მცირე სამლოცველოს ტიპისა [Чубинашвили 1936: 26]).

უფრო მეტიც: ნეკრესის ნაქალაქარზე ჩვენ მიერ აღმოჩენილი, სავსებით ჩამოყალიბებული, რომაულ-ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების „სტანდარტებთან“ აგრერიგად მიახლოებული გეგმარების ბაზილიკა ფაქტიურად ადასტურებს ქართულ წერილობით წყაროებში სრულიად ცალსახად ასახულ ფაქტს იმის თაობაზე, რომ პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრები სწორედ რომ იბერიის ოფიციალის მიერ საბერძნეთიდან (მემატიანე აქ შეიძლება გულისხმობდეს ზოგადად ბიზანტიურ სამყაროს) მოწვეული ან იქაურ მშენებლობის მეთოდებს კარგად ნაზიარები ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ხელმძღვანელობით იგებოდა [მოქცევაჲ ქართლისაჲ 1979: 323].

ზოგიერთი ცნობილი უცხოელი ხელოვნებათმცოდნე ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მივიდა შემდეგ დასკვნამდე: რომის იმპერიასა და აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანობის ტრიუმფალურად გავრცელების შემდგომ დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში, თითქმის მთელ აღმოსავლეთ-ქრისტიანულ სამყაროში ძირითადად იგებოდა საკმაოდ მოზრდილი, ზუსტად რომაულ-ბიზანტიური სტილის თუ არა, მათთან საკმაოდ მიახლოებული გეგმარების ბაზილიკები. ეს ხანა აღმოსავლურ ეკლესიათმშენებლობაში ვერ ჩაითვლება დიდი შემოქმედებითი ძიების ეპოქად – ღარიბი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული ხერხებით ნაგები ბაზილიკები ზოგჯერ მალევე ინგრეოდა მიწისძვრების შედეგად. მხოლოდ მოგვიანებით, V საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც პირველი ბაზილიკების საჩქაროდ მშენებლობის „ციებ-ცხელებამ“ გადაიარა, აღნიშნული ქვეყნების ხუროთმოძღვრები და მმართველი წრეები შეუდგნენ ამ თემის ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით შემოქმედებითად „გადააზრებას“. სწორედ ამის

შედეგად შეიქმნა თითქმის ყველა ცალკეულ რეგიონში ძველი, კლასიკური ბაზილიკების მოდელებიდან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტიპოლოგიური ვარიაციები, ხშირად კი სრულიად ორიგინალური შედეგებიც [Кондаков 1904: 30-62, 268; Strzygowski 1889: 36].

ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია, რომ ჭაბუკაურის გრანდიოზული, ადრეული ბერძნულ-რომაული ქრისტიანული ბაზილიკების სქემით და კონსტრუქციებით ნაგები ტაძარიც ამავე ზოგად-აღმოსავლურ ტენდენციას დაუკავშიროთ. საკითხის სწორედ ასეთი გააზრებით შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რატომ აღარ იგებოდა საქართველოში V ს-ის მეორე ნახევარსა და VI ს-ში ასეთივე გაუაზრებლად გადმონერგული, ხის კონსტრუქციებით გადახურული და ამის გამო, ბუნებრივია, ნაკლებად სეისმომდებელი ბაზილიკები – ისინი ჩვენში შედარებით ნაკლებად ნაგრძელებულმა, ქვის კამარებით კარგად შეკრულმა და ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციებისადმი უკეთ მისადაგებულმა ნიმუშებმა შეცვალა [Чубинашвили 1970: 39-40], რომლებმაც სწორად შერჩეული კონსტრუქციების წყალობით ჩვენამდე უკეთესადაც მოაღწია.

**ჭაბუკაურის ბაზილიკის არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურებული ნივთიერი მასალის დათარიღება.** ბაზილიკის იატაკზე და მის მახლობლად, ნანგრევი ფენის ქვედა პლასტებში მოპოვებული ნივთიერი მასალა, ძირითადად ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ზოგადად IV-VI სს-ით თარიღდება [ჯღამაია 1980: 21-22]. ამავე ფენაში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომელთა წარმოება-მოხმარების თარიღზე უფრო კონკრეტულად შეიძლება საუბარი. მაგალითად, მრავლად გვხვდება ვარდისფრად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები, მსხლისებრი ფორმის, სამტუჩა ან პირგადმოკეცილი, ცალყურა დოქების ნაწილები. ზოგიერთი მათგანის ყელი და მუცელი შემკული ყოფილა ჭდეული ან რამდენიმეკბილიანი იარაღით ამოღარული ტალღური ორნამენტით (ტაბ. II<sub>3-7</sub>). ამ ნიმუშებს მეტად ახლობელი პარალელები ეძებნებათ ურბნისის და ლოჭინის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკიდან, რომელთაც მკვლევარები IV-V ს-ით ათარიღებენ [ჭილაშვილი 1964: 100; სურ. 44; აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: სურ. 3, 4; სინაურიძე 1966: 62]. ანალოგიური ნაწარმი აღმოჩენილია ნაქალაქარ ჭერემის ციტადელზეც, რომელიც ასევეა დათარიღებული (აქ სპარსელთა ლაშქრობის შედეგად

ცხოვრება 502 წელს არის შეწყვეტილი [მამაიაშვილი 2004: 134-134]).

ბაზილიკის გათხრისას, დაახლოებით იატაკის დონეზე, სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდა ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების მრავალფეროვანი, მეტად საინტერესო კოლექცია. აქ წარმოდგენილია ბრინჯაოსა და მინისგან დამზადებული ზეთის ლამპრები და ჭალები. დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათის მიხედვით, მომხდარი დამანგრეველი კატასტროფისას ყოველი მათგანი ტაძრის ჭერში ან კედლებში ჩაჭედებულ სამაგრებზე ყოფილა დაკიდებული.

მაგალითად, უნიკალურ აღმოჩენათა რიგს განეკუთვნება ნავების გამყოფი ჩრდილოეთის რიგის მე-4 და მე-5 სვეტებს შორის დადასტურებული ბრინჯაოს ჭრაქი (ლამპარი), რომლის მსგავსი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მკვლევარებს ჯერჯერობით არ შეხვედრიათ (ტაბ. II<sub>1</sub>). ჭრაქი იდგა ბრინჯაოს ბრტყელ, მართკუთხა ფუძეზე, რომელის ცალი გვერდი აფსიდისებური შვერილითაა დასრულებული და ცხადია, სიმბოლურად ქრისტიანული ეკლესიის გეგმურ მოდელს გამოხატავს. დგარი წნულების და რგოლების მონაცვლეობით შედგენილ 4 ჯაჭვზე ეკიდა, რომლებიც მაგრდებოდა ღუზისებრი მოყვანილობის საკიდზე. თვით ჭრაქს ერთი საპატრუქე ლულა, შროშანისებრი ფორმის რელიეფური ზურგი და სანვაგის ჩასასხმელი სფეროსებრი მუცელი აქვს. ეს ნიმუში, ერთის მხრივ, მეტად მჭიდრო სტილისტურ კავშირს ამჟღავნებს გვიანანტიკური ხანის რომაული სამყაროს გამოყენებითი ხელოვნების ამავე დანიშნულების ნიმუშებთან, თუმცა მას ასევე მეტად ახლობელი პარალელები ეძებნება IV-V საუკუნეების ბიზანტიური სამყაროს სხვადასხვა რეგიონის (მათ შორის სირიის) ლითონის მხატვრულ ნაკეთობებში [Djuric 1995: 56, 78, 84; Lofreda 2001: 101-134]. ჩვენი შეფასებით, მართალია ამ აღნაგობის ლამპრების ზოგადი სტრუქტურა ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან მოყოლებული ჩვ.წ. VI-VII სს-მდე დიდად არ იცვლება, მაგრამ შესრულების მხატვრული სტილის და ოსტატობის მიხედვით მათი დაჯგუფება სულ მცირე 3 კატეგორიად შეიძლება. კერძოდ, რომაულ ხანაში დამზადებული ასეთი ნივთების ფორმები ძლიერ დახვეწილია, პროპორციის კანონების გათვალისწინებითაა დამზადებული (“წელში გამოყვანილი” ლულა, ღეროდან ლილვზე რბილად შეუღლებული ფეხი და სხვ.); მათი შემამკობელი მცენარეული, ზომორფული თუ ანთროპომორფული გამოსახუ-

ლებანი პირდაპირ შეესატყვისება გვიანი ანტიკური ხელოვნების რეალისტურ ხასიათს [Mutz 1972: ფოტ. 393-394; ფოტ. 408-409]. IV-V საუკუნეებში დამზადებულ ასეთივე სტრუქტურის ლამპრებს თითქმის უწინდელივით დახვეწილი ფორმები აქვთ, მაგრამ მათი დეკორიდან გამქრალ ზომორფულ და ანთროპომორფულ გამოსახულებებს ხშირად ენაცვლება ქრისტიანული სიმბოლიკა (ზოგჯერ ჯვრის გამოსახულებაა ხოლმე ზურგის გაფორმებაში ჩაქსოვილი, ჩვენ შემთხვევაში კი სადგარის ფორმა ასახავს ეკლესიას) [Oren 1993: 311]. V-VI საუკუნის მიჯნიდან მოყოლებული, ასეთივე აღნაგობის ლამპრების მხატვრული სტილი საკმაოდ ხისტი ხდება, გლუვი ფორმების შეუღლებები ხშირად ნიბოვანია, ზურგის შემამკობელი ორნამენტი კი სქემატურია [Land des...1984: 249]. როგორც ჩანს, ბრინჯაოს ლამპრების შესრულების სტილის სწორედ ასეთ ქრონოლოგიურ გრადაციას ითვალისწინებენ ის საზღვარგარეთელი მეცნიერები, რომლებიც ჭაბუკაურის ბაზილიკაში აღმოჩენილი ნიმუშის უაღრესად ახლობელ ანალოგებს ზუსტად IV საუკუნით ათარიღებენ [Банк 1966: ტაბ. 3; Банк 1985: სურ.17; Mutz 1972: 145, ფოტ. 412-413].

ასევე მხატვრულად უაღრესად დახვეწილი, ექვსლულიანი და ოთხლულიანი ბრინჯაოს ლამპრები (ჭალები) აღმოჩნდა ბაზილიკის დარბაზის სვეტების სამხრეთის რიგთან და საკურთხევლის აღმოსავლეთ კედლის ძირში (ტაბ. III<sub>2</sub>). ლამპრები ზეთის ჩასასხმელის ირგვლივ განლაგებული რამდენიმე ლულით, გავრცელებული იყო ახ.წ. I-III სს-ში, IV საუკუნეში კი იშვიათადაა გვხვდება. ამდენად, მათი დათარიღება ახ.წ. IV საუკუნეზე ან IV-V სს-თა მიჯნაზე უფრო გვიანი ხანით, ალბათ, შეუძლებელია [Mutz 1972: 141].

ბაზილიკის ნანგრევზე ჩრდილოეთ კედელზე მიშენებული ეკლესია ნუმიზმატიკური მონაპოვრით მყარად დათარიღდა VI საუკუნით: ამ მეორე ქრონოლოგიური ფაზის ნაგებობის დანგრევის დროინდელ ფენაში, იატაკის მახლობლად აღმოჩნდა ვერცხლის ორი მონეტა – ერთი სპარსული, ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) და მეორე ბიზანტიური, მავრიკუს ტიბერიუსის (582-602 წწ.) სახელით მოჭრილი. სწორედ ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ დანგრეული ტაძრის ამ სახით რეკონსტრუქცია ერთ-ერთი ასურელი მამათაგანის, წმ. აბიბოს ნეკრესელის ამ ეპარქიაში ეპისკოპოსობის ხანას უკავშირდებოდეს [აბულაძე 1955: 188].

**ბაზილიკის მშენებლობის წინარე ქრონოლოგიური ფაზა – წარმართული ტაძარი.** ბა-



ზილიკის აგების ხანის დაზუსტების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა ტაძრის იატაკის ჰორიზონტის ჩაჭრის შედეგად დაფიქსირებულმა არქეოლოგიურმა სურათმა. გამოირკვა, რომ ეს ქრისტიანული ბაზილიკა აგებული ყოფილა თითქმის ასეთივე გრანდიოზული წარმართული ტაძრის ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებისთანავე დაუნგრევიათ. ბაზილიკის წინარე ტაძრის საძირკვლის დონეზე აღმოჩენილი ორიოდე შავად და ლეგად გამომწვარი, ნაპრიალები თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ელინისტურ თუ გვიანანტიკურ ხანაში საკულტო ნაგებობა აქ უკვე არსებობდა. დანგრეული წარმართული ტაძრის საფუძვლის ზოგიერთი ნაწილი ქრისტიანული ტაძრის კედლების და სვეტების საძირკვლად დაუტოვებიათ (ტაბ. I). ბაზილიკის გეგმაზე წარმართული ტაძრის ნაშთები დატანილია დასავლეთიდან პირველი 3 წყვილი სვეტის მიდამოებში, ჩრდილოეთის და ცენტრალურ ნაგებობაში, გრძივი კედლების მართობულად, დაშლილი ნაგებობის დანარჩენი მასალა კი ტაძრის კონსტრუქციების ასაგებად გამოუყენებიათ. როგორც ჩანს, ეს ყოფილა ე.წ. „სექციური ტიპის“ ტაძარი, რომელიც ერთმანეთთან ცენტრალურ ღერძზე განლაგებული გასასვლელით დაკავშირებული, პრაქტიკულად ერთნაირი მოხაზულობისა და ზომის სულ ცოტა 5 ოთახისგან შედგებოდა. ამ სატაძრო ნაგებობას მეტ-ნაკლებად მახლობელი პარალელები მოექცნა ანტიკური ხანის როგორც წინა აზიის, ისე თვით ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში [ყიფიანი 2000: ტაბ. XVI-].

ყველა ნიშნით, წარმართული ტაძრის დანგრევა და ახალი რელიგიის სიძლიერის ხაზგასმით გამომხატველი, ჭაბუკაურის დიდი ქრისტიანული ბაზილიკის აგება დაახლოებით თანადროულად უნდა მომხდარიყო – ბაზილიკის ქვაფენილ იატაკზე და ამ იატაკის ჩაჭრის შემდეგ აღმოჩენილ, წინარე ქრისტიანული სამლოცველოს კულტურულ ფენაში დადასტურებული კერამიკული მასალა ტიპოლოგიურად, სტილისტურად და შესრულების ტექნიკით თითქმის ერთმანეთის იდენტურია. ეკლესიის მაინც და მაინც ამ ადგილზე აგება, ალბათ, მთელი ადრე ქრისტიანული სამყაროს ქვეყნების საერო თუ სასულიერო მესვეურთათვის ჩვეულ ჩანაფიქრს ემსახურებოდა: ერთის მხრივ, წარმართული სამლოცველოს დანგრევა და მის ადგილზე კიდევ უფრო გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა

ახალი რელიგიის ძველზე გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნეოდა, იმავდროულად კი მოსახლეობას ჩვეული თაყვანისცემის ადგილისადმი შემორჩენილი მოწინება ქვეცნობიერად ახალ სალოცავზე „გადმოჰქონდა“.

რა თქმა უნდა, ამ კომპლექსის ხუროთმოძღვრული ანალიზის და წარმოდგენილი არქეოლოგიური სურათის საფუძველზე, თეორიულად მაინც ვერ გამოვრიცხავდით მოვლენათა ასეთ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას: ხომ შეიძლება უკვე გაუქმებული წარმართული ტაძარი საბოლოოდ V საუკუნის პირველ ან მეორე ნახევარში დაენგრიათ და ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკაც ამ დროს აეგოთ; ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხნის შემდეგ მიწისძვრისგან დანგრეულიყო და მასზე მცირე ეკლესია სასწრაფოდ დაეშენებინათ (რომელმაც, თავის მხრივ ერთი საუკუნე თუ იარსება) – ჭაბუკაურის კომპლექსში ტაძრების ამგვარ „დროში შემჭიდროვებულად“ მონაცვლეობის ვერსიას კატეგორიულად ვერ ეწინააღმდეგება ვერც იქ დაფიქსირებული ნივთიერი მასალა და ვერც ეკლესიის ხუროთმოძღვრული სტილი. მეორეს მხრივ, ასეთ ვითარებაში, ალბათ, ანგარიში უნდა გავუწიოთ შემდეგ „ირიბ“ არგუმენტებსაც:

1. როგორც ცნობილია, V ს-ის ბოლოს სპარსელები ჰერეთის გზით შემოიჭრნენ კახეთში, აიღეს ხორნაბუჯი, ველისციხე, ჭერემი და მიადგნენ უჯარმას [მუსხელიშვილი 2003: 185]. ჭერემის გზაზე ისინი ნეკრესს ზურგს უკან არ მოიტოვებდნენ და მართლაც, ნაქალაქარზე ჩვენ მიერ გათხრილ ამ ეპოქის მრავალ ნაგებობაზე კარგად შეიმჩნევა ამ დარბევის კვალი, მძლავრი ნახანძრალი (მაგ., ჭაბუკაურის მახლობლად მდებარე „საკირების“ ნასასახლარზე დადასტურებული ეს ფენა თსუ-ს ნახშირბადის იზოტოპების ლაბორატორიის მიერ V ს-ის ბოლოთა დათარიღებული). ჭაბუკაურში, არც ბაზილიკაში და არც მასზე მიშენებულ ეკლესიაში ასეთი დარბევის კვალი სრულიად არ შეინიშნება (ცეცხლის კვალის არ არსებობამ, კონსტრუქციების ცალ მხარეს გადაწოლის სურათმა და მათ ქვეშ ხელუხლებლად შემორჩენილმა ძვირფასმა ნივთებმა დაგვარწმუნა, რომ მათ დანგრევაში მტრის ხელი არ ურევია). როგორც ჩანს, ბაზილიკა ამ დროს მიწისძვრისგან უკვე ნანგრევებად იყო ქცეული, ახალი ეკლესია კი ჯერ არ იყო აშენებული.

2. როგორც გამოირკვა, აღმოსავლეთ საქართველოში V საუკუნეში მხოლოდ ორი დამანგრეველი სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირებული



– 427 და 453 წლების. 453 წლის 7 ბაზილიან მიწის-  
ძვრას კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე  
ეპიცენტრით, სპეციალისტების აზრით, დი-  
დად ვერ უნდა ევნო ნეკრესის ბაზილიკისთვის.  
427 წლის მიწისძვრის ეპიცენტრი ნეკრესიდან  
არცთუ შორს, თანამედროვე განჯასთან მდებარეობდა და მისი სიმძლავრე იქ 9 ბაზს აღწევდა  
[Атлас сильных... 1977: 69-94]. აი, ეს მიწისძვრა  
კი, თავისუფლად შეიძლება გამხდარიყო ჭა-  
ბუკაურის დიდი ბაზილიკის უეცარი, სრული  
დანგრევის მიზეზი.

ამრიგად, ჭაბუკაურის ბაზილიკის ხუროთ-

მოძღვრულ-სტილისტური ანალიზის შედეგები  
და ამ ძეგლის გათხრებისას დაფიქსირებული  
სტრატოგრაფიული მონაცემები თითქოს მარ-  
თლაც შეესატყვისება აღნიშნულ წერილობით  
წყაროებში მოხსენიებულ ცნობებს ქართლის მე-  
ფე თრდატის მიერ ქალაქ ნეკრესში გამორჩევით  
მნიშვნელოვანი ტაძრის აგების შესახებ. ვფიქ-  
რობთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ახალი არგუ-  
მენტები საფუძვლიანობას მატებს ბ-ნ ლევან ჭი-  
ლაშვილის მოსაზრებას ჭაბუკაურის სამნავიანი  
ბაზილიკის ამ ტაძართან გაიგივების თაობაზე.

**N. Bakhtadze**

## **TOWARDS DATING THE CHABUKAURI BASILICA BROUGHT TO LIGHT AT THE NEKRESI FORMER CITY SITE**

### Summary

Several years ago, an archaeological expedition of the S. Janashia Georgian Museum, digging an the so-called Chabukauri plot, at the center of the former city site of Nekresi, Qvareli district, brought to light the ruins of a vast three-nave basilica built of split stone. The church *naos*, 39 m. long and 15 m wide, had been divided into three naves by means of 15 pairs of rectangular-section pillars. To the east of the central nave a chancel of rectangular plan had been built, with pastophoria to its right and left. Each nave of the church had a tile roof resting on wooden structures, which was hitherto considered to be an absolutely unknown architectural method in the history of Georgian basilicas. This fact, and many more planning and decorative elements, attested here and unusual for medieval Georgian churches: rectangular chancel, facades faced with ceramic slabs, the interior painted red, etc., leads the author to believe that the construction of the church was strongly influenced by the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. Eastern-Roman church architectural style. The possible building of the church in the cited period is corroborated by fragments of red polished clay vessels, discovered while digging the floor of this church which had been destroyed by a strong earthquake, as well as highly-artistic oil lamps made of bronze, exact Roman-Byzantine analogies of which are dated by scholars of many countries of the world precisely to the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> centuries.

The following argument also speaks in favor of dating the church to such an early period: the archaeological digging under its floor has revealed that this Christian basilica was built on the site of a Classical period pagan stone temple of sectional type of almost the same vastness. This pagan temple, located in Nekresi, one of the most important royal cities of Iberia, was demolished within a few decades of the proclamation of Christianity the official religion in Georgia. The lower masonry of some of its walls was spared as foundation for the Christian church, while the remaining material of the demolished church was used in building the church.

Thus, we have all grounds to assume that the basilica, discovered by the author, is the large temple built by the Iberian King Trdat in Nekresi in the last quarter of the 4<sup>th</sup> century, emphasized in old Georgian written sources.

It is worth noting that for more than the past half a century the majority of the historians of Georgian architecture believed that the church indicated in the cited written source was a miniature chapel slightly resembling a basilica, located on the territory of the Nekresi monastery. Furthermore, prior to the discovery of the Chabukauri basilica, these scholars rejected the possibility of the construction of basilicas of the Roman-Byzantine planning scheme.

The present discovery seems to corroborate one more piece of evidence preserved in Georgian historical chronicles to the effect that Iberian officials built the first Georgian Christian churches under the supervision of architects invited from the Roman world.

### **ლიტერატურა**

აბულაძე ი. 1955: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბილისი.

- აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:** ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. – სსმმ, XXIII-B, 197-206.
- ბახტაძე ნ. 2006:** ყვარლის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები. – გაზეთი „ყვარელი“, №19-20.
- ბერიძე ვ. 1974:** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.
- გოილაძე ვ. 1990:** ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი.
- მამაიაშვილი ნ. 2004:** ქალაქი ჭერემი. თბილისი.
- მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1979:** შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი.
- მროველი ლეონტი. 1955:** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი.
- მუსხელიშვილი დ. 2003:** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი.
- რამიშვილი რ. 1970:** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. სიონი. თბილისი.
- სინაურიძე მ. 1966:** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. თბილისი.
- ყიფიანი გ. 2000:** კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი.
- ჩუბინაშვილი გ. 1936:** ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1. თბილისი.
- ჩუბინაშვილი ნ. 1971:** ზედაზენი, კლიკის ჯვარი, ღვიარა. – ქართული ხელოვნება, 7, 27-65.
- ჭილაშვილი ლ. 2000:** ნეკრესის წარმართული სამლოცველოები. თბილისი.
- ჭილაშვილი ლ. 2004:** ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი.
- ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.
- ჭილაშვილი ლ. 1958:** ქალაქი რუსთავი. თბილისი.
- ჯღამაია ჯ. 1980:** სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი.
- Атлас сильных ... 1977:** Атлас сильных землятресений СССР до 1975 года. Москва.
- Банк. А. 1966:** Византийское искусство в собраниях Советского Союза. Москва-Ленинград.
- Кондаков Н. 1904:** Археологическое путешествие по Сирии и Палестине. С.-Пб.
- Комеч А. 1984:** Архитектура. – Культура Византии, 573-595. Москва.
- Чубинашвили Г. 1959:** Архитектура Кахетии. Тбилиси.
- Чубинашвили Г. 1970:** К вопросу о начальных формах христианского храма. – Вопросы истории искусства, 36-43. Тбилиси.
- Bank A. 1985:** Byzantine Art in the Collections of Soviet Museums. Leningrad.
- Beyer H. 1925:** Der syrische Kirchenbau. Berlin.
- Butler H. 1929:** Early churches in Syria. London.
- Djuric S. 1995:** The Anawati collection, Catalog 1: Ancient lamps from the Mediterranean. Toronto.
- Clarke S. 1912:** Cristian antiquities in the Nile Valley. Oxford.
- Koch G. 1995:** Frühchristliche Kunst. Stuttgart, Berlin, Köln.
- Land des Baal. 1984:** Syrien-Forum der Völker und Kulturen. Mainz am Rhein.
- Lofreda S. 2001:** Light and life: ancient Christian oil lamps of Holy Land. Jerusalem.
- Mango C. 1976:** Byzantine architecture. New York.
- Mutz A. 1972:** Die Kunst des Metaldrehens bei den Römern. Stuttgart.
- Netzer E., Birger-Calderon R., Feller A. 1993:** The curches of Herodium. – Ancient churches revealed, 219-232. Jerusalem.

Oren E. 1993: A Christian settlement at Ostrakine in North Sinai. – Ancient churches revealed, 305-314. Jerusalem.

Tchalenko G. 1953: Villages antiques de la Sirie du nord, 3 vols, Paris.

Tsafir Y., Hirschfeld Y. 1993: The Byzantine church at Horvat Berachot. – Ancient churches revealed, 207-218. Jerusalem.

## სურათებისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – ჭაბუკაურის ბაზილიკის ცენტრალური ნაწილი (ხედი აღმოსავლეთით)

სურ. 2 – ჭაბუკაურის ბაზილიკის მიწაშენი ეკლესიის ცენტრალური დარბაზი (ხედი აღმოსავლეთით)

ტაბ. I – ჭაბუკაურის ბაზილიკის და მიწაშენი ეკლესიის გეგმა (წარმართული ტაძრის განათხარი ნაშთების ჩვენებით)

ტაბ. II – 1. ბრინჯაოს სადგარიანი ლამპარი ჭაბუკაურის ბაზილიკიდან; 2. ბრინჯაოს ექვსპატრუქიანი ლამპარი ჭაბუკაურის ბაზილიკიდან; 3-7. ჭაბუკაურის ბაზილიკის იატაკის დონეზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და მათი ფრაგმენტები.

## DESCRIPTION OF THE FIGURES AND PLATES

Fig.1 – Central nave of the Chabukauri basilica (view to the east).

Fig. 2 – The central hall of the church attached to the Chabukauri basilica (view to the east).

Pl. I – Plan of the Chabukauri basilica and the annexed church (with indication of the excavated remains of the pagan temple).

Pl. II – 1. A lamp with a bronze support from the Chabukauri basilica; 2. a bronze six-wick lamp from the Chabukauri basilica; 3-7. clay vessels and their fragments found at floor level of the Chabukauri basilica.






სურ. 1



სურ. 2









1




2




3




4



6



7



5



## ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.)

XIII ს-ის პირველ ნახევარში მონღოლებმა მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო შექმნეს. ამ საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს მათ საქართველოც დაიპყრეს და ხანგრძლივად გაბატონდნენ აქ. 1242 წელს მონღოლებსა და რუსუდან მეფეს (1223-1245) შორის დადებული ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. დაწესდა უფლებრივი განსხვავება საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ საქართველოში, როგორც მონღოლთაგან ომით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად, უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და სარდლები ჯარითურთ. ლიხთამერი კი – ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა [ნარკვევები 1979: 550].

XIII ს-ის 60-იანი წლებისათვის ერთიანი მონღოლთა იმპერია დაიშალა. ჰულაგუ ხანმა (1256-1265) შექმნა მონღოლთა იმპერიის მეხუთე ულუსი, ე.წ. ილხანთა სახელმწიფო. ჰულაგუ ხანი და მისი მემკვიდრეები ატარებდნენ „ილხანის“ ტიტულს – ტომის ხანის (ულუსის ხანის) მნიშვნელობით. სამხრეთში, ირანის ტერიტორიაზე, ახლად ჩამოყალიბებულმა ილხანთა სახელმწიფომ აზერბაიჯანი თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია. მისი ქალაქი-რეზიდენციები დროგამოშვებით იყო მარაღა, უჯანი, თავრიზი, სულთანიე.

მონღოლებმა თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო ადვილად ჩაიგდეს ხელში და არცერთი სისხლისმღვრელი ბრძოლა არ გადაუხდიათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მონღოლები შედარებით ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკას ატარებდნენ მაშინ, როდესაც აზერბაიჯანსა და სომხეთის პროვინციებში მათ ყველგან თავისი მონღოლი მმართველი დასვეს. საქართველოს ცალკეული მხარეების მმართველად მონღოლებმა ადგილობრივი, ქართველი ფეოდალები დატოვეს და თვით მეფის ხელისუფლების არსებობის ფაქტსაც კი შეურიგდნენ.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „მონღოლების ბატონობის დროს, XIII ს-ში, ქართველი მაღალი ფენის ფეოდალები („დიდებულები“,

„მთავრები“) მეფის ხელისუფლებას წარმატებით ებრძოდნენ იმუნიტეტის მოსაპოვებლად. მონღოლები ფეოდალების ამ ბრძოლაში, სწორედ მათ მხარეზე აღმოჩნდნენ. მეფის ხელისუფლების დასუსტების მიზნით მონღოლებმა მოხერხებულად გამოიყენეს მთავართა ფეოდალური სისტემა, რომელიც საქართველოში XIII ს-ის დასაწყისში გაფორმდა. მონღოლებმა ცნეს მთავართა ფეოდალური უფლებები მათდამი ჩაბარებულ „ტერიტორიაზე“. ამ ცნობით ერისთავები დამოუკიდებელი ხდებოდნენ ქართველი მეფის ხელისუფლებისგან. წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ მონღოლების და მთავრების ამ პოლიტიკური თანხმობის შესახებ მეფის ხელისუფლების საზიანოდ, „მონღოლთა ხანების შიშით“, წერია წყაროებში, „მეფეს არ შეეძლო თავისი ერისთავების შეცვლა“ [Бердзенишвили 1938: 21].

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ზემო ქართლს ანუ მესხეთს, უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მონღოლთა შემოსევას ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მესხეთმა გაუწია. ყვარყვარე ჯაყელი სამცხის ერისთავთ-ერისთავი და სპასალარი ერთადერთი მთავარი აღმოჩნდა, რომელმაც მეფის თანხმობის გარეშე მტერთან დამორჩილება კი არა, მოლაპარაკებაც არ ისურვა. ყვარყვარე ხედავდა, რომ დამხმარე ძალა არსაიდან ჩანდა, რაკი სხვა გამოსავალი აღარ იყო თავდაცვითი ბრძოლის გაგრძელებისა, მანაც მორჩილება ამჯობინა.

სამცხე უშუალოდ მონღოლთა ყაენის მფლობელობაში შევიდა და საუფლისწულო ქვეყნად – ულუსიანად ანუ ხასინჯუდ იქცა. ჟამთააღმწერლის სიტყვით, ჯაყელს სრულიად გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა მონღოლებთან „ხარაჯას მისცემდა ყაზანსა და ლაშქრითა შეენეოდა“ [ქართლის ცხოვრება 1959: 255, 304]. მონღოლები სამთავროს შინაურ მმართველობაში არ ერეოდნენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ასეთი დამოკიდებულება მონღოლებთან შეიქმნა „მესხეთის მთავრის პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებით, თორემ სარგისის მიერ სამცხე

მონღოლების სახასო მმართველობაში შედიოდა“ [ჯავახიშვილი 1941: 140].

ჯაყელების დინასტიის ფუძემდებელი და მესხეთის პირველი დამოუკიდებელი მთავარი სარგის I (1266-1285) იყო. საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ პერიოდში, ჯაყელები მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ანუ მერმინდელ სამცხე-საათაბაგოს სამთავროში ბატონდებიან. დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბებული ჯაყელების სამფლობელო ამიერიდან სამცხე-საათაბაგოდ იწოდებოდა (საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ ათაბაგობა, როგორც ვაზირობა მოისპო და იგი იქცა სამცხის მთავართა ტიტულად, აქედან ეწოდა ისტორიულ მესხეთს სამცხე-საათაბაგოს სამთავრო).

სარგის ჯაყელის მეთაურობით გამოყოფილი სამცხე 1266-1334 წწ. „ულუსიანი“ გახდა. ჯაყელების რეზიდენცია ქ. ახალციხე იყო. სამთავროს კი ვრცელი საზღვრები ჰქონდა „ტაშისკართან კარნუ ქალაქამდის, ბასიან-არზრუმამდე და ისპირ-ტრაპიზონის მთაგრეხილამდე, ვიდრე სპერამდე და ზღუამდე“ [ქართლის ცხოვრება 1959: 273].

„ისტორიისთვის ჩვეული უკუღმართობით – ნერს ქრ. შარაშიძე – საქართველოს დაშლა სწორედ იმ კუთხიდან დაიწყო, სადაც საუკუნეების წინ ქართველი ხალხის დიდი გამაერთიანებელი მოძრაობა იყო გაჩაღებული. ფართოდ გაშლილი ტერიტორია (“ტაშისკარიდან ვიდრე ერზერუმამდე”) ოდესღაც ბედნიერი გეოგრაფიული მდებარეობა, ზღაპრულად მდიდარი ბუნება, იშვიათი კლიმატური პირობები, ხუროთმოძღვრების უდიდესი ძეგლების მჭიდრო ქსელი, აყვავებული სასოფლო მეურნეობა, განვითარებული ხელოსნობა და ხელოვნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ მხარეს... ამბობენ, რომ ე.წ. საათაბაგო მთელ საქართველოს მესამედს წარმოადგენდაო. კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური წონით ეს მხარე გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის იყო“ [შარაშიძე 1961: 145].

სამცხე ძლიერი სამთავროა XIII ს-ში. ის პირველი იბრძვის საქართველოსაგან განცალკევებისათვის. ამას ხელს უწყობდა სამცხის მთავრის დიდი მამულები, სამცხის სანაპირო მდებარეობა [სურგულაძე 1965: 277].

ხსენებული ეპოქის ისტორია სათანადო წყაროების სიმცირის გამო დღემდე შედარებით სუსტად არის შესწავლილი. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა იმ სირთულეზე, რომელიც ამ დრო-

ის ისტორიის მკვლევარს წყაროების სიმცირის გამო წინ ეღობება [ჯავახიშვილი 1950: 1]. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ დროის ნუმიზმატიკური მასალის შესწავლას. აქ წარმოდგენილი ნუმიზმატიკური ძეგლების გამოქვეყნება და მათი ანალიზი მიზნად ისახავს ნაწილობრივ მოჭფინოს შუქი ძეგლი მესხეთის ისტორიას.

როგორც ამას ქრ. შარაშიძე შენიშნავდა, თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში ერთმანეთის გვერდით არსებობს ორი აზრი. პირველი, რომ ცალკე გამოყოფილი სამცხე განცალკევების საკმარისად ხანგრძლივი პერიოდით, სამართლის ნორმების საკუთარი კოდექსის შექმნით, საკუთარი საგარეო პოლიტიკით და სხვა, საქართველოსგან სავსებით ჩამოშორებული იყო და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა. მეორე მხრით, აღნიშნულია აგრეთვე, რომ საქართველოსა და მესხეთს შორის პოლიტიკური კავშირი ულუსიანობის დროსაც არ ყოფილა შეწყვეტილი“ [შარაშიძე 1961: 145]. ნუმიზმატიკური მასალისა და საისტორიო წყაროების მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შევეცდებით წარმოვადგინოთ თუ რა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი არსებობდა საქართველოს სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს შორის.

სამცხის ცენტრის ახალციხის სახელი აღნიშნულია სოფ. ქოდალოში (გურჯაანის რ-ნი) აღმოჩენილ ჰულაგუიდური მონეტების განძში შემავალ ყაზან ყაენის (1296-1304) უნიფიცირებულ დირჰემზე. ამ ზარაფხანას პირველად იხსენიებს ი. ბართლომე თავის მესამე წერილში კ. სორესადმი. წერილის ავტორმა ვერ შეძლო მოეხდინა ზუსტი იდენტიფიკაცია და ზარაფხანა ამოიკითხა „იხშინად“ (اخش) [Troisienne Letter 1862: 48-49]. თუმცა ამ ამოკითხვის სისწორეში მას ეჭვი ეპარებოდა.

1939 წ. ერევანში აღმოჩენილი ჰულაგუიდური განძის შემადგენლობაში შედიოდა ახალციხეში მოჭრილი დირჰემიც. ე. პახომოვმაც ვერ ამოიკითხა მასზე ზარაფხანის სახელწოდება და ზარაფხანის მოხაზულობა მოგვცა შემდეგნაირად (الحس) [Пахомов 1949: № 1158]. ამკარაა, რომ იგი ახალციხის აღმნიშვნელი იყო.

ახალციხეში ზარაფხანის არსებობის აღმოჩენა თ. ლომოურს ეკუთვნის. მან პირველმა ამოიკითხა ამ ქალაქის სახელი ყაზან ყაენის დირჰემზე [ლომოური 1947: 214-215].

ვიძლევიტ მონეტის აღწერილობას:

გ.ფ. 5194, წონა – 2,23 გ. ზომა – 22/23 მმ



(ტაბ. I<sub>1</sub>).

შუბლი: წრეში პირველ, მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სტრიქონებზე მონოლოურად: „სახელითა ღვთისათა მონეტა ყაზან ხანისა“. მესამე სტრიქონზე არაბულად: عزان محمود ე.ი. „ყაზან მაჰმუდი“.

მარცხნივ ტიპეტური წარწერა; ლეგენდის ზევით ორნამენტი; გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთი ცენტრილოვანი.

ზურგი: ხუთუბიან ორმაგ ჩარჩოში ოთხ სტრიქონზე:

/ لا اله الا الله / محمد / رسول الله /

„არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“.

მეორე და მესამე სტრიქონებს შუა: ضرب اخصيس „იჭედა ახალციხეს“.

გარშემო: صلى الله عليه و سلم - „დალოცვა და მშვიდობა მისცა მათ ალაჰმა“.

გარშემო სეგმენტებში თარიღი:

/ سنة / سبع / مائة / „შვიდასი წელი“.

ახალციხის ზარაფხანის უადრეს თარიღს ყაზან ყაენის დირჰემზე თ. ლომოური ჰიჯრით 698 წ. (1298-1299) კითხულობს. ჩვენ იგივე მასალაზე მუშაობისას 3.700 წ. (1300-1301) და 3.701 წ. (1301-1302) ამოვიკითხეთ (გ.ფ. №№ 3490; 3527-3528; 35-50; 364; 3673; 3708; 3714; 3724; 5194-5195; 5306-5310; 1278). არც ერთი მონეტა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, არც პეტერბურგის ერმიტაჟის და ბაქოს ისტორიულ მუზეუმში დაცული 3.700 წელზე ადრე არ არის გამოშვებული. ამრიგად მიგვაჩნია, რომ ახალციხის ზარაფხანის ამუშავების თარიღი 1300 წელია. ახალციხეში მოჭრილი მონეტები ილხანთა ირანის ზარაფხანების პროდუქციისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ზარაფხანის სახელწოდებით.

ქ. ახალციხის წარმოშობა და სამცხის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად გახდომა განაპირობა მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ. ახალციხის ჯერ ქალაქად გადაქცევას, ხოლო შემდეგ მის ზრდა-განვითარებასა და მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად გახდომას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: იგი მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაჯვარედინზე: მდ. მტკვრისა და ქვაბლიანის ხეობებით უკავშირდებოდა ქართლსა და ჯავახეთს; ხოლო ამ უკანაკნელზე გავლით – ბიზანტიას. ახალციხიდან მიემართებოდა გზები აჭარა-შავშეთისაკენ, იმერეთისაკენ, ახალქალაქ-ყარს-არტაანისაკენ. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იგი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც იცავდა მტკვრისა და ქვაბლიანის ხე-

ობებს გარეშე მტრების შემოსევისაგან [კოჟო-რაძე 1969: 21-23]. გარდა მოხერხებული მდებარეობისა, ახალციხის ზარაფხანის დაარსება იმ პოლიტიკური ვითარების გამომხატველი იყო, რომელიც იმ დროს შეიქმნა საქართველოში, ქართლის სამეფოში დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა მსხვილი ფეოდალები: სამცხე-კლარჯეთის, სომხეთის. ისინი გარკვეულ პერიოდში გახდნენ დამოუკიდებელნი; თუმცა საქართველოს მეფესთან ნომინალურად მაინც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ცნობილია, რომ ცალკე ფეოდალურ სამფლობელოებად გამოყოფამ გამოიწვია XIV ს-ის დასაწყისში ანისსა და ახალციხეში ზარაფხანების ამუშავება.

ამრიგად, ზარაფხანის არსებობა ახალციხეში მიგვითითებს ამ ქალაქის, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო და ეკონომიკური ცენტრის არსებობაზე.

ახალციხეში, რომელსაც ბართოლომე „იხმინად“ კითხულობდა, დირჰემები იჭრება ოლჯაითუ სულთნის დროსაც (1304-1318). ი. ბართოლომეს აღრიცხული აქვს მისი სახელით „იხმინის“ ზარაფხანაში მოჭრილი დირჰემები [Troisienne Letter 1862: 148]. დირჰემზე თარიღი გადამლილია.

დ. ლანგს კარაბაჩეკის კოლექციის კატალოგში მიუკვლევი ოლჯაითუ სულთნის მიერ ახალციხეში 3.717 წ. (1317-1318) მოჭრილი დირჰემებისთვის [Lang 1955: 56]. ეს თარიღი ახალციხის ზარაფხანის ყველაზე გვიანდელი თარიღია. 1317 წლის შემდეგ ახალციხის ზარაფხანის პროდუქცია არა ჩანს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ თარიღს იმეორებს ისტორიული წყაროს მონაცემიც.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, XIII ს-ის 60-იანი წლებიდან სამცხე-კლარჯეთი საქართველოს ფეოდალური მონარქიიდან განდგა. სარგის ჯაყელმა 1266 წ. სამცხის სამთავრო ყაენის სახასო სამმართველოს კუთვნილებად, ხასინჯუდ აქცია. სამცხის სამთავრო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სარგებლობდა ამ უფლებით.

1317 წ. ოლჯაითუ სულთნის გარდაცვალების შემდეგ აბუ-საიდ (1318-1336) ილხანმა გიორგი ბრწყინვალე (1318-1346) იხმო ურდოში. ჟამთააღმწერლის სიტყვით ილხანის პირველმა ვეზირმა ჩობანმა გიორგის „მისცა ყოველი საქართველო...“. „ეს ნიშნავდა სამცხის სამთავროს ხასობის გაუქმებას, სამაგიეროდ, ამ უფლების გიორ-

გისათვის გადაცემას“ [ნარკვევები 1979: 49].

გიორგი ბრწყინვალემ ილხანის დასტური მიიღო სამცხის სამთავროს დამორჩილებაზე. ნუმიზმატიკური მასალის მონაცემი ემთხვევა ამ ისტორიულ ფაქტს. ჰ.717 წლის (1317-1318) შემდეგ ახალციხის ზარაფხანის პროდუქცია არა ჩანს. ჩვენი აზრით, 1318 წ. უნდა გაუქმებულიყო ახალციხის ზარაფხანა.

გიორგი V სამცხეში ჩავიდა და თვითვე დაადგინა სამცხის მთავრად გარდაცვალებული მთავრის სარგისის შვილი ყვარყვარე I (1334-1381). ეს კი ნიშნავდა მეფის უზენაესი უფლების აღდგენას სამცხეზე, მის დაქვემდებარებას საქართველოს მონარქიის ფარგლებში. ასე დაითავრდა საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება ორმეფობის მოსპობით და მთავრების დამორჩილებით.

გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოს გაერთიანება მყარი არ ყოფილა. სამცხე მთლიანი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ სამცხის მთავარი XIV ს-ის მეორე ნახევარში კვლავ ინარჩუნებს ფაქტიურ დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ამას ამკარად მონიშნავს ის ფაქტი, რომ მანდატურთუხუცესი ბექა (1295-1304 წწ.) სამართლის წიგნს ადგენს. ე.ი. კანონმდებლობას ეწევა საქართველოს მეფის გარეშე, ხოლო აღბუღა ჯაყელმა (1381-1386) შეძლო თავის პაპის ბექას სამართლის შევსება-განვრცობა.

სამცხის სამთავრო XV ს-ის მეორე ნახევრიდან დამოუკიდებელ სამთავროდ გამოყოფისათვის კვლავ იწყებს ბრძოლას. უთანხმოებამ მძაფრი ბრძოლის ხასიათი მიიღო ყვარყვარე II დიდის (1451-1498) ნახევარსაუკუნოვანი ათაბაგობისა და გიორგი VIII-ის (1446-1466) პერიოდში. XIV ს-ის დასასრულს გამუდმებულ ომებს (თემურ ლენგის მრავალგზის შემოსევა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე) უკვალოდ არ ჩაუვლია. XV ს-ში ქვეყანამ შეაბიჯა გაპარტახებული მეურნეობით. ღრმა ეკონომიკურ კრიზისის მსხვილ ფეოდალთა სეპარატისტული მისწრაფებანი დაერთო. XV ს-ის ბოლოს დასრულდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის ხანგრძლივი პროცესი. 1490 წ. ქართლის სამეფოს სახელმწიფო საბჭომ სცნო საქართველოს პოლიტიკური დანაწილების ფაქტი. საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად. დამოუკიდებელი გახდა სამცხე.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაშლა დაემთხვა სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს

გაძლიერებას, ხოლო აღმოსავლეთით სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნას. სეფევიდები თავს თვლიდნენ მონღოლთა (ილხანთა) პოლიტიკურ მემკვიდრეებად და ადრე ილხანთა დაპყრობილი ქვეყნების, მათ შორის ამიერკავკასიისა და საქართველოს ხელახლა დაპყრობას საპატიო მოვალეობად მიიჩნევდნენ. ამასთან ოსმალეთიც თვლიდა, რომ აღმოსავლეთში მისი შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიის დაპყრობა.

1453 წ. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ საქართველოსთვის მძიმე შედეგი გამოიღო. საქართველო და მთელი წინა აზია ევროპას მოწყვიტა. ვენეციელებისა და გენუელების სავაჭრო ურთიერთობა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებთან, კერძოდ საქართველოსთან შეწყდა. „1475 წ. ოსმალებმა დაიპყრეს კაფა (თეოდოსია) და დაუახლოვდნენ საქართველოს ჩრდილოეთითაც. ამით მათ ჩაკეტეს ის სავაჭრო გზაც, რომელიც მიდიოდა სარაისა და თურქესტანის მიმართულებით ჩინეთისა და ინდოეთისაკენ და რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც“ [კაკაბაძე 1920: 3]. საქართველო პირისპირ აღმოჩნდა ოსმალთა იმპერიის წინაშე.

ყვარყვარე ათაბაგი ამ დროს იმდენად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, რომ 1491 წ. გუგარქში სომხური სახარების გადამწერის მელქისეტის ცნობით: „...წარმოვიდა პატრონი ქართველი ყვერყვარე ოცდაათათასიანი მხედრობით ქალაქ არზრუმზე და გაძარცვა ქვეყანა და ქალაქი თავის მოხარკედ აქცია“ [შარაშიძე ქრ. 1961: 81-82]. სხვა სომხური სახარების 1499 წ. მიწანერი გვამცნობს: „ყვარყვარემ დაარბია და გაძარცვა არარატის მხარე და ეს წმინდა სახარება მიტანილ იყო ქალაქ ახალციხეს და მე, მონამ ღვთისამან ვიყიდე იგი“ [შარაშიძე 1961: 82].

ისტორიკოს შ. ლომსაძის დაკვირვებით, „ჩანს ყვარყვარე ტაოს იქითა მხარეზე იწვიდა ხელს, ეს იყო „ზემონი ქვეყანანი“, რომელიც ადრე დავით კურაპალატს ეპყრა“ [ლომსაძე 1975: 29].

მესხეთის ათაბაგები პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარალელურად იბრძოდნენ სამხრეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებისათვის. ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა უთანხმოებამ, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო XV ს-ში [ჯავახიშვილი 1950: 31-32].

მესხეთის ძლიერი ფეოდალი ყვარყვარე იწყებს მონეტის მოჭრას. ყვარყვარე ათაბაგის მონეტის აღმოჩენამ ქართულ საისტორიო მეცნი-

ერებაში თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მონეტის მოჭრა მეფის პრეროგატივა იყო. ამ მონეტის აღმოჩენით გაირკვა, რომ XV ს-ში საქართველოში სახელმწიფო მონეტის გვერდით ჩნდება ე.წ. „ფეოდალური“ ანუ მთავრის მიერ მოჭრილი მონეტა. ყვარყვარეს მონეტაზე საკუთარი სახელის აღნიშვნა დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. უდავოა, რომ საქართველოს მთლიანობის დარღვევისთანავე უზენაესი მფლობელის სხვა რეგალიებთან ერთად, ათაბაგმა საკუთარი ფულის მოჭრის უფლებაც მიითვისა.

როდის შეიძლება სამცხის ათაბაგს ყვარყვარე II-ეს დაეწყო სამონეტო ემისია?

1466 წ., როდესაც მეფე გიორგი VIII-სა (1446-1466) და ყვარყვარეს შორის ბრძოლა მეფის დამარცხებით დამთავრდა, გ. დუნდუას დაკვირვებით, ამის შემდეგ უნდა დაეწყო ყვარყვარე ათაბაგს იმ მონეტების მოჭრა, რომელზედაც მისი სახელის აღნიშვნელი ზედწერილია აღბეჭდილი [დუნდუა 1964: 105].

XV-XVI სს-ის საქართველოში გამოშვებულ ფულზე ზარაფხანის სადაურობის აღნიშვნა აღარ წარმოებს. მესხეთში გამოშვებულ მონეტებზე ქალაქის სახელწოდება არ არის აღნიშნული. დ. კაპანაძის სამართლიანი დასკვნით, აღნიშნული მონეტები ახალციხის ზარაფხანაში უნდა მოჭრილიყო, ათაბაგების სამფლობელოს რეზიდენციაში [კაპანაძე 1944: 137-150].

ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა აისახა საქართველოს სამონეტო საქმეში. ქართული ფულის დაკნინება-გაუარესების პროცესი, რომელიც XIV ს-ის 20-იანი წლებიდან დაიწყო XV ს-ში კატასტროფულ ზღვარს აღწევს. მონეტის წონა და ზომა კლებულობს და ბოლოს ნახევარგრამიანი ფირფიტები მონეტის მსგავსებას კარგავს. ფულის მოჭრის ტექნიკა და მისი მხატვრული გაფორმება დაბალია. მონეტის სინჯი დაცემას განიცდის და ფაქტიურად სპილენძით იცვლება. ასეთია XV-XVI სს-ის ქართული მონეტის გარეგანი ნიშანი, რომელიც ამ მძიმე პერიოდის ნუმისმატიკურ ძეგლს ახასიათებს.

ყვარყვარეს რამდენიმე სამონეტო ტიპი განეკუთვნება. მათგან ერთს მეცნიერებაში დიდი ხანია იცნობდნენ. მ. ბარათაევმა პირველმა გამოაქვეყნა ეს ნიმუში [Баратаев 1944: 129-130, ტაბ. VI]. რადგან მის განკარგულებაში მყოფი ცალი გადასული იყო, მონეტა სწორად ვერ განსაზღვრა. ათაბაგ ყვარყვარეს აღმნიშვნელ სიტყვაში მან 450 ქორონიკონი დაინახა და აღ-

წერილის შინაარსი შეცდომით რუსუდან დედოფალს (1223-1245) მიაწერა.

იდენტური მონეტა გორის განძში აღმოჩნდა ასომთავრული ზედწერილით. დ. კაპანაძემ აღმოჩენილი ცალის საშუალებით სწორად განსაზღვრა მონეტა, მომჭრელის ვინაობა გამოიკვინო. ეს არის სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II [კაპანაძე 1940: 208].

ყვარყვარე ათაბაგის სახელით აღბეჭდილი, ერთი მეორისაგან შესამჩნევად განსხვავებული მონეტის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი. მონეტაზე მისი სახელი აღნიშნულია მხედრულად, ზოგჯერ ასომთავრულით. ყურადღებას იპყრობს ცალი, რომელზედაც მისი სახელი საკუთარი ხელრთვით არის გადმოცემული. ჩვენ მასალაზე მუშაობისას მივაკვლიეთ ახალ სამონეტო ტიპს, სადაც ყვარყვარეს სახელი დაქარაგმებულია არაბულად (ტაბ. I<sub>3</sub>).

ვიძლევიტ ყვარყვარე ათაბაგის მონეტების აღწერილობას:

2. ქ.ძ. 586. წ. – 0,67 გ. ზ. – 15/17 მმ.

შუბლი: ხაზოვან ჩარჩოში ორ სტრიქონად, მხედრული დამწერლობით „ყრ...ყრ“ (ყვარყვარე) (ზოგჯერ ზედწერილი შებრუნებულია ნეგატიურად).

ზურგი: წრეში თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. I<sub>2</sub>).

3. გ.ფ. 2414. წ. – 0,65 გ. ზ. – 12/14 მმ.

შუბლი: ყვარყვარეს სახელი დაქარაგმულია ასომთავრულით „ყვარყვარე“.

ზურგი: თევზის გამოსახულება მიმართულია მარცხნივ (ტაბ. I<sub>3</sub>).

4. გ.ფ. 3209 წ. – 0,60 გ. ზ. – 13/15 მმ.

შუბლი: ყვარყვარე ათაბაგის სახელი გადმოცემულია მხედრული ნიშნებით, რომელიც მის საკუთარ ხელმწიფარს (ე.წ. ფაქსიმილეს) უნდა წარმოადგენდეს.

ზურგი: წრეში მოთავსებულია თევზის გამოსახულება (ტაბ. I<sub>4</sub>).

5. ახ.მ. 4390<sub>(3)</sub> წ. – 0,82 გ. ზ. – 15/17 მმ.

შუბლი: კვადრატულ ჩარჩოში ყვარყვარეს სახელის დაქარაგმება არაბულად – ყვარყვარე.

ზურგი: წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. I<sub>3</sub>).

„მესხური“ საფასეების ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ანეპიგრაფიკული მონეტები; ვიძლევიტ ანონიმური მონეტების აღწერილობას.

6. გ.ფ. 7200. წ. – 0,77 გ. ზ. – 14/16 მმ.

შუბლი: წრეში მოთავსებულია თევზის სქე-



მატური გამოსახულება მიმართული მარჯვნივ. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

ზურგი: წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება მიმართული მარცხნივ. ზემოთ და ქვემოთ წერტილები (ტაბ. I<sub>6</sub>).

7. ქ.დ. 603. ნ. – 0,48 გ. ზ. – 13/14.

შუბლი: წრეში გამოსახულია ჯვარი.

ზურგი: წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება მიმართული მარცხნივ (ტაბ. I<sub>7</sub>).

8. ქ.დ. 3215. ნ. – 0,73 გ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი: წრეში მოთავსებულია თევზის გამოსახულება მიმართული მარცხნივ.

ზურგი: ხაზოვან ოთხკუთხედში სუნიტური რწმენის ფორმულა სამ ხაზზე არაბულად:

„არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“ (ტაბ. I<sub>8</sub>).

თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტების სამონეტო ჯგუფი ანონიმურია, რადგან მონეტაზე მომჭრელის სახელი არ არის აღნიშნული. მასალაზე დაკვირვებამ დ. კაპანაძეს საშუალება მისცა სწორად ამოეხსნა ამ მონეტების სადაურობა [კაპანაძე 1941: 150-151]. მეცნიერის ვარაუდით აქაც მესხეთის ზარაფხანის პროდუქციასთან გვაქვს საქმე, რასაც მოწმობს მონეტის მეორე მხარეს მოთავსებული თევზის გამოსახულება და სხვა დამადასტურებელი ნიშნები [კაპანაძე 1941: 154-155].

1466 წლიდან მოყოლებული, როცა ყვარყვარე II-მ გიორგი VIII დაატყვევა, ვიდრე 1535 წლამდე, როდესაც იმერეთის მეფე ბაგრატ II-მ (1510-1565) სამცხე-საათაბაგო საქართველოს შემადგენლობაში გააერთიანა, საათაბაგო შეუზღუდავი პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ჩვენი დაკვირვებით „მესხური“ ანეპიგრაფიული მონეტების გამოშვება ყვარყვარე II-ის მემკვიდრეებმა ათაბაგებმა ქაოხოსრომ (1498-1500), მზეჭაბუკმა (1500-1515) და ყვარყვარე III-ემ (1515-1535) გააგრძელეს. თევზის გამოსახულებიანი ანონიმური სამონეტო ემისიის წარმოება მათ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. მესხური ზარაფხანის პროდუქცია ბუნებრივია, 1535 წლიდან უნდა შეწყვეტილიყო, როდესაც ბაგრატ III-ემ ყვარყვარე III დაატყვევა და სამცხე-საათაბაგო საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

ამრიგად, თევზის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების მიმოქცევის ხანად უნდა ვიგულისხმოთ XV ს-ის 90-იანი XVI ს-ის 40-იანი წლები.

ჩვენს ხელთ არსებული ყვარყვარე ათაბაგისა

და ანონიმური მონეტების სახესხვაობათა დიდი რაოდენობა მტკიცე საბუთს წარმოადგენს იმისას, რომ XV ს-ის მეორე ნახევრიდან XVI ს-ის 40-იან წლებამდე ახალციხის ზარაფხანაში საკუთარი ფულის ემისია წარმოებს.

XV-XVI სს. ახალციხის ზარაფხანის მონეტები ტიპოლოგიურად განსხვავდებიან ქართლის სამეფოში გამოშვებული ფულისგან. ყვარყვარე ათაბაგის სახელით აღნიშნული მონეტებისაგან განსხვავებით, ანეპიგრაფიული მონეტების ზურგის ზედწერილში არაბულად, სუნიტური რწმენის ფორმულაა მოთავსებული. ცხადია, ეს სამცხის ათაბაგების თურქეთის ორიენტაციის მკაფიო გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. „მესხური“ მონეტები შედარებით სრულწონიანია, ვერცხლის სინჯიც მაღალია, იმ დროს როდესაც ქართლის მეფეების ფული დაბალი ხარისხის ვერცხლია, ზოგჯერ ბილონი.

ქართველი მეფეების ალექსანდრე I-ის (1412-1443), ვახტანგ IV-ის (1443-1446), გიორგი VIII-ის (1446-1466), ბაგრატ VI-ის (1466-1478), კონსტანტინე II-ის (1478-1505), დავით X-ის (1505-1525) სახელებით აღბეჭდილი მონეტები შეიცავენ მხოლოდ და მხოლოდ ასომთავრულ ან მხედრულ ზედწერილებს, მეფის სახელისა და მისი ტიტულის მოხსენიებით [დუნდუა 1964: 55]. ჩვენი დაკვირვებით, მიუხედავად მძლავრი აღმოსავლური გარემოცვისა, არაბული ზედწერილები და მაჰმადიანური რწმენის ფორმულა XV-XVI სს-ის ქართულ საფასეებზე არ ჩანს. ზოგ ცალზე ჯვრის გამოსახულებაც არის მოთავსებული. ამ დროის ქართულ ფულს ეროვნული სახე აქვს შენარჩუნებული და თურქული უზუნაესობის არავითარ ნიშანს არ ატარებს. მასზე მხოლოდ ქართული ზედწერილებია.

ილხანის სახელის მოხსენებით XIV ს-ის ახალციხის და შემდეგ XV-XVI სს-ის 40-იან წლებში ახალციხეში გამოშვებული სამცხის ათაბაგების მონეტები, შედარებით ქართლის სამეფოს საფასეებთან, მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი სამონეტო განძებში, მაგრამ მათ გარკვეული წილი უკავიათ სამონეტო მიმოქცევაში.

როგორც ეს თანდართული ტოპოგრაფიიდან ჩანს, XV-XVI სს. ახალციხის ზარაფხანის პროდუქცია ჩანს თანადროული ქართველი მეფეების სახელით გამოშვებული საფასეების გვერდით. ახალციხური მონეტები მიმოქცევაშია საქართველოს სხვადასხვა ნაწილში (მნას, გორის, დიდხორხის განძები). მესხური ზარაფხანის პროდუქცია – მნას, დიდხორხის (სოფ. დიდხორხი თავისი მდებარეობით ერთგვარ ჩიხს წარმო-



ადგენს). ერთადერთი შესაძლებელი პუნქტი, საიდანაც განძში შემავალი მონეტები ამ სოფელში უნდა მოხვედრილიყო – ჟინვანია [დუნდუა 1964: 106]. პოლიტიკურად ჟინვანი კახეთს უკავშირდება. კახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნერტილად სტეფანნმინდაა მიჩნეული. იქვე) რექომის სალოცავის მიდამოებიდან მოპოვებული მონეტები – ჟინვანში და მისი გავლით ხევში უნდა მოხვედრილიყო იმ დიდი საქარავნო გზით, რომელსაც უწოდებენ ვახუშტის თქმით, „გზასა ქართლისასა“. ჟინვანზე გადიოდა მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი სამხრეთ საქართველოდან გადაჭრიდა რა მთელ კახეთის სამეფოს, კახეთის გავლით უკავშირდებოდნენ მას [დუნდუა 1964: 105-106].

საყურადღებოა გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სალთა“ [შარაშიძე 1954], რომელშიც XV ს-ის პირველი ათეული წლებიდან XVIII ს-ის მიწურულამდე, ალექსანდრე დიდის (1412-1442) დროიდან მოყოლებული ერეკლე II-მდე (1762-1798) დაცულია ხევში, გერგეტის სამების ტაძარში არსებული „მატიანის“ ჩანაწერებისა და საბუთების მდიდარი კომპლექსი.

მატიანის გვერდებზე მრავლად არის საქართველოს XV-XVI სს-ების წარჩინებულ პირთა სახელები. ქრ. შარაშიძის დაკვირვებით, „ხსენებული მასალა ავსებს საქართველოს ამ პერიოდის პოლიტიკურ და ეკონომიკური ისტორიის ხარვეზს. ნაწილობრივ კი სრულიად ახალ მასალას გვაძლევს ამავე პერიოდის ფეოდალური საქართველოს შემადგენელი ნაწილების დანესებულებათა ერთიანობის შესახებ; ამჟღავნებს ამავე პერიოდის ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივობის შედარებით ერთიანობას [შარაშიძე 1954: 223].

ქრ. შარაშიძის დასკვნით, მატიანეში მოხვედრილ ცნობათა ჯგუფში გარკვევით იგრძნობა დიდი კავშირი სამცხის მმართველ წრესა და ხევ-არაგვის ერისთავთა შორის. ძეგლი ამჟღავნებს მჭიდრო კავშირის ქსელის არსებობას ხევისა და საათაბაგო-სამხრეთ საქართველოს ადამიანებს შორის. საქართველოს ამ ორი ერთმანეთის საკმარისად დაშორებული მხარის ადამიანთა სიახლოვე შემორჩენილია „დარღვეულ“ XV ს-შიაც [შარაშიძე 1954: 235-236].

ცალკე გამოყოფილმა სამცხე-საათაბაგომ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე XIII ს-ის 60-იანი წლებიდან XVI ს-ის 40-იანი წლებამდე, საკუთარი სამართლის ნორმების კოდექსი შექმნა (ბექა-

ალბუღას სამართლის წიგნი), ჰქონდა საკუთარი საგარეო პოლიტიკა, საკუთარი საფასეები და სხვა. ნუმიზმატიკური მასალისა და საისტორიო წყაროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ამ დროსაც არ განწყვეტილა. მესხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული სამონეტო განძების შემადგენლობა ნათლად ადასტურებს, რომ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან XIV ს-ის მანძილზე ყაანურები, ქართულ-ჰულაგუიდური, სელჩუკური დრამები და ილხანთა სახელით გამოშვებული ფული, ფართოდ არის ჩაბმული სამხრეთ საქართველოს ფულის მიმოქცევაში. XIV-XVI სს-ის პირველ მეოთხედში სამონეტო განძებში ქართველი მეფეების მიერ გამოშვებული მონეტების გვერდით ჩანს მესხური ზარაფხანის პროდუქცია, აგრეთვე კირმანეულები (დასავლურ-ქართული ფული). გარდა ქართული ფულისა სამცხეში ბრუნვამა უცხოური საფასეები: ტრაპიზონის ასპრები, თურქული აყჩები, შირვანული მონეტები.

სამცხის ათაბაგები აღარ ემორჩილებიან ცენტრს, მაგრამ მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ სამცხის სამთავრო ქართულ სახელმწიფოში მოქცეული, მისი ორგანული ნაწილია. იგი საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება, თვით საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემთხვევაშიც, საქართველოს ერთიანი პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ამ დროის ნუმიზმატიკური ძეგლები საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთ ცოცხალ მონიშნავს წარმოადგენს.

მოგვყავს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XIII-XVI სს. 40-იანი წლებში ჩამარხული განძებისა და ცალკეულად ნაპოვნი მონეტების სია. აგრეთვე მესხური ზარაფხანის პროდუქცია, რომელიც აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის გარეთ.

1. სოფ. ზემო თმოგვი (ახალქალაქის რ-ნი) აღმოჩნდა XIII ს-ის თბილური დრამა – ყაანური II ტიპის (XIII ს-ის 60-70-იანი წლები). გ.ფ. №12105.

2. სოფ. რეხში (ნალკის რ-ნი) 1937 წ. აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. განძი დაიფანტა. 5 ცალი შემოვიდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში. განძი შეიცავს შემდეგ მონეტებს: 1) ყაანური I-ტიპის XIII ს-ის 60-იანი წლები; 2) ქართულ-ჰულაგუიდური: აბალა (1265-1282); არლუნი (1284-1291); ქეილათუ (1291-1295). გ.ფ. №№ 13569-13573 [Джалаганиა 1979: 127].

3. 1900-იან წლებში ქ. ახალციხეში აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში იყო ტრაპიზონის ასპრის მინაბადები (კირმანეულები). ე. პახომოვმა დიდი განძიდან დაათვალიერა 20-იოდე ცალი [Пахомов 1926: № 143].

4. ვარძიის მონასტერთან (ასპინძის რ-ნი) აღმოჩნდა ტრაპიზონის ასპრი მანუალ II (1238-1263), მპოვნელმა მონეტა გადასცა დ. კაპანაძეს [Пахомов 1938: № 846].

5. სოფ. ახალდაბაში (ბორჯომის რ-ნი). 1968 წ. მშენებლობის დროს აღმოჩნდა თიხის ქოთანის ვერცხლის მონეტებით. განძის შემადგენლობა ასეთია: 1) რუმის სელჩუკები: ქეიქუბად I (1219-1237) – 2 ც.; ქაიხოსრო II (1237-1246) – 1 ც.; ქაიქაუს II (1246-1248) – 2 ც.; ყილიჯ არსლანი IV (1257-1265) – 1 ც.; 2) ჩინგიზიდი: მანგუ-ყაენი (1251-1260) – 86 ც.; 3) დავით VII ულუ (1247-1270) – 1 ც.; 4) მანუალ I კომნენი (1236-1263) – 1 ც.

განძი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში [Джалаганиа 1979: 118-121].

6. სოფ. ვარხანისა და აბასთუმანს (ადიგენის რ-ნი) შორის, 1968 წ. აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომლის ნაწილი საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შეიძინა. განძის ნაწილი (54 ეგზემპლარი) ინახება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განძის შემადგენლობა ასეთია: 1) ყაანური I ტიპის (XIII ს-ის 60-იანი წლები) – 3 ც.; 2) ყაანური II ტიპის (XIII ს-ის 60-80-იანი წლები) – 61 ც.; 3) ქართულ-ჰულაგუიდური (XIII ს. 80-90-იანი წლები) – 8 ც.

ამრიგად, ყველა დირჰემი თბილისშია მოჭრილია.

გ.ფ. №12278-12349 [Джалаганиа 1979: 125].

7. სოფ. ურაველში (ახალციხის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. განძის შემადგენლობა ასეთია: 1) რუმის სელჩუკები: ლაიას ად-დინ მასუდ II (1284-1293); (1294-1310) – 5 ც.; 2) ყაანური I ტიპის (XIII ს-ის 60-იანი წლები); 3) ყაანური II ტიპის (XIII ს-ის 60-80-იანი წლები); 4) ქართულ-ჰულაგუიდური (XII ს-ის 80-90-იანი წლები) – 5 ც.; 5) ვახტანგ III (1297-1308) – 4 ც.; 6) ყაზან ყაენი (1295-1304) – 2 ც.; 7) ილხანი აბუსაიდი (1317-1336) – 1 ც.

გ.ფ. № 12255-12273 [Джалаганиа 1979: 122-123].

8. ლიკანში (ბორჯომის რ-ნი) 1938 წ. არქეოლოგმა სევეროვამ ნახა დიდი განძი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემოვიდა მხოლოდ ორი ცალი. ილხანი სულეიმანი (1339-1344) ორიანი დირჰემები [ღვაბერიძე 1986: 72].

9. ახალციხის მახლობლად (ბორჯომის რ-ნი)

1952 წ. აღმოჩნდა XV ს-ის თურქული აყჩების განძი. რამდენიმე ცალი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტს. გ. ღუნდუას აზრით, ეს ერთადერთი შემთხვევაა საკმარისია სამცხე-საათაბაგოში თურქული ვერცხლის მონეტების გავრცელების დასამტკიცებლად [ღუნდუა 1964: 90].

10. სოფ. პატარა დმანისში (დმანისის რ-ნი) ნაპოვნია აჰმედ ჯელაირის (1382-1411) ვერცხლის მონეტა. გ.ფ. № 2261.

11. სოფ. პატარა გომარეთში (დმანისის რ-ნი) 1936 წ. აღმოჩნდა უკანასკნელი ილხანების მუჰამედის (1337-1338), სათიბეგ ხათუნის (1338-1339), ტულათემერის (1339) და სულეიმანის (1339-1343) სახელებით მოჭრილი ვერცხლის მონეტები, 92 ცალის რაოდენობით. განძში შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტებია: თბილისი (29 ც.), თავრიზი (12 ც.), ბაზარი (4 ც.), ანისი (4 ც.), ბარდა (1 ც.), ალაგირი (1 ც.), შირვანი (2 ც.), კალისტუფანი (1 ც.), სულტანია (1 ც.).

ნიშანდობლივია, რომ განძში ჭარბობს თბილისის ზარაფხანის მონეტები. იგი განძის 1/3 ნაწილს შეიცავს.

გ.ფ. №№ 7490-7583 [ლომოური 2005: 109].

12. სოფ. ფოკაში (ნინოწმინდის რ-ნი), ფარავნის ტბის პირას, თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების მოზრდილი განძი, რომლის ნაწილი დაიკარგა. განძი შეიცავს ირანის მონღოლური დინასტიის წარმომადგენელ ილხან ოლჯაითუ (1304-1317) სახელით მოჭრილ ფულს.

განძში შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტებია: თბილისი (27 ც.), ანისი (14 ც.), სამსუნის (11 ც.), თავრიზი (8 ც.), ბაზარი (3 ც.), ბარდა (1 ც.). ამოკითხული ზარაფხანის მესამედზე მეტი თბილისშია მოჭრილი.

გ.ფ. №№20295-20442; 20554-20560 [ღვაბერიძე 2006: 101-107].

13. ახალციხეში (რაბათის ტერიტორიაზე) 1972 წ. აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი (56 ც.). განძის შემადგენლობაშია სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II (1451-1498) სახელით მოჭრილი 54 მონეტა, ერთი კირმანეული და ერთი ილხან აბუ-საიდის (1317-1336) დირჰემი. განძი ინახება ახალციხის ისტორიულ მუზეუმში №№ 4390 (56 ც.).

14. ბათუმის მიდამოებში, სამების მთაზე ეკლესიის ნანგრევების ახლოს თიხის ქოთანში თურქული და სპარსული ვერცხლის მონეტებს განძში აღმოჩნდა ერთი ცალი თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტა [Пахомов 1926: № 198].

15. ჩრდილოეთ ოსეთის სალოცავის, რექომის გათხრებისას არქეოლოგმა ე. პჩელინამ აღმოაჩინა შემდეგი ქართული მონეტები: 1) გიორგი VII (1393-1407) – 1 ც.; 2) ბაგრატ VI (1466-1478) – 12 ც.; 3) გიორგი VIII (1446-1478) – 9 ც.; 4) კონსტანტინე II (1478-1505) – 4 ც.; 5) ანონიმური (V ს) – 67 ც.; 6) თევზის გამოსახულებიანი – 16 ც.; 7) კირმანეული თეთრი – 2 ც. და სხვ.

ისტორიკოს ვ. გამრეკელის აზრით, ეს ფული არის მკვიდრთა მიერ სალოცავისათვის მიტანილი შესანიშნავი [Пахомов 1940: № 872; დუნდუა 1964: 97-99].

16. სოფ. დიდხირხში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. განძი შეიცავს XV ს-ის პირველი ნახევრის 68 შირვანულ თანგას და 20 ქართულ მონეტას (თევზის გამოსახულებით) [Пахомов 1940: № 876; დუნდუა 1964: 101-102].

17. ქ. გორში, 1938 წ. მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა დიდი რაოდენობის დაბალი ხარისხის ვერცხლის წვრილი მონეტები (10000 ც.). საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შეიძინა 700 ც. განძის დიდი ნაწილი გორის მუზეუმში ინახება.

განძის შემადგენლობა ასეთია: 1) ალექსანდრე I (1412-1443); 2) ვახტანგ IV (1443-1446) – 3 ც.; 3) გიორგი VIII (1446-1478) – 9 ც.; 4) ბაგრატ VI (1466-1478) – 2 ც.; 5) კონსტანტინე II (1478-1505) – 210

ც.; 6) მესხეთის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498) – 12 ც.; 7) ადრიანოპოლის აყჩის მინაბადი – 47 ც.; 8) შირვანული მონეტის მინაბადები – 59 ც.; 9) XV ს-ის, გაურკვეველი ნიშნებით – 121 ც.; 10) სხვადასხვა გეომეტრიული გამოსახულებებით და სხვ. გ.ფ. №№ 1683-1862; 7183-7482.

18. სოფ. მნაში (ყაზბეგის რ-ნი) 1924 წ. ეკლესიის საძირკველში აღმოჩნდა XV-XVI სს. ფულადი განძი. განძის შემადგენლობა განსაზღვრა თ. ლომოურმა. 1) ვახტანგ IV (1442-1446) – 16 ც.; 2) გიორგი VIII (1446-1466) – 10 ც.; 3) კონსტანტინე II (1478-1505) – 177 ც.; 4) დავით X (1505-1525) – 329 ც.; 5) თევზის გამოსახულებით (მესხური) – 5 ც.; 6) ქართული ასოებით – 60 ც.; 7) ქართული, მზეცის გამოსახულებით – 43 ც.; 8) მუსულმანური მინაბადი – 21 ც.; 9) გაურკვეველი ნიშნებით – 96 ც და სხვ.

გ.ფ. №№ 3142-3481; 16293-17217 [დუნდუა 1964: 104].

19. სოფ. კოშში (სომხეთი, აშტარაკის რ-ნი) 1934 წ. აღმოჩენილ აღმოსავლური მონეტების განძში ერია ერთი თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტა [Пахомов 1940: № 872].

ასეთია ის ცნობები, რომელთა ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დაახლოებით წარმოდგენილი იქნას სამცხეში სამონეტო მიმოქცევის სურათი XIII ს-ის 60-იან-XVI ს-ის 40-იან წლებში.

**Ts. Ghvaberidze**

### **THE AKHALTSIKHE MINT (14<sup>TH</sup>-16<sup>TH</sup> CENTURIES)**

T. Lomouri is credited with the discovery of the existence of a mint at Akhaltsikhe. She was the first to decipher the name of this city on a dirham of Kazan-Khan's (1296-1304) hoard of the Hulaguid coins. In working on the material, I ascertained the chronology of the functioning of the Akhaltsikhe mint in the 14<sup>th</sup> century. Both the metrology and the outward appearance of the Akhaltsikhe coins correspond to those struck in the mint of Ilkhan Iran (Georgia was a vassal of Ilkhan Iran).

In connection with the weakening of the central government in Georgia, individual principalities began to fight for independence. The powerful feudal lord of Meskheta, Qvarqvar Jakeli (1451-1498) commenced minting his own coin. Several coin types are known with Qvarqvar's name imprinted. While working on the material I came across a new coin type on which Qvarqvar's name is encrypted in Arabic.

I have made a classification of the anepigraphic coins of the Meskhan mint. It has transpired that anonymous coins were struck by the successors of Qvarqvar II the Atabag: Kaikhosro (1498-1500), Mzechabuki (1500-1515) and Qvarqvar III (1515-1535). I had determined the data of the discontinuation of the functioning of the Meskhan mint.

The Atabags of Samtskhe did not submit to the centre, but the analysis of the material shows that the principality of Samtskhe was within the Georgian state, being its organic part. Samtskhe served the economic interests of Georgia, acting in the interests of a single Georgia's policy. The numismatics of this period serves as a vivid example of Georgian unity.

## ლიტერატურა

- დუნდუა გ. 1964:** სამონეტო მიმოქცევის საკითხებისათვის XV ს-ის საქართველოში. თბილისი.
- კაკაბაძე ს. 1920:** საქართველოს მოკლე ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა). ტფილისი.
- კაკაბაძე დ. 1940:** XV ს-ის ქართული ფულის გორის განძი. – სსმმ, X-B, 279-307.
- კაკაბაძე დ. 1941:** ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისათვის. – სსმმ, XI-B, 133-159.
- კაკაბაძე დ. 1944:** ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. – სმამ, XXIII, № 4, 137-150.
- კოჟორაძე დ. 1969:** განახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია). თბილისი.
- კოჟორაძე დ. 1987:** სამცხე-ჯავახეთის წარსული და დღევანდელი. თბილისი.
- ლომოური თ. 1944:** ახალციხის ზარაფხანა. – სსმმ, XII-B, 213-217.
- ლომოური თ. 1947:** ქოდალას განძი. – სსმმ, XII-B, 128-149.
- ლომოური თ. 2005:** ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი.
- ლომსაძე შ. 1975:** სამცხე-ჯავახეთი. თბილისი.
- ნარკვევები, 1979:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბილისი.
- სურგულაძე ივ. 1965:** ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბილისი.
- ქართლის ცხოვრება 1959:** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი.
- ღვაბერიძე ც. 1986:** საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბილისი.
- ღვაბერიძე ც. 2006:** სოფელ ფოკის განძი. – არქეოლოგიური ჟურნალი, IV, 101-107.
- შარაშიძე ქრ. 1954:** საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს). თბილისი.
- შარაშიძე ქრ. 1961:** სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს). თბილისი.
- შარაშიძე ქრ. 1982:** სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.). თბილისი..
- ჯავახიშვილი ივ. 1913:** ქართველი ერის ისტორია. ნ. II. თბილისი.
- ჯავახიშვილი ივ. 1941:** ქართველი ერის ისტორია. ნ. III. თბილისი.
- ჯავახიშვილი ივ. 1950:** ქართველი ერის ისტორია. ნ. IV. ნაწ. I. თბილისი.
- Баратаев М. 1944:** Нумизматические факты Грузинского царства. Санкт-Петербург.
- Бердзенишвили Н. 1938:** Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв). Тб.
- Джалаганиа И. 1979:** Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тбилиси.
- Пахомов Е. 1926:** Монетные клады Азербайджана и Закавказья. Баку.
- Пахомов Е. 1938:** Монетные клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Вып. II. Баку.
- Пахомов Е. 1940:** Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. III. Баку.
- Пахомов Е. 1949:** Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. IV. Баку.
- Lang D. M. 1955:** Georgia in the reign of Giorgi the Brilliant. BSOAS, 17, 74-91.
- Troisienne Lettre 1862:** Troisienne Lettre de M. le General J. de Bartholomaei à M. F. Soret. Bruxelles.



## ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ახალციხური მონეტები.

### DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – Akhaltsikhean coins.

#### XV-XVI სს. 40-იანი წწ-ში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახალციხური მონეტების სია

№		ლითონი	წონა გ	ზომა მმ	
1	გ.ფ. 3438	ვერცხლი	0,55	14/15	Av. მხედრული დამწერლობით „ყრ“ „ყრ“ (ყვარყვარე) Rv. თევზის გამოსახულება.
2	გ.ფ. 7203	—“—	0.71	14/15	—“—
3	გ.ფ. 3439	—“—	0.52	13	—“—
4	გ.ფ. 3440	—“—	0.53	13/16	—“—
5	გ.ფ. 3441	—“—	0.45	11/12	—“—
6	ქ.ძ. 586	—“—	0.67	15/17	—“—
7	ქ.ძ. 587	—“—	0.68	15/18	—“—
8	ქ.ძ. 588	—“—	0.56	17/17	—“—
9	ქ.ძ. 589	—“—	0.55	17/19	—“—
10	ქ.ძ. 590	—“—	0.56	14/15	—“—
11	ქ.ძ. 591	—“—	0.59	14/15	—“—
12	ქ.ძ. 592	—“—	0.51	14/15	—“—
13	ქ.ძ. 593	—“—	0.72	15/17	—“—
14	ქ.ძ. 594	—“—	0.67	16/18	—“—
15	ქ.ძ. 595	—“—	0.65	15/18	—“—
16	ქ.ძ. 3208	—“—	0.87	14/15	—“—
17	ქ.ძ. 3209	—“—	0.60	13/15	—“—
18	ქ.ძ. 3210	—“—	0.67	13/15	—“—
19	ქ.ძ. 3211	—“—	0.68	12/16	—“—
20	ქ.ძ. 3212	—“—	0.68	16/18	—“—
21	ქ.ძ. 3213	—“—	0.69	12/17	—“—
22	ქ.ძ. 3214	—“—	0.70	15/15	—“—
23	გ.ფ. 7208	—“—	0.72	14/17	—“—
24	ქ.ძ. 3216	—“—	0.62	15/17	—“—
25	ქ.ძ. 3217	—“—	0.69	14/17	—“—
26	ახ.მ. 4390 <sup>(1)</sup>	—“—	0.80	15/18	—“—
27	ახ.მ. 4390 <sup>(2)</sup>	—“—	0.88	16/18	—“—
28	ახ.მ. 4390 <sup>(9)</sup>	—“—	0.82	14/15	—“—
29	ახ.მ. 4390 <sup>(10)</sup>	—“—	0.72	15/16	—“—
30	ახ.მ. 4390 <sup>(44)</sup>	—“—	0.52	14/15	—“—
31	ახ.მ. 1146	—“—	0.63	14/16	—“—
32	ახ.მ. 1255 <sup>(1)</sup>	—“—	0.70	15/17	—“—
33	ახ.მ. 1255 <sup>(2)</sup>	—“—	0.68	15/16	—“—
34	ახ.მ. 1255 <sup>(3)</sup>	—“—	0.71	15/17	—“—
35	ქ.ძ. 2413	—“—	0.66	15/16	—“—

36	ქ.დ. 2414	—“—	0.65	14	Av. ასომთავრული დამწერლობით „ყრ“ „ყრ“ (ყვარყვარე)
37	გ.ფ. 7197	—“—	0.57	14/15	Rv. თევზის გამოსახულება.
38	გ.ფ. 7201	—“—	0.71	15/17	—“—
39	ახ.მ. 4390 <sup>(3)</sup>	—“—	0.82	15/17	Av. არაბულად ყვარყვარე Rv. თევზის გამოსახულება.
40	გ.ფ. 7200	—“—	0.77	12/16	Av. თევზის გამოსახულება.
41	გ.ფ. 7202	—“—	0.68	12/14	Rv. თევზის გამოსახულება.
42	გ.ფ. 7203	—“—	0.71	14/15	—“—
43	გ.ფ. 7198	—“—	0.79	16/18	Av. ჯვრის გამოსახულება. Rv. თევზის გამოსახულება.
44	ქ.დ. 603	—“—	0.48	13/14	Av. —“—
45	გ.ფ. 7204	—“—	0.82	14/18	Rv. —“—
46	გ.ფ. 11404	—“—	0.63	16/18	Av. და Rv. გადასულია. ფაქტურით ყვარყვარეა.
47	გ.ფ. 3437	—“—	0.57	12/15	Av. თევზის გამოსახულება. Rv. სუნტი. რნმენის ფორმულა.
48	გ.ფ. 3438	—“—	0.55	14/15	—“—
49	გ.ფ. 11391	—“—	0.70	16/17	—“—
50	გ.ფ. 11392	—“—	0.78	16	—“—
51	გ.ფ. 11393	—“—	0.68	15/16	—“—
52	გ.ფ. 11394	—“—	0.56	16	—“—
53	გ.ფ. 11395	—“—	0.55	14/17	—“—
54	გ.ფ. 11396	—“—	0.75	14/17	—“—
55	გ.ფ. 11397	—“—	0.76	16	—“—
56	გ.ფ. 11398	—“—	0.74	14/16	—“—
57	გ.ფ. 11399	—“—	0.75	16	—“—
58	გ.ფ. 11400	—“—	0.73	14/16	—“—
59	გ.ფ. 11401	—“—	0.75	15/18	—“—
60	გ.ფ. 11402	—“—	0.60	15/16	—“—
61	გ.ფ. 11403	—“—	0.80	15/16	—“—
62	გ.ფ. 11405	—“—	0.80	16/17	—“—
63	გ.ფ. 11406	—“—	0.67	15/17	—“—
64	გ.ფ. 11407	—“—	0.63	15/16	—“—
65	გ.ფ. 11408	—“—	0.55	16/17	—“—
66	გ.ფ. 11409	—“—	0.78	16/17	—“—
67	გ.ფ. 7199	—“—	0.75	16/17	—“—
68	გ.ფ. 7205	—“—	0.69	14/16	—“—
69	გ.ფ. 7206	—“—	0.81	15/17	—“—
70	გ.ფ. 7207	—“—	0.79	14/18	—“—
71	ქ.დ. 3215	—“—	0.73	13/14	—“—
72	ქ.დ. 588	—“—	0.56	14/17	—“—
73	ქ.დ. 589	—“—	0.55	14/19	—“—
74	ქ.დ. 590	—“—	0.66	14/15	—“—
75	ქ.დ. 591	—“—	0.59	14	—“—
76	ქ.დ. 592	—“—	0.51	15/17	—“—
77	ქ.დ. 593	—“—	0.72	16/18	—“—
78	ქ.დ. 594	—“—	0.67	15/18	—“—
79	ქ.დ. 595	—“—	0.65	12/13	—“—
80	ქ.დ. 3495	—“—	0.61	14/16	—“—
81	ქ.დ. 3496	—“—	0.66	13/14	—“—
82	ქ.დ. 4826	—“—	0.68	14/16	—“—

83	ქ.დ. 4827	—“—	0.78	15	—“—
84	ქ.დ. 4828	—“—	0.69	15/17	—“—
85	ქ.დ. 4829	—“—	0.58	14/16	—“—
86	ქ.დ. 4830	—“—	0.76	16	—“—
87	ქ.დ. 4831	—“—	0.68	13/15	—“—
88	სბ.ბ. 4390 <sup>(4)</sup>	—“—	0.80	15/18	—“—
89	სბ.ბ. 4390 <sup>(5)</sup>	—“—	0.85	15/16	—“—
90	სბ.ბ. 4390 <sup>(6)</sup>	—“—	0.82	15/17	—“—
91	სბ.ბ. 4390 <sup>(7)</sup>	—“—	0.82	12/16	—“—
92	სბ.ბ. 4390 <sup>(8)</sup>	—“—	0.84	11/15	—“—
93	სბ.ბ. 4390 <sup>(11)</sup>	—“—	0.85	13/14	—“—
94	სბ.ბ. 4390 <sup>(12)</sup>	—“—	0.84	15/16	—“—
95	სბ.ბ. 4390 <sup>(13)</sup>	—“—	0.70	13/14	—“—
96	სბ.ბ. 4390 <sup>(14)</sup>	—“—	0.78	15/16	—“—
97	სბ.ბ. 4390 <sup>(15)</sup>	—“—	0.86	15/16	—“—
98	სბ.ბ. 4390 <sup>(16)</sup>	—“—	0.73	14/16	—“—
99	სბ.ბ. 4390 <sup>(17)</sup>	—“—	0.70	14/17	—“—
100	სბ.ბ. 4390 <sup>(18)</sup>	—“—	0.77	12/15	—“—
101	სბ.ბ. 4390 <sup>(19)</sup>	—“—	0.62	13/16	—“—
102	სბ.ბ. 4390 <sup>(20)</sup>	—“—	0.72	13/17	—“—
103	სბ.ბ. 4390 <sup>(21)</sup>	—“—	0.62	13/15	—“—
104	სბ.ბ. 4390 <sup>(22)</sup>	—“—	0.82	14/15	—“—
105	სბ.ბ. 4390 <sup>(23)</sup>	—“—	0.70	13/17	—“—
106	სბ.ბ. 4390 <sup>(24)</sup>	—“—	0.74	13/15	—“—
107	სბ.ბ. 4390 <sup>(25)</sup>	—“—	0.77	13/16	—“—
108	სბ.ბ. 4390 <sup>(26)</sup>	—“—	0.85	14/15	—“—
109	სბ.ბ. 4390 <sup>(27)</sup>	—“—	0.86	14/15	—“—
110	სბ.ბ. 4390 <sup>(28)</sup>	—“—	0.77	13/15	—“—
111	სბ.ბ. 4390 <sup>(29)</sup>	—“—	0.72	15/16	—“—
112	სბ.ბ. 4390 <sup>(30)</sup>	—“—	0.82	15/16	—“—
113	სბ.ბ. 4390 <sup>(31)</sup>	—“—	0.88	15/17	—“—
114	სბ.ბ. 4390 <sup>(32)</sup>	—“—	0.80	15/16	—“—
115	სბ.ბ. 4390 <sup>(33)</sup>	—“—	0.81	14/16	—“—
116	სბ.ბ. 4390 <sup>(34)</sup>	—“—	0.57	14	—“—
117	სბ.ბ. 4390 <sup>(35)</sup>	—“—	0.80	13/16	—“—
118	სბ.ბ. 4390 <sup>(36)</sup>	—“—	0.97	12/15	—“—
119	სბ.ბ. 4390 <sup>(37)</sup>	—“—	0.90	14/16	—“—
120	სბ.ბ. 4390 <sup>(38)</sup>	—“—	0.58	14/15	—“—
121	სბ.ბ. 4390 <sup>(39)</sup>	—“—	0.78	14	—“—
122	სბ.ბ. 4390 <sup>(40)</sup>	—“—	0.75	13/14	—“—
123	სბ.ბ. 4390 <sup>(41)</sup>	—“—	0.65	13/15	—“—
124	სბ.ბ. 4390 <sup>(42)</sup>	—“—	1.1	13/15	—“—
125	სბ.ბ. 4390 <sup>(45)</sup>	—“—	0.73	13/15	—“—
126	სბ.ბ. 4390 <sup>(46)</sup>	—“—	0.77	15/16	—“—
127	სბ.ბ. 4390 <sup>(47)</sup>	—“—	0.80	12/13	—“—
128	სბ.ბ. 4390 <sup>(48)</sup>	—“—	0.68	13/14	—“—
129	სბ.ბ. 4390 <sup>(49)</sup>	—“—	0.59	13/16	—“—
130	სბ.ბ. 4390 <sup>(50)</sup>	—“—	0.85	13/15	—“—
131	სბ.ბ. 4390 <sup>(51)</sup>	—“—	0.70	14/16	—“—
132	სბ.ბ. 4390 <sup>(52)</sup>	—“—	0.78	12/16	—“—
133	სბ.ბ. 4390 <sup>(53)</sup>	—“—	0.83	13/15	—“—
134	სბ.ბ. 4390 <sup>(54)</sup>	—“—	0.73	13/16	—“—



1



2



3



4



4a



5



6



7



8





# გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა IN MEMORIAM

## გამორჩენილი მეცნიერისა და მეგობრის გახსენება



2009 წლის 3 ოქტომბერს თეიმურაზ ჩიქოვანს 85 წელი შეუსრულდებოდა. რაც დრო გადის სამეცნიერო და სამეგობრო წრეებში მით უფრო მწვავედ იგრძნობა ის დიდი დანაკლისი, რაც გამოიწვია ბატონი თეიმურაზის ჩვენგან წასვლამ. იგი იყო ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება, შესანიშნავი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თავის საქმეზე და მშობლიურ ქვეყანაზე გულმხურვალედ შეყვარებული ადამიანი, ერთგული ამხანაგი და მეგობარი, უაღრესად მონესრიგებული და მისაბაძი როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ასევე პირად ცხოვრებაში.

თეიმურაზ ანტონის-ძე ჩიქოვანი დაიბადა 1924 წელს ახალციხის რაიონის სოფ. აწყურში. 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1951 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. თავისი ცხოვრების პირველ დიდ გზაჯვარედინზე თეიმურაზ ჩიქო-

ვანმა, ვფიქრობთ, მიიღო გონივრული და სწორი გადაწყვეტილება და აირჩია სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობა, რისთვისაც მან 1951 წელს გამოცდები ჩააბარა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. უკვე ასპირანტურის წლებში გამოიკვეთა ის თვისებები რითაც იგი შემდგომ, მთელი ცხოვრების მანძილზე გამოირჩეოდა: სიბეჯითე, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, პუნქტუალობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი. მან 1954 წელს დაამთავრა ასპირანტურის კურსი და იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები თრიალეთში“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადისერტაციო ნაშრომის ასე მოკლე ვადებში შესრულებას წინ უძღოდა მძიმე და ხანგრძლივი საველე სამუშაოები თრიალეთის „ქვეყანაში“, რასაც თეიმურაზმა სანაქებოდ გაართვა თავი. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 1960 წელს. 1961 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ისტორიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სადაც კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მისი სამეცნიერო და საველე საქმიანობა. 1967 წელს მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან“, რის საფუძველზეც, იმავე წელს, დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზ ჩიქოვანის ეს მონოგრაფია წარმოადგენს საეტაპო ნაშრომს და მომავალი თაობები მადლიერებით უნდა განიმსჭვალონ მკვლევარის მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ მის მიერ განეული დაულალავი საველე მუშაობის შედეგად შეკრებილია ისეთი მასალები, რომელთა მოძიება დღეისათვის უკვე შეუძლებელია.

თეიმურაზ ჩიქოვანის დიდ ღვაწლზე და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ის მრვალარიცხოვანი ნაშრომები, მათ შორის 10 წიგნი, რომელიც გამოიცა მისი ავტორობით. ბატონი

თეიმურაზის ღვანლზე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას: მარტო ის რად ღირს, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული 30-ზე მეტ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელთაგან 17-ის ხელმძღვანელს თვითონ წარმოადგენდა, რომ იგი იყო პირველი ქართველი ეთნოგრაფთაგან, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ისეთი ქვეყნების ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლაში, როგორცაა, ბულგარეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ქვეყანა. . . ფასდაუდებელია მისი ღვანლი აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის კვლევაში და სხვა მრავალი.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს საგანგებოდ შევაჩეროთ თ. ჩიქოვანის კიდევ ერთ დიდ დამსახურებაზე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე: იგი არის ჩვენში ეთნოარქეოლოგიის როგორც უაღრესად პერსპექტიული და საჭირო დარგის ფუძემდებელი და პირველი მესვეური. ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, როდესაც იგი ინტენსიურად იკვლევდა საქართველოს და კავკასიის ხალხთა საცხოვრებელი ნაგებობების ისტორიას და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დარბაზული ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ შემორჩენილ მასალებს, მან კვლევა-ძიების დროს პირველმა მოიშველია არქეოლოგიური პარალელები. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე თეიმურაზ ჩიქოვანმა მიიღო უაღრესად საყურადღებო დასკვნა ერდოიან-გვირგვიანიანი სახლის მტკვარ-არაქსული კულტურის ნიაღში წარმოშობის შესახებ. მით უმეტეს, რომ ამ ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა გეოგრაფია თითქმის ზუსტად ემთხვევა მტკვარ-არაქსული კულტურის გავრცელების არეალს.

აღბათ ეთნოგრაფიულ ძიებაში არქეოლოგიური პარალელების კიდევ უფრო დიდი

რაოდენობით მოძიების სურვილმა ბატონი თეიმურაზი მიიყვანა იმ გადამწყვეტილებამდე, რომ 1977 წელს სამუშაოდ გადავიდა ოთ. ლორთქიფანიძის მიერ ახლად შექმნილ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, სადაც მას საშუალება ეძლეოდა უფრო ფართოდ გაეშალა მუშაობა ეთნო-არქეოლოგიის დარგში. პირად საუბარში მას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ იგი ამზადებდა ეთნო-არქეოლოგიაში მუშაობის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს და რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა მიეზიდა ახალგაზრდა მკვლევარები ამ დარგში სამუშაოდ. იმედია, მის პირად არქივში საამისო მასალები დაცულია და არ იქნებოდა ურიგო, რომ იგი გამოქვეყნებულიყო, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენში ეთნო-არქეოლოგიის შემდგომ განვითარებას. არანაკლებ საინტერესო და უაღრესად საყურადღებოა მისი ეთნო-არქეოლოგიური გამოკვლევები ისტორიული კოლხეთის ჯარგვალური სამშენებლო ხელოვნების საკითხებთან დაკავშირებით. ბატონი თეიმურაზის პირად არქივში მოსაძებნი და გამოსაქვეყნებელია კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ქართული ხალხური კერამიკის ეთნო-არქეოლოგიურ კლასიფიკაციას და შედარებით ანალიზს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბატონი თეიმურაზი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1977-1997 წლებში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განყოფილებას, რომლის მიზანი იყო ქართული არქეოლოგიური ლექსიკონის შექმნა. ამ ლექსიკონის შემუშავებას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას ცენტრის ხელმძღვანელ ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად, დიდი ამაგი დასდო ბატონმა თეიმურაზმა და თუ ოდესმე ეს უაღრესად საჭირო ლექსიკონი გამოქვეყნდება, იგი იქნება ცოცხალი ძეგლი ამ ორი ამაგდარი მეცნიერის მოსაგონებლად, მათი ღვანლის დასაფასებლად.

რამინ რამიშვილი

# შემოკლებათა განმარტება

## ABBREVIATIONS

- არქეოლოგიური ჟურნალი** – აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
- ბამშ** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ბათუმი.
- ბსუ** – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- გ.ფ.** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმისმატიკის განძების ფონდი.
- თსუ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მსე** – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბილისი.
- მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსკი** – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი.
- მსმკი** – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი
- სდსძ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.
- სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
- სსმავ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- სხ** – საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.
- ფსაძ** – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.
- ქ.ც.ს.ა.** – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.
- ქ.ძ.** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმისმატიკის ქართული ძირითადი ფონდი.
- ძიებანი** – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- ძმ** – ძეგლის მეგობარი. თბილისი.
- ხსმ ნარკვევები** – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. თბილისი.
- АБИЯЛИ** – Абхазский институт истории, языка и литературы. Сухуми.
- АО** – Археологические открытия. Москва.
- АЭФК** – Археология, этнология, фольклористика Кавказа.
- ЗКВАМР** – Записки Коллегии Востоковедов при Азиатском музее Российской Академии Наук
- ИАК** – Известия Императорской археологической комиссии. Санкт-Петербург.

**ИАН АзССР** – Известия Академии наук Азербайджанской ССР, Баку.

**ИАНО** – Известия Абхазского научного общества. Сухуми.

**ИДВ** – История древнего востока

**ИРАИМК** – Известия Российской Академии истории материальной культуры

**КСИА** – Краткие сообщения Института археологии. Москва.

**КСИИМК** – Краткие сообщения института истории материальной культуры АН СССР. Москва.

**МАК** – Материалы к археологии Кавказа. Тифлис

**МИА** – Материалы и исследования по Археологии СССР. Институт археологии АН СССР. Москва.

**МКА** – Материальная культура Азербайджана. Баку.

**ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси

**СА** – Советская археология. Институт археологии АН СССР. Москва.

**САИ** – Свод археологических источников. Институт археологии. Москва.

**ТКАЭ** – Труды Кахетской археологической экспедиции.

**ACADEMIA** – istoriul-filologiuri Jurnal.

**АНhung** – Archaeologia Hungarica. Budapest.

**AJA** – American Journal of Archaeology.

**ALBA REGIA** – Annales Musei Stephani Regis

**AS** – Anatolian Studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

**AV** – Arheološki vestnik. Ljubljana.

**BSOAS** – Bulletin of the School of Oriental and African Studies. Cambridge University Press

**BOREAS** – Münstersche Beiträge zur Archäologie.

**Dacia** - Revue d'archéologie et d'histoire Ancienne. București.

**ESA** – Eurasia Septentrionalis Antiqua. Helsinki.

**Paléorient** - Pluridisciplinary Review of the Prehistory and Protohistory of Southwestern Asia. Paris.

**PBF** – Prähistorische Bronzefunde. München.

**SCIV** – Studii și cercetări de istorie veche. Sátu Mare.

**UPA** – Universitätsforschungen zur prähistorischen Archäologie.

**WPZ** – Wiener Prähistorische Zeitschrift.



## ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალში „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“ დაიბეჭდება მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო ხასიათის სტატიები და ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშები, რომლებშიც ასახული იქნება ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. ამდენად, გაგრძელებული იქნება რუსულენოვან PAI-ის ტომებში და 2004 წელს დაბეჭდილ „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში“ დამკვიდრებული ტრადიცია. მოკლე ანგარიშის შედგენისას გასათვალისწინებელია ინსტრუქცია, რომელიც ინახება არქეოლოგიის ცენტრში.

ჟურნალში გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები: სტატიები, არქეოლოგიის თეორია, არქეოლოგიის ისტორია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები.

გვერდის ზომა – A4; შრიფტი – LitNusx, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამონბეჭდილი ლიტერატურის მითითების წესი:

მითითება ხდება ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ; I<sub>6</sub>].

ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული შრიფტით; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhlagori Hoard (An attempt at dating and historical interpretation). – *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება:

**ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981:** ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: **ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მა-ისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

PAI-ის მითითებისას დასაცავია შემდეგი წესი:

**Рамишвили Р. и др. 1980:** Археологические исследования в Арагвском ущелье. – PAI, 1977, 169-187.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956a: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956b: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია.

მოთხოვნები ილუსტრაციული მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის. ილუსტრაციულ მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

სტატია უნდა ჩაბარდეს რედაქციის მდივანს მ. ჩარკვიანს.



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

